



ევროკავშირი
საქართველოსთვის



საქართველოს ინტელექტუალური
საკაპიტალიზაციო
საკვანძო
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY
CENTER OF GEORGIA
www.sakpenti.gov.ge



EUIPO
EUROPEAN UNION
INTELLECTUAL PROPERTY OFFICE



ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი
პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

ევროკავშირის მართლმსაჯულებისა და
საერთო იურისდიქციის სასამართლოების
გადაწყვეტილებების კრებული

სასაქონლო ნიშნებთან და დიზაინთან
დაკავშირებული სასამართლო საქმეები

ნაწილი I

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მას ახორციელებს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO)

სარჩევი

(ნაწილი I)

21/01/2010, C-398/08 P, „Vorsprung durch Technik“, EU:C:2010:29.....	3
25/06/2020, T-133/19, “OFF-WHITE” (გამოსახულებითი)	19
24/10/2019, T-601/17, კუბების საქმე (3D).....	35
27/02/2020, C-240/18 P, Fack Ju Göhte	48
30/03/2006, C-259/04, Elizabeth Emanuel.....	64
27/10/2016, T-29/16, CAFFÈ NERO	76
04/03/1999, C-87/97, Gorgonzola.....	88
07/06/2018, C-44/17, Scotch Whisky Association.....	99
20/12/2017, C-393/16, Champagner Sorbet.....	115
23/05/2019, T-3/18 & T-4/18, ANN TAYLOR / ANNTAYLOR et al.....	133
12/09/2019, C-104/18P, STYLO&KOTON (გამოსახულებითი)	167
13/11/2019, C-528/18 P, Outsource 2 India (გამოსახულებითი)	198
11/11/1997, C-251/95, Sabèl.....	214

21/01/2010, C-398/08 P, „Vorsprung durch Technik“, EU:C:2010:29

სასამართლოს გადაწყვეტილება (პირველი პალატა)

2010 წლის 21 იანვარი (*)

(სააპელაციო საჩივარი – კავშირის სასაქონლო ნიშანი – №40/94 რეგულაციის (EC) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და 63-ე მუხლი – სიტყვიერი ნიშანი „Vorsprung durch Technik“ – სარეკლამო სლოგანებისგან შემდგარი ნიშნები – განმასხვავებელუნარიანობა – სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციო განაცხადი საქონლისა და მომსახურების ფართო ჩამონათვალის მიმართ – შესაბამისი საზოგადოება – გლობალური შეფასება და დასაბუთება – ახალი დოკუმენტები)

საქმეზე C-398/08 P, 2008 წლის 12 სექტემბერს წარდგენილ იქნა სააპელაციო საჩივარი მართლ-მსაჯულების სასამართლოს წესდების 56-ე მუხლის თანახმად.

აპელანტი: „Audi“ AG, დაფუძნებული ინგოლშტადტში (გერმანია), წარმოდგენილი ს. ო. ჟილერტისა და ფ. შივეკის მიერ,

მოწინააღმდეგე მხარე: შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყება (სასაქონლო ნიშნები და დიზაინი) (OHIM) (პირველი ინსტანციის სასამართლოში - მოპასუხე), წარმოდგენილი გ. შნაიდერის მიერ,

სასამართლომ (პირველმა პალატამ), შემდეგი შემადგენლობით: პალატის პრეზიდენტი და პირველი პალატის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, ა. ტიგანო, მოსამართლეები: ე. ლევიტისი, ა. ბორგ ბარტეტი, მ. ალიზეკი (მომხსენებელი) და ჯ.-ჯ. კასელი, სასამართლოს მრჩეველი: ი. ბოთი, რეგისტრატორი/ადმინისტრატორი: ქ. მელესიკი, წერილობითი პროცესუალური ნორმებისა და 2009 წლის 24 სექტემბერს გამართული საქმის განხილვის შემდგომ, სასამართლოს მრჩეველის მოსმენის შემდეგ, გადაწყვიტა გამოიტანოს გადაწყვეტილება განსხვავებული აზრის გარეშე.

გადაწყვიტა შემდეგი:

1. თავისი სააპელაციო საჩივრით „Audi AG“ (შემდგომ: „Audi“) სასამართლოსაგან ითხოვს საქმეზე T-70/06 „Audi v OHIM (Vorsprung durch Technik)” 2008 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილების („გასაჩივრებული გადაწყვეტილება“) გაუქმებას, რომლითაც ევროპის გაერთიანებათა პირველი ინსტანციის სასამართლომ (ამჟამად - „საერთო სასამართლო“) არ დააკმაყოფილა „Audi“-ს სარჩელი შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყების (სასაქონლო ნიშნები და დიზაინები) (OHIM) მეორე სააპელაციო საბჭომ 2005 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების (საქმე R 237/2005-2) („სადავო გადაწყვეტილება“) ბათილად ცნობის თაობაზე. ამ უკანასკნელით ნაწილობრივ ძალაში დარჩა ექსპერტის გადაწყვეტილება სიტყვიერი ნიშნის „Vorsprung durch Technik“ რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ზოგიერთი საქონლისა და მომსახურების მიმართ.

სამართლებრივი კონტექსტი

2. „კავშირის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ 1993 წლის 20 დეკემბრის საბჭოს №40/94 რეგულაციის (EC) („რეგულაცია №40/94“) მე-7 მუხლი (OJ 1994 L 11, გვ. 1), რომელშიც საბჭოს 1994 წლის 22 დეკემბრის № 3288/94 რეგულაციით (EC), (OJ 1994 L 349, გვ. 83) შევიდა ცვლილება-დამატება, ადგენს შემდეგს:

„1. რეგისტრაციას არ ექვემდებარება შემდეგი ნიშნები: ...

(ბ) სასაქონლო ნიშნები, რომლებიც მოკლებულია რაიმე განმასხვავებელუნარიან ხასიათს;

(გ) სასაქონლო ნიშნები, რომლებიც შედგება მარტოოდენ ისეთი სიმბოლოების ან აღნიშვნებისგან, რომლებიც შესაძლოა, გამოიყენებოდეს ვაჭრობის სფეროში სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, დანიშნულების, ღირებულების, გეოგრაფიული წარმოშობის, საქონლის წარმოების ან მომსახურების გაწევის თარიღის, ან საქონლის ან მომსახურების სხვა მახასიათებლების აღსანიშნად;

(დ) სასაქონლო ნიშნები, რომლებიც შედგება მარტოოდენ ისეთი სიმბოლოების ან აღნიშვნებისგან, რომლებიც იქცა დამკვიდრებულ ტერმინებად მოცემულ ენასა ან ვაჭრობის სფეროში კეთილსინდისიერ და დამკვიდრებულ პრაქტიკაში; ...

2. პირველი პუნქტი გამოიყენება მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები არსებობს კავშირის მხოლოდ ერთ ნაწილში ...“

3. №40/94 რეგულაციის 63-ე მუხლი, სახელწოდებით „სასამართლოს წინაშე წარდგენილი სარჩელები“, ადგენს შემდეგს:

„1. სააპელაციო საჩივრების თაობაზე სააპელაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შესაძლებელია, გასაჩივრდეს სასამართლოში.

2. სარჩელი შეიძლება აღიმრას არაკომპეტენტურობის, არსებითი მნიშვნელობის პროცედურული მოთხოვნის, შეთანხმების, ამ რეგულაციის ან განაცხადთან დაკავშირებული კანონის რომელიმე ნორმის დარღვევის, ან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფუძვლით.

...“

საქმის ფაქტობრივი წინაპირობები

4. 2003 წლის 30 იანვარს „Audi“-მ მიმართა OHIM-ს №40/94 რეგულაციის თანახმად, სიტყვიერი ნიშნის - „Vorsprung durch Technik“ კავშირის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის მოთხოვნით. საქონელი და მომსახურება, რომლის მიმართაც მოთხოვნილ იქნა ნიშნის რეგისტრაცია, განეკუთვნება მე-9, მე-12, მე-14, მე-16, მე-18, 25-ე, 28-ე, 35-ე, 43-ე და 45-ე კლასებს და, ნიშნების რეგისტრაციის მიზნებისთვის, საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციასთან დაკავშირებული 1957 წლის 15 ივლისის ნიცის შეთანხმებისა და მისი გადასინჯვისა და ცვლილება-დამატების შეტანის შედეგად, თითოეული ამ კლასისათვის შეესაბამება შემდეგ აღწერას:

- კლასი 9: „სამეცნიერო, სანავიგაციო, გეოდეზიური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, ოპტიკური, აწონვის, საზომი, სიგნალიზაციის, შემოწმების (საზედამხედველო), სამაშველო და სასწავლო აპარატურა და ინსტრუმენტები; ელექტროენერჯის გატარების, გადართვის, გარდაქმნის, დაგროვების, რეგულირების ან კონტროლის აპარატურა და ხელსაწყოები; ხმის ან გამოსახულების ჩაწერის, გადაცემის ან რეპროდუცირების აპარატები; მაგნიტური მონაცემთა მატარებლები, ჩამწერი დისკები; ავტომატური ვაჭრობის მანქანები და მექანიზმები მონეტებზე მომუშავე აპარატებისთვის; სალარო აპარატები, გამომთვლელი მოწყობილობები, მონაცემთა დამუშავების მოწყობილობები და კომპიუტერები; ხანძარსაწინააღმდეგო აპარატები“;
- კლასი 12: „სატრანსპორტო საშუალებები; ხმელეთზე, ჰაერში ან წყალში გადაადგილების მოწყობილობები“;

- კლასი 14: „ძვირფასი ლითონები და მათი შენადნობები, ძვირფასი ლითონებისგან ნაწარმოები ან მათით დაფარული ნაწარმი, რომელიც არ შედის სხვა კლასებში; სამკაულები, ძვირფასი ქვები; დროის აღმრიცხველი და ქრონომეტრული ინსტრუმენტები“;
- კლასი 16: „ქაღალდი, მუყაო და ამ მასალისგან დამზადებული საქონელი, რომელიც არ შედის სხვა კლასებში; ნაბეჭდი მასალა; წიგნის ასაკინძი მასალა; ფოტოები; საკანცელარიო ნივთები; საკანცელარიო ან საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის განკუთვნილი წებოვანი ლენტები; სამხატვრო და სახატავი მასალა, სახატავი ფუნჯები; საბეჭდი მანქანები და საოფისე აქსესუარები (გარდა ავეჯისა); ინსტრუქტაჟისა და სასწავლო მასალა (გარდა აპარატებისა); პლასტმასის მასალები შესაფუთად (რაც არ შედის სხვა კლასებში); ტიპოგრაფიული შრიფტები; ტიპოგრაფიული კლიშეები“;
- კლასი 18: „ტყავი და ტყავის იმიტაცია და ამ მასალებისგან დამზადებული საქონელი, რომელიც არ შედის სხვა კლასებში; ცხოველის ტყავი; ჩემოდნები და სამგზავრო ჩანთები; საწვიმარი ქოლგები, მზისგან დამცავი ქოლგები და ხელჯოხები; მათრახები, ადკაზმულობა და უნაგირები“;
- კლასი 25: „ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავები“;
- კლასი 28: „თამაშები და სათამაშოები; ტანვარჯიშისა და სპორტული საქონელი, რომელიც არ შედის სხვაში კლასებში; საშობაო ნაძვის ხის დეკორაციები“;
- კლასი 35: „რეკლამა; ბიზნესის მართვა; ბიზნესის ადმინისტრირება; საოფისე მომსახურება“;
- კლასი 36: „დაზღვევა; ფინანსური საქმიანობა; ფულად-საკრედიტო საქმიანობა; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა“;
- კლასი 37: „სამშენებლო მომსახურება; სარემონტო მომსახურება; სამონტაჟო მომსახურება“;
- კლასი 38: „ტელეკომუნიკაციები“;
- კლასი 39: „ტრანსპორტირება; საქონლის შეფუთვა და დასაწყობება; მოგზაურობის ორგანიზება“;
- კლასი 40: „მასალების დამუშავება“;
- კლასი 41: „განათლება; ტრენინგების უზრუნველყოფა; გართობა; სპორტული და კულტურული ღონისძიებები“;
- კლასი 42: „სამეცნიერო და ტექნოლოგიური მომსახურება და მათთან დაკავშირებული კვლევები და ნაშრომები; სამრეწველო ანალიზისა და კვლევის მომსახურება; კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და განვითარება; იურიდიული მომსახურება“;
- კლასი 43: „საკვებისა და სასმლის მიწოდების მომსახურება; დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა“;
- კლასი 45: „ინდივიდების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სხვათა მიერ გაწეული პერსონალური და სოციალური მომსახურება; კერძო საკუთრებისა და ინდივიდუალური პირების დაცვის მომსახურება“.

5. უარის თქმის საფუძვლების თაობაზე თავის 2004 წლის 7 იანვრის შეტყობინებაში ექსპერტმა¹ მიიჩნია, რომ გამოთქმა „Vorsprung durch Technik“ (რაც, მათ შორის, ნიშნავს ტექნოლოგიურ წინსვლას ან უპირატესობას) მე-9, მე-12, მე-14, 25-ე, 28-ე, 37-40-ე და 42-ე კლასებში შემავალი, ტექნოლოგიასთან დაკავშირებული რიგი საქონლისა და მომსახურებისათვის წარმოადგენს მიზნობრივ გზავნილს, რომელიც შესაბამისი მომხმარებლის მიერ აღიქმება აღწერილობით რეკლამად. შესაბამისად, წარდგენილი ნიშანი, მოკლებულია განმასხვავებელუნარიანობას ამ საქონლისა და მომსახურების მიმართ. თუმცა, მე-12 კლასში შემავალ საქონელთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ ნიშნის რეგისტრაცია შესაძლოა დაშვებული ყოფილიყო იმ განმასხვავებელუნარიანი ხასიათის გათვალისწინებით, რომელიც ნიშანმა შეიძინა სატრანსპორტო საშუალებებთან და მათ კომპონენტებთან

¹ იგულისხმება კომპეტენტური პირი, რომელიც ამოწმებს და აფასებს სარეგისტრაციოდ წარდგენილ განაცხადს (თანდართული დოკუმენტაციით)

მიმართებით. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა მიუთითა კავშირის სიტყვიერ ნიშანზე: „Vorsprung durch Technik“, რომელიც მე-12 კლასში შემავალი ამ საქონლისათვის იყო რეგისტრირებული 2001 წლის 27 აპრილს ნომრით №621086.

6. 2004 წლის 24 თებერვლის წერილით „Audi“-მ გაასაჩივრა ექსპერტის მიერ შეტყობინებაში მოყვანილი საფუძვლები იმაზე მითითებით, რომ სხვა დანარჩენს შორის (inter alia), კავშირის სასაქონლო ნიშანი №621086 რეგისტრირებული იყო არა გამოყენების გზით შექმნილი განმასხვავებელუნარიანი ხასიათის, არამედ მისი თანდაყოლილი განმასხვავებელუნარიანი ხასიათის გათვალისწინებით. რეგისტრაციაზე უარის საფუძვლების შესახებ 2004 წლის 30 ივნისით დათარიღებულ მეორე შეტყობინებაში ექსპერტმა განმარტა, რომ ამ ნიშნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის ექსპერტიზის დროს, დაუდევრობის გამო „Audi“ არ იყო ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ ნიშანი დარეგისტრირდა მხოლოდ მისი შექმნილი განმასხვავებელუნარიანი ხასიათის გათვალისწინებით. თუმცა, ვინაიდან აღნიშნული განაცხადი დათარიღებულია 1997 წლით, „Audi“-ს ამიერიდან მოეთხოვებოდა ნიშნის მიერ შექმნილი განმასხვავებელუნარიანი ხასიათის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა ნიშნით დაცული ყველა, მათ შორის, მე-12 კლასში შემავალი საქონლისა და მომსახურების მიმართ.

7. 2005 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით ექსპერტმა ნაწილობრივ უარი განაცხადა ნიშნის სარეგისტრაციო განაცხადის დაკმაყოფილებაზე მე-9, მე-12, მე-14, 25-ე, 28-ე, 37- 40-ე და 42-ე კლასებში შემავალი ზოგიერთი საქონლისა და მომსახურების მიმართ იმავე საფუძვლებით, რომლებიც მითითებული იყო უარის თქმის საფუძვლების შესახებ 2004 წლის 7 იანვრის შეტყობინებაში. უარის თქმის შესახებ ახალ გადაწყვეტილებაში ექსპერტმა, ასევე, მიუთითა, რომ მე-12 კლასში შემავალ საქონელთან დაკავშირებით წარდგენილი არ ყოფილა არავითარი მტკიცებულება ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის შექმნის შესახებ.

8. სადავო გადაწყვეტილებით სააპელაციო საბჭოს მეორე კოლეგიამ დააკმაყოფილა „Audi“-ს სააპელაციო საჩივარი მე-12 კლასში შემავალ საქონელთან დაკავშირებით იმ საფუძვლით, რომ №621086 სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე ადრე მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენდა იმის მტკიცებულებას, რომ ნიშანს შექმნილი ჰქონდა განმასხვავებელუნარიანი ხასიათი მანქანებისა და სახმელეთო გადაადგილების მოწყობილობებისთვის. სხვა დანარჩენთან საქონელსა და მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელთა მიმართ ნიშნის რეგისტრაციაზე ექსპერტმა უარი განაცხადა, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

9. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო საბჭომ მიიჩნია, რომ ექსპერტის მიერ წარმოჩენილი განსხვავება ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ საქონელსა და მომსახურებას შორის, სათუო იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭომ განმარტა, რომ „თითქმის ყველა საქონელი და მომსახურება, ზოგიერთი თუნდაც მცირედით, დაკავშირებულია ტექნოლოგიასთან. ეს უკანასკნელი, ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტანსაცმლის სექტორში. ამგვარი საქონლის მწარმოებელს, რომელსაც გააჩნია მოწინავე ტექნოლოგია, აქვს დიდი უპირატესობა კონკურენტ ბიზნესებთან შედარებით. სლოგანი „Vorsprung durch Technik“ გადმოსცემს მიზნობრივ გზავნილს იმის შესახებ, რომ ტექნოლოგიური უპირატესობა იძლევა უკეთესი საქონლის წარმოებისა და უკეთესი მომსახურების გაწევის საშუალებას. სიტყვათა კომბინაცია, რომელიც მხოლოდ ბანალურ მიზნობრივ გზავნილს გადმოსცემს, პრინციპში, მოკლებულია განმასხვავებელუნარიანობას. იმის გათვალისწინებით, რომ მე-12 კლასში შემავალი საქონლის გარდა განმცხადებელს არ წარმოუდგენია არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ სლოგანი „Vorsprung durch Technik“ მომხმარებლის ცნობიერებაში დამკვიდრდა სასაქონლო ნიშნად, განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს იმ ნაწილში, რომელიც სხვა კლასებში შემავალ საქონელსა და მომსახურებას ეხება”.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება

10. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საერთო სასამართლომ არ დააკმაყოფილა “Audi”-ს მიერ 2006 წლის 28 თებერვალს სადავო გადაწყვეტილებაზე წარდგენილი სარჩელი. ამრიგად, საერთო სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა განმცხადებლის მიერ წარდგენილი ორი სარჩელი, რომლითაც იგი ცდილობდა დაემტკიცებინა №40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და დაცვის უფლებების დარღვევის ფაქტი.

11. პირველი სარჩელის პირველი ნაწილი, რომლითაც “Audi” ამტკიცებდა, რომ სადავო გადაწყვეტილება არ შეიცავდა დასაბუთებას სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშნის შესაბამის მომხმარებელსა და მომხმარებლის აღქმაზე, არ დაკმაყოფილდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების 30-33-ე პუნქტებით.

12. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მოშველიების შემდეგ, რომლის მიხედვითაც სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობა უნდა შეფასდეს, სხვა დანარჩენს შორის (inter alia), შესაბამისი მომხმარებლის მიერ ნიშნის აღქმის თვალსაზრისით იმ საქონელსა და მომსახურებასთან მიმართებაში, რომლისთვისაც მოთხოვნილია რეგისტრაცია, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 30-ე პუნქტში საერთო სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სადავო გადაწყვეტილება ფაქტობრივად არ შეიცავს “Audi”-ს სარეგისტრაციო განაცხადით გათვალისწინებული ყველა საქონლისა და მომსახურების „დიფერენცირებულ შეფასებას“, ის მაინც შეიცავს მომხმარებლის მიერ ამ ნიშნის აღქმის თაობაზე შესაბამის ანალიზს, განცხადებით მოთხოვნილ საქონელსა და მომსახურებასთან მიმართებით, როგორც ამას სასამართლო პრაქტიკა მოითხოვს.

13. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 31-ე პუნქტში საერთო სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითა: სადავო გადაწყვეტილებიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სააპელაციო საბჭომ არსებითად დაადგინა ფართო საზოგადოების ინტერესი განაცხადით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების ტექნოლოგიის მიმართ და გამოთქმას „Vorsprung durch Technik“ იგი მიზნობრივი საქებარი გზავნილის შემცველ სლოგანად აღიქვამს.

14. ამ კონტექსტში საერთო სასამართლომ, კერძოდ, გადაწყვეტილების 32-ე პუნქტში დაადგინა, რომ სასამართლო პრაქტიკით აუცილებელი არ არის განაცხადში მითითებულ ყველა კლასში შემავალი უკლებლივ ყველა საქონლისა და მომსახურების ამომწურავი ანალიზი, ვინაიდან ექსპერტმა ან სააპელაციო საბჭომ შესაძლოა კვლავ მიიჩნიოს, რომ ნიშნისადმი შესაბამის მომხმარებელს ექნება ერთი და იგივე აღქმა ყველა შესაბამის საქონელსა და მომსახურებასთან მიმართებით. საერთო სასამართლოს შეფასებით, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ სააპელაციო საბჭომ ჩაატარა შესაბამისი ანალიზი და დაასკვნა, რომ საზოგადოების აღქმა იყო ერთი და იგივე ყველა იმ კლასის საქონელსა და მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელსაც მოიცავდა ნიშანი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სააპელაციო საბჭომ გააკრიტიკა ექსპერტის მიერ კლასებს შორის დადგენილი განსხვავება, რომელიც მის მიერ შეფასდა, როგორც მცდარი.

15. დასასრულს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 33-ე პუნქტში საერთო სასამართლომ არ გაითვალისწინა “Audi”-ს არგუმენტი, რომ საქმის გარემოებების გათვალისწინებით შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენა, რომ მომხმარებელს გააჩნდა მხოლოდ ერთი თვალსაზრისი განაცხადით მოთხოვნილი საქონლისა და მომსახურების განსხვავებული ბუნების პირობებში, ვინაიდან საქონლისა და მომსახურების ტექნიკური დახვეწილობის დონე არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

საერთო სასამართლომ ამ კუთხით აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭო ცალსახად დაეთანხმა სადავო გადაწყვეტილებაში საქონლისა და მომსახურების მიხედვით არსებული ტექნიკური დახვეწილობის სხვადასხვა დონის არსებობას, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა მათგანი, „თუნდაც მხოლოდ მცირედით“, ტექნოლოგიასთან არის დაკავშირებული.

თუმცა, საერთო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო საბჭომ არსებითად მიიჩნია, რომ გერმანულენოვანი გამოთქმა „Vorsprung durch Technik“ ზოგადად აღიქმება, როგორც მიზნობრივი და საქებარი, მიუხედავად ტექნიკური დახვეწილობის სხვადასხვა დონისა.

16. პირველი საჩივრის მეორე ნაწილი მიუთითებს, რომ ნიშანი არ წარმოადგენს მიზნობრივად აღწერილობით გზავნილს, პირიქით, ის იწვევს ფიქრის პროცესს, არის წარმოსახვითი და ადვილად დასამახსოვრებელი. შესაბამისად, იძლევა ნიშნით მოცულ საქონელსა და მომსახურებასა და მათ კომერციულ წარმოშობას შორის კავშირის დამყარების საშუალებას. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 34-48 პუნქტებით, საჩივრის ეს ნაწილი არ დაკმაყოფილდა.

17. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 34-ე და 35-ე პუნქტებში საერთო სასამართლომ პირველად განაცხადა, რომ საქმის მასალებიდან, კერძოდ, OHIM-ის მიერ მის შესაგებელზე დართული დოკუმენტიდან (რომელშიც „Audi“ განმარტავს გამოთქმას „Vorsprung durch“ ინგლისურ ენაზე მოსაუბრე მომხმარებლის გადმოსახედიდან), ნათლად ჩანს, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშანი წარმოადგენს „Audi“-ს საქებარ ან სარეკლამო სლოგანს. საერთო სასამართლო მისივე დადგენილი პრაქტიკის გათვალისწინებითა და მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ საქმეზე C-517/99 Merz & Krell [2001] ECR I-6959 მე-40 პუნქტით დადგენილი უფლებამოსილების შესაბამისად, მივიდა იმ მოსაზრებამდე და გადაწყვეტილების 36-ე პუნქტში განმარტა, რომ არ შეიძლება ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმა მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ნიშანი საქებარია ან გამოყენება სარეკლამო მიზნებისთვის.

18. მაშინაც კი, როდესაც ისეთი ნიშანი, როგორიცაა სარეკლამო სლოგანი, ასრულებს სხვა ფუნქციებს, გარდა სასაქონლო ნიშნის, ტრადიციული გაგებით, ნიშანი განმასხვავებელუნარიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაუყოვნებლივ აღიქმება, როგორც განსახილველი საქონლის ან მომსახურების კომერციული წყაროს აღნიშვნა. დასასრულს, საერთო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 37-ე პუნქტში აღნიშნა, რომ საჭირო იყო იმის დადგენა, იყო თუ არა გამოვლენილი ხსენებული გარემოებები მის მიერ განსახილველ საქმეში, ან პირიქით, წარმოადგენს თუ არა ნიშანი ბანალურ მიზნობრივ გზავნილს, რომელიც შესაბამისი მომხმარებლის მიერ აღიქმება, როგორც შექებითად.

19. ამასთან დაკავშირებით საერთო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 41-ე და 42-ე პუნქტებში დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ნიშანს „Vorsprung durch Technik“ შესაძლოა, ჰქონდეს რამდენიმე მნიშვნელობა, წარმოადგენდეს სიტყვების თამაშს, ან აღქმული იყოს, როგორც წარმოსახვითი, გასაკვირი და მოულოდნელი, და ამ გზით იყოს ადვილად დასამახსოვრებელი, ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ნიშანი განმასხვავებელუნარიანია. საერთო სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული სხვადასხვა ელემენტი ნიშანს განმასხვავებელუნარიანად აქცევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შესაბამისი საზოგადოების მიერ მყისიერად აღიქმება, როგორც მითითება განცხადებული საქონლისა და მომსახურების კომერციულ წარმოშობაზე. განსახილველ საქმეში სააპელაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული შესაბამისი მომხმარებელი, ისევე, როგორც ამ ნიშნით დაცული საქონლითა და მომსახურებით დაინტერესებული საზოგადოების ყველა ტიპი, რეალურად ამ ნიშანს უპირველეს ყოვლისა, სარეკლამო ფორმულად აღიქვამს.

20. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 43-45-ე პუნქტებში საერთო სასამართლომ დაადგინა, რომ უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელობების იმ ფართო სპექტრის გამო, რომელიც ტერმინს „Technik“ გერმანულ ენაზე გააჩნია, მასზე მითითება ნიშნით დაცული ყველა საქონლისა და მომსახურებისათვის არ არის ის, რაც სარეგისტრაციოდ წარდგენილ ნიშანს განმასხვავებელუნარიან ხასიათს ანიჭებს. მეორეც, გერმანული სიტყვა „Vorsprung“ (რაც სხვა მნიშვნელობებს შორის ნიშნავს, ასევე „გაუმჯობესებას“ ან „უპირატესობას“), რომელიც დაკავშირებულია წინდებულთან „durch“ (რაც სხვა დანარჩენს შორის, გულისხმობს სიტყვას „მეშვეობით“) სასაქონლო ნიშნის განაცხადის მიზნებისთვის შესაბამისი, კერძოდ, გერმანულენოვანი მომხმარებლისთვის, თავისი ბუნებით უპირველეს ყოვლისა, საქებარს ნიშნავს. მესამე, მიუხედავად იმისა, რომ იმის შესაფასებლად, განმასხვავებელუნარიანია თუ არა შედგენილი ნიშანი, აუცილებელია იგი მთლიანობაში იქნეს განხილული, ასევე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნიშანი მიმართულია ფართო საზოგადოებისაკენ და რომ საწარმოთა უმრავლესობამ, რომელთაც სურთ საქონლისა და მომსახურების მიწოდება ამ ფართო საზოგადოებისთვის, შესაძლოა, ამ გამოთქმის საქებარი ხასიათის გათვალისწინებით თავად გამოიყენოს იგი, მიუხედავად იმისა, თუ როგორ უნდა ყოფილიყო ის განმარტებული.

21. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 46-ე პუნქტში საერთო სასამართლომ დაასკვნა, რომ ნიშანი „Vorsprung durch Technik“ არ შეიცავს იმ ელემენტებს, რომლებიც საშუალებას მისცემს შესაბამის საზოგადოებას, ადვილად და მყისიერად დაიმახსოვროს გამოთქმა, როგორც განმასხვავებელუნარიანი ნიშანი იმ საქონლისა და მომსახურებისთვის, რომელსაც იგი მოიცავს და მას აშკარა სარეკლამო მნიშვნელობა გააჩნია.

22. მეორე მოთხოვნაში „Audi“ ამტკიცებდა, რომ სააპელაციო საბჭომ არასწორად გამოიყენა №40/94 რეგულაციის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 73-ე მუხლის მეორე წინადადება და სხვა დანარჩენს შორის, დაარღვია „Audi“-ს დაცვის უფლებებიც იმით, რომ სადავო გადაწყვეტილების მიღებამდე არ აცნობა მას, რომ საბჭო აპირებდა სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციო განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას ამ განაცხადში მითითებული ყველა საქონლისა და მომსახურების მიმართ, გარდა მე-12 კლასში შემავალისა, მათ შორის საქონლისა და მომსახურებისთვისაც, რომელთან დაკავშირებითაც ექსპერტმა რეგისტრაცია დასაშვებად მიიჩნია. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 58-64-ე პუნქტებით აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ამასთან დაკავშირებით საერთო სასამართლომ დაადგინა, რომ „Audi“-ს მტკიცების საწინააღმდეგოდ, სადავო გადაწყვეტილება აუქმებს ექსპერტის 2005 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც ეხება მე-12 კლასში შემავალ საქონელს და შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს ექსპერტის გადაწყვეტილებისადმი რაიმე სხვა კრიტიკას.

ხარჯების ანაზღაურების თაობაზე მხარეთა მიერ მართლმსაჯულების სასამართლოში წარდგენილი მოთხოვნები

23. თავისი სააპელაციო საჩივრით „Audi“ მართლმსაჯულების სასამართლოსაგან ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას, სადავო გადაწყვეტილების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც ნაწილობრივ არ დაკმაყოფილდა ექსპერტის 2005 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებაზე „Audi“-ს მიერ წარდგენილი საჩივარი. „Audi“ სასამართლოსგან მოითხოვს ასევე, OHIM-ისათვის ხარჯების გადახდის დაკისრებას.

24. თავის მხრივ, OHIM ამტკიცებს, რომ სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს საჩივარი და აპელანტს უნდა დააკისროს ხარჯების გადახდა.

სააპელაციო საჩივარი

25. თავისი სააპელაციო საჩივრის გასამყარებლად “Audi-მ” წარადგინა ორი სარჩელი: (i) №40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევის თაობაზე და (ii) ამ რეგულაციის 63-ე მუხლისა და საერთო სასამართლოს პროცედურული წესების 48-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის საფუძველით.

პირველი სარჩელი: №40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევა.

26. პირველი სარჩელი იყოფა ორ ნაწილად. პირველ ნაწილში “Audi” აცხადებს, რომ საერთო სასამართლომ საკმარისად არ დაასაბუთა შესაბამის მომხმარებელთან დაკავშირებული მოთხოვნა, ხოლო საჩივრის მეორე ნაწილში, რომელიც მიზანშეწონილია პირველ რიგში იქნეს განხილული, “Audi” ამტკიცებს, რომ საერთო სასამართლომ გამოიყენა მეტისმეტად მკაცრი ტესტი სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის დასადგენად.

მხარეთა არგუმენტები პირველი სარჩელის მეორე ნაწილთან დაკავშირებით

27. პირველი სარჩელის მეორე ნაწილში “Audi” ამტკიცებს, რომ ისევე როგორც არასწორად დაადგინა იმის შეფასების წინაპირობები, ჰქონდა თუ არა სარეგისტრაციოდ წარდგენილ ნიშანს განმასხვავებელუნარიანი ხასიათი, საერთო სასამართლომ, ასევე, არასწორად განსაზღვრა უფრო მკაცრი მოთხოვნები, ვიდრე ეს ჩვეულებრივ დადგენილია და აღნიშნული მხოლოდ იმ მიზეზით განახორციელა, რომ ნიშანი შედგებოდა სარეკლამო სლოგანისაგან.

28. იმგვარი მოთხოვნის წაყენებით, რომ ნიშანი „დაუყოვნებლივ“ იქნეს აღქმული, როგორც იმ საქონლის ან მომსახურების კომერციული წარმომავლობის აღმნიშვნელად, რომელსაც იგი მოიცავს, საერთო სასამართლომ გამოიყენა ტესტი, რომელიც სცდება №40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელიც, ასევე, როგორც წესი, მიჩნეულია სავალდებულოდ საერთო სასამართლოს მიერ იმის შესაფასებლად, აქვს თუ არა სიტყვიერ ნიშანს განმასხვავებელუნარიანობა.

29. “Audi-ს” მტკიცებით, საერთო სასამართლო თავის გადაწყვეტილებას აშკარად იმ წინაპირობაზე დაყრდნობით აყალიბებს, რომ ნიშნის „Vorsprung durch Technik“ სარეკლამო სლოგანად გამოყენება ეწინააღმდეგება მის განმასხვავებელუნარიანობას და შესაბამისად, გარკვეულწილად უნდა დაკომპენსირდეს იმისათვის, რათა ეს ნიშანი „დაუყოვნებლივ“ აღიქმებოდეს, როგორც საქონლისა და მომსახურების კომერციული წარმომავლობის აღნიშვნა. ამდენად, საერთო სასამართლო ეთანხმება, რომ ნიშანს შესაძლოა გააჩნდეს რამდენიმე მნიშვნელობა, წარმოადგენდეს სიტყვების თამაშს ან აღიქმებოდეს, როგორც წარმოსახვითი, გასაკვირი ან მოულოდნელი და ამგვარად ადვილად დასამახსოვრებელი იყოს, თუმცა ამის მიუხედავად, სასამართლო უარს აცხადებს ნიშნის ამგვარი განმასხვავებელუნარიანი

ხასიათის აღიარებაზე იმ საფუძვლით, რომ შესაბამისი მომხმარებელი, უპირველეს ყოვლისა, ნიშანს აღიქვამს სარეკლამო ფორმულად და არა კომერციულ წარმოშობაზე მითითებად. ამ ასპექტის ანალიზით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 42-ე პუნქტში საერთო სასამართლო უბრალოდ სხვა სიტყვებით ამტკიცებს, რომ ნიშანი „Vorsprung durch Technik“ არის სარეკლამო სლოგანი, თუმცა არ განმარტავს, თუ სავარაუდოდ რა ფორმით არ აღიქმება ნიშანი, როგორც მითითება ამ საქონლისა და მომსახურების კომერციულ წარმოშობაზე.

30. „Audi“ ამტკიცებს, რომ ამგვარი მოქმედებით, სასამართლომ საერთოდ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სარეკლამო სლოგანები არ წარმოადგენს ნიშნის განსაკუთრებულ ტიპს, არამედ, მარტივ სიტყვიერ ნიშანს, რომლის მიმართაც გამოყენებულ უნდა იქნეს განმასხვავებელუნარიანობის შეფასების, დამკვიდრებული სამართლის პრაქტიკის ზოგადი პრინციპები. აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია, სხვა დანარჩენს შორის, მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ საქმეში C-64/02 P OHIM v Erpo Möbelwerk [2004] ECR I-10031, 36-ე პუნქტში. მარტოოდენ ის ფაქტი, რომ შესაძლოა, ნიშანი ჩაითვალოს სარეკლამო სლოგანად, ან რომ სიმბოლო საქებარი ბუნებისაა, თავისთავად არ გამორიცხავს იმას, რომ ასეთ ნიშანს ან სიმბოლოს ჰქონდეს საკმარისი განმასხვავებელუნარიანობა. არ არსებობს სამართლებრივი პრინციპი, რომლის მიხედვითაც დადებითი მნიშვნელობის მქონე სიმბოლოს აქვს მცირე განმასხვავებელუნარიანობა ან საერთოდ არ აქვს იგი.

31. OHIM ამტკიცებს, რომ საერთო სასამართლოს არ დაუწესებია უფრო მკაცრი მოთხოვნები, ვიდრე ეს ჩვეულებრივ დადგენილია ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე, განმასხვავებელუნარიანობის განსაზღვრისათვის არც ახალი სამართლებრივი ტესტი გამოუყენებია, არამედ სასამართლომ, სარეკლამო სლოგანებთან დაკავშირებით დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ჩამოაყალიბა ემპირიული პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ნიშნები, რომლებსაც გააჩნიათ სხვა ფუნქციები, გარდა საქონლის ან მომსახურების კომერციულ წარმომავლობაზე მითითებისა, მომხმარებლის მიერ უცილობლად არ აღიქმება ისე, როგორც ნიშნისაგან სრულიად დამოუკიდებელი სიტყვიერი სიმბოლო. ამგვარ შემთხვევებში შესაძლებელი და მეტიც, გარდაუვალიც კია ის, რომ წარმოშობაზე მითითების ფუნქცია მომხმარებლის ცნობიერებაში სხვა ფუნქციით გადაიფაროს. უფრო მეტიც, აღნიშნული მსჯელობა, თუმცა - სხვა სიტყვებით, დადასტურდა მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ, გაერთიანებულ საქმეზე C-473/01 P და C-474/01 P Procter & Gamble v OHIM [2004] ECR I-5173, 51-ე პუნქტში, რომელიც უკავშირდება სიმბოლოებს, რომლებიც აღრეულია საქონლისავე ასპექტში. ანალოგიურად, საერთო სასამართლომ, ზმნიზედა „დაუყოვნებლივ“ გამოყენებისას განიზრახა, გამოეხატა რისკი, რომ სარეკლამო სლოგანი შეიძლება აღიქმებოდეს მომხმარებლის მიერ მარტოოდენ მისი სარეკლამო დანიშნულებით.

სასამართლოს დასკვნები

32. №40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ პუნქტის თანახმად, რეგისტრაციას არ ექვემდებარება სასაქონლო ნიშნები, რომლებიც მოკლებულია განმასხვავებელუნარიანობას.

33. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით ნათლად ირკვევა, რომ ამ დებულების მიზნებისთვის სასაქონლო ნიშანს აქვს განმასხვავებელუნარიანობა, თუ იგი ახდენს საქონლის წარმოშობის იდენტიფიცირებასა და, შესაბამისად, განასხვავებს ამ საქონელს სხვა საწარმოების საქონლისაგან (Procter & Gamble v OHIM, 32-ე პუნქტი; OHIM v Erpo Möbelwerk, პუნქტი 42; საქმე C-144/06 P Henkel v OHIM [2007] ECR I-8109, 34-ე პუნქტი და საქმე C-304/06 P Eurohypo v OHIM [2008] ECR I-3297, 66-ე პუნქტი).

34. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, აღნიშნული განმასხვავებელუნარიანობა უნდა შეფასდეს, პირველი, იმ საქონელთან ან მომსახურებასთან მიმართებით, რომლისთვისაც წარდგენილ იქნა განაცხადი და მეორე, შესაბამისი მომხმარებლის მიერ ნიშნის აღქმის გათვალისწინებით (Procter & Gamble v OHIM, 33-ე პუნქტი; საქმე C-25/05 P Storck v OHIM [2006] ECR I-5719, 25-ე პუნქტი; Henkel v OHIM, 35-ე პუნქტი და Eurohypo v OHIM, 67-ე პუნქტი).

35. რაც შეეხება იმ ნიშნებს, რომელთა გამოყენება ხდება ასევე, სარეკლამო სლოგანებად, ხარისხის აღნიშვნებად ან საქონლის ან მომსახურების შეძენის წამახალისებლად, მათი რეგისტრაცია, როგორც ასეთი, არ არის გამორიცხული მათი ზემოხსენებული ფორმით გამოყენების გამო (იხ. Merz & Krell, მე-40 პუნქტი და OHIM v Erpo Möbelwerk, 41-ე პუნქტი).

36. ამგვარი ნიშნების განმასხვავებელუნარიანობის შეფასებასთან დაკავშირებით სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ შეუსაბამოა სლოგანებზე უფრო მკაცრი კრიტერიუმების გამოყენება, ვიდრე სხვა ტიპის სიმბოლოებისათვის არის დადგენილი (OHIM v Erpo Möbelwerk, 32-ე და 44-ე პუნქტები).

37. თუმცა, დადგენილი პრაქტიკიდან ირკვევა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა კატეგორიის ნიშნების მიმართ დადგენილი განმასხვავებელუნარიანობის შეფასების კრიტერიუმები ერთი და იგივეა, შესაძლოა, ამ კრიტერიუმების გამოყენების მიზნებისათვის შესაბამისი მომხმარებლის აღქმა სულაც არ იყოს აუცილებლად იგივე თითოეულ ამ კატეგორიასთან მიმართებით და, ამდენად, შესაძლებელია, გარკვეული კატეგორიის ნიშნების განმასხვავებელუნარიანობის დადგენა გართულდეს, სხვა კატეგორიის ნიშნებთან შედარებით (იხ. Procter & Gamble v OHIM, 36-ე პუნქტი; OHIM v Erpo Möbelwerk, 34-ე პუნქტი და Henkel v OHIM, 36-ე და 38-ე პუნქტები).

38. მიუხედავად ამისა, სასამართლოს არ გამოურიცხავს იმის შესაძლებლობა, რომ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა გარკვეულ გარემოებებში იყოს რელევანტური სარეკლამო სლოგანებისგან შემდგარ სიტყვიერ ნიშნებთან მიმართებით, თუმცა მანვე აღნიშნა, რომ სირთულეები განმასხვავებელუნარიანობის დადგენისას, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს სარეკლამო სლოგანებისგან შემდგარ სიტყვიერ ნიშანს, მათი ბუნების, კერძოდ, ანგარიშგასაწევი სირთულეების გამო, არ ამართლებს იმ კონკრეტული კრიტერიუმების შეფარდებას,

რომლებიც ზრდის ან ამცირებს წინამდებარე გადაწყვეტილების 33-34-ე პუნქტებში მითითებული დადგენილი სასამართლო პრაქტიკით (იხ. OHIM v Erpo Möbelwerk, პუნქტები 35 და 36) განსაზღვრულ განმასხვავებელუნარიანობის კრიტერიუმს.

39. სასამართლომ დაადგინა, იმისათვის, რომ სარეკლამო სლოგანს ჰქონდეს №40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით მოთხოვნილი მინიმალური განმასხვავებელუნარიანობა, მას არ შეიძლება მოეთხოვოს, გამოხატოს „წარმოსახვითობა“ ან თუნდაც „კონცეპტუალური დამაბულობა, რომელიც გამოიწვევს გაკვირვებას და შესაბამისად, მოახდენს გასაოცარ შთაბეჭდილებას“, (OHIM v Erpo Möbelwerk, 31-ე და 32-ე პუნქტები; იხილეთ აგრეთვე საქმე C-392/02 P SAT.1 v OHIM [2004] ECR I-8317, 41-ე პუნქტი).

40. მოცემულ საქმეში საერთო სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა გამომდინარეობს წინამდებარე გადაწყვეტილების 36-39-ე პუნქტებში ჩამოყალიბებული პრინციპების მცდარი ინტერპრეტაციიდან.

41. მიუხედავად იმისა, საერთო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 36-ე პუნქტში განაცხადა, რომ ნიშნის რეგისტრაცია არ შეიძლება გამოირიცხოს ამ ნიშნის საქეზარი ან სარეკლამო გამოყენების გამო, მანვე განმარტა: იმ დასკვნის საფუძველს, რომ ნიშანს არ გააჩნია განმასხვავებელუნარიანობა, არსებითად აღნიშნული ნიშნის სარეკლამო ფორმულად აღქმის ფაქტი წარმოადგენდა. ამდენად, სასამართლოს დასკვნა დამყარებულია სწორედ ნიშნის საქეზარ ან სარეკლამო გამოყენებაზე.

42. ამგვარად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 41-ე და 42-ე პუნქტებში საერთო სასამართლომ დაადგინა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ნიშანს: „Vorsprung durch Technik“ შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე მნიშვნელობა, წარმოადგენდეს სიტყვათა თამაშს, ან აღიქმებოდეს, როგორც წარმოსახვითი, გასაკვირი და მოულოდნელი და ამის მეშვეობით იყოს ადვილად დასამახსოვრებელი, ეს მაინც არ აქცევს მას განმასხვავებელუნარიანად. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული სხვადასხვა ელემენტი ნიშანს განმასხვავებელუნარიანს ხდის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი მომხმარებლის მიერ იგი დაუყოვნებლივ (მყისიერად, იმთავითვე) აღიქმება ამ ნიშნით დაცული საქონლისა და მომსახურების კომერციულ წარმოშობაზე მითითებად. საერთო სასამართლომ დაადგინა, რომ მის განხილულ საქმეში შესაბამისი საზოგადოება (მომხმარებელი) აღიქვამს ნიშანს, უპირველეს ყოვლისა, როგორც სარეკლამო ფორმულას.

43. საერთო სასამართლომ აღნიშნული დასკვნა დააფუძნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების 43-45-ე პუნქტების ანალიზზე. მან მიიჩნია, რომ პირველ რიგში, იქდან გამომდინარე, რომ „Technik“ ცნებას მრავალი მნიშვნელობა აქვს, ამ ცნებაზე მითითება ყველა იმ საქონლისა და მომსახურებისთვის, სარეგისტრაციოდ წარდგენილ ნიშანს არ ანიჭებს განმასხვავებელუნარიანობას. მეორე, სიტყვა „Vorsprung“ (რაც სხვა დანარჩენს შორის გულისხმობს ასევე, სიტყვებს: „დაწინაურება“ ან „უპირატესობა“), რომელიც დაკავშირებულია წინდებულთან „durch“ (რაც სხვა დანარჩენ მნიშვნელობებს შორის, გულისხმობს ტერმინს: „მეშვეობით“), სარეგისტრაციოდ წარდგენილ ნიშანთან მიმართებით რელევანტური, კერძოდ, გერმანულენოვანი საზოგადოებისთვის, უპირველეს ყოვლისა, საქეზარი ხასიათისაა. მესამე, მიუხედავად იმისა, რომ შედგენილი ნიშნის

განმასხვავებელუნარიანობის შეფასების მიზნით აუცილებელია ამ ნიშნის მთლიანობაში განხილვა, ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ნიშანი მიმართულია ფართო საზოგადოებისადმი, ასევე, საწარმოთა უმრავლესობას სურს, მიაწოდოს საქონელი და მომსახურება ამ ფართო საზოგადოებას და ამ გამოთქმის საქებარი ხასიათის გათვალისწინებით, შესაძლოა, სურს, თავად გამოიყენოს იგი, მიუხედავად იმისა, თუ როგორ განიმარტება ის.

44. მართალია, როგორც წინამდებარე გადაწყვეტილების 33-ე პუნქტში აღინიშნა, ნიშანს განმასხვავებელუნარიანობა გააჩნია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ემსახურება სარეგისტრაციოდ წარდგენილი საქონლის ან მომსახურების კონკრეტული საწარმოდან წარმოშობის იდენტიფიცირების მიზანს, თუმცა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ნიშანი შესაბამისი მომხმარებლის მიერ სარეკლამო ფორმულად აღიქმება და რომ მისი საქებარი ხასიათის გამო, ის შეიძლება გამოიყენებოდეს სხვა საწარმოების მიერ, თავისთავად საკმარისი არ არის იმ დასკვნის გასამყარებლად, რომ ნიშანი არაგანმასხვავებელუნარიანია.

45. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვიერი ნიშნის საქებარი მნიშვნელობა არ ნიშნავს იმას, რომ ის არ შეიძლება უზრუნველყოფდეს მომხმარებლებისთვის სარეგისტრაციოდ წარდგენილი საქონლის ან მომსახურების წარმოშობის წყაროს იდენტიფიცირებას. ამრიგად, ასეთი ნიშანი შეიძლება აღიქმებოდეს შესაბამისი საზოგადოების მიერ, როგორც სარეკლამო ფორმულა და როგორც საქონლის ან მომსახურების კომერციულ წყაროზე მითითება ერთდროულად. აქედან გამომდინარე რამდენადაც საზოგადოება ნიშანს აღიქვამს, როგორც წარმოშობაზე მითითებას, ის ფაქტი, რომ ნიშანი ამავდროულად გაგებულია, როგორც სარეკლამო ფორმულა, არავითარ გავლენას არ ახდენს ნიშნის განმასხვავებელუნარიანობაზე.

46. თუმცა, წინამდებარე გადაწყვეტილების 42-ე და 43-ე პუნქტებში ჩამოყალიბებული მსჯელობით, საერთო სასამართლოს არ დაუსაბუთებია თავისი დასკვნა იმის თაობაზე, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშანი არ აღიქმება შესაბამისი საზოგადოების მიერ, როგორც განსახილველი საქონლისა და მომსახურების კომერციულ წარმოშობაზე მითითება. ნაცვლად ამისა, სასამართლომ არსებითად მხოლოდ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ნიშანი შეიცავს და აღიქმება სარეკლამო ფორმულად.

47. რაც შეეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილების 41-ე პუნქტში საერთო სასამართლოს მიერ გამოტანილ დასკვნას იმის თაობაზე, რომ ნიშანს „Vorsprung durch Technik“ შეიძლება გააჩნდეს რამდენიმე მნიშვნელობა, ან წარმოადგენდეს სიტყვათა თამაშს ან აღქმული იყოს, როგორც წარმოსახვითი, გასაკვირი და მოულოდნელი და ამ გზით იყოს ადვილად დასამახსოვრებელი, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მახასიათებლების არსებობა არ არის აუცილებელი პირობა სარეკლამო სლოგანის განმასხვავებელუნარიანობის დასადგენად, წინამდებარე გადაწყვეტილების 39-ე პუნქტით ირკვევა, რომ როგორც წესი, ამ მახასიათებლების არსებობა ნიშანს განმასხვავებელუნარიანობას სძენს.

48. რაც შეეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილების 46-ე პუნქტში საერთო სასამართლოს მიერ გამოტანილ დასკვნას, რომ „ნიშანი Vorsprung durch Technik“ თავისთავად არ შეიცავს ელემენტებს, რომლებიც ნიშნის აშკარა სარეკლამო გზავნილს მიღმა შესაძლებელს გახდიდა,

საზოგადოების მეხსიერებამდე მარტივად და მყისიერად მიეღწია აღნიშნულ გამოთქმას, როგორც სარეგისტრაციოდ წარდგენილი საქონლისა და მომსახურებისთვის განმასხვავებელუნარიან ნიშანს, ეს დასკვნა არა თუ ვერ დადასტურდა მის წინამძღვრად მოყვანილი მსჯელობით, არამედ, უფრო მეტიც, იგი გარკვეულწილად ეწინააღმდეგება კიდევ ამავე გადაწყვეტილების 41-ე პუნქტში ასახულ დასკვნას, როგორც ეს წინამდებარე გადაწყვეტილების 47-ე პუნქტშია აღნიშნული.

49. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, “Audi” მართებულად ამტკიცებს, რომ საერთო სასამართლოს მიერ №40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამოტანილი დასკვნა ძალას კარგავს კანონის ხარვეზის გამო. პირველი სარჩელის მეორე ნაწილი, რომელიც “Audi“-მ თავისი სააპელაციო საჩივრის დასადასტურებლად წარადგინა, უნდა დაკმაყოფილდეს და შესაბამისად, პირველი სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს მისი პირველი ნაწილის განხილვის საჭიროების გარეშე.

50. უფრო მეტიც, ვინაიდან მეორე სარჩელი ეხება ამ შეფასების კონტექსტში გამოტანილი დასკვნის სავარაუდო უკანონობას, აღნიშნული სარჩელის განხილვის საჭიროება აღარ არსებობს.

51. მოცემულ გარემოებებში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ ნაწილში, რომლითაც საერთო სასამართლომ მცდარი შეფასების საფუძველზე დაადგინა, რომ სადავო გადაწყვეტილების გამოტანისას მეორე სააპელაციო საბჭოს მხრიდან №40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

საერთო სასამართლოს წინაშე წარდგენილი საჩივარი

52. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წესდების 61-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადების თანახმად, მაშინ, როდესაც მართლმსაჯულების სასამართლო აუქმებს საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებას, მასვე შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანოს ამ საკითხზე, როდესაც პროცესუალურად ეს ნებადართულია. სწორედ ასეთი შემთხვევაა მოცემულ საქმეში.

53. როგორც სააპელაციო საბჭომ სადავო გადაწყვეტილებაში აღნიშნა, გამოთქმა „Vorsprung durch Technik“ ფართოდ ცნობილი სლოგანია, რომელსაც “Audi” წლების განმავლობაში იყენებს თავისი ავტომობილების გაყიდვების ხელშეწყობისთვის. იგი დარეგისტრირდა 2001 წელს, როგორც კავშირის სასაქონლო ნიშანი მე-12 კლასში შემავალი საქონლისათვის, იმ მტკიცებულების საფუძველზე, რომ ეს სლოგანი ფართოდ იყო ცნობილი გერმანულენოვან რეგიონებში.

54. რაც შეეხება განსახილველ საქონელსა და მომსახურებას, გარდა მე-12 კლასში შემავალი საქონლისა, სააპელაციო საბჭომ რეგისტრაციაზე უარი იმაზე დააფუძნა, რომ სლოგანი „Vorsprung durch Technik“ გადმოსცემს მიზნობრივ გზავნილს იმის შესახებ, რომ ტექნოლოგიური უპირატესობა იძლევა უკეთესი საქონლის წარმოებისა და უკეთესი მომსახურების მიწოდების საშუალებას. სააპელაციო საბჭოს შეფასებით, სიტყვათა ერთობლიობა, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული ბანალური, მიზნობრივი

გზავნილით, მოკლებულია რაიმე განმასხვავებელუნარიანობას, შესაბამისად, იგი არ შეიძლება დარეგისტრირდეს მანამ, სანამ იგი მომხმარებლის მიერ სასაქონლო ნიშნად არ აღიქმება.

55. ზემოაღნიშნული ანალიზით ირკვევა, რომ №40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი არასწორად იქნა გამოყენებული.

56. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ნიშანი, რომელიც შედგება სიმბოლოების ან აღნიშვნებისგან, რომლებიც ასევე გამოიყენება, როგორც სარეკლამო სლოგანები, ხარისხის აღნიშვნები ან საქონლის ან მომსახურების შექმნის წამახალისებელი, თავისი განსაზღვრებით გადმოსცემს მეტ-ნაკლებად მიზნობრივ გზავნილს, თუმცა, წინამდებარე გადაწყვეტილების 35-ე და 36-ე პუნქტებში მითითებული დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით აშკარაა, რომ ეს ნიშნები მხოლოდ და მხოლოდ ხსენებული ფაქტის გამო მოკლებული არ არის განმასხვავებელუნარიანობას.

57. იმის გათვალისწინებით, რომ №40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის ეს ნიშნები არ არის აღწერილობითი, მათ შეუძლიათ გადმოსცენ თუნდაც მარტივი მიზნობრივი გზავნილი და მაინც შესწევთ უნარი, მიუთითონ მომხმარებელს განსახილველი საქონლის ან მომსახურების კომერციულ წარმომავლობაზე. კერძოდ, აღნიშნული შეიძლება ეხებოდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც ამგვარი ნიშნები არ წარმოადგენს მხოლოდ ჩვეულებრივ სარეკლამო გზავნილს, არამედ, გააჩნია გარკვეული ორიგინალურობა ან იწვევს რეზონანსს, რომელიც მოითხოვს, სულ მცირე, გარკვეულ ინტერპრეტაციას შესაბამისი მომხმარებლის მხრიდან, ან აყალიბებს კოგნიტურ პროცესს იმავე საზოგადოების ცნობიერებაში.

58. იმ დაშვებითაც, რომ სლოგანი „Vorsprung durch Technik“ გადმოსცემს მიზნობრივ გზავნილს იმის შესახებ, რომ ტექნოლოგიური უპირატესობა იძლევა უკეთესი საქონლის წარმოებისა და უკეთესი მომსახურების გაწევის საშუალებას, ეს ფაქტი ვერ გაამყარებს დასკვნას, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი სრულიად მოკლებულია განმასხვავებელუნარიანობას. რამდენად მარტივი არ უნდა იყოს ასეთი გზავნილი, ის მაინც არ შეიძლება იყოს კლასიფიცირებული, როგორც ჩვეულებრივი, რათა თავიდანვე და ყოველგვარი შემდგომი ანალიზის გარეშე გამოირიცხოს შესაძლებლობა იმისა, რომ ასეთ ნიშანს შესწევს უნარი, მიუთითოს მომხმარებელს განსახილველი საქონლის ან მომსახურების კომერციულ წარმომავლობაზე.

59. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ ეს გზავნილი უცილობლად არ გამომდინარეობს განსახილველი სლოგანიდან. როგორც „Audi“-მ აღნიშნა, სიტყვათა კომბინაცია „Vorsprung durch Technik“ (რაც სხვა დანარჩენს შორის, გულისხმობს წინსვლას ან უპირატესობას ტექნოლოგიის მეშვეობით) ერთი შეხედვით, მხოლოდ მიზეზობრივ კავშირზე მიუთითებს და შესაბამისად, მოითხოვს საზოგადოების მხრიდან ინტერპრეტაციის საშუალებას. გარდა ამისა, მოცემული სლოგანი ავლენს, ასევე, გარკვეულ ორიგინალურობას, რაც ადვილად დასამახსოვრებელს ხდის მას. და ბოლოს, რამდენადაც აღნიშნული წარმოადგენს ფართოდ ცნობილ სლოგანს, რომელსაც „Audi“ მრავალი წლის განმავლობაში იყენებს, შესაბამისი საზოგადოების წევრებს ჩვევად აქვთ ამ სლოგანისა და ამ კომპანიის მიერ წარმოებული

სატრანსპორტო საშუალებების ერთმანეთთან დაკავშირება, რაც ამ საზოგადოებისთვის ამარტივებს ნიშნით გათვალისწინებული საქონლისა ან მომსახურების კომერციული წარმოშობის იდენტიფიცირებასაც.

60. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სადავო გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ ნაწილში, რომლითაც №40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს მეორე კოლეგიამ ნაწილობრივ უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო სასაქონლო ნიშნის „Vorsprung durch Technik“ რეგისტრაციაზე.

ხარჯები

61. საერთო სასამართლოს პროცედურული წესების 122-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაბუთებულია და სასამართლოს თავად გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება საქმეზე, იგი გადაწყვეტილებას იღებს ასევე, ხარჯებთან დაკავშირებითაც.

62. აღნიშნული პროცედურული წესების 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რომელიც სააპელაციო განხილვაზე 118-ე მუხლის საფუძველზე ვრცელდება, დავის დამარცხებულ მხარეს უნდა დაეკისროს ხარჯების გადახდა, თუ ისინი გაწეული იყო გამარჯვებული მხარის მიერ მის სარჩელზე. ვინაიდან „Audi-მ“ მოითხოვა ხარჯების დაკისრება OHIM-ისათვის და OHIM-მა დავა წააგო, ამ უკანასკნელს უნდა დაეკისროს პირველ და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმისწარმოებაზე გაწეული ხარჯების გადახდა.

ამ საფუძველებზე დაყრდნობით, სასამართლო (პირველი პალატა):

1. აუქმებს 2008 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებას საქმეზე T-70/06 „Audi v OHIM (Vorsprung durch Technik)“ იმ ნაწილში, რომლითაც ევროპული კავშირის პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყების მეორე სააპელაციო საბჭოს (სასაქონლო ნიშნები და დიზაინი) (OHIM) არ დაურღვევია 1993 წლის 20 დეკემბრის „კავშირის სასაქონლო ნიშნების“ (EC) №40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც შესწორებულ იქნა საბჭოს 1994 წლის 22 დეკემბრის №3288/94 რეგულაციით (EC), 2005 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების მიღებისას (საქმე R237/2005-2);
2. აუქმებს შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყების (სასაქონლო ნიშნები და დიზაინები) (OHIM) მეორე სააპელაციო საბჭოს 2005 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებას (საქმე R 237/2005-2) იმ ნაწილში, რომლითაც ნიშნის „Vorsprung durch Technik“ სარეგისტრაციო განაცხადი ნაწილობრივ არ დაკმაყოფილდა 40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (შესწორებულ იქნა №3288/94 რეგულაციით).

3. აკისრებს შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყებას (სასაქონლო ნიშნები და დიზაინები) (OHIM) პირველ და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმისწარმოებაზე გაწეული ხარჯების გადახდას.

[ხელმოწერები]

25/06/2020, T-133/19, “OFF-WHITE” (გამოსახულებითი)

საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება (მეცხრე პალატა)

2020 წლის 25 ივნისი (*)

(ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი – განაცხადი ევროკავშირის გამოსახულებითი ნიშნის: „OFF-WHITE“ – სარეგისტრაციო განაცხადის დაკმაყოფილებაზე ნაწილობრივ უარის თქმა – უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები – აღწერილობითი ხასიათი – არაგანმასხვავ-ბელუნარიანობა – ფერის დასახელება – №2017/1001 რეგულაციის (EU) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

საქმეზე T-133/19,

განმცხადებელი: შპს „Off-White“, დაარსებული სპრინგფილდში, ილინოისი (შეერთებული შტატები), წარმოდგენილი ადვოკატ მ. დექერის მიერ,

მოპასუხე: ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO), წარმოდგენილი ა. ქროუქერის, ჯ. კრესპო კარილოსა და ჰ. ო'ნილის მიერ,

საჩივარი შეტანილ იქნა EUIPO-ს მეორე სააპელაციო საბჭოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე (საქმე R-580/2018-2), რომელიც მიღებულია გამოსახულებითი ნიშნის „OFF-WHITE“ ევროკავშირის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის განაცხადთან დაკავშირებით.

საერთო სასამართლოს (მეცხრე პალატა), შემდეგი შემადგენლობით:

მოსამართლეები: თავმჯდომარე, მ.ჯ. კოსტირა, დ. გრაციასი, (მომხსენებელი) და ბ. ბერკე,

რეგისტრატორი: რ. იუქელითი, ადმინისტრატორი

2019 წლის 28 თებერვალს სასამართლოს რეესტრში შეტანილი განცხადების; 2019 წლის 15 მაისს სასამართლოს რეესტრში შეტანილი შესაგებლის; საერთო სასამართლოს პალატების შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილების, 2019 წლის 21 ნოემბრის პროცედურული წესების გათვალისწინებითა და 2020 წლის 23 იანვრის სხდომის შემდეგ,

გამოაქვს შემდეგი გადაწყვეტილება:

დავის ფაქტობრივი წინაპირობები

1. 2017 წლის 17 ოქტომბერს განმცხადებელმა შპს „OFF-WHITE“ ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში (EUIPO) წარადგინა განაცხადი ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნით, ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის შესახებ

ევროკავშირის პარლამენტის და ევროსაბჭოს 2017 წლის 14 ივნისის №2017/1001 რეგულაციის (OJ 2017 L 154, გვ. 1) თანახმად.

2. სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია მოთხოვნილ იქნა შემდეგ გამოსახულებით ნიშანზე:



3. საქონელი, რომლის მიმართაც რეგისტრაცია იქნა მოთხოვნილი, შედის საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციასთან დაკავშირებით ნიცის 1957 წლის 15 ივნისის შეთანხმებით გათვალისწინებულ, მე-3, მე-9, მე-14 და მე-20 კლასებში, რაც გადასინჯვისა და ცვლილება-დამატების შეტანის შედეგად, თითოეული ამ კლასისათვის შეესაბამება შემდეგ აღწერას:

- კლასი 3: „საპნები პირადი მოხმარებისთვის; პარფიუმერია; ოდეკოლონები; ტუალეტის წყალი; პარფიუმები; სუნამოები პირადი მოხმარებისთვის; კანის მოვლის ლოსიონები [კოსმეტიკური]; ანტიპერსპირანტები; დეოდორანტები პირადი მოხმარებისთვის; კოსმეტიკა; გაპარსვის შემდგომი ლოსიონები; გაპარსვის შემდგომი ბალზამები; სხეულის დასაბანი საშუალებები; არასამკურნალო აბაზანის პრეპარატები; კანის მოვლის არასამკურნალო საშუალებები; ოთახის სუნამოები; არომატიზირებული მინარევები; არომათერაპიის ზეთები; სურნელოვანი მძივები სახლში გამოსაყენებლად; თეთრეულის სურნელოვანი სპრეი; სურნელოვანი ნივთიერებები“;
- კლასი 9: „სათვალეები; მზის სათვალეები; სათვალეების ყუთები (ქეისები); სათვალეების ჩასადებები; ლეპტოპების ჩასადებად განკუთვნილი ჩანთები; ლეპტოპების ჩანთები; ლეპტოპის სატარებელი ქეისები; მობილური ტელეფონის ჩასადებები; მობილური ტელეფონის შალითები; დამცავი ჩაფხუტები; სათვალის ჩარჩოები; პლანშეტების, PDA-ების (პერსონალური ციფრული ასისტენტების) და MP3 ფლეერების ჩასადებები და შალითები; ხელის გარეშე გამოსაყენებელი კომპლექტები, თასმები, მაჯის თასმები და კისრის თასმები მობილური ტელეფონებისთვის, სმარტფონებისთვის, ვიდეოფონებისთვის, პლანშეტებისთვის, PDA-ებისთვის (პერსონალური ციფრული ასისტენტებისათვის) და MP3 ფლეერებისთვის“;
- კლასი 14: „სამკაულები; ლაპელის ქინძისთავები [ძვირფასეულობა]; მანჟეტები; საათები; კედლის საათები; ძვირფასეულობა, ძვირფასი ლითონებისა და მათი შენადნობებისაგან დამზადებული ბიჟუტერია, კერძოდ, ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, ბროშები, გულსაბნევეები, კულონები, ჯაჭვები და საათებისათვის განკუთვნილი ჯაჭვები, ყელსაბამები, მედლები, მედალიონები; ძვირფასი ქვები, ნახევრადძვირფასი ქვები; დროის აღმრიცხველი და ქრონომეტრული ინსტრუმენტები, საათის სამაჯურები, საათის ჩასადებები; ძვირფასი ლითონებისა და მათი შენადნობებისგან დამზადებული ან მათით დაფარული ბრელოკები; საპრეზენტაციო ყუთები საათებისათვის; ძვირფასეულობის ჩასადებები“;
- კლასი 20: „ბალიშები; მუთაქები; საწოლები; ლეიბები; ავეჯი“.

4. 2018 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ექსპერტმა №2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ პუნქტებისა და მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის

ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ნაწილობრივ უარი თქვა განაცხადის დაკმაყოფილებაზე იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა მე-9, მე-14 და მე-20 კლასებში შემავალ საქონელს.

5. 2018 წლის 28 მარტს განმცხადებელმა ექსპერტის გადაწყვეტილებაზე EUIPO-ში წარადგინა საჩივარი, 2017/1001 რეგულაციის 66-71-ე მუხლების შესაბამისად.

6. 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით („სადავო გადაწყვეტილება“) EUIPO-ს მეორე სააპელაციო საბჭომ არ დააკმაყოფილა საჩივარი მე-9 და მე-20 კლასების საქონლის სრულ განცხადებულ ჩამონათვალთან მიმართებით და ასევე, მე-14 კლასში შემავალ საქონლის ჩამონათვალის შემდეგი ნაწილისთვის: „საათები, კედლის საათები; დროის აღმრიცხველი და ქრონომეტრული ინსტრუმენტები; მაჯის საათის სამაჯურები; საათის ჩასადებები; საათებისთვის განკუთვნილი საპრეზენტაციო ყუთები; ჩასადებები საიუველირო ნაწარმისთვის, „ძვირფასი ქვები, ნახევრად ძვირფასი ქვები“ („განსახილველი საქონელი“) (იხ. სადავო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი) იმ საფუძველით, რომ აღნიშნული ნიშანი იყო საქონლისათვის აღწერილობითი და არ გააჩნდა საკმარისი განმასხვავებელუნარიანობა.

7. მას შემდეგ, რაც სააპელაციო საბჭომ შესაბამისი საზოგადოების ცნებაში მოიაზრა როგორც ფართო საზოგადოება, ისე - პროფესიონალები, მან, უპირველეს ყოვლისა, განმარტა, რომ ტერმინი „off-white“ (თარგმანში ნიშნავს „მონაცრისფრო თეთრს“) აღნიშნავდა თეთრ ფერს ნაცრისფერი ან მოყვითალო ელფერით. ამის შემდეგ, იმის თაობაზე, არსებობდა თუ არა შესაბამისი საზოგადოებისთვის საკმარისად პირდაპირი და კონკრეტული კავშირი ამ სიტყვიერ ელემენტსა და განსახილველ საქონელს შორის, სააპელაციო საბჭომ არსებითად დაადგინა, რომ ტერმინი „მონაცრისფრო თეთრი“ აღნიშნავს ფერს, რომელიც შესაძლებელია, საფუძვლიანად აღიქმებოდეს, როგორც დამახასიათებელი, რომელიც მნიშვნელოვანი და აშკარად რელევანტური იყო განსახილველი საქონლისთვის. სააპელაციო საბჭომ დაასკვნა, რომ მოცემული ტერმინი გამოხატავდა ამ საქონლის ვიზუალურ ასპექტს და რომ იგი უცილობლად აღიქმებოდა, როგორც აღწერილობითი მითითება საქონლის ფერზე. გარდა ამისა, სააპელაციო საბჭომ დაადგინა, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშნის გამოსახულებითი ელემენტები, რომლებიც შედგებოდა ეტიკეტის მარტივი, შავი, ექვსკუთხა ფორმისგან, რომელზეც ტერმინი „off-white“ გამოსახულია თხელი, თეთრი, დახრილი სიმბოლოებით, იყო უკიდურესად მარტივი და წმინდა დეკორატიული ხასიათის მატარებელი და მას არ შეეძლო საზოგადოების ყურადღების გადატანა სიტყვიერი ელემენტის მიერ გადმოცემული აღწერილობითი გზავნილიდან.

8. საბოლოოდ, სააპელაციო საბჭომ დაადგინა, რომ აღწერილობითი ხასიათის გამო, ნიშანი, რომლის რეგისტრაციაც მოითხოვებოდა, 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, ასევე მოკლებული იყო რაიმე განმასხვავებელუნარიანობას განსახილველ საქონელთან მიმართებით. სააპელაციო საბჭომ ამასთან ერთად დასძინა, რომ ამ ნიშნის აღწერილობით ხასიათთან დაკავშირებით მოცემული დასაბუთების გათვალისწინებით, ნიშანს არ შეეძლო შეესრულებინა მისი ძირითადი ფუნქცია, კერძოდ, საქონლის წარმოშობის იდენტიფიცირების ფუნქცია.

9. მეორე მხრივ, სააპელაციო საბჭომ დააკმაყოფილა განმცხადებლის საჩივარი და შესაბამისად, დასაშვებად მიიჩნია ნიშნის რეგისტრაცია მე-14 კლასში შემავალი საქონლის მიმართ, რაც მოიცავს შემდეგს: „ძვირფასეულობა“; ლაპელის ქინძისთავეები [სამკაულები]; მანჟეტები; ძვირფასი ლითონებისა და მათი შენადნობებისაგან დამზადებული სამკაულები და ბიჟუტერია, კერძოდ, ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, ბროშები, გულსაბნევეები, კულონები, ჯაჭვები და საათებისთვის განკუთვნილი ჯაჭვები, ყელსაბამები, მედლები, მედალიონები; ძვირფასი ლითონებისა და მათი შენადნობებისაგან დამზადებული ან მათით დაფარული ბრელოკები (იხ. სადავო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი). ამ საქონელთან დაკავშირებით სააპელაციო საბჭომ განმარტა, რომ თავიანთი ბუნებით ისინი არ ხასიათდებოდნენ, როგორც „ჩვეულებრივი“ ფერის დასახელებები, არამედ, გამოყენებული ლითონების ფერების მიხედვით, მაგალითად, „ოქროსფერი“, „ვერცხლისფერი“ ან „მოვარდისფრო ოქროსფერი“ და შესაბამისად, სიტყვიერი ელემენტი „off-white“ არ იყო ამ საქონლის მიმართ აღწერილობითი.

საპროცესო ხარჯების დაკისრების მოთხოვნა

10. განმცხადებელი სასამართლოსგან ითხოვს:

- სადავო გადაწყვეტილების გაუქმებას;
- EUIPO-სათვის ხარჯების გადახდის დაკისრებას, სააპელაციო საბჭოში საქმისწარმოებაზე გაწეული ხარჯების ჩათვლით.

11. საპასუხოდ EUIPO მოითხოვს სასამართლოსაგან:

- განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას;
- განმცხადებლისათვის ხარჯების გადახდის დაკისრებას.

კანონმდებლობა

საჩივრის საგანი

12. დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ განცხადებაში მითითებული, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნა, როგორც ირკვევა, მიმართულია მთლიანად სადავო გადაწყვეტილებისადმი, მაშასადამე, მოიცავს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტსაც, რომლითაც სააპელაციო საბჭომ დასაშვებად მიიჩნია მის წინაშე წარდგენილი საჩივარი მე-9 პუნქტში აღნიშნულ მე-14 კლასში შემავალ საქონელთან დაკავშირებით. თუმცა, სხდომაზე სასამართლოს მიერ დასმული შეკითხვის პასუხად აპელანტმა განმარტა, რომ იგი მოითხოვდა სადავო გადაწყვეტილების ბათილად ცნობას მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც მას უარი ეთქვა სააპელაციო საბჭოში წარდგენილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე განსახილველ საქონელთან დაკავშირებით, როგორც ეს სხდომის ოქმის მე-6 პუნქტში შეტანილ ოფიციალურ შენიშვნაშია მითითებული. აქედან გამომდინარე, დადგენილად უნდა იქნეს ცნობილი, რომ განმცხადებლის საჩივრით მოითხოვება სადავო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც მას უარი ეთქვა აღნიშნულ საქონელთან დაკავშირებით სააპელაციო საბჭოს წინაშე წარდგენილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

13. თავისი სარჩელის გასამყარებლად განმცხადებელი ეყრდნობა ორ მოთხოვნას. პირველ მათგანში იგი დავობს, უპირველეს ყოვლისა, ჯანსაღი ადმინისტრირების, სამართლებრივი სარწმუნოებისა და თანასწორი მოპყრობის პრინციპების, ხოლო მეორე რიგში - გადაწყვეტილების საფუძვლების დასაბუთების ვალდებულების დარღვევის თაობაზე, ვინაიდან სააპელაციო საბჭოს არ განუმარტავს, თუ რატომ გადაუხვია EUIPO-ს მიერ წინა გადაწყვეტილებებში დამკვიდრებული პრაქტიკისაგან. მეორე მოთხოვნის საგანია 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების დარღვევა.

14. მიზანშეწონილია, პირველ რიგში, განხილულ იქნეს მეორე მოთხოვნა, რომელიც ეხება 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების დარღვევას.

მეორე სარჩელი 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების დარღვევასთან დაკავშირებით

15. აღნიშნული მოთხოვნა მოიცავს ორ ნაწილს: პირველი ნაწილი ეხება 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ხოლო მეორე ნაწილი - იმავე რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

მეორე სარჩელის პირველი ნაწილი, 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევასთან დაკავშირებით

16. მეორე მოთხოვნის პირველ ნაწილში განმცხადებელი ასაჩივრებს სააპელაციო საბჭოს დასკვნას, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშანი განსახილველი საქონლის მიმართ იყო აღწერილობითი. არსებითად, იგი ამტკიცებს, რომ პირველ რიგში, სააპელაციო საბჭომ შეცდომა დაუშვა, როდესაც დაადგინა, რომ სიტყვიერი ელემენტი „off-white“ ბუნებრივად იქნებოდა გაგებული, როგორც ღია ელფერზე მითითება და მეორეც, რომ თუნდაც ეს ტერმინი იმგვარად ყოფილიყო აღქმული, როგორც მითითება კონკრეტულ ფერზე, ის მაინც არ იქნებოდა განსახილველი საქონლის რაიმე არსებითი მახასიათებლის მიმართ აღწერილობითი. საბოლოოდ, განმცხადებელი დასძენს, რომ ტერმინს „off-white“ დამატებითი გამოსახულებითი და სტილიზებული ელემენტები ნიშანს გაძლიერებულ განმასხვავებელუნარიანობას სძენს.

17. საპასუხოდ EUIPO ამტკიცებს, რომ, უპირველეს ყოვლისა, ეჭვგარეშეა, რომ ტერმინი „off-white“ („მონაცრისფრო თეთრი“) წარმოადგენს ფერს, რომელიც არის არა „სუფთა თეთრი“, არამედ თეთრის ელფერი, რომელსაც შესაძლოა, ჰქონდეს ნაცრისფერი ან მოყვითალო ელფერი და სრულად შეესაბამება ექსპერტისა და სააპელაციო საბჭოს მიერ მოცემულ განსაზღვრებას. მეორეც, სააპელაციო საბჭომ მართებულად დაადგინა, რომ განსახილველ საქონელთან დაკავშირებით სწორედ ფერი იყო ის ფაქტორი, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მომხმარებლების მიერ, იმის გათვალისწინებით, რომ საქონლის ესთეტიკური ასპექტი მომხმარებლისათვის არსებითი იყო. საბოლოოდ, სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშნის აღწერილობითი მნიშვნელობა ვერაფრით შეცვალა ვერც აღნიშნული ნიშნის გრაფიკულმა ელემენტებმა.

წინასწარი მოსაზრებები

18. 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეგისტრაციას არ ექვემდებარება სასაქონლო ნიშნები, რომლებიც შედგება მარტოოდენ ისეთი სიმბოლოების ან აღნიშვნებისგან, რომლებიც შესაძლოა, ემსახუროდეს ვაჭრობის სფეროში სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, დანიშნულების, ღირებულების, გეოგრაფიული წარმოშობის, საქონლის წარმოების ან მომსახურების გაწევის დროის, ან საქონლის ან მომსახურების სხვა მახასიათებლების აღნიშვნას. იმავე რეგულაციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის დებულებები გამოიყენება მაშინაც, როდესაც რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველები არსებობს ევროკავშირის მხოლოდ ერთ ნაწილში.

19. ამგვარი სიმბოლოებისა და აღნიშვნების სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის აკრძალვით, 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ემსახურება საჯარო ინტერესებს, კერძოდ, ყველას შეუძლია თავისუფლად გამოიყენოს სარეგისტრაციოდ წარდგენილ სასაქონლო ნიშანთან მიმართებით საქონლის ან მომსახურების მახასიათებლებთან დაკავშირებული აღწერილობითი ნიშნები ან აღნიშვნები. შესაბამისად, ეს დებულება სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის გამო ასეთი სიმბოლოებისა და აღნიშვნების მხოლოდ ერთი საწარმოს მიერ გამოყენების პრევენციას ახდენს (იხ. 2003 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, OHIM v Wrigley, C-191/01 P, EU:C:2003:579, 31-ე პუნქტი და მასში მითითებული პრეცედენტული სამართალი).

20. 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ითვლება, რომ სიმბოლოებს და აღნიშვნებს, რომლებიც შესაძლოა გამოიყენებოდეს ვაჭრობის სფეროში იმ საქონლის ან მომსახურების მახასიათებლების აღსანიშნავად, რომელთა მიმართაც მოითხოვება რეგისტრაცია, არ შესწევთ უნარი, შეასრულონ სასაქონლო ნიშნის ძირითადი ფუნქცია, კერძოდ, მოახდინონ საქონლის ან მომსახურების კომერციული წარმოშობის იდენტიფიცირება, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებელს, რომელმაც უკვე შეიძინა ნიშანდებული საქონელი ან მომსახურება, კვლავ შეიძინოს იგი, თუკი მისი წინარე გამოცდილება

დადებითი იყო, ან თავიდან აიცილოს მისი კვლავ შეძენა, თუ ამგვარი გამოცდილება უარყოფითი აღმოჩნდა (2003 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, OHIM v Wrigley, C-191/01 P, EU:C:2003:579, 30-ე პუნქტი ; 2002 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება Ellos v OHIM (ELLOS), T-219/00, EU:T:2002:44, 28-ე პუნქტი; და 2015 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება Universal Utility International v OHIM (Greenworld), T-106/14, გამოუქვეყნებელი, EU:T:2015:123, მე-15 პუნქტი).

21. ამასთან, 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში ასახულ უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველთან დაკავშირებით, სიმბოლოს აღწერილობა არ

შეიძლება შეფასდეს სხვაგვარად, გარდა, ერთი მხრივ, შესაბამის საქონელსა და მომსახურებაზე მითითებისა და, მეორე მხრივ, შესაბამისი პირების მიერ სასაქონლო ნიშნის აღქმაზე დაყრდნობისა (იხ. 2005 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Peek & Cloppenburg v OHIM (Cloppenburg), T-379/03, EU:T:2005:373, 37-ე პუნქტი და იქვე მითითებული პრეცედენტული სამართალი).

22. აქედან გამომდინარე იმისათვის, რომ ნიშანი მოექცეს ამ დებულებით გათვალისწინებული აკრძალვის არეალში, უნდა არსებობდეს საკმარისად პირდაპირი და სპეციფიკური კავშირი ნიშანსა და განსახილველ საქონელსა და მომსახურებას შორის, რათა შესაბამის მომხმარებელს შეეძლოს დაუყოვნებლივ (მყისიერად), შემდგომი ფიქრის გარეშე აღიქვას განსახილველი საქონლისა და მომსახურების აღწერა ან მათი ერთ-ერთი მახასიათებელი (იხ. 2005 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება, Metso Paper Automation v OHIM (PAPERLAB), T-19/04, EU:T:2005:247, პუნქტი 25 და იქ მითითებული პრეცედენტული სამართალი; 2015 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება, Grundig Multimedia v OHIM (GentleCare), T-188/14, გამოუქვეყნებელი, EU:T:2015:34, მე-19 პუნქტი).

23. მიზანშეწონილია იმის შეხსენებაც, რომ იმისათვის EUIPO-მ უარი განაცხადოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, არ არის აუცილებელი ამ მუხლში მითითებული ნიშნის შემადგენელი სიმბოლოებისა და აღნიშვნების გამოყენება რეალურად ხდებოდეს განაცხადის რეგისტრაციის დროისათვის ისე, რომ აღწერდეს განაცხადით გათვალისწინებულ საქონელს ან მომსახურებას, ან მათ მახასიათებლებს. როგორც თვით ამ დებულების ფორმულირება მიუთითებს, საკმარისია ასეთი სიმბოლოები და აღნიშვნები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ამ მიზნით. ამგვარად, სიტყვიერი ნიშანი არ დარეგისტრირდება, თუ მისი ერთ-ერთი შესაძლო მნიშვნელობა მაინც მიუთითებს შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მახასიათებლებზე (2003 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, OHIM v Wrigley, C-191/01 P, EU:C:2003:579., 32-ე პუნქტი; იხილეთ აგრეთვე 2014 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Larrañaga Otaño v OHIM (GRAPHENE), T-458/13, EU:T:2014:891, მე-20 პუნქტი და იქ მითითებული პრეცედენტული სამართალი).

24. განმცხადებლის არგუმენტები სააკუელაციო საბჭოს შეფასებასთან დაკავშირებით, რომელიც მოცემულია სადავო გადაწყვეტილებაში, ზემოაღნიშნული მოსაზრებების ფონზე უნდა იქნეს განხილული.

სიტყვიერი ელემენტის „off-white“ (მონაცრისფრო თეთრი) მნიშვნელობა

25. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ განაცხადში მითითებული ნიშანი შედგება ინგლისურენოვანი ტერმინისგან „off-white“ (რომელიც ითარგმნება ქართულ ენაზე, როგორც „მონაცრისფრო თეთრი“), რომელიც გამოსახულია წვრილი დიდი ასოებით, ოდნავ დახრილი მარჯვნივ, წაგრძელებული შავი ექვსკუთხა ჩარჩოს ფონზე.

26. ასევე, უნდა აღინიშნოს და უფრო მეტიც, მხარეთა შორის შეთანხმების საგანია ის, რომ ხსენებული ინგლისურენოვანი ტერმინის გამოყენების გამო, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ევროკავშირის ინგლისურენოვან ტერიტორიაზე მცხოვრები შესაბამისი საზოგადოება, კერძოდ, გაერთიანებული სამეფოს, ირლანდიისა და მალტას, როგორც აღნიშნულია სადავო გადაწყვეტილების მე-17 პუნქტში. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ, როგორც ამავე გადაწყვეტილების მე-15 პუნქტიდან ირკვევა, განსახილველი საქონელი წარმოადგენს ყოველდღიური მოხმარების საქონელს და განკუთვნილია როგორც ფართო საზოგადოებისთვის, ისე - პროფესიონალებისთვის, რაც განმცხადებლის მხრიდან დამატებითი დავის საგანი არ გამხდარა.

27. მეორე მხრივ, განმცხადებელი ამტკიცებს, რომ ფერი, რომელსაც ეხება გამოყენებული ტერმინი: „მონაცრისფრო თეთრი“, არ არის განსაზღვრული ფერი. პირიქით, შესაძლოა, არსებობდეს თეთრი ფერის სხვადასხვა ელფერი, რომელიც შეიძლება შედგებოდეს ნებისმიერი ფერისგან, თუმცა - ძალიან ღია ელფერით. ანალოგიურად, ტერმინს „მონაცრისფრო თეთრი“, აქვს განსხვავებული მნიშვნელობები, კერძოდ, ის შეიძლება დაკავშირებული იყოს გაურკვეველი ფორმის, წახნაგოვანი მოხაზულობის და მხატვრულ კონცეფციასთან.

28. EUIPO სადავოდ ხდის განმცხადებლის მიერ მოყვანილ არგუმენტებს.

29. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო საბჭომ ოქსფორდის ინგლისურენოვან ლექსიკონში არსებულ შესაბამის ჩანაწერზე დაყრდნობით, სადავო გადაწყვეტილების მე-19 პუნქტში ტერმინი „მონაცრისფრო თეთრი“ განმარტა, როგორც თეთრთან ძალიან ახლოს მყოფი ფერი, რომელსაც ხშირად ნაცრისფერი ან ყვითელი ელფერი დაკრავს და თითქმის თეთრი არის. გარდა ამისა, სადავო გადაწყვეტილების 23-ე პუნქტში ნათქვამია, რომ მოცემული ტერმინი აღნიშნავს ძალიან ღია ფერს, როგორც ეს წარმოდგენილია განმცხადებლის მიერ სააპელაციო საბჭოს წინაშე წარდგენილი სააპელაციო საჩივრის დასაბუთებაში. სააპელაციო საჩივარში განმცხადებელი ეყრდნობოდა კონკრეტულად იმ ცხრილს, რომელიც ასახავდა თეთრი ფერის ოთხ ელფერს ნაცრისფერი ან მოყვითალო ელფერით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტერმინ „მონაცრისფრო თეთრის“ სააპელაციო პალატის განმარტება არ განსხვავდება იმ შეხედულებებისგან, რომელსაც თავად განმცხადებელი ეყრდნობა.

30. აღნიშნული დასკვნა არ შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს სხვა ცხრილით, რომელიც ასახულია განმცხადებლის მიერ სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში და აღებულია კერძო საწარმოების კატალოგებიდან. ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინაც კი, თუ ვივარაუდებთ, რომ როგორც განმცხადებელი ირწმუნება, სახეზე არ არის კონკრეტული ფერი, განსაზღვრული, მაგალითად, საყოველთაოდ აღიარებული საიდენტიფიკაციო კოდის მეშვეობით, ასეთი გარემოება მაინც არ გამოირიცხავს მასთან დაკავშირებული სიტყვიერი ელემენტის თეთრი ფერის ელფერად ან მის ვარიანტად აღქმას. მოცემულ გარემოებებში, უარყოფილ უნდა იქნეს არგუმენტი, რომელიც ეფუძნება მოცემული ფერის სავარაუდო განუსაზღვრელ ბუნებას.

31. უარყოფილ უნდა იქნეს, ასევე, განმცხადებლის ის არგუმენტიც, რომ ტერმინს „მონაცრისფრო თეთრი“ გააჩნია რამდენიმე მნიშვნელობა და ეხება, კერძოდ, გაურკვეველი ფორმის, წახნაგოვანი მოხაზულობისა და მხატვრულ კონცეფციას. როგორც სააპელაციო საბჭომ სადავო გადაწყვეტილების 21-ე პუნქტში უკვე აღნიშნა, სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციო განაცხადი არ უნდა დარეგისტრირდეს 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ მისი ერთ-ერთი შესაძლო მნიშვნელობა მაინც მიუთითებს შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მახასიათებლებზე (2003 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებები, OHIM v Wrigley, C-191/01 P, EU:C:2003:579, 32-ე პუნქტი და 2004 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება Campina Melkunie, C-265/00, EU:C:2004:87, 38-ე პუნქტი).

32. აქედან გამომდინარე, სააპელაციო საბჭომ შესაბამისი მომხმარებლის მიერ სიტყვიერ ელემენტ „მონაცრისფრო თეთრის“ აღქმა სწორად შეაფასა.

კავშირი სიტყვიერ ელემენტ - „მონაცრისფრო თეთრისა“ და საქონელს შორის

33. განმცხადებელი კვლავ ამტკიცებს, რომ არ არსებობს საკმარისად პირდაპირი და კონკრეტული კავშირი სიტყვიერ ელემენტს: „off-white“ („მონაცრისფრო თეთრი“) და განსახილველ საქონელს შორის. იგი სხვა დანარჩენს შორის, ამტკიცებს, რომ ფერი „უდავოდ“ არ არის ამ საქონლის მახასიათებელი და ამის საფუძველზე, ის უთითებს სააპელაციო საბჭოში წარდგენილ საჩივარში წარმოდგენილ ცხრილზე, რომელიც აღწერს იმ თვისებებსა და ფუნქციებს, რომლებიც მისი თვალსაზრისით, წარმოადგენს მოცემული საქონლის „მახასიათებლებს“. გარდა ამისა, პირველ რიგში, განმცხადებელი ამტკიცებს, რომ ყველა საქონელს აქვს ერთი ან მეტი ფერი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მომხმარებელი ნიშნის - „მონაცრისფრო თეთრი“ დანახვისას იფიქრებს, რომ განსახილველი საქონელი არის მონაცრისფრო თეთრი ფერის. მეორეც, განმცხადებელი ამტკიცებს, რომ ფერის დასახელება 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ფარგლებში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოექცეს, თუ იგი აღწერს საქონლის კატეგორიის მახასიათებლებს, „როგორც ასეთი“, მაგალითად, როგორცაა ფორთოხლისფერი - ფორთოხლის წვენისათვის ან მწვანე - მწვანე ჩაისთვის და არა მხოლოდ ამ კატეგორიაში შემავალი გარკვეული პროდუქტებისთვის.

34. EUIPO სადავოდ ხდის განმცხადებლის არგუმენტს იმაზე მითითებით, რომ განსახილველი საქონლის ფერი, 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გაგებით, შეიძლება ჩაითვალოს ამ საქონლის ერთ-ერთ „სხვა მახასიათებლად.“ ამასთან დაკავშირებით, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ამ საქონელს ზოგადად მომხმარებლები იძენენ მათი გარეგანი, ვიზუალური ასპექტის საფუძველზე, კერძოდ, აღნიშნული, სხვა დანარჩენს შორის, მოიცავს ფერს, ესთეტიკურ მიზეზთა გამო. სადავო გადაწყვეტილება შეიცავს ფართო ახსნა-განმარტებას იმის შესახებ, თუ როგორ ირჩევენ მომხმარებლები ამ საქონელს, სხვა დანარჩენს შორის, მათი ვიზუალური ზეგავლენის გამო. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ არსებობს საკმარისად პირდაპირი და

კონკრეტული კავშირი გამოთქმას „მონაცრისფრო თეთრი“, როგორც საქონლის ფერის აღნიშვნასა და ამ საქონელს შორის.

35. ამასთან დაკავშირებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ტერმინების - „სახეობა, ხარისხი, რაოდენობა, დანიშნულება, ღირებულება, გეოგრაფიული წარმოშობა ან საქონლის წარმოების ან მომსახურების გაწევის დროის ან საქონლისა და მომსახურების სხვა მახასიათებლები“ - გამოყენებით, 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანომ, პირველ რიგში, ცხადყო ის, რომ მოხმობილი ტერმინები უნდა განიხილებოდეს, როგორც საქონლის ან მომსახურების მახასიათებლების შესაბამისი და, ასევე, ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, ვინაიდან საქონლის ან მომსახურების ნებისმიერი სხვა მახასიათებელი შეიძლება, ასევე, იყოს მხედველობაში მიღებული (იხ. 2019 წ. 7 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე- Fissler v EUIPO (სასაქონლო ნიშანი „vita“), T-423/18, EU:T :2019:291, 42-ე პუნქტი და იქვე მითითებული პრეცედენტული სამართალი).

36. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანომ არჩია გამოყენებინა სიტყვა „დამახასიათებელი,“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში აღნიშნული სიმბოლოები არის მარტოოდენ ის სიმბოლოები, რომლებიც ემსახურება ქონების, შესაბამისი კლასის პირთა მიერ ადვილად შეცნობადი საქონლის ან მომსახურების მიმართ, რომელთა დაკავშირებითაც რეგისტრაცია მოითხოვება. ამის შედეგად, ამ დებულების თანახმად, ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გვაქვს საფუძველი მივიჩნიოთ, რომ ნიშანი რეალურად იქნება პირთა შესაბამისი წრის მიერ აღიარებული, როგორც ერთ-ერთი ამ მახასიათებელთაგანი (იხ. 2019 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშანზე „vita“, T-423/18, EU:T:2019:291, 43-ეპუნქტი და მასში მითითებული პრეცედენტული სამართალი).

37. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ არარელევანტურია თუ როგორია ასეთი მახასიათებელი: კომერციულად არსებითი თუ დამხმარე, 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით, მახასიათებელი უნდა იყოს მიზნობრივი და ბუნებით თანდაყოლილი, ისევე, როგორც შინაგანად დამახასიათებელი და მუდმივი ამ საქონელთან ან მომსახურებასთან მიმართებით (იხ. 2019 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება, vita, T-423/18, EU:T:2019:291, სასაქონლო ნიშანზე: „vita“, 44-ე პუნქტი და მასში მითითებული პრეცედენტული სამართალი).

38. აღსანიშნავია, რომ იმ დასკვნის გამოტანამდე, რომ სიტყვიერი ნიშანი „off-white“ („მონაცრისფრო თეთრი“) განსახილველ საქონელთან მიმართებით აღწერილობითი იყო, სააპელაციო საბჭომ, უპირველეს ყოვლისა, სარეგისტრაციო განაცხადის ჩამონათვალის გათვალისწინებული თითოეული საქონლის ანალიზი განახორციელა.

39. ამრიგად, პირველ ყოვლისა, რაც შეეხება მე-9 კლასში შემავალ საქონელს, კერძოდ, სათვალეების ჩარჩოებს და მზის სათვალეებს, მათ კორპუსებს, ჩანთებს, სხვადასხვა

ელექტრონული საქონლისათვის განკუთვნილ თასმებსა და გადასაფარებლებს, სადავო გადაწყვეტილების 24-ე პუნქტში საბჭომ აღნიშნა, რომ ამგვარი საქონლის მარკეტინგის არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი იყო, რომ ფერი წარმოადგენდა მათი აღნიშვნის სტანდარტულ კრიტერიუმს, რომელსაც მომხმარებლები საფუძვლიანად აღიქვამდნენ ამ საქონლის მნიშვნელოვან მახასიათებლად. სააპელაციო საბჭოს მოსაზრებით, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ მონაცრისფრო თეთრი, მისი ელეგანტური და მოკრძალებული ხასიათის გათვალისწინებით, აშკარად შეესაბამება ამ ტიპის საქონელს და მეტიც, მნიშვნელოვან როლს თამაშობს მომხმარებლის არჩევანში. სააპელაციო საბჭომ, ასევე, განაცხადა, რომ თვით დამცავი ჩაფხუტიც კი შეიძლება მიჩნეულ იქნეს უკეთესად, როდესაც ის წარმოადგენილია თეთრ ფერში, ვიდრე ჩვეულებრივ ლურჯ ან ნაცრისფერ ფერებში.

40. მეორე, სადავო გადაწყვეტილების 25-ე პუნქტში სააპელაციო საბჭომ იგივე დასკვნა გააკეთა მე-14 კლასის საქონელთან მიმართებით, კერძოდ, ესენია: „საათები, კედლის საათები, დროის აღმრიცხველი და ქრონომეტრული ინსტრუმენტები, საათების სამაჯურები და ჩასადებები, საათების საპრეზენტაციო ყუთები, საიუველირო ჩანთები, ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვები. უფრო კონკრეტულად, აღმოჩნდა, რომ ვინაიდან აღნიშნული საქონელი უდავოდ მოდის აქსესუარებს წარმოადგენს, მათი ფერი, მომხმარებლის თვალსაზრისით, ზედაპირის ფერთან ან პიროვნების „გარეგნობასთან“ შესაბამისობაში უნდა იყოს.

41. საბოლოოდ, მესამე: სადავო გადაწყვეტილების 27-ე პუნქტში სააპელაციო საბჭომ დაადგინა, რომ მე-20 კლასში შემავალი საქონელი, კერძოდ ბალიშები, მუთაქები, საწოლები, ლეიბები და ავეჯი, გარდა აპელანტის მიერ მითითებული მახასიათებლებისა, რა თქმა უნდა, არჩეული იყო, მათი ფერის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით საბჭომ აღნიშნა, რომ მონაცრისფრო თეთრი, თავისი მოკრძალებული ელეგანტურობის გამო, გარკვეული პოპულარობით სარგებლობს ინტერიერის გაფორმებისა და დიზაინის სფეროში.

42. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, სააპელაციო საბჭომ სადავო გადაწყვეტილების 28-ე პუნქტში დაასკვნა, რომ ვინაიდან სიტყვიერი ელემენტი „მონაცრისფრო თეთრი“ აღნიშნავდა თეთრ ფერს, იგი მიუთითებდა მე-9, მე-14 და მე-20 კლასებში შემავალი საქონლის ვიზუალურ ასპექტზე და შესაბამისად, მკაფიოდ აღიქმებოდა მომხმარებლების მიერ, როგორც აღწერილობითი ინფორმაცია ამ საქონლის ფერის შესახებ.

43. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილი, 35-ე და 36-ე პუნქტებში მოხსენიებული დადგენილი სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, აპრიორი გამორიცხული არ არის, რომ პროდუქტის ფერი შეიძლება წარმოადგენდეს 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებულ ერთ-ერთ მახასიათებელს. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ იმ მოსაზრებებიდან, რომლებზეც სააპელაციო საბჭომ თავისი დასკვნა დააფუძნა, როგორც ეს 42-ე პუნქტშია ასახული, არ გამომდინარეობს, რომ ფერი, რომელსაც სიტყვიერი ელემენტი „მონაცრისფრო თეთრი“ აღნიშნავს, კერძოდ, მონაცრისფრო თეთრი ფერი, ან თუნდაც

თეთრის ელფერი, რომლებიც შესაბამისი მომხმარებლის მიერ საყოველთაოდ გაგებულია, როგორც მახასიათებელი, რომელიც საქონლის ბუნებისათვის არის გამოიზნულია და თანდაყოლილი, ასევე, როგორც შინაგანად დამახასიათებელი და მუდმივი, 37-ე პუნქტში მოხსენიებული, დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობით.

44. სააპელაციო საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული მსჯელობა მონაცრისფრო თეთრი ფერის ელემენტურ და მოკრძალებულ ხასიათთან და გაუმჯობესებულ ვიზუალურ შთაბეჭდილებასთან დაკავშირებით, რომელსაც ეს ფერი წარმოქმნის გარკვეულ საქონელზე, როგორცაა დამცავი ჩაფხუტები, არ იძლევა იმის დადგენის საშუალებას, რომ ფერი წარმოადგენს მახასიათებელს, რომელიც განსახილველი საქონლისათვის ბუნებრივია. მეორე მხრივ, ეს მოსაზრებები, რამდენადაც ისინი ეხება ფერის ესთეტიკურ ღირებულებას და წვლილს, შეიცავს სუბიექტური შეფასების ელემენტს, მაშასადამე, ელემენტს, რომელიც საბჭოს განმარტებით, შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური არჩევანის მიხედვით. თუმცა, შესაბამის საზოგადოებაში შემავალ ცალკეულ პირთა პირადი შეფასებები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმის დასადგენად, თუ როგორ შეიძლება აღიქმებოდეს ნიშანი მომხმარებლის მიერ მთლიანობაში (იხ. ამ თვალსაზრისითა და ანალოგიით, 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Multifit v EUIPO (MULTIFIT)*, T-98/18, გამოუქვეყნებელი EU:T:2018:936, 31-ე პუნქტი).

45. უფრო მეტიც, რაც შეეხება სააპელაციო საბჭოს შეფასებას, რომ სიტყვიერი ელემენტი „off-white“ („მონაცრისფრო თეთრი“) აღნიშნავს საქონლის ვიზუალურ ასპექტს, უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მონაცრისფრო თეთრი ფერი, როგორც განმცხადებელი აღიარებს, შეესაბამება ამ საქონლის ფერის ერთ-ერთ შესაძლო ვარიაციას, ის მაინც არ წარმოადგენს ერთადერთ ან თუნდაც დომინანტ ფერს. ეს ფერი წარმოადგენს მხოლოდ შემთხვევით და გაუთვალისწინებელ ასპექტს, რომელიც შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ზოგიერთს ამ საქონელთაგან და რომელსაც, ნებისმიერ შემთხვევაში, არ აქვს რაიმე პირდაპირი და უშუალო კავშირი მათ ბუნებასთან. ამდენად, უბრალოდ ის ფაქტი, რომ განსახილველი საქონელი, სხვა ფერებთან ერთად მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია მონაცრისფრო თეთრ ფერში, უმნიშვნელოა, ვინაიდან 36-ე პუნქტში მოხსენიებული დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, „არაგონივრულია“ იმის დაჯერება, რომ მარტოოდენ ამ მიზეზით ეს ფერი შესაბამისი საზოგადოების მიერ რეალურად იქნება აღიარებული, როგორც ამ საქონლის ბუნებისათვის თანდაყოლილი შინაგანი მახასიათებლის აღწერილობა (ამ თვალსაზრისით, იხ. 2019 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება T. -423/18, EU:T:2019:291, სასაქონლო ნიშანზე „vita“, 45-ე და 46-ე პუნქტები).

46. აღნიშნულიდან გამომდინარე, 39-42-ე პუნქტების მიხედვით, იმის დადგენით, რომ სიტყვიერ ელემენტს „off-white“ („მონაცრისფრო თეთრი“) განსახილველ საქონელთან საკმარისად პირდაპირი და კონკრეტული კავშირი ჰქონდა, რის გამოც იგი ჩაითვალოს აღწერილობითად ამ საქონლის მიმართ, სააპელაციო საბჭომ დაარღვია №2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

47. ზემოაღნიშნულის შედეგად და ასევე მხარეთა სხვა არგუმენტების განხილვის საჭიროების გარეშე, რომლებიც ეხება ზემოხსენებული სიტყვიერი ელემენტის თანმხლებ გამოსახულებით ელემენტებს, განმცხადებლის მიერ წარდგენილი მეორე საჩივრის პირველი ნაწილი უნდა დაკმაყოფილდეს.

მეორე სარჩელის მეორე ნაწილი, 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევასთან დაკავშირებით

48. მეორე მოთხოვნის მეორე ნაწილში განმცხადებელი ამტკიცებს, რომ სააპელაციო საბჭოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ ნიშანს არ გააჩნია განმასხვავებელუნარიანი ხასიათი, ასევე, უნდა იქნეს უარყოფილი, ვინაიდან იგი ემყარება ნიშნის აღწერილობითი ხასიათის არასწორ შეფასებას.

49. ამის საპირისპიროდ EUIPO ამტკიცებს, რომ სააპელაციო საბჭომ მართებულად დაასკვნა, რომ ნიშანი განსახილველ საქონელთან მიმართებაში აღწერილობითია, რის გამოც აღნიშნული ნიშანი, ასევე, მოკლებულია განმასხვავებელუნარიანობას.

50. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ მართალია, 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ჩამოთვლილ რეგისტრაციაზე უარის თქმის თითოეული აბსოლუტური საფუძველი დანარჩენებისგან დამოუკიდებელია და მოითხოვს ცალკე ექსპერტიზას, მიუხედავად ამისა, არსებობს ცალსახა გადაფარვა თითოეული ამ საფუძვლის დაცვის ფარგლებს შორის. გარდა ამისა, უარის თქმის ეს საფუძველები უნდა განიმარტოს იმ საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, რომელსაც თითოეული მათგანი ემყარება (იხ. 2019 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება T-423/18, EU:T:2019:291, სასაქონლო ნიშანზე „vita“, 64-ე პუნქტი და მითითებული პრეცედენტული სამართალი).

51. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ის ფაქტი, რომ ნიშანი არ ექცევა რეგისტრაციაზე უარის თქმის ერთ-ერთი აბსოლუტური საფუძვლის ქვეშ, არ ნიშნავს, რომ იგი არ შეიძლება მოექცეს მეორე მათგანის ქვეშ. კერძოდ, არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ნიშანი არ არის მოკლებული რაიმე განმასხვავებელუნარიანობას გარკვეულ საქონელთან ან მომსახურებასთან მიმართებით მხოლოდ იმ საფუძველით, რომ იგი მათ მიმართ აღწერილობითი არ არის (იხ. 2019 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „vita“, T-423/ 18, EU:T:2019:291, 65-ე პუნქტი და მითითებული პრეცედენტული სამართალი).

52. 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველად არსებული საჯარო ინტერესი მოიცავს მომხმარებელთა დაცვას, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, ყოველგვარი აღრევის შესაძლებლობის გარეშე, განასხვავოს სასაქონლო ნიშნით მონიშნული საქონლის ან მომსახურების წარმოშობა, ამგვარი წარმოშობის აღნიშვნის ძირითადი ფუნქციის მეშვეობით, მაშინ, როდესაც მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ წესის საფუძველად არსებული საზოგადოებრივი ინტერესი ორიენტირებულია, დაიცვას კონკურენტები ერთი მეწარმის მიერ იმ აღნიშვნების მონოპოლიზების რისკისაგან, რომლებიც აღწერს ამ საქონლის ან მომსახურების

მახასიათებლებს (იხ. 2019 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება, სასაქონლო ნიშანზე „vita“, T-423/18, EU:T:2019:291, 66-ე პუნქტი და მასში მითითებული პრეცედენტული სამართალი).

53. შესაბამისად, როდესაც ნიშანი არ არის აღწერილობითი, ისევე, როგორც მოცემულ შემთხვევაში, იგი ამ მიზეზით უცილობლად არ წარმოადგენს განმასხვავებელუნარიან ნიშანს. ასეთ შემთხვევებში გასათვალისწინებელია, არის თუ არა ნიშანი არსებითად მოკლებული განმასხვავებელუნარიანობას. მაშასადამე, უნდა დადგინდეს, შესწევს თუ არა მას უნარი, შეასრულოს სასაქონლო ნიშნის ძირითადი ფუნქცია, კერძოდ, უზრუნველყოს მომხმარებლის/საბოლოო მომხმარებლისათვის ამ ნიშნით დაცული საქონლის ან მომსახურების წარმოშობის იდენტიფიცირება იმგვარად, რომ მომხმარებელმა შეძლოს ყოველგვარი აღრევის შესაძლებლობის გარეშე განასხვავოს ეს საქონელი ან მომსახურება სხვა საწარმოს საქონლის ან მომსახურებისაგან (იხ. 2019 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება, საქმეზე „vita“, T-423/18, EU:T:2019:291, 67-ე პუნქტი და იქ მითითებული პრეცედენტული სამართალი).

54. 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, არ დარეგისტრირდება სასაქონლო ნიშნები, რომლებიც მოკლებულნი არიან განმასხვავებელუნარიანობას. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ამ დებულებით გათვალისწინებული ნიშნები წარმოადგენს ნიშნებს, რომლებიც ვერ ასრულებენ სასაქონლო ნიშნის არსებით ფუნქციას, კერძოდ, ესენია ნიშნები, რომლებსაც არ გააჩნიათ განსახილველი საქონლის ან მომსახურების კომერციული წარმოშობის იდენტიფიცირების უნარი, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებელს, რომელმაც უკვე შეიძინა ნიშანდებული საქონელი ან მომსახურება, კვლავ შეიძინოს იგი, თუკი მისი წინარე გამოცდილება დადებითი იყო, ან თავიდან აიცილოს მისი განმეორებით შეძენა, თუ ამგვარი გამოცდილება უარყოფითი აღმოჩნდა (იხ. 2019 წ. 7 მაისის გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშანზე- „vita“, T-423/18, EU:T:2019:291, 68-ე პუნქტი და მასში მითითებული პრეცედენტული სამართალი).

55. განმასხვავებელუნარიანობა უნდა შეფასდეს, პირველ რიგში, იმ საქონელთან ან მომსახურებასთან მიმართებით, რომელთა მიმართაც რეგისტრაცია მოითხოვება, ხოლო მეორე რიგში, იმ აღქმასთან მიმართებით, რაც ნიშნისადმი ამ საქონლის ან მომსახურების მომხმარებელს გააჩნია (იხ. 2019 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „vita“, T-423/18, EU:T:2019:291, 69-ე პუნქტი და მითითებული პრეცედენტული სამართალი).

56. წინამდებარე საქმეში, როგორც ეს მე-8 პუნქტშია აღნიშნული, სააპელაციო საბჭომ სადავო გადაწყვეტილების 35-ე აბზაცში დაადგინა, რომ 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით, აღწერილობითი ხასიათის გამო, ნიშნის შემადგენელი სიმბოლო აგრეთვე მოკლებული იყო განმასხვავებელუნარიანობას სარეგისტრაციოდ წარდგენილი საქონლის მიმართ. ამ გადაწყვეტილების 36-ე პუნქტში სააპელაციო საბჭომ დამატებით აღნიშნა, რომ აღნიშნული სიმბოლოს აღწერილობითი ხასიათის დასაბუთების გათვალისწინებით, განსახილველ სიმბოლოს არ შეეძლო შეესრულებინა სასაქონლო ნიშნის ძირითადი ფუნქცია, კერძოდ, საქონლის წარმოშობის იდენტიფიცირების ფუნქცია.

57. მიუხედავად ამისა, მეორე მოთხოვნის პირველი ნაწილის ანალიზისას დადგინდა, რომ მონაცრისფრო თეთრი ფერი არ წარმოადგენს განსახილველი საქონლის ბუნებისათვის თანდაყოლილ მახასიათებელს (იხ. ზემოთ მოყვანილი 45-ე პუნქტი).

58. შესაბამისად, რამდენადაც სააპელაციო საბჭომ უბრალოდ ის დაასკვნა, რომ სიტყვიერ ელემენტს „off-white“ („მონაცრისფრო თეთრი“) არ გააჩნდა რაიმე მახასიათებელი, რაც შესძენდა მას გარკვეულ განმასხვავებელუნარიანობას მისი აღწერილობითი ხასიათისგან განსხვავებით, აღნიშნული დასკვნა ემყარება მცდარ წინაპირობას და, შესაბამისად, დაუსაბუთებელია (ამასთან დაკავშირებით იხ. 2019 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: „vita“, T-423/18, EU:T:2019:291, 72-ე პუნქტი).

59. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო საბჭომ დაარღვია 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, როდესაც დაასკვნა, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშანი, მისი აღწერილობითი ხასიათის გამო, ასევე, მოკლებული იყო განმასხვავებელუნარიანობას განსახილველ საქონელთან მიმართებით.

60. შესაბამისად, მეორე მოთხოვნის მეორე ნაწილიც უნდა დაკმაყოფილდეს.

61. ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, ასევე, განმცხადებლის მიერ წარდგენილ პირველ მოთხოვნაზე გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროების გარეშე, საჩივარი მთლიანობაში უნდა დაკმაყოფილდეს და სადავო გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ ნაწილში, რომელიც ეხება განსახილველ, მე-6 აბზაცში ჩამოთვლილ საქონელს.

ხარჯები

62. საერთო სასამართლოს პროცედურული წესების 134-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამარცხებულმა მხარემ უნდა გადაიხადოს ხარჯები, თუ ამას თავის საჩივარში მოითხოვს წარმატებული მხარე.

63. ვინაიდან EUIPO-მ დავა წააგო, განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად, მას უნდა დაეკისროს ხარჯების გადახდა.

64. უფრო მეტიც, განმცხადებელმა მოითხოვა მის მიერ სააპელაციო საბჭოში საქმისწარმოებისას გაღებული ხარჯების EUIPO-სათვის დაკისრება. პროცედურული წესების 190-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მხარეთა მიერ სააპელაციო საბჭოში საქმისწარმოების მიზნებისათვის გაწეული აუცილებელი ხარჯები წარმოადგენს ანაზღაურებად ხარჯებს. შესაბამისად, EUIPO-ს, ასევე, უნდა დაეკისროს განმცხადებლის მიერ სააპელაციო საბჭოში საქმისწარმოებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

ზემოაღნიშნულ საფუძვლებზე დაყრდნობით,

24/10/2019, T-601/17, კუბების საქმე (3D)

საერთო იურისდიქციის სასამართლოს ბრძანება (მესამე პალატა)

2021 წლის 24 თებერვალი

(ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი – პროცესი – ხარჯების დაკისრება)

საქმეში T-601/17 DEP,

განმცხადებელია კომპანია “Rubik's Brand“ Ltd, დაარსებული ლონდონში (გაერთიანებული სამეფო), წარმოდგენილი ადვოკატების, ვ. სამოსის და მ. ბორბასის მიერ,

მოპასუხეა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO),

EUIPO-ს სააპელაციო საბჭოში საქმისწარმოების მეორე მხარე და საერთო იურისდიქციის სასამართლოში საქმისწარმოებისას მესამე პირია „Simba Toys GmbH & Co. KG,“ დაარსებული Fürth-ში (გერმანია), წარმოდგენილი ადვოკატის, ო. რულის მიერ,

განაცხადი ხარჯების დაკისრების თაობაზე 2019 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების შემდგომ, საქმეზე- “Rubik's Brand v EUIPO – Simba Toys” (კუბის ფორმა ბადის სტრუქტურის მქონე ზედაპირებით) (T-601/17, გამოუქვეყნებელი, EU:T:2019:765),


საერთო იურისდიქციის სასამართლომ (მესამე პალატა), შემდეგი შემადგენლობით: მოსამართლეები ა.მ. კოლინზი (მომხსენებელი), პრეზიდენტი, ვ. კრეუმიცი და ზ. სეჰი, რეგისტრატორი: ე. კულონი.

ადგენს შემდეგს:

ფაქტები, პროცედურა და დასკვნები.

1. 1996 წლის 1 აპრილს, შპს “Seven Towns-მა” ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში (EUIPO) წარადგინა განაცხადი ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე, „კავშირის სასაქონლო ნიშნის შესახებ“ საბჭოს 1993 წლის 20 დეკემბრის №40/94 რეგულაციის თანახმად (EC) (OJ 1994 L 11, გვ. 1), რომელშიც ცვლილება შევიდა (ჩანაცვლებულ იქნა კავშირის სასაქონლო ნიშნის შესახებ საბჭოს (EC) 2009 წლის 26 თებერვლის №207/2009 რეგულაციით (OJ 2009 L 78, გვ. 1), რომელშიც მორიგი ცვლილება შევიდა და, თავის მხრივ, ჩანაცვლებულ იქნა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 14 ივნისის (EU) 2017/1001 რეგულაციით ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის შესახებ (EUTMR) (OJ 2017 L 154, გვ. 1)).

2. რეგისტრაცია მოთხოვნილ იქნა ქვემოთ მოცემულ სამგანზომილებიან ნიშანზე:



3. საქონელი, რომლისთვისაც მოთხოვნილია რეგისტრაცია, შედის „ნიშნების რეგისტრაციისთვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ“ ნიცის 1957 წლის 15 ივნისის შეთანხმებით გათვალისწინებულ 28-ე კლასში და გადასინჯვისა და ცვლილების შეტანის შემდეგ, შეესაბამება შემდეგ აღწერას: „სამგანზომილებიანი ფაზლები (ასაწყობი უჯრები).“

4. 1999 წლის 6 აპრილს სადავო ნიშანი დარეგისტრირდა, როგორც ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი, ნომრით 162784. რეგისტრაციის ვადა განახლდა 2006 წლის 10 ნოემბერს და 2016 წლის 14 თებერვალს. 2014 წლის 12 თებერვალს სადავო ნიშანი გადაეცა განმცხადებელს, შპს „Rubik's Brand-ს“ და მფლობელის ცვლილება შეტანილ იქნა EUIPO-ს რეესტრში.

5. 2006 წლის 15 ნოემბერს მესამე პირმა, „Simba Toys GmbH & Co. KG-მ“, წარადგინა განცხადება სადავო ნიშნის ბათილად ცნობის თაობაზე №40/94 რეგულაციის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად (ამჟამად 2017/1001 რეგულაციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი), რაც განხილულ იქნა 40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“- „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებთან ერთობლიობაში (ამჟამად 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“- „გ“ და „ე“ ქვეპუნქტები).

6. 2008 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, გაუქმების განყოფილებამ სრული უარი განაცხადა ბათილად ცნობის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე.

7. 2008 წლის 23 ოქტომბერს მესამე პირმა შეიტანა სააპელაციო საჩივარი EUIPO-ში, №40/94 რეგულაციის 57-62-ე მუხლების შესაბამისად (ამჟამად - 2017/1001 რეგულაციის 66-71-ე მუხლები), რომელთა საფუძვლად იგი უთითებდა №40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„გ“ და „ე“ ქვეპუნქტების დარღვევაზე.

8. 2009 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილებით („პირველი გადაწყვეტილება“) საქმეში R 1526/2008-2, EUIPO-ს მეორე სააპელაციო საბჭომ საჩივარი არ დააკმაყოფილა და ძალაში დატოვა გაუქმების განყოფილების გადაწყვეტილება. მან, inter alia, დაადგინა, რომ სადავო ნიშნის რეგისტრაცია არ ეწინააღმდეგებოდა №40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი

პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ii ქვეპუნქტს (ამჟამად 2017/1001 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ii ქვეპუნქტი.

9. 2009 წლის 6 ნოემბერს საერთო იურისდიქციის სასამართლოს რეესტრში შეტანილი განაცხადით, მესამე პირმა გაასაჩივრა პირველი გადაწყვეტილება² და მოითხოვა მისი ბათილად ცნობა. აღნიშნული საქმე დარეგისტრირდა ნომრით - T-450/09.

10. თავისი საჩივრის გასამყარებლად მესამე პირი ეყრდნობოდა რვა მოთხოვნას, რომელთაგან მეორე პრეტენზიის ფარგლებში იგი ამტკიცებდა №40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ii ქვეპუნქტის დარღვევას.

11. 2014 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე „Simba Toys v OHIM – Seven Towns“ (კუბის ფორმა ბადისებრი სტრუქტურის მქონე ზედაპირებით) (T 450/09, EU:T:2014:983) („თავდაპირველი გადაწყვეტილება“), საერთო იურისდიქციის სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა და მესამე პირს დააკისრა ხარჯების გადახდა.

12. სასამართლოს რეესტრში 2015 წლის 26 იანვარს შეტანილი განცხადებით მესამე პირმა თავდაპირველ გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლის დასაბუთებისას იგი ეყრდნობოდა, inter alia, სააპელაციო საჩივრის პირველ საფუძველს, რომლითაც იგი ამტკიცებდა საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიერ №40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ii ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტს.

13. 2016 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე „Simba Toys v EUIPO“ (C-30/15 P, „სააპელაციო საჩივარზე გამოტანილი გადაწყვეტილება“ EU:C:2016:849), მართლმსაჯულების სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო საჩივრის პირველ საფუძველს, გააუქმა თავდაპირველი გადაწყვეტილება და თავად გამოიტანა საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება: ბათილად ცნო პირველი გადაწყვეტილება³ და დააკისრა განმცხადებელსა და EUIPO-ს საკუთარი და ასევე, მესამე პირის მიერ T-450/09 საქმეზე, როგორც პირველ ინსტანციაში, ისე - სააპელაციო საქმისწარმოებისას გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

14. სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, 2017 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით EUIPO-ს სააპელაციო საბჭოს პრეზიდიუმმა საქმე გადასცა პირველ სააპელაციო საბჭოს, ნომრით R 452/2017-1.

15. 2017 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით („სადავო გადაწყვეტილება“) EUIPO-ს პირველმა სააპელაციო საბჭომ დაადგინა, რომ სადავო ნიშანი დარეგისტრირდა №40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ii ქვეპუნქტის დარღვევით, დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი საქმეზე R 452/2017-1, გააუქმა გაუქმების განყოფილების 2008 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილება და ბათილად ცნო ნიშანი იმ საქონელთან მიმართებაში, რომლისთვისაც იგი რეგისტრირებული იყო.

² იხ. მე-8 პუნქტი

³ იქვე

16. 2017 წლის 31 აგვისტოს საერთო იურისდიქციის სასამართლოს რეესტრში შეტანილი განცხადებით, განმცხადებელმა წარადგინა საჩივარი სადავო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით. აღნიშნული საქმე დარეგისტრირდა ნომრით T-601/17 („ძირითადი სამართალწარმოება“).

17. მესამე პირი⁴ ჩაერთო ძირითად სამართალწარმოებაში იმ მიზნით, რათა მხარი დაეჭირა EUIPO-ს დასკვნისთვის. მესამე პირმა საერთო იურისდიქციის სასამართლოსაგან მოითხოვა საჩივრის განუხილველად დატოვება და განმცხადებლისათვის ხარჯების გადახდის დაკისრება.

18. 2017 წლის 20 და 14 ნოემბერს EUIPO-მ და მესამე პირმა წარმოადგინეს თავიანთი შესაგებლები.

19. 2018 წლის 30 მაისის ბრძანებებით საქმეზე: „Simba Toys v EUIPO and Seven Towns „(C-30/15 P-DEP, გამოუქვეყნებელი, EU:C:2018:353) და „Simba Toys v EUIPO და Seven Towns“ (C-30/15 P-DEP2, გამოუქვეყნებელი, EU:C:2018:354), მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობა, რომელიც გაწეულ იქნა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოებისას, საქმეზე C 30/15 P და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოებისას, საქმეში T-450/09.

20. ძირითადი სამართალწარმოების ფარგლებში, ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 23 იანვარს, იგი დაიწყო 09:35 საათზე და დასრულდა 10:52 საათზე.

21. 2019 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, „Rubik's Brand v EUIPO – Simba Toys“ (კუბის ფორმა ბადისებრი სტრუქტურის მქონე ზედაპირებით) (T-601/17, გამოუქვეყნებელი, EU:T:2019:765), საერთო იურისდიქციის სასამართლომ (მერვე პალატა) არ დააკმაყოფილა საჩივარი და განმცხადებელს დააკისრა ხარჯების გადახდა.

22. 2019 წლის 27 დეკემბრის წერილით, მესამე პირის წარმომადგენელმა განმცხადებლის წარმომადგენელს მოსთხოვა ანაზღაურებადი ხარჯების გადახდა 29 931,28 ევროს ოდენობით, რაც მოიცავს ადვოკატის მომსახურებაზე გაწეულ 29 440 ევროსა და მგზავრობისა და საარსებოდ გაღებულ 491,28 ევროს.

23. განმცხადებლის წარმომადგენელმა 2020 წლის 9 იანვარს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილ საპასუხო წერილში აღნიშნა, რომ 2019 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება⁵ საქმეზე „Rubik's Brand v EUIPO – Simba Toys“ (კუბის ფორმა ბადის სტრუქტურის მქონე ზედაპირებით) (T-601/ 17, გამოუქვეყნებელი, EU:T:2019:765), გასაჩივრდა განმცხადებლის მიერ, შესაბამისად, იგი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას.

⁴ იხ. მე-5 პუნქტი

⁵ იხ. 21-ე პუნქტი

24. 2020 წლის 23 აპრილის ბრძანებით, „Rubik's Brand v EUIPO“ (C-936/19 P, გამოუქვეყნებელი, EU:C:2020:286), მართლმსაჯულების სასამართლომ სააკელაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო.

25. 2020 წლის 19 მაისს განმცხადებლის წარმომადგენელმა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით უარყო მესამე პირის წარმომადგენლის მოთხოვნა და შესთავაზა მას 15 000 ევროს გადახდა.

26. 2020 წლის 26 მაისს მესამე პირის წარმომადგენელმა ელექტრონული ფოსტის მეშვეობითვე უარყო განმცხადებლის წარმომადგენლის წინადადება და კვლავ დააყენა ხარჯების ანაზღაურების შესახებ 2019 წლის 27 დეკემბერს წარდგენილი მოთხოვნა.

27. განმცხადებლის წარმომადგენელმა 2020 წლის 4 ივნისს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით კვლავ უარყო აღნიშნული მოთხოვნა.

28. ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობასთან დაკავშირებით მხარეებს შორის შეთანხმების არარსებობის პირობებში, მესამე პირმა 2020 წლის 24 ივნისს საერთო იურისდიქციის სასამართლოს რეესტრში შეტანილი დოკუმენტით წარადგინა წინამდებარე განცხადება ხარჯების დაკისრების შესახებ, საერთო იურისდიქციის სასამართლოს პროცედურული წესების 170-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რომლითაც იგი სასამართლოსაგან ითხოვს ანაზღაურებადი ხარჯების განსაზღვრას 30 831,28 ევროს ოდენობით. აღნიშნული თანხა შესაძლოა, დაიყოს, პირველი - ადვოკატის მომსახურებაზე გაწეულ 29 440 ევროდ, მეორე - მგზავრობისა და საარსებო ხარჯებისთვის გაღებულ 491.28 ევროდ და მესამე - ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებულ ამჟამინდელ საქმისწარმოებაზე გაღებულ 900 ევროდ.

29. საერთო იურისდიქციის სასამართლოს რეესტრში 2020 წლის 28 აგვისტოს შეტანილი დოკუმენტით განმცხადებელმა წარმოადგინა თავისი მოსაზრებები. იგი საერთო იურისდიქციის სასამართლოსაგან ითხოვს ანაზღაურებადი ხარჯების ჯამური ოდენობის განსაზღვრას 15 000 ევროს ოდენობით.

30. საერთო იურისდიქციის სასამართლოს პალატების შემადგენლობა შეიცვალა პროცედურული წესების 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მომხსენებელი მოსამართლე განწესდა მესამე პალატაში, რომელსაც შესაბამისად გადაეცა წინამდებარე საქმე.

კანონმდებლობა

31. პროცედურული წესების 170-ე მუხლის 1-3 პუნქტების თანახმად, მაშინ, როდესაც არსებობს დავა ანაზღაურებადი ხარჯების თაობაზე, სასამართლო, დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას ბრძანების ფორმით, რომელზეც არ დაიშვება არავითარი საჩივარი მას შემდეგ, რაც დაინტერესებულ მხარეს მიეცემა თავისი მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა.

32. პროცედურული წესების 140-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, ანაზღაურებად ხარჯებად ითვლება მხარეთა მიერ სასამართლო პროცესის მიზნებისათვის გაწეული აუცილებელი ხარჯები, კერძოდ, მგზავრობისა და საარსებო ხარჯები და რწმუნებულების, მრჩევლების ან ადვოკატების მომსახურებაზე გაწეული ხარჯები. ამ დებულებიდან გამომდინარე, ანაზღაურებადი ხარჯები შემოიფარგლება, პირველ რიგში, იმ ხარჯებით, რომლებიც გაწეულ იქნა სასამართლოში საქმისწარმოების მიზნებისთვის და, მეორე რიგში, იმ ხარჯებით, რაც ამ მიზნისთვის აუცილებელი იყო (იხ. 2007 წლის 25 იანვრის ბრძანება საქმეზე „ბერკშირის პოლოს კლუბის სამეფო საგრაფო OHIM-ის წინააღმდეგ – Polo/Lauren (ROYAL COUNTY OF BERKSHIRE POLO CLUB)“, T-214/04 DEP, EU:T:2007:16, მე-13 პუნქტი და მითითებული პრეცედენტული სამართალი).

33. წინამდებარე საქმეში ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობა უნდა შეფასდეს აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით.

ადვოკატთა ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობა

34. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილი არ არის, დააკისროს მხარეებს მათი საკუთარი ადვოკატებისთვის გადასახდელი ხარჯები, თუმცა მას შეუძლია, განსაზღვროს იმ ხარჯების ოდენობა, რაც უნდა გადახდეს მხარეს, რომელსაც ხარჯების ანაზღაურება დაეკისრა. ხარჯების დაკისრების შესახებ განცხადებაზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ვალდებული არ არის, გაითვალისწინოს ადვოკატთა ანაზღაურების რაიმე ეროვნული მასშტაბი ან რაიმე შეთანხმება დაინტერესებულ მხარესა და მის რწმუნებულებსა თუ მრჩევლებს შორის (იხ. 2004 წლის 28 ივნისის ბრძანება საქმეზე „Airtours. v Commission“, T-342/99 DEP, EU:T:2004:192 მე-17 პუნქტი და იქვე მითითებული პრეცედენტული სამართალი).

35. გარდა ამისა, ევროკავშირის კანონმდებლობის ისეთი დებულების არარსებობის პირობებში, რომელიც განსაზღვრავდა ხარჯების მასშტაბს, სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, საქმისწარმოების მიზანი, ხასიათი და მნიშვნელობა, ევროკავშირის კანონმდებლობა, ისევე, როგორც საქმეში წარმოდგენილი სირთულეები, საქმეში ჩართული რწმუნებულებისა და მრჩევლებისათვის საქმისწარმოებიდან გამომდინარე გაწეული სამუშაოს მოცულობა და მხარეთა ფინანსური ინტერესები, რომელიც მათ სამართალწარმოებისადმი გააჩნდათ. (იხ. 2004 წლის 28 ივნისის ბრძანება საქმეზე Airtours v Commission, T.-342/99 DEP, EU:T:2004:192, მე-18 პუნქტი და იქვე მითითებული პრეცედენტული სამართალი).

36. უპირველეს ყოვლისა, დავის მიზანთან, ხასიათთან და ევროკავშირის სამართლის თვალსაზრისით მის მნიშვნელობასთან, ასევე, როგორც საქმეში წარმოდგენილ სირთულეებთან დაკავშირებით, მესამე პირი, თავის მხრივ, არსებითად შემოიფარგლება იმით, რომ ამ საქმეს ძირითადი სამართალწარმოების ფარგლებში საგულისხმო მნიშვნელობა ჰქონდა.

37. განმცხადებელი, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ აღნიშნულ საქმეს არ წამოუჭრია რაიმე ახალი კომპლექსური ან მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხი.

38. ძირითად სამართალწარმოებაში საქმე ეხებოდა საჩივარს ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობის თაობაზე და, inter alia, დაკავშირებული იყო რამდენიმე საკითხთან ისეთი ნიშნის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რომელიც შედგება მარტოოდენ საქონლის იმ ფორმისგან, რომელიც აუცილებელია ტექნიკური შედეგის მისაღწევად. აღნიშნული საჩივრის წარდგენამდე, ბათილად ცნობის თაობაზე მესამე პირის⁶ მიერ აღძრულმა დავამ გამოიწვია შეფასება, რომელიც მიმდევრობით გაკეთდა გაუქმების განყოფილების, სააპელაციო საბჭოს, საერთო იურისდიქციის სასამართლოს, მართლმსაჯულების სასამართლოსა და შემდეგ ხელმეორედ – სააპელაციო საბჭოს მიერ.

39. ძირითადი სამართალწარმოების ფარგლებში წარდგენილი საჩივარი შედგებოდა ოთხი მოთხოვნისაგან. პირველი მოთხოვნის მიხედვით საჩივრის ავტორი ამტკიცებდა №40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ პუნქტის „ii“ ქვეპუნქტის, ხოლო მეორე მოთხოვნით – 207/2009 რეგულაციის 76-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას (ახლანდელი 2017/1001 რეგულაციის 95-ე მუხლის პირველი პუნქტით). მესამე მოთხოვნა 207/2009 რეგულაციის 75-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადების დარღვევაზე (ახლანდელი 2017/1001 რეგულაციის 94-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადება), მეოთხე მოთხოვნა კი 207/2009 რეგულაციის 65-ე მუხლის მე-6 პუნქტის (ამჟამად 2017/1001 რეგულაციის 72-ე მუხლის მე-6 პუნქტი) დარღვევაზე მიუთითებდა.

40. პირველი სასარჩელო მოთხოვნა შედგებოდა ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სააპელაციო საბჭომ სწორად დაადგინა სადავო ნიშნის არსებითი მახასიათებლები, ხოლო მეორე ნაწილში განმცხადებელმა გააკრიტიკა სააპელაციო საბჭო იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა შესაბამისი საქონლის სავარაუდო ტექნიკური შედეგი მეტისმეტად ვიწროდ და ამ ნიშნის არსებითი მახასიათებლების ფუნქციონირების არასწორი შეფასების გზით განმარტა და განსაზღვრა. პირველ ნაწილში წამოჭრილი საკითხები არ წარმოადგენდა განსაკუთრებულ სირთულეს, ვინაიდან ისინი არ მოიცავდა რაიმე სამართლებრივ შეფასებას და ამ საკითხების გადაჭრა სადავო ნიშნის გრაფიკული გამოსახულების მარტივი ვიზუალური ანალიზითაც შესაძლებელი იყო. მეორე ნაწილში წამოჭრილი საკითხები გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა და მნიშვნელოვანი იყო რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლის სათანადო გაგებისა და გამოყენებისათვის №40/94 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ii ქვეპუნქტის მიხედვით. თუმცა, ეს უკანასკნელი შეფასებები გასათვალისწინებელია იმ თვალსაზრისით, რომ პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ საკითხებზე გასაცემ პასუხებს, მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ნაწილობრივ უკვე განხილულ იქნა სააპელაციო საჩივარზე მიღებულ გადაწყვეტილებაში.

41. რაც შეეხება სარჩელის დანარჩენ სამ საფუძველს, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი არსებითად პროცედურული ხასიათის საკითხებს ეხებოდა, რომლებიც არ წარმოადგენდა

⁶ იხ. მე-16 პუნქტი

⁷ იხ. მე-5 პუნქტი

რაიმე სიახლეს ან განსაკუთრებულ სირთულეს და შესაძლებელი იყო მათი გადაწყვეტა დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. უფრო მეტიც, თავის შესაგებელში მესამე პირმა სარჩელის აღნიშნულ საფუძველებს მხოლოდ მცირე ყურადღება დაუთმო.

42. მეორე რიგში, მხარეთა ფინანსურ ინტერესებთან დაკავშირებით, მესამე პირის მტკიცებით, ისინი მნიშვნელოვანი იყო, ხოლო, განმცხადებლის მტკიცებით, ხარჯების დაკისრება მიმდინარე საქმისწარმოების კონტექსტში სრულიად არარელევანტურია.

43. ამასთან დაკავშირებით, განმცხადებლის პოზიციის საწინააღმდეგოდ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსურ ინტერესებთან დაკავშირებული კრიტერიუმი წარმოადგენს რელევანტურ კრიტერიუმს სამართალწარმოების მიზნებისათვის ობიექტურად აუცილებელი სამუშაო საათების რაოდენობის დასადგენად. ზემოხსენებულ 35-ე პუნქტში მითითებულ, პრეცედენტული სამართლით დადგენილ სხვადასხვა მოთხოვნებს შორის ის მოთხოვნები, რომლებიც ეფუძნება გაწეული სამუშაოს მოცულობასა და საქმეში არსებულ სირთულეებს, ემსახურება სამუშაო საათების რაოდენობის განსაზღვრას, რომელიც შეიძლება ნებისმიერ შემთხვევაში ჩაითვალოს საქმისათვის მკაცრად აუცილებლად, ხოლო დანარჩენი მოთხოვნების მიზანია იმის შემოწმება, არსებობდა თუ არა რაიმე განსაკუთრებული გარემოებები, რომელთა გამოც დამატებითი სამუშაო საათების გამოყოფა გამართლებული იქნებოდა (ამ მიზნით იხ. 2017 წლის 4 ივლისის ბრძანება საქმეზე „EASA v Heli-Flight“, C-61/15 P-DEP, გამოუქვეყნებელი, EU:C:2017:530, მე-19 პუნქტი).

44. შემდეგი საკითხი, უნდა ჩაითვალოს, რომ როგორც მართლმსაჯულების სასამართლომ საქმეზე „Simba Toys v EUIPO and Seven Towns“ (C-30/15 P-DEP, გამოუქვეყნებელი EU:C:2018:353, 30-ე პუნქტი) და „Simba Toys v EUIPO and Seven Towns“ (C-30/15 P-DEP2, გამოუქვეყნებელი, EU:C:2018:354, 31-ე პუნქტი) 2018 წლის 30 მაისის ბრძანებებით დაადგინა, მაშინაც კი, როდესაც მხარეებზე ზუსტი ეკონომიკური ზემოქმედება არ შეიძლება განისაზღვროს იმ მთლიანი ბრუნვის საფუძველზე, რომელიც შესაძლოა განსახილველ „ჯადოსნური კუბის“ თამაშებს მოეტანა, მესამე პირის გათვლებით, მაინც შესაძლებელია დავადგინოთ, რომ იმ ინფორმაციის ფონზე, რომ სამართალწარმოებისადმი მოდავე მხარის ფინანსური ინტერესი ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, იმის გათვალისწინებით, რომ როგორც საქმეზე „Simba Toys v EUIPO“ (C-30/15 P, EU:C:2016:849, 52-ე და 53-ე პუნქტები) 2016 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებიდან ირკვევა, სადავო ნიშანს შესწევდა მისი მფლობელისათვის ამ კატეგორიის თამაშებზე მონოპოლიის მინიჭების უნარი.

45. მესამე რიგში, რაც შეეხება საქმიდან გამომდინარე გასაწევ სამუშაოს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ სასამართლოსთვის უპირველესი განხილვის საგანია სამუშაო საათების ის მთლიანი ოდენობა, რომელიც შესაძლოა საერთო იურისდიქციის სასამართლოში განხორციელებული საქმისწარმოების მიზნებისათვის ობიექტურად საჭირო ჩანდეს. ამ მხრივ ევროკავშირის სასამართლოების შესაძლებლობა, შეაფასონ შესრულებული სამუშაოს ღირებულება, დამოკიდებულია მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტეზე (2017 წლის 26 იანვრის ბრძანება საქმეზე - „Nürburgring v EUIPO – Biedermann (Nordschleife)“, T 181/14. DEP, EU:T:2017:41, მე-19 პუნქტი).

46. მესამე პირი მოითხოვს ხარჯების ანაზღაურებას ერთი ადვოკატის მიერ გაწეული სამუშაოსათვის, კერძოდ, 64 საათისათვის, საათობრივი განაკვეთით - 460 ევროს ოდენობით, რაც საერთო ჯამში 29 440 ევროს შეადგენს. თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად მესამე პირმა განცხადებაში წარმოადგინა აღნიშნული ადვოკატის მიერ შესრულებული ამოცანების აღწერა, სამუშაოს შესრულების თარიღი და თითოეულ მათგანზე დახარჯული დრო. მესამე პირის მტკიცებით, ადვოკატის მიერ საქმისწარმოება იყო შრომატევადი და მოითხოვდა დიდ დროს, ვინაიდან განმცხადებელმა თავის საჩივარში წამოჭრა სხვადასხვა საკითხი და ახალი ფაქტები წარადგინა. მისივე მტკიცებით, მოთხოვნილი საათობრივი განაკვეთი ინტელექტუალური საკუთრების სამართალში სპეციალიზებული ადვოკატის შრომის შესატყვისია.

47. განმცხადებელს მიაჩნია, რომ მოთხოვნილი საათობრივი განაკვეთი უკიდურესად მაღალია და სადავოს ხდის მესამე პირის მიერ წარმოდგენილი სამუშაო საათების რაოდენობას იმაზე მითითებით, რომ ამ უკანასკნელის პროცესუალურ ამოცანას ხელი შეუწყო იმ ძირითადი მოდავე მხარის მიერ გაწეულმა სამუშაომ, რომლის მხარდასაჭერადაც მესამე პირი დავაში ჩაება. განმცხადებლის მოსაზრებით, მესამე პირის ადვოკატს უკვე ჰქონდა საქმის საფუძვლიანი ცოდნა და ივარაუდება, რომ ადვოკატი, რომელიც იმავდროულად არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალი, სამუშაოს ასრულებს ძალზე ეფექტურად და სწრაფად.

48. წინასწარვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მესამე პირის განცხადებიდან ირკვევა, მისი ადვოკატის მიერ შესრულებული სამუშაო საათების საერთო რაოდენობა შეადგენს არა 64 საათს, არამედ 62 საათსა და 30 წუთს. მაშასადამე, უკვე სახეზეა სამუშაო საათების მოთხოვნილი მთლიანი ოდენობის 1 საათითა და 30 წუთით შემცირების საჭიროება.

49. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ძირითად სამართალწარმოებაში, რომელიც ეხება გამოსაკვლევ დოკუმენტებს, განცხადება შედგებოდა 25 გვერდიანი მტკიცებულებებისა და 11 დანართისაგან, სულ - 45 გვერდისაგან. EUIPO-ს შესაგებელი, რომელსაც არ ერთვოდა დანართები, შედგებოდა 22 გვერდიანი მტკიცებულებებისაგან, სასამართლოს წერილობით კითხვებზე EUIPO-ს პასუხი შედგებოდა 6 გვერდისგან, ხოლო სხდომის ოქმი - 15 გვერდისგან. რაც შეეხება მესამე პირის წერილობით შუამდგომლობას, იგი შედგებოდა 20 გვერდისგან და ერთვოდა მხოლოდ სავაჭრო რეესტრიდან ამონაწერი, ადვოკატისადმი გაცემული რწმუნებულება და ცნობა, რომ ამ უკანასკნელს ჰქონდა ადვოკატის უფლებამოსილება.

50. მთავარი საქმისწარმოება შედგებოდა ზეპირი განხილვის ეტაპისაგან. 2019 წლის 23 იანვარს გამართულ ზეპირ მოსმენაზე, რომელიც სხდომის ოქმის მიხედვით, გრძელდებოდა 1 საათსა და 17 წუთს, მხარე წარმოდგენილი იყო მისი ადვოკატის მიერ.

51. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ ძირითად სამართალწარმოებაში მესამე პირის ადვოკატი მანამდე უკვე წარმოადგენდა ამ კომპანიას EUIPO-ს სააპელაციო საბჭოს გაუქმების განყოფილებაში (ჯერ საქმეზე R 1526/2008-2, შემდეგ კი საქმეზე R 452/2017). 1), საერთო იურისდიქციის სასამართლოში (საქმეზე T-450/09) და მართლმსაჯულების სასამართლოში (საქმეზე C-30/15 P). აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი

სამართალწარმოების პროცესის ეტაპზე მას უკვე ჰქონდა საქმისა და მისი სამართლებრივი შედეგების ირგვლივ დეტალური ცოდნა, რაც სავარაუდოდ, ხელს უწყობდა მის მუშაობასა და ამცირებდა საერთო იურისდიქციის სასამართლოში განსახილველად მომზადებისა და ზეპირი მოსმენისათვის საჭირო დროს (ამასთან დაკავშირებით, იხილეთ 2018 წლის 30 მაისის ბრძანებები - „Simba Toys v EUIPO and Seven Towns“, C-30/15 P-DEP, გამოუქვეყნებელი, EU:C:2018:353, 33-ე პუნქტი და მითითებული პრეცედენტული სამართალი, ასევე, საქმეზე „Simba Toys v EUIPO and Seven Towns“, C-30/15 P-DEP2, გამოუქვეყნებელი, EU:C:2018:354, 34-ე პუნქტი და მითითებული პრეცედენტული სამართალი).

52. გარდა ამისა, რამდენადაც წინამდებარე საქმეში მესამე პირის შესაგებელი მიზნად ისახავდა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ მესამე პირის ადვოკატის სამუშაო გაადვილდა იმდენად, რამდენადაც მას შეეძლო განმცხადებლის არგუმენტების საპასუხოდ დაჰყრდნობოდა სადავო გადაწყვეტილებას (იხ. 2019 წლის 17 სექტემბრის ბრძანება საქმეზე „Mozzetti v EUIPO – di Lelio (Alfredo alla Scrofa and ALFREDO'S GALLERY alla Scrofa Roma)“, T-96/15 DEP და T-97/15 DEP, გამოუქვეყნებელი, EU:T:2019:658, 25-ე პუნქტი და მითითებული პრეცედენტული სამართალი).

53. დაბოლოს, ივარაუდება, რომ ადვოკატი, რომელიც მესამე პირს საერთო იურისდიქციის სასამართლოში წარმოადგენდა, რომელიც არის მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების სფეროში და რომლის საათობრივი განაკვეთი შეადგენს 460 ევროს, მისთვის მინდობილ, მათ შორის, გარკვეულწილად რთულ საქმეებს, განიხილავს ეფექტურად და სწრაფად (ამასთან დაკავშირებით იხილეთ 2018 წლის 30 მაისის ბრძანებები: „Simba Toys v EUIPO and Seven Towns“, C 30/15 P-DEP, გამოუქვეყნებელი, EU:C:2018:353, 34-ე პუნქტი და მითითებული პრეცედენტული სამართალი, და „Simba Toys v EUIPO and Seven Towns“, C-30/15 P-DEP2, გამოუქვეყნებელი, EU:C:2018:354, 35-ე პუნქტი და მითითებული პრეცედენტული სამართალი).

54. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული დასკვნების შესაბამისად შესრულებული სამუშაო საათების გარკვეული ნაწილი ობიექტურად გამართლებულია, იგივე არ ითქმის სხვადასხვა სამუშაოსათვის მოთხოვნილი რამდენიმე საათის შემთხვევაში. მესამე პირის მიერ წარდგენილი განცხადებიდან ირკვევა, რომ იგი, ასევე, ითვალისწინებს ისეთ მომსახურებაზე დახარჯულ რამდენიმე საათს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში საქმისწარმოების მიზნებისათვის ობიექტურად აუცილებელი არ იყო და, შესაბამისად, არ შეიძლება ჩაითვალოს ანაზღაურებად ხარჯებად.

55. ამდენად, პირველ რიგში, აუცილებელია, გამოირიცხოს საათები, რომლებიც არ მიეკუთვნება ანაზღაურებადი ხარჯების კატეგორიას ზემოხსენებულ 32-ე პარაგრაფში მოყვანილი დადგენილი სასამართლო პრაქტიკის გაგებით. წინამდებარე საქმეში ასეთ ხარჯებს წარმოადგენს 2019 წლის 21 იანვარს „სამოგზაურო სამზადისისათვის“ დათმობილი ორი საათისათვის გაწეული ხარჯები.

56. მეორეც, მესამე პირის მიერ წარმოდგენილი დეტალური განცხადება ეხება დადგენილი სასამართლო პრაქტიკის კვლევასა და ანალიზთან დაკავშირებულ სამუშაოს, რომელიც გაწეულ იქნა 2017 წლის 31 ოქტომბერს, 2017 წლის 4 ნოემბერს და 2019 წლის 5 და 6 იანვარს და რამაც საერთო ჯამში 11 საათი და 45 წუთი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილი სასამართლო პრაქტიკის კვლევასა და ანალიზზე გაწეული ხარჯები შესაძლოა, მოექცეს ანაზღაურებადი ხარჯების ნაწილში იმდენად, რამდენადაც ისინი აუცილებელია წერილობითი ან ზეპირი მიმართვების მოსამზადებლად (2018 წლის 30 აპრილის ბრძანება საქმეზე- European Dynamics Belgium and Others v EMA, T. -158/12 DEP, გამოუქვეყნებელი, EU:T:2018:295, 27-ე პუნქტი), საათების რაოდენობა, რომელიც წინამდებარე საქმეზე მესამე პირის ადვოკატმა ამ ამოცანებს დაუთმო, როგორც ირკვევა, გადაჭარბებულია არჩეული საათობრივი განაკვეთის, გამოსაკვლევ საკითხების სირთულის მცირე ხარისხისა და იმ ფაქტის ფონზე, რომ ხსენებულ ადვოკატს უკვე ჰქონდა საქმის საფუძვლიანი ცოდნა. ამდენად, მოცემულ საქმეში დადგენილი სასამართლო პრაქტიკის კვლევისა და ანალიზისათვის დათმობილი ყველა ეს საათი არ შეიძლება ჩაითვალოს ანაზღაურებად ხარჯებად. ზემოხსენებული ამოცანების შესასრულებლად ობიექტურად საჭირო დრო, სამართლიანი შეფასების შემთხვევაში უნდა განისაზღვროს 6 საათით.

57. მესამე, რაც შეეხება საქმეზე გამართულ ზეპირ მოსმენას, მესამე პირის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში მითითებულია 4 საათიანი სამუშაო - მომზადებისათვის და 22 საათი და 15 წუთი - სხდომაში მონაწილეობის მიღებისათვის.

58. მიუხედავად იმისა, რომ სხდომისთვის მოსამზადებლად დათმობილი საათების რაოდენობა გონივრულია, იგივე არ ითქმის მასში მონაწილეობისთვის მიძღვნილი საათების რაოდენობაზე, ვინაიდან სხდომა მხოლოდ საათსა და ჩვიდმეტ წუთს გაგრძელდა. სხდომაში მონაწილეობისთვის საჭირო საათების რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ორ საათს. როგორც ჩანს, მესამე პირმა, ფაქტობრივად, სხდომაში მონაწილეობისთვის მოთხოვნილ საათებში ჩათვალა ასევე, მგზავრობის დრო ლუქსემბურგამდე (ლუქსემბურგი) და უკან. საქმის განხილვის მიზნით მოგზაურობის დროის თუნდაც ნაწილობრივ ანაზღაურების მოთხოვნა, სასამართლოს პროცედურული წესების 140-ე მუხლის „ბ“ პუნქტის გაგებით არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება მოექცეს „მხარეების მიერ სამართალწარმოების მიზნით აუცილებელი ხარჯების“ ცნებაში (ამასთან დაკავშირებით იხილეთ 2013 წლის 10 ოქტომბრის ბრძანება „ OCVV v Schröder“, C-38/09 P-DEP, გამოუქვეყნებელი EU:C:2013:679, 37-ე პუნქტი).

59. შესაბამისად, საერთო იურისდიქციის სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, საქმის განხილვისთვის მომზადებისა და მასში მონაწილეობისათვის ობიექტურად აუცილებელი სამუშაო დროის ჯამური ოდენობის განსაზღვრა 6 საათით.

60. ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრებისა და წინამდებარე საქმეში გამოყენებული საათობრივი განაკვეთის გათვალისწინებით, ადვოკატებზე გაწეული ანაზღაურებადი ხარჯები სამართლიანობის საფუძველზე შესაძლებელია შეფასდეს 17 710 ევროდ (38 საათიანი და 30 წუთიანი სამუშაო, საათობრივი განაკვეთით -460 ევროს ოდენობით).

ანაზღაურებადი ხარჯები

61. მესამე პირი მოითხოვს მთავარ საქმისწარმოებასთან დაკავშირებული მგზავრობისა და საარსებო ხარჯების ანაზღაურებას 491,28 ევროს ოდენობით.

62. განმცხადებელი ზემოაღნიშნულ ხარჯებთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს.

63. მესამე პირის მიერ მოთხოვნილი თანხა შეადგენს 491,28 ევროს, რაც მოიცავს 2019 წლის 23 იანვრის ზეპირ მოსმენაში მონაწილეობისათვის მატარებლითა და ტაქსით მგზავრობისა და ლუქსემბურგში საარსებო ხარჯებს მესამე პირის ადვოკატისათვის, რომლის კომპანია ნიურნბერგში (გერმანია) მდებარეობს. აღნიშნული ხარჯები გონივრულია, შესაბამისად, ისინი ანაზღაურებად ხარჯებად უნდა ჩაითვალოს.

ხარჯების დაკისრებასთან დაკავშირებით მიმდინარე ამჟამინდელ საქმისწარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები

64. მესამე პირი ითხოვს გაწეულ აუცილებელ ხარჯებთან დაკავშირებით წინამდებარე სამართალწარმოებაზე გაღებული 900 ევროს ანაზღაურებას იმაზე მითითებით, რომ ხარჯების დაკისრების შესახებ განცხადებაზე დახარჯული დრო „მნიშვნელოვნად აღემატება 3 საათს“.

65. განმცხადებელი აღნიშნული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნაზე კომენტარს არ აკეთებს.

66. ანაზღაურებადი ხარჯების, მათ შორის, აუცილებელი ხარჯების ოდენობის დადგენისას ხარჯების დაკისრების შესახებ განკარგულების გამოტანამდე სასამართლო ვალდებულია, გაითვალისწინოს საქმის ყველა გარემოება (2012 წლის 23 მარტის ბრძანება საქმეზე - Kerstens v Commission, T-498/09 P-DEP, გამოუქვეყნებელი, EU:T:2012:147, მე-15 პუნქტი).

67. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ განაცხადი ხარჯების დაკისრების შესახებ უფრო სტანდარტიზებული ხასიათისაა და პრინციპში, რაიმე სირთულის არარსებობისას, კარგად არის ცნობილი ისეთი ადვოკატისთვის, რომელსაც საქმის არსი უკვე განხილული აქვს (ამასთან დაკავშირებით იხ. 2013 წლის 10 ოქტომბრის ბრძანება „OCVV v Schröder“, C-38/09 P-DEP, გამოუქვეყნებელი, EU:C:2013:679, 42-ე პუნქტი და 2019 წლის 11 აპრილის ბრძანება- „Stada Arzneimittel v EUIPO – Urgo recherche innovation et Development (Immunostad)“, T-403/16 DEP, გამოუქვეყნებელი, EU:T:2019:249, 32-ე პუნქტი).

68. მესამე პირის მიერ ხარჯების დაკისრების ამჟამინდელ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ხარჯი 900 ევროს ოდენობით, გონივრულია და შესაბამისად, არ არსებობს მისგან გადახვევის საჭიროება.

69. ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, მესამე პირის ანაზღაურებადი ხარჯების მთლიანი ოდენობა სამართლიანობის საფუძველზე უნდა განისაზღვროს 19 101,28 ევროს ოდენობით.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საერთო იურისდიქციის სასამართლო (მესამე პალატა)

ადგენს:

„Rubik's Brand“ Ltd-ის მიერ „Simba Toys“ GmbH & Co. KG-ისათვის გადასახდელი ხარჯების
ჯამური ოდენობა განისაზღვრა 19 101,28 ევროს ოდენობით.

ლუქსემბურგი, 2021 წლის 24 თებერვალი.

ე. კულონი, რეგისტრატორი

ა.მ. კოლინზი, პრეზიდენტი

* საქმის განხილვის ენა: ინგლისური.

27/02/2020, C-240/18 P, Fack Ju Göhte

2020 წლის 27 თებერვალი (*)

(სააპელაციო საჩივარი – ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი – (EC) №207/2009 რეგულაციის – მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი – უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი – მორალის აღიარებული პრინციპების საწინააღმდეგო ნიშანი – სიტყვიერი ნიშანი „Fack Ju Göhte“ – სარეგისტრაციო განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა)

საქმეში C-240/18 P,

2018 წლის 4 აპრილს შეტანილ იქნა სააპელაციო საჩივარი ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წესდების 56-ე მუხლის საფუძველზე,

აპელანტი: „Constantin Film Produktion GmbH“, დაარსებული მიუნხენში (გერმანია), წარმოდგენილი ადვოკატების, ფ. ბარონიკიანსის და ს. შმიდტის მიერ,

მოწინააღმდეგე მხარე: ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO), რომელიც პირველ ინსტანციაში გახლდათ მოპასუხე, წარმოდგენილი რწმუნებულის, დ. ჰანფის მიერ,

სასამართლო (მეხუთე პალატა), შემდეგი შემადგენლობით: მოსამართლეები: ე. რეგანი, პალატის პრეზიდენტი, ი. იარუკაიტისი, ე. იუჰასზი, მ. ილესიჩი (მომხსენებელი) და კ. ლიკორგოსი,

სასამართლო გენერალური მრჩეველი: მ. ბობეკი,

რეგისტრატორი: კ. სტრომჰოლმი, ადმინისტრატორი

წერილობითი პროცედურული ნორმების გათვალისწინებით და 2019 წლის 13 თებერვლის ზეპირი მოსმენის შემდეგ, 2019 წლის 2 ივლისს გამართულ ზეპირ მოსმენაზე სასამართლო მრჩეველის მოსაზრების მოსმენის შემდეგ, გამოაქვს შემდეგი გადაწყვეტილება:

1. თავისი სააპელაციო საჩივრით „Constantin Film Produktion“ GmbH სასამართლოსაგან მოითხოვს ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმებას საქმეზე „Constantin Film Produktion v EUIPO“ (Fack Ju Göhte) (T-69/17, გამოუქვეყნებელი, EU: T:2018:27; „გასაჩივრებული გადაწყვეტილება“), რომლითაც არ დაკმაყოფილა საჩივარი ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) მეხუთე სააპელაციო საბჭოს 2016 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე (საქმე R 2205/2015-5, „სადავო გადაწყვეტილება“), სიტყვიერი ნიშნის - „Fack Ju Göhte“ ევროკავშირის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის განაცხადთან დაკავშირებით.

სამართლებრივი კონტექსტი

2. „ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის შესახებ“ საბჭოს (EC) 2009 წლის 26 თებერვლის №207/2009 რეგულაცია (OJ 2009 L 78, გვ. 1), რომელშიც ცვლილება შევიდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 16 დეკემბრის (EU) 2015/2424 რეგულაციით (OJ 2015 L 341, გვ. 21), რაც ძალაში შევიდა 2016 წლის 23 მარტს. №207/2009 რეგულაცია, რომელიც შეიცვალა, გაუქმდა და ჩანაცვლდა 2017 წლის 1 ოქტომბრიდან ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 14 ივნისის (EU) 2017/1001 რეგულაციით (EUTMR), (OJ 2017 L 154, გვ. 1). განსახილველი სარეგისტრაციო განაცხადის შეტანის თარიღიდან, კერძოდ, 2015 წლის 21 აპრილიდან, გამომდინარე საქმის ფაქტობრივი გარემოებები რეგულირდება №207/2009 რეგულაციის არსებითი დებულებებით.

3. №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლი, სახელწოდებით „უარის აბსოლუტური საფუძველი“, თავის 1-3 პუნქტებში ადგენს:

„1. არ შეიძლება დარეგისტრირდეს:

...

(ვ) სასაქონლო ნიშნები, რომლებიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან მორალის აღიარებულ პრინციპებს;

...

2. 1-ლი პუნქტი გამოიყენება მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველები არსებობს [ევროკავშირის] მხოლოდ რომელიმე ნაწილში.

3. 1-ლი პუნქტის „ბ“, „გ“, და „დ“ ქვეპუნქტები არ გამოიყენება, თუ სასაქონლო ნიშანი გამოყენების შედეგად გახდა განმასხვავებელუნარიანი იმ საქონლის ან მომსახურების მიმართ, რომლისთვისაც რეგისტრაცია მოითხოვება.“

4. №207/2009 რეგულაციის 75-ე მუხლში, სახელწოდებით „გადაწყვეტილების დასაბუთება“, აღნიშნულია: „უწყების (EUIPO) გადაწყვეტილებებში მითითებული უნდა იყოს ის მიზეზები, რომლებსაც ეს გადაწყვეტილებები ეფუძნება. ...“

5. №207/2009 რეგულაციის 76-ე მუხლი, სახელწოდებით „ფაქტების ექსპერტიზა უწყების მიერ საკუთარი ინიციატივით“, 1-ელ პუნქტში ადგენს შემდეგს:

„საქმისწარმოებისას უწყება იკვლევს ფაქტებს საკუთარი ინიციატივით; თუმცა, რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებით საფუძველბთან დაკავშირებულ საქმისწარმოებაში ფაქტების ექსპერტიზის დროს უწყება შეზღუდულია მხარეთა მიერ მოწოდებული ფაქტებით, მტკიცებულებებით, არგუმენტებითა და წარდგენილი მოთხოვნის ფარგლებით. ...“

6. 2015/2424 რეგულაციის პრეამბულის 21-ე პუნქტი ადგენს:

„(21)... გარდა ამისა, წინამდებარე რეგულაცია ისე უნდა გამოიყენებოდეს, რომ უზრუნველყოფილი იყოს ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების, განსაკუთრებით, გამოხატვის თავისუფლების სრული პატივისცემა“.

7. 2017/1001 რეგულაციის პრეამბულის 21-ე პუნქტი სიტყვა სიტყვით იმეორებს წინა რეგულაციის 2015/242 პრეამბულის 21-ე პუნქტში მოცემულ ფორმულირებას.

დავის საფუძვლები და სადავო გადაწყვეტილება

8. 2015 წლის 21 აპრილს აპელანტმა, „Constantin Film Produktion-მა“ EUIPO-ში შეიტანა განაცხადი ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ, №207/2009 რეგულაციის შესაბამისად.

9. სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს სიტყვიერ ნიშანს "Fack Ju Göhte", რომელიც, ფაქტობრივად, არის აპელანტის მიერ წარმოებული გერმანული კინოკომედიის სახელწოდება და რომელიც წარმოადგენს 2013 წლის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ფილმს გერმანიაში. ამ კინოკომედიის ორი გაგრძელება შექმნა აპელანტმა, რომლებიც კინოთეატრებში 2015 და 2017 წლებში გავიდა, სათაურით - "Fack Ju Göhte 2" და "Fack Ju Göhte 3."

10. საქონელი და მომსახურება, რომლის მიმართ მოთხოვნილ იქნა რეგისტრაცია, შედის „ნიშნების რეგისტრაციისთვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ“ 1957 წლის 15 ივნისის ნიცის შეთანხმების, გადასინჯვისა და ცვლილების შეტანის შემდეგ მე-3, მე-9, მე-14, მე-16, მე-18, 21-ე, 25-ე, 28-ე, 30-ე, 32-ე, 33-ე, 38-ე და 41-ე კლასებში და თითოეული ამ კლასისთვის შეესაბამება შემდეგ აღწერას:

- კლასი 3 - „მათერებელი საშუალებები და სხვა სარეცხი ნივთიერებები; საწმენდი, გასაპრიალებელი, სახეხი და აბრაზიული პრეპარატები; საპნები; პარფიუმერია, ეთერზეთები, კოსმეტიკა, თმის ლოსიონები; კბილის საწმენდი საშუალებები;
- კლასი 9 - „ყველა სახის ჩაწერილი მონაცემთა მედია; ელექტრონული პუბლიკაციები (ჩამოტვირთვადი), კერძოდ, აუდიო, ვიდეო, ტექსტუალური, სურათები და გრაფიკა ციფრულ ფორმატში; ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული და სასწავლო აპარატები და ინსტრუმენტები; აპარატურა ხმის ან გამოსახულების ჩაწერის, გადაცემისა და რეპროდუცირებისათვის; ...“
- კლასი 14 - "სამკაულები, ძვირფასი ქვები; ...“
- კლასი 16 - „ნაბეჭდი მასალა; ფოტოები; საკანცელარიო ნივთები; ოფისის აქსესუარები...“
- მე-18 კლასი - „საბარგო და სამგზავრო ჩანთები; მზისგან და წვიმისგან დამცავი ქოლგები; ხელჯოხები; ჩემოდნები ...“
- კლასი 21 - „მინის, ფაიფურის და თიხის ჭურჭელი, რომელიც არ შედის სხვა კლასებში; შანდლები“;
- კლასი 25 - „ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავი“;

- კლასი 28 – „თამაშები, სათამაშოები; ტანვარჯიშის და სპორტის აქსესუარები , რომლებიც არ შედის სხვა კლასებში; საშობაო ნაძვის ხის მოსართავები;
- კლასი 30 - „ყავა, ჩაი, კაკაო და ყავის შემცვლელი; ბრინჯი; ტაპიოკა და საგო; მარცვლეულის, პურის, საკონდიტრო ნაწარმისა და საკონდიტრო ნაწარმისგან დამზადებული ფქვილი და შედგენილობები; ნაყინი; შაქარი, თაფლი, ბადაგი; საფუარი, საცხობი ფხვნილები ...“
- კლასი 32 – „ლუდი; მინერალური და გაზიანი წყლები და სხვა უალკოჰოლო სასმელები; ხილის სასმელები და წვენი; ...“
- კლასი 33 – „ალკოჰოლური სასმელები (ლუდის გარდა)“;
- კლასი 38 – „სატელეკომუნიკაციო მომსახურება; ინტერნეტ ჩატისა და ფორუმების უზრუნველყოფა, ინტერნეტით მონაცემთა გადაცემა...“;
- კლასი 41 — „განათლება; სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა; გასართობი, კერძოდ კინო და სატელევიზიო გასართობი, რადიო და სატელევიზიო გადაცემების შედგენა, რადიო, სატელევიზიო და კინოს წარმოება, ფილმების დაქირავება, ფილმების პრეზენტაცია კინოთეატრებში; სპორტული და კულტურული აქტივობები“.

11. №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და ამ რეგულაციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ერთობლიობის საფუძველზე, 2015 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით ექსპერტმა უარი თქვა სარეგისტრაციო განაცხადის დაკმაყოფილებაზე წინა პუნქტში მითითებული საქონლისა და მომსახურების მიმართ.

12. ექსპერტის გადაწყვეტილებაზე 2015 წლის 5 ნოემბერს EUIPO-ში აპელანტმა შეიტანა სააპელაციო საჩივარი №207/2009 რეგულაციის 58-64-ე მუხლების შესაბამისად.

13. სადავო გადაწყვეტილებით EUIPO-ს მეხუთე სააპელაციო საბჭომ აღნიშნული სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

პროცესი საერთო იურისდიქციის სასამართლოში და გასაჩივრებული გადაწყვეტილება

14. 2017 წლის 3 თებერვალს საერთო იურისდიქციის სასამართლოს რეესტრში შეტანილი საჩივრით აპელანტმა საჩივარი წარადგინა განსახილველი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

15. საჩივრის გასამყარებლად აპელანტი ეყრდნობოდა ორ სასარჩელო მოთხოვნას, რომლითაც ამტკიცებდა (i) 207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და (ii) რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

16. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საერთო იურისდიქციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა არც ერთი სასარჩელო მოთხოვნა, შესაბამისად, მთლიანად უარი განაცხადა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

მხარეთა წარდგინებები მართლმსაჯულების სასამართლოში

17. აპელანტი სასამართლოსაგან მოითხოვს:

- გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას,
- EUIPO-სათვის ხარჯების გადახდის დაკისრებას.

18. თავის მხრივ, EUIPO სასამართლოსაგან მოითხოვს:

- საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას,
- აპელანტისათვის ხარჯების გადახდის დაკისრებას.

სააპელაციო საჩივარი

19. თავისი სააპელაციო საჩივრის მხარდასაჭერად აპელანტმა წამოაყენა სააპელაციო საჩივრის სამი საფუძველი. ესენია: (i) 207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის დარღვევა; (ii) თანაბარი მოპყრობის პრინციპის დარღვევა და (iii) სამართლებრივი უსაფრთხოებისა და ჯანსაღი ადმინისტრირების პრინციპების დარღვევა.

20. მიზანშეწონილია, რომ პირველ რიგში განხილულ იქნეს სააპელაციო საჩივრის პირველი საფუძველი, რომელიც მიუთითებს №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის დარღვევაზე.

მხარეთა წარდგინება

21. სააპელაციო საჩივრის პირველი საფუძველით, აპელანტი არსებითად ამტკიცებს, რომ იმ საკითხის გამოკვლევისას, არღვევს თუ არა ნიშანი მორალის აღიარებულ პრინციპებს, საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაუშვა შეცდომა №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის განმარტებისა და გამოყენებისას. სააპელაციო საჩივრის აღნიშნული საფუძველი იყოფა ოთხ ნაწილად.

22. აპელანტი, პირველ რიგში, ამტკიცებს, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაარღვია ინდივიდუალური შემოწმების პრინციპი იმით, რომ მან განიხილა არა ის ნიშანი, რომლის რეგისტრაციაც იყო მოთხოვნილი, კერძოდ, „Fack Ju Göhte“, არამედ ნიშანი „Fuck you, Goethe“.

23. უფრო მეტიც, აპელანტი ამტკიცებს, რომ გამოთქმებმა - "Fuck" და "Fuck You" დაკარგეს ვულგარული მნიშვნელობა საზოგადოებაში ენის ევოლუციის გამო. მისი მტკიცებით, არ არსებობს უარის თქმის ზოგადი საფუძველი ამ ტერმინების, მათ შორის, სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციაზე, რაც დასტურდება ისეთი ნიშნების ევროკავშირის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის ფაქტით, როგორებიცაა „Fucking Hell“ და „MACAFUCKER.“

24. მეორე რიგში, აპელანტი ამტკიცებს, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლომ ზედმეტად ფართოდ განმარტა №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მორალის აღიარებულ პრინციპებზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი, რამეთუ სიტყვებთან: „Fuck“ და „Fuck You“ დაკავშირებული

შეფასებები გამოიყენა სარეგისტრაციოდ წარდგენილ ნიშანთან დაკავშირებით მთლიანად და ასევე დაადგინა, რომ სიტყვიერი ნიშანი „Fack Ju Göhte“ განმსჭვალულია ისეთი შინაგანი ვულგარულობით, რომელსაც ვერ შეასუსტებს ისეთი ელემენტის დამატება, როგორცაა „Göhte“.

25. კერძოდ, აპელანტი ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლოს არ გამოუჩენია საჭირო სიფრთხილე და მგრძობელობა უარის თქმის საფუძვლის გამოყენებისას, რომელიც სუბიექტურ ფასეულობებთან დაკავშირებით შეზღუდულად და შეძლებისდაგვარად მიზნობრივად უნდა გამოეყენებინა, რათა თავიდან აეცილებინა ნიშნების რეგისტრაციაზე იმ მიზეზით უარის თქმის რისკი, რომ ისინი არ შეესაბამება ექსპერტის (შემფასებლის) პირად გემოვნებას. აპელანტის განცხადებით, საერთო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის ფაქტი, რომ საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ქმნის სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშანი და გერმანულ ენაზე გამოთქმის, როგორც "Fuck You", ფონეტიკური ტრანსკრიფციის ფონზე ელემენტ "Göhte"-სთან ერთად გაგებულია, როგორც არაპოპულარული სასკოლო საგნების აღნიშვნა, ან სკოლაში იმედგაცრუების გამომხატველი უწყინარი, ბავშვური და მხიარული ინდივიდუალური თავისებურება.

26. მესამე რიგში, აპელანტი ამტკიცებს, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ თითქოს ვერ იქნა დადასტურებული ის ფაქტი, რომ გერმანულენოვანი საზოგადოება შოკირებული არ არის ნიშნით იმ საქონელსა და მომსახურებასთან კავშირში, რომლისთვისაც რეგისტრაცია მოითხოვება. ამასთან დაკავშირებით აპელანტი ამტკიცებს, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა მტკიცების ტვირთის მომწესრიგებელი ნორმები. გარდა ამისა, იგი აცხადებს, რომ საერთო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ნიშნის აღქმა შესაბამისი საზოგადოების მიერ არ შეიძლება განისაზღვროს აბსტრაქტულად და განცალკევებული იყოს რაიმე ემპირიული საფუძვლისგან, მხოლოდ სუბიექტურ ღირებულებებზე დაყრდნობით, არამედ ის უნდა შეფასდეს იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნიან იმაზე, თუ რეალურად როგორ აღიქვამს საზოგადოება ამ ნიშანს. ამავე სახელწოდებაში ფილმის დიდი წარმატება და გოეთეს ინსტიტუტის (გერმანია) მიერ ფილმის საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენება ცხადყოფს, რომ გერმანულენოვან ფართო საზოგადოებას, ე.ი. შესაბამის საზოგადოებას, მოცემულ შემთხვევაში, ესმის ნიშნის იუმორისტული ხასიათი და არ თვლის მას რაიმე ფორმით შეურაცხმყოფლად ან ვულგარულად.

27. მეოთხე რიგში, აპელანტი ამტკიცებს, საერთო იურისდიქციის სასამართლომ, მისივე მცდარი შეფასებების გამო, დაუშვა კანონისმიერი შეცდომა, როდესაც გაათანაბრა (i) მოსარჩელის ინტერესი ნიშნის რეგისტრაციისადმი და (ii) საზოგადოების ინტერესი, რომ ეს უკანასკნელი არ გადააწყდეს (ბაზარზე) ნიშნებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მორალის აღიარებულ პრინციპებს და შესაბამისად, ნიშნებს, რომლებიც შემამფოთებელი, უხამსი, შეურაცხმყოფელი ან მუქარის შემცველიც კია.

28. EUIPO აცხადებს, რომ სააპელაციო საჩივრის პირველი საფუძველი უარყოფილი უნდა იქნეს.

29. უპირველეს ყოვლისა, EUIPO-ს მიაჩნია, რომ აპელანტის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლომ განიხილა ნიშანი „Fuck you, Goethe“ და არა ნიშანი, რომელზეც წარდგენილი იყო განაცხადი, კერძოდ, „Fack Ju Göhte“, რაც ეფუძნება გასაჩივრებული ნიშნის არასწორ წაკითხვას. აღნიშნული გადაწყვეტილების მე-17, მე-18 და მე-20 პუნქტები, ამ გადაწყვეტილების მე-16 პუნქტში მოცემული წინაპირობის გათვალისწინებით, იმგვარად უნდა იქნეს წაკითხული, რომ მომხმარებელი „ჩვეულებრივ, სასაქონლო ნიშანს აღიქვამს მთლიანობაში“, რაც მას ხელს არ უშლის იმ სიტყვიერი ელემენტების იდენტიფიცირებაში, რომლებიც მისთვის მიუთითებს კონკრეტულ მნიშვნელობაზე ან ჰგავს მისთვის ნაცნობ სიტყვებს”.

30. მეორე, EUIPO ამტკიცებს, რომ არ უნდა იქნეს გაზიარებული აპელანტის განცხადება იმის შესახებ, რომ ტერმინებმა „Fuck“ და „Fuck You“ დაკარგეს თავდაპირველი სექსუალური მნიშვნელობა ისე, რომ ისინი აღარ აღიქმება, როგორც ვულგარული და შეურაცხმყოფელი, ვინაიდან ეს განცხადება შეეხება ფაქტის დადგენას. ნებისმიერ შემთხვევაში, ხსენებული არგუმენტი უსაფუძვლოა, ვინაიდან საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაადგინა, რომ გამოთქმა „Fuck you“, თავისი არსით, ვულგარული იყო იმ შემთხვევაშიც კი, თუ ენის ევოლუციის შედეგად ის აღქმული აღარ არის მისი თანმდევი სექსუალური მნიშვნელობით.

31. მესამე, EUIPO ამტკიცებს, რომ სადავო გადაწყვეტილების მე-18 პუნქტში საერთო იურისდიქციის სასამართლომ ცალსახად გაითვალისწინა გამოთქმის - “Fuck you” მნიშვნელობის შეცვლა იმაზე მითითებით, რომ ის ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს პიროვნების მიმართ ბრაზის, უნდობლობის ან ზიზღის გამოსახატად.

32. მეოთხე, EUIPO მიიჩნევს, უსაფუძვლოა აპელანტის არგუმენტი იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლომ შეცდომა დაუშვა №207/2009 რეგულაციის მე-7 პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის ინტერპრეტაციაში, როდესაც დაადგინა, რომ ფილმის „Fack Ju Göhte“ დიდი წარმატება არ ნიშნავს, რომ შესაბამისი საზოგადოება შოკირებული არ არის ამ ნიშნით. აპელანტის მტკიცებებისგან განსხვავებით, საერთო იურისდიქციის სასამართლოს არ გამოუყენებია წმინდა სუბიექტური კრიტერიუმი მორალის აღიარებული პრინციპების გამოკვლევისას, არამედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 28-30-ე პუნქტებში ცალსახად განიხილა იმის შესაძლებლობა, რომ ნიშანი არ იყო ვულგარული, არამედ შესაძლოა აღქმული ყოფილიყო, როგორც „ხუმრობა“.

33. ამ კონტექსტში, EUIPO აცხადებს, რომ სასაქონლო ნიშნით მინიჭებული ექსკლუზიური უფლების მიზანია, უზრუნველყოს ჯანსაღი კონკურენცია და არა გამოხატვის თავისუფლება მაშინ, როდესაც ფილმის სათაური ემსახურება ერთი მხატვრული ნაწარმოების მეორისგან განსხვავებას და მის შინაარსზე მითითებას, გამოხატვის თავისუფლებისა და შემოქმედებითი თავისუფლების გამოხატვისას. საშუალო მომხმარებლისთვის ცნობილი იქნებოდა ამ განსხვავების თაობაზე და შესაბამისად, უცილობლად ერთნაირად არ

ალიკვამდა ბრენდებსა და ფილმების სახელებს. აქედან გამომდინარე, იმ მომხმარებლების შემთხვევაშიც კი, რომლებიც იცნობენ მოცემულ ფილმს, შეუძლებელია ვივარაუდოთ, რომ სასაქონლო ნიშანი აღიქმება, როგორც „ხუმრობა“. გარდა ამისა, შესაბამისი მომხმარებლები ამ შემთხვევაში ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი იქნებიან, ვიდრე ისინი, ვისთვისაც ნაცნობია განსახილველი ფილმი და „ახალგაზრდული ჟარგონი“.

34. მეხუთე, EUIPO ამტკიცებს, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ თუ ნიშანი შედგება ტერმინისგან, რომელიც შესაბამისი საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც არსებითად ვულგარული და შესაბამისად, შეურაცხმყოფელი, იგი წარმოადგენს „აშკარად უხამს სასაქონლო ნიშანს“ და ეწინააღმდეგება „მორალის აღიარებულ პრინციპებს“.

35. მეექვსე, EUIPO-ს მოსაზრებით, აპელანტი არასწორად ამტკიცებს, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლომ უკანონოდ შეცვალა მტკიცების ტვირთი გასაჩივრებული გადაწყვეტილების 30-ე პუნქტში და დაასკვნა, რომ თითქოს არ დასტურდებოდა, რომ შესაბამისი საზოგადოება სარეგისტრაციოდ წარდგენილ სასაქონლო ნიშანში ამოიცივნობს ფილმის სათაურს და შესაბამისად - „ხუმრობას“. ეს დასკვნა კონტექსტში უნდა იქნეს წაკითხული. მართალია, №207/2009 რეგულაციის 75-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 76-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები EUIPO-ს მიერ ex officio⁸ უნდა განიხილებოდეს და ასეთი საფუძვლების არსებობა თანმიმდევრულად უნდა იყოს დასაბუთებული, თუმცა ფაქტად რჩება ის, რომ როდესაც EUIPO ან საერთო იურისდიქციის სასამართლო (რომელზეც იგივე სამართლებრივი მოთხოვნები ვრცელდება, როდესაც საქმე ეხება EUIPO-ს მიერ სასაქონლო ნიშნის განაცხადზე უარის თქმის გადაწყვეტილებაზე წარდგენილი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას) განმცხადებლის პოზიციას უპირისპირებს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს ან სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშნის შეუსაბამობაზე დაფუძნებულ შეფასებას, განმცხადებლის გადასაწყვეტია, უარყოს თუ არა ისინი კონკრეტული და სათანადოდ დასაბუთებული ინფორმაციით. EUIPO-ს მტკიცებით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში საერთო სასამართლოს მიერ დაცული იქნა ზემოთ ჩამოთვლილი სამართლებრივი მოთხოვნები.

36. მეშვიდე და საბოლოო, EUIPO აცხადებს, რომ უსაფუძვლოა აპელანტის არგუმენტი იმის შესახებ, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლომ ვერ დაამყარა სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის ინტერესსა და საჯარო ინტერესს შორის.

სასამართლოს შეფასება

37. №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, არ უნდა დარეგისტრირდეს სასაქონლო ნიშნები, რომლებიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან მორალის აღიარებულ პრინციპებს. გარდა ამისა, ამავე რეგულაციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარეობს, რომ მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული

⁸ რედაქტორის შენიშვნა - იგულისხმება, რომ განეკუთვნება EUIPO-ს კომპეტენციას.

უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები გამოიყენება მაშინაც კი, თუ ისინი არსებობს ევროკავშირის მხოლოდ რომელიმე ნაწილში.

38. როგორც საერთო იურისდიქციის სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 24-ე პუნქტში დაადგინა (და აღნიშნული მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია), EUIPO-მ №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე უარი განაცხადა სიტყვიერი ნიშნის „Fack Ju Göhte“ რეგისტრაციაზე არა იმ საფუძველით, რომ ეს ნიშანი შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს საჯარო წესრიგს, არამედ მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ნიშანი ეწინააღმდეგება მორალის აღიარებულ პრინციპებს. მაშასადამე, სააპელაციო საჩივრის პირველი მოთხოვნა გამოკვლეულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ უკანასკნელი უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლის გათვალისწინებით.

39. რაც შეეხება უარის თქმის ხსენებულ საფუძველს, უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან №207/2009 რეგულაციით განსაზღვრული არ არის ცნება „მორალის აღიარებული პრინციპები“, იგი უნდა განიმარტოს მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისა და იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც საზოგადოდ ხდება მისი გამოყენება. თუმცა, როგორც სასამართლოს გენერალური მრჩეველი თავისი დასკვნის 77-ე პუნქტში არსებითად აღნიშნავს, ეს კონცეფცია, მისი ჩვეულებრივი გაგებით, ეხება იმ ფუნდამენტურ მორალურ ღირებულებებსა და სტანდარტებს, რომლებსაც მოცემული დროისათვის საზოგადოება მისდევს. ღირებულებები და ნორმები, რომლებიც სავარაუდოდ შეიცვლება დროთა განმავლობაში და განსხვავდება სივრცეში, უნდა განისაზღვროს შეფასების დროისათვის ამ საზოგადოებაში გაბატონებული სოციალური კონსენსუსის მიხედვით. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას სათანადოდ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული სოციალური კონტექსტი, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მისთვის დამახასიათებელი კულტურული, რელიგიური ან ფილოსოფიური მრავალფეროვნება, რათა ობიექტურად შეფასდეს ის, რაც საზოგადოებას იმ დროისათვის ზნეობრივად მისაღებად მიაჩნია.

40. უფრო მეტიც, №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის გამოყენების კონტექსტში, იმის შემოწმება, მორალის აღიარებულ პრინციპებს ეწინააღმდეგება თუ არა ნიშანი, რომლის მიმართაც ევროკავშირის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციას მოითხოვენ, საჭიროებს კონკრეტულ შემთხვევაში არსებული ყველა ელემენტის გამოკვლევას, რათა დადგინდეს, თუ როგორ აღიქვამდა შესაბამისი საზოგადოება ასეთ ნიშანს იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა მისი სასაქონლო ნიშნად გამოყენება მოთხოვნილი საქონლის ან მომსახურებისთვის.

41. ამასთან დაკავშირებით, იმისათვის, რათა განსახილველი ნიშანი მოექცეს №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის ფარგლებში, საკმარისი არ არის, რომ იგი უგემოვნოდ ითვლებოდეს. ამისათვის საჭიროა, რომ ექსპერტიზის დროს ნიშანი შესაბამისი საზოგადოების მიერ აღიქმებოდეს, როგორც იმ დროს არსებული ფუნდამენტური მორალური ღირებულებებისა და სტანდარტების საწინააღმდეგო ნიშანი.

42. იმის დასადგენად, ადგილი აქვს თუ არა მსგავს შემთხვევას კონკრეტულ საქმეში, ექსპერტიზა უნდა ეფუძნებოდეს გონივრული პირის აღქმას, რომელსაც გააჩნია გულისხმიერებისა და ტოლერანტობის საშუალო ზღვარი იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც შესაძლოა ნიშანი შეგვხვდეს და საჭიროების შემთხვევაში, ევროკავშირის შესაბამის ნაწილში არსებული ცალკეული გარემოებების გათვალისწინებითაც. ამ მიზნით აქტუალურია ისეთი ელემენტები, როგორც კანონმდებლობა და ადმინისტრაციული პრაქტიკა, საზოგადოებრივი აზრი და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საზოგადოების მიერ წარსულში ამ ან მსგავსი ნიშნისადმი გამოხატული რეაქცია, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელიც საზოგადოების აღქმის შეფასებას შესაძლებელს გახდის.

43. ჩასატარებელი ექსპერტიზა არ შეიძლება შემოიფარგლოს სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშნის ან თუნდაც მისი გარკვეული კომპონენტების აბსტრაქტული შეფასებით, არამედ უნდა დადგინდეს (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განმცხადებელი ეყრდნობა ისეთ ფაქტორებს, რომლებიც ექვევემ აყენებენ ფაქტს, რომ ეს ნიშანი შესაბამისი საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც მორალის აღიარებული პრინციპების საწინააღმდეგო), რომ ამ ნიშნის გამოყენება კონკრეტულ და იმ დროს არსებულ სოციალურ კონტექსტში საზოგადოების მიერ ნამდვილად აღიქმება, როგორც საზოგადოების ფუნდამენტური მორალური ღირებულებებისა და სტანდარტების საწინააღმდეგო.

44. სწორედ ამ პრინციპების გათვალისწინებით უნდა იქნეს განხილული სააპელაციო საჩივრის არსებითი ნაწილი, რომლითაც აპელანტი ამტკიცებს, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლომ შეცდომა დაუშვა №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის განმარტებისა და გამოყენებისას.

45. წინამდებარე საქმეში სადავო არ არის, როგორც საერთო იურისდიქციის სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-14 და მე-17 პუნქტებში დაადგინა და ამ ნაწილში ძალაში დატოვა აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო საბჭოს შეფასება, რომ შესაბამისი საზოგადოება შედგება ევროკავშირის, კერძოდ, გერმანიისა და ავსტრიის გერმანულენოვანი ფართო საზოგადოებისგან.

46. რაც შეეხება სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშნის ამ საზოგადოების მიერ აღქმას, საერთო იურისდიქციის სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-18 პუნქტში აღნიშნა, რომ საზოგადოება ამ ნიშანს მიახლოებს ინგლისურ ფრაზას „Fuck you“, გვარ Goethe-სთან ერთობლიობაში, რომელიც მთლიანად შესრულებულია სხვა მართლწერით, რაც განპირობებულია ამ გამოთქმების გერმანულ ენაზე ფონეტიკური ტრანსკრიფციით. მიუხედავად იმისა, რომ მისი თავდაპირველი მნიშვნელობით, ინგლისურ ფრაზას - "Fuck you" ჰქონდა თანმდევი სექსუალური მნიშვნელობა და იყო ვულგარული, ის ასევე შესაძლოა, გამოყენებული ყოფილიყო სხვა კონტექსტში, ადამიანის მიმართ ბრაზის, უნდობლობის ან ზიზღის გამოსახატად. თუმცა ასეთ ვითარებაშიც კი, ეს ფრაზა მაინც არსებითად ვულგარული დარჩებოდა და ელემენტ "Göhte"-ს დამატება სადავო ნიშნის ბოლოს, რაც

შესაძლებელს გახდიდა იმის დადგენას, თუ ვისადმი იყო მიმართული ამ სიტყვების დასაწყისი, აღნიშნული ფრაზის ვულგარულობას ვერ შეასუსტებდა.

47. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-19 პუნქტში საერთო იურისდიქციის სასამართლო აპელანტის მოსაზრების საწინააღმდეგოდ დასძენს, რომ ის ფაქტი, რომ ფილმი „Fack Ju Göhte“ მისი კინოთეატრებში გამოსვლის დროს ნახა რამდენიმე მილიონმა ადამიანმა, არ ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი საზოგადოება არ იქნებოდა ამ ნიშნით შეძრწუნებული.

48. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-20 პუნქტში სასამართლომ დაასკვნა, რომ არსებულ გარემოებებში, სააპელაციო საბჭომ მართებულად დაადგინა, რომ ინგლისური გამოთქმა „Fuck you“ და მასასადამე – ნიშანი მთლიანობაში, იყო არსებითად ვულგარული და შესაბამისი საზოგადოების შეურაცხყოფისაკენ მიმართული. შედეგად, სააპელაციო საბჭომ დასაბუთებულად დაასკვნა, რომ განცხადებულ ნიშანს №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რეგისტრაციაზე მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

49. აქედან გამომდინარე, დადგენილად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიერ ჩატარებული ექსპერტიზა არ აკმაყოფილებს 207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტებს, როგორც მითითებულია ამ გადაწყვეტილების 39-43-ე პუნქტებში.

50. სინამდვილეში, იმ სოციალური კონტექსტისა და ფაქტორების გათვალისწინებით, რომელსაც აპელანტი ამ მხრივ ეყრდნობა, განსაკუთრებით კი იმ ფაქტის, რომ სიტყვიერი ნიშანი „Fack Ju Göhte“, როგორც საერთო იურისდიქციის სასამართლომ გადაწყვეტილების მე-2 და მე-19 პუნქტებში აღნიშნა, შეესაბამება აპელანტის მიერ შექმნილ გერმანულ კინემატოგრაფიულ კომედიას, რომელმაც 2013 წელს ერთ-ერთი უდიდესი წარმატება მოიპოვა გერმანიის კინოინდუსტრიის სფეროში და რომელიც კინოთეატრებში გამოსვლისას რამდენიმე მილიონმა ადამიანმა ნახა, იმისათვის, რათა საერთო იურისდიქციის სასამართლოს დაედგინა აუცილებელი სამართლებრივი სტანდარტი იმის თაობაზე, რომ ნიშანი გერმანულენოვანი საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც მორალის აღიარებული პრინციპების საწინააღმდეგო, სასამართლო არ უნდა შემოფარგლულიყო ნიშნისა და იმ ინგლისური გამოთქმის აბსტრაქტული შეფასებით, რომელსაც ამ ნიშნის პირველ ნაწილს საზოგადოება მიაჩნდა.

51. ამდენად, ის ფაქტი, რომ სწორედ აღნიშნულ ნიშანზე უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა, არ ნიშნავს იმას, რომ ამ ექსპერტიზის დროს შეიძლება უგულებელყოფილ იქნეს კონტექსტური ელემენტები, რომლებსაც შეუძლიათ ნათელი მოჰფინონ, თუ როგორ აღიქვამს შესაბამისი საზოგადოება მოცემულ ნიშანს.

52. როგორც სასამართლოს გენერალური მრჩეველი თავისი დასკვნის 94-ე პუნქტში შენიშნავს, აღნიშნული ფაქტორები მოიცავს ამავე სახელწოდების კომედიის დიდ წარმატებას გერმანულენოვან საზოგადოებაში და იმ ფაქტს, რომ მის სახელწოდებას,

როგორც ჩანს, კამათი არ გამოუწვევია, ასევე იმ ფაქტს, რომ ამ ფილმზე ახალგაზრდების წვდომა ნებადართული იყო და იმ ფაქტსაც, რომ ფილმს საგანმანათლებლო მიზნით იყენებს გოეთეს ინსტიტუტი, რომელიც არის მსოფლიო მასშტაბით აქტიური, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კულტურის ინსტიტუტი და მიზნად ისახავს, *inter alia*, გერმანული ენის ცოდნის ხელშეწყობას.

53. რამდენადაც ეს ფაქტორები, *a priori* შესაძლოა წარმოადგენდეს იმის მითითებას, რომ ინგლისურ ფრაზასთან „Fuck You“ ნიშნის პირველი ნაწილის ასიმილაციის მიუხედავად, გერმანულენოვანი საზოგადოება სიტყვიერ ნიშანს - „Fack Ju Göhte“ ფართოდ არ აღიქვამს, როგორც მორალურად მიუღებელს, საერთო იურისდიქციის სასამართლო იმ დასკვნის გამოტანისას, რომ ნიშანი მორალის აღიარებულ პრინციპებთან შეუთავსებელია, არ შეიძლება დაჰყრდნობოდა მხოლოდ ამ ინგლისური ფრაზის შინაგანად ვულგარულ ხასიათს, იმ ფაქტორების შესწავლის ან იმ მიზეზების საბოლოოდ ჩამოყალიბების გარეშე, რომელთა გამოც სასამართლომ, მიუხედავად მითითებული ფაქტორებისა, დაასკვნა, რომ ამ ნიშნის სასაქონლო ნიშნად გამოყენებისას, ზოგადად გერმანულენოვანი საზოგადოება მას აღიქვამს, როგორც საზოგადოების ფუნდამენტური მორალური ღირებულებებისა და სტანდარტების საწინააღმდეგო ნიშანს.

54. კერძოდ, მარტოდენ ისეთი განცხადებები, როგორც ჩამოყალიბებულია მაგალითად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-19 პუნქტში და რასაც იმეორებს ამ გადაწყვეტილების 47-ე პუნქტი, ან რომლებიც ასახულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების 30-ე პუნქტში - რომლის მიხედვითაც არ დადგინდა, რომ იმ აქტივობების მსვლელობისას, რომლებშიც შესაბამის საზოგადოებას სავარაუდოდ, შეხვდება სარეგისტრაციოდ წარდგენილი სასაქონლო ნიშანი, საზოგადოება ამ ნიშანში შეიცნობს წარმატებული ფილმის სათაურს და აღიქვამს ნიშანს ისე, როგორც „ხუმრობას“ - საკმარისი არ არის ექსპერტიზისა და დასაბუთებისადმი არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

55. რაც შეეხება ამ უკანასკნელ მოთხოვნას, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლო ვალდებული იყო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში გამოერკვია, რომ EUIPO-ს მხრიდან ადგილი არ ჰქონია №207/2009 რეგულაციის 76-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას. ეს უკანასკნელი მოითხოვს, რომ უარის თქმის აბსოლუტურ საფუძვლებთან დაკავშირებით საქმისწარმოებისას EUIPO-მ უნდა განახორციელოს ფაქტების *ex officio* ექსპერტიზა და დაადგინოს ასეთი საფუძვლების არსებობის თაობაზე საჭირო სამართლებრივი სტანდარტი. მეორეც, ისეთი კონტექსტური ფაქტორების შესწავლის აუცილებლობა, როგორც მოცემულია წინამდებარე გადაწყვეტილების 52-ე პუნქტში, კონკრეტული შეფასების მიზნისათვის, თუ როგორ აღიქვამს შესაბამისი საზოგადოება სარეგისტრაციოდ წარდგენილ ნიშანს, არავითარ შემთხვევაში არ არის იმის დადგენილად ცნობის წინაპირობა, რომ საზოგადოება ამ ნიშანში ამოიცნობს ამავე სახელწოდების კომედიის სათაურს ან აღიქვამს ნიშანს, როგორც „ხუმრობას“, რადგან სინამდვილეში ამ ორი გარემოების არარსებობა მორალის აღიარებული პრინციპების შეურაცხყოფის დადგენის მიზანს არ ემსახურება.

56. და ბოლოს, დამატებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 29-ე პუნქტში საერთო იურისდიქციის სასამართლოს იმ დასკვნის საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმად, „ხელოვნების, კულტურისა და ლიტერატურის სფეროში არსებობს მუდმივი ზრუნვა გამოხატვის თავისუფლების დაცვისათვის, რაც არ არსებობს სასაქონლო ნიშნების სფეროში, გამოხატვის თავისუფლება, რომელიც დაცულია ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის მე-11 მუხლით, როგორც EUIPO-მ აღიარა ზეპირ მოსმენაზე და როგორც სასამართლოს გენერალურმა მრჩეველმა თავისი დასკვნის 47-დან 57-ე პუნქტებში განაცხადა, გათვალისწინებული უნდა იყოს №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის გამოყენებისას. უფრო მეტიც, ამ დასკვნას ადასტურებს №2015/2424 რეგულაციის პრეამბულის 21-ე პუნქტი, რომელმაც შეცვალა №207/2009 რეგულაცია და ასევე, №2017/1001 რეგულაციის პრეამბულის 21-ე პუნქტი. ორივე მათგანი პირდაპირ უსვამს ხაზს ამ რეგულაციების იმგვარად გამოყენების აუცილებლობას, რომ უზრუნველყოფილი იყოს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, განსაკუთრებით კი გამოხატვის თავისუფლების სრული პატივისცემა.

57. ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარეობს, რომ №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის განმარტება და გამოყენება, რომელიც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში საერთო იურისდიქციის სასამართლომ განახორციელა, ძალას კარგავს კანონისმიერი შეცდომებით, რაც თავისთავად საკმარისია იმისათვის, რომ მართლმსაჯულების სასამართლომ დასაშვებად ცნოს სააპელაციო საჩივრის პირველი საფუძველი იმ სხვა არგუმენტების განხილვის საჭიროების გარეშე, რომლებზეც აპელანტი სააპელაციო საჩივრის ამ საფუძვლის მხარდასაჭერად მიუთითებს.

58. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს სააპელაციო საჩივრის სხვა საფუძვლების განხილვის საჭიროების გარეშე.

საჩივარი საერთო იურისდიქციის სასამართლოს წინაშე

59. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წესდების 61-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარი დასაბუთებულია, სასამართლოს შეუძლია თავად გამოიტანოს საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება, თუ სამართალწარმოების მდგომარეობა ამის შესაძლებლობას იძლევა.

60. წინამდებარე საქმეში სწორედ ზემოაღნიშნულ შემთხვევას აქვს ადგილი.

61. თავისი პირველი სასარჩელო მოთხოვნით, განმცხადებელი საერთო იურისდიქციის სასამართლოს წინაშე აცხადებდა, რომ განსახილველი გადაწყვეტილება არღვევს №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტს.

62. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს გადაწყვეტილება, კერძოდ, მის 21-41-ე პუნქტებში განხორციელებული ექსპერტიზა, სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშნის საზოგადოების

მიერ აღქმის თაობაზე, ძირითადად შეიცავს იმავე შეცდომებს, რაც ძალას უკარგავს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას.

63. ამგვარად, ის, რომ სადავო გადაწყვეტილების 21-23-ე პუნქტებში არსებითად დადგინდა, რომ შესაბამისი საზოგადოება იცნობს სასაქონლო ნიშნის პირველ ნაწილში გამოყენებულ ინგლისურ ფრაზას „Fuck you“, სააპელაციო საბჭომ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით 24-28-ე პუნქტებში აღნიშნა, რომ აღნიშნული ფრაზა ვულგარული და შეურაცხმყოფელია. შემდგომში, ამ გადაწყვეტილების 29-33-ე პუნქტებში, მან ინგლისური ფრაზის მეტწილად აბსტრაქტული შეფასებისა და წინამდებარე გადაწყვეტილების 52-ე პუნქტში აღნიშნული კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე დაადგინა, რომ ელემენტის „Göhte“ დამატებას არ შეუძლია არსებითად შეცვალოს შეურაცხყოფის „Fack ju“ აღქმა.

64. ამ ფაქტორებთან დაკავშირებით, სააპელაციო საბჭომ განსახილველი გადაწყვეტილების 36-ე პუნქტში იზიარებს პოზიციას, რომ აპელანტის მიერ მომზადებული დოკუმენტებიდან ექვგარეშე შეიძლება დადგინდეს, რომ კომედიები „Fack ju Göhte“, რომელიც ნახა თითქმის 7,4 მილიონმა მაყურებელმა გერმანიაში და „Fack ju Göhte 2“, მაყურებელთა რაოდენობის მიხედვით ყველაზე წარმატებულ გერმანულ ფილმებს შორის არის და ისინი ასევე ძალიან წარმატებული იყო ავსტრიაში. სააპელაციო საბჭომ ჩათვალა, რომ შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შესაბამის გერმანულენოვან საზოგადოებას, ზოგადად, სულ მცირე, უკვე სმენია ამ კომედიების შესახებ. თუმცა, სააპელაციო საბჭომ იმავე გადაწყვეტილების 37-ე პუნქტში მიიჩნია, რომ შეუძლებელი იქნებოდა შესაბამის საზოგადოებაში ამ კომედიების ფართო წარმატებიდან იმ დასკვნის გამოტანა, რომ ხსენებული საზოგადოება მათი სათაურით არ შეძრწუნდებოდა, რადგან სათაური არ არის მათი შინაარსის მიმართ აღწერილობითი. ნაცვლად ამისა, შეურაცხყოფის „Fack ju“ გამოყენება ფილმის სათაურად, არაფერს გვეუბნება საზოგადოებაში ამ შეურაცხყოფის მიმდებლობაზე.

65. თუმცა, ერთი მხრივ, ფილმის სათაური არ უნდა იყოს მისი შინაარსის მიმართ აღწერილობითი იმისათვის, რათა წარმოადგენდეს შესაბამის კონტექსტუალურ ფაქტორს იმის შეფასებისას, აღიქვამს თუ არა შესაბამისი აუდიტორია ამ სათაურსა და ეპონიმურ⁹ სიტყვიერ ნიშანს, როგორც მორალის აღიარებული პრინციპების საწინააღმდეგოს.

66. მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ფილმის წარმატებით ავტომატურად არ დასტურდება მისი სათაურის და იმავე სახელწოდების სიტყვიერი ნიშნის სოციალური მიმდებლობა, ის სულ მცირე, იმაზე მაინც მიუთითებს, რომ მიმდებლობა უნდა შეფასდეს საქმეში არსებული ყველა შესაბამისი ფაქტორის გათვალისწინებით, რათა კონკრეტულად დადგინდეს, თუ როგორ აღიქმება ნიშანი, როდესაც მისი გამოყენება სასაქონლო ნიშნად ხდება.

67. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში კომედიები „Fack ju Göhte“ და „Fack ju Göhte 2“ (რომელსაც შემდგომი გაგრძელება ჰქონდა 2017 წელს) არა მხოლოდ განსაკუთრებით პოპულარული იყო შესაბამის აუდიტორიაში -

⁹ იგულისხმება იმავე სახელის/სახელწოდების მქონე

ფილმები იმდენად წარმატებული იყო, რომ სააპელაციო საბჭომ, მართალია, დაადგინა, რომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომხმარებლებს, რომლებიც წარმოადგენენ ამ აუდიტორიას, უკვე სმენიათ აღნიშნული კომედიების შესახებ, მაგრამ გარდა ზემოაღნიშნულისა და მიუხედავად ამ წარმატების თანხლები მაღალი ნახვადობისა, ამ კომედიების სათაურს, როგორც ჩანს, არ გაუღვივებია აუდიტორიაში კამათი. ასევე, სკოლებში დაშვებული იყო ახალგაზრდების წვდომა ამ კომედიებზე ამ სახელწოდებით. როგორც სადავო გადაწყვეტილების 39-ე პუნქტიდან ირკვევა, ფილმები დაფინანსდა სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ და გოეთეს ინსტიტუტის მიერ საგანმანათლებლო მიზნებისთვის იქნა გამოყენებული.

68. მაშასადამე, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს კონტექსტური ფაქტორი თანმიმდევრულად მიუთითებს, რომ მიუხედავად სიტყვების - „Fack ju“ ინგლისურ ფრაზასთან „Fuck You“ ასიმილაციისა, კომედიების სათაური გერმანულენოვანი ფართო საზოგადოების მიერ არ აღიქმებოდა, როგორც მორალურად მიუღებელი. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გერმანულენოვანი საზოგადოების მიერ ამ ინგლისური ფრაზის აღქმა სულაც არ არის ინგლისურენოვანი საზოგადოების მიერ მისი აღქმის მსგავსი, თუნდაც ეს ფრაზა კარგად იყოს ცნობილი გერმანულენოვანი საზოგადოებისთვის და ამ უკანასკნელმა იცოდეს მისი მნიშვნელობა, ვინაიდან მგრძობელობა შესაძლოა მშობლიურ ენაზე უფრო ძლიერი იყოს, ვიდრე უცხო ენაზე. იმავე მიზეზით, გერმანულენოვანი საზოგადოება ასევე სულაც არ აღიქვამს ინგლისურ ფრაზას იგივენაირად, როგორც მის გერმანულ თარგმანს. გარდა ამისა, განსახილველი კომედიების სათაური და შესაბამისად, სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშანი შედგება არა ამ ინგლისური ფრაზისგან, როგორც ასეთი, არამედ გერმანულ ენაზე მისი ფონეტიკური ტრანსკრიფციისგან, რომელსაც თან ახლავს ელემენტი „Göhte“.

69. ზემოაღნიშნული გარემოებებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სახეზე არ არის რაიმე კონკრეტული მტკიცებულება, რომლითაც აიხსნებოდა, თუ რატომ აღიქვამს გერმანულენოვანი ფართო საზოგადოება სიტყვიერ ნიშანს „Fack Ju Göhte“, მისი სასაქონლო ნიშნად გამოყენებისას, როგორც საზოგადოების ფუნდამენტური მორალური ღირებულებებისა და სტანდარტების საწინააღმდეგო ნიშანს, მიუხედავად იმისა, რომ იგივე საზოგადოებას, როგორც ჩანს, ეპონიმური კომედიების სათაურები მორალის აღიარებული პრინციპების საწინააღმდეგოდ არ მიაჩნია, დადგენილად უნდა იქნეს ცნობილი, რომ EUIPO-მ ვერ წარმოადგინა ის აუცილებელი სამართლებრივი სტანდარტი, რომელიც №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამორიცხავს განაცხადში მითითებული ნიშნის რეგისტრაციას.

70. ასევე, უნდა დავამატოთ, რომ სადავო გადაწყვეტილების 38-ე პუნქტში სააპელაციო საბჭოს მიერ წარმოდგენილი მოსაზრების საპირისპიროდ, ეპონიმური კომედიების წარმატების მნიშვნელობა, როგორც ერთ-ერთი კონტექსტური ფაქტორი, არავითარ შემთხვევაში არ კარგავს ძალას იმ ფაქტით, რომ №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი ვერ გადაილახება ნიშნის მიერ გამოყენების შედეგად შეძენილი განმასხვავებელუნარიანობის მტკიცებულებით, იმავე რეგულაციის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. მართლაც, იმის დადგენა, აღიქვამს თუ არა შესაბამისი საზოგადოება

განცხადებულ ნიშანს, როგორც მორალის აღიარებული პრინციპების საწინააღმდეგოს და გამორიცხავს თუ არა უარის თქმის ეს აბსოლუტური საფუძველი ნიშნის რეგისტრაციას, უნდა მოხდეს შესაბამის საზოგადოებაში ეპონიმური კომედიების წარმატების, კერძოდ, სახელწოდების ირგვლივ უთანხმოების არარსებობის გათვალისწინებით და არა ამ საფუძველის უგულვებელყოფით მაშინ, როცა სახეზეა საქმეზე მისი გამოყენების აუცილებლობა.

71. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საბჭომ №207/2009 რეგულაციის 7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის ინტერპრეტაციისა და გამოყენებისას დაუშვა შეცდომა, შესაბამისად, სადავო გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს.

ხარჯები

72. მართლმსაჯულების სასამართლოს პროცედურული წესების 184-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მაშინ, როდესაც სააპელაციო საჩივარი დასაბუთებულია და სასამართლოს თავად გამოაქვს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება, მან გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ასევე, ხარჯებთან დაკავშირებითაც.

73. იმავე წესების 138-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რომელიც 184-ე მუხლის პირველი პუნქტის ძალით ვრცელდება სააპელაციო საქმისწარმოებაზე, პროცესის წაგებულ მხარეს დაეკისრება ხარჯების გადახდა, თუ ეს მოთხოვნა დაყენებულია წარმატებული მხარის შუამდგომლობაში.

74. ვინაიდან აპელანტმა მოითხოვა ხარჯების ანაზღაურება და EUIPO-მ დავა წააგო, ამ უკანასკნელს უნდა დაეკისროს T-69/17 საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოებასთან და სააპელაციო საჩივართან დაკავშირებული ხარჯების გადახდა.

ზემოაღნიშნული საფუძველებით, სასამართლო (მეხუთე პალატა):

1. აუქმებს საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებას საქმეზე „Constantin Film Produktion v EUIPO (Fack Ju Göhte)“ (T-69/17, გამოუქვეყნებელი, EU:T:2018:27);
2. აუქმებს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) მეხუთე სააპელაციო საბჭოს 2016 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებას (საქმე R-2205/2015-5) სიტყვიერი ნიშნის „Fack Ju Göhte“ ევროკავშირის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის განაცხადთან დაკავშირებით;
3. აკისრებს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებას (EUIPO), საკუთარი და „Constantin Film Produktion“ GmbH-ის მიერ, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში T-69/17 საქმეზე გაწეული, ისე - სააპელაციო საქმისწარმოებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას.

[ხელმოწერები]

საქმის განხილვის ენა: გერმანული

30/03/2006, C-259/04, Elizabeth Emanuel

სასამართლოს გადაწყვეტილება (მესამე პალატა) 2006 წლის 30 მარტი (*)

(ისეთი სახის სასაქონლო ნიშნები, რომელთაც შეცდომაში შეჰყავთ მომხმარებელი საქონლის ბუნებასთან, ხარისხთან ან გეოგრაფიულ წარმოშობასთან დაკავშირებით – სასაქონლო ნიშანი, რომელზეც მფლობელმა განახორციელა უფლებების გადაცემა საქონლის მწარმოებელ იმ კომპანიასთან ერთად, რომელსაც ეს ნიშანი უკავშირდება. დირექტივა 89/104/EEC)

მოთხოვნა¹⁰ წინასწარი გადაწყვეტილების შესახებ EC 234-ე მუხლის საფუძველზე, შემოტანილი იმ პირის მიერ, რომელიც სასაქონლო ნიშნების შესახებ 1994 წლის კანონის 76-ე მუხლის თანახმად, უფლებამოსილია ლორდი კანცლერის მიერ, სასაქონლო ნიშნების რეგისტრატორის (გაერთიანებული სამეფო) სააპელაციო საჩივარზე, 2004 წლის 26 მაისის გადაწყვეტილებით, წარდგენილი ინგლისისა და უელსის იუსტიციის უმაღლესი სასამართლოს მიერ, მიღებული სასამართლოში 2004 წლის 16 ივნისს, სამართალწარმოებისას.

ელიზაბეტ ფლორენს ემანუელი Continental Shelf 128 Ltd -ის წინააღმდეგ

სასამართლო (მესამე პალატა)

შემადგენლობა ა. როსასი, პალატის პრეზიდენტი, ჯ. მალენოვსკი, ჯ.-პ. პისოჩეტი (მომხსენებელი), ა. ბორგ ბარზეტი და უ. ლოშმუსი, მოსამართლეები,

სასამართლოს გენერალური მრჩეველი (Advocate General¹¹): დ.რუიზ-ჯარაბო კოლომერი

¹⁰ რედაქტორის შენიშვნა - წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნის პროცედურა არის პროცესი, როდესაც ეროვნულ სასამართლოებს შეუძლიათ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსადმი მიმართვის (რეფერირების) გზით მოიძიონ მითითება ევროპული კავშირის სამართლის ინტერპრეტაციისა და არსის შესახებ. ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოებს შეუძლიათ მოიძიონ საბოლოო განსაზღვრება ევროკავშირის სამართლის შესახებ. წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნის პროცედურა დადგენილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების (TEU) მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 267-ე მუხლით. მისი მიზანია მიღწეული იქნეს უნიფიცირებული ინტერპრეტაცია ევროპული კავშირის სამართლის ყველა შიდაეროვნული სასამართლოების მიერ, რათა ინდივიდებმა მიიღონ ეფექტური დაცვა. აღნიშნული ეფუძნება ეროვნული მოსამართლეებისა და მართლმსაჯულების სასამართლოს თანამშრომლობას -

<https://www.ejtn.eu/Documents/EJTN_SKRIPT_DETTMERS_final.pdf>

¹¹ რედაქტორის განმარტება - Advocate General - საერთო სამართლისა და ჰიბრიდული იურისდიქციის ზოგიერთ ქვეყანაში გენერალური ადვოკატი/მრჩეველი არის სასამართლოს, მთავრობის სამართლებრივი მრჩეველი (ანალოგიურია Attorneys General). ევროპული კავშირისა და ცალკეულ კონტინენტურ ევროპულ იურისდიქციებში გენერალური ადვოკატი სასამართლოს ნეიტრალური იურიდიული მრჩეველია - იხ. გასიტაშვილი ე., გვ. 60; ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა და ქართული შრომის სამართალი; სამეცნიერო რედ. ქარდავა ე.; მეორე ნაწილი; კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა ასოციაცია „ევროპის დროით“ და ფტიდრის ებერთის ფონდის წარმომადგენლობის საქართველოში მხარდაჭერით; თბილისი, 2020.

რეგისტრატორი: ლ. ჰიუვლეტი, მთავარი ადმინისტრატორი,

წერილობითი პროცედურის გათვალისწინებით და 2005 წლის 1 დეკემბრის სხდომაზე მოსმენის შემდგომ,

- ელიზაბეტ ფლორენს ემანუელი, წარმოდგენილი ჯ. ჰილის, ადვოკატი ჰ. ევანსისა და ს. დანიელის მიერ,
- „Continental Shelf 128 Ltd“, წარმოდგენილი ადვოკატი რ. ჰაკონის მიერ,
- გაერთიანებული სამეფოს მთავრობა, წარმოდგენილი ი. ო'ნილის მიერ, რომელიც მოქმედებს როგორც წარმომადგენელი, და ადვოკატი მ. ტაპინი,
- ევროკომისიას, ნ.ბ რასმუსენის წარმომადგენლობით, სასამართლოს გენერალური მრჩევლის აზრის მოსმენის შემდეგ 2006 წლის 19 იანვრის სხდომაზე,

გამოაქვს შემდეგი გადაწყვეტილება

წინასწარი გადაწყვეტილების შესახებ ეს მოთხოვნა (რეფერირების წესით გადაცემული) 1994 წლის სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 76-ე მუხლის მიხედვით ლორდ კანცლერის მიერ უფლებამოსილი პირისაგან („უფლებამოსილი პირი“), სასაქონლო ნიშნების რეგისტრატორის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით, ეხება საბჭოს 1988 წლის 21 დეკემბრის №89/104/EEC დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ინტერპრეტაციას და სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებული წევრი სახელმწიფოების სასაქონლო ნიშნებზე კანონმდებლობის დაახლოებას (OJ 1989 L 40, გვ. 1).

2. რეფერირების წესით მოთხოვნა გაკეთდა მოდის დიზაინერ ემანუელსა და Continental Shelf 128 Ltd-ის („CSL“) შორის სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს. სამართალწარმოება ეხება ქ-ნი ემანუელის მიერ შეტანილ ორ განცხადებას CSL-ის წინააღმდეგ, პირველი სასაქონლო ნიშნის „ELIZABETH EMANUEL“ რეგისტრაციის გამო სააპელაციო საჩივარს, დიდი ასოებით დაწერილი („სასაქონლო ნიშანი „ELIZABETH EMANUEL“), CSL-ის მიერ წარმოებული ტანსაცმლის მიმართ და მეორე, რეგისტრაციის გაუქმებას სასაქონლო ნიშანზე „Elizabeth Emanuel“, გარდა საწყისი ასო-ბგერებისა პატარა ასო-ბგერებით დაწერილი, რაც დარეგისტრირდა 1997 წელს სხვა კომპანიის მიერ, რომელმაც შემდეგ უფლებები გადასცა CSL-ს („სასაქონლო ნიშანი „Elizabeth Emanuel“ ან „რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი“).

კანონი

3. დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს:

ქვემოთ მითითებული საფუძვლებით არ შეიძლება დარეგისტრირდეს ან თუკი დარეგისტრირებულია ექვემდებარება ბათილად ცნობას.

...

(ზ) იმ სახის სასაქონლო ნიშნები, რომლებსაც შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების თვისების, ხარისხის ან გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ;

...“

4. 89/104 დირექტივის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს:

სასაქონლო ნიშანი ექვემდებარება გაუქმებას, თუ მისი რეგისტრაციის თარიღის შემდეგ...

(ბ) სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ მისი გამოყენების შედეგად ან მისი თანხმობით იმ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით, რისთვისაც ის რეგისტრირებულია, მას შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი, განსაკუთრებით საქონლის ან მომსახურების თვისების, ხარისხის ან გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ;“

ძირითადი საქმისწარმოება და კითხვები. რომლებიც გაჩნდა წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანისას

5. 1990 წელს ემანუელმა, საქორწილო ტანსაცმლის ცნობილმა დიზაინერმა, დაიწყო ვაჭრობა სახელწოდებით „Elizabeth Emanuel“.

6. 1996 წელს, კომპანიასთან „Hamlet International Plc“ ერთად, ემანუელმა ჩამოაყალიბა კომპანია „Elizabeth Emanuel Plc („EE Plc“)“. თავისი ბიზნესი ტანსაცმლის დიზაინისა და გაყიდვის უფლებამოსილებაზე, ყველა აქტივი კომპანიის რეპუტაციის (goodwill) ჩათვლით და განაცხადი სასაქონლო ნიშნის „Elizabeth Emanuel“ რეგისტრაციის შესახებ, გადასცა კომპანიას „EE Plc“, რომელიც რეგისტრირებული იყო 1997 წელს.

7. 1997 წლის სექტემბერში EE Plc-მა თავისი ბიზნესზე, კომპანიის რეპუტაციასა (goodwill) და რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე უფლებები გადასცა კომპანიას Frostprint, რომელმაც დაუყოვნებლივ შეცვალა სახელი და გახდა „Elizabeth Emanuel International Ltd“ („EE International“). EE International-მა დაიქირავა ემანუელი, რომელმაც სამსახური ერთი თვის შემდეგ დატოვა.

8. 1997 წლის ნოემბერში EE International-მა რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი სხვა კომპანიას, Oakridge Trading Ltd („Oakridge“) გადასცა. 1998 წლის 18 მარტს Oakridge-მა შეიტანა განაცხადი სასაქონლო ნიშნის „ELIZABETH EMANUEL“ რეგისტრაციის შესახებ.

9. 1999 წლის 7 იანვარს, შეტანილი იქნა სააპელაციო საჩივარი ამ განაცხადზე. 1999 წლის 9 სექტემბერს შეტანილი იქნა განცხადება რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „Elizabeth Emanuel“ გაუქმების მოთხოვნით.

10. ზემოხსენებული საჩივარი და სასაქონლო ნიშნის გაუქმების მოთხოვნით წარდგენილი განცხადება არ დაკმაყოფილდა პირველ ინსტანციაში ზეპირ მოსმენაზე უფლებამოსილ პირთან (ოფიცერთან) გამართულ სხდომაზე და 2002 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელი მართლაც შეცდომაში შედიოდა, ეს კანონიერი და გარდაუვალი შედეგი იყო იმ ბიზნესისა და „გუდვილის“, რომელიც მანამდე თავდაპირველი მფლობელის სახელით განხორციელდა.

11. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილი სააპელაციო საჩივარი უფლებამოსილმა პირმა არ გადასცა მართლმსაჯულების უმაღლეს სასამართლოს, მიუხედავად CSL-ის მოთხოვნისა, რომელიც, თავის მხრივ, სამართალწარმოების პროცესში გახდა რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე და სასაქონლო ნიშნის „ELIZABETH EMANUEL“ რეგისტრაციის შესახებ განაცხადზე უფლებების მიმღები. ამ უკანასკნელმა ეს მოთხოვნა წარადგინა 1994 წლის სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 76-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს უმაღლესი სასამართლოსადმი მიმართვას, თუკი უფლებამოსილ პირს მიაჩნია, რომ საქმე ეხება ზოგადი სამართლებრივი მნიშვნელობის საკითხს.

12. როგორც პირველ ინსტანციაში ზეპირ მოსმენაზე უფლებამოსილი პირის (ოფიცრის) წინაშე, ისე ამჯერადაც არგუმენტი ფოკუსირებული იყო იმაზე, №89/104 დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი და მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი წარმოადგენდნენ თუ არა CSL-ის წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრების საფუძველს.

13. ამ ფონზე, უფლებამოსილმა პირმა გადაწყვიტა შეეჩერებინა საქმისწარმოება და სასამართლოსათვის მიემართა წინასწარი გადაწყვეტილებისათვის შემდეგი კითხვებით:

„1. არის თუ არა სასაქონლო ნიშანი იმ თვისების, რომელსაც შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით [დირექტივა 89/104] აკრძალულია მისი რეგისტრაცია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) „გუდვილი“ (საქმიანი რეპუტაცია), რომელიც ასოცირებულია სასაქონლო ნიშანთან, გადაცემულია საქონლის მწარმოებელ ბიზნესთან ერთად, რომელსაც ეს სასაქონლო ნიშანი მიემართება;

(ბ) უფლებების გადაცემამდე შესაბამისი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის სასაქონლო ნიშანი მიუთითებდა იმაზე, რომ კონკრეტული პირი მონაწილეობდა იმ საქონლის შექმნაში, რომელთან დაკავშირებითაც ის გამოიყენებოდა;

(გ) უფლებების გადაცემის შემდეგ უფლების მიმღებმა შეიტანა განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე და,

(დ) განაცხადის წარდგენის დროს საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს არასწორად სჯეროდა, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენება მიუთითებდა იმაზე, რომ კონკრეტული პირი ჯერ კიდევ ჩართული იყო იმ საქონლის შექმნაში, რისთვისაც გამოყენებულია ეს სასაქონლო ნიშანი, ამასთან, შესაძლებელია ასეთ რწმენას გავლენა ჰქონოდა მომხმარებლის ნაწილის სამომხმარებლო (სავაჭრო) ქცევაზე ამ პროცესში?

2. თუ პირველ შეკითხვაზე პასუხი არ არის უპირობოდ დადებითი (ანუ - დიახ), სხვა რა საკითხები უნდა იქნეს გათვალისწინებული, რათა შეფასდეს, არის თუ არა სასაქონლო ნიშანი ისეთი სახის, რომ შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი და აიკრძალოს მისი რეგისტრაცია მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით [დირექტივა 89/104] და, კერძოდ, აქვს თუ არა მნიშვნელობა იმის ალბათობას, რომ შეცდომაში შეყვანის რისკი დროთა განმავლობაში შემცირდეს?

3. შეუძლია თუ არა რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი მესაკუთრის მიერ ან მისი თანხმობით გამოყენების შედეგად და

ექვემდებარება თუ არა გაუქმებას მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად [დირექტივა 89/104] შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი და მასთან დაკავშირებული „გუდვილი“ (საქმიანი რეპუტაცია, მომხმარებლის კეთილგანწყობა) გადაცემულია იმ საქონლის დამზადების ბიზნესთან ერთად, რომელსაც ეხება ეს ნიშანი;

(ბ) უფლების გადაცემამდე სასაქონლო ნიშანი შესაბამისი მომხმარებლის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის მიუთითებდა, რომ კონკრეტული პირი მონაწილეობდა იმ საქონლის შექმნაში, რისთვისაც იგი გამოიყენებოდა;

(გ) უფლებების გადაცემის შემდეგ უფლების მიმღებმა შეიტანა განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე და,

(დ) განაცხადის წარდგენის დროს მომხმარებლის მნიშვნელოვან ნაწილს არასწორად სჯეროდა, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენება მიუთითებდა იმაზე, რომ კონკრეტული პირი ჯერ კიდევ ჩართული იყო (მონაწილეობდა) იმ საქონლის შექმნაში, რისთვისაც გამოიყენებოდა ეს ნიშანი, ამასთან, შესაძლებელია ასეთ რწმენას გავლენა ჰქონოდა მომხმარებლის ნაწილის სამომხმარებლო (სავაჭრო) ქცევაზე ამ პროცესში?

4. თუ მესამე შეკითხვაზე პასუხი არ არის უპირობოდ დადებითი (ანუ, დიახ), სხვა რა საკითხები უნდა იქნეს გათვალისწინებული, რათა შეფასდეს, არის თუ არა სასაქონლო ნიშანი ისეთი სახის, რომ შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი და აიკრძალოს მისი რეგისტრაცია მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით [დირექტივა 89/104] და, კერძოდ, აქვს თუ არა მნიშვნელობა იმის აღბათობას, რომ შეცდომაში შეყვანის რისკი დროთა განმავლობაში შემცირდეს?

პოზიცია სასამართლოს გენერალური მრჩევლის რუიზ-ჯარაზო კოლომერის მოსაზრებებზე

14. 2006 წლის 22 თებერვლის წერილით, ქ-ნმა ემანუელმა წარმოადგინა პოზიცია სასამართლოს გენერალური მრჩევლის რუიზ-ჯარაზო კოლომერის მოსაზრებაზე. იგი ამტკიცებდა, რომ გენერალურმა მრჩეველმა შეცდომა დაუშვა 89/104 დირექტივის მე-3 და მე-12 მუხლებისა და სასამართლოს ადრინდელი დადგენილი სასამართლო პრაქტიკის ინტერპრეტაციისას.

15. იმის გათვალისწინებით, რომ არც მართლმსაჯულების სასამართლოს დებულება და არც რეგლამენტი არ ითვალისწინებს მხარეების შენიშვნების წარდგენას გენერალური მრჩევლის მოსაზრებაზე საპასუხოდ (იხ. 2000 წლის 4 თებერვლის ბრძანება საქმეში C-17/98 EmesaSugar [2000]. ECR I-665, პუნქტი 2), ქ-ნი ემანუელის შენიშვნები არ მიიღება.

16. თუმცა, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით, გენერალური მრჩევლის წინადადებით ან მხარეთა მოთხოვნით, განაახლოს ზეპირი პროცედურა, მისი რეგლამენტის 61-ე მუხლის შესაბამისად, თუ მიიჩნევს, რომ მას არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია, ან საქმე უნდა განიხილებოდეს იმ არგუმენტის საფუძველზე, რომელიც არ ყოფილა განხილული მხარეებს შორის (იხ. საქმე C-309/99 Wouters და სხვები [2002] ECR I-1577, პუნქტი 42; საქმე C-

434/ 02 Arnold André [2004] ECR I-11825, პუნქტი 27; და საქმე C-210/03 Swedish Match [2004] ECR I-11893, პუნქტი 25).

17. მოცემულ საქმეში სასამართლო ადგენს, რომ მას აქვს ყველა საჭირო ინფორმაცია მითითებულ კითხვებზე პასუხის გასაცემად. შესაბამისად, არ არის საჭირო ზეპირი პროცედურის განახლება.

წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად მოწოდებული კითხვების დასაშვებობა

18. სანამ ზემოხსენებულ კითხვებზე გადავიდოდეთ, მიზანშეწონილია განხილულ იქნეს უფლებამოსილი პირის სამართლებრივი საკითხი EC 234-ე მუხლის მიხედვით.

19. იმისათვის, რომ დადგინდეს, ამ დებულების მნიშვნელობით არის თუ არა კონკრეტული ორგანო სასამართლო ან ტრიბუნალი, რომელიც მხოლოდ კავშირის სამართლის საკითხს არეგულირებს, სასამართლო ითვალისწინებს რიგ ფაქტორებს, როგორცაა, არის თუ არა შესაბამისი ორგანო კანონით შექმნილი, არის თუ არა იგი მუდმივი, არის თუ არა მისი იურისდიქცია სავალდებულო, არის თუ არა მისი პროცედურა *inter partes*,¹² იყენებს თუ არა სამართლის ნორმებს და არის თუ არა იგი დამოუკიდებელი (იხ., საქმე 61/65 Vaassen-Göbbels [1966] ECR 261; საქმე C. -54/96 Dorsch Consult [1997] ECR I-4961, პუნქტი 23; და საქმე C-416/96 Nour Eddline El-Yassini [1999] ECR I-1209, პუნქტი 17).

20. უფლებამოსილი პირი დამტკიცდა სასაქონლო ნიშნების შესახებ 1994 წლის კანონის საფუძველზე

21. ამ კანონის 76-ე და 77-ე მუხლების თანახმად, ლორდ ადვოკატთან კონსულტაციის შემდეგ ლორდი კანცლერის მიერ განწესებულ უფლებამოსილ პირს შეუძლია მოისმინოს სააპელაციო საჩივრები პატენტების, დიზაინებისა და სასაქონლო ნიშნების (სხვაგვარად სასაქონლო ნიშნების რეგისტრატორად წოდებული) გენერალური მაკონტროლებლის გადაწყვეტილებებზე. ინგლისსა და უელსში უფლებამოსილი პირი იზიარებს ამ იურისდიქციას მართლმსაჯულების უმაღლეს სასამართლოსთან და შოტლანდიაში, უზენაეს სასამართლოსთან.¹³

22. სააპელაციო საჩივრის ავტორზეა დამოკიდებული იმ იურისდიქციის არჩევა, სადაც საჩივარს შეიტანს. თუმცა, უფლებამოსილ პირს შეუძლია გარკვეულ შემთხვევებში გადაწყვიტოს საჩივრის გაგზავნა მართლმსაჯულების უმაღლეს სასამართლოში, *inter alia*, თუ იგი მიიჩნევს, რომ საქმე ეხება ზოგადი სამართლებრივი მნიშვნელობის საკითხს.

¹² ტერმინს აქვს ლათინური ფუძე და ნიშნავს: „მხარეთა შორის“; არაერთი ლექსიკონით *inter partes* განიმარტება, როგორც საქმისწარმოება, რომლის შესახებ ინფორმირებულია ყველა მხარე და ისინი სარგებლობენ სხდომაზე დასწრების უფლებით; მაგ. იხ. <<https://www.oxfordreference.com/view/10.1093/acref/9780192807021.001.0001/acref-9780192807021-e-1694>>

¹³ Court of Session - არის შოტლანდიის უზენაესი სამოქალაქო სასამართლო, რომელიც ედინბურგშია განთავსებული და მის თავმჯდომარეს ეწოდება Lord President, რომელიც შოტლანდიის პირველი უმაღლესი მოსამართლეა, მისი მოადგილის ფუნქციას ასრულებს მეორე უმაღლესი მოსამართლე რომელსაც ეწოდება Lord Justice Clerk; იხ. <<https://www.scotcourts.gov.uk/the-courts/supreme-courts/about-the-court-of-session#:~:text=The%20Court%20of%20Session%20is,deputise%20for%20the%20-Lord%20President>>

23. უფლებამოსილი პირი არის მუდმივი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სამართლებრივი დასკვნების მომზადებაზე სასაქონლო ნიშნების შესახებ 1994 წლის კანონის გამოყენებასთან დაკავშირებით და სასაქონლო ნიშნების 2000 წლის პროცედურული წესების 63-დან 65-ე მუხლებით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. პროცედურა არის *inter partes*.¹⁴ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებები სავალდებულოა და პრინციპში – საბოლოო, საგამონაკლისო წესით ექვემდებარება სასამართლო გადახედვას.

24. უფლებამოსილი პირი თავისი უფლებამოსილების პერიოდში სარგებლობს დამოუკიდებლობის ისეთივე გარანტიებით, როგორც მოსამართლეები.

25. ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორიდან გამომდინარეობს, რომ უფლებამოსილი პირი უნდა განიხილებოდეს, როგორც სასამართლო ან ტრიბუნალი EC 234-ე მუხლის მიხედვით, ასე რომ, წინასწარი გადაწყვეტილების გამოსატანად დასმული კითხვები დასაშვებია.

პირველი ორი შეკითხვა

26. პირველი ორი კითხვით უფლებამოსილი პირი ძირითადად ცდილობს გაარკვიოს ის გარემოებები, რა შემთხვევაშიც შეიძლება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მას შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი 89/104 დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, როდესაც ამ სასაქონლო ნიშნთან დაკავშირებული „გუდვილი“ (საქმიანი რეპუტაცია) გადაცემულია საქონლის მწარმოებელ იმ ბიზნესთან ერთად, რომელსაც ეხება ეს ნიშანი და იმ სასაქონლო ნიშანს, რომელიც შეესაბამება ამ საქონლის დიზაინერისა და პირველი მწარმოებლის სახელს და ადრე სხვა გრაფიკული ფორმით იყო რეგისტრირებული.

სასამართლოსათვის მიწოდებული მოსაზრებები (შენიშვნები)

27. უფლებამოსილი პირი ცხადად აღიქვამს მოწინააღმდეგე მხარეთა არგუმენტებს. მას მიაჩნია, უპირველეს ყოვლისა, საჯარო ინტერესი მოითხოვს, რომ სასაქონლო ნიშნებმა შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს საშუალო მომხმარებელი, რომელიც მიიჩნევა საკმარისად გონიერ და წინდახედულ დამკვირვებლებად და მეორე, ასევე საჯარო ინტერესში შედის გაყიდვის ნებართვისა და ბიზნესისა და „გუდვილის“ (საქმიანი რეპუტაციის) უფლების გადაცემა ერთდროულად იმ სასაქონლო ნიშნებზე, რომლებთანაც ისინი ასოცირდებიან.

28. ქ-ნი ემანუელი, სააპელაციო საჩივრის ავტორი, მიუთითებს 89/104 დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გარანტირებულ საჯარო ინტერესზე მომხმარებელთა დაცვის შესახებ. ის ამტკიცებს, რომ ამ მუხლის გამოსაყენებლად საკმარისია არსებობდეს მინიმალური რეალური რისკი იმისა, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენებამ შეცდომაში შეიყვანოს საქონლის ან მომსახურების საშუალო მომხმარებელი, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებლის გადაწყვეტილებებზე ვაჭრობის მომენტში.

¹⁴ იხ. მე-4 სქოლიო

არსებობს თუ არა ასეთი რისკი, ეს ფაქტობრივი საკითხია, ამიტომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა ის გარემოება, რომელიც შეცდომაში შეყვანის ალბათობას ქმნის.

29. მთავარ სამართალწარმოებაში სააპელაციო საჩივრის ავტორი ამტკიცებს, რომ აღრევის რისკის დემონსტრირების შემდეგ, არ აქვს მნიშვნელობა, რომ „გუდვილი“ (საქმიანი რეპუტაცია) და სასაქონლო ნიშანი გადაეცა საწარმოს, რომელსაც მიაჩნია, რომ მას შეუძლია გამოიყენოს ეს სასაქონლო ნიშანი.

30. CSL, მთავარი საქმის მოპასუხე მხარე ამტკიცებს, რომ 89/104 დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი არ ადგენს რაიმე განსხვავებას იმ სასაქონლო ნიშნებს შორის, რომელიც შეესაბამება პირის სახელს და ნიშანს, რომელიც არ შეესაბამება მას. ერთადერთი შესატყვისი კრიტერიუმია დადგინდეს, არის თუ არა ობიექტურად სასაქონლო ნიშნები ისეთი სახის, რომ შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი, inter alia გამოიწვიოს აღრევა სხვა საქონელთან.

31. CSL ამტკიცებს, რომ ემანუელის არგუმენტი საშუალო მომხმარებლის აღრევის რისკთან დაკავშირებით, ემყარება სასამართლოს დადგენილ სასამართლო პრაქტიკას კონკრეტულ რეგულაციებთან დაკავშირებით, რომელიც არ შეიძლება ჩანაცვლებული იყოს №89/104 დირექტივის ინტერპრეტაციისათვის.

32. რაც შეეხება საშუალო მომხმარებლის აღქმას კონკრეტული სასაქონლო ნიშნის შესაბამისი სახელის შესახებ, CSL ამტკიცებს, რომ ასეთ მომხმარებელს, განსაკუთრებით მოდის სფეროში, გაცნობიერებული აქვს, რომ სავაჭრო სახელი კვლავინდებურად ასოცირებული რჩება საწარმოს მიერ წარმოებულ საქონელთან და რომ ეს ვალდებულება შეიძლება დაკავშირებული იყოს ამ სახელთან. ეს თანაბრად ეხება კონდიტრებს, ღვინის მწარმოებლებს და ძვირადღირებული ფუფუნების საგნის მწარმოებლებს. ამრიგად, სავაჭრო სახელწოდების უფლების გადაცემამ (მიკუთვნებამ) თავისთავად ავტომატურად არ შეიძლება გამოიწვიოს დაბნეულობა იმის შესახებ, იყო თუ არა უფლებების გადაცემა საჯაროობის საგანი.

33. CSL განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ თუ ქ-ნი ემანუელის არგუმენტი დაკმაყოფილდება, შეუძლებელი იქნება ბიზნესის უფლების გადაცემა „გუდვილთან“ (საქმიან რეპუტაციასთან) და სასაქონლო ნიშანთან ერთად იმ საქონლისთვის, რომელსაც საწარმო აწარმოებს. ძალიან ხშირად ბიზნესის უფლების გადაცემის ღირებულება არსებითად ეფუძნება გადაცემულ სასაქონლო ნიშანს.

34. გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ამტკიცებს, რომ 89/104 დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიზანია უარი თქვას სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე, რომლებსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება (მომხმარებელი) არა ამ საქონლის ან მომსახურების წარმომავლობაზე, რომელიც მოიცავს რეგისტრაციას ან ამ წარმოშობის მახასიათებლებს, არამედ, თავად საქონლის ან მომსახურების მახასიათებლებზე.

35. ეს დებულება მიზნად არ ისახავდა სასაქონლო ნიშნის აკრძალვას მხოლოდ იმიტომ, რომ მოცემული საქონლის სტანდარტი არ ემთხვევა მყიდველის მოლოდინებს იმის გამო, რომ კონკრეტული პირი აღარ არის ჩართული ამ საქონლის დიზაინსა და წარმოებაში ან შესაძლო

სხვა მიზეზის გამო. თუმცა, სასაქონლო ნიშანი უნდა მოქმედებდეს როგორც გარანტი, რომ საქონელი ერთი და იმავე საწარმოს წარმოებულია და ის პასუხისმგებელია მათ სტანდარტზე, ის ზოგადად თავად არ მოქმედებს, როგორც ამ სტანდარტის წარმომადგენელი.

36. გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ამტკიცებს, საზოგადოება აცნობიერებს, რომ კონკრეტული სასაქონლო ნიშნის შემცველი საქონლის სტანდარტი შეიძლება განსხვავდებოდეს, იქნება ეს სასაქონლო ნიშნის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე თუ საკუთრების ან მენეჯმენტის ცვლილების, დიზაინის ჯგუფის ან მწარმოებელი საწარმოს ცვლილებების გამო. მაშასადამე, საშუალო მომხმარებელი არ შეიძლება შეცდომაში შევიდეს სასაქონლო ნიშნის მფლობელის ცვლილების გამო.

37. ევროპული საზოგადოებების კომისია, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ სასამართლოს ჯერ არ ჰქონია შესაძლებლობა მოეხდინა №89/104 დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის ინტერპრეტაცია იმ ვითარებებთან დაკავშირებით, სადაც სასაქონლო ნიშანი შეცდომაში შემყვანია და ჯერ არ დაუდგენია ის საჯარო ინტერესი, რომელსაც ეს დებულება იცავს. ეს საჯარო ინტერესი შეიძლება განსხვავდებოდეს რეგისტრაციაზე უარის თქმის სხვა აბსოლუტურ საფუძველებთან მიმართებაში, როგორცაა საქმეებში C-108/97 და C-109/97 Windsurfing Chiemsee [1999] ECR I-2779, საქმე C-299. /99 Philips [2002] ECR I-5475, ან საქმე C-104/01 Libertel [2003] ECR I-3793.

38. მიუხედავად ამის, კომისია შეახსენებს, რომ სასამართლომ დაადგინა სასაქონლო ნიშნის არსებითი ფუნქცია, როგორც მომხმარებლისათვის ერთგვარი გარანტი საქონლის ან მომსახურების იდენტობისა და წარმოშობის განსაზღვრისათვის, რაც საშუალებას იძლევა, ყოველგვარი აღრევის გარეშე განასხვავოს საქონელი ან მომსახურება სხვა საქონლისა თუ მომსახურებისაგან, რომელსაც განსხვავებული წარმოშობა აქვს. იმისათვის, რომ სასაქონლო ნიშანს შეეძლოს თავისი არსებითი როლის შესრულება კეთილსინდისიერი კონკურენციის სისტემაში, რომლის დამყარებასა და შენარჩუნებასაც ცდილობს ხელშეკრულება, მან უნდა უზრუნველყოს გარანტია, რომ ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელზეც სასაქონლო ნიშანია გამოსახული, წარმოებული ან მიწოდებული იყო ცალკეული კომპანიის კონტროლის ქვეშ, რომელიც პასუხისმგებელია მათ ხარისხზე (იხ., საქმე C-206/01 Arsenal Football Club [2002] ECR I-10273, პუნქტი 48).

39. აქედან გამომდინარე, კომისია ასკვნის, რომ ეს ფუნქცია¹⁵ არ ნიშნავს იმას, რომ მომხმარებელს უნდა შეეძლოს მწარმოებლის იდენტიფიცირება სასაქონლო ნიშნის მიხედვით, არამედ იმას, რომ სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს გარანტიას, რომ საქონელი ბაზარზე განთავსდა მისი მფლობელის თანხმობით.

40. კომისია, ასევე, აცხადებს, თავისთავად ფაქტი, რომ სასაქონლო ნიშანი შეესაბამება პირის სახელს, არ ნიშნავს, რომ ეს პირი ასოცირებულია სასაქონლო ნიშნის მფლობელთან ან რომ ასეთი მონაწილეობა პრეზუმირებულია და, შესაბამისად, არ ადასტურებს დასკვნას, რომ ეს პირი მონაწილეობს ამ სასაქონლო ნიშნის შემცველი საქონლის წარმოებაში. კომისია ამტკიცებს, რომ ეს არგუმენტი მყარდება სასამართლოს მსჯელობით საქმეში C-404/02

¹⁵ სასაქონლო ნიშნის არსებითი ფუნქცია - იხ. 38-ე პუნქტი

Nichols [2004] ECR I-8499, რომლის მიხედვითაც არ არსებობს სამართლის სპეციალური წესი სასაქონლო ნიშნისათვის, რომელიც გამოიყენება პერსონალურ სახელზე.

41. კომისია, ასევე, ამტკიცებს, რომ 89/104 დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის საშუალო მომხმარებელი შეიძლება შეცდომაში შევიდეს პირის სახელთან დაკავშირებული სასაქონლო ნიშნით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაყიდვების სტრატეგია მიუთითებს, რომ ეს პირი მონაწილეობს შესაბამისი სასაქონლო ნიშნის შემცველი პროდუქტის წარმოებაში, თუმცა, ის აღარ არის დაკავშირებული ამ სასაქონლო ნიშნის მფლობელთან.

42. და ბოლოს, ყველა, ვინც სასამართლოში მოსაზრებები წარადგინა, ამტკიცებს, რომ დროს, რომელიც გავიდა მას შემდეგ, რაც ის პირი, რომლის სახელსაც უკავშირდებოდა სასაქონლო ნიშანი, აღარ არის ნიშნის მფლობელი, არ აქვს მნიშვნელობა იმის განსასაზღვრად, შეუძლია თუ არა ამ ნიშანს შეცდომაში შეიყვანოს საშუალო მომხმარებელი.

სასამართლოს დადგენილება

43. №89/104 დირექტივის მე-2 მუხლი მოიცავს ჩამონათვალს, რომელიც ამ დირექტივის პრეამბულის მეშვიდე პუნქტში აღწერილი მაგალითების ნუსხაა, როგორც ნიშნების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდეს სასაქონლო ნიშანს იმ პირობით, რომ ასეთ ნიშნებს შეუძლიათ განასხვავონ ერთი საწარმოს საქონელი ან მომსახურება სხვა საწარმოებისგან, ანუ შეასრულონ სასაქონლო ნიშნის, როგორც საქონლის წარმომავლობის ინდიკატორის ფუნქცია. ეს ჩამონათვალი პირდაპირ შეიცავს პირად სახელებს (ნიკოლსი, პარაგრაფი 22).

44. როგორც კომისიამ აღნიშნა, იმისთვის, რომ სასაქონლო ნიშანს შეეძლოს შეასრულოს თავისი არსებითი როლი კეთილსინდისიერი კონკურენციის სისტემაში, მან უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელზეც ის არის გამოსახული, წარმოებული ან მიწოდებული იყო ერთი და იმავე კომპანიის კონტროლის ქვეშ, რომელიც პასუხისმგებელია მათ ხარისხზე (იხ. არსენალის საფეხურთო კლუბი, პარაგრაფი 48).

45. სასაქონლო ნიშანს, როგორცაა „ELIZABETH EMANUEL“ შეიძლება ჰქონდეს განმასხვავებელი ფუნქცია საწარმოს მიერ წარმოებული საქონლისათვის, მათ შორის მაშინ, როდესაც ეს სასაქონლო ნიშანი გადაცემული აქვს ამ კომპანიას და აწარმოებს იმავე ტიპის საქონელს, რასაც თავდაპირველად ემსახურებოდა ეს სასაქონლო ნიშანი.

46. თუმცა, სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში, რომელიც პიროვნების სახელია, საჯარო ინტერესის საფუძველი, რომელიც შეესაბამება №89/104 დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით დადგენილ აკრძალვას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე და ეხმიანება მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანის დაუშვებლობას, კერძოდ, მომხმარებელთა დაცვის სტანდარტმა უნდა დააყენოს საშუალო მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის რისკის შესახებ საკითხი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პირი, რომლის სახელსაც შეესაბამება ეს ნიშანი, თავდაპირველად პერსონალიზებული იყო ამ ნიშნის მატარებელ საქონელთან.

47. მიუხედავად ამისა, №89/104 დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში მითითებული რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველები გულისხმობს ფაქტობრივ შეცდომაში შეყვანის ალბათობას საკმარისად სერიოზულ რისკს, რომ მომხმარებელი შეცდება (Case C-87/97 Consorzio per la tutela del formaggio Gorgonzola [1999] ECR I-1301, პარაგრაფი 41).

48. მოცემულ შემთხვევაში, იმ დაშვებითაც კი, თუ ყიდვის პროცესში საშუალო მომხმარებელზე გავლენას იქონიებდა სასაქონლო ნიშნით „ELIZABETH EMANUEL“ წარმოებული ტანსაცმლის შემენისას ის ფაქტი, რომ მთავარ სამართალწარმოებაში მომჩივანი მხარე მონაწილეობდა ამ ტანსაცმლის დიზაინში, ამ სამოსის მახასიათებლები და თვისებები გარანტირებულია საწარმოს მიერ, რომელიც ფლობს ამ სასაქონლო ნიშანს.

49. აქედან გამომდინარე, სახელი Elizabeth Emanuel თავისთავად არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ბუნების მქონედ, რომ შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება პროდუქტის სახეობასთან, ხარისხთან ან გეოგრაფიულ წარმომავლობასთან დაკავშირებით.

50. მეორე მხრივ, ეროვნულმა სასამართლომ უნდა განსაზღვროს, სასაქონლო ნიშნის „ELIZABETH EMANUEL“- წარდგენისას თუ არსებობს საწარმოს მხრიდან განზრახვა, მომხმარებლებს შეუქმნას წარმოდგენა, რომ ემანუელი კვლავ არის სასაქონლო ნიშნის მატარებელი საქონლის დიზაინერი ან რომ იგი მონაწილეობს მათი დიზაინის შექმნაში. ასეთ შემთხვევაში ეს არის ქცევა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს თაღლითობად, მაგრამ არა როგორც მომხმარებლის შეცდომაში შეყვანად №89/104 დირექტივის მე-3 მუხლის მიზნებისთვის და ამ შემთხვევაში უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე.

51. შესაბამისად, პირველ ორ კითხვაზე პასუხი უნდა იყოს, რომ სასაქონლო ნიშანს, რომელიც შეესაბამება ამ ნიშნით ნიშანდებული საქონლის დიზაინერისა და პირველი მწარმოებლის სახელს, არ შეიძლება, მხოლოდ ამ კონკრეტული მახასიათებლის გამო უარი ეთქვას რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი №89/104 დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც „გუდვილი“ (საქმიანი რეკუტაცია და კლიენტურა), რომელიც დაკავშირებულია ამ სასაქონლო ნიშანთან, ადრე იყო რეგისტრირებული სხვა გრაფიკული ფორმით და სასაქონლო ნიშანზე უფლება გადაცემული ჰქონდა ბიზნესთან ერთად, რომელიც ამ სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებულ საქონელს ქმნის.

ბოლო ორი შეკითხვა

52. ბოლო ორი კითხვით, უფლებამოსილი პირი არსებითად ცდილობს გაარკვიოს ის გარემოებები, სადაც სასაქონლო ნიშანი ექვემდებარება გაუქმებას იმ მიზეზით, რომ ამ ნიშანს შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება, დირექტივის 89/104 მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე იმ პირობებში, როდესაც ამ ნიშანთან დაკავშირებული „გუდვილი“ მინიჭებულია იმ საქონლის მწარმოებელ ბიზნესთან ერთად, რომელსაც ეს ნიშანი გადაეცა და ეს სასაქონლო ნიშანი შეესაბამება ამ საქონლის დიზაინერისა და პირველი მწარმოებლის სახელს.

53. ვინაიდან №89/104 დირექტივის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი გაუქმების პირობები იგივეა, რაც ამავე დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები, რომლის ანალიზმა ჩამოაყალიბა პირველ ორ კითხვაზე პასუხის საგანი, ბოლო ორ კითხვაზე პასუხი უნდა იყოს ის, რომ სასაქონლო ნიშანი, რომელიც შეესაბამება ამ ნიშნით მონიშნული საქონლის დიზაინერისა და პირველი მწარმოებლის სახელს, მხოლოდ ამ კონკრეტული მახასიათებლის გამო, არ ექვემდებარება გაუქმებას იმ მოტივით, რომ ამ ნიშანს შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება, 89/104 დირექტივის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ნიშანთან დაკავშირებული „გუდვილი“ გადაცემულია სხვა საწარმოსათვის ბიზნესთან ერთად, რომელიც ამ სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებულ საქონელს ქმნის.

ხარჯები

54. ვინაიდან ეს პროცესი ძირითადი პროცესის მხარეებისთვის, არის ეროვნული სასამართლოს წინაშე გადადგმული ნაბიჯი, ხარჯებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება იმ სასამართლოს ეკუთვნის. სასამართლოსთვის მოსაზრებების წარდგენისას გაწეული ხარჯები, გარდა მხარეთა ხარჯებისა, არ ანაზღაურდება.

ამ საფუძვლებიდან გამომდინარე, სასამართლო (მესამე პალატა) ადგენს:

1. სასაქონლო ნიშანს, რომელიც შეესაბამება ამ ნიშნით მონიშნული საქონლის დიზაინერისა და პირველი მწარმოებლის სახელს, **არ შეიძლება**, მხოლოდ ამ კონკრეტული მახასიათებლის გამო უარი ეთქვას რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ ის შეცდომაში შეიყვანს საზოგადოებას 1988 წლის 21 დეკემბრის საბჭოს დირექტივის 89/104/EEC, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებული „გუდვილი“, რომელიც ადრე იყო რეგისტრირებული სხვა გრაფიკული ფორმით გადაცემული იქნა იმ საქონლის მწარმოებელ ბიზნესთან ერთად, რომელსაც უკავშირდება ეს ნიშანი.

2. სასაქონლო ნიშანი, რომელიც შეესაბამება ამ ნიშნით მონიშნული საქონლის დიზაინერის და პირველი მწარმოებლის სახელს, მხოლოდ ამ კონკრეტული მახასიათებლის გამო **არ ექვემდებარება** გაუქმებას იმ მიზეზით, რომ ამ ნიშანს შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი 89/104 დირექტივის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ნიშანთან დაკავშირებული „გუდვილი“ გადაცემული იქნა იმ საქონლის მწარმოებელ ბიზნესთან ერთად, რომელსაც უკავშირდება ეს ნიშანი.

საქმისწარმოების ენა: ინგლისური

27/10/2016, T-29/16, CAFFÈ NERO

ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილება (მესამე პალატა)
2016 წლის 27 ოქტომბერი (*)

(ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი – განაცხადი ევროკავშირის სიტყვიერ ნიშანზე CAFFÈ NERO - რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი – განმასხვავებელუნარიანი ხასიათის არარსებობა – აღწერილობითი – შეცდომაში შემყვანი სასაქონლო ნიშანი - რეგულაციის (EC) №207/2009 მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტები)

საქმეში T-29/16,

Caffè Nero Group Ltd, დაარსებული ლონდონში (გაერთიანებული სამეფო), წარმოდგენილი
ლ. კასიდის მიერ, ადვოკატი,

განმცხადებელი

vs. ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისი (EUIPO), წარმოდგენილი მ.
რაჯჰის მიერ, აგენტის მოვალეობის შემსრულებელი, მოპასუხე,

სარჩელი შეტანილი იქნა EUIPO-ს პირველი სააპელაციო საბჭოს 2015 წლის 4 ნოემბრის
გადაწყვეტილების წინააღმდეგ (საქმე R 410/2015-1), რომელიც ეხება სიტყვიერი ნიშნის
„CAFFÈ NERO“ ევროკავშირის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის შესახებ განაცხადს,

ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლო (მესამე პალატა),

შედგენილი, განხილვის დროს, ს. პაპასავასი (მომხსენებელი), პრეზიდენტი, ე. ბიელიუნასი
და კ. ილიოპულოსი, მოსამართლეები,

რეგისტრატორი: ე. კულონი,

2016 წლის 25 იანვარს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს რეესტრში შეტანილი
საჩივრისა და 2016 წლის 8 აპრილს შეტანილი პასუხის გათვალისწინებით.

იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო პროცესის წერილობითი ნაწილის დახურვის
შესახებ შეტყობინების მიწოდებიდან სამი კვირის განმავლობაში მთავარმა მხარეებმა არ
წარადგინეს ზეპირი მოსმენის მოთხოვნა და გადაწყვიტეს სარჩელის განხილვა მის გარეშე.
ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს რეგლამენტის 106-ე მუხლის მე-3
პუნქტის შესაბამისად,

გამოაქვს შემდეგი გადაწყვეტილება

დავის მიმოხილვა

1. 2014 წლის 8 სექტემბერს განმცხადებელმა „Caffè Nero Group“, ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისში (EUIPO) შეიტანა განაცხადი 2009 წლის 26 თებერვლის საბჭოს რეგულაციის (EC) №207/2009 შესაბამისად, ევროკავშირის სასაქონლო ნიშანზე (OJ 2009 L 78, გვ. 1).

2. რეგისტრაცია მოითხოვებოდა სიტყვიერ ნიშანზე „CAFFÈ NERO“.

3. საქონელი და მომსახურება, რომლებზედაც მოითხოვა რეგისტრაცია, საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ 1957 წლის 15 ივნისის ნიცის შეთანხმების 30-ე და 35-ე კლასებისათვის, ნიშნების რეგისტრაციის მიზნით, როგორც შესწორებული და გადასინჯული, შეესაბამება, inter alia, თითოეულ ამ კლასს, შემდეგ აღწერას:

კლასი 30: „ჩაი, ყავა, კაკაო; ორცხობილა; პური, საკონდიტრო ნაწარმი, შოკოლადის ფილა, შოკოლადით დაფარული ყავის მარცვლები; ყინულები; ნამცხვრები, პუდინგები; ნამცხვრები; არომატიზატორები; მზა კერძები, რომელიც შედგება ძირითადად პურის, კრეკერისა და/ან ნამცხვრისგან; ყავის ნაჭრები; ყავის შემცვლელი; ყავის და ესპრესოს სასმელები; ყავის და/ან ესპრესოს ფუძით დამზადებული სასმელები; ყავის უალკოჰოლო სასმელები და გამაგრილებელი სასმელები; დაფქული და მთელი მარცვლოვანი ყავა; ყავის ესენციები და ექსტრაქტები; მცენარის ჩაი; ჩაის სასმელები; კაკაო და კაკაოს პროდუქტები; კაკაოს სასმელები; მაფინები, ღვეზელები და მიქსები ზემოაღნიშნული საქონლის დასამზადებლად; მიუსლი და მიუსლის ბარები; სოუსები; სიროფები, ტოპინგები და სპრედები; შერბეტები და სორბეტები; არომატიზებული ყინული და გაყინული საკონდიტრო ნაწარმი; შოკოლადის ფხვნილი; არომატიზატორი სიროფები სასმელებში დასამატებლად; ფაფა; შვრიის ფაფა;

კლასი 35: „საცალო ვაჭრობის მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია ყავასთან, ყავის მარცვლებთან, დაფასოებულ და მზა საკვებთან; ონლაინ საცალო ვაჭრობის მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია ყავასთან, ყავის პაკეტებთან, დაფასოებულ და მზა საკვებთან; საცალო ვაჭრობის მომსახურება რომლებიც დაკავშირებულია ყავასთან, ყავის პაკეტებთან, დაფასოებულ და მზა საკვებთან; წამახალისებელი სქემების ორგანიზება, ფუნქციონირება და ზედამხედველობა ყავის, ყავის პაკეტების, შეფუთული და მზა საკვების ყიდვა-გაყიდვის ხელშეწყობის მიზნით.

4. 2014 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ექსპერტმა მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე, მე-3 პარაგრაფში აღნიშნული საქონლისა და მომსახურებისათვის, №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

5. 2015 წლის 19 თებერვალს, განმცხადებელმა ექსპერტის გადაწყვეტილების წინააღმდეგ EUIPO-ში შეიტანა სააპელაციო საჩივარი №207/2009 რეგულაციის 58-დან 64-ე მუხლების შესაბამისად.

6. 2015 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით („სადავო გადაწყვეტილება“) EUIPO-ს სააპელაციო საბჭომ არ დააკმაყოფილა საჩივარი.

7. უპირველეს ყოვლისა, სააპელაციო საბჭომ დაადგინა, რომ განცხადებული ნიშანი, შესაბამისი საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც „შავი ყავა“, ანუ ყავა, რომელსაც სასმელად მიირთმევენ ნაღების, რძის ან შაქრის გარეშე.

8. შემდეგ, სააპელაციო საბჭომ დაადგინა, რომ მე-3 პუნქტში მოხსენიებული ზოგიერთი საქონლის მიმართ (კერძოდ, „ჩაი, ყავა, კაკაო; ორცხოზილა; პური, საკონდიტრო ნაწარმი, შოკოლადის ფილა, შოკოლადით დაფარული ყავის მარცვლები; ყინულები; ნამცხვრები, პუდინგები; ნამცხვრები; არომატიზატორები; მზა კერძები, რომელიც შედგება ძირითადად პურის, კრეკერისა და/ან ნამცხვრისგან; ყავის ნაჭრები; ყავის შემცვლელი; ყავა და ესპრესო სასმელები; ყავის და/ან ესპრესო ფუძით დამზადებული სასმელები; ყავის უალკოჰოლო სასმელები და გამაგრილებელი სასმელები; დაფუძული და მთელი მარცვლოვანი ყავა; ყავის ესენციები და ექსტრაქტები; მცენარის ჩაი; ჩაის სასმელები; კაკაო და კაკაოს პრეპარატები; კაკაოს სასმელები; ღრუბლები, მაფინები, ღვეზელები და მიქსები ზემოაღნიშნული საქონლის დასამზადებლად; მიუსლი და მიუსლის ბარები; სოუსები; სიროფები, ტოპინგები და სპრედები; შერბეტები და სორბეტები; არომატიზებული ყინული და გაყინული საკონდიტრო ნაწარმი; შოკოლადის ფხვნილი; არომატიზატორი სიროფები სასმელებში დასამატებლად; ფაფა; შვრიის ფაფა“) და ზემოთ, მე-3 პარაგრაფში მოხსენიებული სადავო მომსახურებისთვის, ნიშანი აღიქმება, როგორც პირდაპირი და აშკარა მითითება საქონლის და საქონელთან დაკავშირებული მომსახურების ბუნებაზე. მოცემულ შემთხვევაში ნიშანი მიუთითებს, რომ საქონელი არის ან შეიცავს შავ ყავას ან აქვს შავი ყავის გემო.

9. სააპელაციო საბჭომ, ასევე, მიიჩნია, რომ არც ერთი მტკიცებულება არ აჩვენებდა, რომ ნიშანი იყო უჩვეულო ან შეიძლება ჰქონოდა განსხვავებული მნიშვნელობა, რომელიც, შესაბამისი მომხმარებლის აღქმით, განასხვავებდა განმცხადებლის მიერ შეთავაზებულ საქონელსა და მომსახურებას სხვა საწარმოსაგან.

10. შესაბამისად, სააპელაციო საბჭომ მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის, მე-8 პარაგრაფში მითითებულ საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ, 207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

11. და ბოლოს, სააპელაციო საბჭომ დაადგინა, რომ მე-3 პარაგრაფში მოხსენიებული ზოგიერთი საქონლის მიმართ (კერძოდ, „ჩაი, კაკაო, ყავის შემცვლელი; მცენარეული ჩაი; ჩაის სასმელები; კაკაო და კაკაოზე დაფუძნებული პრეპარატები; კაკაოს სასმელები; პრეპარატები და ნარევები ზემოაღნიშნული საქონლის დასამზადებლად; შოკოლადის ფხვნილი“), მომხმარებლები სავარაუდოდ ჩათვლიდა, რომ ეს საქონელი იყო ან შეიცავდა შავ ყავას, მაშინაც კი, თუ სინამდვილეში ეს ასე არ იყო. შესაბამისად, სააპელაციო საბჭომ 207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო აღნიშნული საქონლის მიმართ.

12. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ სასამართლომ უნდა:

- გააუქმოს სადავო გადაწყვეტილება და დაუშვას სასაქონლო ნიშნის განაცხადის რეგისტრაცია;
- დაავალოს EUIPO-ს გადაიხადოს ხარჯები.

13. EUIPO ამტკიცებს, რომ სასამართლომ:

- არ უნდა დააკმაყოფილოს განცხადება;
- დაავალოს განმცხადებელს ხარჯების გადახდა.

კანონმდებლობა

14. თავისი საჩივრის გასამყარებლად, მომჩივანი არსებითად აყენებს სასარჩელო მოთხოვნას ოთხ საფუძველზე, რომლებიც ამტკიცებს: (i) №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას; (ii) რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევას; (iii) რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის დარღვევას; და (iv) თანაბარი მოპყრობისა და ჯანსაღი ადმინისტრირების პრინციპების დარღვევას.

პირველი სასარჩელო საფუძველი, რომელიც ემყარება 207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

15. განმცხადებელი ამტკიცებს: სააპელაციო საბჭომ შეცდომით დაადგინა, რომ ნიშანი აღწერს სადავო საქონელსა და მომსახურებას №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

16. ამ დებულების თანახმად, „სასაქონლო ნიშნები, რომლებიც შედგება ექსკლუზიურად იმ ნიშნების ან აღნიშვნებისგან, რომლებიც ვაჭრობაში შეიძლება ემსახურობდეს საქონლის სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, დანიშნულების, მიზნის, ღირებულების, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის წარმოების, მომსახურების გაცემის დროს, ან საქონლის/მომსახურების სხვა მახასიათებელს, არ უნდა დარეგისტრირდეს. გარდა ამისა, №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ „პირველი პუნქტი გამოიყენება მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრაციის უარყოფის საფუძველები არსებობს მხოლოდ [ევროპის] კავშირის ნაწილში“.

17. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, რომ აღწერილობითი ნიშნები და აღნიშვნები ყველამ თავისუფლად გამოიყენოს (იხ. 2014 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება, Kaatsu Japan v OHIM (KAATSU), T-567/12, არ არის გამოქვეყნებული, EU:T:2014:937, პუნქტი 27 და ციტირებული პრეცედენტული სამართალი).

18. გარდა ამისა, ნიშნებს ან აღნიშვნებს, რომლებიც შეიძლება ემსახურობდეს ვაჭრობაში იმ საქონლის ან მომსახურების მახასიათებლების აღნიშვნას, რისთვისაც მოითხოვება რეგისტრაცია, №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით არ აქვს უნარი შეასრულოს სასაქონლო ნიშნის არსებითი ფუნქცია. კერძოდ, ასეთი ნიშნები ვერ ახდენს საქონლის ან მომსახურების კომერციული წყაროს იდენტიფიცირებას, რათა მომხმარებელს, რომელმაც შეიძინა ნიშნით მონიშნული საქონელი ან მომსახურება, საშუალება მისცეს, გაიმეოროს გამოცდილება თუ ეს გამოცდილება დადებითია ან, შემდგომი შექმნის შემთხვევაში, თავიდან აირიდოს, თუკი ეს გამოცდილება

ნეგატიურია, (2014 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება, KAATSU, T-567/12, არ არის გამოქვეყნებული, EU:T:2014:937, პარაგრაფი 28).

19. აქედან გამომდინარეობს: იმისათვის, რომ ნიშანზე №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა გავრცელდეს, უნდა არსებობდეს საკმარისად პირდაპირი და კონკრეტული კავშირი ნიშანსა და საქონელს ან მომსახურებას შორის, რათა დაინტერესებულმა საზოგადოებამ შეძლოს დაუყოვნებლივ, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, აღიქვას საქონლისა და მომსახურების აღწერილობითობა (იხ. გადაწყვეტილება 7 ნოემბერი 2014, KAATSU, T-567/12, არ გამოქვეყნებული, EU:T:2014:937, პუნქტი 29 და ციტირებული სასამართლო სამართალი).

20. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ნიშნის აღწერილობითი ბუნება ფასდება შესაბამისი მომხმარებლის აღქმის გათვალისწინებით, და შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიმართებით (იხ. გადაწყვეტილება 7 ნოემბრის 2014, KAATSU, T-567/12, არ არის გამოქვეყნებული, EU:T:2014:937, პუნქტი 30 და ციტირებული სასამართლო სამართალი).

21. წინამდებარე საქმეში, პირველ რიგში, შესაბამისი მომხმარებელთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებელი სადავოდ არ ხდის არც სააპელაციო საბჭოს დასკვნას, რომ საქონელი მიმართულია ფართო საზოგადოებისთვის და არც იმას, რომ მომსახურება მიმართულია პროფესიონალი საზოგადოებისთვის, მაგრამ ასევე, შეიძლება მიეწოდოს ფართო საზოგადოებასაც. მიზანშეწონილია, ნებისმიერ შემთხვევაში, აღინიშნოს, რომ ეს საქონელი და მომსახურება ძირითადად მიმართულია ფართო საზოგადოებისთვის. მეორეც, განსახილველი საქონლისა და მომსახურების ბუნების გათვალისწინებით, სააპელაციო საბჭო სრულად იყო უფლებამოსილი დაედგინა, რომ შესაბამისი საზოგადოების ყურადღების დონე, ზოგადად, საშუალოა და რომ მომხმარებელი ითვლება საკმარისად კარგად ინფორმირებულად და საკმარისად დაკვირვებულად და ფრთხილად, ფაქტი, რომელსაც განმცხადებელი კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს. მესამეც, №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამიზნე მომხმარებელი, რომლის გადმოსახედიდანაც უნდა შეფასდეს უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი, არის იტალიურ ენაზე მოლაპარაკე მომხმარებელი, როგორც ეს სააპელაციო საბჭომ აღნიშნა, და ამ საკითხთან დაკავშირებით განმცხადებლის მხრიდან არ ყოფილა რაიმე შედავება, ვინაიდან განსახილველი ნიშანი შედგება იტალიური ენის ელემენტებისაგან (იხ., ამასთან დაკავშირებით, 2007 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, MacLean-Fogg v OHIM (LOKTHREAD), T-339/05, არ არის გამოქვეყნებული, EU:T: 2007:172, პუნქტი 41 და ციტირებული პრეცედენტული სამართალი).

22. მეორე რიგში, №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გამოყენების მიზნით, სადავო ნიშნის მოცემული მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია განხილულ იქნეს სამიზნე მომხმარებლის თვალსაზრისით, არსებობს თუ არა საკმარისად პირდაპირი და კონკრეტული კავშირი ნიშანს „CAFFÈ NERO“ და საქონელს ან მომსახურებას შორის, რომლებზედაც მოითხოვება რეგისტრაცია (იხ. ამ თვალსაზრისით, 2007 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, LOKTHREAD, T- 339/05, არ არის გამოქვეყნებული, EU:T:2007:172, პუნქტი 42 და ციტირებული პრეცედენტული სამართალი).

23. რაც შეეხება პირველ რიგში განსახილველ ნიშანს, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნიშანი შედგება ორი სიტყვისგან, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება იტალიურში, ამ შემთხვევაში, არსებითი სახელი „caffè“ ნიშნავს „ყავას“ და ზედსართავი სახელი „nero“, ნიშნავს „შავს“. მთლიანობაში, იტალიური გრამატიკისა და სინტაქსის მიხედვით, ამ ორი ტერმინის კომბინაცია აღიქმება დაინტერესებული მომხმარებლის მიერ, როგორც „შავი ყავა“.

24. ამასთან დაკავშირებით, სააპელაციო საბჭომ აღნიშნა, რომ იტალიურ ენაზე მოლაპარაკე მომხმარებელი სიტყვებს „caffè nero“ გაიგებს, როგორც „შავ ყავას“, ანუ ყავას, როგორც სასმელს ნაღების, რძის ან შაქრის გარეშე.

25. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ გამოთქმას „caffè nero“ არ აქვს მნიშვნელობა არც იტალიურ ენაში და არც იტალიური ყავის კულტურაში. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ ყავა მოიხსენიება კონკრეტული სახელის გამოყენებით და არა მისი ფერის მითითებით. იგი ამტკიცებს, რომ სააპელაციო საბჭოს დასკვნა არ არის გამყარებული რაიმე მტკიცებულებით და ეწინააღმდეგება მის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

26. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ, ცხადია, სააპელაციო საბჭომ პირდაპირ არ დაეყრდნო რაიმე კონკრეტულ მტკიცებულებას იმის დასადასტურებლად, რომ იტალიურენოვანი მომხმარებელი გაიგებს გამოთქმას „caffè nero“ როგორც „შავ ყავას“ - სასმელს ნაღების, რძის ან შაქრის გარეშე.

27. თუმცა, EUIPO-ს კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ თავიანთი გადაწყვეტილებები დააფუძნონ ფაქტებს, რომლებიც არ არის წარმოდგენილი ნიშნის განმცხადებლის მიერ. ამ ორგანოების ამოცანაა დაადგინონ ასეთი ფაქტების სიზუსტე თავიანთ გადაწყვეტილებებში, მაგრამ, აღნიშნული არ ეხება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებს (იხ. 2007 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება, OHIM v Celltech, C-273/ 05 P, EU:C:2007:224, პუნქტები 38 და 39 და ციტირებული პრეცედენტული სამართალი).

28. მოცემულ საქმეში, როგორც სააპელაციო საბჭოს კოლეგია მიუთითებს შემდეგს - ფაქტი, რომ იტალიურად მოლაპარაკე მომხმარებელი გამოთქმას „caffè nero“ გაიგებს, როგორც „შავ ყავას“, ანუ ყავას, როგორც სასმელს ნაღების, რძის ან შაქრის გარეშე, შეიძლება ჩაითვალოს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად, რომლის იგნორირებაც განმცხადებელს არ შეუძლია.

29. ფაქტია, რომ ბევრ წევრ სახელმწიფოში საკუთარ ენაზე სიტყვასიტყვით თარგმნა გამოთქმის „caffè nero“ ფართო საზოგადოებისთვის გასაგები იქნება, როგორც ყავა, რომელსაც სასმელად მიირთმევენ ყოველგვარი დანამატების გარეშე, და რომ სწორედ ასე გაიგებს იტალიურენოვანი საზოგადოება გამოთქმას - „caffè nero“.

30. ამ დასკვნას ეჭვქვეშ არ აყენებს განმცხადებლის მტკიცება, რომ სააპელაციო საბჭომ სადავო ნიშნის ინტერპრეტაცია განახორციელა მისი ინგლისურად თარგმნით და ინგლისური განმარტებით. სინამდვილეში, ეს პრეტენზია ეფუძნება სადავო გადაწყვეტილების არასწორ გაგებას (წაკითხვას). მართალია, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ინგლისურ ენაზეა დაწერილი, რადგან ინგლისური იყო EUIPO-ს ორგანოების საქმის განხილვის ენა, თუმცა სადავო გადაწყვეტილებაში არ არსებობს არავითარი მტკიცებულება, რომელიც იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ სააპელაციო საბჭო, ნიშნის აღწერილობითობის შეფასებისას, ეყრდნობოდა ამ ნიშნის ინგლისურ

თარგმანს ან თარგმანის იტალიურენოვანი საზოგადოების აღქმას. მართლაც, სააპელაციო საბჭო არ მიუთითებს ნიშნის მნიშვნელობაზე ინგლისურად. შესაბამისად, სრულად უნდა იყოს უარყოფილი განმცხადებლის არგუმენტი ინგლისურ ენაზე ნიშნის მნიშვნელობის შესახებ.

31. სასამართლომ, ასევე, უნდა უარყოს არგუმენტი, რომ იტალიურ ენასა და იტალიური ყავის კულტურაში ყავა მოიხსენიება კონკრეტული სახელით და არა მისი ფერის მითითებით, და რომ ტერმინი „შავი ყავა“ არ გამოიყენება იმის მისათითებლად რომ სასმელი არის ნაღების, რძის ან შაქრის გარეშე. მართლაც, ის ფაქტი, რომ ამ არგუმენტის მხარდასაჭერად წარმოდგენილ მტკიცებულებებში, რომელიც იტალიაში ყავის კულტურას ეხება, არ არის ნახსენები გამოთქმა „caffè nero“ არ ადასტურებს, როგორც ასეთი, რომ სადავო ნიშანი არ იქნება გაგებული, როგორც მითითება შავ ყავაზე და როგორც ეს იქნა გაგებული სააპელაციო საბჭოს მიერ. უფრო მეტიც, ეს მტკიცებულება მოიცავს ამონაწერებს ვებ გვერდებიდან, რომლებიც დაწერილია ინგლისურად და უმეტესობა მიმართულია არაიტალიურენოვანი საზოგადოებისაკენ, ტურისტული მიზნებისთვის. ამრიგად, ეს მტკიცებულება, ვერ ადასტურებს, რომ იტალიურ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოება ვერ გაიგებს გამოთქმას „caffè nero“ ისე, როგორც ეს სააპელაციო საბჭოს ესმოდა. ამ მხრივ, EUIPO არ დავობს განმცხადებლის მიერ აღნიშნულ ფაქტზე, რომ ყავის კულტურა იტალიაში მდიდარი და მრავალფეროვანია, მრავალი წესით, ნიუანსებითა და თავისებურებებით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, თუნდაც სიმართლე ყოფილიყო, რომ გამოთქმა „caffè nero“ არ იყო ამ კულტურის ნაწილი, ის ვერ შეცვლიდა იმ ფაქტს, რომ იტალიურ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოება მიხვდება, რომ ეს ყავას ეხება, სასმელს ყოველგვარი დანამატების გარეშე. ამრიგად, სააპელაციო საბჭო არ შემცდარა, როდესაც დაადგინა, რომ შეუსაბამო იყო სხვა ტერმინების არსებობა, რომლებიც შეიძლება უფრო ხშირად გამოიყენონ, ვიდრე „caffè nero“, ყავაზე დაფუძნებულ სასმელებთან დაკავშირებით.

32. აქედან გამომდინარე, განმცხადებელს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც სადავოდ გახდიდა სააპელაციო საბჭოს დასკვნას, რომ ნიშანი CAFFÈ NERO იტალიურენოვან მომხმარებელს ესმის, როგორც „შავი ყავა“, ანუ ყავა, როგორც სასმელი ნაღების, რძის ან შაქრის გარეშე.

33. ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მაშინაც კი, თუ იტალიურ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოება ჩვეულებრივ არ მოიხსენიებს ყავას მისი ფერის მიხედვით, სადავო ნიშანი ამ საზოგადოებისთვის მაინც ისე იქნება გაგებული, როგორც შავი ფერის ყავის აღმნიშვნელი.

34. მეორეც, რაც შეეხება სადავო ნიშანსა და განსახილველ საქონელსა და მომსახურებას შორის კავშირს, უნდა აღინიშნოს, რომ საქონელი, რომლის მიმართაც სააპელაციო საბჭომ გამოიყენა რეგულაციის №207/2009 მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი (იხ. პარაგრაფი 8 ზემოთ), არის საკვები პროდუქტები ყოველდღიური მოხმარებისთვის. ეს მოიცავს, inter alia, ყავას სხვადასხვა ფორმით, ყავასთან დაკავშირებულ საქონელს ან საკვებს, რომელსაც აქვს ყავის გემო ან საკვები, რომელიც უნდა მიირთვათ ყავასთან ერთად. ასევე, უნდა აღინიშნოს, განცხადებული მომსახურება არის დაკავშირებული საკვებთან, მათ შორის, ყავისა და ყავის კაფსულების გაყიდვასთან და მათ პოპულარიზაციასთან.

35. საბოლოო ჯამში, შესაბამისი საზოგადოების მიერ სადავო ნიშნის აღქმის გათვალისწინებით, სააპელაციო საბჭო არ შემცდარა როდესაც დაადგინა, რომ ამ საქონლისა და მომსახურების მიმართ ნიშანი გაგებულ იქნება როგორც მითითება, რომ საქონელი არის ან შეიცავს შავ ყავას ან აქვს შავი ყავის გემო, ან რომ საკვები, რომელსაც ეხება მომსახურება, არის ან შეიცავს შავ ყავას ან აქვს შავი ყავის გემო. უნდა დავამატოთ, რომ ეს დასკვნა შეიძლება, *mutatis mutandis*, შეეხოს 30-ე კლასის „ყავის შემცვლელებს“, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო საბჭომ ასე არ შეაფასა.

36. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ განსახილველი საქონელი და მომსახურება არ არის ყავა, ნაღების, რძის ან შაქრის გარეშე. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი საქონელი მოიცავს, *inter alia*, „სასმელებს, რომლებიც დამზადებულია ყავის და/ან ესპრესოს ბაზაზე“ და „ყავის ბაზაზე დამზადებულ უალკოჰოლო და გამაგრილებელ სასმელებს“. მეორეც, სხვა საქონელი ან არის ან შეიცავს ყავას სხვადასხვა ფორმით, ან შესაძლოა, სულ მცირე, შავი ყავის გემო ჰქონდეს. ანალოგიურად, ყველა შესაბამისი მომსახურება შეიძლება დაკავშირებული იყოს ასეთი გემოს მქონე საქონლის გაყიდვასთან. ამიტომ განმცხადებლის საჩივარი უარყოფილი უნდა იქნეს. იგივე მიზეზების გამო, 30-ე პარაგრაფის ჩამონათვალთან ერთად, სასამართლო უარყოფს არგუმენტს, რომ ინგლისურ ენაზე გამოთქმა „შავი ყავა“ აღწერლობითია მხოლოდ სასმელად მომზადებული და შეთავაზებული ყავისათვის.

37. უფრო მეტიც, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში აღნიშნავს, რომ მაშინაც კი, თუ იტალიურ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოება ასოციაციურად დაუკავშირებდა განსახილველ ნიშანს შავი ფერის ყავას (33-ე პუნქტი ზემოთ), და არა როგორც სააპელაციო საბჭოს მიერ გაგებულ „შავს ყავას“, ნიშანი კვლავ აღწერს იმ საქონელსა და მომსახურებას, რომლებზეც სააპელაციო საბჭომ გამოიყენა უარის თქმის საფუძველები №2007/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით. მართლაც, დაინტერესებული საზოგადოება დაუყოვნებლივ, დაფიქრების გარეშე, აღიქვამს რომ საქონელი არის ან შეიცავს შავ ყავას ან აქვს ასეთი გემო, და რომ მომსახურება დაკავშირებულია ამ საქონლის გაყიდვასა და პოპულარიზაციასთან.

38. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო საბჭო არ შემცდარა როცა დაადგინა, რომ სადავო ნიშანი არის აღწერილობითი №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის.

39. აქედან გამომდინარე, სარჩელის პირველი საფუძველი უარყოფილი უნდა იქნეს.

სარჩელის მეორე საფუძველი, რომელიც ამტკიცებს 207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

40. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ სააპელაციო საბჭომ არასწორად მიიჩნია, რომ ნიშანს არ ჰქონდა განმასხვავებელუნარიანობა №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის.

41. ამასთან დაკავშირებით, უნდა გვახსოვდეს, რომ საკმარისია №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი უარის ერთ-ერთი აბსოლუტური საფუძველი იმისთვის, რომ განსახილველი ნიშანი არ დარეგისტრირდეს, როგორც ევროკავშირის

სასაქონლო ნიშანი (იხილეთ 2005 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება, *Wieland-Werke v OHIM* (SnTEM, SnPUR, SnMIX), T-367/02 to T-369/02, EU:T:2005:3, პუნქტი 45 და ციტირებული პრეცედენტული სამართალი). შესაბამისად, ვინაიდან რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული უარის თქმის საფუძველი სააპელაციო საბჭომ გამოიყენა იმავე საქონელსა და მომსახურებაზე, რომლებზეც ვრცელდება მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უარის თქმის საფუძველი, არ არის საჭირო სასარჩელო მოთხოვნის მეორე საფუძვლის განხილვა. საბოლოო ჯამში, უნდა გვახსოვდეს, რომ 207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული აღწერილობითი ნიშნები არაგანმასხვავებელუნარიანია ამავე რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის (2011 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება, *Agencja Wydawnicza Technopol v OHIM*, C-51/10 P, EU:C:2011:139, პარაგრაფი 46). აქედან გამომდინარე, სასამართლომ უნდა უარყოს, როგორც არაეფექტური არგუმენტი, რომ „საუკეთესო შემთხვევის სცენარი“ უნდა იქნეს განხილული სარეგისტრაციო განაცხადის განხილვისას, რაც იმას ნიშნავს, რომ შეიძლება გონივრულად ვივარაუდოთ, თუ ნიშანი არის განმასხვავებელუნარიანი საქონლის/მომსახურებისთვის, მაშინ რეგისტრაცია უნდა იყოს დაშვებული. შესაბამისად, მეორე მხრივ, სასარჩელო მოთხოვნის პირველი საფუძვლის შეფასებისას, განცხადებული ნიშნის აღწერილობით ხასიათთან დაკავშირებით, სარჩელის მეორე საფუძველი ნებისმიერ შემთხვევაში უარყოფილი უნდა იყოს.

42. სასამართლომ მაინც უნდა განიხილოს სასარჩელო მოთხოვნის მესამე საფუძველი, რომელიც ეხება 207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უარის თქმის საფუძველს, განცხადებული ნიშნის საქონლის ნაწილის მიმართ.

სარჩელის მესამე საფუძველი, რომელიც ეხება 207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

43. განმცხადებელს მიაჩნია, რომ არ არსებობს №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უარის თქმის საფუძველი. განმცხადებლის მტკიცებით, ეს საფუძველი არ გამოიყენება, როდესაც შესაძლებელია სადავო ნიშნის გამოყენება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის გარეშე. ის ამტკიცებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ნიშნის CAFFÈ NERO გამოყენება შესაძლებელია შესაბამისი საქონლისა და მომსახურებისთვის ისე, რომ მომხმარებელი შეცდომაში არ შეიყვანოს. ნიშანი მართლაც შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც ყავის სახლის მიერ მოწოდებული საქონელი და მომსახურება სახელწოდებით „NERO“. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ სააპელაციო კოლეგიამ არ გაითვალისწინა ეს საუკეთესო შემთხვევის სცენარი და შესაბამისად, გამოიყენა არასწორი ტესტი.

44. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანს უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე, თუ იგი შეცდომაში შემყვანია, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების ბუნების, ხარისხის ან გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ.

45. წინამდებარე საქმეში, სააპელაციო კოლეგია მიუთითებს, რომ მომხმარებელი მიიჩნევს რომ განაცხადში მითითებული საქონლის ნაწილი, კერძოდ, ჩაი, კაკაო, ყავის შემცველი, მცენარეული ჩაი, ჩაის სასმელები, კაკაო და კაკაოს ბაზაზე შექმნილი პრეპარატები, კაკაოს სასმელები, პრეპარატები და ნარევები ზემოაღნიშნული საქონლის დასამზადებლად და შოკოლადის ფხვნილი არის ან შეიცავს შავ ყავას, მაშინაც კი, თუ რეალურად ეს ასე არ არის. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ეს საქონელი იყიდება შეფუთული სახით, რომელიც საკმაოდ ჰგავს ყავისთვის გამოყენებულ შეფუთვას და რომ მომხმარებლებს ხშირად უწევთ ამ საქონლის ყიდვა ნაჩქარევად, შეფუთვაზე სიტყვათა ფორმულირების გასაანალიზებლად დროის საჭიროების გარეშე. სააპელაციო საბჭოს შეფასებით, სავარაუდოა, რომ მომხმარებლები აირჩევენ ამ საქონელს თაროდან იმ მცდარი წარმოდგენით, რომ ის არის ან შეიცავს ყავას. აქედან გამომდინარე, სააპელაციო საბჭომ მხარი დაუჭირა ექსპერტის ანალიზს რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ამ საქონელთან დაკავშირებით.

46. სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებელი არ აყენებს რაიმე არგუმენტს, რომელიც სადავოდ ხდის სააპელაციო საბჭოს ამ შეფასების მხარდასაჭერ საფუძვლებს, მაგრამ, არსებითად, აცხადებს, რომ სააპელაციო საბჭომ არასწორი ტესტი გამოიყენა. მას უნდა დაედგინა, რომ №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უარის საფუძველი არ გავრცელდებოდა, თუ შესაძლებელი იყო მოთხოვნილი ნიშნის ისე გამოყენება, რაც არ გამოიწვევდა მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას.

47. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ დადგენილი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები, რომლებიც მითითებულია №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში, გულისხმობს ფაქტობრივ შეცდომაში შეყვანას ან საკმარისად სერიოზული რისკის არსებობას. სერიოზული რისკი იმისა, რომ მომხმარებელი შეცდომაში შევა. სასაქონლო ნიშნის არსებითი ფუნქციაა, მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია ნიშანდებული საქონლის ან მომსახურების წარმოშობის შესახებ, რაც საშუალებას აძლევს მას, ყოველგვარი აღრევის გარეშე, განასხვავოს საქონელი ან მომსახურება სხვა წარმოშობის საქონლის ან მომსახურებისაგან. იმისათვის, რომ სასაქონლო ნიშანს შეეძლოს შეასრულოს თავისი არსებითი როლი კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობებში, რომლის განმტკიცებაც ცდილობს კონვენცია, მან უნდა უზრუნველყოს გარანტია იმისა, რომ ყველა საქონელი ან მომსახურება წარმოებული ან მიწოდებული, არის კონტროლის ქვეშ იმ საწარმოს მიერ, რომელიც პასუხისმგებელია მათ ხარისხზე. თუმცა, ნიშანი კარგავს როლს, როდესაც მასში შემავალი ინფორმაცია ისეთი ხასიათისაა, რომ შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება (იხ. 2011 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება, SIMS — École de ski internationale v OHIM — SNMSF (esf école du ski français), T- 41/10, არ არის გამოქვეყნებული, EU:T:2011:200, პუნქტები 49 და 50 და ციტირებული პრეცედენტული სამართალი).

48. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მას შემდეგ რაც დადგინდება შეცდომაში შეყვანის ფაქტის არსებობა ან შეცდომაში შეყვანის საკმარისად სერიოზული რისკი, არარელევანტურია იმის განხილვა, რომ ნიშანი შეიძლება ისე აღიქმებოდეს, რომ არ იყოს შეცდომაში შეყვანი. მართლაც, ნიშანი ნებისმიერი თვალსაზრისით ისეთი ხასიათისაა, რომ

შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება და არ შეუძლია შეასრულოს თავისი როლი, კერძოდ საქონლისა და მომსახურების წარმოშობის შესახებ ინფორმაციის სიზუსტის გარანტია.

49. შესაბამისად, სასამართლომ უნდა უარყოს განმცხადებლის არგუმენტი, რომ 207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი არსებითად არ გამოიყენება, როდესაც შესაძლებელია სადავო ნიშნის შეცდომაში შეყვანის გარეშე გამოყენება.

50. ამრიგად, იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც აღინიშნა, განმცხადებელი თავის მოთხოვნებში არ გამოთქვამს დამატებით არგუმენტებს სააპელაციო საბჭოს მიერ მოყვანილი საფუძვლების გასაჩივრების მიზნით, სარჩელის მესამე საფუძველი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარჩელის მეოთხე მოთხოვნა თანაბარი მოპყრობისა და კავშირის დიზაინის პრინციპების დარღვევას ამტკიცებს.

51. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ ის არის ევროკავშირის ორი ნიშნის, სიტყვიერი და გამოსახულებითი ნიშნის მფლობელი, რომელიც შეიცავს სიტყვიერ ელემენტებს „caffè nero“ და იგი რეგისტრირებულია ისეთი საქონლისა და მომსახურების ნაწილისთვის, რისთვისაც განაცხადი იყო წარდგენილი. განმცხადებლის თქმით, სააპელაციო საბჭომ დაარღვია თანაბარი მოპყრობისა და კავშირის დიზაინის პრინციპები, რადგან უარი თქვა იმ საქონლისა და მომსახურების რეგისტრაციაზე, რისთვისაც ეს ორი ნიშანი უკვე რეგისტრირებული იყო.

52. ამასთან დაკავშირებით, უნდა გავითვალისწინოთ, რომ EUIPO-მ ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის განხილვისას მხედველობაში უნდა მიიღოს უკვე მიღებული გადაწყვეტილებები მსგავს განაცხადებთან დაკავშირებით და განსაკუთრებული სიფრთხილით განიხილოს, უნდა გადაწყვიტოს თუ არა ისინი იმავენაირად (2011 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება, *Agencja Wydawnicza Technopol v OHIM*, C-51/10 P, EU:C:2011:139, პარაგრაფი 74).

53. უფრო მეტიც, სამართლებრივი უსაფრთხოებისა და ჯანსაღი ადმინისტრირების მიზნით, ნებისმიერი სასაქონლო ნიშნის განაცხადის შემოწმება უნდა იყოს ზედმიწევნითი და სრული, რათა თავიდან იქნეს აცილებული სასაქონლო ნიშნების არასათანადო რეგისტრაცია. ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს თითოეულ შემთხვევაში დამოუკიდებლად. ნიშნის რეგისტრაცია დამოკიდებულია კონკრეტულ კრიტერიუმებზე, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და რომლის მიზანია იმის გარკვევა, არსებობს თუ არა სადავო ნიშნზე უარის თქმის საფუძველი (2011 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება. *Agencja Wydawnicza Technopol v OHIM*, C-51/10 P, EU:C:2011:139, პარაგრაფი 77).

54. გარდა ამისა, დამკვიდრებული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები, რომლის შესახებაც სააპელაციო საბჭოს მიმართავენ №207/2009 რეგულაციის შესაბამისად, მიღებულია შეზღუდული უფლებამოსილების განხორციელებისას და არ წარმოადგენს დისკრეციულ საკითხს. შესაბამისად, საკითხი, შეიძლება თუ არა ნიშანი დარეგისტრირდეს ევროკავშირის სასაქონლო ნიშნად, უნდა შეფასდეს მხოლოდ ამ რეგულაციის საფუძველზე,

როგორც ეს არის განმარტებული ევროკავშირის სასამართლოების მიერ და არა სააპელაციო საბჭოს წინა პრაქტიკის საფუძველზე. (იხ. 2015 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება, Intervog v OHIM (meet me), T-190/15, გამოქვეყნებული არ არის, EU:T:2015:874, პუნქტი 42 და ციტირებული პრეცედენტული სამართალი).

55. მოცემულ საქმეში, გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო საბჭომ, სანამ რეგისტრაციაზე უარს იტყოდა, სასაქონლო ნიშნის სრული და ზედმიწევნითი ექსპერტიზა ჩაატარა. გარდა ამისა, განმცხადებლის სხვა სასარჩელო მოთხოვნების ანალიზიდან ირკვევა, რომ ამ გამოკვლევამ სააპელაციო საბჭო მიიყვანა გადაწყვეტილებამდე, რომ №207/2009 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში მითითებული, რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები არსებობდა და შესაბამისად, გამორიცხავდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას. ვინაიდან ამ უკანასკნელის გამოკვლევას ამ დებულებების გათვალისწინებით, თავისთავად არ მოჰყოლია განსხვავებული შედეგი, განმცხადებლის მოთხოვნები სხვა ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებით არ შეიძლება იქნეს მიღებული მხედველობაში. ამგვარად, განმცხადებელი ვერ დაეყრდნობა EUIPO-ს წინა გადაწყვეტილებას, არსებული გადაწყვეტილების შეუსაბამობის დადგენის მიზნით (იხ. ამ თვალსაზრისით, 2015 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება, შემხვი-meet me, T-190/15, არ არის გამოქვეყნებული, EU:T:2015:874, პარაგრაფი 43).

56. აქედან გამომდინარე, სარჩელის მეოთხე საფუძველი არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული და შესაბამისად, სარჩელი სრულად იქნეს უარყოფილი.

ხარჯები

57. ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს რეგლამენტის 134-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წაგებულმა მხარემ უნდა გადაიხადოს ხარჯები, თუ იგი მოთხოვნილ იქნა მოგებული მხარის სარჩელში.

58. ვინაიდან განმცხადებელი წაგებული აღმოჩნდა, მას უნდა დაეკისროს ხარჯების გადახდა EUIPO-ს მიერ მოთხოვნილი ბრძანების ფორმის შესაბამისად.

ამ საფუძველზე

ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლო (მესამე პალატა) ადგენს;

1. უარყოფს სარჩელს;
2. აკისრებს ხარჯების გადახდას კომპანიას „Caffè Nero Group“.

04/03/1999, C-87/97, Gorgonzola

სასამართლოს გადაწყვეტილება (მეხუთე პალატა) 1999 წლის 4 მარტი (1)

(EC ხელშეკრულების 30-ე და 36-ე მუხლები – რეგულაცია (EEC) №2081/92 სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნებისა და წარმოშობის დაცვის შესახებ)

საქმეში C-87/97,

Handelsgericht Wien¹⁶-ის მიერ (ავსტრია) ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის მიმართვა EC ხელშეკრულების 177-ე მუხლის მიხედვით, წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად ამ სასამართლოში განხილულ სამართალწარმოებაში Consorzio per la Tutela del Formaggio Gorgonzola-სა და Käserei Champignon Hofmeister GmbH & Co. KG, Eduard Bracharz GmbH, შორის.

EC ხელშეკრულების 30-ე და 36-ე მუხლების ინტერპრეტაციაზე,

სასამართლო (მეხუთე პალატა)

შემადგენლობით: ჯ.-პ. პუისოჩეტი (მომხსენებელი), პალატის პრეზიდენტი, პ. ჯანი, კ. გულმანი, დ.ა.ო. ედვარდ და ლ. სევონი, მოსამართლეები,

სასამართლოს გენერალური მრჩეველი ფ.ჯ. იაკობსი

მდივანი: L. Hewlett, ადმინისტრატორი, წერილობითი მოსაზრებების განხილვის შემდეგ, რომლებიც წარმოდგენილია:

- Consorzio per la Tutela del Formaggio Gorgonzola (გორგონზოლას ყველის დაცვის კონსორციუმი), გიუნტერ ფროსისა და პიტერ კლაინის მიერ, ვენა,
- Käserei Champignon Hofmeister GmbH & Co. KG (კესერაი ჩამპინიონ ჰოფმაისტერ გმბჰ & კო. კგ) და Eduard Bracharz GmbH (ედუარდ ბრახხარჯ), ავტორი Christian Hauer (ქრისტინან ჰოიერი), ადვოკატი, ვენა,
- ავსტრიის მთავრობა, ქრისტინე სტიქს-ჰაკლი, გესანდტე საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროში, მოქმედებს როგორც წარმომადგენელი,
- საბერძნეთის მთავრობა, იოანის-კონსტანტინოს ჩალკიასის მიერ, სახელმწიფო იურიდიულ საბჭოში იურიდიული მრჩეველის თანაშემწე და იოანა გალანი-მარაგკუდაკი, სპეციალური იურიდიული მრჩეველის თანაშემწე საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა სპეციალურ დეპარტამენტში, რომელიც მოქმედებს როგორც წარმომადგენელი,
- საფრანგეთის მთავრობა, კარინ რისპალ-ბელანჟე, საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული დირექტორატის უფროსის მოადგილე და ფრედერიკ პასკალი, ამავე დირექტორატში ადმინისტრაციული ატაშე, მოქმედებს როგორც წარმომადგენელი.,

¹⁶ Handelsgericht Wien არის კომერციული სასამართლო ვენაში - ”< <https://www.justiz.gv.at/hg-wien/handelsgericht-wien.26d.de.html>>“

- იტალიის მთავრობა, პროფესორი უმბერტო ლეანზა, საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, წარმომადგენელი, რომელსაც ეხმარება ივო მ. ბრაგუგლია, სახელმწიფო ადვოკატი¹⁷ (Avvocato dello Stato),
- ევროპული საზოგადოებების კომისია, ხოსე ლუის იგლესიას ბუჰიგესის, იურიდიული მრჩეველი, წარმომადგენელი, დამხმარე ბერტრანდ ვაგენბაური, ადვოკატი, ჰამბურგი,

განხილვის ანგარიშის გათვალისწინებით, Consorzio per la Tutela del Formaggio Gorgonzola-ს ზეპირი მოსაზრების მოსმენის შემდეგ, წარმოდგენილი გიუნტერ ფროშისა და პიტერ კლაინის მიერ; Käserei Champignon Hofmeister GmbH & Co. KG და Eduard Bracharz GmbH, წარმოდგენილი კრისტიან ჰაუერის მიერ; საბერძნეთის მთავრობა, წარმოდგენილი იოანის-კონსტანტინოს ჩალკიასისა და იოანა გალანი-მარაგკუდაკის მიერ; საფრანგეთის მთავრობა, რომელსაც წარმოადგენს კრისტინა ვასაკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული დირექტორატის საგარეო საქმეთა მდივნის თანაშემწე. იტალიის მთავრობა, წარმოდგენილი მ. ბრაგუგლიას მიერ; და კომისია, წარმოდგენილი ხოსე ლუის იგლესიას ბუჰიგესის მიერ, ბერტრანდ ვაგენბაურის დახმარებით, 1998 წლის 24 სექტემბერს მოსმენაზე, 1998 წლის 17 დეკემბერს სხდომაზე სასამართლოს გენერალური მრჩეველის აზრის მოსმენის შემდეგ, ადგენს შემდეგს

გადაწყვეტილება

1. 1996 წლის 18 ივლისის ბრძანებით, რომელიც 1997 წლის 27 თებერვალს მიღებული იქნა სასამართლოში, Handelsgericht-მა (კომერციული სასამართლო), ვენა, EC ხელშეკრულების 177-ე მუხლის საფუძველზე მიმართა სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად ორი შეკითხვით - 30-ე და 36-ე მუხლების განმარტებასთან დაკავშირებით.
2. ეს კითხვები წარმოიშვა Consorzio per la Tutela del Formaggio Gorgonzola-ს მიერ Käserei Champignon Hofmeister GmbH & Co. KG-ის (შემდგომში „Käserei Champignon“) და Eduard Bracharz GmbH-ის (შემდგომში „Eduard Bracharz“) წინააღმდეგ საქმეზე, სადაც მოითხოვებოდა აღნიშვნის „Cambozola“-ს ქვეშ ლურჯი ყველის გაყიდვის აკრძალვა და სასაქონლო ნიშნის „Cambozola“ გაუქმება.
3. Consorzio per la Tutela del Formaggio Gorgonzola-მ თავდაპირველად თავისი მოთხოვნა დააფუძნა საერთაშორისო სამართლისა და ავსტრიის კანონმდებლობის დებულებებზე. საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დებულებები:
4. 1951 წლის 1 ივნისს სტრეზაში¹⁸ ხელმოწერილი „ყველის ადგილწარმოშობის აღნიშვნებისა და დასახელების გამოყენების შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით (შემდგომში „სტრეზას კონვენცია“), მხოლოდ „ყველმა, რომელიც წარმოებულია ან დაძველებულია ტრადიციულ რეგიონებში, ადგილობრივი, გულმოდგინე და უწყვეტი გამოყენების გზით“ შეიძლება ისარგებლოს ადგილწარმოშობის აღნიშვნებით, რომლებიც

¹⁷ რედაქტორის განმარტება - Avvocatura dello Stato - იტალიური სამართლის სისტემის ორგანო, რომლის ვალდებულებაც იტალიის სახელმწიფოს და საჯარო ადმინისტრაციის წარმოდგენა სასამართლო დავებში სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული სამართლის, საარბიტრაჟო, საზოგადოებრივ და საერთაშორისო დავებზე სამართლებრივი რჩევებისა და დაცვის გაწევის გზით .

¹⁸ ქალაქია იტალიაში

რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით. კონვენციის პირველი მუხლი კრძალავს ისეთი აღნიშვნების გამოყენებას, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ პრინციპს. თანდართული ოქმის მიხედვით, კონვენციაში „გორგონზოლა (იტალია)“, ნახსენებია, როგორც ადგილწარმოშობის აღნიშვნა.

5. სტრეზას კონვენცია ავსტრიის ტერიტორიაზე მოქმედებდა 1955 წლის 11 ივლისიდან და მოქმედება შეწყვიტა 1996 წლის 9 თებერვლიდან, მისი გაუქმებით ავსტრიის მთავრობის 1994 წლის 30 ნოემბრის დიპლომატიური ნოტის შესაბამისად.

6. ავსტრიის მთავრობასა და იტალიის მთავრობას შორის 1952 წლის 1 თებერვალს რომში ხელმოწერილი გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელების შესახებ შეთანხმების მე-2 მუხლი კრძალავს ყველა პროდუქტის იმპორტს და რეალიზაციას, რომელიც შეიცავს ან მათ შეფუთვაზეა დატანილი, ან სასაქონლო ნიშნებში ჩართული, დანართში ჩამოთვლილი ადგილწარმოშობის დასახელებები და აღნიშვნები, რომლებმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანონ მომხმარებელი ამ პროდუქტების ან საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან სხვა მახასიათებლების შესახებ. 1969 წლის 17 დეკემბერს ვენაში ხელმოწერილი შეთანხმების დამატებითი ოქმი, ხელშეკრულების მიხედვით ავრცელებდა დაცვას აღნიშვნაზე „Gorgonzola“, მაგრამ მხოლოდ სტრეზას კონვენციის ვადის ამოწურვის ან შესწორების შემთხვევაში.

7. Gesetz gegen den unlauteren Wettbewerb-ის (ავსტრიის კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ) მე-2 პუნქტი კრძალავს შეცდომაში შემყვან პრაქტიკას, განსაკუთრებით საქონლის ხარისხთან, წარმომავლობასა და წარმოების მეთოდთან დაკავშირებით, ხოლო მისი მე-9 პუნქტი კრძალავს სასაქონლო სახელების ბოროტად გამოყენებას.

კავშირის სამართალი

8. 1996 წლის 12 ივნისის კომისიის რეგლამენტის (EC) №1107/96 მე-2 მუხლის თანახმად, გეოგრაფიული და ადგილწარმოშობის აღნიშვნების რეგისტრაციის შესახებ საბჭოს (EEC) №2081/92 რეგულაციის მე-17 მუხლით დადგენილი პროცედურისა (OJ 1996 წ. L 148, გვ. 1) და მისი დანართი A-ს მიხედვით „Gorgonzola“ არის ადგილწარმოშობის დასახელება, რომელიც დაცულია კავშირის დონეზე და ძალაშია 1996 წლის 21 ივნისიდან. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნებისა და წარმოშობის აღნიშვნების დაცვის შესახებ (OJ 1992 L 208, გვ. 1) საბჭოს 1992 წლის 14 ივლისის (EEC) №2081/92 რეგლამენტის მე-13 და მე-14 მუხლები ადგენს სასაქონლო ნიშნის გამოყენების გაგრძელების პირობებს, რომელიც შეიძლება შეუთავსებელი იყოს, ამ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შემდეგ წარდგენილ ადგილწარმოშობის დასახელებასთან.

9. №2081/92 რეგულაციის მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მიხედვით: „1. რეგისტრირებული სახელები დაცული უნდა იყოს:

(ა) რეგისტრირებული დასახელების ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი კომერციული გამოყენება იმ ერთნაირ პროდუქტებთან მიმართებაში, რომლებზეც არ ვრცელდება რეგისტრაცია, რამდენადაც ეს პროდუქტები მსგავსია ამ სახელწოდებით

რეგისტრირებულ პროდუქტებთან ან იმდენად, რამდენადაც ეს სახელი იყენებს დაცული სახელის რეპუტაციას.

(ბ) ნებისმიერი მცდარი გამოყენება იმიტაცია ან მიბამვა, მაშინაც კი, თუ მითითებულია პროდუქტის ნამდვილი წარმოშობა, ან თუ დაცული სახელწოდება ნათარგმნია ან ახლავს ისეთი სიტყვები, როგორცაა „სტილი“, „ტიპი“, „მეთოდი“, „წარმოებულია როგორც“ , „იმიტაცია“ ან მსგავსი;

(გ) ნებისმიერი სხვა მცდარი ან შეცდომაში შემყვანი აღნიშვნა საქონლის წარმომავლობის, ბუნების ან არსებითი თვისებების შესახებ, შიდა ან გარე შეფუთვაზე, სარეკლამო მასალებზე ან დოკუმენტებზე, რომლებიც ეხება შესაბამის პროდუქტს და საქონლის ისეთი სახით შეფუთვა (ტარაში მოთავსება), რომელსაც შეუძლია მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს მისი წარმოშობის შესახებ;

(დ) ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელსაც შეუძლია მომხმარებელი შეიყვანოს შეცდომაში საქონლის წარმოშობის შესახებ.

2. თუმცა, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ეროვნული კრიტერიუმები, რომლებიც ნებას რთავს 1(ბ) პარაგრაფში მითითებული აღნიშვნების გამოყენებას ამ რეგულაციის გამოქვეყნების დღიდან არაუმეტეს ხუთი წლის განმავლობაში, იმ პირობით, რომ:

- პროდუქცია ლეგალურად იყიდებოდა ასეთი აღნიშვნების გამოყენებით ამ რეგულაციის გამოქვეყნების თარიღამდე სულ მცირე ხუთი წლით ადრე,
- ეტიკეტზე ნათლად არის მითითებული პროდუქტის ნამდვილი წარმომავლობა.

თუმცა, ამ გამონაკლისმა არ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის თავისუფლად გაყიდვა იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც ასეთი აღნიშვნები აკრძალულია“.

10. ამ დებულების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს:

„საერთო კანონმდებლობის სათანადო გათვალისწინებით, მე-13 მუხლში მითითებული ერთ-ერთი შემთხვევის შესაბამისი სასაქონლო ნიშნის გამოყენება, რომელიც კეთილსინდისიერად იყო რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის შეტანის თარიღამდე, შეიძლება გაგრძელდეს. ადგილწარმოშობის აღნიშვნის ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის მიუხედავად, თუ არ არსებობს სასაქონლო ნიშნის ბათილობის ან გაუქმების საფუძველი, როგორც ეს გათვალისწინებულია 1988 წლის 21 დეკემბრის საბჭოს პირველი 89/104/EEC დირექტივის „წევრი სახელმწიფოების სასაქონლო ნიშნთან დაკავშირებით კანონმდებლობის დაახლოების მიზნით“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ზ“ და მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტებით.

11. 1988 წლის 21 დეკემბრის საბჭოს პირველი დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი (OJ 1989 L 40, გვ. 1) ადგენს:

„არ რეგისტრირდება ან რეგისტრირებული ექვემდებარება ბათილად ცნობას:

... (გ) სასაქონლო ნიშნები, რომლებიც ექსკლუზიურად შედგება იმ ნიშნების ან აღნიშვნებისაგან, რომლებიც ვაჭრობაში შეიძლება ემსახუროდეს სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, დანიშნულების მიზნის, ღირებულების, გეოგრაფიული წარმოშობის, საქონლის წარმოების ან მომსახურების გაწევის დროს, ან საქონლის ან მომსახურების სხვა მახასიათებლებს;

...

(ზ) სასაქონლო ნიშნები, რომლებიც ისეთი ხასიათისაა, რომ შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების ბუნების, ხარისხის ან გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ;

12. ამ დირექტივის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს:

სასაქონლო ნიშანი ასევე ექვემდებარება გაუქმებას, თუ მისი რეგისტრაციის თარიღის შემდეგ,

...

(ბ) სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ მისი გამოყენების შედეგად ან მისი თანხმობით იმ საქონლის ან მომსახურებისთვის, რომლებზეც ის რეგისტრირებულია, მას შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი განსაკუთრებით საქონლის ბუნების, ხარისხის შესახებ, ან ამ საქონლის თუ მომსახურების გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ.'

განსახილველად გადაცემული შეკითხვები

13. 1994 წლის 24 ივნისს შუალედური ბრძანების შემდეგ, რომლითაც მოპასუხეს აკრძალა ცისფერი ყველის „Cambozola“-ს სახელით გაყიდვა სამართალწარმოების პროცესის განმავლობაში, ვენის კომერციულმა სასამართლომ დასვა კითხვა, ავსტრიის რესპუბლიკის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ მიღებული ზომები - მითითების საგანი - შეესაბამებოდა თუ არა საქონლის თავისუფალი გადაადგილების შესახებ კავშირის წესებს. სავარაუდოდ, ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ რაოდენობრივი შეზღუდვის ეკვივალენტური ეფექტის მქონე ზომას, ხელშეკრულების 30-ე მუხლის მნიშვნელობით, მაგრამ მათი მიზანია გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნის დაცვა, ისინი შეიძლება გამართლებული იყოს ხელშეკრულების 36-ე მუხლის მიხედვით.

14. იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა ამ დებულებების ინტერპრეტაცია დავის განსახილველად, ვენის კომერციულმა სასამართლომ გადაწყვიტა შეეწყვიტა საქმის განხილვა და შემდეგი ორი შეკითხვით მიემართა სასამართლოსთვის წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად:

„შეესაბამება თუ არა კავშირის სამართლის ამჟამინდელი ფორმულირება საქონლის თავისუფალი გადაადგილების პრინციპებს (EC ხელშეკრულების 30-ე და 36-ე მუხლები), რომ ყველი, რომელიც კანონიერად იწარმოება წევრ სახელმწიფოში 1977 წლიდან და მითითებულია სახელით „Cambozola“ და რომელიც 1983 წლიდან იყიდება კავშირის სხვა წევრ ქვეყნებში, არ არის დაშვებული ამ უკანასკნელ წევრ ქვეყანაში „Cambozola“-ს სახელწოდებით გამოიყენებოდეს, იმ ეროვნული კრიტერიუმების საფუძველზე, რომელიც

ეხება საერთაშორისო შეთანხმების დაცვას გეოგრაფიული ადგილწარმოშობისა და გარკვეული პროდუქტების სახელების შესახებ (რომელიც იცავს აღნიშვნას „Gorgonzola“...) და მიუთითებს შეცდომაში შემყვანი განცხადებების ეროვნულ აკრძალვაზე?

აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, თუ ყველის დასახელებით "Cambozola" შეფუთვაზე მკაფიოდ და თვალსაჩინოდ არის მითითებული მწარმოებელი ქვეყნის შესახებ ("Deutscher Weichkäse" [გერმანული რბილი ყველი]), თუ ეს ყველი, როგორც წესი, იყიდება ნაჭრებად, ზოგჯერ ორიგინალური შეფუთვის გარეშე?

15. სასამართლოსადმი მიმართული კითხვები უნდა განიხილებოდეს მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვები პროდუქტების ადგილწარმოშობის აღნიშვნების დაცვის, კავშირის წესების კონტექსტში.

16. ეროვნულმა სასამართლომ თავისი კითხვები მიმართა მხოლოდ ხელშეკრულების 30-ე და 36-ე მუხლების ინტერპრეტაციისათვის, სასამართლო არ არის შეზღუდული, რომ ეროვნულ სასამართლოს მიაწოდოს ყველა ის ელემენტი კავშირის სამართლის ინტერპრეტაციისთვის, რომელიც შეიძლება მას დაეხმაროს საქმის განხილვაში, მიუხედავად იმისა, კონკრეტულად მიმართა თუ არა ამ კითხვებით (იხილეთ საქმე C-241/89 SARPP [1990] ECR I-4695, მე-8 პარაგრაფი და საქმე C-315/92 Verband Sozialer Wettbewerb („Clinique“) [1994] ECR I-317, პარაგრაფი 7).

17. ამ საქმეში, მთავარ სამართალწარმოებაში მოთხოვნილი დადგენილების ფორმებიდან ნათლად ჩანს, რომ კანონთან დაკავშირებით დებატებს, როგორც ეს იყო №1107/96 რეგულაციის ძალაში შესვლამდე და ადგილწარმოშობის დაცული დასახელების „Gorgonzola“-ს რეგისტრაციამდე, საქმის შედეგზე არავითარი გავლენა არ აქვს. ეს ასევე ნათლად ჩანს კითხვების ფაქტობრივი ფორმულირებიდან, რომლითაც ეროვნული სასამართლო ცალსახად ითხოვს სასამართლოს გადაწყვეტილებას „კავშირის სამართლის ამჟამინდელი ფორმულირების შესახებ“.

18. მოსარჩელე ამტკიცებს, რომ, რამდენადაც წევრი სახელმწიფოს მიერ ადგილწარმოშობის აღნიშვნის დაცვის სფერო უფრო ფართოა, ვიდრე იგი ხელმისაწვდომია კავშირის კანონმდებლობით, ეროვნული დაცვა გრძელდება აღნიშვნის №2081/92 რეგულაციის შესაბამისად რეგისტრაციის შემდეგ. თუმცა, ეს არგუმენტი ეწინააღმდეგება ამ რეგულაციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის ფორმულირებას, რომელიც წევრ სახელმწიფოებს უფლებას აძლევს, შეინარჩუნონ სახელის ეროვნული დაცვა მხოლოდ მანამ, სანამ არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება მისი, როგორც კავშირის დონეზე დაცული, სახელის რეგისტრაციაზე (იხილეთ გაერთიანებული საქმეები C-129/97 და C-130/97 Chiciak and Fol [1998] ECR I-3315, პარაგრაფი 28). შესაბამისად, მხოლოდ №2081/92 რეგულაციით დადგენილი სამართლებრივი წესები, ხელშეკრულების წესებთან ერთად, არის შესაბამისი მითითებულ კითხვებზე პასუხების გასაცემად.

19. თავისი კითხვებით - რომლებიც ერთად უნდა იქნეს განხილული - ეროვნული სასამართლო არსებითად სვამს კითხვას, გამორიცხავს თუ არა კავშირის კანონმდებლობა ეროვნულ ზომებს, რომლებიც ადგილწარმოშობის აღნიშვნის დაცვის უზრუნველსაყოფად

კრძალავს ლურჯი ყველის Cambozola-ს სახელწოდებით გავრცელებას მაშინაც კი, როდესაც მოცემული პროდუქტის შეფუთვა მიუთითებს მის ნამდვილ ადგილწარმოშობაზე.

20. ხელშეკრულების 30-ე და 36-ე მუხლები არ გამორიცხავს წევრ სახელმწიფოებს შორის ორმხრივი შეთანხმებით დადგენილი წესების გამოყენებას ადგილწარმოშობის აღნიშვნების დაცვის შესახებ, იმ პირობით, რომ დაცული სახელები არ არის გვარეობითი (იხ. საქმე C-3/91 Exportur [1992] ECR I-5529, პარაგრაფი 39). A fortiori,¹⁹ ისინი ხელს არ უშლიან წევრ სახელმწიფოებს მიიღონ ზომები №2081/92 რეგულაციის შესაბამისად რეგისტრირებული სახელების დასაცავად და რომლებიც ამ რეგულაციის მე-3 მუხლის შესაბამისად, არ არის გვარეობითი. იმისათვის რომ ეროვნულ სასამართლოს მიეცეს სასარგებლო პასუხი მოცემულ საქმეში, საკმარისია მივაწოდოთ მას კავშირის დებულებების სწორი ინტერპრეტაცია, რომელიც არეგულირებს სასაქონლო ნიშნის როგორცაა „Cambozola“, გამოყენების გაგრძელების შესაძლებლობას.

21. №2081/92 რეგულაციის მე-14 მუხლი კონკრეტულად არეგულირებს რეგულაციით რეგისტრირებულ სახელებსა და სასაქონლო ნიშნებს შორის ურთიერთობას. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი, გამონაკლისის სახით, უშვებს ეროვნული კრიტერიუმების დაცვას, რომლებიც უფლებას აძლევს გარკვეული აღნიშვნების გამოყენებას ხუთი წლის განმავლობაში, ამ დებულების მიზანია, არ დაუშვას სასაქონლო ნიშნების განგრძობადი გამოყენება. ავსტრიის მთავრობის მტკიცების საპირისპიროდ, მუხლი 13(2) - როგორც თავდაპირველი ვერსიით, ასევე შესწორებული საბჭოს 1997 წლის 17 მარტის რეგულაციით (EC) №535/97 (OJ 1997 L 83, გვ. 3), არ ვრცელდება მთავარ სამართალწარმოებაში განსახილველ სიტუაციებზე.

22. უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს, ტერმინის Cambozola-ს გამოყენება, როგორც ეს არის წინამდებარე საქმეში, შეესაბამება თუ არა 2081/92 რეგულაციის მე-13 მუხლის პირველ პუნქტში განხილულ რომელიმე სიტუაციას.

23. მოპასუხეების აზრით, ეს ასე არ არის. კერძოდ, ისინი ამტკიცებენ, რომ არ არსებობს „მიზანძვ“ 2081/92 რეგულაციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით, სადაც მხოლოდ იდეების ასოციაციური მისადაგებაა, რომელიც სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებულ დავებში აღრევის ალბათობას არ წარმოადგენს (საქმე C-251/95 SABEL [1997] ECR I-6191), ან როდესაც განსახილველი ტერმინი მხოლოდ ასახავს დაცული აღნიშვნის ნაწილს, რომლის შემადგენელი ელემენტები, როგორც ასეთი, არ არის დაცული კავშირის კანონმდებლობით (Chiciak და Fol). ზემოხსენებული, პარაგრაფი 39).

24. მეორე მხრივ, მოსარჩელე მხარე მთავარ სამართალწარმოებაში, მთავრობები, რომლებმაც წარმოადგინეს წერილობითი შენიშვნები და კომისია, ყველა ამტკიცებს, რომ განსახილველ სიტუაციას მოიცავს №2081/92 რეგულაციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი. იტალიის მთავრობა ასევე აღნიშნავს, რომ ეროვნული სასამართლოს გადასაწყვეტია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ეს დებულება საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით.

25. „მიზანძვ“, როგორც აღნიშნულია №2081/92 რეგულაციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში, მოიცავს სიტუაციას, როდესაც პროდუქტის აღნიშვნისთვის

¹⁹ A fortiori (იტალ.) - მით უმეტეს

გამოყენებული ტერმინი შეიცავს დაცული აღნიშვნის ნაწილს, ისე რომ როდესაც მომხმარებელი ხედავს პროდუქტის სახელს, გონებაში უჩნდება ასოციაციური კავშირები დაცულ აღნიშვნასთან.

26. როგორც სასამართლოს გენერალური მრჩეველი თავისი მოსაზრების 37-ე და 38-ე პუნქტებში აცხადებს, მოპასუხეთა შეხედულების საწინააღმდეგოდ, შესაძლებელია დაცული აღნიშვნის მიბაძვა იქ, სადაც არ არსებობს აღრევის ალბათობა შესაბამის პროდუქტებს შორის და მაშინაც კი, როდესაც კავშირის დაცვა არ ვრცელდება იმ აღნიშვნის ნაწილებზე, რომლებიც ეხმიანება განსახილველ ტერმინს ან ტერმინებს.

27. ვინაიდან განსახილველი პროდუქტი არის რბილი ლურჯი ყველი, რომელიც გარეგნულად არ განსხვავდება „Gorgonzola“-გან, მიზანშეწონილია დავასკვნათ, რომ სახეზეა დაცული სახელწოდების მიბაძვა, მაშინ როდესაც ტერმინი, რომელიც გამოიყენება ამ პროდუქტის აღსანიშნავად, მთავრდება ერთი და იმავე დაბოლოებით და შეიცავს ერთსა და იმავე ასოების რაოდენობას, რის შედეგადაც აშკარაა ფონეტიკური და ვიზუალური მსგავსება ამ ორ ტერმინს შორის.

28. ამასთან დაკავშირებით, ეროვნული სასამართლოსთვის ასევე მიზანშეწონილი იქნება გაითვალისწინოს Käserei Champignon-ის მიერ გამოქვეყნებული და სასამართლოს წინაშე მოსარჩელის მიერ წარდგენილი სარეკლამო მასალა, რომელიც ვარაუდობს, რომ ორ სახელს შორის ფონეტიკური მსგავსება შემთხვევითი არ არის.

29. №2081/92 რეგულაციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ასევე პირდაპირ ადგენს, რომ პროდუქტის ნამდვილი წარმოშობის მითითებას მის შეფუთვაზე ან სხვაგვარად პროდუქტის განაცხადზე არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ამ ქვეპუნქტში ჩამოყალიბებულ ცნებებთან.

30. ვინაიდან ისეთი სასაქონლო ნიშნის გამოყენება, როგორცაა „Cambozola“ შეესაბამება გარემოებების ერთ-ერთ ნაკრებს, როდესაც რეგისტრირებული სახელები დაცვით სარგებლობენ, შემდეგ უნდა დადგინდეს, არის თუ არა 2081/92 რეგულაციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები დაკმაყოფილებული, რათა დაუმკვას ადრინდელი სასაქონლო ნიშნის უწყვეტი გამოყენება.

31. პირველ რიგში, სასაქონლო ნიშანი კეთილსინდისიერად უნდა იყოს რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის შეტანის თარიღამდე.

32. მოსარჩელე ამ საკითხთან დაკავშირებით ამტკიცებს, რომ დებულებები, რომლებიც არ ითვალისწინებს აღნიშვნების დაცვას მე-13 მუხლის მიხედვით, მკაცრად უნდა იყოს განმარტებული და რომ სასაქონლო ნიშნის „Cambozola“-ს რეგისტრაცია ავსტრიაში არ შეიძლება განხორციელებულიყო კეთილსინდისიერად მე-14 მე-2 პუნქტის მნიშვნელობით. ვინაიდან იგი თავიდანვე იყო უკანონო. 1983 წელს, როდესაც სასაქონლო ნიშანი "Cambozola" წარდგენილ იქნა ავსტრიაში, 'Gorgonzola'-ს დაცვის ფარგლები არსებითად მსგავსი იყო - თუმცა სხვა სამართლებრივ საფუძვლებზე დაფუძნებული- კავშირის სამართლით გარანტირებული დაცვით 1996 წლიდან.

33. იტალიის მთავრობა ასევე აღნიშნავს, რომ ავსტრიის ხელისუფლებას უარი უნდა ეთქვა სასაქონლო ნიშნის „Cambozola“-ს რეგისტრაციაზე, რომელიც თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა მოქმედ წესებს. შესაბამისად, მისი რეგისტრაცია არ შეიძლება ჩაითვალოს კეთილსინდისიერად.

34. კომისია ამტკიცებს, რომ მხოლოდ ეროვნულმა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, მოხდა თუ არა რეგისტრაცია კეთილსინდისიერად, რისთვისაც მან ჯერ უნდა შეამოწმოს, რომ რეგისტრაცია ნამდვილად განხორციელდა იმ დროისთვის მოქმედი კანონის ნორმების შესაბამისად.

35. 2081/92 რეგულაციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული კეთილსინდისიერების ცნება განხილული უნდა იყოს მთლიანობაში, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კანონმდებლობის გათვალისწინებით, რომელიც ძალაშია იმ მომენტისათვის, როდესაც იქნა წარდგენილი განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე. სასაქონლო ნიშნის მფლობელს პრინციპში არ შეუძლია ისარგებლოს კეთილსინდისიერების პრეზუმფციით, თუ იმ დროისათვის ფაქტობრივად მოქმედი კანონმდებლობა აშკარად გამორიცხავს მისი განაცხადის დასაშვებობას.

36. თუმცა, როდესაც სასამართლო №2081/92 რეგულაციის ინტერპრეტაციას აკეთებს, მას არ ევალება გადაწყვიტოს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის დებულებების გავლენა, რომლებიც იცავდნენ ავსტრიაში ადგილწარმოშობის აღნიშვნებს, სანამ ასეთი დაცვა გარანტირებული იქნებოდა კავშირის სამართლის მიერ. შესაბამისად, არც იმ კონკრეტული გარემოებების შეგროვება ევალება სასამართლოს, რომლებშიც შეიძლება წარდგენილი ყოფილიყო განაცხადი. კომისია მართებულად აღნიშნავს, რომ მხოლოდ ეროვნულ სასამართლოს, რომლის წინაშეც განიხილება საქმე, შეუძლია განახორციელოს მსგავსი ხასიათის ანალიზი.

37. მეორეც, თუ კეთილსინდისიერად რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენება უნდა გაგრძელდეს, ის არ უნდა იყოს ძალადაკარგულად გამოცხადებული ან გაუქმებული პირველი დირექტივის 89/104 შესაბამისი დებულებებით დადგენილი საფუძვლებით.

38. მოსარჩელე მხარე ამტკიცებს, რომ სასაქონლო ნიშანი ისეთი ხასიათისაა, რომ შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება იმ პროდუქტის ბუნებასთან, ხარისხთან ან გეოგრაფიულ წარმომავლობასთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც ის რეგისტრირებულია და ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი პირველი დირექტივის 89/104 მე-3 მუხლის პირველი პუნქტი „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით.

39. იტალიის მთავრობა ასევე ამტკიცებს, რომ სასაქონლო ნიშნის მიერ მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობის გათვალისწინებით, Käserei Champignon და Eduard Bracharz არ შეიძლება დაეყრდნონ №2081/92 რეგულაციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტს.

40. კომისია აღნიშნავს, რომ პირველი დირექტივის 89/104 მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებითა და მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესები ვიწროდ უნდა იქნეს განმარტებული, რადგან ისინი წარმოადგენს გამონაკლისს, საჯარო წესრიგის საფუძველზე, სასაქონლო ნიშნის სახეობების გავრცელებამდე. აქედან კომისია ასკვნის, რომ არც სასაქონლო ნიშანი „Cambozola“ და არც

მისი გამოყენების წესი არ აკეთებს ისეთ სპეციფიკურ მითითებას კონკრეტულ გეოგრაფიულ წარმომავლობაზე, რომ შეიძლება მოტყუვდეს ან შეცდომაში შევიდეს საზოგადოება პროდუქტის ბუნების, ხარისხის ან გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ. კომისიის აზრით, პირველი დირექტივის 89/104 მე-3 და მე-12 მუხლებში ჩამოყალიბებული არც ერთი საფუძველი არ გამორიცხავს სადავო სასაქონლო ნიშნის გამოყენებას.

41. ამასთან დაკავშირებით, პირველი დირექტივის 89/104 მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები არ ვრცელდება მოცემულ საქმეზე. ამ დირექტივის სხვა ორ შესაბამის დებულებაში გათვალისწინებული გარემოებები - რეგისტრაციაზე უარი, სასაქონლო ნიშნის ბათილობა ან მესაკუთრის უფლებების გაუქმება, რაც გამორიცხავს მის უწყვეტ გამოყენებას 2081/92 რეგულაციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად - გულისხმობს ფაქტობრივად შეცდომაში შეყვანის არსებობას ან საკმარისად სერიოზულ რისკს, რომ მომხმარებელი მოტყუვდება. (იხ., ამ თემაზე, Clinique, ციტირებული ზემოთ, საქმე C-470/93 Mars [1995] ECR I-1923, და საქმე C-313/94 Graffione [1996] ECR I-6039, პარაგრაფი 24).

42. ეროვნულ სასამართლოს კიდევ ერთხელ ევალუა გამოიყენოს ეს ტესტები მის წინაშე არსებულ საქმის ფაქტებზე. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი 'Cambozola', რომელიც იწვევს აღნიშვნის „Gorgonzola“-ს იმიტაციას, არ არის საკმარისი მიზეზი, რომ აღნიშნული ჩაითვალოს საზოგადოების მოტყუებად საქონლის ბუნების, ხარისხის ან წარმოშობის შესახებ. შეფასება უნდა განხორციელდეს მისი გამოყენების პირობებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების განხილვით, რომელიც სცილდება სასამართლოს იურის-დიქციას, შეთანხმების 177-ე მუხლის შესაბამისად (იხ. ამ თვალსაზრისით, Graffione, პარაგრაფები 25 და 26).

43. მაშასადამე, მითითებულ კითხვებზე პასუხი უნდა იყოს ის, რომ კავშირის სამართლის ამჟამინდელ სტრუქტურაში, საქონლის თავისუფალი გადაადგილების პრინციპი არ ზღუდავს წევრ სახელმწიფოებს მიიღონ მათზე დაკისრებული ზომები, რათა უზრუნველყონ დასახელებების დაცვა. ადგილწარმოშობა რეგისტრირებულია №2081/92 რეგულაციის მიხედვით. ამ რეგულაციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის ისეთი სახელის გამოყენება, როგორცაა „Cambonzola“, შეიძლება ჩაითვალოს დაცული ადგილწარმოშობის აღნიშვნის „Gorgonzola“-ს მიბაძვად, მიუხედავად იმისა, რომ შეფუთვაზე მითითებულია პროდუქტის ნამდვილი წარმოშობა. მაგრამ, ეროვნულმა სასამართლომ ფაქტებზე დაყრდნობით უნდა გადაწყვიტოს N2081/92 რეგულაციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები იძლევა თუ არა ადრინდელი სასაქონლო ნიშნის გამოყენების გაგრძელების შესაძლებლობას, მიუხედავად ადგილწარმოშობის დაცული დასახელების „Gorgonzola“-ს რეგისტრაციისა, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის დროს მოქმედი კანონის გათვალისწინებით, რათა დადგინდეს შეიძლებოდა თუ არა ასეთი რეგისტრაცია კეთილსინდისიერად განხორციელებულიყო იმის საფუძველზე, რომ ისეთი სახელის გამოყენება, როგორცაა „Cambonzola“ თავისთავად არ წარმოადგენს მომხმარებლის მოტყუების მცდელობას.

ხარჯები

44. ავსტრიის, საფრანგეთის, საბერძნეთის და იტალიის მთავრობების და კომისიის მიერ, რომლებმაც შენიშვნები წარუდგინეს სასამართლოს, გაწეული ხარჯები არ ანაზღაურდება. ვინაიდან ეს პროცესი, მთავარი პროცესის მხარეებისთვის, წარმოადგენს ეროვნული სასამართლოს წინაშე მიმდინარე სამართალწარმოებას, შესაბამისად ხარჯებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ამ სასამართლოს ეკუთვნის.

ამ საფუძველით,

სასამართლო (მეხუთე პალატა),

1996 წლის 18 ივლისის ბრძანებით Handelsgericht Wien-ის მიერ მოწოდებული კითხვების პასუხად, ადგენს:

კავშირის სამართლის ამჟამინდელ სტრუქტურაში, საქონლის თავისუფალი გადაადგილების პრინციპი არ ზღუდავს წევრ სახელმწიფოებს მიიღონ მათზე დაკისრებული ზომები, რათა უზრუნველყონ დასახელებების დაცვა. ადგილწარმოშობა რეგისტრირებულია №2081/92 რეგულაციის მიხედვით. ამ რეგულაციის მე-13 პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის ისეთი სახელის გამოყენება, როგორცაა „Cambonzola“, შეიძლება ჩაითვალოს დაცული ადგილწარმოშობის აღნიშვნის „Gorgonzola“-ს მიბაძვად, მიუხედავად იმისა, რომ შეფუთვაზე მითითებულია პროდუქტის ნამდვილი წარმოშობა. მაგრამ ეროვნულმა სასამართლომ ფაქტებზე დაყრდნობით უნდა გადაწყვიტოს N2081/92 რეგულაციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები იძლევა თუ არა ადრინდელი სასაქონლო ნიშნის გამოყენების გაგრძელების შესაძლებლობას, მიუხედავად ადგილწარმოშობის დაცული დასახელების „Gorgonzola“-ს რეგისტრაციისა, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის დროს მოქმედი კანონის გათვალისწინებით, რათა დადგინდეს, შეიძლებოდა თუ არა ასეთი რეგისტრაცია კეთილსინდისიერად განხორციელებულიყო იმის საფუძველზე, რომ ისეთი სახელის გამოყენება, როგორცაა „Cambonzola“ per se, არ წარმოადგენს მომხმარებლის მოტყუების მცდელობას.

07/06/2018, C-44/17, Scotch Whisky Association

სასამართლოს გადაწყვეტილება (მეხუთე პალატა) 2018 წლის 7 ივნისი (*)

(მითითება წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად – სპირტიანი სასმელების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა – რეგულაცია (EC) №110/2008 – მე-16 მუხლის „ა“-„გ“ ქვეპუნქტები – დანართი III – რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნა „შოტლანდიური ვისკი“ – გერმანიაში წარმოებული ვისკი და გაყიდული სახელწოდებით „გლენ ბუხენბახი“ (Glen Buchenbach’)

საქმეში C-44/17,

მოთხოვნა წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანისთვის TFEU-ს 267-ე მუხლის საფუძველზე Landgericht Hamburg-ისგან (რეგიონული სასამართლო, ჰამბურგი, გერმანია), მიღებული 2017 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებით, მიღებული სასამართლოში 2017 წლის 27 იანვარს, პროცესის დროს.

შოტლანდიური ვისკის ასოციაცია

Vs,

მაიკლ კლოცი,

სასამართლო (მეხუთე პალატა),

დაკომპლექტებული იყო ჯ.ლ. და კრუზ ვილაჩა, პალატის პრეზიდენტი, ე.

სასამართლოს გენერალური მრჩეველი: ჰ. საუგმანდსგარდი,

რეგისტრატორი: ა. კალოტ ესკობარი,

წერილობითი პროცედურის გათვალისწინებით,

მოსაზრებების განხილვის შემდეგ:

- შოტლანდიური ვისკის ასოციაცია, კ.პ. როიერი და ვ. ბაარსი, ადვოკატები
- ბატონი კლოცი, ს.ჯ. მიულბერგერი, ადვოკატი
- საბერძნეთის მთავრობა, გ.კანელიპულოსის, ე. ლეფტერიოტუს, მ. ტასოპულუს და ე. ქრონის მიერ, წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი,
- საფრანგეთის მთავრობა, დ.კოლასის, ს.ჰორენბერგერისა და ე. დე მუსტიეს მიერ, რომლებიც მოქმედებენ როგორც წარმომადგენლები,
- იტალიის მთავრობა, გ. პალმიერის, წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი, და ფ. ვარონე, სახელმწიფოს ადვოკატი
- ნიდერლანდების მთავრობა, მ.კ. ბულტერმანი და სს შილემანსი, რომლებიც მოქმედებენ როგორც წარმომადგენლები,

- ევროკომისია, B. Eggers-ის, D. Bianchi-სა და I. Naglis-ის მიერ, მოქმედი წარმომადგენლების მოვალეობის შემსრულებლები, 2018 წლის 22 თებერვალს სხდომაზე გენერალური პროკურატურის აზრის მოსმენის შემდეგ, დებულობს შემდეგ:

გადაწყვეტილებას

1. წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის ეს მოთხოვნა ეხება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 15 იანვრის რეგლამენტის (EC) №110/2008 მე-16 მუხლის „ა“-„გ“ ქვეპუნქტების ინტერპრეტაციას განსაზღვრების, აღწერილობის, პრეზენტაციის, ეტიკეტირების და სპირტიანი სასმელების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და საბჭოს ანულირებულ რეგულაციას (EEC) №1576/89 (OJ 2008 L 39, გვ. 16).

2. მოთხოვნა განხორციელდა შოტლანდიური ვისკის ასოციაციასა და ბ-ნ მაიკლ კლოცს, ვისკის ონლაინ დისტრიბუტორს შორის დავაზე, სადაც ასოციაცია ითხოვდა გერმანიაში წარმოებული ვისკის, სახელწოდებით „გლენ ბუხენბახი“ გაყიდვის აკრძალვას.

სამართლებრივი კონტექსტი

3. 110/2008 რეგულაციის მე-2 პუნქტში ნათქვამია:

„სპირტიანი სასმელების სექტორი მნიშვნელოვანია მომხმარებლებისთვის, მწარმოებლებისთვის და სოფლის მეურნეობის სექტორისთვის [ევროკავშირში]. სპირტიანი სასმელების სექტორის მიმართ მოქმედმა ზომებმა ხელი უნდა შეუწყოს მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის მიღწევას, შეცდომაში შემყვანი პრაქტიკის პრევენციას, ბაზრის გამჭვირვალობისა და სამართლიანი კონკურენციის მიღწევას. ...“

4. რეგულაციის პრეამბული მე-4 პუნქტი ადგენს:

„სპირტიანი სასმელების მარეგულირებელ კანონმდებლობაში უფრო სისტემატური მიდგომის უზრუნველსაყოფად, ამ რეგულაციამ უნდა დაადგინოს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმები სპირტიანი სასმელების წარმოების, აღწერის, პრეზენტაციისა და ეტიკეტირების, აგრეთვე გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ“.

5. რეგულაციის პრეამბულის მე-14 პუნქტი შემდეგნაირადაა ფორმულირებული:

იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოს 2006 წლის 20 მარტის რეგულაცია (EC) №510/2006 სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელების დაცვის შესახებ [(OJ 2006 L 93, გვ. 12), შესწორებული საბჭოს რეგულაციებით (EC) 2006 წლის 20 ნოემბრის №1791/2006 (OJ 2006 L 363, გვ. 1),] არ ვრცელდება სპირტიან სასმელებზე, ალკოჰოლური სასმელების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის წესები უნდა განისაზღვროს ამ დებულებით. სპირტიანი სასმელების მიმართ გეოგრაფიული აღნიშვნები უნდა დარეგისტრირდეს, თუ ალკოჰოლური სასმელის ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებელი არსებითად მიეკუთვნება მის გეოგრაფიულ წარმოშობას.“

6. №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლი, სახელწოდებით „გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა“, ითვალისწინებს:

III დანართში რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნები დაცულია:

(ა) ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი კომერციული გამოყენება პროდუქტებთან მიმართებაში, რომლებზეც არ ვრცელდება ეს რეგისტრაცია, რამდენადაც ეს პროდუქტები და ამ გეოგრაფიული აღნიშვნის ქვეშ რეგისტრირებულ სპირტიან სასმელები ერთი ტიპისაა, ან რამდენადაც ასეთი გამოყენებით ხდება რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის რეპუტაციის გამოყენება;

(ბ) ნებისმიერი მცდარი გამოყენება, იმიტაცია ან მიბაძვა მაშინაც კი, თუ მითითებულია პროდუქტის ნამდვილი წარმოშობა ან გეოგრაფიული აღნიშვნა თარგმანია ან თან ახლავს ისეთი სიტყვები, როგორცაა „მსგავსი“, „ტიპი“, „სტილი“, „დამზადებულია“, „არომატი“ ან სხვა მსგავსი ტერმინი;

(ც) ნებისმიერი სხვა მცდარი ან შეცდომაში შემყვანი აღნიშვნა საქონლის წარმომავლობის, ბუნების ან სხვა არსებითი მახასიათებლების შესახებ პროდუქტის აღწერილობაში, პრეზენტაციაზე ან ეტიკეტზე, რომელსაც შეუძლია შექმნას მცდარი წარმოდგენა მისი წარმოშობის შესახებ;

(დ) ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი საქონლის ნამდვილ წარმოშობასთან დაკავშირებით“

7. რეგულაციის №110/2008 III დანართში, სახელწოდებით „გეოგრაფიული აღნიშვნები“, აღნიშნულია, რომ „შოტლანდიური ვისკი“ (Scotch Whisky), რეგისტრირებულია, როგორც გეოგრაფიული აღნიშვნა, რომელიც ეხება მეორე კატეგორიის საქონელს, კერძოდ „ვისკის, (წარმოშობის ქვეყანა - „გაერთიანებული სამეფო“ (შოტლანდია))’

დავა ძირითად სამართალწარმოებაში და წინასწარი გადაწყვეტილებისათვის დასმული კითხვები:

8. შოტლანდიური ვისკის ასოციაცია არის ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია შოტლანდიის კანონმდებლობით. მისი მიზნები მოიცავს შოტლანდიური ვისკის ვაჭრობის დაცვას როგორც შოტლანდიაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

9. ბ-ნი კლოვი ვებგვერდის საშუალებით ყიდის ვისკის სახელწოდებით „Glen Buchenbach“, რომელსაც აწარმოებს Waldhorn-ის სპირტსახდელი ქარხანა ბერგლენში, რომელიც მდებარეობს ბუხენბახის ხეობაში შვაბიაში (გერმანია).

10. განსახილველ ვისკის ბოთლების ეტიკეტზე, გარდა სანადირო რქის სტილიზებული გამოსახულებისა (Waldhorn გერმანულად), არის შემდეგი ინფორმაცია: „Waldhornbrennerei“ (ვალდჰორნის სპირტსახდელი ქარხანა), „Glen Buchenbach“, „Swabian Single Malt Whisky“, „500 მლ“, „40% მოც.“, 'Deutsches Erzeugnis' (გერმანული პროდუქტი), 'Hergestellt in den Berglen' (იწარმოება ბერგლენში).

11. შოტლანდიური ვისკის ასოციაციამ შეიტანა სარჩელი Landgericht Hamburg-ში (რეგიონული სასამართლო, ჰამბურგი, გერმანია) და მოითხოვა ვისკის, სახელწოდებით „Glen Buchenbach“ გაყიდვის შეწყვეტა, რომელიც არ არის შოტლანდიური ვისკი, იმ მოტივით, რომ ამ აღნიშვნის გამოყენება არღვევს №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის (ა)-(გ) ქვეპუნქტებს, რომელიც იცავს ამ რეგულაციის III დანართში რეგისტრირებულ გეოგრაფიულ აღნიშვნებს, და იგი ასევე მოიცავს „შოტლანდიურ ვისკის“.

12. შოტლანდიური ვისკის ასოციაციის თანახმად, ეს დებულებები უზრუნველყოფს, რომ ალკოჰოლური სასმელისთვის რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნა დაცულია არა მხოლოდ ასეთი აღნიშვნის გამოყენებისგან, არამედ ნებისმიერი აღნიშვნისგან, რომელიც მიუთითებს ამ აღნიშვნის გეოგრაფიულ წარმოშობაზე. იგი ამტკიცებს, რომ აღნიშვნა „გლენ“ ძალიან ფართოდ გამოიყენება შოტლანდიაში სიტყვის „valley“-ს (ხევი) ნაცვლად და როგორც სასაქონლო ნიშნის ელემენტი შოტლანდიური ვისკის სახელებში, ის შესაბამის საზოგადოებაში იწვევს შოტლანდიისა და შოტლანდიური ვისკის იმიტაციას, მიუხედავად იმისა, რომ ეტიკეტზე დატანილია სხვა ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს, რომ სადავო პროდუქტი გერმანული წარმოშობისაა. ბ-ნი კლოცი ამტკიცებს, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

13. Landgericht Hamburg (რეგიონული სასამართლო, ჰამბურგი) აცხადებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება დამოკიდებულია №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის (ა)-(გ) ქვეპუნქტების ინტერპრეტაციაზე. ამიტომ მან გადაწყვიტა წინასწარი გადაწყვეტი-ლებისათვის მიემართა მართლმსაჯულების სასამართლოსათვის:

(1) მოითხოვს თუ არა სპირტიანი სასმელის რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის „არაპირდაპირი კომერციული გამოყენება“ [რეგულაციის №110/2008] მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რომ რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნა გამოიყენებოდეს იდენტური ან ფონეტიკურად და/ან ვიზუალურად მსგავსი ფორმით, თუ საკმარისია, რომ სადავო ელემენტი იწვევდეს შესაბამის საზოგადოებაში რაიმე სახის ასოციაციას რეგისტრირებულ გეოგრაფიულ აღნიშვნასთან ან გეოგრაფიულ არეალთან დაკავშირებით?

თუ ეს უკანასკნელი საკმარისია: „არაპირდაპირი კომერციული გამოყენების“ დადგენისას, რაიმე როლს თამაშობს თუ არა კონტექსტი, რომელშიც სადავო ელემენტია ჩადებული, ან შესაძლებელია თუ არა ეს კონტექსტი არ ეწინააღმდეგებოდეს რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის არაპირდაპირ კომერციულ გამოყენებას მაშინაც კი, თუ სადავო ელემენტს ახლავს პროდუქტის ნამდვილი წარმოშობაზე მითითება?

(2) მოითხოვს თუ არა რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის „მიბაძვა“ [რეგულაცია №110/2008] მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რომ არსებობდეს ფონეტიკური და/ან ვიზუალური მსგავსება რეგისტრირებულ გეოგრაფიულ აღნიშვნასა და სადავო ელემენტს შორის, თუ საკმარისია, რომ სადავო ელემენტი იწვევს შესაბამის საზოგადოებაში რაიმე სახის ასოციაციას რეგისტრირებულ გეოგრაფიულ აღნიშვნასთან ან გეოგრაფიულ არეალთან დაკავშირებით?

თუ ეს უკანასკნელი საკმარისია: როდესაც დგინდება არის თუ არა რაიმე „მიბაძვა“, თამაშობს თუ არა კონტექსტი რაიმე როლს, რომელშიც სადავო ელემენტია ჩადებული, თუ შეიძლება ეს კონტექსტი არ ეწინააღმდეგებოდეს რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის არაკანონიერ იმიტაციას, თუნდაც სადავო ელემენტს თან ახლდეს პროდუქტის ნამდვილი წარმოშობის მითითება?

(3) იმის დადგენისას არის თუ არა „სხვა მცდარი ან შეცდომაში შემყვანი მითითება“ [რეგლამენტი №110/2008] მე-16 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თამაშობს თუ არა რაიმე როლს კონტექსტი, რომელშიც სადავო ელემენტია ჩადებული, ან შეიძლება თუ არა

კონტექსტი არ ეწინააღმდეგებოდეს შეცდომაში შემყვან მითითებას, თუნდაც სადავო ელემენტს თან ახლდეს პროდუქტის ნამდვილი წარმოშობის შესახებ ინფორმაცია?’

პროცედურების ზეპირი ნაწილის ხელახალი გახსნის მოთხოვნა

14. სასამართლოს გენერალური მრჩევლის აზრის წარდგენის შემდეგ, შოტლანდიური ვისკის ასოციაციამ, 2018 წლის 15 მარტის წერილით მოითხოვა საქმის ზეპირი მოსმენის ნაწილის ხელახალი გახსნა სასამართლოს რეგლამენტის 83-ე მუხლის შესაბამისად.

15. ამ მოთხოვნის მხარდასაჭერად, შოტლანდიური ვისკის ასოციაცია არსებითად ამტკიცებდა, რომ სასამართლოს გენერალური მრჩევლის მიერ გაკეთებული განცხადებები, მისი მოსაზრების 66-ე -დან 68-ე და 107-ე დან- 108-ე პარაგრაფებში ეფუძნება ფაქტობრივი მონაცემების არასრულ და არასწორ ინფორმაციას, როგორც დადგენილია მიმართვის ბრძანებაში, რის შედეგადაც ეს განცხადებები მცდარია. შოტლანდიური ვისკის ასოციაცია იმედოვნებს, რომ შემდგომ ზეპირ მოსმენაზე განიხილოს ეს განცხადებები და ამავე დროს გამოასწოროს და შეავსოს ეს ფაქტობრივი მოცემულობები.

16. ამასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ რეგლამენტის 83-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია ნებისმიერ დროს, სასამართლოს გენერალური მრჩევლის მოსმენის შემდეგ, დანიშნოს საქმის ზეპირი მოსმენა ან საქმისწარმოების ხელახალი გახსნა. კერძოდ, თუ იგი მიიჩნევს, რომ მას აკლია საკმარისი ინფორმაცია ან როდესაც მხარემ პროცედურის ამ ნაწილის დახურვის შემდეგ წარადგინა ისეთი ხასიათის ახალი ფაქტები, რამაც შეიძლება გადაწყვეტი მნიშვნელობა იქონიოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, ან როდესაც საქმე უნდა გადაწყდეს მხარეებს ან დაინტერესებულ პირებს შორის განუხილველი არგუმენტის საფუძველზე, რომლებიც მითითებულია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს სტატუტის 23-ე მუხლში.

17. ასეთი გარემოებები სახეზე არ არის. სასამართლოს გენერალური მრჩევლის მოსმენის შემდეგ სასამართლო მიიჩნევს, რომ მას აქვს საკმარისი ინფორმაცია გადაწყვეტილების გამოსატანად და რომ წინამდებარე საქმის გადაწყვეტა არ არის საჭირო იმ არგუმენტების საფუძველზე, რომლებიც არ განხილულა მხარეებს ან ზემოხსენებულ დაინტერესებულ პირებს შორის.

18. არც ის იკვეთება, რომ მთავარი პროცესის ერთ-ერთმა მხარემ ან ერთ-ერთმა დაინტერესებულმა პირმა, წინამდებარე წარმოების ზეპირი ნაწილის დამთავრების შემდეგ წარმოადგინა ისეთი ხასიათის ახალი ფაქტი, რომელსაც გადაწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

19. ამიტომ, შოტლანდიური ვისკის ასოციაციის მოთხოვნა პროცედურის ზეპირი მოსმენის ნაწილის ხელახლა გახსნის შესახებ უნდა იქნეს უარყოფილი.

წარდგენილი კითხვების განხილვა

წინასწარი მოსაზრებები

20. წინამდებარე საქმეში, მთავარი სამართალწარმოების ორი მხარე ექვეყნებ მითითების ბრძანების როგორც ფორმულირებას, ასევე შინაარსს.

21. პირველი, შოტლანდიური ვისკის ასოციაცია ჩივის, რომ მომხსენებელმა სასამართლომ არ ჩამოაყალიბა წინასწარი გადაწყვეტილების გამოსატანად კითხვები სწორად და თავის წერილობით დაკვირვებებში ვარაუდობს, რომ ეს კითხვები ხელახლა უნდა ჩამოყალიბდეს.

22. ამ საკითხთან დაკავშირებით, საკმარისია გავიხსენოთ, რომ დადგენილი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მხოლოდ ეროვნულ სასამართლოს აქვს უფლება, რომელმაც უნდა განიხილოს დავა და აიღოს პასუხისმგებლობა შემდგომ სასამართლო გადაწყვეტილებაზე, განსაზღვროს საქმის კონკრეტული გარემოებებიდან, წინასწარი გადაწყვეტილების საჭიროებიდან გამომდინარე კითხვების აქტუალობა, რომელსაც იგი წარუდგენს სასამართლოს (2000 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება, Darbo, C-465/98, EU:C:2000:184, პარაგრაფი 19). კერძოდ, მხოლოდ ეროვნულ სასამართლოს ეკუთვნის ასეთი კითხვების განსაზღვრისა და ჩამოყალიბების პრეროგატივა. მთავარი პროცესის მხარეებს არ შეუძლიათ შეცვალონ კითხვები (2013 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებები, Consiglio Nazionale dei Geologi, C-136/12, EU:C:2013:489, პარაგრაფები 29 და 31 და ციტირებული პრეცედენტული სამართალი, და 2015 წლის 6 ოქტომბერი, T-Mobile Czech Republic and Vodafone Czech Republic, C-508/14, EU:C:2015:657, პარაგრაფი 28 და ციტირებული სასამართლო სამართალი). შესაბამისად, სასამართლო ვერ დააკმაყოფილებს თხოვნას, რომ კითხვები შეიცვალოს იმ ფორმულირებით, რასაც მხარე მიუთითებს.

23. მეორე, ბ-ნი კლოცი თვლის, რომ მიმმართველმა სასამართლომ წარმოადგინა მოკლე და არასრული ფაქტები ძირითადი პროცესის შესახებ და მან წარადგინა ინფორმაცია, რომელიც მიზნად ისახავს ამ ანგარიშის სრულყოფას.

24. თუმცა, უნდა გავიმეოროთ, რომ 267-ე მუხლით დადგენილ თანამშრომლობის პროცედურაში, მართლმსაჯულების სასამართლოს კი არა, ეროვნულ სასამართლოს ევალება დაადგინოს ფაქტები, რომლებმაც გამოიწვია დავა და დაადგინოს შედეგები, (2015 წლის 3 სექტემბერი, Costea, C-110/14, EU:C:2015:538, პარაგრაფი 13, და 2016 წლის 10 მარტი, Safe Interenvíos, C-235/14, EU:C:2016:154, პარაგრაფი 119). უფრო მეტიც, მართლმსაჯულების სასამართლომ ევროკავშირის სასამართლოებსა და ეროვნულ სასამართლოებს შორის იურისდიქციის მიხედვით უნდა გაითვალისწინოს ფაქტობრივი და საკანონმდებლო კონტექსტი, როგორც აღწერილია მითითების ბრძანებაში, რომელშიც დასმულია კითხვები (იხილეთ, ამ მიზნით, 2001 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება, Ambulanz Glöckner, C-475/99, EU:C:2001:577, პარაგრაფი 10, და 2016 წლის 28 ივლისი, Kratzer, C-423/15, EU:C:2016:604, პარაგრაფი 27).

პირველი შეკითხვა

25. პირველი კითხვით, მიმმართველი სასამართლო არსებითად ითხოვს პასუხს კითხვაზე, უნდა იქნეს თუ არა განმარტებული 110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი იმ მნიშვნელობით, რომ რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის „არაპირდაპირი კომერციული გამოყენება“ არსებობს მაშინ, როდესაც სადავო ელემენტი გამოყენებულია იდენტურად, ან ფონეტიკურად და/ან ვიზუალურად მსგავსად, ან საკმარისია თუ არა, რომ

ეს ელემენტი შესაბამის საზოგადოებაში იწვევდეს რაიმე სახის ასოციაციას შესაბამის მითითებასთან ან მასთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ აღნიშვნასთან.

26. უნდა ჩაითვალოს თუ არა, რომ იდეების რაიმე სახით ასოცირება რეგისტრირებულ გეოგრაფიულ აღნიშვნასთან ან მასთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ არეალთან საკმარისია იმისთვის, რომ დადგინდეს „არაპირდაპირი კომერციული გამოყენება“ №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით, მიმმართველი სასამართლო კითხულობს, უნდა განიმარტოს თუ არა ეს დებულება ისე, რომ ამგვარი გამოყენების არსებობის დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სადავო ელემენტის კონტექსტი, კერძოდ ფაქტი, რომ ამ ელემენტს თან ახლავს პროდუქტის ნამდვილ წარმოშობაზე მითითება, რის შედეგადაც ამ კონტექსტით მოწოდებული ინფორმაცია საბოლოოდ შესაძლებელს გახდის უარყოს მტკიცება, რომ არსებობს არაპირდაპირი კომერციული გამოყენება.

27. სასამართლომ თანმიმდევრულად დაადგინა, რომ ევროკავშირის სამართლის დებულების ინტერპრეტაციისას აუცილებელია გავითვალისწინოთ არა მხოლოდ მისი ფორმულირება, არამედ მისი კონტექსტი და მიზნები (იხ. 2018 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება, პიოტროვსკი, C-367/16, EU:C:2018:27, პარაგრაფი 40 და 7 თებერვალი 2018, American Express, C-304/16, EU:C:2018:66, პარაგრაფი 54).

28. უპირველეს ყოვლისა, №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ფორმულირება ცხადყოფს, რომ დებულება იცავს რეგისტრირებულ გეოგრაფიულ აღნიშვნებს „ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი კომერციული გამოყენებისგან“ იმ პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლებზეც არ ვრცელდება ეს რეგისტრაცია, რამდენადაც ეს პროდუქტები გეოგრაფიული აღნიშვნის ქვეშ რეგისტრირებულ სპირტიან სასმელების მსგავსი ტიპისაა ან იმდენად, რამდენადაც ასეთი ქმედებით ხდება რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის რეპუტაციის გამოყენება“.

29. როგორც სასამართლოს გენერალურმა მრჩეველმა თავისი მოსაზრების 28-ე პუნქტში განაცხადა, სიტყვა „გამოყენება“ ამ დებულების განსაზღვრებით მოითხოვს, რომ განსახილველმა ნიშანმა გამოიყენოს თავად დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა, რეგისტრირებული ფორმით ან, სულ მცირე, ისეთი დონის მსგავსებით ვიზუალური და/ან ფონეტიკური თვალსაზრისით, რომ სადავო ნიშანი აშკარად არ განსხვავდებოდეს გეოგრაფიული აღნიშვნისგან.

30. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ გეოგრაფიული აღნიშვნის შემცველი სასაქონლო ნიშნის გამოყენება ან მისი თარგმანი, ალკოჰოლური სასმელების მიმართ, რომლებიც არ აკმაყოფილებენ შესაბამის სპეციფიკაციებს, პრინციპში წარმოადგენს ამ გეოგრაფიული აღნიშვნის პირდაპირ კომერციულ გამოყენებას, №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის (2011 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებები, Bureau National interprofessionnel du Cognac, C-4/10 და C-27/10), EU:C:2011:484, პარაგრაფი 55, და 2017 წლის 20 დეკემბრის, Comité Interprofessionnel du Vin de Champagne, C-393/16, EU:C:2017:991, პარაგრაფი 34).

31. შესაბამისად, 110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, განსახილველმა ნიშანმა უნდა გამოიყენოს რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნა იდენტური ფორმით ან თუნდაც ისეთი ფორმით, რომელიც ფონეტიკურად და/ან ვიზუალურად ძალიან მსგავსია.

32. მიუხედავად ამისა, ამ დებულების შესაბამისად უნდა განვსხვავოთ „პირდაპირი“ და „არაპირდაპირი“ გამოყენება. ამასთან დაკავშირებით, როგორც სასამართლოს გენერალურმა მრჩეველმა თავისი მოსაზრების 30-ე პარაგრაფში განაცხადა, განსხვავებით „პირდაპირი“ გამოყენებისგან, რომელიც გულისხმობს, რომ დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა დატანილია უშუალოდ შესაბამის პროდუქტზე ან მის შეფუთვაზე, „არაპირდაპირი“ გამოყენება მოითხოვს მითითებას დამატებით მარკეტინგულ ან სხვა ინფორმაციულ წყაროებში.

33. რაც შეეხება, №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის კონტექსტს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ დებულების ფარგლები აუცილებლად უნდა განსხვავდებოდეს რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სხვა წესებისგან, რომლებიც მოცემულია მე-16 მუხლის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებში. ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი უნდა გამოირჩეოდეს მე-16 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული სიტუაციისგან, რომელიც ეხება „ნებისმიერ მცდარ გამოყენებას, იმიტაციას ან მიბაძვას“, ანუ შემთხვევებს, რომლებშიც სადავო ნიშანი არ იყენებს გეოგრაფიულ აღნიშვნას, მაგრამ გვთავაზობს მას ისე, რომ ეს განაპირობებს მომხმარებლის მხრიდან საკმარისად მჭიდრო კავშირის დამყარებას ამ ნიშანსა და რეგისტრირებულ გეოგრაფიულ აღნიშვნას შორის.

34. ამრიგად, როგორც სასამართლოს გენერალურმა მრჩეველმა თავისი მოსაზრების 32-ე პარაგრაფში აღნიშნა, №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი პრაქტიკულ ეფექტს მოკლებული იქნებოდა, თუ მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტს ფართო ინტერპრეტაცია მიეცემოდა, როგორც ამას ითვალისწინებს მიმდართველი სასამართლო თავის პირველ შეკითხვაში, იმ გაგებით, რომ იგი გამოყენებული იქნება მაშინ, როცა ნიშანი იწვევს შესაბამის საზოგადოებაში რაიმე სახის ასოცირებას რეგისტრირებულ გეოგრაფიულ აღნიშვნასთან ან მასთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ არეალთან.

35. ინტერპრეტაცია, რომლის თანახმად – იმისათვის, რომ დადგინდეს რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის არაპირდაპირი კომერციული გამოყენების არსებობა – სადავო ელემენტი უნდა იყოს გამოყენებული იმ ფორმით, რომელიც ან ამ აღნიშვნის იდენტურია, ან ფონეტიკურად და/ან ვიზუალურად მსგავსი, უკეთესად შეუძლია უზრუნველყოს ის ამოცანები, რომლებსაც მიზნად ისახავს №110/2008 რეგულაცია, კერძოდ, მისი მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

36. ამასთან დაკავშირებით უნდა გვახსოვდეს, რომ 110/2008 რეგულაციით გათვალისწინებული სპირტიანი სასმელების გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციის სისტემის მიზანია, ხელი შეუწყოს ამ რეგულაციის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის მიღწევას, შეცდომაში შემყვანი პრაქტიკის პრევენციას, ბაზრის გამჭვირვალობასა და სამართლიან კონკურენციას (2016 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება, Viiniverla, C-75/15, EU:C:2016:35, პარაგრაფი 24).

37. გარდა ამისა, სასამართლომ უკვე ცხადყო, რომ 110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლით გათვალისწინებული გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა უნდა განიმარტოს იმ მიზნის გათვალისწინებით, რომელსაც ასრულებს ამ აღნიშვნების რეგისტრაცია. კერძოდ, როგორც რეგულაციის მე-14 პუნქტშია მითითებული, ნებადართული იყოს ალკოჰოლური სასმელების იდენტიფიცირება, როგორც კონკრეტული ტერიტორიიდან წარმოშობილი, თუ ამ სასმელების მოცემული ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებელი არსებითად მიეკუთვნება მის გეოგრაფიულ წარმოშობას (განჩინება 2016 წლის 21 იანვარი, Viiniverla, C-75./15, EU:C:2016:35, პუნქტი 23 და ციტირებული პრეცედენტული სამართალი).

38. ამრიგად, როგორც სასამართლოს გენერალურმა მრჩეველმა თავისი მოსაზრების 38-ე პარაგრაფში აღნიშნა, №110/2008 რეგულაციის დებულებების, კერძოდ, მე-16 მუხლის მიზანია დაცული გეოგრაფიული აღნიშვნების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება, არა მხოლოდ მომხმარებლების, არამედ მწარმოებლების ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც ცდილობდნენ გარანტორები იყვნენ პროდუქციის მოსალოდნელი ხარისხის შესახებ (იხილეთ, ანალოგიით, 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება, EUIPO v Instituto dos Vinhos do Douro e do Porto, C-56/16 P, EU:C:2017:693, პარაგრაფი 82, და 2017 წლის 20 დეკემბრის, Comité Interprofessionnel du Vin de Champagne, C-393/16, EU:C:2017:991, პარაგრაფი 38). ამ კონტექსტში, მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი უკრძალავს, ოპერატორებს, კომერციულად გამოიყენონ რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნა იმ პროდუქტებთან მიმართებაში, რომლებზეც არ ვრცელდება ეს რეგისტრაცია, განსაკუთრებით ამ გეოგრაფიული აღნიშვნის დაუმსახურებლად ხელსაყრელი პირობების მიღების მიზნით.

39. ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, პირველ კითხვაზე პასუხი არის ის, რომ 110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი უნდა განიმარტოს შემდეგნაირად: იმისათვის, რომ დადგინდეს რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის „არაპირდაპირი კომერციული გამოყენება“, სადავო ელემენტი უნდა იყოს გამოყენებული იმ ფორმით, რომელიც ან ამ აღნიშვნის იდენტურია, ან ფონეტიკურად და/ან ვიზუალურად მსგავსი. შესაბამისად, საკმარისი არ არის, რომ ამ ელემენტმა შეიძლება გამოიწვიოს შესაბამის საზოგადოებაში რაიმე სახის ასოციაცია აღნიშვნასთან ან მასთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ არეალთან.

40. პირველი კითხვის პირველ ნაწილზე პასუხის გათვალისწინებით, მეორე ნაწილზე პასუხის გაცემა საჭირო არ არის.

მეორე შეკითხვა

41. თავისი მეორე კითხვით, მიმმართველი სასამართლო არსებითად სვამს კითხვას, უნდა იქნეს თუ არა განმარტებული №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი შემდეგნაირად: იმ მიზნით, რომ დადგინდეს, რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის „მიბაძვა“ სადავო ელემენტი ფონეტიკურად და/ან ვიზუალურად უნდა იყოს ამ აღნიშვნის მსგავსი, ან საკმარისია თუ არა, რომ ეს ელემენტი იწვევს შესაბამის საზოგადოებაში რაიმე სახის ასოციაციას შესაბამის დასახელებასთან ან მასთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ არეალთან?

42. უნდა ჩაითვალოს თუ არა, რომ რაიმე სახით ასოცირება (დაკავშირება) რეგისტრირებულ გეოგრაფიულ აღნიშვნასთან ან მასთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ არეალთან საკმარისია იმისათვის, რომ მოხდეს ამ აღნიშვნასთან „მიბაძვა“, №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით. მიმმართველი სასამართლო კითხულობს, არსებითად, უნდა მოხდეს თუ არა ამ დებულების ინტერპრეტაცია იმგვარად, რომ ასეთი მიბაძვის დადგენის მიზნით მხედველობაში იქნეს მიღებული სადავო ელემენტის ირგვლივ არსებული კონტექსტი და კერძოდ ფაქტი, რომ ამ ელემენტს თან ახლავს პროდუქტის ნამდვილი წარმოშობის მითითება, რის შედეგადაც ამ კონტექსტით მოწოდებული ინფორმაცია საბოლოო ჯამში შესაძლებელს გახდის უარყოს პრეტენზია „მიბაძვის“ შესახებ?

43. იმისათვის, რომ მიმმართველ სასამართლოს გაეცეს სასარგებლო პასუხი, უნდა გავითვალისწინოთ, რომ №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი იცავს გეოგრაფიულ აღნიშვნებს ყოველგვარი „მიბაძვისგან“, „მაშინაც კი, თუ პროდუქტის ნამდვილი წარმოშობაა მითითებული ან გეოგრაფიული აღნიშვნა გამოიყენება თარგმანში ან თან ახლავს ისეთი სიტყვები, როგორცაა „მსგავსი“, „ტიპი“, „სტილი“, „დამზადებულია“, „გემო“ ან სხვა მსგავსი ტერმინი“.

44. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ცნება „მიბაძვა“ ასახავს სიტუაციას, როდესაც პროდუქტის აღსანიშნავად გამოყენებული ტერმინი მოიცავს დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ნაწილს ისე, რომ როდესაც მომხმარებელი ხედავს სადავო პროდუქტის სახელს, მის გონებაში ჩნდება იმ პროდუქტის სურათი, რომლის აღნიშვნაც დაცულია (2016 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება, Viiniverla, C-75/15, EU:C:2016:35, პარაგრაფი 21 და ციტირებული პრეცედენტული სამართალი).

45. ამრიგად, იმისათვის რომ დადგინდეს „მიბაძვა“ №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით, ეროვნულმა სასამართლომ უნდა დაადგინოს არა მხოლოდ ტერმინის მნიშვნელობა, რომელიც გამოიყენება სადავო პროდუქტის აღსანიშნავად, შეიცავს თუ არა ეს ტერმინი დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ნაწილს, არამედ ის ფაქტიც, რომ როცა მომხმარებელი ხედავს პროდუქტს, მის გონებაში გაჩენილი სურათი იწვევს თუ არა დაცული ნიშნის მიბაძვას. მაშასადამე, ეროვნული სასამართლო არსებითად უნდა დაეყრდნოს მომხმარებელთა სავარაუდო რეაქციას სადავო პროდუქტის აღსანიშნავად გამოყენებულ ტერმინებზე და მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებლებმა დაინახონ კავშირი ამ ტერმინსა და დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნას შორის (21 იანვრის გადაწყვეტილება 2016, Viiniverla, C-75/15, EU:C:2016:35,

46. როგორც გენერალურმა მრჩეველმა თავისი მოსაზრების 55-ე პარაგრაფში განაცხადა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სადავო ნიშანში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ნაწილობრივი ჩართვა არ არის არსებითი პირობა რათა გამოყენებულ იქნეს №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი. ამ დებულების მიხედვით, ეროვნულმა სასამართლომ უნდა დაადგინოს, როდესაც მომხმარებელი ხედავს პროდუქტის სახელს, მის გონებაში გაჩენილი მოგონება არის თუ არა გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული პროდუქტის მოგონებასთან დაკავშირებული.

47. ამასთან დაკავშირებით, ეროვნულმა სასამართლომ ამ შეფასების გაკეთებისას უნდა მიმართოს საშუალო ევროპელი მომხმარებლის აღქმას, რომელიც არის გონივრულად

ინფორმირებული, გონივრულად დაკვირვებული და ფრთხილი (განჩინება 2016 წლის 21 იანვარი, Viiniverla, C-75/15, EU :C:2016:35, პარაგრაფები 25 და 28).

48. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ ლეგიტიმურია დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის მიზამკვად ჩაითვალოს შემთხვევა, როდესაც გარეგნულად მსგავსი პროდუქტების მიმართ სასაქონლო ნიშნები ფონეტიკურად და ვიზუალურად მსგავსია (განჩინება 2016 წლის 21 იანვარი, Viiniverla. , C-75/15, EU:C:2016:35, პარაგრაფი 33 და ციტირებული სასამართლო სამართალი).

49. თუმცა, როგორც გენერალურმა მრჩეველმა თავისი მოსაზრების 58-ე პარაგრაფში განაცხადა, სადავო აღნიშვნასა და დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნას შორის ფონეტიკური და ვიზუალური მსგავსების დადგენა ასევე არ არის არსებითი პირობა იმისთვის, რომ დადგინდეს „მიზამკვის“ არსებობა 110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით. ეს არის მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გასათვალისწინებელია ეროვნული სასამართლოს მიერ, როდესაც აფასებს მომხმარებლის დამოკიდებულებას, შესაბამისი პროდუქტის სახელი მის გონებაში იწვევს თუ არა გეოგრაფიული აღნიშვნით დაცულ პროდუქტთან ასოციაციას. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ ასეთი მსგავსების არარსებობის შემთხვევაშიც კი აღმოჩნდეს "მიზამკვა".

50. სადავო აღნიშვნაში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ნაწილის გამეორებისა და აღნიშვნებს შორის ფონეტიკური და ვიზუალური მსგავსების კრიტერიუმების გარდა, სასამართლომ დაადგინა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელია სხვადასხვა ენებიდან მომდინარე ტერმინებს შორის „კონცეპტუალური სიახლოვის“ კრიტერიუმის გათვალისწინება, ვინაიდან ასეთმა სიახლოვემ, ისევე როგორც ზემოთ ნახსენები სხვა კრიტერიუმების მსგავსად, შეიძლება ასევე გამოიწვიოს მომხმარებლის გონებაში მოგონება, რომელიც არის დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის მიზამკვა (2016 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება, Viiniverla, C-75/15, EU:C:2016:35, პარაგრაფი 35 და ციტირებული სასამართლო სამართალი).

51. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ 110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით, „მიზამკვის“ დასადგენად გადამწყვეტი კრიტერიუმი არის როდესაც მომხმარებელი სადავო ნიშნის წინაშე დგება, მის გონებაში უშუალოდ წარმოქმნილი სურათი არის თუ არა იმ პროდუქტის სურათი, რომლის გეოგრაფიული აღნიშვნაც დაცულია, საკითხი, რომლის შეფასებაც ეროვნულ სასამართლოს ეკისრება არის სადავო ნიშანში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ნაწილობრივი ჩართვის გათვალისწინება, ნებისმიერი ფონეტიკური და/ან ვიზუალური მსგავსება, ან რაიმე კონცეპტუალური სიახლოვე აღნიშვნასა და მითითებას შორის.

52. მთავარ სამართალწარმოების საქმეში, მიმმართველმა სასამართლომ უნდა დაადგინოს, საშუალო ევროპელი მომხმარებელი, რომელიც არის გონივრულად კარგად ინფორმირებული, გონივრულად დაკვირვებული და ფრთხილი, ფიქრობს თუ არა უშუალოდ დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნაზე, კერძოდ, „მოტლანდიურ ვისკიზე“, როდესაც იგი ხედავს შესაძარებელ პროდუქტს, რომელიც ატარებს სადავო აღნიშვნას, ამ შემთხვევაში „Glen“, სასამართლო ითვალისწინებს (i) ფონეტიკური და/ან ვიზუალური განსხვავებას სადავო აღნიშვნასა და დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნას შორის და (ii) რაიმე ნაწილობრივი

მითითების ჩართვა აღნიშვნის გარეშე, უნდა გაითვალისწინოს კონცეპტუალური სიახლოვე, დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნასა და სადავო აღნიშვნას შორის.

53. თუმცა, 110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით „მიზამვის“ დადგენის კრიტერიუმი, რომელიც მითითებულია მიმმართველი სასამართლოს მიერ მეორე შეკითხვაში – კერძოდ, რომ სადავო ნიშნის ელემენტმა უნდა გამოიწვიოს შესაბამის საზოგადოებაში რაიმე სახის ასოციაცია დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნასთან ან მასთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ არეალთან — არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, რადგან ის არ ადგენს საკმარისად მკაფიო და პირდაპირ კავშირს ამ ელემენტსა და შესაბამის აღნიშვნას შორის.

54. გარდა ამისა, გენერალურმა მრჩეველმა თავისი მოსაზრების 61-დან 63-ე პუნქტებში აღნიშნა, თუ საკმარისია, რომ ასეთი „მიზამვის“ დადგენის მიზნით, მომხმარებელმა რაიმე სახის ასოციაცია მოახდინოს დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნასთან, ეს, პირველ რიგში, გამოიწვევს №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დებულებების მოქმედების სფეროს ხელყოფას, კერძოდ (გ) და (დ) ქვეპუნქტების, რომლებიც მოიცავს შემთხვევებს, როცა დაცული გეოგრაფიულ აღნიშვნებზე მითითების საკითხი კიდევ უფრო მკაფიოდ არის მოცემული, ვიდრე ამ აღნიშვნის „მიზამვისა“.

55. მეორეც, ასეთი კრიტერიუმის გამოყენება გაუთვალისწინებელი გზით გააფართოებს №110/2008 რეგულაციის ფარგლებს და წარმოშობს მნიშვნელოვან რისკებს, განსაკუთრებით შესაბამისი ეკონომიკური აქტორების სამართლებრივი უსაფრთხოებისთვის. მართლაც, როგორც აღნიშნული რეგულაციის მე-4 პუნქტშია ნათქვამი, ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანო ცდილობს „უზრუნველყოს უფრო სისტემატური მიდგომა ალკოჰოლური სასმელების მარეგულირებელ კანონმდებლობაში“, „მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმების“ დადგენით, inter alia, „გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისთვის“. ისეთი ბუნდოვანი და ფართო კრიტერიუმის დაშვება, როგორც არის ის, რაც წამოაყენა მიმმართველმა სასამართლომ მეორე შეკითხვაში, არ შეესაბამებოდა ამ მიზანს.

56. ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, მეორე კითხვის პირველ ნაწილზე პასუხი არის ის, რომ №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი უნდა განიმარტოს ისე, რომ დადგინდეს რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის „მიზამვის“ არსებობა. მიმმართველ სასამართლოს მოეთხოვება დაადგინოს, როდესაც საშუალო ევროპელი მომხმარებელი, რომელიც გონივრულად კარგად ინფორმირებულია, გონივრულად დაკვირვებული და ფრთხილია, სადავო აღნიშვნის დანახვისას, მის გონებაში წარმოქმნილი მოგონება არის იმ პროდუქტის სურათი, რომლის გეოგრაფიული აღნიშვნაც დაცულია. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, მიმმართველმა სასამართლომ, (i) ფონეტიკური და/ან ვიზუალური განსხვავების შემთხვევაში სადავო აღნიშვნასა და დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნას შორის და ((ii) სადავო ნიშანში გეოგრაფიული აღნიშვნის ნებისმიერი ნაწილობრივი ჩართვის შემთხვევაში, უნდა გაითვალისწინოს კონცეპტუალური სიახლოვე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გეოგრაფიულ აღნიშვნასა და სადავო ნიშანს შორის.

57 რაც შეეხება მეორე კითხვის მეორე ნაწილს, რომელიც ეხება იმ როლს, სადაც კონტექსტი, ახდენს გავლენას „მიზამვის“ შეფასებისას რეგულაციის №110/2008 მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით, სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ დებულების

ფორმულირებიდან შეიძლება არსებობდეს „მიბაძვა“ მაშინაც კი, თუ მითითებულია პროდუქტის ნამდვილი წარმომავლობა (განჩინება 2016 წლის 21 იანვარი, Viiniverla, C-75/15, EU:C:2016:35, პარაგრაფი 43 და ციტირებული სასამართლო სამართალი).

58. მიმართვის შესახებ დადგენილება მიუთითებს, რომ ბ-ნი კლოცი, მთავარ სამართალწარმოებაში მოპასუხე, ამტკიცებს, რომ აღნიშვნა „გლენ ბუხენბახი“ არის სიტყვების თამაში, რომელიც შედგება სასმელის ადგილწარმოშობის სახელწოდებისგან, რომელიც განსახილველია მთავარ საქმეში (Berglen) და ასევე ადგილობრივი მდინარის სახელი („ბუხენბახი“). თუმცა, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ ეს არ არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ეხება იმას, რომ სადავო აღნიშვნა შეესაბამება საწარმოს სახელს ან/და იმ ადგილს, სადაც ხდება პროდუქტის დამზადება (იხილეთ, ამასთან დაკავშირებით, 2016 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება, Viiniverla, C-75/15, EU:C:2016:35, პარაგრაფები 42-დან 45-მდე).

59 უფრო მეტიც, გენერალურმა მრჩეველმა თავისი მოსაზრების 81-ე პარაგრაფში აღნიშნა, რომ სასამართლომ ასევე ცხადყო ის ფაქტი, რომ სადავო აღნიშვნა ეხება წარმოების ადგილს, რომელიც ცნობილია მომხმარებლებისთვის იმ წევრ ქვეყანაში, სადაც პროდუქტი იწარმოება, არ არის რელევანტური 110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით „მიბაძვის“ ცნების შესაფასებლად, ვინაიდან ეს დებულება იცავს რეგისტრირებულ გეოგრაფიულ აღნიშვნებს ევროკავშირის ტერიტორიის მასშტაბით, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ტერიტორიაზე ამ გეოგრაფიული აღნიშვნების ეფექტური და ერთიანი დაცვის გარანტირების აუცილებლობის შესახებ, იგი მოიცავს ყველა ევროპელ მომხმარებელს (2016 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება, Viiniverla, C-75/15, EU:C:2016:35, პარაგრაფი 27).

60 ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მეორე კითხვის მეორე ნაწილზე პასუხი არის ის, რომ №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი უნდა განიმარტოს იმ მნიშვნელობით, რომ „მიბაძვის“ დადგენის მიზნით, რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის შემთხვევაში, მხედველობაში არ მიიღება სადავო ელემენტის გარშემო კონტექსტი ან ის ფაქტი, რომ ამ ელემენტს თან ახლავს შესაბამისი პროდუქტის ნამდვილი წარმოშობის მითითება.

მესამე შეკითხვა

61. მესამე კითხვით, მიმმართველი სასამართლო არსებითად სვამს კითხვას, უნდა იქნეს თუ არა განმარტებული №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, იმგვარად, რომ დადგინდეს „მცდარი ან შეცდომაში შემყვანი მითითების“ არსებობა. ამ დებულებით მხედველობაში უნდა იქნეს თუ არა მიღებული კონტექსტი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ელემენტს თან ახლავს შესაბამისი პროდუქტის ნამდვილი წარმოშობის მითითება.

62. №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნა დაცულია „ნებისმიერი სხვა მცდარი ან შეცდომაში შემყვანი ქმედებისაგან, იგულისხმება პროდუქტის ხარისხი, წარმოშობა, ბუნება ან სხვა არსებითი

თვისება ან პროდუქტის ეტიკეტირება, რომელსაც შეუძლია მისი წარმოშობის შესახებ მომხმარებელს შეუქმნას მცდარი შთაბეჭდილება“.

63. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო ადგენს, რომ ევროკომისიის მტკიცებისგან განსხვავებით, ამ დებულების ფორმულირება არ იძლევა იმის ვარაუდს, რომ „პროდუქტის წარმოშობის, ბუნების ან სხვა არსებითი თვისებების შესახებ მცდარი ან შეცდომაში შემყვანი მითითების დასადგენად“ ევროკავშირის კანონმდებლის განზრახვა იყო მხედველობაში მისაღები კონტექსტი, თუ როგორ გამოიყენება სადავო ელემენტი.

64. როგორც გენერალურმა მრჩეველმა თავისი მოსაზრების 92-ე პარაგრაფში აღნიშნა, გამოთქმა „მცდარი ან შეცდომაში შემყვანი მითითება ... პროდუქტის აღწერილობაზე, პრეზენტაციაზე ან ეტიკეტზე“ შეადგენს სხვადასხვა საშუალებების ჩამონათვალს, რომელზედაც შეიძლება აღმოჩნდეს მცდარი ან შეცდომაში შემყვანი მითითება. ეს არ იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ ეს აღნიშვნა უნდა იქნეს შესწავლილი ნებისმიერ სხვა ინფორმაციასთან ერთად, რომელიც შეიძლება შეტანილი იყოს შესაბამისი პროდუქტის აღწერილობაში, პრეზენტაციაზე ან ეტიკეტზე.

65. შემდეგ, როგორც გენერალურმა მრჩეველმა თავისი მოსაზრების 96-ე პარაგრაფში აღნიშნა, №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლი შეიცავს აკრძალული ქვეყნის ჩამონათვალს, რომელშიც მე-16 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი უნდა გამოირჩეოდეს „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისგან, მათგან მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი შემოიფარგლება დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენებით, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტი მცდარი გამოყენებით, იმიტაციით ან მიბადვით. თუმცა, „გ“ ქვეპუნქტი აფართოებს დაცვის ფარგლებს და მოიცავს „ნებისმიერ სხვა ... აღნიშვნას“ (სხვა სიტყვებით, მომხმარებლებისთვის მიწოდებული ინფორმაცია, რომელიც შედის შესაბამისი პროდუქტის აღწერილობაში, პრეზენტაციაზე ან ეტიკეტზე), რომელიც რეალურად არაა დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის იმიტაცია, მაგრამ არის „მცდარი ან შეცდომაში შემყვანი“ პროდუქტსა და ამ აღნიშვნას შორის კავშირთან მიმართებით.

66. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ გამოთქმა „ნებისმიერი სხვა ... აღნიშვნა“, გამოყენებული 110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში, მოიცავს ინფორმაციას, რომელიც ნებისმიერი ფორმით შეიძლება მოიძებნოს შესაბამისი პროდუქტის აღწერაზე, პრეზენტაციაზე ან ეტიკეტირებაზე, inter alia, სიტყვების, გამოსახულების ან კონტეინერის სახით, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ინფორმაცია ამ პროდუქტის წარმოშობის, ბუნების ან არსებითი თვისებების შესახებ.

67. მეორეც, საკმარისია მცდარი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის აღნიშვნა ამ დებულებაში ნახსენები სამი საშუალებიდან ერთ-ერთზე, კერძოდ, შესაბამისი პროდუქტის აღწერილობაზე, პრეზენტაციაზე ან ეტიკეტზე, რათა დადგინდეს, რომ აღნიშნული იწვევს მცდარ შთაბეჭდილებას წარმოშობის წყაროზე.

68. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი უზრუნველყოფს რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნებს ფართო დაცვას. თუკი მცდარი ან შეცდომაში შემყვანი აღნიშვნა მაინც შეიძლება იყოს დაშვებული, რადგან მას ახლავს დამატებითი ინფორმაცია პროდუქტის ნამდვილ წარმოშობასთან დაკავშირებით, ეს დებულება მოკლებული იქნება პრაქტიკულ ეფექტს.

69. და ბოლოს, როგორც უკვე აღინიშნა ამ გადაწყვეტილების 38-ე პარაგრაფში, №110/2008 რეგულაციის და კერძოდ მისი მე-16 მუხლის მიზანია რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა როგორც მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც არ უნდა შევიდნენ შეცდომაში არასწორი აღნიშვნების გამო, და ასევე მწარმოებლების ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც ხარჯებს გასწევენ, რათა უზრუნველყონ გეოგრაფიული აღნიშვნით კანონიერად დაცული პროდუქციის ხარისხი. ამგვარი მწარმოებლები დაცული უნდა იყვნენ არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან.

70. როგორც გენერალურმა მრჩეველმა თავისი მოსაზრების 101-ე პარაგრაფში აღნიშნა, №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის გაგებით ამ მიზნების მიღწევა საფრთხის ქვეშ დადგება, თუ გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა შეიზღუდება იმ ფაქტით, რომ მცდარი ან შეცდომაში შემყვანი მითითების გვერდით, პროდუქტის შესახებ დამატებითი სწორი ინფორმაცია იქნება დატანილი, ვინაიდან ამ ინტერპრეტაციის მიღება ასეთი აღნიშვნების გამოყენება დასაშვები იქნება იმ პირობით, რომ მას თან ახლავს სწორი ინფორმაცია.

71. ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, მესამე კითხვაზე პასუხი ასეთია: №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი უნდა განიმარტოს ისე, რომ ამ დებულებით აკრძალული „მცდარი ან შეცდომაში შემყვანი მითითების“ დადგენის მიზნით, არ არის საჭირო გათვალისწინებულ იქნეს კონტექსტი, რომელშიც გამოიყენება სადავო ელემენტი.

ხარჯები

72. ვინაიდან მხარეებისთვის ეს პროცესი არის ეროვნული სასამართლოს წინაშე გადადგმული ნაბიჯი, ხარჯებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ამ სასამართლოს ეკუთვნის. სასამართლოსთვის შენიშვნების წარდგენისას გაწეული ხარჯები, გარდა ამ მხარეების ხარჯებისა, არ ანაზღაურდება.

ამ საფუძვლებიდან გამომდინარე, სასამართლო (მეხუთე პალატა) ადგენს:

1. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 15 იანვრის რეგულაციის (EC) №110/2008 მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი - ალკოჰოლური სასმელების გეოგრაფიული აღნიშვნების განმარტების, აღწერის, წარდგენის, ეტიკეტირების, დაცვის შესახებ უნდა განიმარტოს იმ მნიშვნელობით, რომ რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის „არაპირდაპირი კომერციული გამოყენების“ დადგენის მიზნით, სადავო ელემენტი უნდა იყოს გამოყენებული იმ ფორმით, რომელიც ან იდენტურია ამ აღნიშვნის ან ფონეტიკურად ან/და ვიზუალურად მისი მსგავსი. შესაბამისად, საკმარისი არ არის, რომ ამ ელემენტმა შესაბამის საზოგადოებაში რაიმე სახის ასოციაცია გამოიწვიოს აღნიშვნასთან ან მასთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ არეალთან.

2. №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი უნდა განიმარტოს იმ გაგებით რომ რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის „მიზამდვის“ დადგენის მიზნით, მიმმართველმა სასამართლომ უნდა დაადგინოს: როდესაც საშუალო ევროპელი მომხმარებელი, რომელიც გონივრულად კარგად არის ინფორმირებული, გონივრულად დაკვირვებული და

ფრთხილია, სადავო აღნიშვნის დანახვისას მის გონებაში გაჩენილი მოგონება არის ის პროდუქტი, რომლის გეოგრაფიული აღნიშვნაც დაცულია. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, მიმმართველმა სასამართლომ, (i) ფონეტიკური და/ან ვიზუალური განსხვავების შემთხვევაში სადავო აღნიშვნასა და დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნას შორის და (ii) სადავო ნიშანში გეოგრაფიული აღნიშვნის ნებისმიერი ნაწილობრივი ჩართვის შემთხვევაში, უნდა გაითვალისწინოს კონცეპტუალური სიახლოვე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გეოგრაფიულ აღნიშვნასა და სადავო ნიშანს შორის.

№110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი უნდა იქნეს განმარტებული იმ გაგებით რომ რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის „იმიტაციის“ დადგენის მიზნით, არ უნდა იქნეს გათვალისწინებული სადავო ელემენტის გარშემო არსებული კონტექსტი. ან ის ფაქტი, რომ ამ ელემენტს თან ახლავს შესაბამისი პროდუქტის ნამდვილი წარმოშობის მითითება.

3. №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი უნდა განიმარტოს ისე, რომ იმის დასადგენად არსებობს თუ არა „მცდარი ან შეცდომაში შემყვანი მითითება“, როგორც ეს აკრძალულია ამ დებულებით, არ არის საჭირო გათვალისწინებული იყოს ის კონტექსტი, რომელშიც გამოყენებულია სადავო ელემენტი.

[ხელმოწერები]

სამართალწარმოების ენა-გერმანული.

20/12/2017, C-393/16, Champagner Sorbet

სასამართლოს გადაწყვეტილება (მეორე პალატა) 2017 წლის 20 დეკემბერი (*)

(მიმართვა წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად - სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრების საერთო ორგანიზაცია - ადგილწარმოშობის დაცული დასახელებების დაცვა (PDOs) - რეგულაცია (EC)

№1234/2007 – მუხლი 1185(2)(ა)(ii), (ბ) და (გ) – რეგულაცია (EU) №1308/2013 – მუხლი 103(2)(ა)(ii), (ბ) და (გ) – ფარგლები – დაცული ადგილწარმოშობის დასახელების (PDO) რეკუტაციის გამოყენება – დაცული ადგილწარმოშობის დასახელების (PDO) ბოროტად გამოყენება ან იმიტაცია – მცდარი ან შეცდომაში შემყვანი მითითება – დაცული ადგილწარმოშობის დასახელება PDO „შამპანური“ გამოყენებული საკვები პროდუქტის სახელწოდებაში – სახელწოდება „Champagner Sorbet“ – შამპანურის შემცველი საკვები როგორც ინგრედიენტი – ინგრედიენტი, რომელიც საკვების არსებითი მახასიათებელია)

საქმეში C-393/16,

მოთხოვნა წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად TFEU-ს 267-ე მუხლის საფუძველზე Bundesgerichtshof-ისგან (ფედერალური უმაღლესი სასამართლო, გერმანია), 2016 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე გაკეთებული, რომელიც სასამართლომ განსახილველად მიიღო 2016 წლის 14 ივლისს.

შამპანის ღვინის ინტერპროფესიული კომიტეტი (Comité Interprofessionnel du Vin de Champagne)

v

Aldi Süd Dienstleistungs-GmbH & Co. OHG (ალდი სიუდ დინშტლაიშტუნგს-გმბჰ & კო. ოჰგ), წარმოდგენილი Aldi Süd Dienstleistungs-GmbH (ალდი სიუდ დინშტლაიშტუნგს-გმბჰ), ყოფილი Aldi Einkauf GmbH & Co. OHG Süd (ალდი აინკაუფ გმბჰ სიუდ),

პროცესის მხარეები:

Galana NV (გალანა ნვ),

სასამართლო (მეორე პალატა), დაკომპლექტებული მ. ილემშიჩ, პალატის პრეზიდენტი, ა. როსარი, ს. ტოადერ, ა. პრეჩალ და ე. იარაშიუნას (მომხსენებელი), მოსამართლეები,

სასამართლოს გენერალური მრჩეველი: მ. კამპოს სანჩეზ-ბროდონა

რეგისტრატორი: კ. მალაცეკ, ადმინისტრატორი,

წერილობითი პროცედურის გათვალისწინებით და 2017 წლის 18 მაისის მოსმენის,

წარმოდგენილი მოსაზრების შემდეგ:

- შამპანის ღვინის ინტერპროფესიული კომიტეტი (Comité Interprofessionnel du Vin de Champagne), ავტორი ს. ონკენი, ადვოკატი,
- Galana NV (გალანა ნვ), ავტორი ჰ. ჰარტვიგ და ა. ფონ მიუჰლენდალ, ადვოკატები,

- საფრანგეთის მთავრობა, დ. კოლასის, ს. ჰორენბერგერისა და ე. დე მუსტიეს მიერ, რომლებიც მოქმედებენ, როგორც წარმომადგენლები,
- პორტუგალიის მთავრობა, ლ. ინუზ ფერნანდესი, მ. ფიგუეირედოს და ა. გამეიროს მიერ, რომლებიც მოქმედებენ, როგორც წარმომადგენლები,
- ევროკომისია, ბ. ეგერსი, ი. გალინდო მარტინი და ი. ნაგლისი, რომლებიც მოქმედებენ, როგორც წარმომადგენლები,
- 2017 წლის 20 ივლისის სხდომაზე გენერალური მრჩევლის აზრის მოსმენის შემდეგ იღებს შემდეგ

გადაწყვეტილებას;

1 წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის ეს მოთხოვნა ეხება 2007 წლის 22 ოქტომბრის საბჭოს რეგულაციის (EC) №1234/2007 1185(2)(ა)(ii), (ბ) და (გ) მუხლების ინტერპრეტაციას სოფლის მეურნეობის ბაზრის საერთო ორგანიზაციის შექმნის და კონკრეტულ დებულებებზე გარკვეული სოფლის მეურნეობის პროდუქტებისთვის (ცალკეული CMO რეგულაცია) (OJ 2007 L 299, გვ. 1), შესწორებული საბჭოს 2009 წლის 25 მაისის რეგულაციით (EC) №491/2009 (OJ 2009 L 154, გვ. 1). („რეგულაცია №1234/2007“), და 103(2)(ა)(ii), (ბ) და (გ) რეგულაცია (EU) №1308/2013 ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 17 დეკემბერი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზრების საერთო ორგანიზაციის შექმნის შესახებ და საბჭოს რეგულაციების (EEC) №922/72, (EEC) №234/79, (EC) №1037/2001 და (EC) №1234/2007 (OJ) გაუქმების შესახებ. 2013 L 347, გვ. 671).

2 მოთხოვნა განხორციელდა სასამართლოში Comité Interprofessionnel du Vin de Champagne („CIVC“) და Aldi Süd Dienstleistungs-GmbH & Co. OHG, ყოფილი Aldi Einkauf GmbH & Co. OHG Süd („Aldi“) შორის სამართალწარმოებისას, რომელიც შეეხება დაცული ადგილწარმოშობის დასახელების (PDO) „შამპანურის“ გამოყენებას გაყინული პროდუქტის სახელწოდებაში, რომელსაც Aldi აწარმოებს.

სამართლებრივი კონტექსტი

რეგულაციები №1234/2007 და №1308/2013

3 წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნაში, მიმმართველი სასამართლო მიუთითებს ორივე რეგულაციაზე №1234/2007, რომელიც მოქმედებდა იმ დროისთვის, და რეგულაციაზე №1308/2013, რომელმაც შეცვალა იგი და ძალაში შევიდა 2014 წლის 1 იანვრიდან, აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელი რეგულაციის ინტერპრეტაცია აუცილებელია, რადგან სასამართლო განხილვის შესახებ განცხადება, რომელიც კრძალავს PDO „შამპანურის“ გამოყენებას, სამართალწარმოებაში განიხილება მომავალში. ასე რომ, საჭირო იქნება ამ განაცხადზე გადაწყვეტილების მიღება მისი მიღების დროს მოქმედი დებულებების გათვალისწინებით.

4 №1234/2007 რეგულაციის 118-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, სათაურით „განმარტებები“, მის 1-ელ პუნქტში განსაზღვრავს:

„ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის გამოიყენება შემდეგი განმარტებები:

(ა) „ადგილწარმოშობის აღნიშვნა“ ნიშნავს რეგიონის, კონკრეტული ადგილის ან გამონაკლის შემთხვევებში, ქვეყნის სახელს, რომელიც გამოიყენება 118ა მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული პროდუქტის აღსაწერად, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

(i) მისი ხარისხი და მახასიათებლები არსებითად ან ექსკლუზიურად განპირობებულია კონკრეტული გეოგრაფიული გარემოთი მისი თანდაყოლილი ბუნებრივი თუ ადამიანური ფაქტორებით;

(ii) ყურძენი, საიდანაც იგი მზადდება, მოდის ექსკლუზიურად ამ გეოგრაფიული არეალში;

(iii) მისი წარმოება ხდება ამ გეოგრაფიულ არეალში; და

(iv) მიიღება *Vitis vinifera*-ს კუთვნილი ვაზის ჯიშებიდან;

...“

5. ამ დებულების 118(ლ)(1) მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად

„სახელები, რომლებიც გახდა გვარეობითი, არ უნდა იყოს დაცული როგორც ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა.

...“

6 №1234/2007 რეგულაციის 118ნ მუხლი, სახელწოდებით „დაცვა“, ადგენს:

„1. დაცული ადგილწარმოშობის დასახელებები და დაცული გეოგრაფიული აღნიშვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი მწარმოებლის მიერ, რომელიც აწარმოებს პროდუქტის შესაბამისი სპეციფიკაციის შესაბამისად დამზადებულ ღვინოს.

2. დაცული ადგილწარმოშობის დასახელებები, დაცული გეოგრაფიული აღნიშვნები და ღვინოები, რომლებიც იყენებენ დაცულ სახელებს პროდუქტის სპეციფიკაციის შესაბამისად, დაცული უნდა იყოს:

(ა) დაცული სახელწოდების ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი კომერციული გამოყენება;

(i) ისეთ ერთნაირი ტიპის საქონელთან დაკავშირებით, რომლებიც არ შეესაბამება დაცული დასახელების პროდუქტის სპეციფიკაციას; ან

(ii) იმდენად, რამდენადაც ასეთი გამოყენების დროს ხდება ადგილწარმოშობის დასახელებებისა ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეპუტაციის გამოყენება;

(ბ) ნებისმიერი მცდარი გამოყენება, იმიტაცია ან მიბაძვა მაშინაც კი, თუ მითითებულია პროდუქტის ან მომსახურების ნამდვილი წარმომავლობა, ან თუ დაცული სახელწოდება ნათარგმნია ან ახლავს ისეთი სიტყვები როგორცაა „სტილი“, „ტიპი“, „მეთოდი“, „წარმოებულია როგორც“, „იმიტაცია“, „როგორც“ ან სხვა მსგავსი;

(გ) ნებისმიერი სხვა მცდარი ან შეცდომაში შემყვანი მითითება პროდუქტის წარმოშობის, ხარისხის, ბუნების ან სხვა არსებითი თვისებების შესახებ, შიდა ან გარე შეფუთვაზე, სარეკლამო მასალაზე ან დოკუმენტებზე, რომლებიც ეხება პროდუქტს ან პროდუქტის

შეფუთვას, და რომელსაც შეუძლია შექმნას არასწორი წარმოდგენა მისი წარმოშობის შესახებ;

(დ) ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი პროდუქტის ნამდვილი წარმომავლობის შესახებ.

3. დაცული ადგილწარმოშობის დასახელებები და დაცული გეოგრაფიული აღნიშვნები 118ლ(1) მუხლის მნიშვნელობით კავშირში არ გახდება გვარეობითი.

4. კავშირის წევრი სახელმწიფოები იღებენ აუცილებელ ზომებს დაცული ადგილწარმოშობის დასახელებების და დაცული გეოგრაფიული აღნიშვნების უკანონო გამოყენების შესაჩერებლად, როგორც ეს მითითებულია მე-2 პუნქტში.“

7. №1308/2013 რეგულაციის პრეამბულის 92-ე და 97-ე პარაგრაფები არსებითად ასახავს ღვინის ბაზრის საერთო ორგანიზების შესახებ 2008 წლის 29 აპრილის საბჭოს რეგულაციის (EC) №479/2008 27-ე და 32-ე პუნქტების შინაარსს, რომელიც ცვლის რეგულაციებს (EC) №1493/1999, (EC) №1782/2003, (EC) №1290/2005, (EC) №3/2008 და (EEC) №2392/86 და (EC) №1493/1999 რეგულაციების გაუქმების შესახებ (OJ 2008 L 148, გვ. 1). №479/2008 რეგულაციის დებულებები დაცული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და დაცული გეოგრაფიული აღნიშვნების („PGIs“) დაცვის შესახებ ჩართული იყო №1234/2007 რეგულაციაში №491/2009 რეგულაციებით. ამ წინადადებებში მითითებულია:

(92) ევროპის კავშირში ხარისხიანი ღვინოების კონცეფცია ეფუძნება, *inter alia*, სპეციფიკურ მახასიათებლებს, რომლებიც მიეკუთვნება ღვინის გეოგრაფიულ წარმოშობას. ასეთი ღვინოები მომხმარებლისთვის იდენტიფიცირებულია [PDOs] და [PGIs] მეშვეობით. იმისათვის რომ გამჭვირვალე და უფრო დახვეწილი ჩარჩო შეიქმნას, რომელიც ემყარება პრეტენზიას, რომ პროდუქტი იყოს ხარისხიანი, უნდა ჩამოყალიბდეს სისტემა, სადაც განაცხადები ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ განიხილება კავშირის მიდგომის შესაბამისად, ასევე ხარისხის ჰორიზონტალური პოლიტიკის მიხედვით, რომელიც გამოიყენება, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების გარდა, სხვა საკვებ პროდუქტებზე და მოცემულია ევროპარლამენტისა და საბჭოს [2012 წლის 21 ნოემბრის სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვები პროდუქტების ხარისხის სქემების შესახებ (OJ 2012 L 343, გვ. 1)] (EU) №1151/2012 რეგლამენტში

...

(97) რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები დაცული უნდა იყოს მისი რეპუტაციის გამოყენებისგან. იმისათვის რომ ხელი შეეწყოს სამართლიან კონკურენციას და მომხმარებლები შეცდომაში არ შევიდნენ, ასეთივე დაცვა ასევე უნდა გავრცელდეს პროდუქტებსა და სერვისებზე, რომლებიც არ არის მითითებული ამ რეგულაციაში, მათ შორის, ხელშეკრულებების I დანართში“

8. №1308/2013 რეგულაციის 101(1)-ე და 103-ე მუხლები ფორმულირებულია 1234/2007 რეგულაციის 118ლ(1) და 118ნ მუხლების მსგავსად.

ევროკავშირის სამართლის სხვა დებულებები

9. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 20 მარტის, წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ დირექტივა №2000/13/EC, რომელიც ეხება სურსათის ეტიკეტირებას, პრეზენტაციასა და რეკლამას (OJ 2000 L 109, გვ. 29) მისი მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულია შემდეგი:

„მე-4-დან მე-17 მუხლების შესაბამისად და მასში შეტანილი გამონაკლისების გათვალისწინებით, მხოლოდ შემდეგი დეტალების მითითებაა სავალდებულო საკვების ეტიკეტზე:

(1) სახელწოდება, რომლითაც იყიდება პროდუქტი;

(2) ინგრედიენტების სია;

(3) მე-7 მუხლით გათვალისწინებული გარკვეული ინგრედიენტების ან ინგრედიენტების კატეგორიის რაოდენობა; ...¹

10. დირექტივის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით.

„დასახელება, რომლითაც იყიდება საკვები, უნდა იყოს მასზე მოქმედი კავშირის დებულებებით გათვალისწინებული დასახელება.

(ა) კავშირის დებულებების არარსებობის შემთხვევაში, დასახელება, რომლითაც იყიდება პროდუქტი, გათვალისწინებული არის კანონებით, რეგულაციებით და ადმინისტრაციული დებულებებით, რომლებიც გამოიყენება იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც პროდუქტი იყიდება საბოლოო მომხმარებელზე ან მასობრივი კვებისათვის.

თუ ეს არ მოხდა, პროდუქტის დასახელება იქნება ჩვეულებრივი სახელწოდება წევრ სახელმწიფოში, სადაც იგი გაიყიდება საბოლოო მომხმარებელზე ან მასობრივი კვებისათვის, ან სურსათის აღწერა, რომელიც საკმარისად ნათელი უნდა იყოს იმისთვის, რომ მყიდველმა იცოდეს მისი ნამდვილი ბუნება და განასხვავოს იგი სხვა პროდუქტებისგან.

...“

11. 2001/13 დირექტივის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

„ინგრედიენტების სიაში უნდა შედიოდეს საკვები პროდუქტის ყველა ინგრედიენტი, წონის კლებადობის მიხედვით, როგორც ეს დაფიქსირებულია საკვების წარმოებაში და მას წინ უნდა უძღოდეს შესაბამისი სათაური, რომელიც შეიცავს სიტყვას „ინგრედიენტები“.

...“

12. დირექტივის მე-7 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტები ადგენს შემდეგს:

...

1. საკვების წარმოებაში ან მომზადებაში გამოყენებული ინგრედიენტების ან ინგრედიენტების კატეგორიის რაოდენობა უნდა იყოს მითითებული ამ მუხლის შესაბამისად.

...

5. 1-ელ პუნქტში გაკეთებული აღნიშვნა ასახული უნდა იყოს სახელში ან უშუალოდ იმ სახელის გვერდით, რომლითაც იყიდება საკვები, ან ინგრედიენტების ჩამონათვალში მოცემულ ინგრედიენტთან ან ინგრედიენტების კატეგორიასთან დაკავშირებით.

13. 2014 წლის 13 დეკემბრიდან 2000/13 დირექტივა გაუქმდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის მომხმარებლისთვის საკვების შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესახებ (EU) №1169/2011 რეგულაციით, რომელიც ცვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციებს (EC) №1924/2006, (EC) №1925/2006 და აუქმებს კომისიის დირექტივას 87/250/EEC, საბჭოს დირექტივას 90/496/EEC, კომისიის დირექტივას 1999/10/EC, დირექტივას 2000/ 13, კომისიის დირექტივებს 2002/67/EC და 2008/5/EC და კომისიის რეგულაციას (EC) №608/2004 (OJ 2011 L 304, გვ. 18). №1169/2011 რეგულაციის მე-9 მუხლი, სათაურით „სავალდებულო დეტალების სია“, ადგენს შემდეგს:

„1. მე-10-35-ე მუხლების შესაბამისად და ამ თავში მოცემული გამონაკლისების გათვალისწინებით, შემდეგი დეტალების მითითება სავალდებულოა:

ა) საკვების დასახელება;

(ბ) ინგრედიენტების სია;

...“

14 №1169/2011 რეგულაციის მე-17 მუხლი, სახელწოდებით „საკვების დასახელება“, ადგენს შემდეგს:

1. საკვების დასახელება უნდა იყოს მისი კანონიერი დასახელება. ასეთი სახელწოდების არარსებობის შემთხვევაში, საკვების სახელწოდება უნდა იყოს მისი ჩვეული სახელწოდება, ან თუ არ არსებობს ჩვეული სახელწოდება მითითებული უნდა იყოს საკვების აღწერილობითი დასახელება.

15 ამ დებულების მე-18 მუხლი, სახელწოდებით „ინგრედიენტების სია“, შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

1. ინგრედიენტების სიას სათავეში ან წინ უძღვის შესაბამისი სათაური, რომელიც შედგება ან შეიცავს სიტყვას „ინგრედიენტები“. იგი უნდა შეიცავდეს საკვების ყველა ინგრედიენტს, წონის კლებადობით, როგორც ეს დაფიქსირებულია საკვების წარმოებაში მათი გამოყენების დროს.

2. ინგრედიენტები უნდა იყოს მითითებული მათი კონკრეტული სახელწოდებით, სადაც ეს შესაძლებელია, მე-17 მუხლით და VI დანართით დადგენილი წესების შესაბამისად.

...“

1. საკვების წარმოებაში ან მომზადებაში გამოყენებული ინგრედიენტების რაოდენობის ან ინგრედიენტების კატეგორიის მითითება საჭირო იქნება თუ ინგრედიენტი ან ინგრედიენტების კატეგორია:

(ა) ჩნდება საკვების სახელში ან მომხმარებლის მიერ ჩვეულებრივ ასოცირდება ამ სახელთან;

(ბ) ხაზგასმულია ეტიკეტზე სიტყვებით, სურათებით ან გრაფიკით; ან

(გ) აუცილებელია საკვების დახასიათებისათვის ან პროდუქტებისგან განსასხვავებლად, რომლებთანაც შეიძლება იყოს აღრეული მისი სახელის ან გარეგნული მოცემულობის გამო.

...“

17 ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 15 იანვრის რეგულაცია (EC) №110/2008 ალკოჰოლური სასმელების განსაზღვრის, აღწერის, წარმოდგენის, ეტიკეტირებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ და საბჭოს რეგულაციის (EEC) №1576/89 გაუქმების შესახებ (OJ 2008 L 39, გვ. 16) მე-10 მუხლში, სათაურით „სარეალიზაციო დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების სპეციფიკური წესები“ ადგენს შემდეგს:

„1. II დანართის 1-დან 46-მდე კატეგორიებში ჩამოთვლილი ტერმინის გამოყენება, ან III დანართში რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის რთული(კომპლექსური) ტერმინი ან რომელიმე მათგანზე საკვების წარმოდგენის მინიშნება აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ალკოჰოლი წარმოიქმნება ექსკლუზიურად აღნიშნული ალკოჰოლური სასმელ(ებ)იდან.

...“

18 ამ რეგულაციის მე-16(ა) მუხლი იცავს მის III დანართში რეგისტრირებულ გეოგრაფიულ აღნიშვნებს №1234/2007 რეგულაციის 118 (2)(ა) მუხლისა და №1308/2013 რეგულაციის 103(2)(ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული ტერმინების შესაბამისად.

19 ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EU) №1151/2012 2012 წლის 21 ნოემბერი სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვები პროდუქტების ხარისხის სქემების შესახებ (OJ 2012 L 343, გვ. 1) მის 32-ე პუნქტში ადგენს:

„ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა უნდა გავრცელდეს რეგისტრირებული სახელების მცდარ გამოყენებაზე, იმიტაციაზე და მიბადვაზე, როგორც საქონელზე ისე მომსახურებაზე რათა უზრუნველყოფილი იყოს დაცვის მაღალი ხარისხი და ეს დაცვა შეესაბამებოდეს ღვინის სექტორს. როდესაც ადგილწარმოშობის დასახელებები ან გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენება როგორც ინგრედიენტები, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კომისიის კომუნიკაცია სათაურით: „სასურსათო პროდუქტების ეტიკეტირების გზამკვლევი დაცული ადგილწარმოშობის დასახელებების (PDOs) ან დაცული გეოგრაფიული აღნიშვნების (PGI) ინგრედიენტების სახით“.

20. №1151/2012 რეგულაციის მე-13 მუხლი, სახელწოდებით „დაცვა“, ადგენს შემდეგს: „1. რეგისტრირებული სახელები დაცული უნდა იყოს:

(ა) რეგისტრირებული დასახელების ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი კომერციული გამოყენებისგან ისეთ ერთნაირი ტიპის საქონელთან დაკავშირებით, რომელზედაც არ ვრცელდება რეგისტრაცია, ან ამგვარი გამოყენებით ხდება რეგისტრირებული ან დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეპუტაციით სარგებლობა მაშინაც კი, როცა ეს საქონელი გამოიყენება ინგრედიენტის სახით;

21. საკვები პროდუქტების ეტიკეტირების შესახებ სახელმძღვანელოში, სადაც გამოიყენება ადგილწარმოშობის დაცული დასახელებები (PDOs) ან დაცული გეოგრაფიული აღნიშვნები (PGIs) როგორც ინგრედიენტები (OJ 2010 C 341, გვ. 3) („სახელმძღვანელო“) მითითებულია:

2.1 რეკომენდაციები რეგისტრირებული სახელების გამოყენების შესახებ

1. კომისიის მიხედვით, დაცულ ადგილწარმოშობის დასახელებად ან გეოგრაფიული აღნიშვნად რეგისტრირებული დასახელება შეიძლება ლეგიტიმურად იყოს შეტანილი საკვები პროდუქტის ინგრედიენტების სიაში

2. კომისია ასევე მიიჩნევს, რომ დაცულ ადგილწარმოშობის დასახელებად ან გეოგრაფიული აღნიშვნად რეგისტრირებული დასახელება შეიძლება იყოს მითითებული იმ სურსათის სასაქონლო ნიშანში ან მის გვერდით, რომელიც იღებს სარგებელს რეგისტრირებული სახელისგან, აგრეთვე ამ საკვებ პროდუქტთან დაკავშირებულ ეტიკეტირებაში, პრეზენტაციასა და რეკლამაში იმ დათქმით, რომ დაკმაყოფილებულია

- მოცემული საკვები არ უნდა შეიცავდეს სხვა „მსგავსი ტიპის ინგრედიენტს“, ანუ ნებისმიერ სხვა ინგრედიენტს, რომელმაც შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად ჩაანაცვლოს ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული ინგრედიენტი. როგორც „მსგავსი ტიპის ინგრედიენტის“ კონცეფციის არაშემზღვედავი მაგალითი, კომისია მიიჩნევს, რომ ცისფერ-ხაზებიანი ყველი (საყოველთაოდ ცნობილი როგორც „ლურჯი ყველი“) შეიძლება ჩაითვალოს „როკფორის“ (Roquefort) ყველის მსგავსი ტიპის ინგრედიენტად.

- ეს ინგრედიენტი ასევე უნდა იქნეს გამოყენებული იმ რაოდენობით, რომ მნიშვნელოვანი მახასიათებელი შესძინოს შესაბამის საკვებს. თუმცა, შესაძლო სცენარების ფართო სპექტრის გათვალისწინებით, კომისიას არ შეუძლია შესთავაზოს საამისოდ სტანდარტად მიჩნეული მინიმალური პროცენტი თუ რა შეიძლება იყოს, მაგალითად, ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული სასარგებლო ინგრედიენტი მინიმალური რაოდენობა, რაც შეიძლება შეტანილ იქნეს საკვებ პროდუქტში, და რაც, საჭიროების შემთხვევაში, საკმარისი იქნება ამ საკვებისთვის არსებითი მახასიათებლის მისანიჭებლად. ამის საპირისპიროდ, სასურსათო პროდუქტში ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის სარგებლობის მქონე ხორცის მინიმალური რაოდენობის მითითება აპრიორი არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ საკვები პროდუქტის არსებით მახასიათებლად ჩაითვალოს.

- და ბოლოს, ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული ინგრედიენტის შერწყმის პროცენტი იდეალურად უნდა იყოს მითითებული შესაბამისი საკვები პროდუქტის სასაქონლო ნიშანში ან მის გვერდით, ან ინგრედიენტების სიაში.

სამართალწარმოება და წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად გადაცემული კითხვები

22. 2012 წლის ბოლოს, კომპანია Aldi-მ, რომელიც, inter alia, საკვები პროდუქტების დისტრიბუციას ახორციელებს, დაიწყო გაყინული პროდუქტის გაყიდვა, რომელიც წარმოებულია Galana NV-ის მიერ და იგი მონაწილეობდა Aldi-ს მხარდასაჭერად სამართალწარმოებაში მესამე მხარედ. ეს პროდუქტი გავრცელდა სახელწოდებით "Champagner Sorbet" და სხვა ინგრედიენტებთან ერთად შეიცავდა 12% შამპანურს.

23 იმის გათვალისწინებით, რომ ამ პროდუქტის მითითებული სახელწოდებით გავრცელება წარმოადგენდა PDO „შამპანურის“ (Champagne) დარღვევას, CIVC-მა, შამპანურის მწარმოებელთა ასოციაციამ, სარჩელი შეიტანა Landgericht München I-ში (რეგიონული

სასამართლო, მიუნხენი I, გერმანია) №1234/2007 რეგულაციის 118m მუხლისა და №1308/2013 რეგულაციის 103-ე მუხლის საფუძველზე, რითაც მოითხოვა ამ სახელის გაყინული საქონლისათვის გამოყენების აკრძალვა. სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც დააკმაყოფილა მოთხოვნა, გაუქმდა სააპელაციო წესით Oberlandesgericht München-ის (უმაღლესი რეგიონული სასამართლო, მიუნხენი, გერმანია) მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.

24. სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ №1308/2013 რეგულაციის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სარჩელის აღძვრის პირობები არ იყო დაკმაყოფილებული, ვინაიდან წინამდებარე საქმეში არ იყო დაკმაყოფილებული პირობა, რომელიც მოითხოვდა PDO-ს არაკეთილსინდისიერ გამოყენებას, Aldi-ს ჰქონდა ლეგიტიმური ინტერესი გამოეყენებინა სახელწოდება „Champagner Sorbet“ საზოგადოებისთვის ამ სახელწოდებით ცნობილი საკვები პროდუქტის მიმართ და რომელშიც შამპანური აუცილებელი ინგრედიენტი იყო და არ წარმოადგენდა შეცდომაში შემყვან მითითებას.

25. CIVC-მ შემდეგ საჩივარი შეიტანა Bundesgerichtshof-ში (ფედერალური უმაღლესი სასამართლო, გერმანია), რომელიც, პირველ რიგში, აცხადებს, რომ იგი იხრება იმ მოსაზრებისაკენ, რომ Aldi-ს მიერ სახელის „Champagner Sorbet“ გამოყენება თავსებადია №1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ა)(ii) და №1308/2013 რეგულაციის 103(2)(ა)(ii) მუხლების მოქმედების ფარგლებთან, რადგან Aldi იყენებს ამ სახელს გაყინული დესერტისთვის და მამასადამე ისეთი პროდუქტისთვის, რომელიც არ შეესაბამება PDO-ს "შამპანური" მიერ დაცული ღვინოების პროდუქტის სპეციფიკაციებს და იყენებს ამ PDO-ს კომერციული მიზნებისთვის.

26. მეორე რიგში, მიმმართველი სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელწოდება „Champagner Sorbet“ სავარაუდოდ კიდევ უფრო გაავრცელებს PDO „შამპანურის“ რეპუტაციას Aldi-ს მიერ გავრცელებულ პროდუქტზე. მიუხედავად ამისა, გაურკვეველია PDO-ს გამოყენება გულისხმობს თუ არა PDO-ის რეპუტაციის ექსპლუატაციას, ზემოთ მოყვანილი დებულებების მნიშვნელობით, სადაც სურსათის დასახელება შეესაბამება იმ სახელს, რომლითაც შესაბამისი საზოგადოება ჩვეულებრივ მოიხსენიებს ამ საკვებ პროდუქტს და ინგრედიენტი დამატებულია იმდენი რაოდენობით, რომ პროდუქტს მისცეს მისი ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელი. სააპელაციო სასამართლოს მსგავსად, Bundesgerichtshof თვლის, რომ სადაც არსებობს PDO-ის გამოყენების ლეგიტიმური ინტერესი, არ შეიძლება მოხდეს PDO-ს რეპუტაციის ექსპლუატაცია.

27. მესამე რიგში, რადგან ის თვლის, რომ CIVC-ის მიერ წამოყენებული სარჩელი შეიძლება ეფუძნებოდეს №1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ბ) მუხლს და №1308/2013 რეგულაციის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მიმმართველი (განმცხადებელი) სასამართლო არ არის დარწმუნებული, PDO-ის გამოყენება წარმოადგენს თუ არა მცდარ გამოყენებას, იმიტაციას ან მიზამკვას ამ დებულებების მნიშვნელობით. ამასთან დაკავშირებით იგი მიიჩნევს, რომ ეს დებულებები მოითხოვს დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სადავო გამოყენებას არაკანონიერად და სადავო გამოყენება გამართლებულია ლეგიტიმური ინტერესით, ასეთი გამოყენება სცილდება ამ დებულებებით დადგენილ აკრძალვებს.

28. მეოთხე რიგში, როგორც CIVC-მ განაცხადა, Aldi-ს შეცდომაში შეჰყავდა მომხმარებელი სახელწოდება „Champagner Sorbet“ გამოყენებით №1234/2007 რეგულაციის 1185(2)(გ) მუხლის და №1308/2013 რეგულაციის 103(2)(გ) მუხლის მნიშვნელობით, მიმმართველი სასამართლო ცდილობს გაარკვიოს, მოიცავს თუ არა ამ დებულებების ფარგლები მხოლოდ შეცდომაში შემყვან მინიშნებებს, რომლებმაც შესაძლოა ცრუ შთაბეჭდილება მოახდინონ შესაბამის საზოგადოებაზე პროდუქტის გეოგრაფიული წარმომავლობის შესახებ ან მოიცავს თუ არა ის მცდარ მითითებებს პროდუქტის არსებითი თვისებების შესახებ.

29. ამ გარემოებებში, Bundesgerichtshof-მა (გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ) გადაწყვიტა, შეეჩერებინა სამართალწარმოება და წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად მართლმსაჯულების სასამართლოსთვის მიემართა შემდეგი კითხვებით:

„(1) განიმარტება 1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ა)(ii) მუხლი და 1308/2013 რეგულაციის 103(2)(ა)(ii) მუხლი იმგვარად, რომ დებულება ასევე მოიცავს შემთხვევას, როდესაც დაცული ადგილწარმოშობის დასახელება [PDO] გამოიყენება როგორც საკვები პროდუქტის დასახელების ნაწილი, რომელიც არ შეესაბამება პროდუქტის სპეციფიკაციებს, მაგრამ მას დაემატა ინგრედიენტი, რომელიც შეესაბამება პროდუქტის სპეციფიკაციებს?

(2) თუ პირველ კითხვაზე პასუხი დადებითია:

ნიშნავს №1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ა)(ii) მუხლი და №1308/2013 რეგულაციის 103(2)(ა)(ii) მუხლის ინტერპრეტაცია იმას, რომ დაცული ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენება როგორც საკვები პროდუქტის დასახელების ნაწილი, რომელიც არ შეესაბამება პროდუქტის სპეციფიკაციებს, მაგრამ მას დაემატა ინგრედიენტი, რომელიც შეესაბამება პროდუქტის სპეციფიკაციებს, წარმოადგენს ადგილწარმოშობის დასახელების რეპუტაციის გამოყენებას, სადაც სურსათის დასახელება შეესაბამება სახელს, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება შესაბამისი საზოგადოების მიერ ამ საკვების მოსახსენიებლად და ინგრედიენტი დამატებულია იმ რაოდენობით, რომელიც საკმარისია პროდუქტის ერთ-ერთი არსებითი მახასიათებლის მისაცემად?

(3) ნიშნავს 1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ბ) მუხლი და №1308/2013 რეგულაციის 103(2)(ბ) მუხლის ინტერპრეტაცია იმას, რომ ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენება მე-2 კითხვაში დადგენილ გარემოებებში არის მცდარი გამოყენება, იმიტაცია ან მიბაძვა?

(4) უნდა განიმარტოს 1234/2007 რეგულაციის 1185(2)(გ) მუხლი და 1308/2013 რეგულაციის 103(2)(გ) მუხლი ისე, რომ ისინი გამოიყენება მხოლოდ მცდარ ან შეცდომაში შემყვან აღნიშვნებზე, რომლებიც პასუხისმგებელია შესაბამისი საზოგადოებისთვის პროდუქტის გეოგრაფიული წარმომავლობის შესახებ მცდარი შთაბეჭდილების შექმნაზე?

კითხვების განხილვა

პირველი შეკითხვა

30. პირველი კითხვით, მიმმართველი(განმცხადებელი) სასამართლო ცდილობს განმარტოს, 1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ა)(ii) მუხლი და №1308/2013 რეგულაციის 103(2)(ა)(ii) მუხლი,

რომელთა შინაარსი მსგავსია, თუ რამდენად განიმარტება ისე, რომ ამ დებულებების მოქმედების სფერო მოიცავს სიტუაციას, როდესაც PDO, როგორცაა „შამპანური“, გამოიყენება როგორც დასახელების ნაწილი, რომლითაც იყიდება საკვები პროდუქტი, როგორცაა "Champagner Sorbet" და სადაც ეს საკვები არ შეესაბამება ამ ადგილწარმოშობის დასახელებით დაცული პროდუქტის სპეციფიკაციებს, მაგრამ შეიცავს ინგრედიენტს, რომელიც შეესაბამება ამ სპეციფიკაციებს.

31. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ 1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ა) და 1308/2013 რეგულაციის 103(2)(ა) მუხლებით გათვალისწინებული დაცვის ფარგლები განსაკუთრებით ფართოა. ეს დებულებები მიმართულია ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნების ნებისმიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კომერციულ გამოყენებაზე და იცავს მათ ასეთი გამოყენებისგან, როგორც მსგავსი ტიპის პროდუქტებთან მიმართებით, რომლებიც არ შეესაბამება დაცული დასახელების პროდუქტის სპეციფიკაციებს, ასევე განსხვავებული პროდუქტების მიმართ, რამდენადაც ამ გამოყენებით ხდება ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეპუტაციას ექსპლუატაცია. დაცვის მასშტაბი შეესაბამება მიზანს, რომელიც დადასტურებულია №1308/2013 რეგულაციის 97-ე პუნქტში, დაიცვან ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები ნებისმიერი გამოყენებისგან, რომელიც მიზნად ისახავს ისარგებლოს იმ რეპუტაციით, რომლითაც სარგებლობს სპეციფიკაციების შესაბამისი პროდუქტები.

32. მეორე, ევროკავშირის კანონმდებლობის დებულებები რეგისტრირებული გეოგრაფიული სახელებისა და აღნიშვნების დაცვის შესახებ, რომლებიც დადასტურებულია №1308/2013 რეგულაციის პრეამბულის 92-ე პუნქტით და ევროკავშირის ხარისხის ჰორიზონტალური პოლიტიკის ნაწილია, ისე უნდა განიმარტოს, რომ უზრუნველყოს ამ დებულებების თანმიმდევრულად გამოყენება.

33. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, №1151/2012 რეგულაცია, რომლის პრეამბულის 32-ე პუნქტი ადგენს, რომ რეგულაციის მიზანია დაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და ამ დაცვის შესაბამისობა მეღვინეობის სექტორთან მიმართებაში, ამ რეგულაციის 13(1)(ა) მუხლის თანახმად რეგისტრირებული სახელებისთვის, 1234/2007 რეგულაციის 118m(2)(a) და №1308/2013 რეგულაციის 103(2)(ა) მუხლების მსგავსი დაცვა აქვს და ცალსახად განსაზღვრავს, რომ ეს დაცვა ასევე ვრცელდება ინგრედიენტად გამოყენებულ პროდუქტებზე.

34. მეორე რიგში, 2011 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებაში, Bureau National Interprofessionnel du Cognac (C-4/10 და C-27/10, EU:C:2011:484, პარაგრაფი 55), სასამართლომ დაადგინა 110/2008 რეგულაციის 16(ა) მუხლის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რომლის ფორმულირება და მიზანი მსგავსია 1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ა) და №1308/2013 რეგულაციის 103(2)(ა) მუხლების, რომ გეოგრაფიული აღნიშვნის შემცველი ნიშნის ან ამ აღნიშვნის შესაბამისი ტერმინისა და მისი თარგმანის გამოყენება ალკოჰოლური სასმელების მიმართ, რომლებიც არ აკმაყოფილებენ შესაბამის სპეციფიკაციებს, წარმოადგენს №110/2008 რეგულაციის მე-16(ა) მუხლის მიზნებისთვის, ამ გეოგრაფიული აღნიშვნის პირდაპირ კომერციულ გამოყენებას.

35. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ №1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ა)(ii) მუხლი და 1308/2013 რეგულაციის 103(2)(ა)(ii) მუხლი საჭიროა PDO-ის კომერციულად გამოყენების შემთხვევაში, როგორცაა „შამპანური“, როგორც საკვები პროდუქტის დასახელების „Champagner Sorbet“-ის ნაწილი, რომელიც შეიცავს PDO-ს პროდუქტის სპეციფიკაციების შესაბამის ინგრედიენტს.

36. შესაბამისად, პირველ კითხვაზე პასუხი არის ის, რომ №1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ა)(ii) მუხლი და 1308/2013 რეგულაციის 103(2)(ა)(ii) მუხლი განიმარტება ისე, რომ ამ დებულებების მოქმედების სფერო მოიცავს შემთხვევას, როდესაც ადგილწარმოშობის დასახელება (PDO) „შამპანური“, გამოიყენება იმ სახელწოდების ნაწილად „Champagner Sorbet“, რომლითაც იყიდება საკვები პროდუქტი და სადაც ეს პროდუქტი არ შეესაბამება PDO-ის სპეციფიკაციებს, მაგრამ შეიცავს ინგრედიენტს, რომელიც შეესაბამება ამ სპეციფიკაციებს.

მეორე შეკითხვა

37. მეორე კითხვით, მიმმართველი (განმცხადებელი) სასამართლო ცდილობს გაარკვიოს, 1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ა)(ii) და 1308/2013 რეგულაციის 103(2)(ა)(ii) მუხლები უნდა იქნეს თუ არა განმარტებული, როგორც PDO-ის ისეთი გამოყენება, რომ დასახელების ნაწილი, რომლითაც იყიდება PDO-ის პროდუქტის სპეციფიკაციების შესაბამის საკვები, მაგრამ შეიცავს ამ სპეციფიკაციების შესაბამის ინგრედიენტებს, მაგალითად „Champagner Sorbet“ წარმოადგენს PDO-ის რეპუტაციის გამოყენებას, იმ დებულებების მნიშვნელობით, სადაც სურსათის დასახელება შეესაბამება იმ სახელს, რომლითაც შესაბამისი საზოგადოება ჩვეულებრივ იცნობს ამ საკვებს და იმ რაოდენობის ინგრედიენტია დამატებული, რომ იგი საკვები პროდუქტის ერთ-ერთ აუცილებელ მახასიათებელს წარმოადგენს.

38. როგორც სასამართლომ აღნიშნა 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების 82-ე პუნქტში, EUIPO v Instituto dos Vinhos do Douro e do Porto (C-56/16 P, EU:C:2017:693), PDO-ების და PGI-ების დაცვასთან დაკავშირებით, რეგულაცია №1234/2007 წარმოადგენს საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს მომხმარებლების დარწმუნებას, რომ ამ რეგულაციის მიხედვით რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის მქონე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, კონკრეტული გეოგრაფიული ზონიდან წარმოშობის გამო, აქვთ გარკვეული სპეციფიკური მახასიათებლები და შესაბამისად მომხმარებლებს სთავაზობენ ხარისხის გარანტიას მათი გეოგრაფიული წარმომავლობის გამო, რაც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის მწარმოებლების უზრუნველყოფას უფრო მაღალი შემოსავლით, ხარისხის გაუმჯობესების სანაცვლოდ და მესამე პირის მიერ ამ აღნიშვნების არასათანადო გამოყენებისაგან თავიდან აცილებას, რომლებიც ცდილობენ ისარგებლონ მათი რეპუტაციით.

39. გარდა ამისა, №110/2008 რეგულაციის მე-16 მუხლის (ა)-(დ) ქვეპუნქტებთან დაკავშირებით, სასამართლომ განაცხადა, 2011 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილების 46-ე პარაგრაფში, Bureau National Interprofessionnel du Cognac (C-4/10). და C-27/10, EU:C:2011:484), რომ ეს დებულება ეხება სხვადასხვა შემთხვევებს, როდესაც პროდუქტის მარკეტინგს თანახლავს გეოგრაფიული აღნიშვნის აშკარა ან ფარული მითითება ისე, რომ შეიძლება

საზოგადოება შეცდომაში შევიდეს პროდუქტის წარმოშობის შესახებ ან, სულ მცირე, საზოგადოების გონებაში წარმოიქმნას იდეების (მოსაზრებების) ასოცირება მის წარმომავლობასთან დაკავშირებით, ან საშუალება მისცეს მოვაჭრეს, დაუმსახურებლად მიიღონ ხელსაყრელი პირობები შესაბამისი გეოგრაფიული აღნიშვნის რეპუტაციით.

40. აქედან გამომდინარეობს, რომ PDO-ის რეპუტაციის გამოყენება №1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ა)(ii) და 1308/2013 რეგულაციის 103(2)(ა)(ii) მუხლების მნიშვნელობით, გულისხმობს PDO-ის ისეთ გამოყენებას, რომლითაც ხდება დაუმსახურებლად ხელსაყრელი პირობების მიღება რეპუტაციის გამოყენების გზით.

41. მოცემულ საქმეში, როგორც განმცხადებელი სასამართლოს მიერ არის აღნიშნული, სახელწოდების „Champagner Sorbet“-ის გამოყენება შამპანურის შემცველი სორბეტის აღსანიშნავად, სავარაუდოდ, გაავრცელებს ამ პროდუქტზე PDO „შამპანურის“ რეპუტაციას, რომელსაც აქვს პრესტიჟული იმიჯი და შესაბამისად დაუმსახურებლად ისარგებლებს ამ რეპუტაციით. იმისათვის, რომ განისაზღვროს, 1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ა)(ii) და №1308/2013 რეგულაციის 103(2)(ა)(ii) მუხლებით დაცვას აფერხებს თუ არა ეს გამოყენება, აუცილებელია შემოწმდეს, არის თუ არა ასეთი გამოყენება PDO-ის რეპუტაციით უსამართლო სარგებლობა.

42. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ 2000/13 დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი და მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ძალაში იყო სათანადო დროს და როგორც განმცხადებელმა სასამართლომ აღნიშნა, №1169/2011 რეგულაციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-17 მუხლის პირველი პუნქტი არავითარ შემთხვევაში არ მოითხოვს PDO-ის შეტანას იმ საკვების დასახელებაში, რომელიც არ შეესაბამება ამ PDO-ს პროდუქტის სპეციფიკაციებს, მაგრამ შეიცავს ამ სპეციფიკაციების შესაბამის ინგრედიენტს, როდესაც ასეთი სახელწოდების გამოყენება ეწინააღმდეგება 1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ა)(ii) მუხლის და №1308/2013 რეგულაციის 103(2)(ა)(ii) მუხლების დაცვას.

43. უფრო მეტიც, 2000/13 დირექტივაში და 1169/2011 რეგულაციაში მოცემული საკვები პროდუქტების სახელწოდებების მარეგულირებელი დებულებების მკაცრი დაცვა, აგრეთვე ინგრედიენტებთან დაკავშირებული დებულებები, კერძოდ, მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი და 2000/13 დირექტივის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, №1169/2011 რეგლამენტის მე-18 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებები არ გამოორიგხავს PDO-ის რეპუტაციის არასამართლიანი გამოყენების შესაძლებლობას.

44. შემდეგი, როგორც განმცხადებელმა სასამართლომ შენიშნა, №110/2008 რეგულაციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება შედგენილ ტერმინში აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ალკოჰოლი წარმოიქმნება ექსკლუზიურად აღნიშნული სპირტიანი სასმელისგან.

45. და ბოლოს, სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც, №1151/2012 რეგულაციის 32-ე პუნქტის შესაბამისად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული PDO-ის ან PGI-ის სახით დაცული პროდუქტების ინგრედიენტებად გამოყენებისას, 2.1.2 ნაწილში წერია, რომ

დასახელება, რომელიც რეგისტრირებულია როგორც PDO, შეიძლება ნახსენები იყოს შესაბამისი საქონლის სასაქონლო ნიშანში, რომელიც შეიცავს რეგისტრირებული სახელწოდებით მოსარგებლე პროდუქტებს, იმ დათქმით, რომ ამ ნაწილში მითითებული სამი პირობა იქნება დაცული. იმის გათვალისწინებით, როგორც ზემოთ 33-ე პარაგრაფშია აღნიშნული, რომ ეს რეგულაცია ცდილობს უზრუნველყოს დაცვის მაღალი ხარისხი, სახელმძღვანელო პრინციპები შეესაბამება /ნ1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ა)(ii) და №1308/2013 რეგულაციის 103(2)(ა)(ii) მუხლების ინტერპრეტაციის მიზნებისთვის.

46. აქედან გამომდინარეობს, რომ PDO-ის გამოყენება, როგორც დასახელების ნაწილი, რომლითაც იყიდება PDO პროდუქტის სპეციფიკაციების შეუსაბამო საკვები, მაგრამ შეიცავს ინგრედიენტს, რომელიც შეესაბამება ამ სპეციფიკაციებს, თავისთავად არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც არაკეთილსინდისიერი გამოყენება და შესაბამისად, როგორც ისეთი გამოყენება, რომლისგანაც PDO-ები დაცულია ყველა შემთხვევაში №1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ა)(ii) და 103(2)(ა)(ii) მუხლების ძალით. №1308/2013 რეგულაციის შედეგად, ეროვნული სასამართლოების გადასაწყვეტია, თითოეული ცალკეული შემთხვევის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მიზნად ისახავს თუ არა ასეთი გამოყენება PDO-ის რეპუტაციით არასამართლიან სარგებლობას.

47. ამ მიზნით ის ფაქტი, რომ მთავარ საქმეში განსახილველი სახელწოდება შეესაბამება სახელს, რომლითაც შესაბამისი საზოგადოება, ჩვეულებრივ, აღნიშნავს შესაბამის საკვებ პროდუქტს, არ უნდა იყოს მხედველობაში მიღებული.

48. ვინაიდან რეგისტრირებული სახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის მიზანია, inter alia, როგორც ზემოთ 38-ე პუნქტია აღნიშნული, დაარწმუნოს მომხმარებლები, რომ ასეთი აღნიშვნის მქონე პროდუქტებს, გარკვეული გეოგრაფიული ზონიდან მათი წარმოშობის გამო აქვთ სპეციფიკური მახასიათებლები და ეს არის ხარისხის გარანტია, ეს მიზანი არ იქნებოდა მიღწეული, თუ PDO გახდებოდა გვარეობითი სახელი. ამრიგად, №1234/2007 რეგულაციის 1185 მუხლის პირველი პუნქტისა და №1308/2013 რეგულაციის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელები, რომლებიც გახდა გვარეობითი, არ არის დაცული როგორც PDO. უფრო მეტიც, №1234/2007 რეგულაციის 1185(3) და №1308/2013 რეგულაციის 103(3) მუხლები ითვალისწინებს, რომ PDO არ შეიძლება ევროკავშირში გახდეს გვარეობითი. მოსაზრება, რომ სახელს- „შამპანური სორბეტი“ Champaigner Sorbet, შესაბამისი საზოგადოება ჩვეულებრივ იყენებს ამ საკვების აღსანიშნად, შეიძლება რელევანტური იყოს, როდესაც დადგინდება, რომ PDO-ის ნაწილის უსამართლოდ გამოყენება PDO-ის გვარეობით ტერმინად ჩამოყალიბების ტოლფასია და ეწინააღმდეგება ამ რეგულაციებით გარანტირებულ დაცვას.

49 რაც შეეხება იმას, არის თუ არა, შესაბამისი ტესტი, რათა დადგინდეს PDO-ით დაცული დამატებითი ინგრედიენტების რაოდენობა, რათა მოცემულ საკვებში მის ერთ-ერთ არსებით მახასიათებლად ჩამოყალიბდეს, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტესტი შეესაბამება სახელმძღვანელოს 2.1.2 პუნქტში მოცემული სამი პირობიდან ერთ-ერთს იმის დასადგენად, შეიძლება თუ არა PDO-ად მითითებული იყოს რეგისტრირებული დასახელება იმ სურსათის სასაქონლო ნიშნის დასახელებაში, რომელიც შეიცავს ამ PDO-ის სარგებლობის პროდუქტებს. თუმცა, კომისია ცხადყოფს, რომ შესაძლო სცენარების ფართო სპექტრის

გათვალისწინებით, მას არ შეუძლია შესთავაზოს მინიმალური პროცენტის ერთგვაროვანი განსაზღვრება.

50. ამასთან დაკავშირებით, უნდა დავასკვნათ, რომ PDO-ის გამოყენება, როგორც სასაქონლო ნიშნის ნაწილი, რომლითაც იყიდება PDO პროდუქტის სპეციფიკაციებთან შეუსაბამო საკვები, მაგრამ შეიცავს ინგრედიენტს, რომელიც შეესაბამება ამ სპეციფიკაციებს, მიზნად ისახავს ისარგებლოს PDO-ის რეპუტაციით, თუ ეს ინგრედიენტი არ წარმოადგენს ამ საკვების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს.

51. რაც შეეხება იმას, არის თუ არა განსახილველი ინგრედიენტი შესაბამისი საკვებისათვის მისი ერთ-ერთ არსებით მახასიათებელი, ამ ინგრედიენტის რაოდენობა სურსათის მთლიან შემადგენლობაში არის მნიშვნელოვანი, მაგრამ თავისთავად არასაკმარისი ფაქტორი. ეს ასეა თუ არა, დამოკიდებულია კონკრეტულ პროდუქტებზე და მოითხოვს ხარისხობრივ შეფასებას. ამასთან დაკავშირებით, როგორც გენერალურმა მრჩეველმა თავისი მოსაზრების 76-ე და 77-ე პარაგრაფებში აღნიშნა, საუბარია არა საკვებ პროდუქტში PDO-ით დაცული ინგრედიენტის არსებითი მახასიათებლების იდენტიფიცირებაზე, არამედ იმის დადგენაზე, რომ ამ საკვებ პროდუქტს აქვს ინგრედიენტთან დაკავშირებული არსებითი მახასიათებელი. ეს მახასიათებელი ხშირად არის ამ ინგრედიენტის მიერ მინიჭებული არომატი ან გემო.

52. როდესაც სურსათის დასახელება მიუთითებს, რომ ის შეიცავს PDO-ით დაცულ ინგრედიენტს, რომლის დანიშნულებაცაა საკვების გემოს გადმოცემა, ამ ინგრედიენტის მიერ მინიჭებული გემო უნდა შეადგენდეს ამ საკვების არსებით მახასიათებელს. თუ საკვები პროდუქტის გემო უფრო მეტად მიეკუთვნება მასში შემავალ სხვა ინგრედიენტებს, ასეთი სახელის გამოყენება წარმოადგენს დაუმსახურებლად ხელსაყრელი პირობების შექმნას შესაბამისი PDO-ის რეპუტაციის გამოყენებით. ამრიგად, იმის დასადგენად, ანიჭებს თუ არა განსახილველ პროდუქტში შამპანური მას ერთ-ერთ არსებით მახასიათებელს, ეროვნულმა სასამართლომ უნდა დაადგინოს მის წინაშე არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით. უპირველეს ყოვლისა, უნდა დაადგინოს იკვეთება თუ არა შამპანურის გემო პროდუქტის შემადგენლობაში.

53. ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მეორე კითხვაზე პასუხი არის ის, რომ 1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ა)(ii) და №1308/2013 რეგულაციის 103(2)(ა)(ii) მუხლები უნდა განიმარტოს შემდეგნაირად: PDO-ის გამოყენება, როგორც სასაქონლო ნიშნის ნაწილი, რომლის მიხედვითაც იყიდება ამ PDO პროდუქტის სპეციფიკაციებთან შეუსაბამო საკვები, მაგრამ შეიცავს ინგრედიენტს, რომელიც შეესაბამება ამ სპეციფიკაციებს, მაგ. როგორც "შამპანური სორბეტი", წარმოადგენს PDO-ის რეპუტაციის გამოყენებას ამ დებულებების მნიშვნელობით, თუ ამ საკვებს არ გააჩნია მისი ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელი- გემო, რომელიც, პირველ რიგში, საკვებ პროდუქტში ინგრედიენტებს შორის წამყვანია.

მესამე შეკითხვა

54. მესამე კითხვით, განმცხადებელი სასამართლო ცდილობს, არსებითად გაარკვიოს №1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ბ) და №1308/201 რეგულაციის 103(2)(ბ) მუხლები უნდა განიმარტოს თუ არა იმგვარად, რომ PDO-ის გამოყენება, როგორც დასახელების ნაწილი,

რომლის მიხედვითაც იყიდება ამ PDO პროდუქტის სპეციფიკაციებთან შეუსაბამო საკვები, მაგრამ შეიცავს ინგრედიენტს, რომელიც შეესაბამება ამ სპეციფიკაციებს, მაგ. როგორც "Champagner Sorbet", ამ დებულებების მნიშვნელობით წარმოადგენს თუ არა მცდარ გამოყენებას ან მიბაძვას?

55. №1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ა)-(დ) და 1308/2013 რეგულაციის 103(2)(ა)-(დ) მუხლები ეხება სხვადასხვა დარღვევას, რომლებზეც დაცული გეოგრაფიული აღნიშვნები, ადგილწარმოშობის დასახელებები და ღვინოები იყენებენ ისეთ სახელებს, რომლებიც შეიძლება ექვემდებარებოდეს ამ დებულებებით დაცვას.

56. მოცემულ საქმეში, პირველ და მეორე კითხვებზე პასუხებიდან ირკვევა, რომ PDO-ის გამოყენება, როგორცაა „შამპანური“, როგორც დასახელების ნაწილი, რომლის მიხედვითაც იყიდება ამ PDO პროდუქტის სპეციფიკაციებთან შეუსაბამო საკვები, მაგრამ შეიცავს ინგრედიენტს, რომელიც შეესაბამება ამ სპეციფიკაციებს, როგორცაა "Champagner Sorbet", წარმოადგენს PDO-ს კომერციულ გამოყენებას №1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ა)(ii) მუხლის და 1308/2013 რეგულაციის 103(2)(ა)(ii) მუხლების მნიშვნელობით, თუ ასეთი გამოყენება გამიზნულია მისი რეპუტაციით დაუმსახურებლად ხელსაყრელი პირობების მიღებისათვის, ეს განსაკუთრებით ეხება ინგრედიენტს, რომელიც არ განსაზღვრავს საკვების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს.

57. თუმცა, PDO-ის გამოყენება ისეთი სახელით, როგორც ეს არის სამართალწარმოებაში განხილული, არ წარმოადგენს მცდარ გამოყენებას, იმიტაციას ან მიბაძვას №1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ბ) და №1308/2013 რეგულაციის 103(2)(ბ) მუხლების მნიშვნელობით. საკვები სასაქონლო ნიშანში PDO-ით დაცული ინგრედიენტის დასახელების ჩართვით, როდესაც PDO-ის პირდაპირი გამოყენება ხდება მასთან დაკავშირებულ გემოვნების ხარისხზე, არ წარმოადგენს მცდარ გამოყენებას, იმიტაციას ან მიბაძვას.

58. რაც შეეხება „მიბაძვის“ ცნებას, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ეს კონცეფცია, inter alia, გულისხმობს შემთხვევას, როდესაც სასაქონლო ნიშანი მოიცავს დაცული აღნიშვნის ნაწილს და როდესაც მომხმარებელი ხედავს პროდუქტის სახელს, მის გონებაში წარმოიქმნება იმ პროდუქტის სურათი, რომლის აღნიშვნაც დაცულია (იხ. ამ თვალსაზრისით, 2016 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება, Viiniverla, C-75/15, EU :C:2016:35, პარაგრაფი 21 და ციტირებული სასამართლო სამართალი). ამდენად, PDO-ის სახელის მთლიანად ჩართვა შესაბამის ნიშანში, რათა მიუთითებდეს სურსათის გემოს, არ შეესაბამება აღნიშნულ შემთხვევას. .

59. აქედან გამომდინარეობს, რომ 1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ბ) და №1308/2013 რეგულაციის 103(2)(ბ) მუხლები უნდა განიმარტოს შემდეგნაირად: PDO-ის გამოყენება, როგორცაა „შამპანური“, როგორც სასაქონლო ნიშნის ნაწილი, რომლის მიხედვითაც იყიდება ამ PDO პროდუქტის სპეციფიკაციებთან შეუსაბამო საკვები, მაგრამ შეიცავს ინგრედიენტს, რომელიც შეესაბამება ამ სპეციფიკაციებს, როგორცაა "Champagner Sorbet", ამ დებულებების მნიშვნელობიდან გამომდინარე არ წარმოადგენს მცდარ გამოყენებას, იმიტაციას ან მიბაძვას.

მეოთხე შეკითხვა

60. თავისი მეოთხე კითხვით, განმცხადებელი სასამართლო სვამს კითხვას, უნდა იქნეს თუ არა განმარტებული 1234/2007 რეგულაციის 1185(2)(გ) და №1308/2013 რეგულაციის 103(2)(გ) მუხლები ისე, რომ იგი შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ მცდარ ან შეცდომაში შემყვან აღნიშვნებზე, რომლებმაც შეიძლება მცდარი წარმოდგენა შექმნან საქონლის გეოგრაფიულ წარმომავლობაზე ან აგრეთვე შეიძლება გამოიყენებოდეს საქონლის ბუნებასთან ან არსებით თვისებებთან დაკავშირებულ მცდარ ან შეცდომაში შემყვან აღნიშვნებთან მიმართებით.

61. მიუხედავად იმისა, რომ №1234/2007 რეგულაციის 1185(2)(გ) და №1308/2013 რეგლამენტის 103(2)(გ) მუხლები ეხება მცდარ ან შეცდომაში შემყვან აღნიშვნებს ღვინის პროდუქტთან დაკავშირებულ შიდა ან გარე შეფუთვებზე, სარეკლამო მასალებზე ან დოკუმენტებზე, ეს დებულებები შეიძლება ეფექტური იყოს ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც შესაბამისი ღვინის პროდუქტი არის საკვები პროდუქტის ინგრედიენტი, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ეხება შეფუთვას, სარეკლამო მასალას ან ამ საკვებ პროდუქტთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.

62. რაც შეეხება ამ დებულებების ფარგლებს, მათი ფორმულირებიდან ჩანს, რომ PDO, PGI და ღვინოები, რომლებიც იყენებენ ამ დაცულ სახელებს საქონლის სპეციფიკაციების შესაბამისად, დაცულია, ერთი მხრივ, საქონლის ბუნების, წარმოშობის ან სხვა არსებითი მახასიათებლების შესახებ მცდარი ან შეცდომაში შემყვანი მითითებისაგან შიდა ან გარე შეფუთვაზე, სარეკლამო მასალასა თუ დოკუმენტებზე, რომლებიც ეხება ღვინოს და, მეორე მხრივ, საქონლის შეფუთვის გამოყენება, რომელსაც შეუძლია მცდარი შთაბეჭდილება შექმნას მის წარმოშობასთან დაკავშირებით. ამრიგად, ამ დებულებების თანახმად, შესაძლებელია აიკრძალოს როგორც ყალბი, ასევე შეცდომაში შემყვანი აღნიშვნები შესაბამისი საქონლის გეოგრაფიულ წარმომავლობასთან დაკავშირებით და მცდარი აღნიშვნები, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის ბუნებასთან ან არსებით თვისებებთან, როგორცაა მაგალითად, მისი გემო.

63. თუ სამართალწარმოებაში განსახილველ საკვებს არ გააჩნდა ისეთი არსებითი მახასიათებელი, როგორცაა გემო, რომელიც ადასტურებს, პირველ რიგში, შამპანურის არსებობას მის შემადგენლობაში, მაშასადამე, შესაძლებელი იქნება დავასკვნათ, რომ სახელწოდება „Champagner Sorbet“ შიდა ან ამ საკვების გარე შეფუთვაზე წარმოადგენდა მცდარ ან შეცდომაში შემყვან აღნიშვნას №1234/2007 რეგულაციის 1185(2)(გ) მუხლის და 1308/2013 რეგულაციის 103(2)(გ) მუხლის მნიშვნელობით.

64. ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მეოთხე კითხვაზე პასუხი არის ის, რომ 1234/2007 რეგულაციის 1185(2)(გ) და №1234/2007 რეგულაციის 103(2)(გ) მოთხოვნები უნდა განიმარტოს, როგორც მცდარი ან შეცდომაში შემყვანი აღნიშვნის გამოყენება, რომლებმაც შეიძლება მცდარი შთაბეჭდილება შექმნან შესაბამისი პროდუქტის გეოგრაფიულ წარმომავლობაზე, მცდარ ან შეცდომაში შემყვან აღნიშვნებზე, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქტის ბუნებასთან ან არსებით თვისებებთან.

ხარჯები

65. ვინაიდან ეს პროცესი, მხარეებისთვის არის ეროვნული სასამართლოს წინაშე მიმდინარე სამართალწარმოებისათვის გადადგმული ნაბიჯი, ხარჯებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ამ სასამართლოს ეკუთვნის. სასამართლოსთვის შენიშვნების წარდგენისას გაწეული ხარჯები, გარდა ამ მხარეების ხარჯებისა, არ ანაზღაურდება.

ამ საფუძვლებიდან გამომდინარე, სასამართლო (მეორე პალატა) ადგენს:

1. საბჭოს 2007 წლის 22 ოქტომბრის რეგლამენტის (EC) №1234/2007 მუხლი 1185(2)(ა)(ii), და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 17 დეკემბრის რეგლამენტის (EU) №1308/2013 წ. სოფლის მეურნეობის პროდუქტები და საბჭოს რეგულაციები (EEC) № 922/72, (EEC) № 234/79, (EC) №1037/2001 და (EC) №1234/2007, უნდა განიმარტოს ისე, რომ ამ დებულებების მოქმედების სფერო მოიცავს შემთხვევას, როდესაც დაცული ადგილწარმოშობის დასახელება, როგორცაა „შამპანური“, გამოიყენება როგორც დასახელების ნაწილი, როგორცაა „Champagner Sorbet“, და ეს საკვები არ შეესაბამება დაცული პროდუქტის სპეციფიკაციებს ადგილწარმოშობის დასახელებასთან დაკავშირებით, მაგრამ შეიცავს ინგრედიენტს, რომელიც შეესაბამება ამ სპეციფიკაციებს.

2. №1234/2007 რეგულაციის 118მ(2)(ა)(ii) მუხლი, შესწორებული №491/2009 რეგულაცია და №1308/2013 რეგულაციის 103(2)(ა)(ii) მუხლის ინტერპრეტაცია ნიშნავს, რომ დაცული ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენება დასახელების ნაწილის სახით, რომლითაც იყიდება საკვები და არ შეესაბამება ამ დაცული დასახელების პროდუქტის სპეციფიკაციებს, მაგრამ შეიცავს ინგრედიენტს, რომელიც შეესაბამება ამ სპეციფიკაციებს, მაგ. „შამპანური სორბეტი“ წარმოადგენს დაცული ადგილწარმოშობის დასახელების რეპუტაციის გამოყენებას ამ დებულებების მნიშვნელობით, თუ ამ საკვებ პროდუქტს არ გააჩნია დამახასიათებელი გემო, როგორც მისი ერთ-ერთი არსებითი ნაწილი და რომელიც, პირველ რიგში, დაკავშირებულია ამ ინგრედიენტის არსებობასთან საკვების შემადგენლობაში.

3. №1234/2007 რეგულაციის 1185(2)(ბ) მუხლი, შესწორებული №491/2009 რეგულაციით, და 1308/2013 რეგულაციის 103(2)(ბ) უნდა განიმარტოს, რომ დაცული ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენება, როგორც დასახელების ნაწილი, რომლითაც იყიდება საკვები და არ შეესაბამება ამ დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპეციფიკაციებს, მაგრამ შეიცავს ინგრედიენტს, რომელიც შეესაბამება ამ სპეციფიკაციებს, როგორცაა „Champagner Sorbet“ ამ დებულებების მნიშვნელობით, არ წარმოადგენს მცდარ გამოყენებას, იმიტაციას ან მიბადვას.

4. 1234/2007 რეგულაციის 1185(2)(გ) მუხლი, შესწორებული 491/2009 რეგულაციით და 1308/2013 რეგულაციის 103(2)(გ) მუხლი გამოიყენება მცდარი ან შეცდომაში შემყვანის აღნიშვნებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა შექმნან მცდარი შთაბეჭდილება შესაბამისი პროდუქტის გეოგრაფიულ წარმომავლობაზე, შეცდომაში შეიყვამონ მომხმარებელი პროდუქტის ბუნებასთან ან არსებით თვისებებთან დაკავშირებით.

სამართალწარმოების ენა: გერმანული

23/05/2019, T-3/18 & T-4/18, ANN TAYLOR / ANNTAYLOR et al.

საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება (მეხუთე პალატა)

2019 წლის 23 მაისი (*) (1)

(ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი – რეგისტრაციის ბათილად ცნობის წარმოებები – სიტყვიერი და გამოსახულებითი ნიშნები ANN TAYLOR და AT ANN TAYLOR – ბათილობის აბსოლუტური საფუძველი – (EU) 2017/1001 რეგულაციის მუხლი 59(1)(ბ) – არაკეთილსინდისიერება),

გაერთიანებულ საქმეებში T-3/18 და T-4/18,

მოსარჩელე,

Holzer y Cia, SA de CV, დაარსებული ქალაქ მექსიკაში (მექსიკა), წარმოდგენილი იურისტების ნ. ფერნანდეს ფერნანდეს პაჩეკოსა და ა. ფერნანდეს ფერნანდეს პაჩეკოს მიერ,

v

მოპასუხე,

ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისი (EUIPO), წარმოდგენილი წარმომადგენლების ა.ლუკოსიუტესა და პ. ო ნეილლის მიერ,

EUIPO სააპელაციო საბჭოს წინაშე ჩართული სხვა მხარე, საერთო სასამართლოს წინაშე მესამე პირის სახით,

Ancco, Inc., რეგისტრირებული ნიუ იორკში, (ნიუ იორკი ამერიკის შეერთებული შტატები), წარმოდგენილი ადვოკატების დ. როუზის, ჯ. ვარნერის, ე. პრისტონის და პ. რობერტის მიერ. EUIPO სააპელაციო საბჭოს მეორე კოლეგიის 2017 წლის 2 და 8 ნოემბრის გადაწყვეტილებებზე (საქმეები R 2370/2016-2 and R 2371/2016-2), წარდგენილი იქნა ორი სარჩელი, რეგისტრაციის ბათილად ცნობის საქმისწარმოებებთან დაკავშირებით შემდეგ მხარეებს შორის Ancco და Holzer y Cia

საერთო სასამართლო (მეხუთე პალატა),

დაკომპლექტებული შემდეგი მოსამართლეების მიერ: პრეზიდენტი - დ. გრაციას (მომხსენებელი მოსამართლე), მოსამართლეების ი. ლაბუსკასა და ი. ულლოა რუბიოს მიერ.

მარეგისტრირებელი: ნ. სჩალის, ადმინისტრატორის მიერ,

2018 წლის 09 იანვარს სასამართლოს რეგისტრატურაში წარდგენილ სარჩელებთან დაკავშირებით,

2018 წლის 23 მარტს სასამართლოს რეგისტრატურაში EUIPO-ს მიერ წარდგენილ შესაგებელთან დაკავშირებით,

2018 წლის 23 მარტს სასამართლოს რეგისტრატურაში მესამე პირის მიერ წარდგენილ შესაგებელთან დაკავშირებით,

გაერთიანებული საქმეების T-3/18 და T-4/18 2018 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, პროცედურის ზეპირი სხდომისა და პროცესის დასრულების მიზნებისთვის, შემდგომში, 2018 წლის 22 ნოემბრის ზეპირი მოსმენასთან, დაკავშირებით აღგენს შემდეგს

საქმე T-3/18,

დავასთან, მიმართებაში

1. მოსარჩელემ, Holzer y Cia, SA de CV 2011 წლის 04 აპრილს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისში (EUIPO) წარადგინა განაცხადი ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე, 2009 წლის 26 თებერვლით დათარიღებული №207/2009 ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის შესახებ საბჭოს რეგულაციის (EC) OJ 2009 L 78, p. 1) თანახმად, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით (რომელიც ჩანაცვლდა 2017 წლის 14 ივნისით დათარიღებული 2017/1001 ევროპული პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციით, ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის შესახებ (OJ 2017 L 154, p.1)).

2. მოთხოვნილ იქნა სიტყვიერი სასაქონლო ნიშნის ANN TAYLOR-ის რეგისტრაცია.

3 სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოთხოვნილ იქნა - 1957 წლის 15 ივნისის ნიცის შეთანხმებით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების შესახებ საერთაშორისო კლასიფიკაციის (რომელიც იქნა გადასინჯული და ცვლილებები იქნა ასახული) მე-14 კლასისთვის, და მოიცავს შემდეგ საქონლის ჩამონათვალს - „საათები და მაჯის საათები“.

4. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ განცხადება 2011 წლის 28 ივნისს გამოქვეყნდა კავშირის სასაქონლო ნიშნების შესახებ №2011/119 ბიულეტენში.

5. განსახილველი ნიშანი 9 865 651 ნომრით იქნა რეგისტრირებული 2011 წლის 5 ოქტომბერს ზემოაღნიშნულ მე-3 პუნქტში მითითებული საქონლისთვის.

6. მესამე პირმა, Ancco, Inc, 2014 წლის 20 მარტს მიმართა განცხადებით და მოითხოვა ნიშნის ბათილად ცნობა №207/2009 რეგულაციის 56(1) მუხლის შესაბამისად. Ancco, Inc აშშ-ში ფლობდა სიტყვიერ ნიშანს ANN TAYLOR-ს, 25-ე კლასით გათვალისწინებული შემდეგი საქონლისთვის - ტანსაცმელი, ასევე რამდენიმე იდენტურ და მსგავს სასაქონლო ნიშანს იმავე კლასზე სხვადასხვა ქვეყანაში (ამჟამად, 2017/1001 რეგულაციის 63 (1) მუხლი).

7. განცხადება, პირველ რიგში, დაფუძნებული იყო № 207/2009 რეგულაციის 52(1)(ბ)

მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციის ბათილად ცნობის აბსოლუტურ საფუძველზე (ამჟამად, 2017/1001 რეგულაციის 59(1)(ბ) მუხლი) და მეორე რიგში, №207/2009 რეგულაციის 53(1)(ა) და (გ) მუხლით გათვალისწინებული შედარებით საფუძველზე (ამჟამად, 2017/1001 რეგულაციის 60(1)(ა) და (გ) მუხლი)

8. 2016 წლის 4 ნოემბერს გაუქმების განყოფილებამ დააკმაყოფილა მესამე პირის განცხადება, და სადავო ნიშნის რეგისტრაცია ცნო ბათილად №207/2009 რეგულაციის 52 (1)(ბ) მუხლის თანახმად, ისე რომ არ შეუმოწმებია ბათილობის სხვა საფუძველები. გაუქმების განყოფილებამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული №207/2009 რეგულაციის ფარგლებში მესამე პირმა წარმატებით დაასაბუთა, რომ რეგისტრირებული ნიშანი არაკეთილსინდისიერი განზრახვით იქნა რეგისტრირებული. ვინაიდან, საქმიდან აშკარა იყო, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ნამდვილად განპირობებული იყო სასაქონლო ნიშანსა და მესამე პირის მიერ გამოყენებულ იდენტურ ნიშანს შორის ასოციაციისთვის და ასეთი ნიშნის მიმზიდველობის გამოსაყენებლად.

9. მოსარჩელემ, განყოფილების გადაწყვეტილების გაუქმებაზე 207/2009 რეგულაციის 58-64 მუხლების შესაბამისად 2016 წლის 19 დეკემბერს EUIPO-ში წარადგინა სააპელაციო საჩივარი (ამჟამად, 2017/1001 რეგულაციის 66-71 მუხლები) (Case R 2370/2016-2).

10. სააპელაციო საბჭოს მეორე კოლეგიამ 2017 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა მოსარჩელის აპელაცია და ძალაში დატოვა გაუქმების განყოფილების გადაწყვეტილება. კერძოდ, სააპელაციო საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადავო ნიშანი და მესამე პირის ნიშნები გამოიყენებოდა ტანსაცმლის ინდუსტრიის მომიჯნავე პროდუქტებზე. ნიშნებს შორის ადგილი ჰქონდა ახლო ურთიერთკავშირს. სააპელაციო საბჭომ გამოიკვლია, ჰქონდა თუ არა განმცხადებელს ინფორმაცია მესამე პირის ნიშნების არსებობაზე. საბოლოოდ, სააპელაციო საბჭომ დაასკვნა, რომ მესამე პირის მიერ წარმოდგენილი ფაქტებიდან ჩანდა, რომ განმცხადებელს სურდა ANN TAYLOR ნიშანზე უფლებების მოპოვება იმგვარად, რომ მისი ეს ქმედებები ეწინააღმდეგებოდა კომერციულ საქმიანობაში დამკვიდრებულ სტანდარტებს.

საქმე T-4/18

11. მოსარჩელემ, 2012 წლის 18 სექტემბერს ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე წარადგინა მეორე განაცხადი.

შემდეგი გამოსახულებითი ნიშანი იქნა წარდგენილი რეგისტრაციისთვის:



ANN TAYLOR

12. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოთხოვნილი იქნა ზემოაღნიშნულ მე-3 პუნქტში მითითებული იდენტური საქონლისთვის.
13. სასაქონლო ნიშანზე განაცხადი გამოქვეყნდა 2012 წლის 14 დეკემბრის კავშირის სასაქონლო ნიშნის №2012/238 ბიულეტენში.
14. სადავო ნიშანი 2013 წლის 25 მარტს დარეგისტრირდა შემდეგი ნომრით 11 197 647.
15. მესამე პირმა 2014 წლის 20 მარტს ნიშნის ბათილობასთან დაკავშირებით წარადგინა მოთხოვნა, რაც ეფუძნებოდა ზემოაღნიშნულ მე-7 პუნქტში მითითებულ საფუძვლებს.
16. გაუქმების განყოფილებამ 2016 წლის 4 ნოემბერს გაიზიარა მესამე პირის მოთხოვნა, მე-8 პუნქტში აღნიშნული მიზეზების გამო და მე-12 პუნქტში მითითებული ნიშნის რეგისტრაცია ცნო ბათილად.
17. მოსარჩელემ 2016 წლის 19 დეკემბერს სააპელაციო საბჭომ წარადგინა სააპელაციო საჩივარი (საქმე R 2371/2016-2).
18. სააპელაციოს საბჭოს მეორე კოლეგიამ 2017 წლის 8 ნოემბერს არ დააკმაყოფილა მოსარჩელის საჩივარი იმავე საფუძვლებით, რომელიც მე-10 პუნქტში არის მითითებული.

მოთხოვნები:

20 მოსარჩელე ითხოვს, რომ:

- ბათილად იქნეს ცნობილი სააპელაციო საბჭოს 2017 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებები შემდეგ საქმეებზე R 2370/2016-2 და R 2371/2016-2 (“გასაჩივრებული გადაწყვეტილებები”);
- ამავე დროს, დადასტურდეს ნიშნების [ევროკავშირის ნიშნების №9 865 651 და №11 197 647] ვალიდურობა [რეგისტრაციების] საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ, რისთვისაც მოთხოვნილი იყო რეგისტრაცია;
- დაეკისროს მესამე პირს სამართალწარმოების ხარჯების ანაზღაურება.

21 EUIPO ითხოვს, რომ სასამართლომ:

- არ დააკმაყოფილოს სარჩელები;
- დააკისროს მოსარჩელეს ხარჯების ანაზღაურება.

22 მესამე პირი ითხოვს, რომ სასამართლომ:

- არ დააკმაყოფილოს სარჩელები;
- დააკისროს მოსარჩელეს ხარჯების ანაზღაურება.

კანონმდებლობა

23 როგორც წინასწარი მითითება, უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელემ სასამართლოში ზეპირი მოსმენის დროს შეკითხვის პასუხად დააფიქსირა პოზიცია, რომ სადავო ნიშნების რეგისტრაციაზე მისი „განაცხადები“ არ წარმოადგენს მოთხოვნების სათაურებს, რომელიც გამოყოფილია იმ მოთხოვნებისგან რითაც მოითხოვება სადავო გადაწყვეტილების გაუქმება. ამრიგად, ტერმინი „შესაბამისი“ გამოყენებისას აღინიშნა, რომ მოსარჩელე მიუთითებს სადავო გადაწყვეტილებების სამართლებრივ შედეგებზე სადავო გადაწყვეტილებების გაუქმებასთან დაკავშირებით, რომელმაც თავის მხრივ შესაძლოა გამოიწვიოს EUIPO-ს მიერ უარის თქმა უკვე მესამე პირის განცხადებების - ნიშნების ბათილობის შესახებ და შედეგად, სადავო ნიშნების რეგისტრაციის დადასტურება. უფრო მეტიც, უნდა აღინიშნოს რომ, სარჩელის დასკვნით ნაწილში, მოსარჩელე მიუთითებს მხოლოდ მოთხოვნის სათაურზე, კერძოდ გაუქმებაზე. EUIPO-ს მიერ წინასწარი დაკვირვების შესაბამისად მოსარჩელე არ არის უფლებამოსილი სასამართლოს სთხოვოს დაამტკიცოს სადავო ნიშნების რეგისტრაციის ვალიდურების შესახებ, წარმოადგენს არარელევანტურ გარემოებას. აღნიშნულთან დაკავშირებით EUIPO-ს სხდომაზე მხარი დაუჭირა მესამე პირმა.

24. შესაბამისად, მოსარჩელე არსებითად აფუძნებს სარჩელს 2017/001 რეგულაციის 59 (1) (ბ) მუხლის დარღვევაზე. კერძოდ, მოსარჩელე როგორც უთითებს, სააპელაციო საბჭომ არასწორად დაადგინა, რომ სადავო ნიშნები არაკეთილსინდისიერი განზრახვით იყო რეგისტრირებული. სარჩელის გასამყარებლად, მოსარჩელე დამატებით მიუთითებს, რომ სამი გარემოება არასწორად იქნა შეფასებული, კერძოდ: (1) სადავო ნიშნებს შორის მსგავსების დადგენა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს აღრევა და სადავო ნიშნის მფლობელის მიერ იდენტური ან მიმსგავსებული ნიშნის არსებობის შესახებ ინფორმირებულობაზე; (2) ნიშნის მფლობელის განზრახვა ნიშნის რეგისტრაციის განცხადების წარდგენის დღისთვის; (3) მესამე პირის მიერ მისი განცხადების გასამყარებლად წარდგენილი მტკიცებულების ღირებულებითი შეფასება ბათილობის მოთხოვნასთან დაკავშირებით და მტკიცების ტვირთის გადანაწილება.

25. მესამე პირმა მიუთითა, რომ სარჩელის ამ საფუძვლების წამოწევით, მოსარჩელე არ მოქმედებს 2017/1001 რეგულაციის 72-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვინაიდან ის არ ასაჩივრებს სააპელაციო საბჭოს მიერ გამოყენებულ არასწორ კანონს ან პროცედურის შეცდომას, არამედ სადავოს ხდის საბჭოს მსჯელობებსა და დასკვნებს.

26. ამასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ 2017/1001 რეგულაციის 72-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებები

შესაძლებელია გასაჩივრდეს, *inter alia*, თუ ადგილი აქვს შესაბამისი რეგულაციის დარღვევას.

27. როგორც ეს ზემოთ 24-ე პუნქტში არის დაფიქსირებული, ამ შემთხვევაში სარჩელი დაფუძნებულია, არსებითად, 2017/1001 რეგულაციის დარღვევაზე, კერძოდ ამავე რეგულაციის 59(1)(ბ) მუხლზე.

28. უფრო მეტიც, სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარეობს, რომ საერთო სასამართლო უფლებამოსილია EUIPO-ს სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებების კანონიერება სრულად შეისწავლოს, და აუცილებლობის შემთხვევაში გამოიკვლიოს სამართლებრივად რამდენად სწორად შეაფასა დავის ფაქტობრივი გარემოებები ან თუ ფაქტების შეფასება განხორციელებული იყო მანამ სანამ ეს ხარვეზი დადგინდებოდა 2017/1001 რეგულაციის 72-ე მუხლის მე-2 პუნქტის კონტექსტიდან გამომდინარე (2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, *Les Éditions Albert René v OHIM*, C-16/06 P, EU:C:2008:739, პუნქტი 39).

29. მოსარჩელე ასევე უფლებამოსილია, სასამართლოს მოსთხოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებების როგორც სამართლებრივი ნაწილის, ასევე ფაქტების შესწავლა სარჩელის ფარგლებში.

30. კერძოდ, იმის საპირისპიროდ რასაც მესამე პირი სადავოდ ხდიდა ზეპირ მოსმენაზე, მოსარჩელე უფლებამოსილია სასამართლოს სთხოვოს განხორციელოს სადავო გადაწყვეტილებების კანონიერების სრულად შეფასება, მხარეების მიერ EUIPO-ს წინაშე წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა იმისთვის რომ დადგინდეს სააპელაციო საბჭომ რამდენად საკმარისად და სწორად შეაფასა რელევანტურობა და მტკიცებულებითი ღირებულება და აღნიშნულზე დაყრდნობით, რამდენად შეეძლო დაედგინა რომ განსახილველი ნიშნები წარდგენილი იქნა არაკეთილსინდისიერი განზრახვით.

31. ამ მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის სამართლით არაკეთილსინდისიერება არ არის განმარტებული. ამ უკანასკნელის განმარტებიდან და 2017/1001 რეგულაციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის კონტექსტიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ასევე *Chocoladefabriken Lindt & Sprüngli* (C-529/07, EU:C:2009:148) საქმეზე სასამართლოს მრჩევლის შარპსტონის მოსაზრების (რომელიც ჩამოყალიბებულია მე-60 პუნქტში), შარპსტონი მიუთითებს განმცხადებლის სუბიექტურ მოტივაციაზე სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, კერძოდ არაკეთილსინდისიერი ან სხვა ზიანის მიმყენებელი განზრახვით, ისეთი ქმედებები რაც ეწინააღმდეგება აღიარებულ ეთიკურ ქცევის პრინციპებს თუ პატიოსან კომერციულ და ბიზნეს პრაქტიკას (სასამართლოს მრჩევლის შარპსტონის მოსაზრება საქმეზე *Chocoladefabriken Lindt & Sprüngli*, C-529/07, EU:C:2009:148, პუნქტი 60, და 2016 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, *Copernicus-Trademarks v EUIPO — Maquet (LUCEO)*, T-82/14, EU:T:2016:396, პუნქტი 28).

32. შესაბამისად, ეს პრინციპი არ გამოიყენება, როდესაც განაცხადი წარდგენილია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და განმცხადებლის მიზანი არ ეწინააღმდეგება სასაქონლო ნიშნის არსებით ფუნქციას, კერძოდ გარანტიას რომ მომხმარებელი ან საბოლოო მომხმარებელი ყოველგვარი მიმსგავსებისა და აღრევის გარეშე დააიდენტიფიცირებს ამ კონკრეტული საქონლისა და მომსახურებას წყაროს და ამგვარად განასხვავებს სხვა

მწარმოებლის საქონლისა და მომსახურებისგან (ამ მიზნით იხ., 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებები, *Chocoladefabriken Lindt & Sprüngli*, C-529/07, EU:C:2009:361, 44 – 49 პუნქტები და 2016 წლის 07 ივლისის, *LUCEO*, T-82/14, EU:T:2016:396, 29 პუნქტი).

33. ამგვარად, 2017/1001 რეგულაციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს უფლების ბოროტად გამოყენებით ან კომერციული და ბიზნეს პრაქტიკისთვის დადგენილი არაკეთილსინდისიერი ქმედებებით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის პრევენციას (ამ მიზნით და ანალოგიით იხილეთ, 2010 წლის 3 ივნისი გადაწყვეტილება, *Internetportal und Marketing*, C-569/08, EU:C:2010:311, 36 და 37 პუნქტები). ასეთი ნიშნის რეგისტრაციები ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართლის პრინციპს, რომლის თანახმად დაცვა ვერ განხორციელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ბაზრის მონაწილე პირი ბოროტად იყენებს მდგომარეობას, რაც არ იძლევა კანონის მიზნის მიღწევის საშუალებას. (ამ მიზნით და ანალოგიით იხილეთ, 2000 წლის 14. დეკემბრის გადაწყვეტილებები, *Emsland-Stärke*, C-110/99, EU:C:2000:695, 51 და 52 პუნქტები, და 2016 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, *LUCEO*, T-82/14, EU:T:2016:396, 52 პუნქტი).

34. საჩივრის ავტორმა უნდა დაასაბუთოს ყველა ის გარემოება, რითაც დადასტურდება 2017/1001 რეგულაციის 59(1)(ბ) მუხლით გათვალისწინებული ბათილად ცნობის საფუძველი. კეთილსინდისიერების პრეზუმფცია მოქმედებს მანამ სანამ სხვაგვარად არ დამტკიცდება (2017 წლის 8 მარტის გადაწყვეტილება, *Biernacka-Hoba v EUIPO — Formata Bogusław Hoba (Formata)*, T-23/16, არ არის გამოქვეყნებული, EU:T:2017:149, 45 პუნქტი).

35. ამასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა რომ 2017/1001 რეგულაციის 59(1)(ბ) მუხლის მიხედვით არაკეთილსინდისიერების განმარტებიდან გამომდინარე - ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის განმცხადებლის განზრახვა წარმოადგენს სუბიექტურ ელემენტს, ის უნდა გამომდინარეობდეს საქმის ობიექტური გარემოებებიდან (ამ მიზნით იხილეთ, 2009 წლის 11 ივნისი გადაწყვეტილება, *Chocoladefabriken Lindt & Sprüngli*, C-529/07, EU:C:2009:361, 42 პუნქტი).

36. ამგვარად, როდესაც EUIPO დაადგენს რომ კონკრეტული საქმეზე ობიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით შეიძლება კეთილსინდისიერების პრეზუმფციამ აღარ იმოქმედოს, ნიშნის მფლობელმა უნდა წარადგინოს განმარტებები რეგისტრირებული ნიშნის განაცხადის წარდგენის მიზნებსა და კომერციული ლოგიკური ქმედებების შესახებ.

37. სასაქონლო ნიშნის მესაკუთრეს ყველაზე უკეთ შეუძლია მიაწოდოს EUIPO-ს ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის დროს მისი განზრახვის შესახებ და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის გზით, მიუხედავად ზემოაღნიშნულ 36-ე პუნქტში მითითებული ობიექტური გარემოებების არსებობისა, რომ მისი მიზნები წარმოადგენდა ლეგიტიმურს (ამ მიზნით და ანალოგიით იხილეთ, 2016 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებები, *Birkenstock Sales v EUIPO*, T-579/14, EU:T:2016:650, 136 პუნქტი, 2017 წლის 5 მაისის, *PayPal v EUIPO — Hub Culture (VENMO)*, T-132/16, გამოუქვეყნებელი EU:T:2017:316, 51 – 59 პუნქტები).

38. სწორედ ამ მოსაზრებების გათვალისწინებით უნდა იქნეს გამოკვლეული მოსარჩელის სხვადასხვა მოთხოვნა.

პირველი მოთხოვნა, ეხებოდა სააპელაციო საბჭოს არასწორ შეფასებას სადავო ნიშნების მსგავსებაზე, რომელსაც შეეძლო გამოეწვია აღრევა, და იმასთან დაკავშირებით, რომ ნიშნის მფლობელმა იცოდა მსგავსი ნიშნის არსებობის შესახებ.

39. მოსარჩელე აცხადებს, რომ განსახილველი ნიშნების მფლობელის მხრიდან არაკეთილსინდისიერების დამტკიცებისთვის აუცილებელია ორი პირობის დაკმაყოფილება - აღრევამდე მსგავსების არსებობა და სადავო ნიშნის მფლობელის მიერ იმის ცოდნა, რომ არსებობს მსგავსი ნიშნები.

40. წინამდებარე სარჩელი შედგება ორი ნაწილისგან, პირველში მითითებულია, რომ დაშვებული იქნა შეცდომა იმის დადგენას იყო თუ არა ამ ორი კრიტერიუმიდან პირველი სახეზე, ხოლო მეორე ნაწილში შეცდომა დაშვებულია იმის დადგენისას არსებობდა თუ არა მეორე მოთხოვნის დაკმაყოფილებულად ჩათვლის საფუძვლები.

41. პირველ ნაწილში, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭომ არასწორად იმსჯელა მსგავსებაზე, რომ ასეთ მსგავსებას შეეძლო აღრევა გამოიწვია, მაშინ როდესაც ეს ნიშნები არ იყო დაცული იდენტური ან მსგავსი საქონლისთვის. მოსარჩელე უთითებს, რომ EUIPO-ს გადაწყვეტილებებიდან ნათლად ჩანს, რომ ტანსაცმელი და მაჯის საათები წარმოადგენს განსხვავებულ საქონელს, და შესაბამისად მომხმარებელი ამ ნიშნებს ერთმანეთთან არ დააკავშირებს. მოსარჩელე ასევე მიიჩნევს, რომ მესამე პირმა სამართლებრივი სტანდარტის შესაბამისად ვერ დაამტკიცა ადრინდელი ნიშნის რეკუტაცია.

42. მეორე ნაწილის კონტექსტში, მოსარჩელე აღნიშნავს რომ მიმდინარე საქმეზე განსახილველი ნიშნის რეგისტრაციის დღისთვის მას არ ჰქონდა ინფორმაცია რომ რეგისტრირებული იყო იდენტური ნიშანი ან რომ იყო შესაძლებელი ნიშნების აღრევა, მაშინ როდესაც ადრინდელი ნიშანი მოიცავდა სიტყვიერ ელემენტებს 'Ann Taylor', მე-14 კლასით გათვალისწინებული საქონლისთვის. მოსარჩელემ დამატებით მიუთითა, რომ, თუნდაც, ვივარაუდოთ, რომ მას ჰქონდა ინფორმაცია ასეთი ნიშნის 25-ე კლასში (ტანსაცმლისთვის) რეგისტრაციის შესახებ, ეს მაინც არ იქნებოდა რელევანტური.

43. ეს არგუმენტი EUIPO-მ და მესამე პირმა გახადეს სადავო.

44. აუცილებელია, წინამდებარე სარჩელის ორივე ნაწილის თანმიმდევრული გამოკვლევა.

პირველი ნაწილი ეხებოდა, სააპელაციო პალატის არასწორ შეფასებას განსახილველ ნიშნებს შორის მსგავსებასთან დაკავშირებით, რასაც შეიძლებოდა გამოეწვია აღრევა.

45. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს რომ ეს ნაწილი ეფუძნება სამ წინაპირობას.

46. პირველ რიგში, როგორც ზეპირი მოსმენის დროს დაადასტურა მოსარჩელემ Chocoladefabriken Lindt & Sprüngli (C-529/07, EU:C:2009:361) საქმეზე 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით დადგენილი კრიტერიუმის შესაბამისად, არაკეთილსინდისიერების დამტკიცებისას მესამე პირს მოეთხოვება დაადგინოს ევროკავშირში ისეთი ნიშნის არსებობა, რომელიც იდენტური ან მსგავსია რეგისტრირებული ნიშნის, და გააჩნია იდენტური ან/და მსგავსი საქონელი, რაც იწვევს აღრევის შესაძლებლობას.

47. მეორე რიგში, მოსარჩელე ირიბად, თუმცა უთითებს, რომ მიმდინარე საქმეზე სააპელაციო საბჭომ დაადგინა, რომ ევროკავშირში არსებობდა იდენტური ან მსგავსი ნიშანი, იდენტური ან მსგავსი საქონლისთვის, რაც იწვევდა ადრევის შესაძლებლობას.

48. მესამე რიგში, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ არაკეთილსინდისიერების დასამტკიცებლად მესამე პირმა უნდა დაადასტუროს ევროკავშირის ადრინდელი ნიშნის რეპუტაცია.

49. ზემოაღნიშნული სამივე წინაპირობა არასწორია.

50. ამასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა ამ სამი წინაპირობიდან უნდა აღინიშნოს, რომ დადგენილი სამართლო პრაქტიკის შესაბამისად ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის წარდგენის დღისთვის განმცხადებლის არაკეთილსინდისიერება უნდა შეფასდეს გლობალურად, და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის ყველა რელევანტური გარემოება (2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება, *Chocoladefabriken Lindt & Sprüngli*, C-529/07, EU:C:2009:361, 35 და 37 პუნქტები).

51. სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი გარემოებები შესაძლოა მოიცავდეს, *inter alia*, რომ განმცხადებელმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა მესამე პირის მიერ იდენტური ან მსგავსი ნიშნის გამოყენების შესახებ იდენტური ან მსგავსი საქონლისა და მომსახურებისთვის, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ადრევა რეგისტრაციის მიზნისთვის წარდგენილ ნიშანთან; განმცხადებლის განზრახვა, რომ ხელი შეუშალოს მესამე პირს ასეთი ნიშნის გამოყენებაზე; და სამართლებრივი დაცვის ფარგლები რომლითაც სარგებლობს მესამე პირის ნიშანი და სასაქონლო ნიშანი, რომლისთვისაც მოთხოვნილია რეგისტრაცია ევროკავშირში (2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება, *Chocoladefabriken Lindt & Sprüngli*, C-529/07, EU:C:2009:361, 53 პუნქტი).

52. მიუხედავად იმისა, რომ *Chocoladefabriken Lindt & Sprüngli* (C-529/07, EU:C:2009:361) საქმეზე 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებიდან მკაფიოდ ჩანს საფუძვლები, 51-ე პარაგრაფში აღნიშნული სამი გარემოება არის მხოლოდ მაგალითები იმ უამრავი ფაქტორიდან რომელიც შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული იმის დასადგენად მოქმედებდა თუ არა განმცხადებელი არაკეთილსინდისიერად განაცხადის წარდგენის მომენტისთვის (2012 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება, *Peeters Landbouwmachines v OHIM — Fors MW (BIGAB)*, T-33/11, EU:T:2012:77, 20 პუნქტი). ამ გადაწყვეტილებაში, სასამართლომ შეზღუდა მსჯელობა მხოლოდ იმ კითხვებზე პასუხის გაცემით რომელიც ეხებოდა ეროვნულ სასამართლოს, არსებითად კი, პასუხი გაეცა იმ კითხვას თუ რამდენად იყო ასეთი გარემოებები მნიშვნელოვანი (იხ, ამ მიზნით, 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება, *Chocoladefabriken Lindt & Sprüngli*, C-529/07, EU:C:2009:361, 22 და 38 პუნქტები). ამგვარად, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, თუ საქმეში არ არის რომელიმე ზემოთ ხსენებული გარემოება, ეს აუცილებლად არ განსაზღვრავს რომ განმცხადებელი არ მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად (იხ, ამ მიზნით, 2016 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, *LUCEO*, T-82/14, EU:T:2016:396, 147 პუნქტი).

53. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს რომ სასამართლოს მრჩეველმა შარპსტონმა *Chocoladefabriken Lindt & Sprüngli* (C-529/07, EU:C:2009:148) საქმეზე თავისი მოსაზრების მე-60 პუნქტში მიუთითა, რომ „არაკეთილსინდისიერების“ კონცეფცია 2017/1001 რეგულაციის 59-ე მუხლის

პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შინაარსით ვერ შეიზღუდება კონკრეტული გარემოებებით. ზოგადი ინტერესია, რომ არ მოხდება უფლების ბოროტად გამოყენება და პატიოსან კომერციულ და ბიზნეს პრაქტიკასთან წინააღმდეგობრივი მოქმედება, პრევენცია როგორც ეს უკვე ზემოთ 33-ე პარაგრაფში იქნა აღნიშნული. არაკეთილსინდისიერების დადგენისთვის Choccoladefabriken Lindt & Sprüngli (C-529/07, EU:C:2009:361) საქმეზე 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული გარემოებების ამომწურავად განხილვა, ეწინააღმდეგება აღნიშნულ ზოგად ინტერესს (ამ განზრახვით და ანალოგიით იხილეთ, 2010 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება, Internetportal und Marketing, C-569/08, EU:C:2010:311, 37 პუნქტი).

54. ამგვარად, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, განმცხადებლის არაკეთილსინდისიერების არსებობის საერთო შეფასებისას, მხედველობაში შეიძლება მიღებულ იქნეს სადავო ნიშნის წარმოშობის წყარო და მისი გამოყენება მისი შექმნის დღიდან, კომერციული ლოგიკა რომელიც ხაზს უსვამს ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციოდ განაცხადის წარდგენაზე, და იმ მოვლენათა ქრონოლოგიას რომელიც წინ უსწრებს განაცხადის წარდგენას (იხ. 2015 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება, Pangyrus v OHIM — RSVP Design (COLOURBLIND), T-257/11, გამოუქვეყნებელი, EU:T:2015:115, 68 პუნქტი და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

55. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ 2017/1001 რეგულაციის მე-60 მუხლის საპირისპიროდ, რომელიც განსაზღვრავს ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის ბათილობის შედარებით საფუძვლებს და ამგვარად იცავს მფლობელების კერძო ინტერესებს, რეგულაციის 59(1) მუხლი ითვალისწინებს განმცხადებლის არაკეთილსინდისიერების არსებობას სასაქონლო ნიშნის წარდგენის დღისთვის და წარმოადგენს ნიშნის ბათილად ცნობის აბსოლუტურ საფუძველს, რაც მიზნად ისახავს ზოგადი ინტერესების დაცვას.

ამგვარად, არაკეთილსინდისიერების დადგენის დროს არ არის აუცილებლად გამოსაყენებელი ბათილობის შედარებითი საფუძვლების არსებობისთვის განსაზღვრული რელევანტური გარემოებები. (ამ მიზნით და ანალოგიით იხილეთ, 2015 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება, BGW, C-20/14, EU:C:2015:714, 23 – 34 პუნქტები).

56. კერძოდ, 2017/1001 რეგულაციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებიდან გამომდინარე საჩივრის ავტორის მოთხოვნა თუ ეფუძნება არაკეთილ-სინდისიერებას, მისი დადგენისას აუცილებელი არ არის სისტემატურად გვეკონდეს აღრევის შესაძლებლობა - ადრინდელ სასაქონლო ნიშანსა, რომლის მფლობელიც თავადაა, და სადავო ნიშანს შორის. როგორც EUIPO-მ და მესამე პირმა აღნიშნეს ზეპირი მოსმენის დროს, ამგვარი მიდგომა 2017/1001 59(1)(ბ) მუხლებს დაუკარგავდა ეფექტურობას. უფრო მეტიც, ამ მუხლებს, რომლებიც გამიზნულია საზოგადოებრივი ინტერესის დაცვისთვის, შეიძლება დაეყრდნოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიულ პირი და არამხოლოდ პრიორიტეტული უფლებების მქონე პირები.

57. წინამდებარე საქმეზე, საკმარისია აღინიშნოს რომ განსახილველი ნიშნების სარეგისტრაციოდ წარდგენის დღისთვის განმცხადებლის არაკეთილსინდისიერების დამტკიცებისთვის, მესამე პირმა EUIPO-ს წინაშე აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ განსახილველი

ნიშნების იდენტურ ნიშანზე, მექსიკაში სარეგისტრაციოდ განაცხადის წარდგენა და მისი გამოყენება, ადასტურებს არაკეთილსინდისიერებას ამერიკის შეერთებულ შტატებში 25-ე კლასის საქონლისთვის (ტანსაცმელი) რეგისტრირებულ მსგავს ნიშანთან მიმართებაში. 2017/1001 რეგულაციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები ნათლად არ ადგენს ამ გარემოებების რელევანტურობის განსაზღვრისთვის შესაბამის კრიტერიუმს.

58. რაც შეეხება, წინამდებარე ნაწილის მეორე წინაპირობას, საკმარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე საქმეზე სააპელაციო საბჭომ მხოლოდ განსაზღვრა, იდენტურობა და მსგავსება განსახილველ და მესამე პირის ნიშნებს შორის და ურთიერთკავშირი მე-14 კლასით დაცულ მაჯის საათებსა და 25-ე კლასით დაცულ ტანსაცმლის საქონელს შორის, რომელთათვისაც იყო გამოყენებული ზემოაღნიშნული ნიშნები. თუმცა, როგორც თავად განმცხადებელმა აღნიშნა, სადავო გადაწყვეტილებების 26-ე პუნქტში, სააპელაციო საბჭომ მკაფიოდ განსაზღვრა რომ ეს საქონელი 1998 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების (C-39/97, EU:C:1998:442) მიზნებისთვის ვერ იქნებოდა განხილული მსგავს საქონლად, რაც ეხებოდა იმ გარემოებებს როდესაც საქონლის ან მომსახურების მსგავსებამ შესაძლოა გამოიწვიოს აღრევა. შესაბამისად, სააპელაციო საბჭო ვერ იქნება დადანიშნულეული, რომ სადავო გადაწყვეტილებები დაფუძნებულია ფაქტობრივი გადაწყვეტილებების არასწორ შეფასებებზე, ამ საქმეში კი, აღრევის ალბათობის არსებობის შეფასებაზე.

59. საბოლოოდ, ამ ნაწილის მესამე წინაპირობასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ 2017/1001 რეგულაციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის გამოყენებისთვის აუცილებელია ადრინდელი ნიშნის რეპუტაცია, *inter alia* და ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენება განმცხადებელს დაუმსახურებლად უნდა უქმნიდეს ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებდეს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან განმასხვავებელუნარიანობას. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ამ მუხლებში მითითებული ზიანი გამომდინარეობს ადრინდელ ნიშანსა და სარეგისტრაციოდ წარდგენილ ნიშანს შორის გარკვეული დონის მსგავსებიდან, რის გამოც საზოგადოების შესაბამისი რელევანტური სექტორი აკავშირებს ამ ნიშნებს, მაშინაც როცა ეს ნიშნები არ იწვევს აღრევას (იხ. 2014 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება, *Coca-Cola v OHIM — Mitico (Master)*, T-480/12, EU:T:2014:1062, 26 პუნქტი და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

60. თუმცა, ზემოაღნიშნულ 55-ე და 56-ე პუნქტებში დაფიქსირებული მიზეზების მსგავსად, როდესაც არსებობს რეპუტაციის მქონდე ევროკავშირის ადრინდელი ნიშანი, საქმის გარემოებების საფუძველზე იგი შეიძლება ჩაითვალოს არაკეთილსინდისიერების შეფასების ერთ-ერთ რელევანტურ ფაქტორად. თუმცა, არაკეთილსინდისიერების საფუძველით ბათილად ცნობის მოთხოვნისას არ არის აუცილებელი სისტემატურად დადგინდეს ასეთი რეპუტაცია. როგორც 35-ე პუნქტშია აღნიშნული, არაკეთილსინდისიერება ეფუძნება განმცხადებლის განზრახვას განსახილველი ნიშნის სარეგისტრაციოდ წარდგენის დროისთვის. როგორც მესამე პირის მიერ აღინიშნა, ზეპირი მოსმენის დროს, ადრინდელი ნიშნის რეპუტაციაზე, ამ ნიშნის გამოყენების შედეგად, შესაძლო გავლენა არ წარმოადგენს აუცილებლად რელევანტურ პირობას.

61. ნებისმიერ შემთხვევაში, თუნდაც ვივარაუდოთ რომ მესამე პირის ნიშნების რეპუტაცია რელევანტურია წინამდებარე საქმისთვის, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის რეპუტაცია რომელიც მათ აქვთ აშშ-სა და მექსიკაში და არა ევროკავშირში, იმ გარემოებებზე დაყრდნობით რასაც მესამე პირი აღნიშნავს. თუმცა, ეს როგორც დადასტურდა ზეპირი მოსმენის სხდომებიდან, მოსარჩელე ეყრდნობა იმ პოზიციას რომ მესამე პირის ნიშნებს ნაკლებად ჰქონდათ მოპოვებული რეპუტაცია ევროკავშირში.

62. შესაბამისად, სააპელაციო საბჭომ სწორად გამოიყენა კანონი და სწორად შეაფასა გარემოებები, მიუხედავ იმისა, რომ არ იყო სახეზე ნიშნებისა და საქონლის მსგავსება, რომელიც გამოიწვევდა აღრევას და დგინდებოდა მესამე პირის ნიშნის რეპუტაცია ევროკავშირში.

63. თუმცა, სარჩელის ამ ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობების არასწორი ბუნების მიუხედავად, აუცილებელია რომ გამოკვლევულ იქნეს საქმის არსი, რამდენადაც ის მიუთითებს სააპელაციო საბჭოს შეცდომაზე, როდესაც აკავშირებს განსახილველი ნიშნით დაცულ საქონელსა და მესამე პირის მიერ რეგისტრირებული ნიშნით დაცულ საქონელს, და ისიც რომ განმცხადებლის მიერ ნიშნების სარეგისტრაციოდ წარდგენის დროისთვის არაკეთილსინდისიერების დადგენისას ეს ურთიერთკავშირი იყო რელევანტური.

64. ამ მხრივ, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებლის არაკეთილსინდისიერების დადგენისას განსახილველი ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნების გამოყენება მომიჯნავე სეგმენტის საქონელზე, იქნება რელევანტური.

65. მაშინაც კი, როდესაც იდენტური ან მსგავსი ნიშნებით დაცული საქონელი განსხვავდება, შესაბამისი ბაზრის სეგმენტების სიახლოვე, სადავო ნიშნის განმცხადებელს, აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი შეხედულებისამებრ, ისარგებლოს კეთილსინდისიერი კომერციული და ბიზნეს პრაქტიკისთვის მიუღებელი და საწინააღმდეგო სტრატეგიებით. მაგალითისთვის, ეს იქნება გამოსაყენებელი იმ შემთხვევისთვის როდესაც პროფესიონალებისთვის ან საზოგადოებისთვის, განზრახ ქმნის ასოციაციას იმ კომპანიაზე, რომელიც ფლობს ან იყენებს იდენტურ ან მსგავს ნიშანს, იმ მიზნით რომ ხელი შეუშალოს ბაზრის ამ სეგმენტზე კომპანიის გაფართოებას, როდესაც გაფართოების ასეთი ქმედებები ამ კომპანიისთვის წარმოადგენს ლეგიტიმური კომერციული გაფართოების სტრატეგიას.

66. მეორე რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო საბჭოს მსჯელობები ერთი მხრივ ეხებოდა მესამე პირის მიერ ANN TAYLOR ნიშნის გამოყენებას და მეორე მხრივ, განსახილველ ნიშანსა და ამ ნიშნებს შორის იდენტურობასა და მსგავსებას. აღნიშნული შეფასება სწორია.

67 ამ მხრივ, საკმარისია აღინიშნოს, რომ ერთი მხრივ მესამე პირის მიერ ბათილობის პროცესში წარდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, სააპელაციო საბჭოსთვის შესაძლებელი იყო დაედგინა ANN TAYLOR ნიშნის გამოყენება კომპანიის მიერ 1954 წლიდან, როგორც მინიმუმ ამერიკის შეერთებულ შტატებში, მათ შორის, ტანსაცმელთან მიმართებაში, და ისიც რომ დაახლოებით 90 ქვეყანაში იდენტურ ან მსგავს ნიშნებზე იმავე კომპანიის მიერ იყო განხორციელებული რამდენიმე რეგისტრაცია, იმავე საქონლისთვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პირმა, სარეგისტრაციოდ EUIPO-სა და რამდენიმე წევრი ქვეყნის უწყებაში წარადგინა განაცხადები ANN TAYLOR ნიშნის

იდენტური ან ძალიან მსგავსი ნიშნის რეგისტრაციაზე, ვიდრე განხორციელდებოდა სადავო ნიშნებზე განაცხადის წარდგენა.

68. უფრო მეტიც, სადავო ნიშნის სიტყვიერი ნაწილი და მესამე პირის საკუთრებაში არსებული ნიშნის სიტყვიერი ნაწილი - ANN TAYLOR არის იდენტური, და მსგავსია, ასევე, მისი სხვა ნიშნის ANNTAYLOR. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, განსხვავება მდგომარეობას მხოლოდ იმაში რომ სიტყვიერი ელემენტს 'ann'-სა და 'taylor' შორის არის დამოკიდებულება. გარდა ამისა, მართალია ისიც რომ გაუქმების განყოფილების შეფასებებიდან, რომელიც გაზიარებული იქნა სააპელაციო საბჭოს მიერ, ნათლად ჩანს, რომ სადავო გამოსახულებითი ნიშნით შექმნილი ზოგადი შთაბეჭდილება ფუნდამენტურად არ განსხვავდება მესამე პირის მიერ შექმნილი ნიშნებისგან. აღნიშნული გამომდინარეობდა იქიდან, რომ გამოსახულებით ნიშანში მთავრული ასოებით ჩართულ სიტყვიერ ნაწილს ANN TAYLOR - ნიშანში უკავია განმასხვავებელი დამოუკიდებელი და დომინანტი პოზიცია.

69. მესამე რიგში, როგორც ეს სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარეობს, იმის მიუხედავად, რომ 2017/1001 რეგულაციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნიდან გამომდინარე მე-14 კლასით გათვალისწინებული საქონელი, როგორც არის მაჯის საათები, და 25-ე კლასით გათვალისწინებული საქონელი, როგორც არის ტანსაცმელი, წარმოადგენს განსხვავებულ საქონელს, ასეთი საქონელი მიეკუთვნება ბაზრის მსგავს სეგმენტს. განსაკუთრებით ეს ეხება ფუფუნების საქონელს, როდესაც ასეთი საქონლის გაყიდვა ხორციელდება რეპუტაციის მქონე, საყოველთაოდ ცნობილი დიზაინერებისა და მწარმოებლების მიერ, და მათ მიერ შემდგომ ხორციელდება მე-14 კლასით გათვალისწინებული საქონლის, მათ შორის მაჯის საათების წარმოება (იხ. ამ მიზნით, 2015 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება *Compagnie des montres Longines, Francillon v OHIM – Cheng (B)*, T-505/12, EU:T:2015:95, 47- 49 პუნქტები და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

70. უფრო მეტიც, სასამართლოს დადგენილი პრაქტიკიდან ნათლად ჩანს, რომ მაშინაც კი როდესაც მაჯის საათებსა და სამოსს შორის ვერ ხდება ურთიერთშემავსებელი კავშირის შექმნა, საქონლის მსგავსების დადგენის მიზნისთვის, ის ფაქტი რომ ეს პროდუქტები გამოიყენება ადამიანების გარეგნობის გასაუმჯობესებლად, განაპირობებს ამ საქონელს შორის „ესთეტიკურ კომპლემენტარულობას“ (ამ მიზნით და ანალოგიით იხილეთ, 2015 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებები, *CMT v OHIM – Camomilla (Camomilla)*, T-98/13 and T-99/13, გამოუქვეყნებელი, EU:T:2015:480, 75 პუნქტი, და 2016 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება, *The Art Company B & S v EUIPO – G-Star Raw (THE ART OF RAW)*, T-593/15, გამოუქვეყნებელი, EU:T:2016:572, 42 პუნქტი).

71. შესაბამისად, სააპელაციო საბჭომ სწორად იმსჯელა, როდესაც დაადგინა კავშირი განსახილველ ნიშნებით დაცულ საქონელსა და მესამე პირის მიერ რეგისტრირებული ნიშნით დაცულ ტანსაცმელს შორის. უფრო მეტიც, სააპელაციო საბჭო სრულად იყო უფლებამოსილი მიეთითებინა მოდის დიზაინერების მიერ შეთავაზებული პროდუქტის საქონლის გაფართოების პრაქტიკაზე.

72. უფრო მეტიც, სააპელაციო საბჭომ სწორად მიიჩნია, რომ განცხადების წარდგენის დღისთვის, განმცხადებლის არაკეთილსინდისიერების დადგენის მიზნებისთვის, წინამდებარე საქმეში რელევანტურ ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ნიშნები, რომლებიც განსახილველი ნიშნების იდენტურია ან ძალიან მსგავსია, გამოიყენებოდა და დაცული იყო 1954 წლიდან მომიჯნავე ბაზარზე.

73. ამ პოზიციის გასამყარებლად მოსარჩელის მიერ მოხმობილი არგუმენტები და წარდგენილი მტკიცებულებები ასეთ დასკვნას არ აყენებს ეჭვქვეშ.

74. ერთი მხრივ, თუმცა მართალია, რომ თანაბარი მოპყრობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებიდან გამომდინარე, EUIPO-მ მსგავსი განაცხადების განხილვისას მხედველობაში უნდა მიიღოს უკვე არსებული გადაწყვეტილებები და განსაკუთრებული სიფრთხილით მიიღოს გადაწყვეტილება იმავე ან განსხვავებული წესით, იმგვარად რომ ასეთი გადაწყვეტილება შეესაბამებოდეს კანონიერების პრინციპს (ამ მიზნით და ანალოგიით იხილეთ, 2018 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება, EUIPO v Puma, C-564/16 P, EU:C:2018:509, 61 პუნქტი და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

75. მოცემულ საქმეზე, პირველ რიგში, განმცხადებელი საერთო სასამართლოს წინაშე მიუთითებს ორ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც სადავო გადაწყვეტილებების შემდგომ არის მიღებული. მაშასადამე, სააპელაციო საბჭო ვერ იქნება გაკრიტიკებული რომ არ განხორციელდა მათი გათვალისწინება. უფრო მეტიც, დადგენილი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, 2007/1001 რეგულაციის 65-ე მუხლით გათვალისწინებული საარჩელის საერთო სასამართლოს წინაშე წარდგენის მიზანი, არის სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება. გაუქმების პროცესში, სადავო ღონისძიების კანონიერების შემოწმება უნდა განხორციელდეს კონკრეტული ქმედების განხორციელების დროს არსებული ფაქტებისა და კანონმდებლობის შეფასებით. ამგვარად, სასამართლოს როლს არ წარმოადგენს ხელახლა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები, მათ წინაშე პირველად წარდგენილი მტკიცებულების გამო. (იხ. 2012 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება, Feng Shen Technology v OHIM – Majtczak (FS), T-227/09, EU:T:2012:138, 25 პუნქტი, 2013 წლის 7 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებული, Majtczak v Feng Shen Technology and OHIM, C-266/12 P, გამოუქვეყნებელი, EU:C:2013:73, 45 პუნქტი).

76. მეორე რიგში, რაც შეეხება EUIPO-ს ადრინდელ გადაწყვეტილებებს, რომელსაც ნიშნის მფლობელი დაეყრდნო რეგისტრაციების ბათილად ცნობის წარმოების პროცესში, როგორც იგი უთითებდა ასეთი გადაწყვეტილების რაოდენობა აღემატებოდა ორმოცდაათს და ყველგან დადგენილი იყო რომ მაჯის საათებსა და ტანსაცმელს შორის არის განსხვავება, თუმცა რომელიმე კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში არ უთითებდა. მსგავსი გადაწყვეტილების სააპელაციო საბჭოს მიერ მხედველობაში მიღება, ნათლად ჩანს რომ არ არის საკმარისი.

77. მესამე რიგში უნდა აღინიშნოს, რომ EUIPO-სა და საერთო სასამართლოს წინაშე მოსარჩელის მიერ ციტირებული გადაწყვეტილებები მიღებულია 2017/1001 რეგულაციის 8(1)(ბ) ან ამავე რეგულაციის 8(5) მუხლების კონტექსტიდან გამომდინარე. შესაბამისად,

ზემოთ 55-ე და 65-ე პუნქტებში მითითებული მიზეზების გამო, ეს გადაწყვეტილები არ არის რელევანტური.

78. მეორე მხრივ, მოსარჩელის არგუმენტაცია რომ ვინაიდან ნიშნები შედგება ქალბატონის სახელისა და გვარისგან, და ამიტომ განსახილველ ნიშნებსა და მესამე პირის ადრინდელ ნიშანს შორის არ არსებობს კავშირი, უნდა იქნეს უარყოფილი. როგორც ეს სააპელაციო საბჭოს სადავო გადაწყვეტილებების 25-ე პუნქტში არის სწორად აღნიშნული, ის ფაქტი რომ ინგლისურენოვან ქვეყნებში სახელი Ann და გვარი Taylor ფართოდ არის გავრცელებული, აუცილებლად არ გულისხმობს, რომ ეს სახელი და გვარი კომბინაციაში არის გავრცელებული. გარდა ამისა, როგორც სააპელაციო საბჭომ აღნიშნა, საქმეში არ არის მესამე მხარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია იმავე კომბინაციით ბაზარზე სხვა სასაქონლო ნიშნების გამოყენების შესახებ. EUIPO-ს წინაშე ბათილობის პროცესის საქმის მასალებში არსებული დოკუმენტაციიდან ასეთი გარემოება არ იკვეთება. მაშასადამე, განსახილველ ნიშნებსა და მესამე პირის ნიშნებს შორის კავშირი, რაც გულისხმობს იდენტურობას ან მალალი დონით მსგავსებას, არ სუსტდება ამ ნიშნების თანდაყოლილი განმასხვავებელუნარიანობის ხარისხით ან მათი ბაზარზე გამოყენებით.

79. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი სასარჩელო მოთხოვნის, პირველი ნაწილი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

პირველი სასარჩელო მოთხოვნის მეორე ნაწილი, რომელიც ეხება სააპელაციო საბჭოს მხრიდან დაშვებულ შეცდომას იმის შესახებ, რომ ნიშნის მფლობელმა იცოდა მესამე პირის იდენტური ან მსგავსი ნიშნების შესახებ, როდესაც სადავო ნიშნებზე იქნა წარდგენილი განაცხადები.

80. მოსარჩელის არგუმენტაცია რომ არ იყო ინფორმირებული ადრინდელი ნიშნის არსებობაზე, რომელიც შეიცავდა სიტყვიერ ელემენტებს ANN TAYLOR, რომელიც რეგისტრირებული ან გამოყენებულია მე-14 კლასით გათვალისწინებული საქონლისთვის, უნდა იქნეს უარყოფილი.

81. ეს არგუმენტი არ არის ისეთი, რომლის გამოც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ფაქტი, რომ როდესაც განსახილველი ნიშნები დარეგისტრირდა, განმცხადებელი არ იყო ინფორმირებული სასაქონლო ნიშნის ANN TAYLOR თაობაზე. როგორც ეს ნათლად ჩანს ზემოთ ხსენებული 64-ე და 78-ე პუნქტებში, სააპელაციო საბჭომ სწორად დაადგინა, რომ არაკეთილსინდისიერების დადგენისას, რელევანტურია 25-ე კლასში (ტანსაცმლისთვის) დაცული ნიშნები, კერძოდ კი მიმართება ტანსაცმელსა და მაჯის საათებს შორის.

82. მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საჩივრის მეორე და მესამე ნაწილში, მოსარჩელე დავობს მტკიცებულების ღირებულებაზე, რომელსაც სააპელაციო საბჭო დაეყრდნო, იმისთვის რომ დაედგინა მისი ინფორმირებულობა მესამე პირის ადრინდელი ნიშნების შესახებ. ეს არგუმენტაცია აუცილებლად უნდა იქნეს გამოკვლეული რამდენად იყო უფლებამოსილი სააპელაციო საბჭო დაჰყრდნობოდა ამ მტკიცებულებებს იმისთვის, რომ დაედასტურებინა განმცხადებლის მხრიდან ადრინდელი ნიშნების ცნობადობა.

83. მიმდინარე საქმეში, სააპელაციო საბჭომ დაადგინა რომ განმცხადებელი ინფორმირებული იყო მესამე პირის განსაკუთრებული უფლებების შესახებ იდენტურ და მსგავს ნიშნებზე, 25-ე კლასში შემავალი საქონლის, ტანსაცმლის მიმართ, რომელიც დადგენილი იყო შემდეგი გარემოებებით.

84. პირველ რიგში, სადავო გადაწყვეტილებების 33-37-ე პუნქტებში, სააპელაციო საბჭომ დაადგინა, რომ მესამე პირის წარმომადგენლებისგან მიღებული წერილობითი ჩვენებებიდან, რომლებიც იცავდნენ მის უფლებებს, და მესამე პირის ერთ-ერთ იურისტთან განმცხადებლის იურისტისგან ელ. ფოსტით გაგზავნილი შეტყობინებით, დასტურდება რომ განმცხადებელი კომპანიის დირექტორი, ჰოლცერი, ცდილობდა დაჰკავშირებოდა მესამე პირს იმისთვის, რომ გაფორმებულიყო სალიცენზიო ხელშეკრულება 2000 წლის დასაწყისში. სააპელაციო საბჭომ დაადგინა, რომ აღნიშნულ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ANN TAYLOR ნიშნის რეგისტრაციისთვის განაცხადის წარდგენამდე, 2003 წელს, მექსიკაში. აღნიშნულ განაცხადზე, დაყრდნობით ნიშნის მფლობელი ამართლებს ევროკავშირში ვაჭრობის გაფართოების სტრატეგიას. სააპელაციო საბჭომ დაადგინა, რომ განმცხადებელი აღიარებდა რომ მსგავს მცდელობას ჰქონდა ადგილი.

85. მეორე რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სადავო გადაწყვეტილებების 38-ე პუნქტში სააპელაციო საბჭომ აღნიშნა, რომ განსახილველი ნიშნის რეგისტრაციის თარიღამდე სამი წლით ადრე 2008 წლის 26 აგვისტოს, მესამე პირმა მიმართა კომპეტენტურ სასამართლოს და მოითხოვა განმცხადებლის სასაქონლო ნიშნის ANN TAYLOR ბათილად ცნობა, იმაზე დაყრდნობით რომ იგივე კლასის საქონლისთვის რეგისტრირებული იყო იდენტური ნიშანი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს ნიშანი რეგისტრირებული იყო ნომრით №970 460, მე-14 კლასით გათვალისწინებული საქონლისთვის.

86. მესამე რიგში, სააპელაციო საბჭომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიერ სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ელემენტის ann taylor რეგისტრაციის გამართლება იმ მითითებით, რომ ჰოლცერის დედის სახელს ემთხვეოდა არ იყო დამაჯერებელი.

87. რაც შეეხება ამ გარემოებებიდან პირველს, თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ არც EUIPO და არც მოსარჩელე არ უარყოფდა, რომ იგი მექსიკაში რეგისტრირებული ნიშნის განაცხადის წარდგენის თარიღამდე, მესამე პირთან ცდილობდა სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას. შემდგომში აღიარებს, რომ მესამე პირის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ნათელია, რომ ამ უკანასკნელის გამო ცდა წარუმატებელი გამოდგა, რაც უპატივცემლოდ იყო გამოხატული.

88. უფრო მეტიც, იმ შემთხვევაშიც თუ მოსარჩელე სადავოდ ხდის სალიცენზიო ხელშეკრულების მესამე პირთან გაფორმების მიზანს, ის ფაქტი, რომ ასეთი ცდას მოჰყვა მესამე პირის იდენტური ნიშნის სარეგისტრაციოდ წარდგენა მიუთითებს, რომ განმცხადებელი ინფორმირებული იყო მესამე პირის ადრინდელი განსაკუთრებული უფლებების შესახებ, კონკრეტულ სასაქონლო ნიშანზე.

89. ამ მითითებების სისწორე ექვეყნე არ აყენებს მოსარჩელის განმარტებას იმის შესახებ, თუ რა იყო სასაქონლო ნიშნის ANN TAYLOR არჩევანის საფუძველი მისი პირველი მექსიკაში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა და სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისთვის.

90. ამასთან დაკავშირებით, სააპელაციო საბჭომ სწორად დაადგინა რომ ჰოლცლერის დედის სახელსა, ანა ნ. დე ჰ., და ნიშანს შორის, რომელიც მსგავსი იყო ამ ადამიანის სახელის „Ana“, და სიტყვიერი ელემენტი „Ann“ არ არის საკმარისი რომ ეს ქმედებები არ ჩაითვალოს არაკეთილსინდისიერად. უფრო მეტიც, განმცხადებელმა შენიშვნის სახით დააფიქსირა, რომ სახელი „Ann“ არის ფართოდ გამოყენებადი. ანალოგიის სახით სხვა ენებზე ამ სახელის ეკვივალენტი არის სახელი - „Ana“. თუმცა, როგორც ეს ზემოთ 78-ე პუნქტში იქნა მითითებული არ არის დადგენილი რომ „Ann“ სახელისა და გვარის ‘Taylor’ კომბინაცია არის გავრცელებული. მესამე პირთან სავაჭრო ურთიერთობის წარუმატებლობის შემდგომ, განმცხადებლის მიერ ამ კომბინაციით ნიშნის რეგისტრაცია ვერ იქნება მიჩნეული შემთხვევითობად. (ამ მიზნით და ანალოგიით იხილეთ, 2016 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება, Davó Lledó v OHIM — Administradora y Franquicias América and Inversiones Ged (DoggiS), T-335/14, EU:T:2016:39, 60 და 63 პუნქტები). განმცხადებლის მიერ ზეპირი მოსმენის სხდომის ფარგლებში დაფიქსირებული განმარტებები განსახილველ ნიშნებში ელემენტის ‘taylor’ გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც გამომდინარეობს ‘tailor made’ ინგლისური გამოთქმისგან ‘tailor made’²⁰, არ იყო დაფიქსირებული EUIPO-ის საქმის მასალებში. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სასამართლოს მოვალეობას არ წარმოადგენს ხელახლა შეაფასოს EUIPO-ს სააპელაციო საბჭოს მიერ შეფასებული ფაქტობრივი გარემოებები თუ მის წინაშე პირველად წარდგენილია ახალი მტკიცებულებები (იხ 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება, Staatliche Porzellan-Manufaktur Meissen v EUIPO, C-471/16 P, გამოუქვეყნებელი, EU:C:2017:602, 25 პუნქტი და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

91. უფრო მეტიც, განმცხადებელი დავობს ერთი მხრივ, მესამე პირის წარმომადგენლების მიერ წარდგენილი წერილობითი ჩვენებების ვალიდურობაზე იმ საფუძველით, რომ იურისტები კომპანიის მიერ დაქირავებულნი არიან და მეორე მხრივ, ის დავობს ერთ-ერთი იურისტის ელექტრონული ფოსტით გაგზავნილ წერილზე, ვინაიდან მას არ ჰქონდა სრული და პირდაპირი ინფორმაცია ჰოლცლერის მიდგომებისა და მიზნების შესახებ და ამავდროულად ელექტრონულ ფოსტას ჰქონდა კონფიდენციალური ხასიათი და EUIPO-ს ზღუდავდა მხედველობაში მიეღო ეს მტკიცებულება.

92. მოცემულ საქმეზე, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობს რომ იურისტები, რომელიც წარმომადგენენ ასეთ ჩვენებებს და იცავენ მესამე პირის ინტერესებს, არიან დასაქმებულები ან სხვაგვარად დაკავშირებულები მასთან.

93. ამის საპირისპიროდ, განაცხადზე დართული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ორი იურისტი რომელთა ახსნა-განმარტებებია საქმეში, არიან F., Z., L. და Z., იურიდიული ფირმის პარტნიორები. ეს ფირმა დაფუძნებულია ნიუ იორკში (ამერიკის შეერთებული შტატები).

²⁰ შეკვეთით დამზადებული.

დანარჩენი ორი იურისტი მექსიკაში დაარსებული იურიდიული ფირმის პარტნიორები არიან, პირველი A. & L. ხოლო მეორე O. & Cia იურიდიულ ფირმებში.

94. ამიტომ აუცილებელია დავასკვნათ, რომ ეს იურისტები არიან დამოუკიდებლები და მესამე მხარეები vis-à-vis მესამე პირთან.

95. დამატებით, იურისტები ექვემდებარებიან პროფესიულ ეთიკას, რაც მათგან მოითხოვს პატიოსნებას და რისი დარღვევის შემთხვევაშიც ექვემდებარებიან დისციპლინურ სამართალწარმოებას (იხ., ამ მიზნით, 2010 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება, Akzo Nobel Chemicals and Akcros Chemicals v Commission and Others, C-550/07 P, EU:C:2010:512, 42 და 45 პუნქტები).

96. მაშასადამე, განსახილველი ჩვენებების მტკიცებულებითი ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე მესამე პირის დასაქმებულების ან მასთან რაიმე სახით დაკავშირებული პირების ჩვენებები (იხ. ამ მიზნით, 2012 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება, Süd-Chemie v OHIM – Byk-Cera (CERATIX), T-312/11, გამოუქვეყნებელი, EU:T:2012:296, 30 პუნქტი).

97. ამ ახსნა-განმარტებების შინაარსთან დაკავშირებით, რომელიც ეხება განმცხადებლის იურისტებთან კომუნიკაციას ან მათ კომუნიკაციას ჰოლცლერთან, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა დროს და რომლის დროსაც მათ ეცნობათ ის გარემოებები, რომლებშიც ჰოლცლერი ცდილობდა დაემყარებინა მესამე პირთან სავაჭრო პარტნიორობა. უნდა აღინიშნოს, ამ კომუნიკაციის გარემოებები, რომლის შესახებაც მათ შეიტყვეს, არის დამაჯერებელი, განსაკუთრებით, განმცხადებელსა და მესამე პირს შორის არსებული სხვადასხვა დავები რაც განხორციელდა განმცხადებლის მიერ მექსიკაში ANN TAYLOR შემცველი პირველი ნიშნის რეგისტრაციის დღიდან. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიკაციებს ჰქონდა ადგილი, რაც არ არის სადავოდ გამხდარი, რომელიც დადასტურებულია მათზე თანდართული დოკუმენტაციით, კერძოდ განმცხადებლის იურისტების სავიზიტო ბარათებითა და ერთ-ერთი მათგანის ელექტრონული ფოსტით.

98. უფრო მეტიც, მაშინ როდესაც ჰოლცლერის მიერ მესამე პირთან მიმართებაში არსებული მიდგომების რამდენიმე დეტალი განსხვავდება განსახილველ ახსნა-განმარტებებში დაფიქსირებულისგან, ყველა მათგანი ადასტურებს რომ ეს ქმედებები განხორციელდა 2003 წლამდე, განმცხადებლის მიერ ნიშნის რეგისტრაციის დღემდე, და მესამე პირთან იყო მცდელობა ხელშეკრულების გაფორმებისა, იმისთვის რომ განმცხადებელი ყოფილიყო უფლებამოსილი ბაზარზე ANN TAYLOR სასაქონლო ნიშნით განეთავსებინა მაჯის საათები.

99. საბოლოოდ, ჩვენებებში დაფიქსირებული ინფორმაცია, ასევე, ასახულია განმცხადებლის იურისტის ელ. ფოსტაშიც, რომელიც წარმოადგენს ამ ჩვენებებისგან განსხვავებულ დამოუკიდებელ წყაროს და ამავედროულად ადასტურებს ამ ინფორმაციას.

100. შესაბამისად, სააპელაციო საბჭომ სწორად იმსჯელა იმ ნაწილში, რომ ეს ჩვენებები იყო სანდო.

101. მეორე რიგში, განმცხადებლის იურისტის ელ. ფოსტასთან მიმართებაში, უნდა აღინიშნოს რომ მესამე პირთან მიმართებაში, ჰოლცლერის მიდგომების შესახებ ინფორმაცია უშუალოდ განმცხადებლიდან მომდინარეობს. განმცხადებელი არ დავობს იმასთან დაკავშირებით, რომ მას იურისტისთვის არ გაუზიარებია ეს ინფორმაცია. როგორც ელ-ფოსტიდან ჩანს, იურისტს მისი კლიენტის მხრიდან დაევალა მესამე პირთან ურთიერთობის მონიტორინგი. შესაბამისად, არასარწმუნოა რომ მას არ ჰქონდა ინფორმაცია ამ მიდგომებთან დაკავშირებით, რომელთა არსებობას განმცხადებელი არ ხდის სადავოს. ამავდროულად, ის ფაქტი რომ მას ირიბად ჰქონდა ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით არ ამცირებს ამ ელ-ფოსტის მტკიცებულებით ღირებულებას.

102. გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს რომ დადგენილი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, იურისტებსა და კლიენტებს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალურობა უნდა იქნეს დაცული ევროკავშირის დონეზე, იმის გათვალისწინებით რომ იურისტთან არსებული კორესპონდენცია ეხება კლიენტის დაცვას და რომ იურისტი დამოუკიდებელია (იხ. 2010 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება, Akzo Nobel Chemicals and Akros Chemicals v Commission and Others, C-550/07 P, EU:C:2010:512, 40 და 41 პუნქტები და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა). კონკურენციის საკითხებში, კომისიის გამოძიების უფლებამოსილების დროს ასეთ დაცვას აქვს კორესპონდენციის გამორიცხვის შესაძლებლობა და ამგვარად ევროკავშირის სამართლის დარღვევის ფარგლებში ჯარიმის დაწესებაზე ახორციელებს პრევენციას (2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება, Deutsche Bahn and Others v Commission, T-267/12, not published, EU:T:2016:110, 49 პუნქტი).

103. თუნდაც, ვივარაუდოთ რომ EUIPO-ს სამართალწარმოების პროცესში წარდგენილი მტკიცებულებების მიმართ გამოიყენება ეს სასამართლო პრაქტიკა, განმცხადებლის იურისტის ელ. ფოსტა, რომელიც მითითებულია 84-ე პუნქტში, გაგზავნილია მესამე პირის იურისტებისთვის. ამგვარად, ზემოთ 102-ე პუნქტში ციტირებული სასამართლო პრაქტიკის მიზნისთვის იურისტსა და მის კლიენტს შორის არსებული კომუნიკაცია, არ წარმოადგენს განხილვის საგანს. ასევე, სიმართლეს წარმოადგენს, რომ განმცხადებელი, იურისტის იმეილით გათვალისწინებული ინფორმაციის შესახებ, ინფორმირებული იყო. უნდა დავასკვნათ, რომ განმცხადებელმა არ აღნიშნა რომ საკუთარი წარმომადგენლებისთვის არ მიუცია უფლებამოსილება გაემჟღავნებინათ ინფორმაცია მესამე პირის წარმომადგენლებისა თუ უშუალოდ მესამე პირისთვის, რაც უფრო მეტიც ელ. ფოსტიდან არ ჩანს. ელ. ფოსტის ბოლოში აღნიშნული შეტყობინება, რაც როგორც წესი ბიზნეს კორესპონდენციაში გვხვდება, მიუთითებს რომ მესამე პირებისთვის ან გამოქვეყნების მიზნებისთვის კრძალავს გამჟღავნებას, თუმცა არ ზღუდავს რეგისტრაციის ბათილად ცნობის წარმოების პროცესში გამოყენებას, რომელიც ეხება უშუალოდ განმცხადებელსა და მესამე პირს.

104. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ ჰოლცლერის დამოკიდებულება მესამე პირთან მიმართებაში აღნიშნულია ელ. ფოსტის ტექსტში, და ასევე აღნიშნულია მესამე პირის იურისტების ჩვენებებში და განმეორებულია განმცხადებლის მიერ EUIPO-ში მის მიერ წარდგენილ მასალებში, რაც 87-ე პარაგრაფში იქნა აღნიშნული. ეს ინფორმაცია, ამავდროულად არ წარმოადგენდა კონფიდენციალურ ინფორმაციას.

105. შესაბამისად, სააპელაციო საბჭო უფლებამოსილი იყო გამოეთქვა მოსაზრება მესამე პირის იურისტების ჩვენებისა და ერთ-ერთი იურისტის ელ. ფოსტის ვალიდურობის შესახებ და დაასკვნა ჰოლცლერის მესამე პირთან დამოკიდებულების მიზანი სასაქონლო ნიშნის „ANN TAYLOR“ მექსიკაში რეგისტრაციამდე.

106. უფრო მეტიც, უნდა აღინიშნოს რომ განმცხადებელი სადავოდ ხდის ANN TAYLOR დაბრენდილი მაჯის საათების გამო ხელშეკრულების გაფორმების მიზნებს, თუმცა მას არ წარუდგენია რაიმე განმარტება მიზანთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა რომ ისიც იზიარებს რომ ადგილი ჰქონდა ამ ქმედებებს. ეს იქნებოდა საუკეთესო გზა დაერწმუნებინა სააპელაციო საბჭო მისი განზრახვის შესახებ და აეხსნა, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული მტკიცებულებებისა, ამ ქმედებებს არავითარი კავშირი არ ჰქონდა ANN TAYLOR ნიშნის კომერციულ გამოყენებასთან.

107. ნებისმიერ შემთხვევაში, განმცხადებელი არ ხდის სადავოდ სააპელაციო საბჭოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ 2008 წლის 26 აგვისტოს წამოწყებული რეგისტრაციის ბათილად ცნობის პროცესი დაწყებული იყო მესამე პირის მიერ, შესაბამისად, ის აუცილებლად იყო ინფორმირებული მესამე პირის ნიშნის „ANN TAYLOR“ შესახებ, რომელიც ან სიტყვიერი იყო ან შედიოდა კომბინირებულ ნიშანში, სადავო ნიშნების სარეგისტრაციოდ წარდგენის დროისთვის, შესაბამისად, ზემოაღნიშნული პროცედურის დაწყებიდან 3-4 წლის შემდეგ.

108. ზეპირი მოსმენის სხდომაზე, განმცხადებელმა სადავოდ გახადა სარჩელის ყველა ნაწილი, რომელიც მიუთითებდა განსახილველი ნიშნების სარეგისტრაციო განაცხადების წარდგენის შემდგომ მესამე პირთან კონტაქტზე. ამგვარად, განმცხადებელი აცხადებდა, რომ მას მესამე პირთან 2011 წლამდე არ ჰქონდა არავითარი კავშირი.

109. თუმცა აღნიშნული მოთხოვნები ეწინააღმდეგება განმცხადებლის მიერ საჩივარსა და EUIPO-ს წინაშე წარდგენილ არგუმენტებს, რაც პირდაპირ მიუთითებს ჰოლცლერის დამოკიდებულებაზე, რაც აღნიშნულია მესამე პირის იურისტების ჩვენებებსა და მისივე იურისტის ელ. ფოსტაში. სიმართლეა, რომ ეს ჩვენებები და განმცხადებლის იურისტთან ან ჰოლცლერთან გაცვლილი ელ-ფოსტა თავის მხრივ განხორციელებული იყო სადავო ნიშნების სარეგისტრაციოდ წარდგენის შემდგომ. თუმცა, ამ ახსნა-განმარტებებისა და ელ-ფოსტის მიხედვით, ჰოლცლერს აღნიშნული დამოკიდებულება ჰქონდა 2000-იანი წლების დასაწყისში. უფრო მეტიც, საქმის ეს მასალები არცერთ შემთხვევაში განმცხადებლის ინფორმირებულობას მესამე პირის ნიშანთან ANN TAYLOR დაკავშირებით არ აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ, ვინაიდან ამ უკანასკნელის მიერ რეგისტრაციების ბათილად ცნობის პროცესი დაწყებულ იქნა 2008 წელს. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც განმცხადებელმა თავად მიუთითა, ის 2003 წლიდან იცავდა თავს საჩივრის ავტორის მიერ წაყენებული ბრალდებებისგან.

110. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო საბჭომ სწორად მიუთითა გარემოებები, რომელიც აღნიშნულია 84-ე და 85-ე პუნქტებში და რაც ადასტურებს განმცხადებლის ინფორმირებულობას მესამე პირის სასაქონლო ნიშანზე „ANN TAYLOR“

არსებულ ადრინდელ უფლებებზე, მანამ სანამ პირველად წარადგენდა მექსიკაში სასაქონლო ნიშანს სარეგისტრაციოდ, რასაც ეყრდნობა მისი სტრატეგია ევროკავშირში სავაჭრო ბაზრის გაფართოებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სადავო გადაწყვეტილებების 32-ე პუნქტში სააპელაციო საბჭომ, მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, სწორად აღნიშნა ნიშანზე ინფორმირებულობის შესახებ, როგორცაა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში ტანსაცმლისა და აქსესუარებისთვის ნიშნის გამოყენება, ამ ეკონომიკურ სექტორში, ნიშანზე ზოგადი ცნობადობა, რაც დაკავშირებულია მოდისა და მაჯის საათების ბაზრის სიახლოვესა და ამასთან, მექსიკისა და აშშ-ს ბაზრებს შორის სიახლოვესთან. პირველი სასარჩელო მოთხოვნის, მეორე ნაწილი არ უნდა დაკმაყოფილდეს, და შესაბამისად სრულად უნდა ეთქვას უარი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

მეორე სარჩელი ეხებოდა სააპელაციო საბჭოს მიერ განმცხადებლის განზრახვის არასწორ შეფასებას.

111. მეორე სარჩელი შედგება ორი ნაწილისგან.

112 ერთი მხრივ, მოსარჩელე სადავოდ ხდის რომ მხედველობაში იქნა მიღებული ფაქტორები, რითაც დგინდება რომ განსახილველი ნიშნების მფლობელი განზრახ მოქმედებდა ამ ნიშნებს შორის ასოციაციის შექმნის მიზნით და მესამე პირის ნიშნები არ უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული, ეს არ იყო პირდაპირ მისგან გამომდინარე ან არ იყო მისი კონტროლის თუ ზეგავლენის ქვეშ.

113. მეორე მხრივ, მოსარჩელე აცხადებს, რომ სააპელაციო საბჭომ არ გაითვალისწინა სხვა გარემოებები, რაც განმარტავდა მის ქმედებას და დაადასტურებდა მის კეთილსინდ-სიერებას. ამ მხრივ, მოსარჩელე ითხოვდა, რომ პირველ რიგში ის ვერ იქნებოდა დამნაშავე მესამე პირის ნიშნის რეპუტაციით სარგებლობისთვის, რადგანაც ამ ნიშანს არ ჰქონდა ამ დონის რეპუტაცია. ასევე იმის გამოც, რომ განსახილველი ნიშნებით დაცული საქონელი განსხვავდება და ხორციელდებოდა რეალური და უწყვეტი გამოყენება. მეორე რიგში, მოსარჩელე ამტკიცებს, რომ არ არსებობს რაიმე გარემოება იმისათვის, რომ ნიშნის რეგისტრაციის მიზნად ჩაითვალოს მესამე მხარისთვის ბაზარზე შესვლაში ხელშეშლა, ვინაიდან ნიშნის რეგისტრაცია იყო ლოგიკური ნაბიჯი კომერციული სტრატეგიიდან გამომდინარე. მესამე რიგში, მოსარჩელე დავობდა რომ მესამე მხარესა და მას შორის არ იყო რაიმე ურთიერთობა და სასაქონლო ნიშნები შეიქმნა დამოუკიდებლად.

114. EUIPO და მესამე მხარე სადავოდ ხდიან ამ არგუმენტაციას.

მეორე სარჩელით გათვალისწინებული პირველი ნაწილი ეხებოდა, იმ ფაქტს, რომ არასწორად იქნა მხედველობაში მიღებული ის გარემოებები, რაც არ ეხებოდა მოსარჩელეს.

115. როგორც წინასწარი ათვლის წერტილი, უნდა იქნეს განხილული ის ობიექტური გარემოებები, რასაც სააპელაციო საბჭო დაეყრდნო, იმისთვის რომ განსაზღვრული ყოფილიყო განმცხადებლის განზრახვა განსახილველი ნიშნების სარეგისტრაციოდ წარდგენის დღისთვის.

116. სადავო გადაწყვეტილების 43-ე პუნქტში, სააპელაციო საბჭომ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ განმცხადებელს სურდა მესამე პირთან სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმება სასაქონლო ნიშნის ANN TAYLOR ქვეშ დაცული საქონლის მარკეტინგისთვის, რაც ვერ მოახერხა. ეს ქმედება პირველ რიგში მიუთითებდა იმაზე, რომ ნიშნები არ იყო რეგისტრირებული კეთილსინდისიერად.

117. უფრო მეტიც, სადავო გადაწყვეტილების 44-60-ე პუნქტებში, სააპელაციო საბჭომ აღნიშნა, რომ ის იყო უფლებამოსილი მხედველობაში მიეღო განმცხადებლის ქმედებები განსახილველი ნიშნების სარეგისტრაციოდ წარდგენის შემდგომ, იმდენად რამდენადაც არსებობდა გარემოებები, რაც ადასტურებდა რომ მისი განზრახვა არ იყო კეთილსინდისიერი.

118. ამგვარად, სადავო გადაწყვეტილებების 46-ე პუნქტში აღნიშნულია, რომ განმცხადებელს სურდა მისი საქონელი დაეკავშირებინა მესამე პირის საქონელთან და მესამე პირის Facebook გვერდზე ANN TAYLOR LOFT-ის ანგარიშით განათავსა საკუთარი Facebook გვერდის ბმული „ANN TAYLOR watches“, რითაც წარმოადგინა თავი, როგორც სასაქონლო ნიშანზე „ANN TAYLOR“ (მაჯის საათებსა და სამკაულებზე) რეგისტრაციების კანონიერ მფლობელი მექსიკაში, შვეიცარიაში, ევროკავშირში.“

119. ანალოგიურად, სადავო გადაწყვეტილებების 49-52-ე პუნქტებში, სააპელაციო საბჭომ მხედველობაში მიიღო Club Premier-ის, მოგზაურებისთვის მექსიკური ლოიალური პროგრამის, აგენტის - მოწმის ჩვენება. ეს უკანასკნელი ადასტურებდა, რომ ახორციელებდა განმცხადებლის საქონლის დისტრიბუციას. ასევე, Promologistics, რომელსაც აწვდიდნენ ANN TAYLOR-ის მაჯის საათებს, ეს ორი კომპანია განიხილავდა ANN TAYLOR-ის საქონელს, როგორც „ნამდვილს“ და მესამე მხარის მიერ ლიცენზირებულს. განმცხადებლის კომერციული დირექტორის ორ წერილში, რომელიც მიწოდებულია Promologistics-ისთვის და შემდგომ გადაგზავნილია Club Premier-ისთვის, აღნიშნულია რომ ის იყო ლიცენზიატი. სააპელაციო საბჭომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის დისტრიბუტორისთვის და კლიენტისთვის შეცდომაში შემყვანი იყო აღნიშნული ნიშნები, ვინაიდან მესამე მხარის საკუთრებაში არსებული სასაქონლო ნიშნების იდენტური იყო.

120. უფრო მეტიც, სადავო გადაწყვეტილებების 53-ე და 54-ე პუნქტებში, სააპელაციო საბჭომ, ასევე, აღნიშნა რომ მესამე პირის მიერ წარდგენილი მტკიცებულებით დასტურდებოდა რომ განმცხადებლის საქონლის მექსიკელი დისტრიბუტორი, TiempoMania, იყენებდა მესამე მხარის ელექტრონულად/ციფრულად შეცვლილ სარეკლამო მასალებს, მათ შორის, როდესაც ცნობილი მსახიობები ახორციელებდნენ ნიშნის ANN TAYLOR რეკლამირებას ტანსაცმლისთვის. ამ ქმედებებს ახორციელებდა განმცხადებლის სახელზე რეგისტრირებული მექსიკაში რეგისტრირებული ნიშნის „ANN TAYLOR“ ქვეშ არსებული მაჯის საათების რეკლამირების მიზნით. ასევე, აღნიშნა, რომ მესამე მხარის მიერ მოპოვებული TiempoMania, N. B. M - მენეჯერის, როგორც მოწმის ჩვენება, ადასტურებდა რომ ის ინფორმირებული იყო „ამერიკული ცნობილი სამოსის ბრენდის“ ANN TAYLOR-ის შესახებ, როდესაც მან პირველად განახორციელა განმცხადებლის საქონლის დისტრიბუცია. ნიშნის რეპუტაციიდან გამომდინარე, ის ვარაუდობდა რომ ეს საქონელი წარმოებული იყო

ნიშნის მფლობელის მიერ გაცემული ლიცენზიის ფარგლებში. სააპელაციო საბჭომ დაადგინა, რომ ეს მტკიცებულება დამატებით ადასტურებდა რომ განმცხადებელი ცდილობდა წარმოეჩინა რომ ის იყო მესამე პირის ლიცენზიატი.

121. უფრო მეტიც, სადავო გადაწყვეტილების 58-ე პუნქტში სააპელაციო საბჭომ დამატებით მიუთითა, რომ მესამე პირმა დაამტკიცა რომ განმცხადებელს სურდა ხელი შეეშალა სასაქონლო ნიშნის „ANN TAYLOR“ გამოყენებაში მაჯის საათებისთვის, რაც დასტურდებოდა იმითაც რომ, დაუკავშირდა ამ უკანასკნელის ლიცენზიატს, L' Amy America, იმისთვის რომ გაესაჩივრებინა ევროკავშირში ამ სასაქონლო ნიშანზე ქვე-ლიცენზია მაჯის საათების რეკლამირებისთვის. საბოლოოდ, მესამე მხარის მიერ რელევანტური მტკიცებულებებით დადგინდა, რომ მოსარჩელის პრაქტიკა იყო სასაქონლო ნიშნების მფლობელის თანხმობის გარეშე, სარეგისტრაციოდ წარედგინა განაცხადები საჯაროდ ცნობილი იდენტური ნიშნის რეგისტრაციისთვის, სამკაულებისა ან მაჯის საათებისთვის, მექსიკაში.

122. სადავო გადაწყვეტილების მე-60 პუნქტში, სააპელაციო საბჭომ მიუთითა, რომ ყველა ეს ფაქტი ადასტურებდა, თუ როგორ ცდილობდა განმცხადებელი გამოეყენებინა სასაქონლო ნიშანი „ANN TAYLOR“, იმ გზებით, რაც ეწინააღმდეგება კომერციული ქცევის სტანდარტებისთვის მისაღებ ქმედებებს.

123. აუცილებელია შეფასდეს, განმცხადებლის არგუმენტების გათვალისწინებით, სააპელაციო საბჭომ არასწორად ხომ არ დაადგინა, თუ რამდენად მიეკუთვნებოდა განმცხადებელს ეს ქმედებები.

124. პირველ რიგში, უნდა აღნიშნოს, რომ ზემოაღნიშნული 87-105-ე პუნქტებიდან როგორც იკვეთება, სააპელაციო საბჭო უფლებამოსილი იყო დაედგინა სამართლებრივი სტანდარტი მოთხოვნებთან მიმართებაში, რომ ვიდრე მექსიკაში პირველ ნიშანს „ANN TAYLOR“ წარადგენდა სარეგისტრაციოდ, განმცხადებელი შეეცადა მესამე პირის საკუთრებაში არსებული იდენტური ნიშნით, ბაზარზე მოეპოვებინა უფლება მაჯის საათებზე და ის რომ ამ უკანასკნელმა უარი უთხრა მას თანამშრომლობაზე.

125. შესაბამისად, სააპელაციო საბჭო უფლებამოსილი იყო ეს გარემოებები განეხილა, როგორც განმცხადებლის არაკეთილსინდისიერების პირველ მინიშნებად. ფაქტების შემდგომი განვითარება, იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ განმცხადებლის მიერ ნიშნის ANN TAYLOR გამოყენება ხორციელდება იმ მიზნით, რომ მაჯის საათების რეკლამირებისთვის მას ჰქონდეს სათანადო უფლება ნიშანზე და შექმნას ასოციაცია ადრინდელ ნიშანთან იდენტური ან მსგავსი ნიშნის გამოყენებით, მესამე პირის თანხმობის გარეშე, ვინაიდან თანხმობის მოპოვება ვერ მოახერხა, მიუხედავად იმისა რომ მესამე პირი ცალსახად ეწინააღმდეგებოდა სასაქონლო ნიშნის ამგვარ გამოყენებას.

126. მეორე რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ეს ზემოთ 54-ე პუნქტშია მითითებული, სადავო ნიშნის გამოყენება ადგენს იმ ფაქტორს, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ ნიშნის რეგისტრაციის განზრახვის დადგენისას, მათ შორის განაცხადის

წარდგენის შემდგომ გამოყენებისას. შედეგად, სააპელაციო საბჭომ სწორად დაადგინა, რომ ის გარემოებები, რასაც მესამე პირი ეყრდნობოდა, აღსანიშნავია, რომ განმცხადებლის მხრიდან მექსიკაში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენება ხორციელდებოდა მას შემდეგ, რაც სადავო ნიშნები იქნა წარდგენილი სარეგისტრაციოდ, და დასაზუსტებელი იყო მისი განზრახვა განაცხადების წარდგენის დროისთვის და შესაბამისად, აღნიშნული გარემოება მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული (ამ მიზნით და ანალოგიით იხილეთ, 2017 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება, *Airhole Facemasks v EUIPO — industrysurf (AIR HOLE FACE MASKS YOU IDIOT)*, T-107/16, EU:T:2017:335, 41 პუნქტი).

127. მესამე რიგში, სარეკლამო ბმული, რომელიც განთავსებული იყო მესამე პირის Facebook გვერდზე და მიუთითებდა განმცხადებლის საქონელზე, რაც 118-ე პუნქტში არის მითითებული, უნდა აღინიშნოს რომ მიუხედავად იმისა, რომ მეორე სასარჩელო მოთხოვნის კონტექსტში განმცხადებელი არ აზუსტებს, თუ რატომ არ იყო ეს ქმედება მისი კონტროლს ქვეშ, მესამე სასარჩელო მოთხოვნაში ის ამტკიცებს, რომ EUIPO-ს სამართალწარმოებაში მან წარმოადგინა ადეკვატური და გასათვალისწინებელი განმარტება ასეთი ლინკის არსებობის თაობაზე. ის ადგენს, რომ ასეთი ლინკის არსებობა განმცხადებლის მხრიდან სადავოდ არის გამხდარი, რომლის უარყოფა რთული იქნებოდა განსახილველი სამართალწარმოების ფარგლებში.

128. ეს არგუმენტი არ არის დამაჯერებელი.

129. როგორც მესამე მხარის მიერ EUIPO-ში წარდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, განსახილველი ბმული გამოქვეყნებულია „პოსტის“ სახით მესამე პირის Facebook გვერდზე, „Ann Taylor Watches“ და შეიცავდა ამ სარეკლამო მესიჯს ინგლისურ ენაზე: *There is definitely no time to waste, so take a look at our new fan page for AnnTaylor watches/ნამდვილად არ არის დასაკარგი დრო, თვალი შეავლეთ ჩვენს ფან გვერდს, AnnTaylor მაჯის საათებისთვის.*“ პოსტი, ასევე, მოიცავს ერთ-ერთ რეპროდუცირებულ საათს და მითითებას, რომ განმცხადებელი არის სასაქონლო ნიშნის ANN TAYLOR მფლობელი, სამკაულებისთვის, მექსიკაში, შვეიცარიასა და ევროკავშირში. აღნიშნული სარეკლამო ბმული როგორც ჩანს, *prima facie*, ადებულია „AnnTaylor Watches“ Facebook გვერდიდან, რომელიც მოსარჩელის კონტროლის ქვეშ არის და არ არის სადავოდ გამხდარი.

130. მიუხედავად ობიექტური გარემოებისა, მოსარჩელეს არ მიუთითებია, თუ რომელ ელემენტებზე დაყრდნობით შეიძლებოდა ვარაუდი, რომ მესამე პირმა განზრახ განათავსა ეს ბმული. ასეთი ვარაუდი იქნებოდა სპეკულაციური ხასიათის.

131. უფრო მეტიც, სადავო გადაწყვეტილების 48-ე პარაგრაფში სააპელაციო პალატამ მიუთითა რომ, ასეთი სცენარი ნაკლებად სავარაუდოა, ვინაიდან მესამე მხარე Facebook გვერდზე სხვა გვერდის მითითებით, რომელიც უფლებების დარღვევით ნაწარმოებ საქონელს არეკლამებს, წარმოადგენდა მისთვის კომერციულ რისკს.

132. აქედან გამომდინარე, უტყუარი ალტერნატიული განმარტების არ არსებობის გამო, უნდა დადგინდეს რომ სააპელაციო საბჭოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია არასწორ

გადაწყვეტილებას და სარეკლამო ბმული ეკუთვნოდა მოსარჩელეს და მოსარჩელე იყენებდა მესამე პირის Facebook გვერდს მისი საქონლის პოპულარიზაციისთვის, რომელიც იყიდებოდა ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული ნიშნის ANN TAYLOR იდენტური აღნიშვნის ქვეშ.

133. მეოთხე რიგში, Club Premier-ის აგენტი აცხადებდა მოწმის სახით დაკითხვასა და Promologistics-თან გაგზავნილ წერილებთან დაკავშირებით, რაზეც ზემოაღნიშნულ 119-ე პუნქტში არის მითითებული, უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელეს კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებია ამ მტკიცებულების სანდოობა და განმარტავდა, რომ ეს მიუთითებდა არა ჰოლცლერის ქმედებებზე, არამედ, მისი მენეჯერის, კერძოდ, მესამე პირის მოქმედებებზე, რის შესახებაც მას არ ჰქონია ინფორმაცია.

134. ამ მხრივ, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რომ, 2017/1001 რეგულაციის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, Club Premier-ის წარმომადგენლის, H.-ს, მტკიცებულება არ წარმოადგენს წერილობით ჩვენებას ამ მუხლის მიზნებისთვის, თუმცა მოწმის განცხადება არის ზუსტი და მასში აღწერილი ქმედებები დამაჯერებელია.

135. უფრო მეტიც, მოწმის ჩვენება დადასტურებულია განმცხადებლის გაყიდვების დირექტორის მიერ გაგზავნილი წერილებით Promologistics-ში. ეს დოკუმენტაცია არ არის წარმოებული მესამე პირის მოთხოვნით, განსხვავებით მოწმის ჩვენებისა, ის წარმოებულია მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ.

136. როგორც სააპელაციო საბჭომ არსებითად მიიჩნია, მოსარჩელის დისტრიბუტორის შეცდომა და მისი კლიენტის მოსაზრება სავარაუდო ლიცენზიის შესახებ, მესამე პირის სასაქონლო ნიშანზე ANN TAYLOR, მაჯის საათებისთვის, შეიძლება იქნეს განხილული, როგორც მოსარჩელის გაყიდვების დირექტორის კომერციული სტრატეგია, რომელიც გამოიხატებოდა დისტრიბუტორთან მიმართებაში.

137. EUIPO-ს საქმისწარმოების წარმოდგენილი, დირექტორის მიერ გაგზავნილი ორი წერილის მიზანი იყო Promologistics-სთვის უფლებამოსილების მინიჭება, რომ გაეყიდა და რეკლამირება განეხორციელებინა მოსარჩელის საქონლისთვის და მიეთითებინა მოსარჩელე, როგორც ლიცენზიატი და შემდეგი ბრენდების წარმომადგენელი NIVADA, RAYMOND WEIL და ANN TAYLOR.

138. ამ მხრივ, სააპელაციო საბჭომ სწორად არ გაითვალისწინა მოსარჩელის არგუმენტები, რომლებიც ერთი მხრივ, როგორც ნიშნის ANN TAYLOR მესაკუთრეს განსახილველ საქონელზე, მას ჰქონდა უფლება ამ სახით წარმოეჩინა კომპანია, და მეორე მხრივ, განსახილველი წერილები პირდაპირ არ მიუთითებდნენ მესამე პირზე. ამგვარად, რელევანტური იყო, რომ სააპელაციო საბჭოს მიერ აღნიშნულიყო რომ მოსარჩელის მხრიდან საკუთარი ორგანიზაციის, როგორც მესამე პირის ლიცენზიატის და ავტორიზებულ წარმომადგენლად წარმოჩენით, მოსარჩელე პირდაპირ მიანიშნებდა რომ მესამე პირის მიერ გაცემული უნდა ყოფილიყო ნებართვა.

139. ალტერნატიულად, ის არგუმენტი რომ განმცხადებლის გაყიდვების დირექტორის მხრიდან ადგილი ჰქონდა შეცდომას, რაც ზეპირი სხდომის დროს გამეორდა, ვერ იქნება გაზიარებული. ვინაიდან, ის პასუხისმგებლობები, რაც ამ უკანასკნელს ეკისრებოდა კომპანიაში და განსახილველი წერილების მნიშვნელობა განმცხადებლის კომერციულ საქმიანობაში, რადგანაც ეს ქმედებები წარმოადგენს დისრიბუტორისთვის უფლების მინიჭებას ბაზარზე განათავსოს და განახორციელოს მარკეტინგული ქმედებები. ბოლო პუნქტთან მიმართებაში, რთულია განვსაზღვროთ რა მიზნით გამოიყენა მოსარჩელის გაყიდვების დირექტორმა ესპანურ ენაზე ‘licenciarios y representantes autorizados’²¹-სიტყვები, არ იყო მოსარჩელე კომპანიის დირექტორების მხრიდან დადასტურებული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორი იდენტური სახის წერილი იქნა გაგზავნილი ორ წლიანი შუალედებით.

140. უფრო მეტიც, უნდა აღინიშნოს, რომ ამ წერილებში, მოსარჩელის კომპანიის გაყიდვების დირექტორი წარმოადგენს მოსარჩელეს, როგორც ლიცენზიატს და უფლებამოსილ წარმომადგენელს არა მხოლოდ ნიშანთან ANN TAYLOR მიმართებაში, არამედ ნიშანზეც RAYMOND WEIL. მოსარჩელემ EUIPO-ში წარმოებისას წარმოადგინა ამ უკანასკნელის მიერ გაცემული წერილი, რომლითაც მას ენიჭებოდა უფლებამოსილება გამოიყენებდა ეს ნიშანი. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე სააპელაციო საბჭოს წინაშე ‘licenciarios y representantes autorizados’ - სიტყვებს ვერ გამოიყენებდა იმ მიზნით, რომ, თითქოს და, ის წარმოადგენდა განსახილველი ნიშნების მესაკუთრეს.

141. მეხუთე რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ TiempoMania-ს ქმედებები და 120-ე პუნქტში ხსენებული კომპანიის მენეჯერის მოწმის ჩვენებები, რომლის ავთენტურობაც არ გამხდარა სადავოდ, ასევე, არგუმენტი რომ ეს ქმედებები ჰელცლერისგან არ მომდინარეობდა, ვერ იქნება გაზიარებული.

142. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს რომ მესამე პირის მიერ წარმოდგენილი იყო მექსიკაში დაარსებული იურიდიული ფირმის A., M. და L., დასკვნა, რომელიც ეხებოდა ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებულ საგამომიებო ქმედებებს კომპანიის სახელით. ეს დასკვნა ეხებოდა ANN TAYLOR ბრენდის მაჯის საათების მარკეტინგულ აქტივობებს.

143. ეს დასკვნა წარმოადგენს მესამე პირის იურისტების მიერ განხორციელებული გამოძიების შედეგად დადგენილ ობიექტურ და ფაქტობრივ ანგარიშს. ეს ანგარიში ეხებოდა ANN TAYLOR-ს მაჯის საათების საცალო რეალიზაციასა და მარკეტინგულ აქტივობებს, რაც ხორციელდებოდა TiempoMania-ს მიერ ონლაინ და ამ კომპანიის საცალო მაღაზიებში მექსიკაში. ის ფარავდა სარეკლამო მასალების რეპროდუცირებას, რომელსაც ეს კომპანია იყენებდა და იმ საქონელს რაც იყიდებოდა მათ მაღაზიებში.

²¹ ლიცენციატები და ავტორიზებული წარმომადგენლები

144. კერძოდ, ამ დასკვნით დგინდება ორი რეკლამირება, მითითებების შესაბამისად, TiempoMania-ს Facebook გვერდზე.

145. აქედან პირველი არის ცნობილი ამერიკელი მსახიობის, რომელიც მესამე პირის მიერ იყო გამოყენებული მარკეტინგული კამპანიის დროს 2011 წლის გაზაფხული/ზაფხულის სეზონზე და რომელიც იყო რედაქტირებული ნიშნებით ANN TAYLOR და TIEMPOMANIA და რეპროდუცირებული მაჯის საათებით, რომელზეც დატანილი იყო სასაქონლო ნიშანი ANN TAYLOR. ფოტოზე, ასევე, ასახული იყო, მაჯის საათი ზემოაღნიშნული მსახიობის ხელზე.

146. მეორე ფოტოსურათი არის სხვა ცნობილი ამერიკელი მსახიობის, რომელიც, როგორც დასკვნაშია აღნიშნული, მესამე პირის, 2013 წლის გაზაფხულის კამპანიაში იყო გამოყენებული, რასაც მარჯვენა ზედა მხარეს შავ ბანერზე და პატარა პრინტით დაემატა ნიშანი „TiempoMania“ და ცენტრში ქვედა მხარეს დიდი ფონტით ესპანურად შემდეგი სიტყვები: „15% de descuento“²² ('15% ფასდაკლება') და „solo este mes“²³ ('მხოლოდ ამ თვეში').

147. ამ ფოტოსურათების ორიგინალები და TiempoMania-ს მიერ განხორციელებული ცვლილებები დასტურდება მისივე მენეჯერის ჩვენებებით, ასევე, მათი საქმეში ჩართვით, რომელიც ეხებოდა რეგისტრაციების ბათილად ცნობის წარმოებას, რომელიც უკავშირდება, ერთი მხრივ, ზემოთ ნახსენები პირველი მსახიობის სხვა ფოტოებს, მესამე პირის 2011 წლის გაზაფხული/ზაფხული მარკეტინგული კამპანიის დროს, რომელიც TiempoMania-ს მიერ გამოყენებული სტილის იდენტურია და, მეორე მხრივ, განსახილველი ზემოთ ნახსენები მეორე მსახიობის ორიგინალ ფოტოს.

148. მეორე რიგში, როგორც TiempoMania-ს მენეჯერი აცხადებს ის ფიქრობდა, რომ მაჯის საათები რეპუტაციული ტანსაცმლის ბრენდის ANN TAYLOR-ის ნიშნის მესაკუთრის მიერ გაცემული ლიცენზიის ფარგლებში მზადდებოდა. სწორედ, ეს იყო მიზეზი ამ ნიშნის სარეკლამო მასალების გამოყენებაზე. ეს განცხადებები დამაჯერებელია, და როგორც ის ადასტურებს, დამატებით, უამრავი ცნობილი ბრენდის მაჯის საათებს ათავსებს ბაზარზე და ყიდის, რომელთა ნიშანიც თავდაპირველად ტანსაცმლისთვის გამოიყენებოდა.

149. ამ დოკუმენტების გათვალისწინებით, სააპელაციო საბჭო უფლებამოსილი იყო დაედასტურებინა ფაქტი, რომ მოსარჩელე თავს დისტრიბუტორების წინაშე წარმოაჩენდა, როგორც მესამე პირის ლიცენზიატი.

150. კერძოდ, უნდა აღინიშნოს რომ მოსარჩელე კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს TiempoMania-ს მენეჯერის კეთილსინდისიერებას, რთულია იმის ახსნა, რომ ეს კომპანია ფიქრობდა რომ იყო უფლებამოსილი, გამოიყენებინა მესამე პირის მიერ დამზადებული ორიგინალი მასალები სარეკლამო მიზნებისთვის, რომელიც გამოიყენებოდა ANN TAYLOR

²² 15% ფასდაკლება

²³ მხოლოდ ამ თვეში

ბრენდის სამოსისთვის, და კერძოდ კი ცნობილი მსახიობების სურათები, რომლებიც იღებდნენ მონაწილეობას ამ მარკეტინგულ აქტივობებში, მოსარჩელის თანხმობის გარეშე.

151. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც სააპელაციო საბჭომ აღნიშნა, მოსარჩელემ არავითარი მტკიცებულება არ წარმოადგინა, რომელიც დაადასტურებდა, რომ მან მიიღო გარკვეული ზომები რათა მისი ნიშანი არ ყოფილიყო მესამე პირის ნიშნის მსგავსი. ეს უკანასკნელი ცნობილი იყო მისი დისტრიბუტორებისთვის. ასევე, მოსარჩელეს არ გადაუდგია რაიმე ნაბიჯი, რომ TiempoMania-სთვის აეკრძალა მესამე პირის მიერ დამზადებული მარკეტინგული მასალების გამოყენება.

152. თუნდაც, როგორც მოსარჩელე აცხადებს საერთო სასამართლოს წინაშე, ის არ იყო ინფორმირებული მსგავს ქმედებებზე, რაც არ არის დამაჯერებელი, ამგვარი ცნობადობის ნაკლებობა არცერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან მიიღოს პრევენციული ღონისძიებები სამომავლოდ მესამე პირის ნიშნებთან აღრევის თავიდან არიდებასთან დაკავშირებით. მოსარჩელემ არც კი დაამტკიცა, რომ მან გადადგა მსგავსი ნაბიჯები, როგორც კი შეიტყო TiempoMania-სთან დაკავშირებული დოკუმენტების მესამე პირის მიერ რეგისტრაციის ბათილად ცნობის წარმოების პროცესში წარმოდგენაზე.

153. მეექვსე რიგში და ბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ მოსარჩელე არ დავობს რომ მან მექსიკაში სარეგისტრაციოდ წარადგინა შემდეგი საყოველთაოდ ცნობილი ნიშნები, როგორიც არის: SKAGEN, MC LAREN, MIDO ან ABERCOMBIE & FITCH, სამკაულებისა და მაჯის საათებისთვის, რაც სააპელაციო საბჭომ მიიჩნია, როგორც რელევანტური ფაქტორი, რომელიც მოსარჩელეს უკავშირდებოდა.

154. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს რომ მესამე მხარის მიერ რეგისტრაციების ბათილად ცნობის წარმოებების ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ 2003-დან 2012 წლამდე პერიოდში, მოსარჩელემ მექსიკაში წარადგინა სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციო განაცხადები შემდეგ სიტყვიერ ნიშნებზე SKAGEN, ABERCROMBIE & FITCH და MC LAREN მე-14 კლასით გათვალისწინებული საქონლისთვის, როგორიც არის მაჯის საათები და სამკაული და სიტყვიერ სასაქონლო ნიშანზე MIDO განცხადება მე-9 კლასით გათვალისწინებული საქონლისთვის, როგორიც არის სათვალეები. დოკუმენტებიდან, ასევე, დგინდება რომ იდენტური ადრინდელი ნიშნები რიგ ქვეყნებში იყო წარდგენილი, inter alia, მექსიკაში, კერძოდ მე-14 კლასით გათვალისწინებული საქონლისთვის, პირველ სამ იდენტურ ნიშანთან მიმართებაში 25-ე კლასით გათვალისწინებული საქონლისთვის. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტები მიუთითებს რომ ადრინდელი ნიშნებს, რომლებიც იყო გამოყენებაში და ხანგრძლივი დროის განმავლობაში რეგისტრირებული კონკრეტული საქონლისთვის, გააჩნდათ გარკვეული რეპუტაცია. საბოლოოდ, მესამე პირმა წარმოადგინა ადრინდელი ნიშნების მფლობელების წარმომადგენლების მოწმის ჩვენები. რაც ადასტურებდა, რომ მოსარჩელე მექსიკაში მათი თანხმობის გარეშე ახორციელებდა იდენტური ნიშნების რეგისტრაციას და მათთვის ცნობილი გარემოებების საფუძველზე, არავითარი სალიცენზიო ხელშეკრულება არ იყო გაფორმებული კომპანიასა და მოსარჩელეს შორის.

155. მოსარჩელე არ დავობდა ამ ელემენტზე, არც იმ ფაქტზე რომ ინფორმირებული იყო განსახილველი ნიშნების წარდგენის თარიღისთვის იდენტური ნიშნების არსებობის თაობაზე და რომელიც იდენტური ან მსგავსი იყო იმ საქონლისა, რომელზეც ადრინდელი ნიშნებს აქვთ რეგისტრაცია განხორციელებული ან იმ საქონელთან მიმართებაში რომელთანაც შესაძლოა ამ უკანასკნელს ჰქონდეს კორელაცია. უფრო მეტიც, როგორც სააპელაციო საბჭომ გამოიკვლია, მან არ წარმოადგინა რაიმე განმარტება ამ რეგისტრაციებზე. სააპელაციო საბჭო იყო უფლებამოსილი მიეჩნია, რომ ეს იყო განმცხადებლის საქმიანობის პრაქტიკა, საკუთარი საქონლისთვის რეპუტაციის მქონე ნიშნების გამოყენება, ამ ნიშნების მესაკუთრეებისგან თანხმობის მიღების გარეშე.

156. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი არასწორად მსჯელობს, რომ სააპელაციო საბჭომ განმცხადებლის განზრხვის შეფასებისას დაეყრდნო იმ გარემოებებს, რაც მასთან კავშირში არ იყო. მოსარჩელე მეორე სარჩელის მეორე ნაწილში, უთითებდა რომ სააპელაციო საბჭომ ვერ შეძლო განმცხადებლის კეთილსინდისიერების დამადასტურებელი გარემოებების გათვალისწინება.

157. წინამდებარე საქმეში განმცხადებელი მიუთითებს არაკეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ სასამართლოს პრაქტიკის დადგენილი გარემოებების ნაკლებობაზე, როგორც არის მაგ. რეპუტაციით სარგებლობა ან ადრინდელი ნიშნის უპირატესობით სარგებლობა (2014 წლის 8 მაისი გადაწყვეტილება, *Simca Europe v OHIM — PSA Peugeot Citroën (Simca)*, T-327/12, EU:T:2014:240, 56 პუნქტი), ნიშნის რეგისტრაცია მხოლოდ იმ მიზნით რომ მესამე პირს ხელი შეეშალოს ბაზარზე შესვლასა და საკუთარი სასაქონლო ნიშნის გამოყენებაში (2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება, *Chocoladefabriken Lindt & Sprüngli*, C-529/07, EU:C:2009:361, 44 პუნქტი), ფინანსური კომპენსაციის მოთხოვნის ფაქტი (2014 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება, *Simca*, T-327/12, EU:T:2014:240, 72 პუნქტი), ასევე, განსახილველი ნიშნის შექმნის გარემოებები, ნიშნის გამოყენება მისი შექმნიდან, კომერციული ლოგოკა, რაც განსაზღვრავს ნიშნის როგორც ევროკავშირის სასაქონლო ნიშნად სარეგისტრაციოდ წარდგენას და იმ ქმედებების ქრონოლოგიას, რაც წინ უსწრებდა განაცხადის წარდგენას.

158. ამ მხრივ, პირველ რიგში, ზემოაღნიშნულ 52-ე პუნქტში დადგენილი სასამართლო პრაქტიკიდან ნათლად ჩანს, ელემენტის ნაკლებობა, კერძოდ საქმის კონტექსტიდან ან საკითხიდან გამომდინარე, მართლმსაჯულების სასამართლომ ან საერთო სასამართლომ განმცხადებლის არაკეთილსინდისიერების დადგენის რელევანტურობისთვის აღნიშნა, რომ აუცილებელი არ არის განმცხადებლის მხრიდან სასაქონლო ნიშანთან მიმართებაში არაკეთილსინდისიერება გამოიხატებოდეს სხვადასხვა გარემოებებში. როგორც ეს ზემოთ 53-ე პუნქტში არის მითითებული, „არაკეთილსინდისიერების“ კონცეფცია 2017/1001 რეგულაციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის ვერ იქნება შეზღუდული გარკვეული კატეგორიის გარემოებებით.

159. მეორე რიგში, იმის საწინააღმდეგოდ რასაც განმცხადებელი ითხოვს, ორივე გარემოება, განსახილველი ნიშანი რის გამოც შეიქმნა და კომერციული ლოგიკა, არაკეთილსინდისიერების დადგენისთვის წარმოადგენს რელევანტურ ფაქტორს.

160. ვინაიდან, როგორც მოსარჩელე მიუთითებს, განსახილველი ნიშნების მიზანია დაიცვას იდენტური სასაქონლო ნიშნები, რაც მექსიკაში იქნა პირველად წარდგენილი. სააპელაციო საბჭომ სწორად მიიღო მხედველობაში ის გარემოებები, თუ როგორ შეიქმნა ეს ნიშნები, როგორ ხდებოდა მათი გამოყენება, ბიზნეს ლოგიკა, რაც ემყარება გამოყენებას და ის შემთხვევები, რაც დასრულდა სარეგისტრაციო განაცხადის წარდგენით. როგორც 124-ე დან 155-ე პუნქტებით დგინდება, სააპელაციო საბჭო უფლებამოსილი იყო, ერთი მხრივ, მოსარჩელის პირველი ნიშნის ANN TAYLOR შექმნის განმაპირობებელი შემთხვევების თანმიმდევრობით დგინდება, რომ მისი განზრახვა იყო მესამე პირის იდენტური ნიშნის გამოყენება მისი თანხმობის გარეშე ასოციაციის შექმნის მიზნით, და მეორე მხრივ, გამოყენებიდან, სავაჭრო სტრატეგიის იმპლემენტაცია, რომლის ეფექტიც იყო ამგვარი ასოციაციის წამოშობა.

161. ის ფაქტი რომ, ამგვარი გარემოებები პირდაპირ არ ეხება განსახილველი ნიშნის სარეგისტრაციოდ წარდგენას და მათ გამოყენებას ევროკავშირის ტერიტორიაზე, არ არის რელევანტური, ვინაიდან განმცხადებელმა არ წარმოადგინა არავითარი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა რომ მექსიკაში ნიშნის სარეგისტრაციოდ წარდგენა და გამოყენება განპირობებული იყო სხვა მიზნებით. პირიქით, მოსარჩელის განცხადებების თანახმად, განსახილველი ნიშნების რეგისტრაცია წარმოადგენდა მის კომერციულ სტრატეგიას, რომ ადრინდელი მექსიკაში რეგისტრირებული ნიშნების დაცვა გაეხანგრძლივებინა.

162. მესამე რიგში, განმცხადებლის არგუმენტი, რომ ის არ შეიძლება გაკრიტიკებულიყო მესამე პირის რეპუტაციის მქონე ნიშნის ANN TAYLOR სარგებლობის გამო, როდესაც ასეთი რეპუტაცია არ არსებობს ვერ იქნება გაზიარებული.

163. პირველ რიგში, მტკიცებულება, რასაც დაეყრდნო სააპელაციო საბჭო, ალტერნატიული დამაჯერებელი განმარტების არ არსებობის დროს, აჩვენებს, რომ მესამე პირის ამერიკული ნიშანსა ANN TAYLOR და მოსარჩელის იდენტური მექსიკური სასაქონლო ნიშნის ასოციაციის გამოყენება, წარმოადგენს ამ უკანასკნელის კომერციულ სტრატეგიას. შესაბამისად, უნდა მიეთითოს, რომ მოსარჩელე იზიარებდა შეხედულებას, რომ მას ჰქონდა ინტერესი ასეთი გამოყენებისა, იმის მიუხედავად მესამე პირის სასაქონლო ნიშნის რეპუტაცია დადგინდება თუ არა.

164 ერთი მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პირმა სასაქონლო ნიშანზე ANN TAYLOR ან მის მსგავს სასაქონლო ნიშნებზე განაცხადი წარადგინა EUIPO-ში და წევრი ქვეყნების უფლებამოსილ ორგანოებში, მანამ სანამ განხორციელდებოდა სადავო ნიშნებზე განაცხადების წარდგენა. უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პირმა წარმოადგინა მტკიცებულებები, რაც ადასტურებდა გაერთიანებულ სამეფოში მოდის სფეროს გარკვეული პროფესიონალების მიერ ნიშნის ცნობადობასა და ევროკავშირში ამ ნიშნის ქვეშ საქონლის

მომხმარებლების მიერ შეძენას. ამ მტკიცებულებით დასტურდება მესამე პირის მიერ კომერციული სტრატეგიის განვითარება ევროკავშირის მომხმარებლებისთვის. ამრიგად, ისინი არ იძლევიან შესაძლებლობას, რომ სააპელაციო საბჭოს მოსაზრებები დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ. განსახილველი ნიშნების სარეგისტრაციოდ წარდგენა კომერციული სტრატეგიაა, წარმოშოს ასოციაცია მესამე პირის ნიშნთან ANN TAYLOR, რაც ეფუძნება მესამე პირის ნიშნების მექსიკაში რეგისტრაციასა და გამოყენებას, რისი მიზანიც არის დაცვის ფარგლების გაფართოება.

165. მეოთხე რიგში, ის ფაქტი რომ მესამე პირს არ წარუდგენია მაჯის საათებისთვის სიტყვიერი ელემენტის ANN TAYLOR შემცველი სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციო განაცხადი ევროკავშირში ან ეროვნული ნიშნის განაცხადის წევრ ქვეყანაში, განსახილველი ნიშნების წარდგენამდე, წინამდებარე საქმეზე არ ახდენს გავლენას. ერთი მხრივ, ეს გამომდინარეობს 64-ე და 65-ე პუნქტებში აღნიშნული მოსაზრებებიდან, რომ შესაძლოა რელევანტური იყოს იდენტური ან მსგავსი ნიშნები იმ საქონლისთვის, რომელიც ეკუთვნის მომიჯნავე ბაზრის სეგმენტს, იმ შემთხვევაშიც თუ ადგილი არ აქვს აღრევის შესაძლებლობას 2017/1001 რეგულაციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ დადგინდეს განმცხადებლის არაკეთილსინდისიერება განსახილველი ნიშნების სარეგისტრაციოდ წარდგენის თარიღისთვის. მეორე მხრივ, როგორც ეს 69-ე და 78-ე პუნქტებში აღინიშნა, სააპელაციო საბჭომ დაადგინა კორელაცია განსახილველ ნიშნებსა, რომელიც რეგისტრირებული იყო მაჯის საათებისთვის, და მესამე პირის ნიშნებს შორის, რომელიც დაცული იყო 25-ე კლასის საქონლისთვის (ტანსაცმელი).

166. მეხუთე რიგში, არც ის ფაქტი, რომ მოსარჩელე არ ითხოვდა მესამე პირის მხრიდან ფინანსურ კომპენსაციას, ან თუნდაც რომ დადგენილად მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ადგილი ჰქონდა განსახილველი ნიშნების რეალურ და უწყვეტ გამოყენებას, ამ საქმის გარემოებების გათვალისწინებით, არ ასახავს რომ რეგისტრაციას ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი. სააპელაციო საბჭო, განმცხადებლის არაკეთილსინდისიერების შეფასებისას არ ცდილობს დაუკავშიროს მესამე პირის მიმართ ფინანსური კომპენსაციის მოთხოვნას ან წმინდად სპეკულაციურად ნიშნის რეგისტრაციას, არამედ, ნიშნის ANN TAYLOR მესამე პირის თანხმობის გარეშე მითვისების განზრახვას, რომ წარმოეშვა ადრინდელ იდენტურ ან მსგავს ნიშნებთან ასოციაცია.

167. მეექვსე რიგში, იმის საწინააღმდეგოდ, რასაც მოსარჩელე ითხოვს, ის ფაქტი, რომ მექსიკაში განსახილველი ნიშნების სარეგისტრაციოდ წარდგენა წარმოადგენდა მის კომერციულ სტრატეგიას და დაცვის გაფართოებას, ნამდვილად არ არის საკმარისი განზრახვების ლეგიტიმური ბუნების დასამტკიცებლად, რაც ჰქონდა განაცხადის წარდგენის დღისთვის. ვინაიდან, როგორც 160-ე და 161-ე პუნქტებში აღინიშნა, მექსიკაში განსახილველი სასაქონლო ნიშნებზე განაცხადების წარდგენა და გამოყენება თავის მხრივ წარმოადგენს არაკეთილსინდისიერ სტრატეგიას, რაზეც მესამე პირს აქვს უფლებები.

168. მეშვიდე რიგში, განმცხადებლის არგუმენტაცია არ უნდა იქნეს გაზიარებული, რომ მხოლოდ ცალკე აღებული დაუსაბუთებელი ქცევა წარმოადგენს დაბრკოლებას მესამე პირთან ან მასთან დაკავშირებულ კომპანიასთან მიმართ.

169. ერთი მხრივ, ის ფაქტი, რომ მოსარჩელე, მისი სამართლებრივი წარმომადგენლების მეშვეობით, დაუკავშირდა L'Amy America-ს იმ მოთხოვნით, რომ ნიშნით ANN TAYLOR მონიშნული მაჯის საათებისა და სამკაულების მარკეტინგული აქტივობები შეეწყვიტათ სხვადასხვა ტერიტორიაზე, მათ შორის ევროკავშირში, მომდინარეობს ადვოკატისგან, რომელიც იცავს მესამე პირის ინტერესებს და ეს არ არის მოთხოვნა, რომელსაც არ აქვს მტკიცებულებითი ღირებულება. როგორც ეს ზემოთ 92-ე პუნქტში იქნა აღნიშნული, EUIPO-ს წინაშე საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი ისეთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა რომ მესამე პირის წარმომადგენელი იურისტები, რომელთა ჩვენებებიც არის საქმეში, არიან დასაქმებულები ან დაკავშირებული სხვაგვარად. წინამდებარე საქმეში, იურისტი, რომელმაც აღნიშნა რომ განმცხადებლის წარმომადგენლებს და L'Amy America შორის, როგორც აღნიშნა მისი მოწმის ჩვენებაში, მას იურიდიულ ფირმაში ჰყავს პარტნიორი F. Z., L. და Z., რომელიც მესამე პირის ინტერესებს იცავს 2013 წლის აპრილიდან. უფრო მეტიც, ამ იურისტის მიერ აღნიშნული ფაქტები არის დამაჯერებელი. ის აღნიშნავს, რომ მოსარჩელის წარმომადგენლები პირველად მას დაუკავშირდნენ, რომ გამოეხატათ მოსარჩელის სურვილი მესამე პირსა და L'Amy America-ს შორის ხელშეკრულების გაფორმებაზე, ნიშნით „ANN TAYLOR“ მონიშნულ მაჯის საათების მარკეტინგულ აქტივობებთან დაკავშირებით სხვადასხვა ტერიტორიაზე, ევროკავშირის ტერიტორიის შესაძლო გათვალისწინებით, ვიდრე ოფიციალურად შეტყობინების წერილი მიეწოდებოდა კომპანიას. მესამე პირის იურისტთან ამგვარი კონტაქტები დასტურდება მოსარჩელის იურისტის მიერ გაგზავნილი 2013 წლის 24 მაისის ელექტრონული წერილით, როგორც ეს 91-ე პუნქტშია აღნიშნული, სადაც ის ძველ ელექტრონულ ფოსტაზე მიუთითებს, რათა დაადასტუროს, რომ მესამე პირს არ აქვს სასაქონლო ნიშნით „ANN TAYLOR“ მონიშნული მაჯის საათების ტრანზიტი ევროპაში და ითხოვს, რომ წარედგინოს მტკიცებულების სახით, კომპანიასა და L'Amy America-ს შორის სალიცენზიო ხელშეკრულება, ამ ნიშნით მონიშნული მაჯის საათების რეალიზაციასთან დაკავშირებით.

170. ნებისმიერ შემთხვევაში, მოსარჩელის იურისტის 2013 წლის 24 მაისის ელექტრონული ფოსტა ადასტურებს, რომ ნაბიჯები იქნა გადადგმული, რათა გაეპროტესტებინათ, მესამე პირსა და მესამე კომპანიას შორის სალიცენზიო ხელშეკრულება, რომელიც დაკავშირებული იყო სასაქონლო ნიშნით „ANN TAYLOR“ მონიშნული მაჯის საათების მარკეტინგულ აქტივობებთან ევროკავშირში, რასაც მოსარჩელე არ ხდის სადავოდ, და ამტკიცებს რომ ის არასდროს ცდილობდა შეეზღუდა მესამე პირი ტანსაცმლის ბაზარზე.

171. მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ ეს ნაბიჯები წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტს, რომელიც ცალკე ვერ ადგენს მოსარჩელის განზრახვას წარადგინოს მოთხოვნა ნიშანზე ANN TAYLOR, ადასტურებს, რომ ასეთი განზრახვა ეფუძნება სხვა ობიექტურ და თანმიმდევრულ მტკიცებულებებს. თუნდაც, მსგავსი ნაბიჯები, რომ სხვა სიტყვებით „იზოლირებულად“ განვიხილოთ, ეს ფაქტი არ არის გადამწყვეტი ამ საქმისთვის.

172. უფრო მეტიც, უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პირს არც დაუდასტურებია და არც უარყვია L'Amy America-სთან სალიცენზიო ხელშეკრულების არსებობა და მისი შინაარსი, ასეთი ხელშეკრულება, რომელიც ეხება მარკეტინგულ აქტივობებს მაჯის საათებსა და სხვა აქსესუარებს, როგორც არის სამკაული და მზის სათვალეები. ეს ქმედებები მისი მხრიდან

ლეგიტიმური კომერციული ლოგოს ნაწილი იქნებოდა. როგორც ეს ზემოთ 71-ე პუნქტში აღინიშნა, კომპანიამ ადრე, წარსულში, უკვე გააფართოვა მისი საქმიანობის ბაზრის სეგმენტები მოდის სექტორისთვის დამახასიათებელი პრაქტიკის შესაბამისად. მოსარჩელე ვერ ხდის სადავოდ ამ ანალიზს, ვინაიდან, მესამე პირის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება ადასტურებს, რომ აუცილებელი სამართლებრივი სტანდარტის შესაბამისად, ის ცდილობდა რომ ამ უკანასკნელთან გაფორმებულიყო სალიცენზიო ხელშეკრულება იგივე შინაარსით.

173. შედეგად, სააპელაციო საბჭო უფლებამოსილი იყო გაეზიარებინა შეხედულება, რომ 169-ე და 170-ე პუნქტებში აღნიშნული განმცხადებლის მიერ განხორციელებული ნაბიჯები ადასტურებს მის განზრახვას რომ ხელი შეუშალოს ნიშანს ANN TAYLOR გავრცელდეს მაჯის საათებზე ევროკავშირის ტერიტორიაზე, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ლეგიტიმურ კომერციულ სტრატეგიას. პირიქით, ვინაიდან დადასტურდა რომ სადაო ნიშნების რეგისტრაცია წარმოადგენდა არაკეთილსინდისიერ მიზანს, მესამე პირის თანხმობის გარეშე, ნიშნის ANN TAYLOR მითვისება და ამ უკანასკნელის იდენტური და მსგავსი ნიშნების მიმართ ასოციაციის ჩამოყალიბება. განმცხადებლის მცდელობა ხელი შეეშალა პროცესისთვის, ვერ იქნება მიჩნეული რომ განსახილველი ნიშნებს იცავდა ლეგიტიმური მიზნებისთვის, იდენტური ან მსგავსი ნიშნის გამოყენება არაკეთილსინდისიერი მიზნით ბაზრის ახალი მოთამაშის მიერ (ამ მიზნით და ანალოგიით იხილეთ, 2009 წლის 11 ივნისი გადაწყვეტილება, *Chocoladefabriken Lindt & Sprüngli*, C-529/07, EU:C:2009:361, 46 – 49 პუნქტები).

174. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მეორე სასარჩელო მოთხოვნის მეორე ნაწილი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, მეორე სასარჩელო მოთხოვნაზე სრულად უნდა ეთქვას უარი. მესამე სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც ეხებოდა სააპელაციო საბჭოს მხრიდან არასწორ შეფასებას მესამე პირის მიერ წარდგენილი მტკიცებულების ღირებულების ნაწილში, ბათილობასთან დაკავშირებით განაცხადის წარდგენას და მტკიცების ტვირთს.

175. მოსარჩელე ამტკიცებს, რომ სააპელაციო საბჭოს დასკვნები დაფუძნებულია უმნიშვნელო, საეჭვო და სუსტ მტკიცებულებებზე და სააპელაციო საბჭომ მოსარჩელეს დააკისრა ნეგატიური შემთხვევების დადასტურების მტკიცების ტვირთი, რაც უტოლდება *probatio diabolica*-ს.

176. EUIPO და მესამე პირი სადავოდ ხდიან ამ არგუმენტებს.

177. ამასთან დაკავშირებით, საკმარისია აღინიშნოს, რომ როგორც პირველი ორი სასარჩელო მოთხოვნის გამოკვლევის ანალიზი ადასტურებს, სააპელაციო საბჭოს დასკვნები რაზე დაყრდნობითაც არის მიღებული გადაწყვეტილება, ვერ იქნება განხილული უმნიშვნელო, საეჭვო და სუსტ მტკიცებულებებზე.

178. პირველ რიგში, ეს გამომდინარეობს 91-103-ე პუნქტებიდან, საიდანაც ჩანს რომ მოსარჩელემ არ წარმოადგინა ის მტკიცებულება, რომლითაც დაანახებდა სააპელაციო საბჭოს, რომ ჰოლცლერის მცდელობა სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმებაზე არ იყო გადამწყვეტი ან ეს მტკიცებულება, რომ არ უნდა ყოფილიყო სააპელაციო საბჭოს მიერ მხედველობაში მიღებული.

179. უფრო მეტიც, როგორც ეს 126 -152-ე პუნქტებიდან გამომდინარეობს, სააპელაციო საბჭომ სწორად მიიჩნია, რომ კომერციული გამოყენების მიზნით მესამე პირის მიერ წარდგენილი მტკიცებულება მოსარჩელის მიერ მექსიკური ნიშნის ANN TAYLOR გამოყენება მისგან გამომდინარეობდა. ანალოგიურად, 153-155-ე და 169-176-ე პუნქტებიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საბჭო უფლებამოსილი იყო მიეჩნია, რომ ეს დასტურდებოდა იმ მტკიცებულებებით, რომელიც ერთი მხრივ, ეხებოდა რეპუტაციის მქონე ადრინდელი სასაქონლო ნიშნების იდენტურ ნიშნებზე სარეგისტრაციო განაცხადების წარდგენას, მათი მესაკუთრეების თანხმობის გარეშე, და მეორე მხრივ, ევროკავშირში ANN TAYLOR-ს მაჯის საათებისთვის გამოყენებასთან დაკავშირებით გადადგმულ ნაბიჯებს.

180. შესაბამისად, მოსარჩელეს არ შეუძლია განაცხადოს, რომ სააპელაციო საბჭომ შეცალა მტკიცების ტვირთის გადანაწილება და დაავალა მას ისეთი მტკიცებულების წარდგენა, რაც შეუძლებელი იყო რომ წარმოედგინა.

181. მართალია, რომ როგორც მოსარჩელე მიუთითებს, საჩივრის ავტორის მიერ ბათილობის მოთხოვნასთან მიმართებაში სწორედ ის არის ვალდებული დაადგინოს გარემოებები, რაც დაადასტურებს განმცხადებლის არაკეთილსინდისიერებას განსახილველი ნიშნის სარეგისტრაციოდ წარდგენისას. თუმცა, როგორც 36-ე პუნქტში აღინიშნა, ამ უკანასკნელისთვის, საუკეთესო შემთხვევაში დამაჯერებელი ახსნა-განმარტების EUIPO-ს წინაშე წარდგენა და მისი დარწმუნება, რომ მას ჰქონდა ლეგიტიმური განზრახვა. წინამდებარე საქმეში, სადაც ასეთი ობიექტური გარემოებებია, და მოსარჩელეს არ წარუდგენია დამაჯერებელი განმარტება იმისთვის რომ სააპელაციო საბჭოს შესძლებოდა, მიუხედავად არსებული გარემოებებისა, დაედგინა რომ განსახილველ ნიშნებზე სარეგისტრაციო განაცხადების წარდგენა გამომდინარეობდა ლეგიტიმური განზრახვიდან.

182. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მესამე სასარჩელო მოთხოვნა უარყოფილ უნდა იქნეს, და შედეგად სრულად უნდა ეთქვას უარი.

ხარჯები

183. საერთო იურისდიქციის სასამართლოს საპროცესო წესების 134-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წაგებულ მხარეს ეკისრება ხარჯების ანაზღაურება, თუ აღნიშნული მითითებული იყო მოგებული მხარის შუამდგომლობაში.

184. ვინაიდან, განმცხადებლის მოთხოვნები წინამდებარე საქმეში არ დაკმაყოფილდა, მას უნდა დაეკისროს EUIPO-სა და მესამე პირის მიერ გაწეული ხარჯები, იმ ფორმით, როგორც იქნა მოთხოვნილი მათ მიერ.

აღნიშნულ საფუძვლებზე დაყრდნობით საერთო სასამართლომ (მეხუთე პალატა) არ დააკმაყოფილა მოსარჩელის არცერთი მოთხოვნა.

12/09/2019, C-104/18P, STYLO&KOTON (გამოსახულებითი)

სასამართლოს გადაწყვეტილება (მეხუთე პალატა)

2019 წლის 12 სექტემბერი (*)

(აპელაცია - ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი - №207/2009 რეგულაცია (EC) - ბათილობის აბსოლუტური საფუძვლები - მუხლი 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი - სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციოდ განაცხადის წარდგენის დროისთვის არაკეთილ-სინდისიერება)

C-104/18 P საქმეზე,

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს დებულების 56-ე მუხლის თანახმად აპელაცია წარდგენილ იქნა 2018 წლის 13 თებერვალს

Koton Mağazacılık Tekstil Sanayi ve Ticaret AŞ, დაარსებული სტამბულში (თურქეთში), წარმოდგენილი ჯ. გუელ სიერასა და ი. სტოიანოვ ედისსონოვის, ადვოკატების სახით

აპელანტი,

სამართალწარმოების სხვა მხარეები:

ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO), წარმოდგენილი ჯ. კრესპო კარილლოს მიერ, მოქმედი, როგორც აგენტი

პირველ ინსტანციაში მოპასუხე,

ჯოაქუინ ნადალ ესტებანი, მცხოვრები ალკობენდაში (ესპანეთი) წარმოდგენილი ადვოკატის ჯ.ლ. დონოსო რომეროს მიერ

მესამე პირი პირველი ინსტანციის სასამართლოში,

სასამართლო (მეხუთე პალატა),

დაკომპლექტებული შემდეგი მოსამართლეების მიერ: პალატის პრეზიდენტის ე. რეგანის, და მოსამართლეების ს. ლაიურგოს, ი. ჟუჰასზის, მ. ილესიჩის (მომხსენებელი) და ი. ჯარუკაიტის მიერ

სასამართლოს გენერალური მრჩეველი: ჯ. კოკოტ

მარეგისტრირებელი: ძირითადი ადმინისტრატორი ლ. ჰველეტი,

წერილობით პროცედურის გათვალისწინებით და შემდგომში 2018 წლის 6 დეკემბრის სხდომასთან დაკავშირებით, 2019 წლის 4 აპრილს სასამართლოს გენერალური მრჩევლის მოსაზრების მოსმენის შემდგომ,

იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას

1 Koton Mağazacılık Tekstil Sanayi ve Ticaret AŞ საჩივრით ითხოვდა ევროკავშირის საერთო სასამართლოს მიერ 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებას, საქმეზე Koton Mağazacılık Tekstil Sanayi ve Ticaret v EUIPO — Nadal Esteban (STYLO & KOTON) (T-687/16, გამოუქვეყნებელი, „გასაჩივრებული გადაწყვეტილება“, EU:T:2017:853), სადაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) სააპელაციო საბჭოს მეორე კოლეგიის 2016 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე სარჩელი (Case R 1779/2015-2), რომელიც ეხებოდა ბათილობის სამართალწარმოებას Koton Mağazacılık Tekstil Sanayi ve Ticaret AŞ და ჯოაქუინ ნადალ ესტებანს შორის („გასაჩივრებული გადაწყვეტილება“).

სამართლებრივი კონტექსტი

2. სასაქონლო ნიშანზე [ევროკავშირი] 2009 წლის 26 თებერვლის №207/2009 საბჭოს რეგულაციაში (EC) (OJ 2009 L 78, გვ. 1), რომელმაც გააუქმა და ჩაანაცვლა 1993 წლის 20 დეკემბრის კავშირის სასაქონლო ნიშნის შესახებ საბჭოს რეგულაცია (OJ 1994 L 11, გვ. 1), ცვლილებები შევიდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 16 დეკემბრის (OJ 2015 L 341, p. 21) 2015/2424 რეგულაციით. ეს ცვლილებები ამოქმედდა 2016 წლის 23 მარტს. შემდგომში იგი გაუქმდა და შეიცვალა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 14 ივნისის რეგულაციით (EU) 2017/1001 ევროკავშირის სასაქონლო ნიშანზე (OJ 2017 L 154, გვ. 1), რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 ოქტომბრიდან.

3. წინამდებარე საქმეში, ვინაიდან 2016 წლის 23 მარტამდე იქნა წარდგენილი, როგორც სადავო ნიშნის განაცხადი, ასევე, ამ ვადამდე იქნა გამოტანილი მისი რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილება და წარდგენილ იქნა მისი ბათილობის შესახებ განცხადება, წინამდებარე დავა განხილულ უნდა იქნეს №207/2009 რეგულაციის თავდაპირველი ვერსიით.

4. ამ რეგულაციის მე-7 მუხლი, უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები, ითვალისწინებს რომ ნიშნები, რომლებსაც აქვს გარკვეული ხარვეზები, როგორიცაა აღწერილობითი ხასიათი ან არაგანმასხვებელუნარიანობა, ვერ იქნება რეგისტრირებული ევროკავშირის სასაქონლო ნიშნებად.

5. ამ რეგულაციის მე-8 მუხლი, „უარის თქმის შედარებითი საფუძვლები“, შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული:

„1.ადრინდელი ნიშნის მფლობელის მიერ საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, სასაქონლო ნიშანი, რომლის რეგისტრაციაც არის მოთხოვნილი, არ რეგისტრირდება:

(ა) თუ ის უფრო ადრინდელი სასაქონლო ნიშნის იდენტურია, ხოლო საქონელი, რომლისთვისაც მოითხოვება რეგისტრაცია, იდენტურია იმ საქონლისა ან მომსახურებისა, რისთვისაც დაცულია ადრინდელი სასაქონლო ნიშანი;

(ბ) თუ სასაქონლო ნიშანი ადრინდელი სასაქონლო ნიშნის იდენტურია ან მსგავსია, ხოლო საქონლის ან მომსახურების იდენტურობის ან მსგავსების გამო შესაძლოა საზოგადოების მხრიდან აღრევა იმ ტერიტორიაზე, სადაც დაცულია ადრინდელი სასაქონლო ნიშანი; აღრევის შესაძლებლობა მოიცავს ადრინდელ სასაქონლო ნიშანთან ასოცირებასაც.

2. პირველი პუნქტის მიზნებისთვის „ადრინდელი სასაქონლო ნიშანი“ ნიშნავს:

(ა) სასაქონლო ნიშანს, სარეგისტრაციო განაცხადის შეტანის თარიღით, რომელიც წინ უსწრებს განცხადებული ნიშნის სარეგისტრაციო განაცხადის შეტანის თარიღს, საჭიროებისამებრ, პრიორიტეტის თარიღის მხედველობაში მიღებით.

(i) [ევროკავშირის] სასაქონლო ნიშნები;

(ii) წევრ ქვეყანაში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები ...;

(iii) საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები, რომლებიც მოქმედებს წევრ ქვეყანაში;

(iv) საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები, რომლებიც მოქმედებს [ევროკავშირში] ...;

5. უფრო მეტიც, მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადრინდელი სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, არ რეგისტრირდება ის სასაქონლო ნიშანი, რომელიც ადრინდელი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია და საქონელი ან მომსახურება, რომლის რეგისტრაციაც მოთხოვნილია, არ არის ადრინდელი სასაქონლო ნიშნის საქონლის ან მომსახურების მსგავსი, როდესაც [ევროკავშირის] ადრინდელ სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში, სასაქონლო ნიშანს აქვს რეპუტაცია [ევროკავშირში] და, ეროვნული სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში, სასაქონლო ნიშანს აქვს რეპუტაცია წევრ ქვეყანაში და კანონიერი საფუძვლის გარეშე სარეგისტრაციოდ წარდგენილი სასაქონლო ნიშნის გამოყენებით დაუმსახურებელი უპირატესობით ისარგებლებს, ან ზიანს მიაყენებს ადრინდელი სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობას ან რეპუტაციას.“

6. №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლი, დასახელებით „ბათილობის აბსოლუტური საფუძვლები“, ადგენს:

„1. [ევროკავშირის] სასაქონლო ნიშანი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი EUIPO-ში განცხადების წარდგენის ან შეგებებული სარჩელის წარდგენის გზით უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში;

(ა) როდესაც [ევროკავშირის] სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-7 მუხლით გათვალისწინებული დებულებების დარღვევით;

(ბ) როდესაც განმცხადებელი სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციოდ წარდგენის დღისთვის მოქმედებდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით“.

...

3. როდესაც ბათილობის საფუძველი არსებობს მხოლოდ სასაქონლო ნიშნის [ევროკავშირის] საქონლის ან მომსახურების ნაწილისთვის, სასაქონლო ნიშანი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი მხოლოდ ამ საქონლის ან მომსახურების მიმართ“.

7. ამ რეგულაციის 53-ე მუხლით, დასახელებით „ბათილობის შედარებითი საფუძვლები“, პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რომ:

„[ევროკავშირის] სასაქონლო ნიშანი შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი EUIPO-ში განცხადების წარდგენის ან შეგებებული სარჩელის წარდგენის გზით უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში:

(ა) როდესაც ადრინდელი სასაქონლო ნიშანი, როგორც ეს განსაზღვრულია მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით, და როდესაც სახეზეა ამავე მუხლის პირველი ან მე-5 პუნქტით განსაზღვრული პირობები;

...“

8. №207/2009 რეგულაციის მე-7, მე-8, 52-ე და 53-ე მუხლების შინაარსი, რომელიც შეესაბამება №40/94 რეგულაციის მე-7, მე-8, 51-ე და 52-ე მუხლებს, ასახული იქნა №2017/1001 რეგულაციის მე-7, მე-8, 59-ე და მე-60 მუხლებში.

9. №9 2017/1001 რეგულაციის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

„სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შემდგომ, სააპელაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით. სააპელაციო საბჭომ შესაძლოა განახორციელოს ნებისმიერი უფლებამოსილება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში ან გადასცეს შესაბამის დეპარტამენტს შემდგომი გამოკვლევისთვის.“

10. ამ რეგულაციის 72-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ:

„1. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია საერთო იურისდიქციის სასამართლოში.

...

3. საერთო იურისდიქციის სასამართლოს უფლება აქვს გააუქმოს ან შეცვალოს სადავო

გადაწყვეტილება.

...

6. უწყებამ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ღონისძიება, რომ შეასრულოს საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილება ან ასეთი გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება.“

დავის ისტორია და სადავო გადაწყვეტილება

11. ბ-ნმა ნადალ ესტებანმა („მესამე პირი“) 2011 წლის 25 აპრილს EUIPO-ში წარადგინა განაცხადი ევროკავშირის შემდეგი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე:



12. რეგისტრაცია მოთხოვნილ იქნა საერთაშორისო კლასიფიკაციის 1957 წლის 15 ივნისით დათარიღებული ნიცის შეთანხმების, რომელიც რედაქტირებული და შესწორებულია („ნიცის შეთანხმების“), 25-ე, 35-ე და 39-ე კლასებით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების მიმართ, შემდეგი ჩამონათვალისთვის:

- კლასი 25: „ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავი“;
- კლასი 35: „რეკლამა; ბიზნესის მართვა; ბიზნესის ადმინისტრირება; საოფისე მომსახურება“;
- კლასი 39: „ტრანსპორტირება; საქონლის შეფუთვა და დასაწყობება; მოგზაურობის ორგანიზება“.

13. 2011 წლის 26 აგვისტოს აპელანტმა, საწარმომ რომელიც ახორციელებს ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და აქსესუარების რეალიზაციას, წარადგინა საჩივარი შემდეგ ადრინდელ სასაქონლო ნიშნებზე დაყრდნობით:

- ნიცის შეთანხმების 25-ე და 35-ე კლასებით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურებების მიმართ მალტაში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი:



- ევროკავშირის რამდენიმე წევრ ქვეყანაში საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე დაცული სასაქონლო ნიშანი ნიცის შეთანხმების მე-18, 25-ე და 35-ე კლასებით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების მიმართ:



14 . საჩივარი ეყრდნობოდა №207/2009 რეგულაციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს.

15. EUIPO-ს 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საჩივარი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნიცის შეთანხმების 25-ე და 35-ე კლასებით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების მიმართ. თუმცა, 39-ე კლასის მომსახურებასთან დაკავშირებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

16. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დარჩა EUIPO-ს სააპელაციო საბჭოს მეოთხე კოლეგიის მიერ 2014 წლის 23 ივნისს.

17. 2014 წლის 5 ნოემბერს, EUIPO-მ დაარეგისტრირა ნიშანი 39-ე კლასის იმ მომსახურებისათვის, რომელიც მითითებულია ამ გადაწყვეტილების მე-12 პუნქტში.

18. 2014 წლის 5 დეკემბერს აპელანტმა წარადგინა განცხადება ამ ნიშნის ბათილად ცნობის თაობაზე №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

19. EUIPO-ს გაუქმების განყოფილებამ 2015 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა განცხადება ბათილად ცნობის თაობაზე. აღნიშნულით არ დგინდებოდა, რომ მესამე პირი არაკეთილსინდისიერი განზრახვით მოქმედებდა.

20. 2015 წლის 4 სექტემბერს აპელანტმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა.

21. EUIPO-ს სააპელაციო საბჭოს მეორე კოლეგიამ არ დააკმაყოფილა აპელაცია სადავო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. მან, მიუხედავად განსახილველი ნიშნების მსგავსებისა და აპელანტის ადრინდელი ნიშნების თაობაზე მესამე პირის ინფორმაციისა, მიიჩნია რომ ადგილი არ ჰქონია №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაკეთილსინდისიერ განზრახვას, მაშინ როდესაც,

ერთი მხრივ, ადრინდელი ნიშნით დაცულ საქონელსა და მომსახურებას შორის არ დგინდებოდა იდენტურობა ან მსგავსება, და, მეორე მხრივ, სადავო ნიშანი იყო რეგისტრირებული ნიშნის შეთანხმების 39-ე კლასისთვის. ვინაიდან, აპელანტის ადრინდელი ნიშნებისა და სადავო ნიშნის დაცვის ფარგლები განსხვავდება, სააპელაციო საბჭოს თანახმად, 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი არ შეიძლება იქნეს გამოყენებული.

საერთო სასამართლოს წინაშე წარდგენილი სარჩელი და გასაჩივრებული გადაწყვეტილება

22. 2016 წლის 23 სექტემბერს საერთო იურისდიქციის სასამართლოს რეესტრში წარდგენილი განცხადებით, აპელანტმა მოითხოვა სადავო გადაწყვეტილების გაუქმება და EUIPO-ს დავალდებულება სადავო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობაზე.

23. ერთი სასარჩელო მოთხოვნა წარადგინა აპელანტმა მისი სარჩელის მხარდასაჭერად, რითაც ამტკიცებდა რომ დარღვეული იყო №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. აპელანტის განცხადებით, სააპელაციო საბჭო არასწორად მიიჩნევდა, რომ ამ მუხლის გამოყენების მიზნებისთვის აუცილებელი იყო სადავო ნიშნებით დაცული საქონელი ან მომსახურება ყოფილიყო იდენტური ან მსგავსი.

24. აღნიშნული სარჩელი საერთო სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

25. სასამართლოს მიერ 2009 წლის 11 ივნისის Chocladefabriken Lindt & Sprüngli (C-529/07, EU:C:2009:361) გადაწყვეტილებაში, №40/94 რეგულაციის 51-ე მუხლის პირველი „ბ“ ქვეპუნქტის განმარტების თაობაზე, საერთო იურისდიქციის სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 30-ე და 31-ე პუნქტებში მიუთითა, და გასაჩივრებული გადაწყვეტილების 32-ე პუნქტში საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაასკვნა, რომ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნული რელევანტური ფაქტორები წარმოადგენს მხოლოდ მაგალითებს, რომელიც შეიძლება იქნეს მხედველობაში მიღებული იმისთვის, რომ დადგინდეს, რამდენად არაკეთილსინდისიერად იქცეოდა განმცხადებელი ევროკავშირის ნიშანთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაადგინა, რომ „შეიძლება, ასევე, გათვალისწინებული იქნეს ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის კომერციული ლოგიკა და იმ მოვლენების ქრონოლოგია, რაც წინ უსწრებდა აღნიშნული განაცხადების წარდგენას.“

26. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 44-ე პუნქტში, საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაადგინა, რომ სააპელაციო საბჭომ მხოლოდ „გამოიყენა სასამართლო პრაქტიკა, კერძოდ, კი 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება Chocladefabriken Lindt & Sprüngli (C-529/07, EU:C:2009:361, 53-ე პუნქტი), რომლის თანახმადაც, განმცხადებლის მხრიდან არაკეთილსინდისიერი განზრახვის დასადგენად აუცილებელია, რომ მესამე პირმა გამოიყენოს იდენტური ან მსგავსი ნიშანი იდენტური ან მსგავსი საქონლის ან მომსახურებისთვის, რაც წარმოშობს განცხადებულ ნიშანთან აღრევის შესაძლებლობას“.

27. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 54-57 პუნქტებში სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტის მიერ წარდგენილმა ფაქტობრივმა მტკიცებულებებმა, როგორც იყო მხარეებს შორის ადრინდელი ბიზნეს საქმიანობისა და სადავო ნიშანში სიტყვიერი და გამოსახულებითი ელემენტის „KOTON“ არსებობა, მაქსიმუმ შეიძლება წარმოაჩინოს რომ მესამე პირს ჰქონდა ინფორმაცია ადრინდელი ნიშნების შესახებ, მაგრამ არა ის გარემოება რომ მას ჰქონდა არაკეთილსინდისიერი განზრახვა. აქედან გამომდინარე, საერთო იურისდიქციის სასამართლომ გადაწყვეტილების 58-ე პუნქტში დაასკვნა, რომ აპელანტს: „არცერთ შემთხვევაში არ დაუმტკიცებია არავითარი სახით, რომ ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის განაცხადის წარდგენის თარიღისთვის მესამე პირს სურდა აპელანტის მიერ ადრინდელი ნიშნების გამოყენების პრევენცია.“

28. და ბოლოს, საერთო იურისდიქციის სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-60 პუნქტში აღნიშნა, რომ: „სადავო ნიშანი რეგისტრირებული იყო ადრინდელი მალტის ... ნიშნებით ... და [ადრინდელი] საერთაშორისო ნიშნებით მონიშნული მომსახურებისგან განსხვავებული მომსახურებისთვის.., ამგვარად გამოირიცხებოდა განსახილველ ნიშნებს შორის აღრევის შესაძლებლობა“, სააპელაციო საბჭო სრულად იყო უფლებამოსილი დაედგინა რომ არ დასტურდებოდა მესამე პირის არაკეთილსინდისიერი განზრახვა.

მხარეთა მოთხოვნები

29. აპელანტი ითხოვს, რომ სასამართლომ:
- გააუქმოს გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილება;
 - გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება;
 - ბათილად ცნოს გასაჩივრებული ნიშანი და
 - დააკისროს მესამე მხარესა და EUIPO-ს ხარჯების ანაზღაურება.
30. EUIPO სადავოდ ხდის მოთხოვნებს, რომ სასამართლომ:
- დააკმაყოფილოს აპელაცია
 - დააკისროს EUIPO-სა და მესამე პირს ხარჯების ანაზღაურება.
31. მესამე პირი ითხოვს, რომ სასამართლომ:
- ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, და
 - აპელანტს დააკისროს ხარჯების ანაზღაურება

სარჩელი

32. აპელანტი, სარჩელის მხარდასაჭერად ეყრდნობა მხოლოდ ერთ მოთხოვნას - №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევას.

მხარეთა არგუმენტები

33. აპელანტის განცხადებით, საერთო იურისდიქციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 44-ე და მე-60 პუნქტებში, მიუთითა რომ არაკეთილსინდისიერების არსებობისთვის აუცილებელია რეგისტრირებული სადავო ნიშანი იყოს ადრინდელი რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი საქონლისა ან მომსახურების მიმართ. №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული ბათილობის აბსოლუტური საფუძვლის გამოყენების ასეთი მოთხოვნა არ გამომდინარეობს არც ამ დებულებიდან და არც მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკიდან.

34. აპელანტის განცხადებით, აღნიშნულთან დაკავშირებით, საერთო იურისდიქციის სასამართლო უფრო მეტიც ეწინააღმდეგებოდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების 32-ე პუნქტში გამოთქმულ პოზიციას, სადაც საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაადგინა, რომ მართლმსაჯულების სასამართლოს 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებაში, საქმეზე Chocoladefabriken Lindt & Sprüngli (C-529/07, EU:C:2009:361), მითითებული ფაქტორები წარმოადგენს მხოლოდ უამრავი ფაქტორიდან რამდენიმე მაგალითს, რაც შეიძლება იქნეს მხედველობაში მიღებული განმცხადებლის მიერ განაცხადის სარეგისტრაციოდ წარდგენისას არაკეთილსინდისიერი განზრახვის დადგენისას.

35. ამ მხრივ, EUIPO ასევე სადავოდ ხდის, რომ სააპელაციო საბჭომ და საერთო იურისდიქციის სასამართლომ სამართლებრივი შეცდომა დაუშვა, რაზეც აპელანტი დავობს, ვინაიდან მათი მიდგომა დაფუძნებული იყო 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილების Chocoladefabriken Lindt & Sprüngli (C-529/07, EU:C:2009:361) არასწორ განმარტებაზე.

36. EUIPO აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მხრიდან რეგისტრაციასთან დაკავშირებით არაკეთილსინდისიერების დადგენის მიზნით რელევანტური დროა სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენის თარიღი. სააპელაციო საბჭომ და საერთო იურისდიქციის სასამართლომ არასწორად გამოიყენეს №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, „როდესაც აქცენტი მხოლოდ ნიგის კლასიფიკატორის 39-ე კლასით გათვალისწინებულ მომსახურებაზე გაკეთდა, რომლის მიმართაც დარეგისტრირდა სადავო ნიშანი. EUIPO-ს მიხედვით, მათ უნდა შეემოწმებინათ მესამე პირი რამდენად არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა განაცხადის წარდგენის დღისთვის, რომელიც ეხებოდა ნიგის შეთანხმების 25-ე, 35-ე და 39-ე კლასებს.

37. EUIPO დამატებით აღნიშნავს, რომ სააპელაციო საბჭოსა და საერთო იურისდიქციის სასამართლოს სწორად რომ მიეღო მხედველობაში №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რელევანტური დრო, აღნიშნულის საფუძველზე დაასკვნა, რომ ადრინდელ ნიშნებში გამოყენებული სიტყვიერი და გამოსახულებითი ელემენტის „KOTON“ გამოყენებით მესამე პირი არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა. აღნიშნული დასკვნა საბოლოოდ იქნებოდა სადავო სასაქონლო ნიშნის

ბათილად ცნობის საფუძველი, სრული განცხადებული საქონლისა და მომსახურების მიმართ.

38. EUIPO-ს თანახმად, იმის განხილვა რომ არაკეთილსინდისიერების არსებობა გულისხმობს აღრევის შესაძლებლობას, უფრო მეტად, როგორც ეს საბჭომ გახადა სადავო საერთო იურისდიქციის სასამართლოს წინაშე, წარმოადგენს №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ აბსოლუტურ საფუძველსა და ამავე რეგულაციის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შედარებით საფუძველებს შორის არასწორ განმარტებას.

39. მესამე პირი, თავის მხრივ, სადავოდ ხდის მისი მხრიდან არაკეთილსინდისიერების არსებობას და დამატებით აღნიშნავს, რომ აპელანტმა ვერ დაამტკიცა საპირისპირო. რაც შეეხება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, ის არ არის დაფუძნებული კანონთან რაიმე შეუსაბამისობაზე. აპელანტის მიერ კანონის არასწორ განმარტებასთან დაკავშირებით, მესამე პირი აღნიშნავს, რომ აღრევის შესაძლებლობის არარსებობის დროს არ არის რელევანტური არაკეთილსინდისიერების შეფასება.

40. მესამე პირი აცხადებს, რომ ის არასდროს ყოფილა აპელანტის საქონლის დისტრიბუტორი. მას აპელანტთან აკავშირებს მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა, რაც ეხებოდა აპელანტის სხვა სასაქონლო ნიშნით დაცული საქონლის შესყიდვას, რომლის რეალიზაციას ის ახორციელებდა ესპანეთში. აპელანტმა აღნიშნული საქმიანი ურთიერთობა ცალმხრივად შეწყვიტა 2006 წელს.

41. მესამე პირი, ასევე, აცხადებს, რომ მან ნიცის შეთანხმების 25-ე კლასით გათვალისწინებული საქონლისთვის ესპანეთში 2004 წელს დაარეგისტრირა სიტყვიერი და გამოსახულებითი ნიშანი, რომელიც შეიცავდა სიტყვიერ ელემენტს - „KOTON“. ვინაიდან, ეს ნიშანი თარიღდებოდა აპელანტის მიერ საერთაშორისო ნიშნის რეგისტრაციამდე, შესაბამისად, ეს უკანასკნელი ნიშანი ესპანეთის სასამართლომ 2016 წელს გააუქმა. აღნიშნული გადაწყვეტილება აპელანტმა გაასაჩივრა, რაზეც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

42. ვინაიდან, აპელანტს ჰქონდა ინფორმაცია მესამე პირის ესპანური სასაქონლო ნიშნის შესახებ, და 2006 წლამდე აგრძელებდა მესამე პირთან თანამშრომლობას, მიუხედავად 2004 წელს ამ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისა, მესამე პირის განმარტებით, ვერ იქნება დადგენილი, რომ ის მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად 2011 წლის 25 აპრილს სადავო ნიშნის რეგისტრაციით.

სასამართლოს დასკვნა

43. თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ №207/2009 რეგულაციით განსაზღვრული ცნება არ არის განმარტებული ამ რეგულაციით, მნიშვნელობა და ფარგლები უნდა იყოს განსაზღვრული მისი ყოველდღიურ ენაში ჩვეულებრივი გამოყენების შედეგად,

ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონტექსტი, რომელშიც ადგილი ჰქონდა ამ შემთხვევას, და რეგულაციით განსაზღვრული მიზნები (იხ. ამასთან დაკავშირებით, 2019 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება *Textilis*, C-21/18, EU:C:2019:199, 35-ე პუნქტი; იხ., ანალოგიით, 2011 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებები, *Budějovický Budvar*, C-482/09, EU:C:2011:605, 39-ე პუნქტი, და 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებები, *Génesis*, C-190/10, EU:C:2012:157, 41-ე პუნქტი).

44. აღნიშნული ეხება №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ „არაკეთილსინდისიერების“ ცნებას, ევროკავშირის კანონმდებლობის მიერ ამ ცნების განმარტების არ არსებობის შემთხვევაში.

45. მაშინ როდესაც, „არაკეთილსინდისიერების ცნება“ ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში გულისხმობს გონების არაკეთილსინდისიერ მდგომარეობას ან განზრახვას, ეს ცნება აუცილებლად უნდა იქნეს განმარტებული სამართლებრივ კონტექსტში, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ვაჭრობის კურსს. აღნიშნულთან დაკავშირებით, №40/94, №207/2009 და №2017/1001 რეგულაციებს, რომლებიც თანმიმდევრულად იქნა მიღებული, აქვთ ერთი-დაიგივე მიზანი, კერძოდ, შიდა ბაზრის დადგენა და ფუნქციონირება (იხ. №207/2009 რეგულაციასთან დაკავშირებით, 2013 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, *Malaysia Dairy Industries*, C-320/12, EU:C:2013:435, 35-ე პუნქტი). ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგულაციები მიზნად ისახავს, კავშირის ჯანსაღი კონკურენციის სისტემის ჩამოყალიბებას, სადაც თითოეულ საწარმოს თავისი საქონლისა ან მომსახურების ხარისხის გამო მომხმარებლის შენარჩუნების მიზნით, უნდა შეეძლოს დაირეგისტროს სასაქონლო ნიშნები, რაც აძლევს მომხმარებელს საშუალებას, აღრევის შესაძლებლობის გარეშე, განასხვაოს ეს საქონელი ან მომსახურება სხვა საქონლისა და მომსახურებისგან, რომელთა კომერციული წყარო განსხვავებულია (იხ., აღნიშნულთან დაკავშირებით, 2010 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებები, *Lego Juris v OHIM*, C-48/09 P, EU:C:2010:516, 38-ე პუნქტი, და 2019 წლის 11 აპრილი, *ÖKO-Test Verlag*, C-690/17, EU:C:2019:317, მე-40 პუნქტი).

46. შესაბამისად, №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბათილობის აბსოლუტური საფუძველი გამოიყენება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც რელევანტური და თანმიმდევრული ნიშნებიდან ცხადია, რომ ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადი წარდგენილი იქნა არა კონკურენციაში სამართლიანად ჩართვის მიზნით, არამედ იმ მიზნით, რომ კეთილსინდისიერ პრაქტიკასთან შეუსაბამოდ იმომედოს მესამე პირების ინტერესების წინააღმდეგ, ან განსაკუთრებული უფლების მოპოვების მიზნით, გარდა იმ მიზნისა, რაც წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის, წინა პუნქტში მითითებულ ძირითად, კომერციული წარმოშობის წყაროზე მითითების ფუნქციას.

47. სასაქონლო ნიშნის მიმართ განმცხადებლის განზრახვა წარმოადგენს სუბიექტურ ფაქტორს, რაც თავის მხრივ, კომპეტენტური ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანოების მიერ უნდა იქნეს ობიექტურად განხილული. შესაბამისად, ნებისმიერი მოთხოვნა, არაკეთილსინდისიერების შეფასებისას, უნდა იქნეს შეფასებული ერთიანობაში,

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა ფაქტობრივი გარემოება, რომელიც კონკრეტულ საქმისთვის რელევანტურია (იხ. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2009 წლის 11 ივნისი, *Chocoladefabriken Lindt & Sprüngli*, C-529/07, EU:C:2009:361, 37-ე და 42-ე პუნქტები). მხოლოდ ამგვარად, შეიძლება ობიექტურად შეფასდეს არაკეთილსინდისიერების დადგენის თაობაზე წარდგენილი მოთხოვნა.

48. სასამართლომ, 2009 წლის 11 ივნისს მიღებულ გადაწყვეტილებაში *Chocoladefabriken Lindt & Sprüngli* (C-529/07, EU:C:2009:361) როგორც ეს ამ გადაწყვეტილების 36-ე პუნქტში აღნიშნა, სპეციალურად იქნა დასმული კითხვა არსებული მდგომარეობის შესახებ, სადავო ნიშნის შესახებ განცხადების წარდგენის დროისთვის, როდესაც რამდენიმე მწარმოებელი შიდა ბაზარზე იყენებდა იდენტურ ან მსგავს ნიშნებს იდენტური ან მსგავსი საქონლისთვის, რაც ქმნიდა აღრევის შესაძლებლობას. შეკითხვის ავტორმა სასამართლომ, სასამართლოს სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რომელი ფაქტორები უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული იმისთვის, რომ შეფასდეს განმცხადებლის არაკეთილსინდისიერი განზრახვა.

49. ამგვარად, ვინაიდან არაკეთილსინდისიერების არსებობის შეფასების საკითხი განსხვავდება აღრევის შესაძლებლობის არსებობის შეფასებისგან, სასაქონლო ნიშნის კანონმდებლობით ეს ორი ცნება განცალკევებულია, და სასამართლოს სთხოვეს დაედგინა კრიტერიუმები, რათა შეეფასებინა არის თუ არა არაკეთილსინდისიერება ისეთ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია აღრევის შესაძლებლობა.

50. სასამართლომ უპასუხა, რომ ასეთ შემთხვევაში, მათ შორის, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული სასაქონლო ნიშანზე განმცხადებელმა იცოდა ან თუ უნდა სცოდნოდა მესამე პირის მიერ ნიშნის, როგორც მინიმუმ ერთ წევრ ქვეყანაში გამოყენების შესახებ, ნიშნის, რომლის აღრევის შესაძლებლობა არსებობს იმ ნიშანთან, რომლის რეგისტრაციაც მოთხოვნილია, ან იყო შესაძლებელი განმცხადებლის მხრიდან შესაძლო ინფორმირებულობაზე ვარაუდი, მათ შორის, როდესაც ასეთი სარგებლობის შესახებ არსებობს ზოგადი ინფორმაცია ეკონომიკურ სექტორში (იხ. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება, *Chocoladefabriken Lindt & Sprüngli*, C-529/07, EU:C:2009:361, 39-ე და 53-ე პუნქტები).

51. სასამართლოს გადაწყვეტილებიდან არ გამომდინარეობს, რომ არაკეთილსინდისიერი განზრახვის არსებობა №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით შეიძლება დადგინდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში (ამასთან დაკავშირებით სასამართლოს დაუსვეს კითხვა), როდესაც შიდა ბაზარზე იდენტური ან მსგავსი ნიშნის გამოყენება ხორციელდება იდენტური ან მსგავსი საქონლისთვის, რასაც ახლავს აღრევის შესაძლებლობა იმ ნიშანთან მიმართებაში, რომლის რეგისტრაციაც მოთხოვნილია.

52. შესაძლოა იყოს ისეთი შემთხვევები, რომლებიც არ არის დაკავშირებული იმ შემთხვევასთან, რის გამოც საბოლოოდ საქმეზე *Chocoladefabriken Lindt & Sprüngli* (C-529/07, EU:C:2009:361) მიღებულ იქნა 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება, სადაც სასაქონლო

ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე განაცხადი მიჩნეულ იქნა რომ წარდგენილ იყო არაკეთილსინდისიერი განზრახვით, მიუხედავად იმისა, რომ განაცხადის წარდგენის თარიღისთვის ადგილი არ ჰქონდა მესამე პირის მიერ შიდა ბაზარზე იდენტური ან მსგავსი ნიშნის გამოყენებას იდენტური ან მსგავსი საქონლისთვის.

53. აღნიშნულთან დაკავშირებით №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბათილობის აბსოლუტური საფუძველი ფუნდამენტურად განსხვავდება ამავე რეგულაციის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბათილობის შედარებითი საფუძვლისგან, ვინაიდან ამ უკანასკნელი მუხლის გამოყენებას საფუძვლად უდევს ამავე რეგულაციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ადრინდელი სასაქონლო ნიშნის არსებობა, ასევე, აღრევის შესაძლებლობა ამავე რეგულაციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადრინდელ ნიშანს აქვს ამავე რეგულაციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული რეპუტაცია ან ისეთი შემთხვევა, რომელზეც ვრცელდება მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. სასამართლოს გენერალურმა მრჩეველმა, როგორც მისი მოსაზრების 27-ე პუნქტში მიუთითა, №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ბათილობის მოთხოვნისას, არ არის რაიმე პირობა დადგენილი, რომ ასეთი ბათილობის მომთხოვნი განმცხადებელი იყოს იდენტური ან მსგავსი საქონლისა ან მომსახურებებისთვის რეგისტრირებული ადრინდელი ნიშნის მფლობელი.

54. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც სადავო ნიშანზე განაცხადის წარდგენისას მესამე პირი, როგორც მინიმუმ, ერთ წევრ ქვეყანაში იყენებდა იდენტურ ან მსგავს ნიშანს, №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის გამოყენებისთვის აუცილებელი არ არის ადგილი ჰქონდეს საზოგადოების მხრიდან აღრევას.

55. Chocoladefabriken Lindt & Sprüngli (C-529/07, EU:C:2009:361) საქმეზე 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილების 53-ე პუნქტით გათვალისწინებული სასამართლოს განმარტებიდან გამომდინარეობს მხოლოდ ის რომ, როდესაც მესამე პირი იყენებს იდენტურ ან მსგავს ნიშანს იდენტურ ან მსგავს საქონელზე და არის აღრევის შესაძლებლობა, აუცილებელია გამოკვლეულ იქნეს კონკრეტული შემთხვევის რელევანტური გარემოებების შეფასებისთვის რამდენად ჰქონდა სადავო ნიშანზე განმცხადებელს ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით. თუმცა, ასეთი ფაქტორი, არის ის ერთ-ერთი რელევანტური ფაქტორი სხვა ფაქტორებიდან, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

56. ამ გადაწყვეტილების 52-55 პუნქტებში დასახელებულ მიზეზებთან დაკავშირებით უნდა იქნეს დადგენილი, რომ მესამე პირის სარგებლობაში არსებულ ნიშანსა და სადავო ნიშანს შორის აღრევის შესაძლებლობის არარსებობის დროს, ან თუ ადგილი არ ჰქონია მესამე პირის მხრიდან სადავო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნის სარგებლობას, სხვა ფაქტორივი გარემოებებით შეიძლება, რაც დამოკიდებულია ამ გარემოებებზე, დადგენილ იქნეს რელევანტური და თანმიმდევრული გარემოებები, რომელიც დაადასტურებს განმცხადებლის არაკეთილსინდისიერებას.

57. აქედან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 44-ე პუნქტით დადგენილია, რომ „რეგისტრაციაზე განმცხადებლის მხრიდან არაკეთილსინდისიერება გულისხმობს, რომ მესამე პირი იყენებს იდენტურ ან მსგავს ნიშანს იდენტური ან მსგავსი საქონლის ან მომსახურებისთვის, რომელსაც ახასიათებს აღრევის შესაძლებლობა განცხადებულ ნიშანთან“, საერთო იურისდიქციის სასამართლომ არასწორად განმარტა მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა და №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ფარგლები შეზღუდა.

58. საერთო იურისდიქციის სასამართლომ არასწორად იმსჯელა კანონთან მიმართებაში, ვინაიდან, როგორც ეს გამომდინარეობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-60 პუნქტიდან, სააპელაციო საბჭომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა მესამე პირის არაკეთილსინდისიერ განზრახვას, ვინაიდან განსხვავებულია სადავო ნიშნისა და აპელანტის ნიშნების მომსახურების ჩამონათვალი.

59. აღნიშნული მიდგომიდან გამომდინარე, საერთო იურისდიქციის სასამართლომ, №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ფაქტობრივი ფორმულირებებისა და მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, საბოლოო შეფასებისას მხედველობაში არ მიიღო სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციო განაცხადის წარდგენის თარიღისთვის არსებული ყველა რელევანტური ფაქტობრივი გარემოება, მაშინ როდესაც დროის საკითხი არის გადამწყვეტი (2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება, *Chocoladefabriken Lindt & Sprüngli*, C-529/07, EU:C:2009:361, 35-ე პუნქტი).

60. საერთო იურისდიქციის სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ის ფაქტი, რომელიც არ იყო სადავო და რომელსაც თავის მხრივ ეყრდნობოდა აპელანტი, რომ მესამე პირი ითხოვდა ევროკავშირის სასაქონლო ნიშნად, იმ ნიშნის რეგისტრაციას, რომელიც შეიცავდა სტილიზებულ სიტყვიერ ელემენტს „KOTON“, არამხოლოდ ნიცის შეთანხმების 39-ე კლასით განსაზღვრული მომსახურების, არამედ 25-ე და 35-ე კლასების საქონლისა და მომსახურებებისთვისაც, რომელიც მსგავსი იყო აპელანტის იმავე სიტყვიერი ელემენტისგან შედგენილი ნიშნების საქონლის/მომსახურებისა.

მიუხედავად იმისა, რომ №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან ცხადია, რომ პირველ პუნქტში მითითებული ბათილობის აბსოლუტური საფუძვლები, შეიძლება, კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით, არსებობდეს მხოლოდ იმ საქონლისა თუ მომსახურებების მიმართ, რისთვისაც რეგისტრირებულია სადავო ნიშანი, ფაქტია, რომ აპელანტმა მოითხოვა სადავო ნიშნის სრულად ბათილად ცნობა და მესამე პირის განზრახვის შეფასება განაცხადების წარდგენის დღისთვის სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების მიმართ, მათ შორის, ტექსტილის პროდუქტების მიმართ, მაშინ როდესაც აპელანტი უკვე სარგებლობდა ამ სიტყვისა და გამოსახულებითი ელემენტის შემცველი ევროკავშირის სასაქონლო ნიშნით, ტექსტილის პროდუქტების მიმართ.

61. უფრო მეტიც, იდენტური ან მსგავსი საქონლისა და მომსახურების მიმართ იდენტური ან მსგავსი ნიშნის არასწორად შეფასება, რის მიმართაც საბოლოოდ სადავო ნიშანი იყო რეგისტრირებული №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის წარმოადგენს არსებით პირობას, საერთო სასამართლომ მხოლოდ საქმის სისრულისთვის განიხილა ის ფაქტი, რომ მესამე პირსა და აპელანტს შორის ადგილი ჰქონდა ბიზნეს ურთიერთობებს, რომელიც შეწყვეტილ იქნა აპელანტის ინიციატივით. უფრო მეტიც, საერთო სასამართლომ არ გამოიკვლია მესამე პირის ქმედებების კომერციული ლოგიკა „KOTON“ სტილიზებული სიტყვის შემცველი ნიშნის ნიცის შეთანხმების 25-ე, 35-ე და 39-ე კლასებით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურებების მიმართ რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

62. შესაბამისად, მიუხედავად იმისა რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 32-ე პუნქტში აღნიშნული იყო: „კომერციული ლოგიკა, რომელიც საფუძვლად დაედო განაცხადის რეგისტრაციას“ და „მოვლენების ქრონოლოგია, რასაც საფუძვლად დაედო განაცხადის წარდგენა“, როგორც შესაძლო რელევანტური ფაქტორები, საერთო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში სრულად არ გამოიკვლია.

63. მართალია, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 56-ე პუნქტში საერთო სასამართლომ აღნიშნა ის ფაქტი, რომ საკმაოდ დიდი დრო იყო გასული ბიზნეს ურთიერთობის შეწყვეტასა და სადავო ნიშანზე სარეგისტრაციოდ განაცხადის წარდგენას შორის, რაც გავლენას ახდენდა მესამე პირის მხრიდან არაკეთილსინდისიერი განზრახვის არსებობის ფაქტზე.

64. თუმცა, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში შეფასების აღნიშნული ელემენტის არსებობა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ არ იქნეს გამოყენებული ის წესი, რომელიც ეხება გადაწყვეტილების გაუქმებას ისეთი დარღვევის დროს, როდესაც საერთო სასამართლომ მიუთითა ევროკავშირის სამართლის დარღვევაზე, თუმცა სარეზოლუციო ნაწილს აფუძნებს სხვა სამართლებრივ საფუძვლებზე (იხ., აღნიშნულთან დაკავშირებით, 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება, Czech Republic v Commission, C-696/15 P, EU:C:2017:595, 56-ე პუნქტი და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა). გარემოებები, რომლებიც საერთო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 56-ე პუნქტში მიიღო მხედველობაში, იყო მხოლოდ ერთი იმ გარემოებათაგან, რომლებიც აუცილებელი იყო სასამართლოს გაეთვალისწინებინა საქმის სრულყოფილი შეფასებისთვის, მესამე პირის მიერ სასაქონლო ნიშნის ნიცის შეთანხმების 25-ე, 35-ე და 39-ე კლასებისთვის სარეგისტრაციოდ წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით. ასეთი შეფასება საერთო სასამართლოს არ გაუკეთებია.

65. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის საფუძველი კარგად დასაბუთებულია და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს.

საერთო სასამართლოს წინაშე წარდგენილი სარჩელი

66. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს დებულების 61-ე მუხლის

პირველი პუნქტიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ როდესაც აპელაცია არის კარგად დასაბუთებული, და სადაც დაშვებულია ქვეყნის პროცესუალური ნორმებით, მართლმსაჯულების სასამართლო თავად არის უფლებამოსილი მიიღოს ასეთ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება.

67. წინამდებარე საქმეზე, სასამართლოს აქვს საკმარისი ინფორმაცია იმისთვის, რომ №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევასთან დაკავშირებით პირველ ინსტანციაში წარდგენილ სარჩელზე მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

68. როგორც ეს ამ გადაწყვეტილების 21-ე პუნქტში არის განმარტებული, სააპელაციო საბჭომ მიიჩნია, რომ მესამე პირის მხრიდან არაკეთილსინდისიერების დადგენის მიზნით, უნდა არსებობდეს იდენტური ან მსგავსი ნიშნის გამოყენება სადავო ნიშნით დაცული იდენტური ან მსგავსი საქონლისა და მომსახურების მიმართ. აღნიშნულის საფუძველზე, სააპელაციო საბჭომ არ დააკმაყოფილა აპელანტის მიერ მის წინაშე წარდგენილი საჩივარი.

69. თუმცა, როგორც ეს ამ გადაწყვეტილების 52-57 პუნქტებიდან დგინდება, ასეთი დასაბუთება წარმოადგენს №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შეზღუდულ განმარტებას.

70. ამგვარად, სადავო გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს.

მოთხოვნა სადავო ნიშნის ბათილობის შესახებ

71. სასამართლომ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს დებულების 61-ე მუხლის პირველი პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, №2017/1001 რეგულაციის 72-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით მიიღო გადაწყვეტილება სააპელაციო საბჭოს, რომელიც არის EUIPO კომპეტენციის ფარგლებში არსებული ორგანო, გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რომელიც დაფუძნებული იქნება 2011 წლის 25 აპრილს წარდგენილ სადავო ნიშნის საერთო შეფასებაზე და გათვალისწინებული იქნება ნიცის შეთანხმების 25-ე, 35-ე და 39-ე კლასები, ასევე, აპელანტის მიერ წარმოდგენილი გარემოებები, ისევე, როგორც მესამე პირის მხრიდან ნიშნის ბათილად ცნობის განცხადების საპასუხოდ სათანადოდ დასაბუთებული გარემოებები.

72. შესაბამისად, სასამართლოში წარმოდგენილი მოთხოვნა სადავო ნიშნის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ხარჯები

73. მართლმსაჯულების სასამართლოს პროცედურული წესების 184-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, როდესაც აპელაცია არის სათანადოდ დასაბუთებული და სასამართლო

იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ხარჯებთან დაკავშირებით.

74. ამ წესების 138-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რომელიც ვრცელდება სააპელაციო წარმოებაზე 184-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, წაგებულ მხარეს ევალება მოგებული მხარის სასარგებლოდ განახორციელოს ხარჯების ანაზღაურება, თუ ამაზე არსებობს მოგებული მხარის შუამდგომლობა.

75. ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სადავო საკითხზე გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი, აპელანტი განიხილება გამარჯვებულ მხარედ. აპელანტი ითხოვს, მესამე პირს დაევალოს ხარჯების ანაზღაურება.

76. EUIPO-მ მოითხოვა, მესამე პირთან ერთად დაეკისროს ხარჯების ანაზღაურება.

77. მესამე პირსა და EUIPO-ს თანაბრად უნდა დაეკისროთ აპელანტის მიერ პირველ ინსტანციაში საქმე T-687/16 და აპელაციის პროცესებზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება. როგორც ეს საერთო სასამართლოს პროცედურული წესების 190-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარეობს, ხარჯები რომელიც იქნა გაწეული სააპელაციო საბჭოს წინაშე, ანაზღაურდება.

ამ საფუძვლებზე დაყრდნობით, სასამართლო (მეხუთე პალატა) გადაწყვიტა:

1. გაუქმდეს ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიერ 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე KotonMağazacılıkTekstilSanayiveTicaretvEUIPO – Nadal Esteban (STYLO & KOTON) (T-687/16, EU:T:2017:853)

2. გაუქმდეს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) სააპელაციო საბჭოს მეორე კოლეგიის მიერ 2016 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე R 1779/2015-2).

3. სადავო ნიშნის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს.

4. დაევალოს ჯოაქუინ ნადალ ესტებანსა და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებას (EUIPO) თანაბრად გადაიხადონ Koton Mağazacılık Tekstil Sanayi ve Ticaret AŞ მიერ გაწეული ორივე სამართლამწარმოებისას, პირველ ინსტანციაში საქმეზე T-687/16 და აპელაციაზე, გაწეული ხარჯები.

რეგან ლიკაროუგოს ჯუჰასზ

ილესიგ ჯარუკაიტის

გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება ღია სასამართლო სხდომაზე 2019 წლის 12 სექტემბერს.

ა. კალოტ ესკობარ ი. რეგან
მდივანი მეხუთე პალატის პრეზიდენტი

* საქმის განხილვის ენა: ინგლისური

სასამართლოს გენერალური მრჩევლის კოკოტის მოსაზრება

2019 წლის 4 აპრილს წარდგენილი (1)

საქმე C-104/18 P

Koton Mağazacılık Tekstil Sanayi ve Ticaret AŞ v / Koton Mağazacılık Tekstil Sanayi ve Ticaret AŞ v

ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO)

სხვა მხარე:

ჯოაქუინ ნადალ ესტებან

(აპელაცია - ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი - №207/2009 რეგულაცია - ბათილობის სამართალწარმოება - გამოსახულებითი ნიშანი სიტყვიერი ელემენტების STYLO & KOTON შემცველი - ბათილობის განცხადებაზე უარი - არაკეთილსინდისიერება)

I. შესავალი

1. სასაქონლო ნიშანი, რომლის რეგისტრაციაც განხორციელდა არაკეთილსინდისიერად შეიძლება იქნეს ბათილად ცნობილი. თუმცა რა გარემოებები განსაზღვრავს არაკეთილსინდისიერებას და როგორ უნდა დადგინდეს?

2. მართლმსაჯულების სასამართლომ უკვე რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება შემოგვთავაზა და სხვადასხვა საქმეზე ამ შეკითხვებით საერთო სასამართლოს შეეძლო სიღრმისეულად გამოეკვლია გარემოებები. მიუხედავად იმისა, რომ ამ შეკითხვების

კონკრეტული კლასიფიკაციები არ იყო განმარტებული. აღნიშნული აპელაცია სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას ხელახლა განსაზღვროს სასამართლო პრაქტიკა.

II. სამართლებრივი ჩარჩო

3. წინამდებარე საქმეზე სამართლებრივი ჩარჩო განსაზღვრულია სასაქონლო ნიშნების შესახებ რეგულაციით.

4. სასაქონლო ნიშნების შესახებ რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი (დღეის მდგომარეობით №2017/1001 რეგულაციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს ბათილობის აბსოლუტურ საფუძვლებს:

„უწყებაში წარდგენილი განცხადებით შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობა ან დარღვევის სამართალწარმოების პროცესში შეგებებული სარჩელის წარდგენის გზით:

(ა) ..;

(ბ) როდესაც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე განაცხადის წარდგენისას განმცხადებელი მოქმედება არაკეთილსინდისიერად“.

5. სასაქონლო ნიშნის შესახებ რეგულაციის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტი (დღეის მდგომარეობით №2017/1001 რეგულაციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი) იძლევა ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესაძლებლობას.

„როდესაც ბათილობის საფუძველი არსებობს მხოლოდ სასაქონლო ნიშნის [ევროკავშირის] საქონლის ან მომსახურების ნაწილისთვის, სასაქონლო ნიშანი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი მხოლოდ ამ საქონლის ან მომსახურების მიმართ“.

6. სასაქონლო ნიშნის რეგულაციის 65-ე მუხლი (დღეის მდგომარეობით №2017/1001 რეგულაციის 72-ე მუხლი) განსაზღვრავს სამართლებრივი წარმოებისა და მათი შედეგების შესახებ წესებს:

„1. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებები შესაძლოა გასაჩივრდეს საერთო იურისდიქციის სასამართლოში.“

...


6. უწყებამ უნდა მიიღოს აუცილებელი ღონისძიებები იმისთვის, რომ შეასრულოს საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ან მისი გასაჩივრების შემთხვევაში მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება.“

III. ფაქტები და პროცედურები დღემდე

7. ნადალ ესტებანმა 2011 წლის 25 აპრილს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში (EUIPO) სარეგისტრაციოდ წარადგინა სასაქონლო ნიშანი 1957 წლის 15 ივნისით დათარიღებული, შესწორებული და შეცვლილი, საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ ნიცის შეთანხმების შემდეგი კლასებისთვის: 25-ე კლასი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავი), 35-ე კლასი (რეკლამა; ბიზნესის მართვა; ბიზნესის ადმინისტრირება; საოფისე მომსახურება) და 39-ე კლასი (ტრანსპორტირება; საქონლის შეფუთვა და დასაწყობება; მოგზაურობის ორგანიზება):



8. აპელანტმა, Koton Mağazacılık Tekstil Sanayi ve Ticaret AŞ (Koton), ადრინდელი გამოსახულებითი ნიშნების საფუძველზე წარადგინა საჩივარი, რომლებსაც ორივეს ჰქონდათ შემდეგი ფორმა:



9. ეს სასაქონლო ნიშნები რეგისტრირებული იყო 25-ე და 35-ე კლასებისთვის, მაგრამ არა 39-ე კლასისთვის. საჩივარი დაკმაყოფილდა მხოლოდ პირველ ორ კლასთან მიმართებაში.

10. მეორე მხრივ, განსახილველი ნიშანი რეგისტრირებული იყო 2014 წლის 5 ნოემბერს სარეგისტრაციო ნომრით 9917436 39-ე კლასით გათვალისწინებული მომსახურებებისთვის.

11. Koton-მა 2014 წლის 5 დეკემბერს წარადგინა განცხადება სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობის მოთხოვნით სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, არაკეთილსინდისიერი განზრახვის გამო.

12. EUIPO-ს გაუქმების განყოფილებამ არ დააკმაყოფილა განცხადება, ისევე როგორც სააპელაციო საბჭომ არ დააკმაყოფილა გადაწყვეტილებაზე წარდგენილი საჩივარი. საბოლოოდ, საქმეზე Koton Mağazacılık Tekstil Sanayi ve Ticaret v EUIPO – Nadal Esteban (STYLO & KOTON) (T-687/16, გამოუქვეყნებელი, EU:T:2017:853) 2017 წლის 30 ნოემბრის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, საერთო იურისდიქციის სასამართლომაც არ

დააკმაყოფილა სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე წარდგენილი სარჩელი.

13. სამივე გადაწყვეტილება ეფუძნებოდა არგუმენტს, რომ Koton-ის სასაქონლო ნიშანი არ ვრცელდებოდა იმ მომსახურებაზე, რის მიმართაც იყო რეგისტრირებული განსახილველი სასაქონლო ნიშანი.

IV. წარდგენილი მოთხოვნები

14. 2018 წლის 13 თებერვალს KOTON-მა სასამართლოში წარადგინა წინამდებარე აპელაცია და მოითხოვა, სასამართლოს მიეღო შემდეგი გადაწყვეტილება:

- (1) გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება;
- (2) სადავო გადაწყვეტილების გაუქმება;
- (3) ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის (№9917436) ბათილად ცნობა;
- (4) ჯოაქუინ ნადალ ესტებანისა და EUIPO-ს დავალდებულება ხარჯების ანაზღაურებაზე;

15. EUIPO სადავოდ ხდის, რომ სასამართლოს:

- (1) უნდა დაეკმაყოფილებინა აპელაცია და
- (2) დაევალებინა EUIPO-სა და ჯოაქუინ ნადალ ესტებანისთვის ხარჯების ანაზღაურება

16. მეორე მხრივ, ჯოაქუინ ნადალ ესტებანი ითხოვდა რომ სასამართლოს:

- (1) არ დაეკმაყოფილებინა აპელაცია და
- (2) Koton-სთვის დაეკისრებინა ხარჯების ანაზღაურება.

17. მხარეებმა წარადგინეს წერილობითი პოზიციები და 2018 წლის 6 დეკემბერს წარმოადგინეს ზეპირი პოზიცია.

V. სამართლებრივი შეფასება

18. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ Koton-ის მოთხოვნა სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით დაუშვებელია. Koton-ს არ წარუდგენია საერთო სასამართლოს წინაშე აღნიშნული მოთხოვნა და შესაბამისად, ეს გამოიწვევდა სამართალწარმოების დავის საგნის გაფართოებას. სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მხოლოდ სააპელაციო საბჭოს წინაშე განსაზღვრული დავის საგანი შეიძლება იყოს ევროკავშირის სასამართლოებში სამართალწარმოების დავის საგანი.

19. მიუხედავად ამისა, KOTON და EUIPO სადავოდ ხდიან გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არსებული სასამართლო პრაქტიკიდან მკვეთრ გადახვევას. პირველ რიგში აღნიშნავ ამ გადახვევის შესახებ (იხ. ქვევით A), ვიდრე შეფასდება ის საფუძვლები, რასაც დაეყრდნო გასაჩივრებული გადაწყვეტილება (იხ. ქვევით B). შესაბამისად, წინამდებარე აპელაციის უმთავრესი საკითხი არის განისაზღვროს, რატომ არ იყო EUIPO-ს მიერ აღნიშნული ასპექტი გათვალისწინებული, თუ ის სამართალწარმოების მიზნებისთვის

დაგვიანებით იყო წარდგენილი (იხ. ქვევით C). და ბოლოს, გავაკეთებ გარკვეულ შენიშვნებს საერთო სასამართლოს წინაშე წარდგენილ სარჩელთან დაკავშირებით (იხ. ქვევით D).

A. იდენტური და მსგავსი საქონლის ან მომსახურებისთვის სარგებლობის აუცილებლობა

20. Koton დავობს მხოლოდ ერთი საფუძველით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 44-60 პუნქტებში, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაარღვია სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. EUIPO მხარს უჭერს ამ განცხადებას.

21. სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი EUIPO-ში წარდგენილი განცხადების საფუძველზე, როდესაც განმცხადებელი მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციოდ წარდგენისას.

22. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 44-ე პუნქტში, საერთო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო საბჭოს შეხედულება განმცხადებლის არაკეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით სასაქონლო ნიშნების შესახებ რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს მესამე პირის მიერ იდენტური ან მსგავსი ნიშნის გამოყენებას იდენტური ან მსგავსი საქონლის ან მომსახურების მიმართ, რაც შესაძლებელს ხდის სარეგისტრაციოდ წარდგენილ ნიშანთან აღრევას.

23. მას შემდეგ, რაც საერთო სასამართლომ არ გაიზიარა Koton-ის არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სარგებლობდა Koton იდენტური ან მსგავსი მომსახურებისთვის სასაქონლო ნიშნით, საერთო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილების მე-60 პუნქტში დაადგინა, რომ სააპელაციო საბჭო სრულად იყო უფლებამოსილი დაედგინა რომ ნადავლ ესტებანი არ მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად სადავო ნიშნის რეგისტრაციისას, ვინაიდან რეგისტრაცია განხორციელდა განსხვავებული კლასებისთვის, რის მიმართაც Koton-ის ადრინდელი ნიშნები არ იყო რეგისტრირებული.

24. მიუხედავად იმისა, რომ საერთო სასამართლომ მხედველობაში მიიღო სხვა ასპექტები, რომელსაც ქვემოთ განვიხილავ (B ნაწილში), გასაჩივრებული გადაწყვეტილების ეს ორი პუნქტი დაფუძნებულია სერიოზულ სამართლებრივ შეცდომაზე.

25. როგორც თავად საერთო სასამართლო აღნიშნავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების 32-ე და მე-40 პუნქტებში, (3) იდენტური ან მსგავსი ნიშნით სარგებლობა იდენტური ან მსგავსი საქონლის ან მომსახურებისთვის, როდესაც არსებობს განცხადებულ ნიშანთან აღრევის შესაძლებლობა - არის მხოლოდ ერთი ფაქტორი, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იყოს მიღებული. (4) იმისთვის რომ განვსაზღვროთ, განმცხადებელი მოქმედებდა თუ არა არაკეთილსინდისიერად, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ყოველი კონკრეტული საქმის ყველა რელევანტური ფაქტორი, რომელიც ეხებოდა კავშირის სასაქონლო ნიშანს სარეგისტრაციო წარდგენის დღისთვის. (5)

26. ქვემოთ მოყვანილი ხუთი არგუმენტის საფუძველზე აღვნიშნავ, რომ არც მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკით არ არის აღნიშნული საკითხი სადავო.

27. როგორც Koton და EUIPO მართებულად აღნიშნავენ, პირველ რიგში, სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბათილობის საფუძველი არ მოითხოვს, რომ განმცხადებელი იყოს სასაქონლო ნიშნით დაცული იდენტური ან მსგავსი საქონლისა ან მომსახურების ნიშნის მფლობელი. არამედ, არაკეთილსინდისიერების საფუძველით ნებისმიერ პირს შეუძლია სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობის მოთხოვნა.

28. მეორე რიგში, ყველა რელევანტური გარემოების გათვალისწინება წარმოადგენს არაკეთილსინდისიერების სუბიექტური ბუნების გარდაუვალ შედეგს. ასეთი სუბიექტური გარემოება შეიძლება იქნეს განსაზღვრული, მხოლოდ კონკრეტული შემთხვევის ობიექტურ გარემოებებზე მითითებით. (6) შესაბამისად, სასამართლომ, ასევე, განსაზღვრა დომენური სახელების არაკეთილსინდისიერად რეგისტრაციის წესები, რაც უკავშირდება სასაქონლო ნიშნების სამართალს, და ზოგიერთ ენობრივ ვერსიაში, შეიძლება არაკეთილსინდისიერება, განიმარტოს როგორც, ამომწურავი ჩამონათვალი, მაშინ როდესაც ასეთი შემთხვევები არ არის ამომწურავი. (7)

29. მესამე რიგში, რელევანტური გარემოებების გათვალისწინება, ასევე, გამომდინარეობს არაკეთილსინდისიერების მიზნიდან.

30. მართალია სასამართლოს, კანონმდებლობის მსგავსად, არ აქვს დადგენილი არაკეთილსინდისიერების დეფინიცია (8). ასეთი სიფრთხილე გონივრულია, ვინაიდან შეუძლებელია ყველა სამომავლო შემთხვევის განსაზღვრა და შეფასება.

31. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ინტერესებისთვის განხორციელებული ქმედებების დადგენის შესახებ სასამართლო პრაქტიკა წარმოადგენს სახელმძღვანელო წესებს არაკეთილსინდისიერების გამოკვლევისთვის. (9) ამგვარი ქმედება ხასიათდება ობიექტური და სუბიექტური ელემენტებით. ობიექტური ელემენტი, საჭიროა რომ ნათლად გამომდინარეობდეს ობიექტური გარემოებიდან, მიუხედავად ევროკავშირის წესებით განსაზღვრული ფორმალური გამოკვლევისა, ასეთი წესების მიზნები არ იქნა მიღწეული. რაც შეეხება სუბიექტურ ელემენტს, ეს უნდა გამომდინარეობდეს ობიექტური ფაქტორებიდან, როდესაც ტრანზაქციების არსებითი მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე უპირატესობით სარგებლობა. ინტერესთა კონფლიქტით განპირობებული ქმედების აკრძალვა არ არის რელევანტური, როდესაც მისი გამართლება ხორციელდება სხვაგვარი განმარტებით და არ არის ორიენტირებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე რაიმე უპირატესობის მოპოვებაზე. (10) შედეგად რელევანტური ფაქტორების სრულყოფილი შეფასება არის არსებითი.

32. თუ სასაქონლო ნიშნის რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობიდან გამომდინარე არაკეთილსინდისიერება შეიძლება განმარტებულ იქნეს,

როგორც სხვისი ინტერესების შემლახავი ქმედების აკრძალვა, სასაქონლო ნიშნის დაცვის მთავარი მიზანი და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე უპირატესობით სარგებლობა უნდა განისაზღვროს სასაქონლო ნიშნის არსებითი ფუნქციის გათვალისწინებით. ასეთი ფუნქცია არის გარანტია რომ მომხმარებელს ან საბოლოო მომხმარებელს აქვს საშუალება, აღრევის შესაძლებლობის გარეშე განახორციელოს იდენტიფიცირება კონკრეტული საქონლისა და მომსახურების წარმოშობის შესახებ და განასხვავოს სხვა წარმოშობის საქონლისა და მომსახურებისგან. (11)

33. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ თუ სასაქონლო ნიშანი არ გამოიყენება მისი არსებითი ფუნქციით, ასეთი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შეიძლება იყოს განხილული, როგორც არაკეთილსინდისიერი ქმედება. (12) არაკეთილსინდისიერებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც განმცხადებელი მიზნად საერთოდ არ ისახავს მისით სარგებლობას, (13) ასევე, მაშინაც როდესაც სურს მომხმარებელი შეიყვანოს შეცდომაში საქონლისა და მომსახურების წყაროს იდენტიფიცირებისას.

34. მეოთხე რიგში, მარტივია წარმოვიდგინოთ არაკეთილსინდისიერების სხვა ვარიანტებიც, რაც არ მოითხოვს უკვე არსებულ განაცხადთან გადაფარვას. ზოგიერთი ფიქრობს, რომ წარადგინოს სასაქონლო ნიშანზე განაცხადი, რომლის მიზანიც არის მხოლოდ სხვების ხელშეშლა სასაქონლო ნიშნის განაცხადის წარდგენისას („სასაქონლო ნიშნის მითვისება“ – „squatting“). (14)

35. დამატებით, მეხუთე რიგში, სასამართლომ უკვე აღიარა არაკეთილსინდისიერი განზრახვით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესაძლებლობა, რომლითაც განმცხადებელს სურს შექმნას საფუძველი აღწერილობითი დომენური სახელის შესაძენად. (15) აღნიშნულთან დაკავშირებით არარელევანტური იყო სასაქონლო ნიშნებზე წარდგენილი განაცხადების ფარგლები, რომლებიც წარდგენილი იქნა იდენტური ან მსგავსი საქონლის ან მომსახურებისთვის.

36. ამდენად, მესამე პირის არაკეთილსინდისიერების დადგენისთვის აუცილებელი არ არის რომ მესამე პირი იყენებდეს იდენტურ ან მსგავს ნიშანს იდენტური ან მსგავსი საქონლის ან მომსახურებისათვის, რომელიც შეიძლება იწვევდეს აღრევას იმ ნიშანთან, რომლის რეგისტრაციასაც ითხოვენ.

37. ასეთი დასკვნა არ იქნებოდა კითხვის ნიშნის ქვეშ, თუ არაკეთილსინდისიერება, როგორც ბოროტად გამოყენების დროს, არ იქნებოდა დამოკიდებული უსამართლოდ უპირატესობის მოპოვების მიზანზე, როგორც სასამართლოს გენერალურმა მრჩეველმა შარპსტონმა ივარაუდა, რომ ეს ქმედებები განიხილება კომერციული და ბიზნეს პრაქტიკისთვის მიუღებელი ეთიკური ქცევის წესებისგან გადახვევად. (16) ამ შეკითხვასთან დაკავშირებით მხედველობაში უნდა მიღებულიყო ყველა რელევანტური ფაქტორი.

B. საერთო სასამართლოს მხრიდან ფაქტობრივი გამოკვლევა

38. ზემოაღნიშნული აუცილებლად არ გამომდინარეობს კანონის არასწორი განმარტებიდან, თუმცა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს მიუხედავად იმისა, საერთო სასამართლომ რა განცხადებებზე მიუთითა გასაჩივრებული გადაწყვეტილების 44-ე და მე-60 პუნქტებში.

39. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 54-57 პუნქტებში, საერთო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნადალ ესტებანს ჰქონდა საქმიანი ურთიერთობა Koton-თან და ამგვარად ჰქონდა ინფორმაცია მის სასაქონლო ნიშნებზე და ის ფაქტი, რომ ნადალ ესტებანმა წარადგინა საჩივარი Koton-ის მიერ ესპანეთში ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებით. თუმცა, საერთო სასამართლოს შეხედულებით ეს არ იყო საკმარისი გარემოებები არაკეთილსინდისიერების დადგენისთვის.

40. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 44-ე და მე-60 პუნქტებში აღნიშნული გარემოებების საპირისპიროდ, საერთო სასამართლომ არ განიხილა, რომ მომსახურებების იდენტურობა ან მსგავსება აუცილებელი იყო არაკეთილსინდისიერების დადგენის მიზნებისთვის.

41. საერთო სასამართლომ, ამდენად სრულად შეაფასა Koton-ის მიერ წარდგენილი არგუმენტაცია. მიუხედავად ამისა, გასაჩივრებულ გადაწყვეტილების საფუძველზე შორის არის წინააღმდეგობა.

C. EUIPO-ს მიერ იდენტიფიცირებული დამატებითი ფაქტორი

42. EUIPO საჩივარს აფუძნებს დამატებით ფაქტორზე, რომელიც მხედველობაში არ იქნა მიღებული საერთო სასამართლოს მიერ.

43. ნადალ ესტებანმა თავდაპირველად სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვა იდენტური საქონლისა და მომსახურებისთვის 25-ე და 35-ე კლასებში. მისი განაცხადი უარყოფილ იქნა „Koton“-ის საჩივრის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, აღარ არსებობდა Koton-ის სასაქონლო ნიშნებსა და განსახილველ ნიშნებს შორის საქონლისა და მომსახურების მსგავსება.

44. Koton-მა ზეპირი სხდომის დროს დაადასტურა ეს გარემოება.

45. აღნიშნულთან დაკავშირებით ორი შეკითხვა ჩნდება: პირველი, EUIPO-ს მიერ წარდგენილი არგუმენტი ფაქტობრივად რამდენად მისაღებია და - თუ ის მისაღებია - მეორე, რამდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

1. EUIPO მიერ წამოჭრილი არგუმენტის დასაშვებობა

46. Koton-ს არც საერთო სასამართლოს წინაშე და არც შემდგომ აპელაციისას არ გაუკეთებია განცხადება თავდაპირველი განაცხადისა და ადრინდელი ნიშნების დაცვის ფარგლების გადაფარვის თაობაზე. ის მხოლოდ ამტკიცებდა, რომ ნედალ ესტებანს, როგორც ყოფილ ბიზნეს პარტნიორს, ჰქონდა ინფორმაცია მისი სასაქონლო ნიშნებისა და მსგავსების თაობაზე. უფრო მეტიც, აღნიშნული იქნა, რომ ნედალ ესტებანთან, ესპანეთში მიმდინარეობს სამართლებრივი დავა, სადაც მან სადავოდ გახადა მისი ერთ-ერთი ნიშანი.

47. ამიტომ, საეჭვოა, არის თუ არა EUIPO-ს პასუხის არგუმენტი საქონლისა და მომსახურების გადაფარვის შესახებ საკმარისი იმისათვის, რომ ეს ასპექტი გახდეს სააპელაციო სამართალწარმოების განხილვის საგანი.

48. პროცედურული წესების 174-ე მუხლის თანახმად, პასუხად, შეიძლება აპელაციის დასაშვებობა ან დაუშვებლობა, სრულად ან ნაწილობრივ. უფრო მეტიც, პროცედურული წესების 176-ე მუხლის თანახმად, საერთო სასამართლოს წინაშე რელევანტური საქმის მხარეს შეუძლია მისი პასუხისგან განაცალკეოს ჯვარედინი აპელაცია, რომელიც პროცედურული წესების 178-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მეორე წინადადების თანახმად, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე სარჩელითა და ცალკე მითითებული არგუმენტების საფუძველზე, რომელიც პასუხიდან გამომდინარეობდეს, შეიძლება ნაწილობრივ ან სრულად არ დაკმაყოფილდეს. ამ დებულებებიდან ცხადია, რომ ერთობლიობაში წაკითხვის შემდგომ, აპელაციაში დაფიქსირებული განსხვავებული და დამოუკიდებელი საფუძვლების გამო პასუხი შესაძლოა არ იყოს მიმართული გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისკენ, ვინაიდან ასეთი საფუძვლები შეიძლება მხოლოდ წარმოიშვას ჯვარედინი აპელაციის დროს. (17)

49. მაშასადამე, თუ დადგინდებოდა, რომ Koton არ ხდიდა სადავოდ საქონელსა და მომსახურებას შორის თავდაპირველ გადაფარვას, EUIPO-ს არგუმენტს ამასთან დაკავშირებით, უარყოფილი იქნებოდა დაუშვებლობის გამო.

50. თუმცა, ვფიქრობ, რომ Koton-ის მიერ წამოჭრილი არგუმენტის ასეთი შეფასება იქნებოდა ძალიან მკაცრი.

51. ფაქტობრივად, საქმის უდავო ფაქტების ნაწილი იყო თავიდანვე საერთო სასამართლოსა და მართლმსაჯულების სასამართლოში წარმოებისას 25-ე და 35-ე კლასებთან მიმართებაში თავდაპირველი გადაკვეთა. (18) საერთო სასამართლოს მიერ მოწოდებული ფაქტებიდან, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-3 და მე-8 პუნქტებში უთითებს, სულ მცირე, 35-ე კლასისთვის ნიშნის რეგისტრაციაზე უარს. (19) საერთო სასამართლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 39-ე პუნქტში ეყრდნობა, შესაბამის უწყებაში დავის განხილვის პროცესის დროს მიღებულ დასკვნებს, რათა დადგინდეს, რომ Koton-ის ადრინდელი სასაქონლო ნიშნები არ ვრცელდებოდა 39-ე კლასზე.

52. საერთო სასამართლოსა და მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე მხარეებმა აღნიშნეს საქონლისა და მომსახურების ნაწილზე თავდაპირველი გადაკვეთის შესახებ, როგორც სამართალწარმოების დავის საგანზე. შესაბამისად, ეს ფაქტი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არაკეთილსინდისიერების განსაზღვრისას.

2. თავდაპირველი განაცხადით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების გადაკვეთის მნიშვნელობა Koton-ის მიერ დაცულ სასაქონლო ნიშნებთან

53. ამგვარად, საერთო სასამართლომ არაკეთილსინდისიერების გამოკვლევისას ვერ გაითვალისწინა ერთი ფაქტორი.

54. ეს ფაქტორი, ასევე, რელევანტურია, რადგანაც ის იძლევა საშუალებს შეფასდეს ნადავლესტებანის განზრახვა განსახილველი სასაქონლო ნიშნის წარდგენის დროისთვის. არაკეთილსინდისიერების შეფასებისას სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი EUIPO-სთვის განცხადებით მიმართვის ან შეგებებული სარჩელის წარდგენის გზით დარღვევის შესახებ სამართალწარმოებისას, როდესაც განმცხადებელი მოქმედებდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით სასაქონლო ნიშნის წარდგენის თარიღისთვის. (20)

55. აღნიშნულთან დაკავშირებით, Koton-მა და EUIPO-მ საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით (21) განაცხადეს, რომ რეგისტრაციის თაობაზე განაცხადი არ შეიძლება გაიყოს არაკეთილსინდისიერების შეფასების მიზნებისთვის, წინამდებარე შემთხვევაში განაცხადი 25-ე და 35-ე კლასებისთვის განხილული იქნა არაკეთილსინდისიერი მიზნებით წარდგენილად, ხოლო 39-ე კლასის მომსახურებისთვის - არა.

56. ეს საკითხი ამჟამად განიხილება სრულიად განსხვავებულ საქმეში, რომელიც ეხება საკითხს რამდენად იყო მთლიანად განაცხადი წარდგენილი არაკეთილსინდისიერად, თუ მას ჰქონდა განზრახვა, რომ გამოიყენებდა კონკრეტული საქონლისა და მომსახურებების მიმართ, და არ ჰქონდა სხვა საქონლისა და მომსახურების მიმართ გამოყენების განზრახვა. (22) ეს ძალზედ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან ადრინდელი პრაქტიკის თანახმად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადები წარდგენილია საქონლისა და მომსახურების კლასების სრული ჩამონათვალისთვის. (23)

57. სასაქონლო ნიშნის განაცხადი შეიძლება ნაწილობრივ იქნეს წარდგენილი არაკეთილსინდისიერად, რაც გამომდინარეობს სასაქონლო ნიშნების შესახებ რეგულაციის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან, რომელიც განსაზღვრავს რომ ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი საქონლისა ან მომსახურების მხოლოდ ნაწილისთვის. (24)

58. ბათილობის სხვა საფუძვლებისგან განსხვავებით, არაკეთილსინდისიერება არ წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის თანდაყოლილ ხარვეზს, არამედ გამომდინარეობს იმ გარემოებებიდან რის გამოც მიმართეს სარეგისტრაციოდ. (25) როდესაც ადგილი აქვს სასაქონლო ნიშნის ხარვეზს, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ეხებოდეს მხოლოდ კონკრეტულ საქონელსა და მომსახურებას, მაგრამ არ გამორიცხავს მის გამოყენებას სხვა საქონლისა და მომსახურების მიმართ. თუმცა, გაცილებით რთულია, რომ კონკრეტული საქონლისა და მომსახურების მიმართ კონკრეტული ნიშნის რეგისტრაციის განაცხადის წარდგენა განხორციელდეს კეთილსინდისიერად, როდესაც იმავე უფლებით სხვა საქონლისა და მომსახურებების მიმართ წარდგენილია არაკეთილსინდისიერად.

59. გარდა ამისა, რეგისტრაციის დაყოფა კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ ნაწილებად სტიმულს მისცემს რეგისტრაცია მოითხოვონ უფრო მეტი საქონლისა და მომსახურების მიმართ, ვიდრე ეს გამომდინარეობს რეალური დანიშნულებიდან. ასეთ შემთხვევაში არ იქნება იმის საფრთხე, რომ ნიშანი ფაქტობრივად გამოყენება, თუ დადგინდება არაკეთილსინდისიერი განზრახვა. ნადავლ ესტებანის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კი ადასტურებს ამ რისკს. ის ამტკიცებს, რომ სასაქონლო ნიშნის 25-ე და 35-ე კლასებისთვის რეგისტრაცია მან განახორციელა იმიტომ, რომ დამატებითი ხარჯების გაწევა არ სურდა. იგი ასე არ მოიქცეოდა რომ სცოდნოდა, რომ ამ კლასების მიმართ რეგისტრაციის მოთხოვნა მისი განაცხადის ბათილობას გამოიწვევდა 39-ე კლასის მიმართაც.

60. თუმცა, წინამდებარე საქმეში, საბოლოო ჯამში განაცხადთან დაკავშირებით არ არის დასკვნების გაკეთების საჭიროება, რამდენად შეიძლებოდა ან აუცილებელი იყო დაყოფილიყო კეთილსინდისიერად და არაკეთილსინდისიერად წარდგენილ განაცხადებად. ის ფაქტი, რომ თავდაპირველად წარდგენილი განაცხადი საქონლისა და მომსახურებასთან მიმართებით, რაზეც განმცხადებელმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა რომ არსებობდა იდენტური ან მსგავსი ნიშანი, ნებისმიერ შემთხვევაში, არის მნიშვნელოვანი გარემოება, რაც მიუთითებს, რომ სასაქონლო ნიშნის განაცხადი სხვა კლასებისა და მომსახურებისთვის, ასევე, წარდგენილი იყო არაკეთილსინდისიერად.

61. ამ დამატებითი ასპექტიდან გამომდინარე, განმცხადებელს, ნადავლ ესტებანს ევალება ეჭვის აღმოფხვრა, თუ რამდენად იყოს მის მიერ წარდგენილი განაცხადი კეთილსინდისიერი განზრახვით. ამ ეჭვის აღმოსაფხვრელად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, შეუძლია თუ არა განმცხადებელს დაანახოს, რომ განაცხადის შეტანა განხორციელდა გასაგები - როგორც მინიმუმ მისი ცოდნით - ლეგიტიმური ეკონომიკური მიზნის ან „ეკონომიკურ ლოგიკის“ გამო. (26) (27)

62. თუმცა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს რაიმე მითითებას იმის შესახებ, რომ ასეთი ეკონომიკური ლოგიკა წარმოდგენილი ან შეფასებული იყო.

63. შედეგად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ იყო მიღებული შესაძლო არაკეთილსინდისიერების ამსახველი ყველა რელევანტური ფაქტორი და ამდენად, ეს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს.

D. საერთო სასამართლოს წინაშე წარდგენილი სარჩელი

64. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს დადგენილების 61-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია საერთო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდგომ, თავად მიიღოს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება, თუ ეს ქვეყნის სამართალწარმოების წესებით დაშვებულია, ან საქმე განსახილველად დაუბრუნოს საერთო სასამართლოს.

65. წინამდებარე საქმეზე, საერთო სასამართლოს არ შეუფასებია ის ფაქტი, რომ ნადალ ესტებანმა თავდაპირველად განსახილველ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადი წარადგინა საქონლისა და მომსახურების ორ კლასზე, რისთვისაც Koton-ს აქვს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები, არც ნადალ ესტებანის განმარტება მისი განაცხადის კომერციულ ლოგიკასთან დაკავშირებით. შემოთავაზებულია, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულად შეფასებისთვის საქმე განსახილველად დაუბრუნდეს საერთო იურისდიქციის სასამართლოს. (28)

66. მეორე მხრივ, დანარჩენ ორ კლასთან მიმართებით არ არსებობს დავა და ნადალ ესტებანმა მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე ზეპირი მოსმენის დროს კონკრეტულად განმარტა მიზეზები განაცხადთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ Koton-ს ეს მსჯელობა საექვოდ მიაჩნდა, ეს ეჭვები დეტალურად განიხილებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთება გაამართლებდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადს. ვინაიდან, აღნიშნული შემთხვევა არ გვაქვს, საქმე ეხება მხოლოდ ფაქტების სამართლებრივ დახასიათებას, რომელზეც მართლმსაჯულების სასამართლოს აქვს იურისდიქცია. (29)

67. ზემოაღნიშნული განცხადებების საფუძველზე, არაკეთილსინდისიერების შესწავლა გადამწყვეტად არის დამოკიდებული იმ გარემოებაზე, რამდენად შეუძლია ნადალ ესტებანს აღმოფხვრას ის ეჭვები და დაამტკიცოს, რომ განაცხადი წარდგენილი იყო კეთილსინდისიერი განზრახვით ეკონომიკური ლოგიკით.

68. ეს სასარჩელო მოთხოვნა ექვემდებარება მკაცრი პირობების დაკმაყოფილებას, რამდენადაც თავად ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა იცოდა ან უნდოდა სცოდნოდა რომ სხვები იყენებენ იდენტურ ან მსგავს სასაქონლო ნიშანს, მიუხედავად განსხვავებული საქონლისა და მომსახურებისა, წარმოშობს ეჭვებს, თუ რამდენად იყო რეგისტრაცია წარდგენილი კეთილსინდისიერად. პირმა განზრახ რატომ უნდა შექმნას რისკი, რომ მის მომხმარებლებს სხვა მომწოდებლის საქონლისა ან მომსახურების მიმართ წარმოეშვათ ასოციაცია?

69. როგორც ნადალ ესტებანის შემთხვევაში, თუ შეგნებულად ხდება ნიშნის ქვეშ დამატებითი საქონლისა და მომსახურებების რეგისტრაციის მცდელობა, რისთვისაც სხვა პირებს აქვთ რეგისტრირებული ნიშანი, ასეთი ეჭვები ხდება უფრო მეტად მნიშვნელოვანი.

70. ნადალ ესტებანის მიერ გაცხადებული კომერციული ლოგიკა საკმარისი არ არის ექვების აღმოსაფხვრელად. მას ჰქონდა სურვილი, რომ შეეთავაზებინა დამატებითი მომსახურებები და ამისთვის გამოეყენებინა ჩანთები, რაზეც ეს განსახილველი სასაქონლო ნიშანი უკვე გამოიყენებოდა, რამდენადაც მას მიღებული ჰქონდა ამგვარი ბამბის ჩანთები, კონკრეტული საქონლის შესაფუთად. თუმცა, არ არსებობს რაიმე მითითება ლეგიტიმურ ინტერესზე, რისკებთან დაკავშირებით, რომ მისი მომსახურება დაკავშირებულია Koton-თან ან სამომავლო საქმიანობაში Koton-ის შესუსტებასთან.

71. ამგვარად, მიჩნეული უნდა იქნეს, რომ განსახილველი სასაქონლო ნიშნის განაცხადი წარდგენილ იქნა არაკეთილსინდისიერი განზრახვით. შესაბამისად, სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს.

72. მეორე მხრივ, საერთო სასამართლოში Koton-ის წარდგენილი მოთხოვნა EUIPO-ისთვის დაევალებინა განსახილველი სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობა, დაუშვებელი იყო. არც საერთო სასამართლოს და არც მართლმსაჯულების სასამართლოს არ აქვს უფლება მისცეს მითითება EUIPO-ს. სასაქონლო ნიშნების შესახებ რეგულაციის 65-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ეს უკანასკნელი ვალდებულია სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილისა და საფუძვლებიდან გამომდინარე გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. (30)

VI. ხარჯები

73. პროცედურული წესების 184-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, როდესაც აპელაცია არის კარგად დასაბუთებული და სასამართლოს საქმეზე გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება, ის წყვეტს ხარჯების განაწილების საკითხს. ამ წესების 138-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რომელიც ვრცელდება სააპელაციო წარმოებაზე 184-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, წაგებულ მხარეს ევალება მოგებული მხარის სასარგებლოდ განახორციელოს ხარჯების ანაზღაურება. ეს ხარჯები მოიცავს ყველა იმ აუცილებელ ხარჯს, რომელიც მხარეების მიერ გაწეულ იქნა სააპელაციო საბჭოში სამართალწარმოების მიზნებიდან გამომდინარე, სასამართლოს პროცედურული წესების 190-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ხარჯები რომელიც იქნა გაწეული სააპელაციო საბჭოს წინაშე, ანაზღაურებადია.

74. წინამდებარე საქმეზე, ნადალ ესტებანის მოთხოვნები სრულად წარუმატებელი იყო.

75. მიუხედავად იმისა, რომ EUIPO-მ აპელაციის სამართალწარმოების ეტაპზე წარმატებით წარმოაჩინა მოთხოვნა, მისი სადავო გადაწყვეტილებების გამო და ვინაიდან ის ითხოვდა საერთო სასამართლოს წინაშეც სარჩელის დაუშვებლობას, მას ასევე, ეკისრება პასუხისმგებლობა იმაზე რომ აუცილებელი გახდა სააპელაციო განხილვა. ამრიგად, ლოგიკურია, რომ იგი აცხადებს რომ მას უნდა დაეკისროს ხარჯების ანაზღაურება.

76. მიუხედავად იმისა, რომ Koton წარუმატებელი აღმოჩნდა სასამართლოში წარდგენილ მოთხოვნებთან მიმართებაში განსახილველი სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობასა და EUIPO-ს დავალდებულებასთან დაკავშირებით, იგი საბოლოო ჯამში იყო არსებითად

წარმატებული, ვინაიდან EUIPO ვალდებულია გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები წინამდებარე გადაწყვეტილებიდან.

77. ნადალ ესტებანს და EUIPO-ს უნდა დაეკისროთ Koton-ის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება, ხოლო თითოეულმა მათგანმა უნდა გაიღოს საკუთარი ხარჯი.

VII. დასკვნა

78. აქვე, სასამართლოს ვთავაზობ რომ:

(1) გააუქმოს ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება, Koton Mağazacılık Tekstil Sanayi ve Ticaret v EUIPO – Nadal Esteban (STYLO & KOTON) (T-687/16, EU:T:2017:853);

(2) არ დააკმაყოფილოს Koton Mağazacılık Tekstil Sanayi ve Ticaret-ის მიერ შეტანილი აპელაცია დანარჩენ საკითხებზე;

(3) გაუქმდეს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების სააპელაციო საბჭოს მეორე კოლეგიის 2016 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე R 1779/2015-2);

(4) დაუშვებლად იქნეს ცნობილი Koton Mağazacılık Tekstil Sanayi ve Ticaret-ს მიერ წარდგენილი სარჩელი დანარჩენ საკითხებზე;

(5) დაავალოს ნადალ ესტებანსა და EUIPO-ს გაიღონ საკუთარი ხარჯები და ერთად, თანაბრად, გადაიხადონ Koton Mağazacılık Tekstil Sanayi ve Ticaret-ის მიერ სააპელაციო საბჭოს, საერთო სასამართლოსა და მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე წარმოებისას გაწეული ხარჯები.

1 ორიგინალი ენა: გერმანული

13/11/2019, C-528/18 P, Outsource 2 India (გამოსახულებითი)

სასამართლოს გადაწყვეტილება (მეათე პალატა)

2019 წლის 13 ნოემბერი (*)

(აპელაცია – ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი – №207/2009 რეგულაცია (EC) – ბათილობის აბსოლუტური საფუძვლები – 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი – სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის განაცხადის წარდგენის დროისთვის არაკეთილსინდისიერი განზრახვა)

საქმეზე C-528/18 P,

2018 წლის 6 აგვისტოს წარდგენილი აპელაცია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს დებულების 56-ე მუხლის თანახმად,

Outsource Professional Services Ltd, დაარსებული ფრიდრიხშაფენში (გერმანია), წარმოდგენილი ა. კემპტერის მიერ, ადვოკატი,

აპელანტი,

სამართალწარმოების სხვა მხარეები:

Flatworld Solutions Pvt Ltd, დაარსებული ბანგალორში (ინდოეთი), წარმოდგენილი by S.O. Gillert (ს.ო. გილერტის), K. Vanden Bossche (კ. ვანდენ ბოსსჩეს), B. Köhn-Gerdes (ბ. კოჰნ-გერდეს) and J. Schumacher (ჯ. ჩუმაჩერის), ადვოკატი,

მოსარჩელები პირველ ინსტანციაში,

ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO), წარმოდგენილი წარმომადგენლების D. Botis (დ. ბოტის) და D. Gája (დ. გაჯა) მიერ, მოპასუხე პირველ ინსტანციაში,

სასამართლო (მეათე პალატა)

დაკომპლექტებული შემდეგი მოსამართლეების მიერ: მეათე პალატის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი E. Juhász (ი. ჟუჰასზის), და მოსამართლეების M. Ilešić (მ. ილესიჩ)(მომხსენებელი) და C. Lycourgos (ს. ლაიურგოს), მიერ

სასამართლოს გენერალური მრჩეველი: ე. შარპსონი

მარეგისტრირებული: A. Calot Escobar (ა. კალოტ ესკობარ)

წერილობითი პროცედურის გათვალისწინებით, სასამართლოს მრჩეველის მოსმენის შემდგომ, მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება მოსაზრების წარმოდგენის გარეშე და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:

1. თავისი საჩივრით, კომპანია Outsource Professional Services Ltd ცდილობს გააუქმოს ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, Flatworld Solutions v EUIPO – Outsource Professional Services (Outsource 2 India) (T-340/16, არ არის გამოქვეყნებული, „გასაჩივრებული გადაწყვეტილება“, EU:T:2018:314), რომლითაც აღნიშნულმა სასამართლომ გააუქმა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) მეოთხე სააპელაციო საბჭოს 2016 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე R 611/2015-4) ბათილობის საქმისწარმოებასთან დაკავშირებით Flatworld Solutions Pvt Ltd-სა („Flatworld“) და Outsource2India Ltd-ს შორის, რომელიც ჩანაცვლდა Outsource Professional Services-ით („განსახილველი გადაწყვეტილება“).

სამართლებრივი შინაარსი

2. 2009 წლის 26 თებერვლის საბჭოს რეგულაცია (EC) №207/2009 ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის შესახებ (OJ 2009 L 78, გვ. 1) შეიცვალა 2015 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა (EU) 2015/2424 და საბჭოს რეგულაციით (OJ 2015 L 341, გვ. 21), რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 23 მარტს. შემდგომში იგი გაუქმდა და შეიცვალა, 2017 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედებული ევროპარლამენტის (EU) 2017/1001 და 2017 წლის 14 ივნისის საბჭოს რეგულაციით ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის შესახებ (OJ 2017 L 154, გვ. 1).

3. ვინაიდან განცხადება ევროკავშირის ნიშნის რეგისტრაციაზე წარდგენილი იყო 2016 წლის 23 მარტამდე, ისევე, როგორც რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილება და განცხადება ბათილად ცნობის შესახებ, წინამდებარე დავა განხილულ უნდა იქნეს №207/2009 რეგულაციის ფარგლებში, მისი ორიგინალი ვერსიის მიხედვით.

4. ამ რეგულაციის მე-8 მუხლი, სახელწოდებით „უარის თქმის შედარებითი საფუძვლები“, ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„1. ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მფლობელის საჩივრის შემთხვევაში, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება:

(ა) თუ ის უფრო ადრინდელი სასაქონლო ნიშნის იდენტურია და საქონელი ან მომსახურება, რომლისთვისაც მოთხოვნილია რეგისტრაცია, იდენტურია იმ საქონლის ან მომსახურებისა, რისთვისაც რეგისტრირებულია ადრინდელი სასაქონლო ნიშანი;

(ბ) თუ ადრინდელ სასაქონლო ნიშანთან მისი იდენტურობის ან მსგავსების გამო და სასაქონლო ნიშნით მონიშნული საქონლისა ან მომსახურების იდენტურობის ან მსგავსების გამო, არსებობს საზოგადოების ნაწილში აღრევის შესაძლებლობა იმ ტერიტორიაზე, სადაც ადრინდელი სასაქონლო ნიშანია დაცული; აღრევის შესაძლებლობა მოიცავს ადრინდელ სასაქონლო ნიშანთან ასოცირების შესაძლებლობას.

2. პირველი პუნქტის მიზნებისათვის, „ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნები“ ნიშნავს:

(ა) სასაქონლო ნიშნები ... რეგისტრაციის შესახებ განაცხადის იმაზე უფრო ადრინდელი თარიღით, ვიდრე [ევროკავშირის] სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის თარიღი ...

...

5. გარდა ამისა, ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მფლობელის საჩივრის შემთხვევაში მე-2 პუნქტით განსაზღვრული მნიშვნელობით, სასაქონლო ნიშანი არ უნდა

დარეგისტრირდეს, თუ ის ადრინდელი სასაქონლო ნიშნის იდენტურია ან მსგავსია და რეგისტრაცია მოთხოვნილია საქონლის ან მომსახურების მიმართ, რომელიც არ არის ადრინდელი ნიშნის საქონლის მსგავსი, სადაც, ადრინდელ [ევროკავშირის] სასაქონლო ნიშანს აქვს რეპუტაცია [ევროკავშირში] და ადრინდელი ეროვნული სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში, სასაქონლო ნიშანს აქვს რეპუტაცია შესაბამის წევრ სახელმწიფოში და თუ სასაქონლო ნიშნის სათანადო მიზეზის გარეშე გამოყენება სასაქონლო ნიშნის მფლობელს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს ადრინდელი სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობას ან რეპუტაციას.“

5 რეგულაციის 52-ე მუხლი, სახელწოდებით „ბათილობის აბსოლუტური საფუძვლები“, წარმოდგენილი პირველ პარაგრაფში:

„[ევროკავშირის] სასაქონლო ნიშანი შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი უწყებისათვის წარდგენილი განაცხადის საფუძველზე ან დარღვევის სამართალწარმოების ფარგლებში შეგებებული სარჩელის საფუძველზე;

...

(ბ) სადაც განმცხადებელი სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენის დროს მოქმედებდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით.“

6. რეგულაციის 53-ე მუხლის, სახელწოდებით „ბათილობის შედარებითი საფუძვლები“, პირველი პარაგრაფი ადგენს:

„[ევროკავშირის] სასაქონლო ნიშანი ძალადაკარგულად გამოცხადდება უწყებაში წარდგენილი განცხადების საფუძველზე ან დარღვევის საქმისწარმოებისას შეგებებული სარჩელის საფუძველზე;

(ა) თუ არსებობს მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უფრო ადრინდელი სასაქონლო ნიშანი და პირველ ან მეხუთე პარაგრაფში მითითებული პირობები სახეზეა;

...“

დავის საფუძვლები და სადავო გადაწყვეტილება

7. 2007 წლის 25 ივნისს, გერმანიაში დაფუძნებულმა კომპანიამ „Outsource2India“ შეიტანა განაცხადი ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში ევროკავშირის



სასაქონლო ნიშნის მოთხოვნით:

(„სადავო ნიშანი“) რეგისტრაციის

8. აღნიშნული ნიშანი 2008 წლის 20 მაისს დარეგისტრირდა 1957 წლის 15 ივნისის საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკატორის ნიცის შეთანხმების 35-ე, 36-ე და 41-ე კლასების მომსახურების მიმართ, რაც მოიცავდა ბიზნესის ადმინისტრირებას, საოფისე სამსახურს, შეკვეთების მიღებას, დამუშავებას და გადაცემას და დროებითი დასაქმების სააგენტოებს.

9. 2013 წლის 4 თებერვალს ინდოეთში დაფუძნებულმა კომპანიამ „Flatworld“, შეიტანა განაცხადი სადავო ნიშნის ბათილად ცნობის შესახებ №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

10. 2015 წლის 3 თებერვალს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების გაუქმების განყოფილებამ დააკმაყოფილა ბათილად ცნობის შესახებ განაცხადი. მან

დაადგინა, რომ სადავო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადით კომპანიას „Outsource2India“ განზრახული ჰქონდა მიეთვისებინა ელემენტი „outsource2india“, რომლითაც ევროკავშირში უკვე სარგებლობდა კომპანია „Flatworld“. ამგვარი ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნით განაცხადის წარდგენისას კომპანია „Outsource2India“ მოქმედებდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით.

11. კომპანიამ „Outsource2India“ მიმართა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებას გაუქმების განყოფილების გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით.

12. ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების მეოთხე სააპელაციო საბჭომ გააუქმა გაუქმების განყოფილების გადაწყვეტილება.

13. სააპელაციო საბჭომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებიდან არ იყო აშკარა, რომ „Outsource2India“ არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა. „Outsource2India“ განიხილავდა კომერციული ურთიერთობის დამყარებას „Flatworld“-თან გერმანიაში ან ევროკავშირის სხვა ქვეყნებში დაფუძნებული კომპანიებისთვის დახმარების გაწევით, თავიანთი მომსახურების ინდოეთში აუტსორსინგის გზით. საქმის მასალებიდან არ იყო ცხადი, რომ Outsource2India-ს ჰქონდა განზრახვა მიეთვისებინა ელემენტი „outsource2india“. ვინაიდან ეს ტერმინი აღწერილობითი ხასიათისაა და, შესაბამისად, შეიძლება თავისუფლად გამოიყენოს სექტორის ყველა მოვაჭრემ ინდოეთში მომსახურების აუტსორსინგისთვის, მისი გამოყენების განზრახვა არ შეიძლება ჩაითვალოს არაკეთილსინდისიერ განზრახვად. არ იყო დადგენილი, რომ Outsource2India-ს სურდა Flatworld-ის ინტერესების შელახვა. პირიქით, ის ფაქტი, რომ მან მოითხოვა ნიშნის რეგისტრაცია, რომელიც მოიცავდა გამოსახულებით ელემენტებს, რომლებიც Flatworld-ს არასოდეს გამოუყენებია, მიუთითებდა, რომ მას ასეთი განზრახვა არ ჰქონია.

14. განსახილველი გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში, მეოთხე სააპელაციო საბჭომ მხედველობაში მიიღო შემდეგი ნიშანი, რომელიც შეიცავდა სიტყვიერ ელემენტს „outsource2india“ და გარკვეულ გამოსახულებით ელემენტებს, რომლის ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზეც Flatworld-მა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებას მიმართა 2010 წლის 27 აპრილს და დარეგისტრირდა 2011 წლის 25 მაისს:



15. ამ გადაწყვეტილების მე-14 პუნქტში აღნიშნულია, მართალია არაფერი ადასტურებდა Flatworld-ის მიერ ამ ნიშნის გამოყენების დაწყებას 2007 წლის 25 ივნისამდე, თუმცა საქმის მასალებიდან აშკარა იყო და სააპელაციო საბჭომ მიიჩნია, რომ Outsource2India-მ იცოდა Flatworld-ის მიერ ამ ნიშნის გამოყენების შესახებ, რაც არ მეტყველებს მის არაკეთილსინდისიერად მოქმედებაზე იმ სადავო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის წარდგენის გზით, რომელიც შეიცავდა განსხვავებულ გამოსახულებით ელემენტებს.

16. ამ გადაწყვეტილების მე-20 პუნქტში ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების მეოთხე სააპელაციო საბჭომ დაამატა, რომ „მწირი მტკიცებულება, რომელიც აჩვენებს, რომ [Flatworld-ს] 2006 წელს საკუთარ ვებ-გვერდზე ჰქონდა საინფორმაციო გვერდი გერმანულ ენაზე... არ არის იმის მტკიცებულება, რომ იგი რეალურად ახორციელებდა რაიმე მომსახურებას.“

საერთო იურისდიქციის სასამართლოში სამართალწარმოება და გასაჩივრებული გადაწყვეტილება

17. 2016 წლის 28 ივნისს საერთო იურისდიქციის სასამართლოს რეესტრში შეტანილი საჩივრით Flatworld-მა მოითხოვა სადავო გადაწყვეტილების გაუქმება და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების გაუქმების განყოფილების გადაწყვეტილების ძალაში დატოვება. თავისი ქმედების მხარდასაჭერად Flatworld-მა წამოაყენა ერთი მოთხოვნა, რომელიც ამტკიცებდა №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

18. საერთო იურისდიქციის სასამართლოში სამართალწარმოების მიმდინარეობისას Outsource2India ჩანაცვლდა Outsource Professional Services-ით.

19. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-20 პუნქტში, საერთო იურისდიქციის სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის სისტემა ეფუძნება პრინციპს „პირველად წარდგენილი“ და, შესაბამისად, „არარეგისტრირებული ნიშნის უბრალო გამოყენება მესამეს მიერ არ გამორიცხავს იდენტური ან მსგავსი ნიშნის რეგისტრაციას“. საერთო იურისდიქციის სასამართლომ ამ გადაწყვეტილების 35-ე პუნქტში დაასკვნა, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ Flatworld-მა ადრე გამოიყენა „მისი არარეგისტრირებული ნიშანი outsource2india“ არ გამორიცხავდა სადავო ნიშნის რეგისტრაციას. მიუხედავად ამისა, სასამართლომ აღნიშნა: როდესაც აშკარაა, რომ ევროკავშირის ნიშნის მფლობელი რეგისტრაციისთვის განაცხადის შეტანის დროს მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად, ეს ნიშანი უნდა გამოცხადდეს ბათილად, მიუხედავად იმისა ადრინდელ სასაქონლო ნიშანზე არსებობდა თუ არა უფლებები.

20. შემდეგ, არაკეთილსინდისიერების შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით, საერთო იურისდიქციის სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 23-25-ე პუნქტებში, 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილების 53-ე პუნქტზე მითითებით აღნიშნა, საქმე – Chocoladefabriken Lindt & Sprüngli (C-529/07, EU:C:2009:361), მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ სასაქონლო ნიშნის განმცხადებელმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მესამე პირი სულ მცირე ერთ წევრ ქვეყანაში იყენებდა, იდენტურ ან მსგავს ნიშანს ისეთ იდენტურ ან მსგავს პროდუქტთან ან მომსახურებასთან მიმართებაში, რომლის რეგისტრაციაც იყო მოთხოვნილი, განმცხადებლის განზრახვა აღკვეთოს მესამე პირის მიერ ასეთი ნიშნის გამოყენება და სამართლებრივი დაცვის ხარისხი, რომლითაც სარგებლობს მესამე პირის ნიშანი და ის ნიშანი რომლის რეგისტრაციაც მოთხოვნილია. მიუხედავად ამისა, ეს ფაქტორები მხოლოდ „მაგალითებია მიღებული მთელი რიგი ფაქტორებიდან, რომლებიც შეიძლება იყოს გათვალისწინებული იმის გადაწყვეტისას, მოქმედებდა თუ არა განმცხადებელი... არაკეთილსინდისიერად“. ნებისმიერ შემთხვევაში, ასევე, აუცილებელია განხილულ იქნეს „განმცხადებლის განზრახვა სარეგისტრაციო განაცხადის შეტანის დროს, რაც არის სუბიექტური ფაქტორი, რომელიც უნდა განისაზღვროს კონკრეტული საქმის ობიექტურ გარემოებებზე მითითებით“.

21. რაც შეეხება ამ ობიექტურ გარემოებებს, საერთო იურისდიქციის სასამართლომ ამ გადაწყვეტილების 29-ე პუნქტში აღნიშნა, რომ 2006 წლის 4 ნოემბერს განხორციელდა Flatworld-თან კომუნიკაცია გერმანიაში დაფუძნებულ პარტნიორთან შესაძლო თანამშრომლობის შესახებ და 2006 წლის 13 დეკემბერს მას ეცნობა. ამ მიზნით გერმანიაში კომპანიის შექმნის თაობაზე, სახელწოდებით „Outsource2India Ltd“ და ამ კომპანიის სურვილი, გამოეყენებინა Flatworld-ის ნიშანი, რომელიც შეიცავს ელემენტს „outsource2india“.

22. ამ გადაწყვეტილების 30-32-ე პუნქტებში მოცემული დასკვნების მიხედვით, Flatworld-ს ჰქონდა ექვი თანამშრომლობასა და Outsource2India-ის ზოგიერთ ქვევასთან დაკავშირებით, რაც მან არაერთხელ გამოხატა წერილობით პრეტენზიების წარდგენით და საბოლოოდ, 2007 წლის 25 მაისს ელექტრონული ფოსტით აცნობა, რომ იგი ვერ ხედავდა თანამშრომლობის პერსპექტივას და მიიჩნია, რომ Outsource2India ცდილობდა ესარგებლა ელემენტით „outsource2india“.

23. საერთო იურისდიქციის სასამართლომ ამ გადაწყვეტილების 38-ე პარაგრაფში განაცხადა, რომ Outsource2India-მ იცოდა, რომ Flatworld უკვე იყენებდა გერმანიაში „სადავო ნიშნის აღრევამდე მსგავს ნიშანს იმავე მომსახურებისთვის“, ვინაიდან Flatworld „2006 წლიდან მისი არარეგისტრირებული ნიშნის ქვეშ სთავაზობდა და უწყევდა აუთსორსულ მომსახურებას მის კლიენტ, ევროკავშირში, კონკრეტულად კი გერმანიაში დაფუძნებულ კომპანიებს“.

24. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 39-ე პარაგრაფში, საერთო იურისდიქციის სასამართლომ განაცხადა, რომ Flatworld-ს, ასევე, სურდა თავისი ბიზნესის განვითარება ესპანეთსა და საფრანგეთში და სასამართლოს წინაშე წარდგენილი დოკუმენტებიდან, ასევე, ცხადი იყო, რომ Flatworld სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის შეტანის დროს მარკეტინგულ მომსახურებას ახორციელებდა გერმანიაში სიტყვიერი ელემენტების „outsource2india“ გამოყენებით, რასაც ახორციელებდა „მისი ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელიც არ იყო გამიზნული მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებისათვის“, ეს ყოველივე კი ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რაც ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების მეოთხე სააპელაციო საბჭომ განსახილველი გადაწყვეტილების მე-20 პარაგრაფში დაადგინა.

25. ამ გადაწყვეტილების 41-ე პუნქტში, საერთო იურისდიქციის სასამართლომ აღნიშნა: „ფაქტი, რომ განმცხადებელმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მესამე პირი დიდი ხანია იყენებდა, სულ მცირე, ერთ წევრ ქვეყანაში იდენტურ ან მსგავს ნიშანს იდენტური ან მსგავსი საქონლისთვის, რომელიც შეიძლება იყოს აღრევამდე მსგავსი სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშნის, თავისთავად არ არის საკმარისი დასკვნისთვის, რომ განმცხადებელი მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად“, რადგან „ასევე გასათვალისწინებელია განმცხადებლის განზრახვა განაცხადის წარდგენის დროს“. საერთო იურისდიქციის სასამართლომ სწორედ ამიტომ მიიჩნია, რომ აუცილებელი იყო განეხილა Outsource2India-ს განზრახვა საჩივრის შეტანის დროს.

26. ამ განზრახვასთან დაკავშირებით, აღნიშნული გადაწყვეტილების 42-47-ე პარაგრაფებში აღინიშნა, რომ Outsource2India-ს თანამშრომლობის წინადადებიდან წარმოშობილი „წინასწარი ხელშეკრულების ურთიერთობის“ კონტექსტში, ამ უკანასკნელმა „აილო ვალდებულება“ შეეცვალა მის მიერ გამოყენებული ნიშანი და ასევე, შეეცვალა სახელწოდება მისი ვებ-გვერდისათვის, იმ შემთხვევაში, თუ არ შედგებოდა თანამშრომლობის შეთანხმება. საერთო იურისდიქციის სასამართლოს თანახმად, როდესაც ნათელი გახდა, რომ შეთანხმება არ შედგებოდა, Flatworld „გასაგებია რომ, ჭეშმარიტად გაკვირვებული იყო“, როდესაც მიხვდა Outsource2India აგრძელებდა ელემენტის „outsource2india“ გამოყენებას. წინასახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტიდან მალევე, Flatworld-ის მიერ გამოყენებული ნიშნის მსგავსი ნიშნის ევროკავშირის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენით, Outsource2India მიზნად ისახავდა „outsource2india“ ელემენტის ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებას, რომელიც, მხარეებს შორის გაცვლილი კორესპონდენციიდან - კერძოდ, Flatworld-ის 2007 წლის 25 მაისის ელ.წერილი - და მათ კორესპონდენციაში განვითარებული მოვლენები, ნათელს ხდიდა, რომ Outsource2India არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 47-ე პარაგრაფში საერთო იურისდიქციის სასამართლომ განაცხადა, რომ ეს შეფასება იყო „[დამოუკიდებელი] იმ საკითხისგან, არის თუ არა ფორმულირება „outsource2india“ აღწერილობითი“.

27. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, საერთო იურისდიქციის სასამართლომ გააუქმა სადავო გადაწყვეტილება.

მხარეთა მოთხოვნები:

28. Outsource Professional Services მოითხოვს, რომ სასამართლომ:

- გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება;
- ძალაში დატოვოს სადავო გადაწყვეტილება და
- დაავალოს Flatworld-ს გადაიხადოს ხარჯები.

29. ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება მოითხოვს, რომ სასამართლომ:

- გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და
- დაავალოს Flatworld-ს გადაიხადოს ხარჯები.

30. Flatworld ამტკიცებს, რომ სასამართლომ:

- არ უნდა დააკმაყოფილოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და
- უნდა დაავალოს Outsource Professional Services - ს გადაიხადოს ხარჯები, მათ შორის Flatworld-ის მიერ პირველი ინსტანციის ფარგლებში გაწეული ხარჯები.

საჩივარი

31. თავისი საჩივრის მხარდასაჭერად, აპელანტი აყენებს საჩივრის ერთ საფუძველს, რომელიც ამტკიცებს №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

მხარეთა არგუმენტები

32. აპელანტის თქმით, არ შეიძლება დამტკიცდეს, რომ Outsource2India არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა სადავო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენის დროს.

33. პირველ რიგში, იგი აცხადებს, რომ არ დადასტურებულა, ის ფაქტი, რომ Flatworld 2007 წლის 25 ივნისამდე იყენებდა სადავო ნიშნის მსგავს ნიშანს ევროკავშირში.

34. ერთადერთი მსგავსება სადავო ნიშანსა და იმ ნიშანს შორის, რომელიც თითქოს ევროკავშირში გამოიყენებოდა Flatworld-ის მიერ 2007 წლის 25 ივნისამდე, არის ელემენტი „outsourcing2india“, რომელიც აღწერს განსახილველ კომერციულ საქმიანობას. აღწერილობითი ტერმინების გამოყენება არ წარმოადგენს ბიზნესისთვის არაკეთილსინდისიერ ქმედებას. გამომდინარე იქიდან, რომ ელემენტი „outsourcing2india“ უნდა გამოირიცხოს შეფასებისას და რომ სადავო ნიშანი გამოსახულებით განსხვავდება Flatworld-ის ნიშნისგან, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 38-ე პუნქტში ნიშანი არასწორად იქნა მიჩნეული სადავო ნიშნის „მსგავსად“.

35. საერთო იურისდიქციის სასამართლომ, ასევე, ამ გადაწყვეტილების 39-ე პუნქტში არასწორად დაადგინა, რომ Flatworld ამ ნიშნის გამოყენებით 2007 წლის 25 ივნისამდე სთავაზობდა მომსახურებას გერმანიაში. ამასთან დაკავშირებით, აპელანტი აცხადებს, რომ Flatworld-ის ვებგვერდი შეიცავდა მხოლოდ ერთ გვერდს გერმანულ ენაზე, რომელიც იყო წმინდად ინფორმაციული.

36. აპელანტის განცხადებით, სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნით განაცხადის წარდგენის დროს Flatworld-ს არ გააჩნდა რაიმე უფლება მის სასაქონლო ნიშანზე. იმ დროს, ეს ნიშანი არ იყო რეგისტრირებული და ამ გადაწყვეტილების 37-ე პარაგრაფში საერთო იურისდიქციის სასამართლოს შეხედულების საწინააღმდეგოდ, Flatworld-ს არ გააჩნდა რაიმე „არარეგისტრირებული ნიშანი“ გერმანიის ან რომელიმე სხვა ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

37. ამ გადაწყვეტილების 42-ე პარაგრაფის დასკვნა ასევე, არასწორია, იმასთან დაკავშირებით, რომ Flatworld გაკვირვებული იყო, როდესაც აღმოაჩინა, რომ Outsource2India კვლავ აგრძელებდა სიტყვიერი ელემენტების „outsourcing2india“ გამოყენებას, მიუხედავად იმისა, რომ Outsource2India-მ „აიღო ვალდებულება“ შეეწყვიტა მისი გამოყენება, თუ მხარეებს შორის არ იქნებოდა შეთანხმება მიღწეული. აპელანტი ამტკიცებს, რომ მხარეები არასოდეს შეთანხმებულან და Outsource2India-ს არასოდეს გაუცია დაპირება, რომ შეწყვეტდა ამ ელემენტის გამოყენებას.

38. ანალოგიურად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 45-ე პარაგრაფის დასკვნა, რომ Flatworld-ს შეეძლო გონივრული მოლოდინი ჰქონოდა, რომ Outsource2India შეცვლიდა

თავისი კომპანიის სახელს, არასწორია. ასეთი სახელის შეცვლა მხარეებს შორის არასოდეს ყოფილა შეთანხმებული ან დაპირებული Outsourc2India-ს მიერ.

39. მეორეც, აპელანტი ამტკიცებს, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლოს თავის შეფასებაში უნდა შეეტანა 2009 წლის 11 ივნისის, Chocoladefabriken Lindt & Sprüngli (C-529/07, EU:C:2009:361) გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული თითოეული ფაქტორი და ციტირებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების 23-ე პუნქტში. სასამართლო სამართლებრივი შეფასებისას შეცდა, როდესაც დაადგინა, რომ არ იყო აუცილებელი ყველა ამ ელემენტის გათვალისწინება.

40. ამრიგად, საერთო იურისდიქციის სასამართლო შეცდა, რადგან მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე ვერ შეაფასა, სადავო ნიშანი და Flatworld-ის ნიშანი იწვევდა თუ არა აღრევის შესაძლებლობას საზოგადოებაში. აპელანტის განცხადებით, საერთო იურისდიქციის სასამართლოს ამგვარად რომ შეეფასებინა, ის აუცილებლად დაასკვნადა, რომ არ არსებობდა აღრევის შესაძლებლობა. ელემენტის „outsourc2india“ აღწერილობითი ხასიათის გამო, სადავო ნიშნისა და Flatworld-ის ნიშნის გამოსახულებითი ელემენტები დომინანტია. ვინაიდან ეს ელემენტები ვიზუალურად განსხვავებულია, არ შეიძლება არსებობდეს აღრევის შესაძლებლობა.

41. ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება, თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლომ ვერ დაასაბუთა თავისი დასკვნა, რომ Flatworld-ის ნიშანი არის „არარეგისტრირებული ნიშანი“, რომელიც ანიჭებს სამართლებრივ დაცვას. გარდა ამისა, საერთო იურისდიქციის სასამართლომ ვერ დაასახელა თავისი შეფასების მიზეზები, რომ არსებობს ამ ნიშანსა და სადავო ნიშანს შორის აღრევის შესაძლებლობა.

42. ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების თანახმად, ამ მიზეზების გამოუცხადებლობამ უნდა გამოიწვიოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ვინაიდან, აღრევის შესაძლებლობისა და არარეგისტრირებული ნიშნის არსებობის დადასტურების გარეშე, საერთო იურისდიქციის სასამართლო მოცემულ შემთხვევაში ვერ შეძლებდა გონივრული დასკვნის გაკეთებას, რომ Outsourc2India მოქმედებდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით.

43. რაც შეეხება „არარეგისტრირებული ნიშნის“ კონცეფციას, რომელზეც მიუთითებს სართო იურისდიქციის სასამართლო, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება აღნიშნავს, რომ ასეთი კონცეფცია არ არსებობს ევროკავშირის კანონმდებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს კონცეფცია ფაქტობრივად არსებობს ზოგიერთ ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში, საერთო იურისდიქციის სასამართლოს უნდა დაედგინა, რომ Flatworld-ის ნიშანი სარგებლობდა სამართლებრივი დაცვით, როგორც „არარეგისტრირებული ნიშანი“.

44. რაც შეეხება აღრევის შესაძლებლობის დადგენას, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივია, რადგან ის მოიცავს ამგვარ დასკვნას დასაბუთების გარეშე. ამ გადაწყვეტილების 38-ე პუნქტში აღრევის შესაძლებლობის დადგენით, საერთო იურისდიქციის სასამართლომ

არსებითად დაასკვნა, რომ Flatworld-ის ნიშანი, რომელიც შეიცავს ელემენტს „outsourc-2india“ არის განმასხვავებელუნარიანი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ გადაწყვეტილების 47-ე პუნქტში ირიბად აღიარებდა აღნიშნული ელემენტის აღწერილობით ხასიათს.

45. ნებისმიერ შემთხვევაში, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების თანახმად, საეჭვოა, შეიძლება თუ არა სასაქონლო ნიშნის განმცხადებელი დადანაშაულებულ იქნეს არაკეთილსინდისიერ ქმედებებში, როდესაც მან ევროკავშირის ნიშნად წარდგინო სასაქონლო ნიშანში გამოიყენა აღწერილობითი ტერმინები. ამიტომ, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება არ ეთანხმება საერთო იურისდიქციის სასამართლოს დასკვნას, რომელიც მოცემულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების 47-ე პუნქტში, იმის თაობაზე, რომ არარელევანტურია, არის თუ არა სხვათა მიერ გამოყენებული ნიშნის ელემენტი აღწერილობითი. ასეთი დასკვნა არ შეესაბამება პრინციპს, რომ აღწერილობითი ტერმინები შეიძლება თავისუფლად გამოიყენოს ყველა მოვაჭრემ.

46. Flatworld მიიჩნევს, რომ საჩივარი, ნაწილობრივ, აშკარად დაუშვებელია და რაც შეეხება დანარჩენს, უსაფუძვლო.

სასამართლოს დასკვნები

47. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 256-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე ქვეპუნქტისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს დებულების 58-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, გასაჩივრება მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს ეხება. ამდენად, ზოგად სასამართლოს აქვს ექსკლუზიური იურისდიქცია შესაბამისი ფაქტების მოძიებისა და მტკიცებულებების შესაფასებლად. ამ ფაქტებისა და მტკიცებულების შეფასება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფაქტები ან მტკიცებულებები დამახინჯებულია, არ წარმოადგენს სამართლებრივ საკითხებს, როგორც ასეთი, მართლმსაჯულების სასამართლოს სააპელაციო წესით განხილვის საგანს (იხ., inter alia, გადაწყვეტილებები 2008 წლის 18 დეკემბერი, *Les Éditions Albert René v OHIM*, C-16/06 P, EU:C:2008:739, პუნქტი 68 და 2019 წლის 31 იანვარი, *Pandalis v EUIPO*, C-194/17 P, EU:C:2019:80, პარაგრაფი 51).

48. გარდა ამისა, აღნიშნული აშკარა უნდა იყოს სასამართლოს საქმეში არსებული დოკუმენტებიდან, ფაქტებისა და მტკიცებულებების ახალი შეფასების საჭიროების გარეშე. აპელანტმა ზუსტად უნდა მიუთითოს საერთო სასამართლოს მიერ სავარაუდო დამახინჯებულ მტკიცებულებებზე და აჩვენოს შეფასებისას დაშვებული შეცდომები, რამაც, მისი აზრით, გამოიწვია ამგვარი უსწორობა (იხ., შესაბამისად, 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება, *Pandalis v EUIPO*, C. -194/17 P, EU:C:2019:80, პუნქტები 52 და 53 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

49. მოცემულ საქმეში, აპელანტი აპროტესტებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების 39-ე პუნქტში მოცემული ფაქტის დადგენის შესახებ დასკვნას, რომ სადავო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის შეტანის დროს, Flatworld აწარმოებდა მომსახურებას გერმანიაში ელემენტის „outsourc2india“ გამოყენებით, რომელსაც მოიცავდა მე-14 პუნქტში ასახული ნიშანი, არ არის გამყარებული რაიმე კონკრეტული მითითებით ან დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლომ აშკარად დაამახინჯა

ფაქტები ან მტკიცებულებები Flatworld-ის ვებ-გვერდიდან, რომ ეს კომპანია სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანის დროს მოქმედებდა გერმანიაში და სთავაზობდა მომსახურებას ელემენტის „outsourc2india“ გამოყენებით.

50. აქედან გამომდინარე, საჩივარი დაუშვებელია იმდენად, რამდენადაც გასაჩივრებულია საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტი.

51. თუმცა, რაც შეეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილების 42-ე და 45-ე პუნქტებში მოცემულ დასკვნებს, რომ Outsourc2India-მ აიღო ვალდებულება შეეცვალოს მის მიერ გამოყენებული ნიშანი, ვებ-გვერდი და მისი კომპანიის სახელი, იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ შეთანხმდნენ თანამშრომლობაზე, აპელანტმა ზუსტად დაასახელა, რატომ თვლის, რომ ამ დასკვნებით, საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაამახინჯა მის წინაშე არსებული ფაქტები და მტკიცებულებები. საჩივრის დანართში მან წარმოადგინა Outsourc2India-სა და Flatworld-ის მენეჯერს შორის გაცვლილი კონტრაქტების პროექტები და კორესპონდენციები, რომლებიც, ასევე, წარედგინა საერთო იურისდიქციის სასამართლოს და ადასტურებს, რომ აპელანტის თქმით, მხარეები არასოდეს შეთანხმებულან, რომ Outsourc2India შეწყვეტდა ელემენტის „outsourc2india“ გამოყენებას. გარდა ამისა, Outsourc2India-ს მენეჯერის მიერ ამ დოკუმენტებში არცერთ განცხადებას არ მოჰყოლია ასეთი ვალდებულება ამ კომპანიის მიმართ.

52. მაშასადამე, აპელანტის მიერ წამოყენებული ეს არგუმენტი დასაშვებია და უნდა განიხილებოდეს ზემოთ, 48-ე პარაგრაფში მოყვანილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ირკვევა თუ არა ამ დოკუმენტებიდან, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლომ არასწორად განმარტა ისინი.

53. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წლის მაისში Outsourc2India-სა და Flatworld-ის მენეჯერს შორის გაცვლილი კორესპონდენციიდან, რომელიც დართული იყო საჩივარზე და წარდგენილი იყო საერთო იურისდიქციის სასამართლოში მის წინაშე განხილული წარმოების დროს, აბსოლუტურად ცხადია, რომ მხარეთა შეხედულებები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, კონკრეტულად, Outsourc2India-ს მიერ აღებული ვალდებულებების მოცულობასთან დაკავშირებით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ Flatworld დარწმუნებული იყო, რომ Outsourc2India-მ აიღო ვალდებულება, იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებოდნენ თანამშრომლობაზე, შეწყვეტდა ელემენტის „outsourc2india“ გამოყენებას მის ნიშანში, მის ვებ-გვერდსა და კომპანიის სახელწოდებაში, ამ კორესპონდენციაში Outsourc2India-მ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მან მხოლოდ აიღო ვალდებულება არ გამოეყენებინა Flatworld-ის ნიშანი, როგორც ეს მოცემულია ზემოთ მე-14 პარაგრაფში და არ გამოეყენებინა Flatworld-ის ვებ-გვერდი მის კომერციულ ქმედებებში;

54. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 42-ე პუნქტში დასკვნით, რომ „[Outsourc2India]-მ აიღო ვალდებულება შეეცვალა სახელი საკუთარი ნიშნისა და საკუთარი ვებ-გვერდისათვის“ და, ამ გადაწყვეტილების 45-ე პარაგრაფში, რომ „[Outsourc2India]-მ თავად უთხრა აპელანტს, რომ იგი შეეცვლიდა თავისი კომპანიის სახელს“, საერთო იურისდიქციის სასამართლომ მხარი დაუჭირა Flatworld-ის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა მხარეებს შორის გაცვლილ კორესპონდენციას, რადგან ამ მიმოწერაში

Outsource2India-მ აღნიშნა, რომ იგი არ აიღებდა ასეთ ვალდებულებას. უფრო მეტიც, ფაქტების დეტალური ახსნისა და გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მრავალ დოკუმენტზე მითითების მიუხედავად, საერთო იურისდიქციის სასამართლომ არ დააკონკრეტა, თუ რომელი დოკუმენტი ან დოკუმენტები იყო წარდგენილი, რაც საფუძვლად დაედო მის შეფასებას, რომელიც ამყარებდა Flatworld-ის საჩივარს.

55. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ Outsource2India-მ ასეთი ვალდებულება აიღო და, უფრო მეტიც, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 42-ე პუნქტის გათვალისწინებით, ეს ვალდებულება აშკარა იყო „წინამდებარე საქმის ობიექტური გარემოებებიდან“, საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაამახინჯა მისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი ფაქტები და მტკიცებულებები.

56. ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილების 42-ე და 45-ე პუნქტების დასკვნები, რომლებიც მითითებულია 54-ე პარაგრაფში, დამახინჯებულია, ისინი ვერ იქნება საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველი იმის თაობაზე, რომ სადავო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის წარდგენისას, Outsource2India მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად;

57. მიუხედავად ამისა, საერთო იურისდიქციის სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა გარემოებების ერთობლიობას, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება საკმარისი იყოს მის გასამართლებლად. აქედან გამომდინარე, აუცილებელია განხილულ იქნეს აპელანტის სხვა არგუმენტები, რათა დადგინდეს, არის თუ არა ისინი საფუძვლიანი და ცალკე, თუ ზემოთ მიღებულ არგუმენტთან ერთად, უნდა მოჰყვეს თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

58. რაც შეეხება სხვა არგუმენტებს, აპელანტი ამტკიცებს, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაუშვა შეცდომა სამართლებრივი შეფასებისას, რამდენადაც მან სათანადოდ არ გამოიკვლია, არსებობდა, თუ არა საზოგადოების მხრიდან სადავო ნიშანსა და 2007 წლის 25 ივნისამდე Flatworld-ის მიერ გამოყენებულ ნიშანს შორის აღრევის შესაძლებლობა. აპელანტის თქმით, საერთო იურისდიქციის სასამართლოს წინაშე წარდგენილ საჩივარზე სამართალწარმოება უნდა შეწყვეტილიყო აღრევის შესაძლებლობის არარსებობის გამო, რადგან სადავო ნიშანი და Flatworld-ის ნიშანი განსხვავდება ვიზუალურად და მათი ერთადერთი საერთო ელემენტი „outsource2india“ არის აღწერილობითი.

59. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ როგორც აპელანტმა და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებამ აღნიშნეს, საერთო იურისდიქციის სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 38-ე პუნქტში არ დაასაბუთა, რომ სადავო ნიშანსა და Flatworld-ის მიერ გამოყენებულ ნიშანს შორის არსებობდა აღრევის შესაძლებლობა და არც მათი მსგავსება დაასაბუთა სათანადოდ, №207/2009 რეგულაციის მნიშვნელობით.

60. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სათანადო არგუმენტები არ არის წარმოდგენილი აღრევის შესაძლებლობისა და მსგავსი ნიშნის არსებობის შესახებ, საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ Outsource2India არაკეთილსინდისიერი განზრახვით მოქმედებდა, როგორც ჩანს, კარგად არის დასაბუთებული სხვა საფუძვლებით.

61. აპელანტის არგუმენტისგან განსხვავებით, არ არის აუცილებელი დადგინდეს საზოგადოების მხრიდან აღრევის შესაძლებლობა, რათა გამოყენებულ იქნეს №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. მესამე პირის მიერ გამოყენებულ ნიშანსა და სადავო ნიშანს შორის აღრევის შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში, ან თუ არ ყოფილა მესამე პირის მიერ სადავო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნის გამოყენების ფაქტი, სხვა ფაქტობრივი გარემოებები, შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში, იყოს შესაბამისი და თანმიმდევრული მაჩვენებელი, რომელიც დაადასტურებს სასაქონლო ნიშნის განმცხადებლის არაკეთილსინდისიერ განზრახვას. თუ სხვა გარემოებებიდან ირკვევა, რომ სადავო ნიშნის მფლობელმა შეიტანა განაცხადი ამ ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნით, კეთილსინდისიერების პრაქტიკასთან შეუსაბამო წესით, მესამე პირის ინტერესების შელახვის ან მოპოვების განზრახვით, განსაკუთრებული უფლებების სხვა მიზნებისთვის მოპოვებისთვის, ასეთი განზრახვა უნდა აღმოიფხვრას №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული ბათილობის აბსოლუტური საფუძვლით განაცხადის წარდგენით, იმ მიზნით, რომ დადგინდეს იყო თუ არა საზოგადოების მხრიდან აღრევის შესაძლებლობა (იხ. ამ თვალსაზრისით, 2019 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება, Koton Mağazacılık Tekstil Sanayi ve Ticaret v EUIPO, C-104/18 P, EU:C:2019:724, პუნქტები 46, 54 და 56).

62. №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ფარგლები არ არის გაბათილებული 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით Chocladefabriken Lindt & Sprüngli (C-529/07, EU:C:2009:361), რომელიც ციტირებულია აპელანტის მიერ. ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მესამე პირის მიერ იდენტური ან მსგავსი ნიშნის გამოყენების ფაქტი იდენტური ან მსგავსი საქონლის ან მომსახურებისთვის და სადავო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის შეტანისას აღრევის შესაძლებლობის არსებობა, აუცილებელია გამოკვლევულ იქნეს კონკრეტული საქმის შესაბამისი გარემოებების საერთო შეფასების კონტექსტში, იცოდა თუ არა სადავო ნიშნის განმცხადებელმა ეს ფაქტი (2019 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება, Koton Mağazacılık Tekstil Sanayi ve Ticaret v. EUIPO, C-104/18 P, EU:C:2019:724, პარაგრაფი 55).

63. სასაქონლო ნიშანზე განმცხადებლის განზრახვა, როგორც აღნიშნულია 61-ე პარაგრაფში არის სუბიექტური ფაქტორი, რომელიც, ობიექტურად უნდა განისაზღვროს კომპეტენტური ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანოების მიერ. შესაბამისად, არაკეთილსინდისიერების ნებისმიერი პრეტენზია უნდა იყოს საერთო შეფასების საგანი, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით (2019 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება, Koton Mağazacılık Tekstil Sanayi ve Ticaret v EUIPO, C-104/18 P., EU:C:2019:724, პუნქტი 47 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

64. წინამდებარე საქმეში, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 42-47-ე პუნქტებში, საერთო იურისდიქციის სასამართლომ გაითვალისწინა მთელი რიგი გარემოებები, რათა განესაზღვრა განმცხადებლის განზრახვა განაცხადის შეტანის დროს.

65. მართალია, როგორც ზემოთ 53-55-ე პარაგრაფებშია განმარტებული, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არგუმენტირებულია არასწორი მტკიცებულებებით, რამდენადაც ადგენს, რომ Outsource2India „აილო ვალდებულება“ შეეცვალა თავისი ნიშანი და ვებ-გვერდის

სახელი და „თავად“ თქვა, რომ შეიცვლიდა კომპანიის სახელწოდებას იმ შემთხვევაში, თუ არ იქნებოდა თანამშრომლობის ხელშეკრულება.

66. უფრო მეტიც, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 43-ე პუნქტის დასკვნა, რომ მოსარჩელეს განზრახული ჰქონდა გამოეყენებინა ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც შეიძლებოდა მოპოვებულიყო Flatworld-ის არარეგისტრირებული ნიშნით, არ შეიძლება იყოს გათვალისწინებული, რადგან ის არსებითად ეფუძნება წინაპირობას, რომ განმცხადებელმა მიმართა Flatworld's-ის მსგავსი ნიშნის რეგისტრაციისათვის, მაშინ როცა, როგორც აღნიშნულია 59-ე პარაგრაფში, საერთო იურისდიქციის სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული.

67. მიუხედავად ამისა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 42-47-ე პუნქტებში, საერთო იურისდიქციის სასამართლომ, ასევე, ხაზი გაუსვა წინამდებარე საქმის სხვა გარემოებებს, კერძოდ, გერმანელი მეწარმის მცდელობას, 2006 წლის ნოემბრიდან ეთანამშრომლა Flatworld-თან კომერციულ საფუძველზე გერმანიაში, რაც მოიცავდა ამ მეწარმის მიერ ამ მიზნით, Flatworld-ის წინასწარი თანხმობის გარეშე, გერმანული კანონმდებლობით რეგულირებული კომპანიის დაარსებას სახელწოდებით „Outsource2India“, რაც მოიცავდა Flatworld-ის მიერ გამოყენებულ სიტყვიერ ელემენტს „outsource2india“, Outsource2India-ის მიერ ამ ელემენტის ვებ-გვერდის სახელში გამოყენებასა და 2007 წლის თებერვლიდან მაისამდე Flatworld-ის მიერ გამოთქმულ შემდგომ პრეტენზიას ამ სიტუაციასთან დაკავშირებით, რომლის გაგრძელებასაც იგი არ აპირებდა, თუ თანამშრომლობის შეთანხმება არ შედგებოდა. საერთო იურისდიქციის სასამართლოს აღნიშნული ფაქტობრივი დასკვნები არ გასაჩივრებულა წინამდებარე საჩივარში.

68. საერთო იურისდიქციის სასამართლო უფლებამოსილი იყო მიეღო დასკვნა, მხოლოდ იმ სათანადოდ დადგენილი ობიექტური გარემოებების საფუძველზე, რომ Outsource2India მოიქცა არაკეთილსინდისიერად, რამდენადაც მან შეიტანა განაცხადი ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე, რომელიც შეიცავდა იმ ელემენტს, რომელიც უკვე გამოიყენებოდა Flatworld-ის მიერ მის კომერციულ საქმიანობაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ განაცხადის უშუალოდ წინა პერიოდში, 2006 წლის ნოემბრიდან 2007 წლის მაისამდე, Outsource2India ხაზს უსვამდა, რომ ამ ელემენტის გამოყენება დაკავშირებული იყო მის მიერ Flatworld-სთვის შეთავაზებულ თანამშრომლობასთან.

69. უფრო მეტიც, აპელანტისა და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების საჩივრებისგან განსხვავებით, საერთო იურისდიქციის სასამართლომ მართებულად დაადგინა და არ შეეწინააღმდეგა გასაჩივრებული გადაწყვეტილების 47-ე პარაგრაფში დადგენილ გარემოებებს, რომ ელემენტის „outsource2india“ პოტენციურად აღწერილობითი ხასიათი არ იყო საკმარისი იმ დასკვნის თავიდან ასაცილებლად, რომ Outsource2India მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად, და წინა პარაგრაფში აღწერილ გარემოებებს, სადაც ცდილობდა ამ ელემენტის გამოყენებას Flatworld-ის წარმატების ხარჯზე;

70. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლომ არ დაადგინა Flatworld-ს ჰქონდა თუ არა ელემენტის „outsource2india“ გამოყენებაზე განსაკუთრებული უფლება და არ გამორიცხა შესაძლებლობა, რომ ეს ელემენტი, გამოსახულებით ელემენტებთან ერთად, გარკვეულ გარემოებებში შეიძლება

იყოს ევროკავშირის სასაქონლო ნიშნად რეგისტრირებული. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მან მხოლოდ დაადგინა, რომ Outsourc2India, გერმანული კანონმდებლობით მართული კომპანია, რომელიც შეიქმნა Flatworld-თან თანამშრომლობის მიზნით, მოიქცა არაკეთილსინდისიერად, ვინაიდან მალევე მას შემდეგ რაც Flatworld-მა თქვა უარი ამ თანამშრომლობაზე, მოითხოვა ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, რომელიც კონკრეტულად შეიცავდა იმ ელემენტს, რომელსაც Flatworld იყენებდა თავის კომერციულ საქმიანობაში.

71. და ბოლოს, რამდენადაც აპელანტი და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება ამტკიცებენ, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლოს უნდა განემარტა და დაესაბუთებინა, რატომ მოიხსენია ის ნიშანი, რომელიც ასახულია ზემოთ მე-14 პარაგრაფში და გამოიყენებოდა Flatworld-ის მიერ 2007 წლის 25 ივნისამდე, როგორც „არარეგისტრირებული ნიშანი“, უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-20 და 35-ე პუნქტებიდან ირკვევა, რომ ამ სიტყვების გამოყენებით საერთო იურისდიქციის სასამართლო არ მიუთითებდა ნიშნის კონკრეტულ სახეზე გერმანიის კანონმდებლობით ან სხვა სამართლებრივი სისტემის მიხედვით; უფრო მეტიც, ის უბრალოდ მიუთითებდა, პირველ რიგში, რომ სადავო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის შეტანის დროს Flatworld-ის მიერ გამოყენებული ნიშანი არ იყო რეგისტრირებული ნიშანი, რაც გულისხმობს, რომ „პირველი შეტანის“ პრინციპის შედეგები არ გამორიცხავს სადავო ნიშნის რეგისტრაციას და მეორეც, რომ სადავო ნიშანი შეიძლება მოექცეს №207/2009 რეგულაციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული ბათილობის აბსოლუტურ საფუძვლებში. ამ ბოლო საკითხთან დაკავშირებით, საერთო იურისდიქციის სასამართლომ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა Flatworld-ს უფრო ადრინდელი უფლება მის მიერ გამოყენებულ ნიშანზე, სადავო სასაქონლო ნიშანი უნდა გამოცხადებულიყო ბათილად, თუ ცხადი გახდებოდა, რომ Outsourc2India მოქმედებდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით სადავო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის წარდგენისას.

72. ეს დასკვნები არ გამომდინარეობს კანონისმიერი განმარტებიდან და არ იყო საჭირო დამატებითი 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული ბათილობის აბსოლუტური საფუძველი ძირეულად განსხვავდება ამავე რეგულაციის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული ბათილობის შედარებითი საფუძვლისგან, ვინაიდან ეს უკანასკნელი დებულება გულისხმობს ამ რეგულაციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ უფრო ადრინდელი სასაქონლო ნიშნის არსებობას, აგრეთვე, აღრევის შესაძლებლობის არსებობას ამ რეგულაციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადრინდელ ნიშანს აქვს რეპუტაცია №207/2009 რეგულაციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის მნიშვნელობით ან თუ არ გამოიყენება მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. თუმცა, ამ დებულების 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ბათილად გამოცხადების შესახებ განცხადების შემთხვევაში, არ არსებობს რაიმე მოთხოვნა, რომ ამ მოთხოვნის განმცხადებელი იყოს იდენტურ ან მსგავს საქონელს *მოთოვნით*. ლზე ან მომსახურებაზე უფრო ადრინდელი ნიშნის მფლობელი. (2019 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება, Koton Mağazacılık Tekstil Sanayi ve Ticaret v EUIPO, C-104/18 P, EU:C:2019:724, პარაგრაფი 53).

73. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის კონკრეტული საფუძველი უნდა იყოს უარყოფილი და, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაკმაყოფილდეს.

ხარჯები

74. მართლმსაჯულების სასამართლოს პროცედურული წესების 137-ე მუხლის თანახმად, რომელიც გამოიყენება სააპელაციო წარმოებაზე ამ წესების 184-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ხარჯების განაწილების შესახებ მიეთითება გადაწყვეტილებაში ან განკარგულებაში, რომელიც წვეტს სამართალწარმოებას. წესების 138-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რომელიც ასევე, გამოიყენება სააპელაციო განხილვისას 184-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მხარე, რომლის საწინააღმდეგოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, გადაიხდის ხარჯებს, თუ ამაზე იშუამდგომლა მხარემ, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება;

75. ვინაიდან Flatworld-მა მოითხოვა Outsource Professional Services-ისათვის ხარჯების დაკისრება და ეს უკანასკნელი წარუმატებელი აღმოჩნდა, Outsource Professional Services-ს უნდა დაეკისროს საკუთარი და Flatworld-ის მიერ სააპელაციო წარმოებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების გადახდა.

76. ვინაიდან ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება წარუმატებელი აღმოჩნდა, მაგრამ Flatworld-მა არ მოითხოვა იმ ხარჯების დაკისრება, რომლებიც Flatworld-მა გაიღო სააპელაციო წარმოებასთან დაკავშირებით, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებას უნდა დაეკისროს საკუთარ ხარჯების ანაზღაურება.

ამ საფუძველზე, სასამართლომ (მეათე პალატა):

1. არ დააკმაყოფილა საჩივარი;
2. დაავალა Outsource Professional Services Ltd გაიღოს საკუთარი ხარჯები და გადაიხადოს ის ხარჯები, რომლებიც გაწეული იყო Ltd Flatworld Solutions Pvt-ის მიერ სააპელაციო წარმოებასთან დაკავშირებით;
3. დაავალა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებას საკუთარ თავზე აიღოს საკუთარი ხარჯები სააპელაციო წარმოებასთან დაკავშირებით.
- 4.

Juhász

Ilešič

Lycourgos

მიღებულია სასამართლოს მიერ ლუქსემბურგში 2019 წლის 13 ნოემბერს.

A. Calot Escobar

E. Juhász

რეგისტრატორი მოქმედებს, როგორც მეათე პალატის პრეზიდენტი

11/11/1997, C-251/95, Sabèl

სასამართლო გადაწყვეტილება

11 ნოემბერი, 1997 (1)

დირექტივა №89/104/EEC – სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებული კანონების დაახლოება -
„აღრევა, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევა“

საქმეში C-251/95

EC ხელშეკრულების 177-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოსათვის მიმართვა Bundesgerichtshof-ის მიერ წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად ამ სასამართლოში განსახილველ საქმეზე შემდეგ მხარეებს შორის

SABEL BV

და

Puma AG, Rudolf Dassler Sport

სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებული წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ პირველი საბჭოს 1988 წლის 21 დეკემბრის 89/104/EEC დირექტივის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ინტერპრეტაციაზე (OJ 1989 L 40, გვ.1),

სასამართლო,

შემადგენლობით: გ.ს. როდრიგუზ იგლესიასი, პრეზიდენტი, ს. გულმანნი (მომხსენებელი), ჰ. რაგნემალმ და მ. ვათელეთ, (პალატების პრეზიდენტები), გ.ფ. მანჩინი, ჯ.ს. მოიტინო დე ალმეიდა, პ.ჯ.გ. კაპტინი, ჯ.ლ. მურეი, დ.ა.ო. ედვარდი, ჯ.-პ. პუისსოქეთ, გ. ჰირშ, პ. იანნი და ლ. სევონ, მოსამართლეები,

გენერალური ადვოკატი: ფ.გ. იაკობს;

რეგისტრატორი: ჰ.ა. რულ, მთავარი ადმინისტრატორი,

წერილობითი დაკვირვებების განხილვის შემდეგ, რომლებიც წარმოდგენილია:

- Puma AG, Rudolf Dassler Sport, ვ. ჰუფნაგელ-ის მიერ, საპატენტო ადვოკატი,
- საფრანგეთის მთავრობა, ს. დე სალინს, საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე და პ. მარტინე, საგარეო საქმეთა მდივანი ამ სამინისტროში, რომლებიც მოქმედებდნენ როგორც აგენტები,
- ნიდერლანდების მთავრობა, ა. ბოსის მიერ, საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული მრჩეველი, მოქმედი, როგორც წარმომადგენელი,

- გაერთიანებული სამეფოს მთავრობა, ლ. ნიკოლის მიერ, სახაზინო ადვოკატის დეპარტამენტიდან, მოქმედი, როგორც წარმომადგენელი, მ. სილვერლიფ-ის ასისტენტები (Barrister),
- ევროპული საზოგადოებების კომისია, ჯ. გრუნვალდის, იურიდიული მრჩევლის და ბ.ჯ. დრიჯბერ, მისი იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი, მოქმედი როგორც აგენტი
- ზეპირი მოსმენის ანგარიშის გათვალისწინებით,

ზეპირ მოსმენაზე SABEL BV-ის ზეპირი განმარტებების მოსმენის შემდეგ, წარმოდგენილი რ.ე.პ. დე რანიცის, ჰააგის ადვოკატის მიერ; ბელგიის მთავრობის წარმომადგენლის ა. ბრაუნის, ბრიუსელის ადვოკატის; საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლის პ. მარტინეს; ლუქსემბურგის მთავრობის წარმომადგენლის ნ. დეკერის, ლუქსემბურგის ადვოკატის; გაერთიანებული სამეფოს მთავრობის წარმომადგენლის ლ. ნიკოლის, დამხმარის მ. სილვერლიფის; და კომისიის, წარმომადგენლის ჯ. გრუნვალდის მიერ 1997 წლის 28 იანვარს მოსმენაზე,

1997 წლის 29 აპრილს სხდომაზე გენერალური ადვოკატის აზრის მოსმენის შემდეგ, იღებს შემდეგ

გადაწყვეტილებას

1. 1995 წლის 29 ივნისის ბრძანებით, მიღებული სასამართლოში 1995 წლის 20 ივლისს, Bundesgerichtshof-მა (მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლო) მიმართა სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად ევროკავშირის ხელშეკრულების 177-ე მუხლის საფუძველზე, სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებული წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ პირველი საბჭოს 1988 წლის 21 დეკემბრის 89/104/EEC დირექტივის 4(1)(ბ) მუხლის განმარტების შესახებ (OJ 1989 L 40, გვ. 1, შემდგომში „დირექტივა“).
2. ეს საკითხი წამოიჭრა სასამართლოში ჰოლანდიურ კომპანია SABEL BV-სა (შემდგომში „SABEL“) და გერმანულ კომპანია Puma AG-ს, Rudolf Dassler Sport-ს (შემდგომში „Puma“) შორის საერთაშორისო ნიშნის (IR 540894) რეგისტრაციაზე განაცხადის შესახებ, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ

გამოსახულება



გერმანიაში, inter alia, საქონლისათვის მე-18 კლასში „ტყავი და ტყავის იმიტაციები (შემცვლელეები), მისგან დამზადებული პროდუქტები, რომლებიც არ შედის სხვა კლასებში; ჩანთები და ხელჩანთები“ და 25-ე კლასში „ტანსაცმელი, მათ შორის კოლგოტები, ხალათები, ქამრები, შარფები, ჰალსტუხები/ყელსახვევი და სამაგრები; ფეხსაცმელი; ქუდეები“.

3. Puma-მ წარადგინა საჩივარი აღნიშნული ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, რომ ის იყო ქვემოთ გამოსახული გამოსახულებითი ნიშნის მფლობელი,

გამოსახულება



რომელიც იყო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე, გერმანიაში რეგისტრირებული (№1 106 066), ნიშანი, მათ შორის შემდეგი საქონლისთვის: „ტყავის და ტყავის შემცველები, მისგან დამზადებული საქონლის (ჩანთების) და ტანსაცმლის ნაწარმისთვის“.

4. გერმანიის საპატენტო უწყებამ ჩათვალა, რომ სასაქონლო ნიშნების კანონის მიზნებისათვის არ არსებობდა მსგავსება ორ ნიშანს შორის და არ დააკმაყოფილა საჩივარი. შესაბამისად, Puma-მ მიმართა Bundespatentgericht-ს (ფედერალურ პატენტების სასამართლოს), რომელმაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა მისი საჩივარი და დაადგინა, რომ ამ ორ ნიშანს შორის არსებობდა მსგავსება SABEL-ის მე-18 და 25-ე კლასების საქონელთან მიმართებაში, რომელიც მიჩნეულ იქნა პუმას ნიშნით მონიშნული საქონლის იდენტურად ან მსგავსად. შემდეგ SABEL-მა მიმართა Bundesgerichtshof-ს თავის საჩივარზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

5. Bundesgerichtshof-მა წინასწარ დაადგინა, რომ გერმანიის კანონმდებლობით მანამდე გამოყენებული პრინციპების გამოყენებისას სასაქონლო ნიშნის მიზნებისათვის არსებობს თუ არა აღრევის შესაძლებლობა, ასეთი შესაძლებლობა არ არსებობდა განსახილველ ორ ნიშანთან დაკავშირებით.

6. კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენა Bundesgerichtshof-მა ამ წინასწარი დასკვნის მისაღებად, შემდეგია:

- o იმის დასადგენად, არსებობს თუ არა აღრევის შესაძლებლობა, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს შესაბამისი ნიშნების საერთო შთაბეჭდილებაზე. დაუშვებელია ერთი ელემენტის გამოყოფა და აღრევის შესაძლებლობის შეფასება მხოლოდ ამ ელემენტით. თუმცა, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ცალკეულ ელემენტს აქვს განსაკუთრებული განმასხვავებელუნარიანი ხასიათი, რომელიც ახასიათებს ნიშანს მთლიანობაში და, შესაბამისად, აღრევის შესაძლებლობა შეიძლება გაჩნდეს, თუ მეორე მხარის ნიშანი ამ კონკრეტული ელემენტით არის მსგავსი. თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც კი, ორი ნიშანი უნდა შევადაროთ მთლიანობაში და შედარება არ უნდა შემოიფარგლოს მათი ინდივიდუალური (დამახასიათებელი) ელემენტებით.
- o ნიშანს შეიძლება ჰქონდეს განმასხვავებელუნარიანი ხასიათი ან თავისთავად, ან იმ რეპუტაციის გამო, რომლითაც ნიშანი სარგებლობს საზოგადოებაში. რაც უფრო

გამორჩეულია მისი ხასიათი, მით მეტია აღრევის შესაძლებლობა. თუმცა, ვინაიდან წინამდებარე საქმეში ამ საკითხთან დაკავშირებით არავითარი განცხადება არ იყო წარდგენილი, ორი ნიშნის მსგავსების შესწავლის საწყისი წერტილი არის ის, რომ ადრინდელ ნიშანს აქვს საშუალო დონის განმასხვავებელუნარიანი ხასიათი.

- იმის შეფასება, არის თუ არა კონკრეტული ელემენტი ისეთი მნიშვნელობის, რომელიც სახასიათოა ნიშნისთვის მთლიანობაში, არსებითად, სასამართლოს საქმეა, რომელიც საქმეს განიხილავს არსებითად, თუმცა ლოგიკისა და სალი აზრის წესების დაცვით. Bundespatentgericht კანონით არ შეიძლება კრიტიკის საგანი გახდეს იმის გამო, რომ ხაზს უსვამს SABEL ნიშნის გამოსახულებითი ელემენტების მნიშვნელობას და მიიჩნევს, რომ ნიშნის სიტყვიერ ელემენტს მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.
- მკაცრი კრიტერიუმები უნდა იქნეს გამოყენებული გამოსახულებით ელემენტებს შორის აღრევის შესაძლებლობის მიმართ, რომლებიც ძირითადად აღწერილობითი ხასიათისაა და მცირე წარმოსახვითი შინაარსის მქონეა. კატისებრთა გამოსახულება წარმოადგენს ასეთი ცხოველებისთვის დამახასიათებელ ხტომაში მოძრაობას. Puma-ს ნიშანში შემოსაზღვრული კატისებრის გამოსახვის განსაკუთრებული მახასიათებლები, მაგალითად, მისი სილუეტი, არ არის რეპროდუცირებული SABEL-ის ნიშანში. მაშასადამე, ის ფაქტი, რომ არსებობს ანალოგია ორი ნიშნის ფერწერულ კომპონენტებს შორის, არ შეიძლება განისაზღვროს აღრევის შესაძლებლობის დადგენის საფუძვლად.

7. მიუხედავად ამისა, Bundesgerichtshof ცდილობს დაადგინოს მნიშვნელობა, რომელიც უნდა მიენიჭოს ნიშნების სემანტიკურ შინაარსს (ამ შემთხვევაში, „კატისებრის ნახტომი“) აღრევის შესაძლებლობის დადგენისას. ეს სირთულე გამოწვეულია, კერძოდ, დირექტივის მე4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ორაზროვანი ფორმულირებით, რომლის მიხედვითაც აღრევის შესაძლებლობა „მოიცავს ადრინდელ სასაქონლო ნიშანთან ასოცირების შესაძლებლობას“. ამიტომ, ეროვნული სასამართლოსთვის ჩნდება კითხვა, ამართლებს თუ არა მხოლოდ ასოციაცია, რომელიც საზოგადოებამ შეიძლება დაამყაროს ორ ნიშანს შორის, „კატისებრის ნახტომის“ იდეით, გერმანიაში SABEL ნიშნის რეგისტრაციაზე უარს, Puma-ს ადრინდელი ნიშნით მონიშნული საქონლის მსგავსი საქონლისთვის.

8. დირექტივა, რომელიც იმპლემენტირებულია გერმანიაში Gesetz über den Schutz von Marken und sonstigen Kennzeichen-ის მიერ (კანონი სასაქონლო ნიშნებისა და სხვა ნიშნების დაცვის შესახებ) 1994 წლის 25 ოქტომბერს (BGBl I, გვ. 3082), მუხლში 4(1)(ბ) შეიცავს შემდეგ დებულებას:

„სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება ან რეგისტრირებული ექვემდებარება ბათილად ცნობას:

(ა) ...

(ბ) თუ ადრინდელ სასაქონლო ნიშანთან მისი იდენტურობის ან მსგავსების გამო და სასაქონლო ნიშნით მონიშნული საქონლისა თუ მომსახურების იდენტურობის ან მსგავსების გამო, არსებობს საზოგადოების მხრიდან აღრევის შესაძლებლობა, რაც მოიცავს ასოცირების შესაძლებლობას ადრინდელ სასაქონლო ნიშანთან.”

9. დირექტივის პრეამბულის მეათე პუნქტში ნათქვამია:

„რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის დაცვა, რომლის ფუნქციაა სასაქონლო ნიშნის, როგორც წარმოშობის წყაროს მითითება, აბსოლუტურია ნიშნებსა და საქონელს/მომსახურებას შორის იდენტურობის შემთხვევაში; დაცვა ვრცელდება აგრეთვე, ნიშნებსა და საქონელს/მომსახურებას შორის მსგავსების დროს; მსგავსების შეფასება აუცილებელია აღრევის შესაძლებლობის შეფასებისთვის; აღრევის შესაძლებლობის შეფასება დამოკიდებულია მრავალ ელემენტზე, კერძოდ, სასაქონლო ნიშნის ბაზარზე აღიარებაზე, ასოციაციაზე, რომელიც შეიძლება მოხდეს გამოყენებულ ან რეგისტრირებულ ნიშნებს შორის, სასაქონლო ნიშნებისა და საქონელს/მომსახურებას შორის მსგავსების ხარისხზე; აღრევის შესაძლებლობის დადგენის გზები და, კერძოდ, მტკიცების ტვირთი არის ეროვნული პროცედურული წესების საკითხი, რომლებიც არ ეწინააღმდეგება დირექტივას“.

10. Bundesgerichtshof-მა გადაწყვიტა შეაჩეროს საქმისწარმოება და მიმართოს შემდეგი შეკითხვით სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად:

“სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებული წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ პირველი საბჭოს 1988 წლის 21 დეკემბრის 89/104/EEC დირექტივის 4(1)(ბ) მუხლის განმარტების შესახებ, სიტყვიერი და გამოსახულებითი ელემენტებისგან შემდგარ და მხოლოდ გამოსახულებით ნიშნებს შორის სემანტიკური (ამ შემთხვევაში, კატისებრი ნახტომი) მსგავსება საკმარისია თუ არა იმის დასადგენად, რომ ნიშნებს შორის არსებობს აღრევის შესაძლებლობა, თუ ეს ნიშნები რეგისტრირებულია იდენტური და მსგავსი საქონლისთვის და არ არის საყოველთაოდ ცნობილი საზოგადოებისთვის?

რა მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ დირექტივის ფორმულირებას, რომლის მიხედვითაც აღრევის შესაძლებლობა მოიცავს ასევე ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობასაც?”

11. თავის შეკითხვაში Bundesgerichtshof ძირითადად სვამს კითხვას, დირექტივის 4(1)(ბ) მუხლში მოცემული კრიტერიუმი „აღრევის შესაძლებლობა... რომელიც მოიცავს ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობასაც“ განიმარტება თუ არა, როგორც უბრალო ასოციაცია, რომელიც საზოგადოებამ შეიძლება დაამყაროს ორ ნიშანს შორის მათი სემანტიკური მსგავსების შედეგად, საკმარისი საფუძველია დავასკვნათ, რომ არსებობს აღრევის შესაძლებლობა ამ დებულების მნიშვნელობით, როდესაც ერთ-ერთი ნიშანი შედგება სიტყვიერი და გამოსახულებითი ელემენტების კომბინაციისგან, ხოლო მეორე, რომელიც მხოლოდ გამოსახულებისაგან, რეგისტრირებულია იდენტური და მსგავსი საქონლისთვის და არ არის საყოველთაოდ ცნობილი საზოგადოებისთვის.

12. დირექტივის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს დამატებით საფუძვლებს, რის გამო შეიძლება უარი ეთქვას ნიშანს რეგისტრაციაზე ან რეგისტრირებული ნიშანი გამოცხადდეს ბათილად ადრინდელ ნიშანთან კონფლიქტის შემთხვევაში. როდესაც სასაქონლო ნიშნები, ასევე საქონელი/მომსახურება იდენტური ან მსგავსია, არსებობს აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა საზოგადოების ნაწილის მიმართ.

13. არსებითად იდენტური დებულებებია დირექტივის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში, რომელიც განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც სასაქონლო ნიშნის

მფლობელს უფლება აქვს აღკვეთოს მესამე პირის მიერ იდენტური ან მსგავსი ნიშნების გამოყენება და კავშირის სასაქონლო ნიშნის შესახებ 1993 წლის 20 დეკემბრის საბჭოს №40/94 რეგულაციის მე- 8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტსა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში (OJ 1994 L 11, გვ. 1).

14. ბელგიის, ლუქსემბურგის და ნიდერლანდების მთავრობებმა განაცხადეს, რომ ტერმინი „ასოციაციის შესაძლებლობა“ შეტანილი იყო დირექტივის ამ დებულებებში მათი მოთხოვნით, რათა ისინი განიმარტოს ისევე, როგორც ბენელუქსის სასაქონლო ნიშნების ერთიანი კანონის 13ა მუხლში, რომელიც სასაქონლო ნიშნით მინიჭებული განსაკუთრებული უფლების ფარგლების განსაზღვრისას იყენებს ნიშნებს შორის მსგავსების ცნებას და არა აღრევის შესაძლებლობას.

15. აღნიშნული მთავრობები მიუთითებენ ბენელუქსის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელიც ადგენს, რომ ნიშანსა და სიმბოლოს შორის არსებობს მსგავსება, როდესაც, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კერძოდ, ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის გათვალისწინებით, ნიშანი და სიმბოლო ცალ-ცალკე და ერთად, წარმოადგენენ ფონეტიკურად, ვიზუალურად ან სემანტიკურად მსგავს აღნიშვნებს, რაც საკმარისია მათ შორის ასოცირებისთვის (1983 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე A 82/5 Jullien v Verschuere, Jur. 1983, ტ. 4, გვ. 36). ეს გადაწყვეტილება ემყარება აზრს, რომ როდესაც ნიშნებს შორის ხდება ასოცირება, ამგვარმა ასოცირებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს ადრინდელ ნიშანს არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საქონელს აქვს ერთი და იმავე წარმოშობის წყარო, არამედ მაშინაც, როდესაც არ არსებობს ნიშანსა და სიმბოლოს შორის აღრევის შესაძლებლობა. ვინაიდან სიმბოლოს აღქმა ხშირად ქვეცნობიერად გვახსენებს ნიშანს, ნიშანსა და სიმბოლოს შორის წარმოქმნილმა ასოციაციამ შესაძლოა გამოიწვიოს ადრინდელი ნიშნის გუდვილის გადაცემა სიმბოლოსთვის და ზიანი მიაყენოს ნიშნის იმიჯს.

16. ამ მთავრობების თანახმად, ასოციაციის შესაძლებლობა შეიძლება წარმოიშვას სამი გარემოების მიხედვით: (1) როდესაც საზოგადოებას ერევა განსახილველი ნიშანი და სიმბოლო (პირდაპირი აღრევის შესაძლებლობა); (2) როდესაც საზოგადოება აკავშირებს ნიშნისა და სიმბოლოს მფლობელებს და ერევა ისინი (ირიბი აღრევის ან ასოციაციის შესაძლებლობა); (3) როდესაც საზოგადოება მიიჩნევს, რომ სიმბოლო მსგავსია ნიშნისა და სიმბოლოს აღქმა ახსენებს ნიშანს, თუმცა მათ შორის არ ხდება აღრევა (ასოცირების შესაძლებლობა მკაცრი გაგებით).

17. ამიტომ უნდა განისაზღვროს, როგორც ეს მთავრობები ამტკიცებენ, შეიძლება თუ არა მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის გამოყენება, როდესაც არ არსებობს პირდაპირი ან ირიბი აღრევის შესაძლებლობა, მაგრამ არსებობს მხოლოდ ასოცირების შესაძლებლობა მკაცრი გაგებით. დირექტივის ასეთი ინტერპრეტაცია სადავოა, როგორც გაერთიანებული სამეფოს მთავრობის, ასევე, კომისიისთვის.

18. ამასთან დაკავშირებით, უნდა გვახსოვდეს, რომ დირექტივის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი განკუთვნილია მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოსაყენებლად, თუ ორივე ნიშნისა და საქონლისა თუ მომსახურების იდენტურობის ან მსგავსების გამო „არსებობს საზოგადოების მხრიდან აღრევის შესაძლებლობა, რაც მოიცავს უფრო

ადრინდელ სასაქონლო ნიშანთან ასოცირების შესაძლებლობას“. ამ ფორმულირებიდან გამომდინარეობს, რომ ასოციაციის შესაძლებლობის ცნება არ არის აღრევის შესაძლებლობის ალტერნატივა, მაგრამ ემსახურება მისი ფარგლების განსაზღვრას. თავად დებულების პირობები გამორიცხავს მის გამოყენებას, როდესაც არ არსებობს საზოგადოების ნაწილის მხრიდან აღრევის შესაძლებლობა.

19. დირექტივის პრეამბულაში მეათე პუნქტი, რომლის მიხედვითაც „აღრევის შესაძლებლობა... წარმოადგენს ასეთი დაცვის სპეციფიკურ პირობას“, ასევე, ადასტურებს ამ ინტერპრეტაციას.

20. გარდა ამისა, ამ გადაწყვეტილების მე-18 პუნქტში მოცემული ინტერპრეტაცია არ ეწინააღმდეგება დირექტივის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტს, მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტსა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტს, რომელიც უფლებას აძლევს რეპუტაციის მქონე სასაქონლო ნიშნის მფლობელს, აკრძალოს მისი ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნების გამოყენება სათანადო მიზეზის გარეშე და არ საჭიროებს აღრევის შესაძლებლობის მტკიცებას, მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს მსგავსება საქონელს შორის.

21. ამასთან დაკავშირებით, საკმარისია აღინიშნოს, რომ, განსხვავებით მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისგან, ეს დებულებები ვრცელდება ექსკლუზიურად იმ ნიშნებზე, რომლებსაც აქვთ რეპუტაცია და იმ პირობით, რომ მესამე პირის მიერ ნიშნის გამოყენება სათანადო მიზეზის გარეშე ანიჭებს უსამართლო უპირატესობას ან საზიანო სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობისთვის ან რეპუტაციისათვის.

22. როგორც აღნიშნულია ამ გადაწყვეტილების მე-18 პუნქტში, დირექტივის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი არ გამოიყენება, როდესაც არ არსებობს საზოგადოების მხრიდან აღრევის შესაძლებლობა. ამასთან დაკავშირებით, დირექტივის პრეამბულის მეათე პუნქტიდან ირკვევა, რომ „აღრევის შესაძლებლობის შეფასება დამოკიდებულია უამრავ ელემენტზე და, კერძოდ, სასაქონლო ნიშნის ბაზარზე ასოცირების აღიარებაზე, რაც გამოწვეულია გამოყენებულ ან რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანსა და სიმბოლოს შორის და საქონელსა თუ მომსახურებას შორის არსებული მსგავსების ხარისხით“. ამიტომ, აღრევის შესაძლებლობა უნდა შეფასდეს გლობალურად, საქმის გარემოებებთან დაკავშირებული ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.

23. განსახილველი ნიშნების ვიზუალური, ფონეტიკური ან კონცეპტუალური მსგავსების გლობალური შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ნიშნების საერთო შთაბეჭდილებას, მათი განმასხვავებელუნარიანი და დომინანტი ელემენტების გათვალისწინებით. დირექტივის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ფორმულირება - „... არსებობს საზოგადოების მიერ აღრევის შესაძლებლობა...“ - აჩვენებს, რომ ნიშნების აღქმა საშუალო მომხმარებლის გონებაში მოცემული საქონლისა თუ მომსახურების მიმართ გადამწყვეტ როლს თამაშობს აღრევის შესაძლებლობის გლობალურ შეფასებაში. საშუალო მომხმარებელი ჩვეულებრივ აღიქვამს ნიშანს მთლიანობაში და არ ახდენს მისი ცალკეული დეტალების ანალიზს.

24. ამ თვალსაზრისით, რაც უფრო განმასხვავებელუნარიანია ადრინდელი ნიშანი, მით უფრო დიდია აღრევის შესაძლებლობა. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ კონცეპტუალურმა მსგავსებამ გამოიწვიოს აღრევა, როდესაც უფრო ადრინდელ ნიშანს აქვს

მაღალი განმასხვავებელუნარიანობა, როგორც თავისთავად, ისე საზოგადოებაში მისი რეპუტაციის გამო.

25. თუმცა, ისეთ გარემოებებში, როგორც არის მთავარი სამართალწარმოება, სადაც უფრო ადრინდელი ნიშანი არ არის ცნობილი საზოგადოებისთვის და შედეგადად მცირე წარმოსახვითი შინაარსის მქონე გამოსახულებისგან, უბრალო ფაქტი, რომ ორი ნიშანი კონცეპტუალურად მსგავსია, არ არის საკმარისია აღრევის შესაძლებლობის წარმოსაშობად.

26. მაშასადამე, ეროვნული სასამართლოს შეკითხვაზე პასუხი უნდა იყოს ის, რომ დირექტივის 4(1)(ბ) მუხლის მიხედვით „აღრევის შესაძლებლობის კრიტერიუმი, რომელიც მოიცავს ადრინდელ ნიშანთან ასოცირების ალბათობას“ უნდა განიმარტოს როგორც მნიშვნელობა, რომ უბრალო ასოციაცია, რომელიც საზოგადოებამ შეიძლება მოახდინოს ორ სასაქონლო ნიშანს შორის მათი ანალოგიური სემანტიკური შინაარსის შედეგად, თავისთავად არ არის საკმარისი საფუძველი დასკვნისთვის, რომ არსებობს აღრევის შესაძლებლობა ამ დებულების მნიშვნელობით.

ხარჯები

27. ბელგიის, საფრანგეთის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების და გაერთიანებული სამეფოს მთავრობების და ევროპის კავშირის კომისიის მიერ, რომლებმაც შენიშვნები წარუდგინეს სასამართლოს, გაწეული ხარჯები არ ანაზღაურდება, ვინაიდან ეს პროცესი, პროცესის ძირითადი მხარეებისთვის, წარმოადგენს ეროვნული სასამართლოს წინაშე მიმდინარე პროცესს, ხარჯებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ამ სასამართლოს ეკუთვნის.

ამ საფუძველებით,

სასამართლო,

1995 წლის 29 ივნისის ბრძანებით Bundesgerichtshof-ის მიერ დასმული კითხვის პასუხად, ადგენს:

წევრ სახელმწიფოთა სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ პირველი საბჭოს 1988 წლის 21 დეკემბრის დირექტივის 89/104/EEC მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი შეიცავს „აღრევის შესაძლებლობის კრიტერიუმს, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ადრინდელი პრიორიტეტის მქონე ნიშანთან ასოცირების შესაძლებლობას“. იგი უნდა განიმარტოს შემდეგი მნიშვნელობით: უბრალო ასოციაცია, რომელიც საზოგადოებამ შეიძლება დაამყაროს ორ სასაქონლო ნიშანს შორის მათი ანალოგიური შინაარსის შედეგად, თავისთავად არ არის საკმარისი საფუძველი დავასკვნათ, რომ არსებობს აღრევის შესაძლებლობა ამ დებულების მიხედვით.

როდრიგეზ იგლესიას გულმანნ

რაგნემალმ ვათელეთ მანჩინი

მოიტინო დე ალმეიდა კაპთეინ მურეი

ედვარდ პუისსოქეთ ჰირშ
იან სეგონ

მიღებულ იქნა ღია სასამართლოში ლუქსემბურგში 1997 წლის 11 ნოემბერს.

რ. გრასს

გ. ს. როდრიგეზ იგლესიას

რეგისტრატორი

პრეზიდენტი

1: საქმის ენა: გერმანული.

გენერალური ადვოკატის მოსაზრება

1. წინამდებარე საქმეში, Bundesgerichtshof (მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლო, გერმანია) ეძებს სახელმძღვანელო რეგულაციებს სასაქონლო ნიშნებს შორის „აღრევის“ ცნების ინტერპრეტაციის შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობის დაახლოების შესახებ პირველი საბჭოს 1988 წლის 21 დეკემბრის დირექტივის 89/104/EEC მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით („სასაქონლო ნიშნების დირექტივა“ ან უბრალოდ „დირექტივა“). [1] ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც სასამართლოს სთხოვეს ამ ცნების ინტერპრეტაცია დირექტივის მიხედვით, [2] თუმცა მან ადრე განიხილა აღრევის საკითხი ხელშეკრულების 30-ე და 36-ე მუხლების ჭრილში. [3]

ფაქტები და ეროვნული პროცედურა

2. საერთაშორისო ნიშნის (IR 540894) მფლობელმა ნიდერლანდურმა კომპანიამ SABEL BV, მოითხოვა რეგისტრაცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.[4]

3. განსახილველი ნიშანი მოიცავს გეპარდის მსგავს ლაქებიან მტაცებელ კატისებრთა ოჯახის ცხოველის ნახტომის გამოსახულებას, რომლის ქვემოთ, მარჯვენა მხარეს ჩაწერილია სიტყვიერი აღნიშვნა - SABEL.

>მინიშნება გამოსახულებაზე>

სასაქონლო ნიშნის SABEL რეგისტრაცია მოთხოვნილია საქონლის შემდეგი კლასებისთვის:

„კლასი 14 - საიუველირო ნაწარმი, მათ შორის საყურეები, ჯაჭვები, ბროშები და ქინძისთავეები.

კლასი 18 - ტყავი და ტყავის იმიტაცია, მისგან დამზადებული პროდუქტები, რომლებიც არ შედის სხვა კლასებში; ჩანთები და ხელჩანთები.

კლასი 25 - ტანსაცმელი, მათ შორის კოლოტები, ქაშები, შარფები, ჰალსტუხები/ყელსახვევი და სამაგრები; ფეხსაცმელი; ქუდები.

კლასი 26 - მოდის აქსესუარები, რომლებიც არ შედის სხვა კლასებში, როგორც არის მაქმანები, თმის სახვევები/თმის სამაგრები, თმის სარჭები და მსგავსი ორნამენტები თმისთვის.”

4. Puma Aktiengesellschaft Rudolf Dassler Sport („Puma“)-მ, ორი ადრინდელი გამოსახულებითი ნიშნის მფლობელმა წარადგინა საჩივარი SABEL-ის განაცხადების წინააღმდეგ. მისი ნიშანი (N1106066) ასევე, წარმოადგენს მტაცებელი ცხოველის ნახტომის გამოსახულებას, მაგრამ SABEL-ის ნიშნისგან განსხვავებით, ცხოველი გამოსახულია, როგორც სილუეტი და უფრო მეტად წარმოადგენს პუმას მსგავს გამოსახულებას, ვიდრე გეპარდის. მე აღვიქვამ მას, როგორც მხტუნავი პუმას ნიშანს.

>მინიშნება გამოსახულებაზე<

ეს ნიშანი რეგისტრირებულია, მათ შორის, ტყავის და იმიტირებული ტყავის, მისგან დამზადებული საქონლის (ჩანთების) და ტანსაცმლის ნაწარმისთვის.

5. Puma-ს სხვა ნიშანი (N1093901), ასევე მტაცებელი ცხოველის გამოსახულებაა, რომლის ნახტომიც არის მარჯვნიდან მარცხნივ და არა პირიქით. ის სავარაუდოდ წარმოადგენს პუმას სილუეტს. მე ვუწოდებ ამას, როგორც ნახტომის პუმას ნიშანს. ის რეგისტრირებულია, მათ შორის, სამკაულებისა და ორნამენტებისთვის:

>მინიშნება გამოსახულებაზე<

6. გერმანიის საპატენტო უწყების საერთაშორისო რეგისტრაციების ექსპერტიზის განყოფილებამ მე-18 კლასისთვის გადაწყვიტა, რომ არ არსებობდა მსგავსება სასაქონლო ნიშნების კანონის მიხედვით SABEL-ის ნიშანსა და Puma-ს ნიშნებს შორის და არ დააკმაყოფილა Puma-ს მიერ შეტანილი საჩივარი. Puma-მ გაასაჩივრა აღნიშნული Bundespatentgericht - ში (ფედერალური საპატენტო სასამართლო). საჩივარი არ იქნა უარყოფილი, რადგანაც საჩივარი ეფუძნებოდა ნახტომი პუმას ნიშანს. პუმას ნიშნის საფუძველზე საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. Bundespatentgericht-მა დაადგინა, რომ სასაქონლო ნიშნის კანონის მიხედვით, არსებობდა მსგავსება SABEL-ის ნიშანსა და ხტომის პროცესში პუმას ნიშანს შორის მე-18 და 25-ე კლასებისთვის. SABEL-მა გაასაჩივრა მისი ნიშნისთვის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაცვის მინიჭების თაობაზე ნაწილობრივი გადაწყვეტილება.

7. დირექტივა გერმანიაში გამოცემულ იქნა 1994 წლის 25 ოქტომბერს Gesetz über den Schutz von Marken und sonstigen Kennzeichen-ის მიერ, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის 1 იანვარს.[5]

გერმანიის კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი ასახავს დირექტივის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი პირობებს: ის ითვალისწინებს, რომ ნიშანს შეიძლება უარი ეთქვას გერმანიაში დაცვის მინიჭებაზე ადრინდელ სასაქონლო ნიშანთან მსგავსების გამო და ორი ნიშნით მონიშნული საქონლის იდენტურობის ან მსგავსების გამო, არსებობს აღრევის შესაძლებლობა, რაც მოიცავს ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობასაც (გერმანიის კანონი, ისევე, როგორც დირექტივის გერმანული ვერსია, საუბრობს აღრევის „რისკზე“, ხოლო დირექტივის ინგლისური ვერსია საუბრობს აღრევის „შესაძლებლობაზე“.)

8. Bundesgerichtshof-ი მიიჩნევს, რომ არ არსებობს სასაქონლო ნიშნის კანონის მიხედვით აღრევის შესაძლებლობა SABEL-ის ნიშანსა და Puma-ს რომელიმე ნიშანს შორის. იგი განმარტავს იმ პრინციპებს, რომლებიც მან გამოიყენა ამ დასკვნის მისაღებად.

საერთო შთაბეჭდილება

9. Bundesgerichtshof-ი მიიჩნევს, რომ სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს შესაბამისი ნიშნების საერთო შთაბეჭდილებაზე; ამდენად, დაუშვებელია გასაჩივრებული ნიშნის ელემენტის ცალკე გამოყოფა და ამ ელემენტით მსგავსების დადგენა მოწინააღმდეგის ნიშანთან, თუმცა ნიშნის ცალკეული ელემენტი შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ, რომელიც ახასიათებს ნიშანს მთლიანობაში.

10. Bundespatentgericht-ის მსჯელობის შესწავლის შემდეგ, Bundesgerichtshof ასკვნის, რომ Bundespatentgericht არ შეიძლება იყოს კრიტიკის ობიექტი, იმის გამო, რომ ხაზს უსვამს გამოსახულების როლს SABEL-ის ნიშანში და საკმაოდ მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს SABEL ნიშნის სიტყვიერ ელემენტს.

დამახასიათებელი ძალა

11. მეორე პრინციპი, რომელიც გათვალისწინებულია Bundesgerichtshof-ის მიერ, ეხება დაცული ნიშნის „მაღალ განმასხვავებელუნარიანობას“. იგი მიიჩნევს, რომ ნიშანს შეიძლება ჰქონდეს „მაღალი განმასხვავებელუნარიანობა“ ან არსებითად (რომლითაც მას სავარაუდოდ მხედველობაში აქვს გამოგონილი სახელების ორიგინალობა) ან ნიშნის კომერციული პოზიციის შედეგად. Bundesgerichtshof-ის აზრით, რაც უფრო დიდია ნიშნის „მაღალი განმასხვავებელუნარიანობა“, მით მეტია აღრევის შესაძლებლობა. ნიშნის ცნობადობიდან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ განსხვავებული ნიშნები უფრო ადვილად განსხვავდებიან. თუმცა, Bundesgerichtshof-ი ხაზს უსვამს, რომ კითხვა, აქვს თუ არა უფრო ადრინდელ ნიშანს განსაკუთრებული „დამახასიათებელი ძალა“ წინამდებარე საქმეში არ წამოიჭრება, რადგან ამ საკითხზე არ არის წარდგენილი რაიმე განცხადება. ეს, სავარაუდოდ, ნიშნავს იმას, რომ

არ ყოფილა მსჯელობა იმის შესახებ, რომ Puma-ს ნიშანი საყოველთაოდ არის ცნობილი, ან რომ პუმას გამოსახულება გამოგონილია.

აღწერილობითი სიმბოლოები

12. და ბოლოს, Bundesgerichtshof-ი მიიჩნევს, რომ მკაცრი მოთხოვნები უნდა დაწესდეს აღრევის შესაძლებლობასთან დაკავშირებით სასაქონლო ნიშნის კანონის მიზნებისთვის, როდესაც ნიშნის ელემენტები ძირითადად აღწერილობითი ხასიათისაა და აქვს მცირე წარმოსახვითი შინაარსი. იგი აღნიშნავს, რომ ეს პრინციპი ვრცელდება, როგორც სიტყვიერ ელემენტებზე, ისე გამოსახულებებზე და რომ Bundesgerichtshof ხშირად თვლის, რომ ნიშნის ზოგად მნიშვნელობაზე დაფუძნებული ვაჭრობა, არ მიუთითებს ნიშნის კომერციულ წყაროზე.

13. იგი აღნიშნავს, რომ ხტომის პროცესში მტაცებელი ცხოველის გრაფიკული გამოსახვა წარმოადგენს ბუნებიდან აღებულ კონცეფციას და იგი ასახავს ასეთი ცხოველებისთვის დამახასიათებელ მოძრაობას. იგი თვლის, რომ Puma-ს ნიშანში მტაცებელი მხეცის გამოსახვის განსაკუთრებული მახასიათებლები, მაგალითად, მისი სილუეტის სახით გამოსახვა, რომლის გამეორებამ შესაძლოა დაადგინოს სასაქონლო ნიშნის მსგავსება, არ გვხვდება SABEL-ში. იგი ასკვნის, რომ შინაარსობრივი მსგავსება SABEL ნიშნის ფერწერულ კომპონენტსა და Puma-ს ნიშნის, როგორც „ხტომის პროცესში მტაცებელ ცხოველს“ შორის, არ ქმნის აღრევის შესაძლებლობას.

14. თუმცა, ვინაიდან Bundesgerichtshof-ი საჭიროდ მიიჩნევს „მსგავსების ცნებებისა და აღრევის შესაძლებლობის ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის“ დამკვიდრებას დირექტივის მნიშვნელობით, მან დაასახელა შემდეგი შეკითხვა, დირექტივის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ინტერპრეტაციის შესახებ:

„საკმარისია იმის დადგენა, რომ არსებობს აღრევის შესაძლებლობა ტექსტისა და გამოსახულებისგან შედგენილ ნიშანსა და მხოლოდ გამოსახულებისგან შედგენილ ნიშანს შორის, რომელიც რეგისტრირებულია იდენტური და მსგავსი საქონლისთვის და საზოგადოებისთვის არ არის საყოველთაოდ ცნობილი, როდესაც ორ ნიშანს აქვს მსგავსი მნიშვნელობა (ამ შემთხვევაში, მხტომარე მტაცებელი მხეცი)?“

რა მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ დირექტივის ფორმულირებას, რომლის მიხედვითაც აღრევის შესაძლებლობა მოიცავს იმის აღბათობას, რომ ნიშანი შეიძლება ასოცირებულ იქნეს უფრო ადრინდელ ნიშანთან?

15. დაკვირვებები წარმოდგენილია Puma-ს, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობების და კომისიის მიერ. გარდა ამისა, ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილნი იყვნენ SABEL, ბელგიის, საფრანგეთის, ლუქსემბურგის და გაერთიანებული სამეფოს მთავრობები და კომისია.

დირექტივის დებულებები

16. სასაქონლო ნიშნების დირექტივა მიღებულ იქნა ხელშეკრულების 100ა მუხლის მიხედვით. მის მიზანს წარმოადგენდა არა „წევრი სახელმწიფოების სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონების სრულმასშტაბიანი დაახლოების განხორციელება“, არამედ, უბრალოდ „კანონის იმ ეროვნული დებულებების დაახლოება, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ შიდა ბაზრის ფუნქციონირებაზე“ (მესამე პუნქტი).

17. მეექვსე პუნქტის მიხედვით, დირექტივა „არ გამორიცხავს წევრი სახელმწიფოების სხვა კანონის დებულებების სასაქონლო ნიშნებზე გამოყენებას, გარდა სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონისა, როგორც არის არაკეთილსინდისიერი კონკურენციის, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ან მომხმარებელთა დაცვასთან დაკავშირებული დებულებები“.

18. მეათე პუნქტში ნათქვამია:

„ვინაიდან რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის დაცვა, რომლის ფუნქცია არის სასაქონლო ნიშნის, როგორც წარმოშობის წყაროზე მითითების გარანტია, აბსოლუტურია ნიშანსა და სიმბოლოს და საქონელსა თუ მომსახურებას შორის იდენტურობის შემთხვევაში; ვინაიდან დაცვა ვრცელდება აგრეთვე, მსგავსების შემთხვევაზე; აუცილებელია მსგავსების ცნების ინტერპრეტაცია აღრევის შესაძლებლობასთან დაკავშირებით; ვინაიდან აღრევის შესაძლებლობა, რომლის შეფასება დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე და კერძოდ, სასაქონლო ნიშნის ბაზარზე აღიარებაზე, ასოციაციაზე, რომელიც შეიძლება მოხდეს გამოყენებულ ან რეგისტრირებულ ნიშანთან, სასაქონლო ნიშანსა და სიმბოლოს შორის და საქონელსა თუ მომსახურებას შორის მსგავსების ხარისხზე, წარმოადგენს ასეთი დაცვის სპეციფიკურ პირობას; ვინაიდან გზები, რომლითაც შეიძლება დადგინდეს აღრევის შესაძლებლობა, და, კერძოდ მტკიცების ტვირთი, არის ეროვნული პროცედურული წესების საკითხი, რომლებიც არ ეწინააღმდეგება დირექტივას“.

19. დასკვნითი ნაწილი ამბობს, რომ „კავშირის ყველა წევრი სახელმწიფო შეზღუდულია სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციით“ და რომ „აუცილებელია ამ დირექტივის დებულებები სრულად შეესაბამებოდეს პარიზის კონვენციის დებულებებს.“ მასში ნათქვამია, რომ „წევრი სახელმწიფოების ვალდებულებაზე, რომლებიც გამომდინარეობს (ამ) კონვენციიდან, არ მოქმედებს ეს დირექტივა“ და რომ „საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების 234-ე მუხლის მეორე ქვეპუნქტი“.

20. დირექტივის პირველი მუხლი ადგენს, რომ აღნიშნული „გამოიყენება ყველა სასაქონლო ნიშანზე იმ საქონლის ან მომსახურების მიმართ, რომელიც არის რეგისტრაციას დაქვემდებარებული ან წევრ სახელმწიფოში ინდივიდუალური სასაქონლო ნიშნის განაცხადის, კოლექტიური ნიშნის ან გარანტიის ან სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციის საგანი, ან წარმოადგენს ბენელუქსის სასაქონლო ნიშნების უწყებაში რეგისტრაციის ან განაცხადის რეგისტრაციის საგანს ან წევრ სახელმწიფოში მოქმედ საერთაშორისო რეგისტრაციას“.

21. დირექტივის მეორე მუხლი ადგენს, რომ:

“სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ნებისმიერ სიმბოლოს, რომელიც გამოისახება გრაფიკულად, კერძოდ, სიტყვები, მათ შორის საკუთარი სახელები, დიზაინი, ასოები, ციფრები, საქონლის ფორმა ან შეფუთვა, იმ პირობით, რომ ასეთ ნიშნებს შეუძლიათ განასხვავონ ერთი საწარმოს საქონელი ან მომსახურება სხვა საწარმოს საქონლის ან მომსახურებისგან.”

22. დირექტივის 4(1) მუხლი ადგენს, რომ: „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება ან რეგისტრირებულის შემთხვევაში ექვემდებარება ბათილად ცნობას:

(ა) თუ ის ადრინდელი სასაქონლო ნიშნის იდენტურია და საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც განცხადებული ან რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი, იდენტურია იმ საქონლისა თუ მომსახურების, რომლის მიმართაც დაცულია ადრინდელი სასაქონლო ნიშანი;

(ბ) თუ ადრინდელ სასაქონლო ნიშანთან იდენტურობის ან მსგავსების და სასაქონლო ნიშნით მონიშნული საქონლისა თუ მომსახურების იდენტურობის ან მსგავსების გამო, არსებობს საზოგადოების მხრიდან აღრევის შესაძლებლობა, რაც მოიცავს ადრინდელ სასაქონლო ნიშანთან ასოცირების შესაძლებლობასაც.

23. უფრო ადრინდელი სასაქონლო ნიშნები განსაზღვრულია მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში.

24. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ სასაქონლო ნიშანი არ უნდა დარეგისტრირდეს ან თუ რეგისტრირებულია, ექვემდებარება ბათილად ცნობას, თუ იგი იდენტურია ან მსგავსია კავშირის ადრინდელ სასაქონლო ნიშანთან მე-2 პუნქტის მნიშვნელობით და უნდა იყოს ან იყო რეგისტრირებული საქონლისა და მომსახურებისთვის, რომელიც არ არის მსგავსი იმ საქონელთან და მომსახურებასთან, რომლისთვისაც არის რეგისტრირებული ადრინდელი სასაქონლო ნიშანი, სადაც კავშირის ადრინდელ სასაქონლო ნიშანს აქვს რეპუტაცია ევროკავშირის ტერიტორიაზე და სადაც აღნიშნული სასაქონლო ნიშნის სათანადო მიზეზის გარეშე გამოყენება გამოიწვევს არასამართლიან უპირატესობას ან ზიანს მიაყენებს ადრინდელი სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობას ან რეპუტაციას.

25. მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი შეიცავს მსგავს დებულებას წევრ სახელმწიფოში რეპუტაციის მქონე ეროვნულ ნიშნებთან მიმართებით (განსხვავებით კავშირის ნიშნებისგან) გარდა იმისა, რომ წევრ სახელმწიფოებს აქვთ დისკრეტია მიიღონ თუ არა ასეთი დებულება.

26. მე-5 მუხლი განსაზღვრავს სასაქონლო ნიშნით მინიჭებულ უფლებებს:

„1. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი მფლობელს ანიჭებს მასზე განსაკუთრებულ უფლებებს. მფლობელს უფლება აქვს, აუკრძალოს მესამე პირებს, მისი ნებართვის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს:

(ა) ნებისმიერი სიმბოლო, რომელიც იდენტურია მისი სასაქონლო ნიშნის, საქონელთან ან მომსახურებასთან კავშირში, რომელიც იდენტურია იმ საქონლის/მომსახურების, რისთვისაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი;

(ბ) ნებისმიერი სიმბოლო, რომელიც იდენტურია ან მსგავსია მისი სასაქონლო ნიშნის და საქონელი და მომსახურებაც იდენტური ან მსგავსია და არსებობს აღრევის შესაძლებლობა, რომელიც მოიცავს სიმბოლოსა და სასაქონლო ნიშანს შორის ასოცირების შესაძლებლობას;

2. ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, ასევე, უზრუნველყოს, რომ მფლობელს ჰქონდეს უფლება აუკრძალოს მესამე პირს მისი ნებართვის გარეშე, სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს რაიმე სიმბოლო, რომელიც იდენტური ან მსგავსია, ხოლო საქონელი ან/და მომსახურება არ არის მსგავსი იმ საქონლის ან/და მომსახურების, რისთვისაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი, თუ აღნიშნულ სასაქონლო ნიშანს აქვს რეპუტაცია წევრ სახელმწიფოში და სიმბოლოს სათანადო მიზეზის გარეშე გამოყენება ანიჭებს უსამართლო უპირატესობას ან ზიანს აყენებს სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობას ან რეპუტაციას;

...

5. 1-4 პუნქტები გავლენას არ მოახდენს რომელიმე წევრი სახელმწიფოს დებულებებზე, რომლებიც ეხება სიმბოლოს გამოყენებისგან დაცვას, გარდა საქონლისა და მომსახურების განმასხვავებელი მიზნებისა, როდესაც ამ ნიშნის გამოყენება სათანადო მიზეზის გარეშე ანიჭებს უსამართლო უპირატესობას ან არის საზიანო, სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანი ხასიათის ან რეპუტაციისთვის.”

27. მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დებულებები პრაქტიკულად იდენტურია 1993 წლის 20 დეკემბრის საბჭოს რეგულაციისა (EC) №40/94 კავშირის სასაქონლო ნიშნის შესახებ („კავშირის სასაქონლო ნიშნის რეგულაცია“ ან უბრალოდ „რეგულაცია“). [6] ამ რეგულაციის მიზანია, რომ შესაძლებელი გახადოს „კავშირის სასაქონლო ნიშნის“ ერთი განაცხადის წარდგენა, რომელიც მოქმედებს მთელ კავშირში. [7] განაცხადი წარდგენილ უნდა იქნეს კავშირის სასაქონლო ნიშნების უწყებაში („უწყება“).[8]

28. რეგულაციის მე-8 მუხლი ადგენს, რომ:

„1. უფრო ადრინდელი სასაქონლო ნიშნის მფლობელის საჩივრის შემთხვევაში, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება:

(ა) თუ ის ადრინდელი სასაქონლო ნიშნის იდენტურია და საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც განცხადებული ან რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი, იდენტურია იმ საქონლისა თუ მომსახურების, რომლის მიმართაც დაცულია ადრინდელი სასაქონლო ნიშანი;

(ბ) თუ ადრინდელ სასაქონლო ნიშანთან იდენტურობის ან მსგავსების და სასაქონლო ნიშნით მონიშნული საქონლისა თუ მომსახურების იდენტურობის ან მსგავსების გამო, არსებობს საზოგადოების მხრიდან აღრევის შესაძლებლობა, რაც მოიცავს ადრინდელ სასაქონლო ნიშანთან ასოცირების შესაძლებლობასაც.

...

5. გარდა ამისა, უფრო ადრინდელი სასაქონლო ნიშნის მფლობელის საჩივრის შესაბამისად, მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, სასაქონლო ნიშანი არ უნდა დარეგისტრირდეს, თუ იგი ადრინდელი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია, ხოლო საქონელი ან/და მომსახურება არ არის მსგავსი იმ საქონლის ან/და მომსახურების, რისთვისაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი, თუ აღნიშნულ სასაქონლო ნიშანს აქვს რეპუტაცია წევრ სახელმწიფოში და წარდგენილი ნიშნის სათანადო მიზეზის გარეშე გამოყენება ანიჭებს უსამართლო უპირატესობას ან ზიანს აყენებს სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობას ან რეპუტაციას;

29. „ადრინდელი სასაქონლო ნიშნები“ განსაზღვრულია მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში.

30. 52-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ კავშირის სასაქონლო ნიშანი ბათილად გამოცხადდება უწყებაში მიმართვისას ან დარღვევის წარმოების ფარგლებში შეგებებული საჩივრის საფუძველზე. მათ შორის, როდესაც არსებობს ადრინდელი სასაქონლო ნიშანი, როგორც ეს მითითებულია მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში და შესრულებულია ამ მუხლის პირველი ან მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული პირობები“.

სასამართლო პრაქტიკა

31. როგორც შესავალში აღვნიშნე, ამ სასამართლომ ადრე განიხილა სასაქონლო ნიშნის აღრევის საკითხი საერთაშორისო ხელშეკრულების 30-ე და 36-ე მუხლების საფუძველზე, სანამ ამოქმედდებოდა სასაქონლო ნიშნების დირექტივა. სასაქონლო ნიშნებს შორის აღრევა არის საქონლის იმპორტის წინააღმდეგობის გამართლების საფუძველი, რაც პირველად დადგინდა საქმეში Terrapin v Terranova[9] და დადასტურდა Hag II', [10] Renault v Audi[11] და Ideal Standard[12] საქმეებში. საქმეში Renault v Audi, სასამართლომ გაიხსენა, რომ სასაქონლო ნიშნის უფლებების კონკრეტულ საგანს წარმოადგენს ნიშნის მფლობელის დაცვა აღრევის რისკისგან, რომელიც საშუალებას მისცემს მესამე პირებს უკანონოდ ისარგებლონ მფლობელის საქონლის რეპუტაციით. სასამართლომ მიიჩნია, რომ კრიტერიუმები იმის დასადგენად, არსებობდა თუ არა აღრევის შესაძლებლობა, შეადგენდა სასაქონლო ნიშნის დაცვის დეტალური წესების ნაწილს, რომელიც იმ დროს წარმოადგენდა ეროვნული კანონმდებლობის საგანს, ექვემდებარებოდა 36-ე მუხლის მეორე წინადადებას; და რომ კავშირის კანონმდებლობა არ ადგენს რაიმე მკაცრი ინტერპრეტაციის კრიტერიუმს აღრევის შესაძლებლობის კონცეფციისთვის. ეს კომენტარები მოგვიანებით იყო ციტირებული საქმეში Ideal Standard, სადაც სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა (მე-19 პუნქტში) 36-ე მუხლის მეორე წინადადება, კერძოდ, კრძალავს ეროვნული სასამართლოების მიერ პროდუქციის მსგავსების შეფასებას ისე, რომ გამოიწვიოს თვითნებური დისკრიმინაცია ან

წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის ფარული შეზღუდვა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეებზე პასუხი გაცემული იყო სასაქონლო ნიშნების დირექტივის ამოქმედებამდე არსებული პოზიციის მიხედვით, მათ შეიძლება, როგორც მოგვიანებით განვიხილავ, გარკვეული დახმარება გაუწიონ წინამდებარე საქმის განხილვისას.

32. ასევე მითითებულია სასამართლოს განცხადებები წინა საქმეებში იმის შესახებ, რომ სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს წარმოშობის წყაროზე მინიშნების გარანტიას. SABEL-ის და გაერთიანებულ სამეფოს განცხადებით, სასაქონლო ნიშნის დაცვა არ შეიძლება გასცდეს ამ ფუნქციის შესრულების ფარგლებს. მართალია, სასამართლომ ზოგადად ცხადყო, რომ ის არ ცდილობდა სასაქონლო ნიშნის დაცვის მიზნის ამომწურავად განსაზღვრას, მაგალითად, საქმეში Hoffmann-La Roche v Centrafarm[13], იგი მიუთითებდა სასაქონლო ნიშნის პროდუქტის წარმოშობის წყაროს მითითების გარანტიაზე, როგორც სასაქონლო ნიშნის „არსებით“ ფუნქციაზე (აღნიშნული ფორმულირება ასახულია დირექტივის მეათე პუნქტში, რომლის მიხედვითაც სასაქონლო ნიშნის დაცვის მიზანია „კერძოდ“ ნიშნის წარმოშობის წყაროს გარანტია)[14]. სასამართლომ ასევე, როგორც აღვნიშნე, აღწერა სასაქონლო ნიშნის „სპეციფიკური საგანი“, როგორც „კერძოდ, გარანტია მფლობელისთვის, რომ მას აქვს განსაკუთრებული უფლება გამოიყენოს ეს სასაქონლო ნიშანი პროდუქტის ბაზარზე პირველად გატანის მიზნით და შესაბამისად, დაიცვას იგი კონკურენტებისგან, რომელთაც სურთ ისარგებლონ სასაქონლო ნიშნის სტატუსით და რეპუტაციით, მისი პროდუქციის უკანონო გაყიდვით“[15]. უფრო მეტიც, საქმეში Bristol Myers-Squibb[16] სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლების აღიარებით, ეწინააღმდეგებოდეს დეფექტურ, უხარისხო ან მოუწესრიგებელ გადაფუთვას, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მის რეპუტაციას, სასამართლომ არგუმენტირებულად აღიარა, რომ სასაქონლო ნიშნის კანონს შეუძლია დაიცვას სხვა ინტერესებიც, გარდა უფლებისა უზურნველყოს აღრევის ალბათობის გამორიცხვა საქონლის წარმოშობის თაობაზე. (აღნიშნული საკითხი განიხილება ჩემს მოსაზრებაში საქმეში Dior v Evora)[17]) მიუხედავად ამისა, სასამართლოს მიერ გაკეთებული აქცენტი აღრევაზე შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, თუნდაც დირექტივის ინტერპრეტაციისას.

მოხსენიებული შეკითხვა

33. Bundesgerichtshof-ი თვლის, რომ ამ შემთხვევაში სირთულეს წარმოადგენს, აზრის ასოციაციური მატარებელი, რომლის მიხედვით საზოგადოება ორ ნიშანს ერთმანეთთან აკავშირებს „მხტომარე მტაცებელი მხეცის“ გამოსახულების მეშვეობით, არის თუ არა საკმარისი რომ გამართლდეს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის დაცვაზე უარის თქმა (IR 540 894) გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მე-18 კლასის იდენტური საქონლისა და 25-ე კლასის საქონლისთვის, რომლებსაც მსგავსად მიიჩნევს ფედერალური საპატენტო სასამართლო. Bundesgerichtshof-ის თანახმად ეს სირთულე განსაკუთრებით გამოწვეულია სასაქონლო ნიშნების დირექტივის 4(1)(ბ) მუხლის სიტყვების გაურკვეველი მნიშვნელობით, რომლის მიხედვითაც აღრევის რისკი მოიცავს ასოცირების ალბათობასაც.

34. პირველ რიგში, მე განვიხილავ Bundesgerichtshof-ის შეკითხვის მეორე ნაწილს, რომელიც აჩენს სასაქონლო ნიშნების დირექტივის 4(1)(ბ) მუხლის მნიშვნელობის ზოგად საკითხს,

რამდენადაც ის ეხება აღრევის შესაძლებლობას, რაც გულისხმობს საზოგადოების მხრიდან ადრინდელ ნიშანთან ასოცირების ალბათობას. აღნიშნული ხელს შეუწყობს შეკითხვის პირველი ნაწილის განხილვას, კერძოდ, არსებითად არის, თუ არა აღრევის დადგენა დამოკიდებული იმ ფაქტზე, რომ ერთი და იგივე შინაარსი გადმოცემულია ორი გამოსახულებითი ნიშნით (ერთი ასევე შეიცავს ტექსტს).

„ასოციაციის“ ცნება ბენელუქსის კანონმდებლობის მიხედვით

35. იმის გასაგებად თუ რატომ წარმოშვა ამ ფრაზამ პრობლემები აუცილებელია გავიაზროთ განსხვავებული მიდგომები სასაქონლო ნიშნის დაცვის მიმართ, რომელიც ერთი მხრივ, აქვს ბენელუქსის ქვეყნებს და მეორე მხრივ, სხვა წევრი სახელმწიფოების უმეტესობას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დირექტივაში მითითებები „ასოციაციის ალბათობაზე“ შთაგონებულია ბენელუქსის კანონით. სასაქონლო ნიშნების შესახებ ერთიანი ბენელუქსის კანონის მიხედვით („ბენელუქსის კანონი“) დირექტივის შექმნამდე, სასაქონლო ნიშნის მფლობელს შეეძლო აღეკვეთა იდენტური ან მსგავსი ნიშნის ნებისმიერი გამოყენება, მისი რეგისტრირებული ნიშნით მონიშნული იგივე ან მსგავსი საქონლის მიმართ [19]. ამდენად, ნიშნების მსგავსება საკმარისი იყო; სხვა წევრ სახელმწიფოებში არსებული პოზიციისგან განსხვავებით, ბენელუქსის კანონი არ მოითხოვდა აღრევის შესაძლებლობის არსებობას, ის არც ასოციაციის ალბათობას ეხებოდა პირდაპირ. ეს კონცეფცია დაინერგა ბენელუქსის სასამართლოს მეშვეობით, „Union/Union Soleure“ საქმეში 1983 წელს [20]. ბენელუქსის სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობდა მსგავსება ნიშანსა და სიმბოლოს შორის, როდესაც საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის ჩათვლით, ნიშანი და სიმბოლო განხილული ცალ-ცალკე და ურთიერთდამოკიდებულებაში, წარმოადგენდა ფონეტიკური, ვიზუალური ან კონცეპტუალურად იმ დონის მსგავს სიმბოლოებს, რომ მოხდებოდა ასოცირება. ბენელუქსის სასამართლომ არ გაითვალისწინა თავისი გენერალური ადვოკატის მოსაზრება, რომ საქონლის წარმოშობის წყაროსთან დაკავშირებით იქნებოდა აღრევა.

36. ასევე, არ არის ნახსენები აღრევა ბენელუქსის კანონში, სადაც გამოცემულია დირექტივა. 1992 წლის 2 დეკემბრის ოქმმა (რომელიც ძალაში შევიდა 1996 წლის 1 იანვარს) შეცვალა ბენელუქსის კანონის 13ა(1) მუხლი, რათა გარანტირებული ყოფილიყო, რომ სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლება ანიჭებს მფლობელს უფლებას ეწინააღმდეგებოდეს ნიშნის ან მსგავსი სიმბოლოს ნებისმიერ კომერციულ გამოყენებას რეგისტრირებული ნიშნის იდენტური ან მსგავსი საქონლის მიმართ, როდესაც არსებობს, საზოგადოების აზრით, ნიშანსა და სიმბოლოს შორის ასოციაციის რისკი.

37. განსხვავება ბენელუქსის კანონსა და სხვა წევრი სახელმწიფოების კანონებს შორის შესაძლოა არ ყოფილიყო ასეთი ფართო, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. მართლაც, გაერთიანებული სამეფოს მთავრობის თანახმად, პრაქტიკაში მცირე განსხვავებაა ასოცირების შესახებ ბენელუქსის კონცეფციასა და სხვა წევრი სახელმწიფოების კონცეფციას შორის, რადგან ეს უკანასკნელი არის ძალიან ფართოდ განმარტებული.

38. მართალია, აღრევის კონცეფცია წევრ ქვეყნებში, როგორც არის გერმანია და ავსტრია, მოიცავს არა მხოლოდ აღრევას ვიწრო გაგებით, ანუ მცდარ ვარაუდს, რომ აღნიშნული საქონელი მოდის ერთი და იგივე საწარმოდან, არამედ, ასევე, აღრევას ფართო გაგებით. ანუ მცდარი ვარაუდი, რომ არსებობს ორგანიზაციული ან ეკონომიკური კავშირი საწარმოებს შორის, რომლებიც აწარმოებენ ამ ორ საქონელს. მიუხედავად ამისა, მე არ ვეთანხმები გაერთიანებული სამეფოს მთავრობის წინადადებას, რომ პრაქტიკაში მცირე განსხვავებაა ბენელუქსის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სასაქონლო ნიშნის დაცვასა და სხვა წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობას შორის. აღრევაც კი, როგორც ზემოთ აღწერილი ფართო გაგებით, იწვევს აღრევას საქონლის წარმოშობის წყაროს მიმართ. როგორც ჩანს, ბენელუქსის კანონი უფრო შორს დგას, ვიდრე სხვა წევრი სახელმწიფოების სასაქონლო ნიშნების კანონები, რადგან ის იცავს სასაქონლო ნიშნის მფლობელებს იდენტური ან მსგავსი ნიშნების გამოყენებისგან იმ შემთხვევებში, როდესაც მომხმარებელს არ ერევა სასაქონლო ნიშნის წარმოშობის წყარო და უზრუნველყოფს დაცვას აგრეთვე იმ ზიანისგან, რომელიც გამოწვეულია სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის შესუსტების შედეგად. აღნიშნული ცნებები კარგად არის ილუსტრირებული Claeryn and Klarein ბენელუქსის სასამართლოს საქმეში [21], რომელიც მოხსენიებულია ნიდერლანდების, ბელგიისა და ლუქსემბურგის მთავრობების მიერ. ბენელუქსის კანონის მე-13 ა.1 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, იმ დროს მოქმედი ვერსიით, სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება ჰქონდა შესწინააღმდეგებოდა ნიშნის ან მსგავსი სიმბოლოს ნებისმიერ გამოყენებას, იმ გარემოებებში, რომლებიც ვაჭრობის სფეროში და სათანადო მიზეზის გარეშე, პასუხისმგებელნი იყვნენ სასაქონლო ნიშნისათვის მიყენებულ ზიანზე. საქმე ეხებოდა ნიშანს „Claeryn“ ჰოლანდიური ჯინისთვის და „Klarein“ - თხევადი საწმენდი ხსნარისთვის, რომლებიც, როგორც ჩანს, ჰოლანდიურ ენაზე იდენტურად გამოითქმის.

39. იმ საქმეში ბენელუქსის სასამართლომ გამოთქვა მოსაზრება, რომ სასაქონლო ნიშნის ერთ-ერთი უპირატესობა არის უნარი გააღვივოს იმ საქონლის შემენის სურვილი, რისთვისაც ეს ნიშანია რეგისტრირებული და რომ ამ სურვილზე უარყოფითი გავლენა შესაძლოა მოახდინოს მსგავსი ნიშნის არამსგავსი საქონლისთვის გამოყენებაზე. ითვლებოდა, რომ აღნიშნული შეიძლება მომხდარიყო ორ სიტუაციაში: როდესაც სახეზეა ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის შესუსტება, რაც ნიშნავს, რომ მას აღარ შეუძლია დაუყოვნებელი კავშირი გამოიწვიოს იმ საქონელთან, რომლისთვისაც ის რეგისტრირებული და გამოყენებულია (რაშიც იგულისხმება „დაკნინების/შემცირების/dilution“ ცნება) ან როდესაც საქონელი, რომლისთვისაც გამოიყენება დამრღვევი ნიშანი, ეხება საზოგადოების გრძნობებს ისე, რომ მოქმედებს სასაქონლო ნიშნის მიზიდულობის ძალაზე (რაც, სავარაუდოდ, იგულისხმება სასაქონლო ნიშნების „დეგრადაციაში/დაკნინებაში“). ვინაიდან ითვლებოდა, რომ ორ ნიშანს შორის მსგავსებამ შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლების მიერ საწმენდ საშუალებაზე ფიქრი „Claeryn“ ჯინის დალევისას, „Klarein“ ნიშანი ჩაითვალა, რომ არღვევდა „Claeryn“-ის ნიშნის უფლებებს, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე არ იყო იმის რისკი, რომ მომხმარებელი ამ ორი ნიშნის საქონელს ერთ მწარმოებელთან დააკავშირებდა. მე მივმართავ ასოციაციის ტიპს, რომელიც არ შეიცავს რაიმე აღრევას წარმოშობასთან დაკავშირებით, როგორც „არა ორიგინალური ასოციაცია“.[22]

40. შემდგომი მაგალითია ბელგიის მთავრობის მიერ სხდომაზე ციტირებული საქმე, რომელიც ეხება ნიშნებს “Monopoly” და “Anti-Monopoly”.[23] ამ შემთხვევაში ნიდერლანდების საქმეში Hoge Raad-მა (უზენაესმა სასამართლომ) ნება დართო სამაგიდო თამაშებისთვის საყოველთაო ცნობილი სასაქონლო ნიშნის „monopoly“-ს მფლობელს გაესაჩივრებინა სიმბოლოს “Anti-Monopoly” გამოყენება თამაშებისთვის, რომელიც იყო “Monopoly”-სგან რადიკალურად განსხვავებული, ანტი-კაპიტალისტური. აღნიშნული საქმე იქნა გამოყენებული, როგორც სიტუაციის მაგალითი, რომელშიც არ არსებობდა აღრევის რისკი, რადგან ერთი ნიშანი იყო მეორეს საპირისპირო, პირდაპირი უარყოფა. თუმცა, როგორც ჩანს, ამ თემაზე ჰოლანდიურ სამართალწარმოებაში სასამართლომ რეალურად დაადგინა მტკიცებულება იმისა, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ორს შორის იქნება დაბნეული.[24]

41. ამრიგად, როგორც ჩანს, ბენელუქსის „ასოციაციის“ კონცეფციის მიხედვით, სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს გაასაჩივროს იმ ნიშნების გამოყენება, რომლებიც მის ნიშანს „გახსენებს“, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ არსებობს იმის რისკი, რომ მომხმარებელმა იფიქროს, რომ დაპირისპირებული ნიშანი რაიმე ფორმით არის დაკავშირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელთან.

დირექტივის მოლაპარაკებების ისტორია

42. ბენელუქსის ქვეყნები აცხადებენ, რომ დირექტივის განზრახვა იყო „ასოციაციის“ კონცეფციის შეტანა კავშირის სასაქონლო ნიშნის შესახებ კანონმდებლობაში: ეს არის ის, რაზეც მიმდინარეობდა მსჯელობა დირექტივის მიღებამდე მოლაპარაკებებში. ისინი იმეორებენ დირექტივის შესახებ მოლაპარაკებების ისტორიას და მიუთითებენ განცხადებაზე, რომელიც, სავარაუდოდ, იყო შეტანილი საბჭოს გამოუქვეყნებელ ოქმში – „საბჭო და კომისია აღნიშნავს, რომ „ასოციაციის ალბათობა“ არის კონცეფცია, რომელიც განსაკუთრებით განვითარებულია ბენელუქსის სასამართლო პრაქტიკით“. ბენელუქსის დელეგაციის ორი წევრის სტატია, რომელიც მონაწილეობს დირექტივის მოლაპარაკებაში[25], აღწერს დისკუსიებს, რომლებიც გაიმართა სიტყვა „ასოციაციის“ გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ სტატიის ბოლოს ისინი აცხადებენ:

„თავდაპირველად ნიდერლანდები ცდილობდა ბენელუქსის სასაქონლო ნიშნების აქტის 13ა(1) მუხლის ტექსტი დადგენილი ყოფილიყო არჩევითი წესით. ვინაიდან აღნიშნული არ გამოვიდა, სახეზე იყო მცდელობები, რომ ბენელუქსის სასამართლოს მიერ შემუშავებული „ასოციაციის რისკის“ კონცეფცია მიღებული ყოფილიყო „აღრევის რისკის“ ალტერნატივად. როდესაც არც ამ უკანასკნელ ვარიანტს დაუჭირეს მხარი, ბენელუქსის ქვეყნებმა საბოლოოდ, სამართლებრივი პრეამბულის საბოლოო ვერსიისა და საბჭოს ოქმში გამოცხადებული დეკლარაციის გათვალისწინებით, ... და ასევე სხვა საკითხებში უკვე მიღწეული შედეგების გათვალისწინებით, მიიღეს სხვა ქვეყნების საბოლოო კომპრომისული წინადადება დირექტივის პროექტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისთვის: „...საზოგადოების მხრიდან აღრევის შესაძლებლობა, რომელიც მოიცავს ადრინდელ სასაქონლო ნიშანთან ასოციაციის ალბათობას.“

43. როგორც ჩანს, აღნიშნული ანგარიში ემთხვევა საფრანგეთისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობების შენიშვნებში მოცემული ტერმინის ჩართვის ახსნას. თუმცა, მაშინაც კი, თუ გავითვალისწინებთ მოლაპარაკებების ისტორიას და განცხადებას, რომელიც სავარაუდოდ შეტანილია საბჭოს ოქმში, მეჩვენება, რომ მათ მიერ გამოვლენილი ინფორმაცია ორაზროვანია. რაც შეეხება სავარაუდო განცხადებას, მე არ ვფიქრობ, რომ მიზანშეწონილია მასზე დაყრდნობა;[26] მაგრამ ამ განცხადების შინაარსი ნებისმიერ შემთხვევაში უდავოა. სადავოა დირექტივაში ასოცირების ალბათობაზე მითითების ზუსტი ეფექტი; და ამ მხრივ განცხადება არავითარ დახმარებას არ იძლევა. რაც შეეხება მოლაპარაკებების ისტორიას, მნიშვნელოვანია, რომ ამ ისტორიას ეყრდნობოდა ამ სასამართლოს წინაშე არსებული ორივე არგუმენტი, როგორც დირექტივის მიზნებისთვის ასოცირების ცნების ფართო ინტერპრეტაციის მომხრეთა, ისე ვიწრო ინტერპრეტაციის მომხრეების. ვფიქრობ, რომ ეს საკითხები არ გვეხმარება დირექტივის ინტერპრეტაციაში.

დირექტივის პირობები

44. Bundesgerichtshof-ის კითხვის მეორე ნაწილზე პასუხი ნათელია ამ დებულებების ტერმინებიდან, ინტერპრეტაციისთვის ყოველგვარი უცხო წყაროების მითითების საჭიროების გარეშე. ორივე მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ აღრევის შესაძლებლობა „მოიცავს“ ასოციაციის ალბათობას და არა პირიქით. ამრიგად, ცხადია, რომ მაშინაც კი, თუ ბენელუქსის კანონმდებლობით ასოციაციის ცნება შეიძლება უფრო ფართოდ ვრცელდებოდეს, ვიდრე პირდაპირი ან არაპირდაპირი აღრევის შემთხვევები, დირექტივის მიზნებისთვის მას არ შეუძლია ამის გაკეთება. ბენელუქსის ქვეყნებს არ უცდიათ იმის მტკიცება, რომ წარმოშობის წყაროს გარეშე ასოციაცია წარმოადგენს აღრევას, უბრალოდ, იგი შეტანილია დირექტივის ფარგლებში. მაგრამ ძნელია იმის დანახვა, თუ როგორ შეიძლება აღრევასთან დაკავშირებული ასოციაცია შეიტანოს დირექტივაში, როდესაც დირექტივა მოითხოვს აღრევის შესაძლებლობას, რომელიც მოიცავს ასოციაციის ალბათობას. ჯასთის ლედიმ შემდეგნაირად გამოხატა აზრი ინგლისის ქეისში Wagamama, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: „მცირე (ანუ აღრევის შესაძლებლობა) მოიცავდეს უფრო ფართო არეალს (ანუ ასოციაციის ალბათობას)“ იქნებოდა უჩვეულო ფორმულირება.[27]

45. პრემიუმის ფორმულირებას აქვს იგივე ეფექტი. მეათე წინადადება, რომელიც უკვე ციტირებულია,[28] ადგენს, რომ აღრევის შესაძლებლობა „წარმოადგენს სპეციფიკურ პირობას“ ნიშნის მიერ მინიჭებული დაცვისთვის და, როგორც ჩანს, ვარაუდობს, რომ ასოცირება არის ერთ-ერთი ელემენტი, რომელიც გასათვალისწინებელია აღრევის შესაძლებლობის შეფასებისას. უფრო მეტიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგივე პუნქტი ასახავს სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას, სადაც ნათქვამია, რომ სასაქონლო ნიშნის დაცვის მიზანი წარმოშობის წყაროზე მითითების ფუნქციის გარანტიაა. სხვა მიზანი არ არის ნახსენები. შესაძლოა გონივრულად დავასკვნათ, რომ წარმოშობის წყაროს აღრევის შესაძლებლობისგან დაცვა არის ინტერპრეტაციის სასარგებლო ინსტრუმენტი ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული წესების შეფასებისას.

46. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, მხოლოდ ბენელუქსის ქვეყნები იყვნენ, რომლებიც დირექტივის მიღებამდე, თავიანთი სასაქონლო ნიშნის კანონის მიზნებისთვის იყენებდნენ წარმოშობის წყაროს არარსებობის (non-origin) ასოციაციის კონცეფციას. ამ კონცეფციის დირექტივაში ჩართვა, შესაბამისად, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა. ჯასთის ლედიმ ეს აზრი იძულებით დააყენა საქმეში Wagamama და აღნიშნა, რომ, ვინაიდან ეს მნიშვნელოვნად გააფართოებს სასაქონლო ნიშნის უფლებებს და ამით მნიშვნელოვნად შეზღუდავს მწარმოებლების კონკურენციის თავისუფლებას, მოსალოდნელია, რომ ნებისმიერი ასეთი გაფართოება იქნებოდა განცხადებული მკაფიო და ცალსახა სიტყვებით, რათა ევროკავშირში მწარმოებლებს შესძლებოდათ გაეცნობიერებინათ, რომ მათმა კანონმდებლებმა შექმნეს ახალი ფართო მონოპოლია”. ვინაიდან წვერი სახელმწიფოების უმეტესობამ, როგორც ჩანს, არ მიიღო წარმოშობის წყაროს არარსებობის ასოციაციის ცნება მათი სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მიზნებისთვის და ვინაიდან ამ კონცეფციის მიღება ეწინააღმდეგება თავისუფალ ვაჭრობას, ვეთანხმები, რომ ამ კუთხით მკაფიო ფორმულირების არარსებობის შემთხვევაში, არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კავშირის კანონმდებელი აპირებდა ამგვარი კონცეფციის გამოყენებას. უფრო მეტიც, ის ასევე მნიშვნელოვნად შორდებოდა სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას საერთაშორისო ხელშეკრულების 30-ე და 36-ე მუხლების გათვალისწინებით, რომელიც, როგორც ვნახეთ, არსებითად დაფუძნებულია აღრევის ცნებაზე. უფრო მკაფიო ფორმულირება იქნებოდა მოსალოდნელი აღნიშნული შედეგისთვის.

47. მაგრამ - შემოთავაზებულისგან განსხვავებით - ეს არ ნიშნავს, რომ სიტყვები „შეიცავს ასოციაციის ალბათობას“ ზედმეტია. როგორც ზემოთ განვიხილეთ, სასაქონლო ნიშნის კანონის მიზნებისთვის აღრევა შეიძლება გავიგოთ როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგებით. ამრიგად, „ასოციაციაზე“ მითითება შეიძლებოდა ყოფილიყო გამიზნული უბრალოდ იმის გასაგებად, რომ აღრევის ცნება არ შემოიფარგლება მხოლოდ აღრევის იმ გაგებით, რომ მომხმარებელი შეცდომით აღიქვამს ერთ პროდუქტს მეორედ, არამედ ვრცელდება ზემოთ, 38-ე პარაგრაფში აწერილ შემთხვევებში.

48. იგი ასევე ამტკიცებდა, რომ დირექტივის სხვა დებულებები იცავს სასაქონლო ნიშანს, გარკვეულ პირობებში, აღრევის გარეშე, მაშინაც კი, როდესაც საქონელი არ არის მსგავსი, და შესაბამისად, აღრევის მოთხოვნა არ შეიძლება იყოს აუცილებელი, როდესაც საქონელი მსგავსია. აღნიშნული არგუმენტი არ არის დამაჯერებელი, რადგან სხვა დებულებებით განსაზღვრული სიტუაცია საკმარისად განსხვავებულია. სიტუაცია როდესაც ადრინდელ ნიშანს აქვს რეპუტაცია შესაბამის წვერ სახელმწიფოში[29] და როდესაც ადრინდელი სასაქონლო ნიშნის გამოყენება სათანადო მიზეზის გარეშე დაუმსახურებლად შექმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს მიაყენებს ამ ნიშნის განმასხვავებელუნარიანობას ან რეპუტაციას: მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. ამტკიცებენ, რომ თუ აღრევა არ არის საჭირო განსხვავებული საქონლის შემთხვევაში, მაშინ, არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მსგავსი საქონლის შემთხვევაში. არგუმენტი შეუძლებელია შეესაბამებოდეს დირექტივის პირობებს, რომლებიც პირდაპირ მოითხოვს აღრევას მსგავსი საქონლის შემთხვევაში. უფრო მეტიც, აშკარაა, რომ მუხლი 4(4)(ა) უბრალოდ იძლევა აღრევის ტესტისგან განსხვავებულ ტესტს, რომელიც მოითხოვს იმის ჩვენებას, რომ გვიანდელი ნიშნის გამოყენება საზიანო

იქნება ადრინდელი ნიშნისთვის, და რომ ეს ტესტი შეესაბამება დებულებების კონკრეტულ მიზანს, რომელიც არის რეპუტაციის მქონე ნიშნების დაცვა. შეუძლებელია აღრევის მოთხოვნაზე მითითების არარსებობით ამ შემთხვევებში, დავასკვნათ, რომ დირექტივა - მისი მკაფიო ფორმულირების საწინააღმდეგოდ - არ მოითხოვს აღრევას ჩვეულებრივი ნიშნების ძალიან განსხვავებულ შემთხვევაში, რომლებიც მოიცავენ მსგავს საქონელს.

49. მართალია, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც საქონელი განსხვავებულია, მაგრამ არ შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ აღრევა არ არის აუცილებელი განსხვავებული საქონლის შემთხვევებში, იგი არ შეიძლება იყოს საჭირო მსგავსი საქონლის შემთხვევაში, მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით. როგორც გაერთიანებული სამეფო აღნიშნავს, მიზეზი, რის გამოც მუხლი მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც საქონელი განსხვავებულია, ეჭვგარეშეა, რომ ძნელი წარმოსადგენი სიტუაციაა, როდესაც საქონელი მსგავსია რეპუტაციის მქონე ნიშნის საქონლისა და აღრევა არ დადგება. აღნიშნულის მაგალითია უკვე ნახსენები “Anti-Monopoly” საქმე: სადაც ნათქვამია, რომ “Monopoly” ნიშნის მფლობელს უფლება ჰქონდა გაესაჩივრებინა ნიშნის “Anti-Monopoly” გამოყენება თუმცა, ცალსახა კონტრასტის გამო ნიშნებს შორის, არ არსებობდა აღრევის შესაძლებლობა. თუმცა ამ შემთხვევაშიც კი, დადგინდა აღრევის შესაძლებლობა, როგორც ზემოთ აღინიშნა.

დირექტივის მიზანი

50. მაშინაც, კი თუ დირექტივის შინაარსი არ განიხილება, როგორც ჩემს მიერ შემოთავაზებული შეხედულების დამადასტურებელი, კერძოდ, რომ დირექტივა ადგენს აღრევის მოთხოვნას ყველა შემთხვევაში, რომელიც მიეკუთვნება მუხლის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს, ამ შეხედულებამ შეიძლება იპოვოს მხარდაჭერა დირექტივის მიზნებში. რთულად იქნებოდა შესაბამისობაში საერთაშორისო ხელშეკრულების 100ა მუხლის მიხედვით მიღებული დირექტივის მიზნისათვის ისეთი ინტერპრეტაციის მიღება, რომელსაც ბევრ წევრ სახელმწიფოში ნიშნების დაცვის ფარგლების გაფართოებით, ვაჭრობის შეზღუდვის ეფექტი ჰქონდა. როგორც კომისია აღნიშნავს, 100ა მუხლის შესაბამისად მიღებული დირექტივები შექმნილია მე-7ა მუხლით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, კერძოდ, შიდა ბაზარზე საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილების გარანტიისთვის. დირექტივის პირველ პუნქტში ჩამოთვლილია ის მიზნები, სადაც ნათქვამია, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონები, რომლებიც ამჟამად გამოიყენება წევრ სახელმწიფოებში, შეიცავს უთანასწორობას, რამაც შეიძლება შეაფერხოს საქონლის თავისუფალი მოძრაობა, ისევე როგორც მომსახურების თავისუფლება“ და რომ „აუცილებელია, შიდა ბაზრის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით, წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოება“. ჩემი აზრით, კომისია საფუძვლიანად ასკვნის, რომ ეს მიზნები ეწინააღმდეგება აღრევის შესაძლებლობის ვრცელ ინტერპრეტაციას, რაც გამოიწვევს საქონლისა და მომსახურების თავისუფალი ნაკადის გაუმართლებელ შეზღუდვას.

51. დირექტივა ისე უნდა იქნეს აღქმული, რომ იგი აწესებს საერთო სტანდარტს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია სხვადასხვა ეროვნული სისტემის სასაქონლო ნიშნების თანაარსებობა. ამიტომ სტანდარტი არ უნდა იყოს დაყენებული ძალიან მაღალ დონეზე. ამ მხრივ დირექტივა შესაძლოა განსხვავდება სხვა სექტორების ჰარმონიზაციისგან, სადაც დაცვის მაღალი დონე შეიძლება იყოს სასურველი საერთო ინტერესებიდან გამომდინარე და სადაც თავისუფალი ვაჭრობის უზრუნველსაყოფად არსებითი მნიშვნელობა აქვს ერთი და იგივე სტანდარტის დაწესებას ყველა წევრი სახელმწიფოსთვის. სასაქონლო ნიშნების დირექტივა, ძალიან მკაცრი ინტერპრეტაციის შემთხვევაში, ეროვნული ბაზრების იზოლირებას მოახდენს. ამასთან დაკავშირებით მკაფიო განზრახვის არარსებობის შემთხვევაში, დირექტივა არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაში არსებული ყველაზე შემზღვეველი სტანდარტის დაწესების მიზეზი.

დირექტივის შინაარსი

52. ასევე აქტუალურია, რომ ამ ეტაპზე აღვნიშნოთ, კავშირის სასაქონლო ნიშნის რეგულაციის დებულება ნიშნებს შორის აღრევასთან დაკავშირებით, პრაქტიკულად იდენტურია დირექტივის დებულების. ამკარად მიზანშეწონილია, რომ დირექტივის დებულებები განიმარტოს ისევე, როგორც რეგულაციის შესაბამისი დებულებები. კავშირის ნიშნის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ კავშირის ტერიტორიაზე და, შესაბამისად, კონფლიქტი თუნდაც ერთ ნიშანთან, ერთ წევრ ქვეყანაში საკმარისია იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს კავშირის ნიშნის რეგისტრაციას. ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე განაცხადი შეიძლება გასაჩივრდეს არსებული კავშირის ნიშნის საფუძველზე, რომელიმე წევრ სახელმწიფოში რეგისტრირებული ნიშნით ან, გარკვეულ გარემოებებში, წევრ სახელმწიფოში აღიარებული არარეგისტრირებული უფლების საფუძველზე.[31] სასაქონლო ნიშნების ზედმეტად ფართო დაცვა სხვა ნიშნებთან „ასოციების“ რისკის საფუძველზე, შესაბამისად, ძალიან გაართულებს ბევრი ნიშნის რეგისტრაციას კავშირის დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ გვსურს, კავშირის სასაქონლო ნიშნების სისტემამ იმოქმედოს ეფექტურად აუცილებელია, რომ ნიშნები დარეგისტრირდეს აღრევის ნამდვილი და სათანადოდ დასაბუთებული რისკის არარსებობის შემთხვევაში.

53. უფრო მეტიც, საერთაშორისო კონვენციაში არ არის ნახსენები ასოციების შესახებ, რომლის ხელშემკვრელი მხარეები არიან კავშირი ან/და წევრი სახელმწიფოები. მიუხედავად იმისა, რომ დირექტივის დასკვნითი ნაწილი ხაზს უსვამს, რომ მისი დებულებები უნდა იყოს „სრულიად შესაბამისობაში პარიზის კონვენციის დებულებებთან“,[32] ეს კონვენცია პირდაპირ უთითებს მხოლოდ აღრევაზე. მუხლი 10 bis 3(1), რომელიც ეხება არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, აკისრებს ვალდებულებას აიკრძალოს, მათ შორის, „ყველა ისეთი ხასიათის ქმედება, რომელიც ნებისმიერი საშუალებით გამოიწვევს აღრევას დაწესებულებასთან, საქონელთან ან სამრეწველო ან კომერციულ საქმიანობასთან“.[33] გარდა ამისა, მე-6bis მუხლი, რომელიც ეხება საყოველთაოდ ცნობილ ნიშანს, ითვალისწინებს, რომ კავშირის ქვეყნები იღებენ ვალდებულებას უარი თქვან რეგისტრაციაზე ან გააუქმონ იგი და აკრძალონ სასაქონლო ნიშნის გამოყენება, რომელიც შეადგენს სხვა ნიშნის რეპროდუცირებას, იმიტაციას ან თარგმანს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ამ ნიშანთან აღრევა, თუ ეს ნიშანი უკვე მიჩნეულია ამ უფლებამოსილი პირის

საყოველთაოდ ცნობილ ნიშნად იმ ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელმაც მოახდინა რეგისტრაცია ან სადაც მოხდა გამოყენება, და როგორც საყოველთაოდ ცნობილი ნიშანი გამოიყენება იდენტური ან მსგავსი საქონლისათვის. ეს დებულება მოქმედებს აგრეთვე, იმ შემთხვევაში, როდესაც ნიშნის არსებითი ნაწილი შეადგენს ნებისმიერი ასეთი საყოველთაოდ ცნობილი ნიშნის რეპროდუცირებას ან იმიტაციას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მასთან აღრევა.“[34]

54. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების მე-16 მუხლის პირველი პუნქტი („TRIPS“)[35] ანალოგიურად ადგენს, რომ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს აქვს განსაკუთრებული უფლება აუკრძალოს ყველა მესამე პირს, რომელსაც არ გააჩნია მფლობელის თანხმობა, ვაჭრობაში გამოიყენოს იდენტური ან მსგავსი ნიშნები ისეთი საქონლის ან მომსახურებისათვის, რომლებიც იმ საქონლის ან მომსახურების იდენტური ან მსგავსია, რომელთათვისაც სასაქონლო ნიშანია რეგისტრირებული, თუ ასეთი გამოყენება შედეგად მათი აღრევის შესაძლებლობას წარმოშობს. იდენტური საქონლის ან მომსახურებისათვის იდენტური ნიშნის გამოყენების შემთხვევაში აღრევის შესაძლებლობის არსებობა დადასტურებულად მიიჩნევა...“[36] შესაბამისად, ჩემი შეხედულებისამებრ, არ არსებობს შეუსაბამობა დირექტივას და საერთაშორისო დოკუმენტებს შორის.

55. დირექტივის ენის, მიზნისა და კონტექსტის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადრინდელ ნიშანთან ასოცირების ალბათობა არის გასათვალისწინებელი ფაქტორი, ნიშნის რეგისტრაცია არ შეიძლება გასაჩივრდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საქონლის ან მომსახურების წარმოშობის შესახებ აღრევის რეალური და სათანადოდ დასაბუთებული შესაძლებლობა.

56. Bundesgerichtshof-ის მიერ მოყვანილი კითხვის მეორე ნაწილის პასუხად, მიმაჩნია, რომ სასაქონლო ნიშნების დირექტივის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში სიტყვა „ასოციაციის“ გამოყენება არ ნიშნავს, რომ ნიშნის რეგისტრაცია შესაძლოა გასაჩივრდეს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მისი და დაპირისპირებული ნიშნის იდეა არის ერთნაირი, არსებობს რისკი იმისა, რომ საზოგადოება დააკავშირებს ორ ნიშანს, ყოველგვარი აღრევის შესაძლებლობის გარეშე.

57. ახლა დავუბრუნდეთ აღნიშნული შეკითხვის პირველ ნაწილს. Bundesgerichtshof-ი ცდილობს დაადგინოს, მსგავსი ან იდენტური საქონლისთვის, ერთი მხრივ გამოსახულებით ნიშანსა და მეორე მხრივ გამოსახულებითი და სიტყვიერი ელემენტებისგან შემდგარ ნიშანს შორის აღრევის შესაძლებლობის დასადგენად საკმარისია თუ არა მხოლოდ სემანტიკური მსგავსების (წინამდებარე შემთხვევაში, მხტომარე მტაცებელი მხეცი) არსებობა. მითითებულია, რომ რეგისტრირებული ნიშანი არ არის „საყოველთაოდ ცნობილი საზოგადოებისთვის“.

58. პირველი პუნქტი, რომელიც უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ დირექტივა მოითხოვს, არსებობდეს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის ალბათობა საქონლის წარმოშობის

წყაროსთან დაკავშირებით. არსებობს თუ არა, კონკრეტული საქმის ფაქტებთან დაკავშირებით, ასეთი ალბათობა არსებითად ფაქტობრივი საკითხია ეროვნული სასამართლოსთვის. თუმცა, Bundesgerichtshof-ის შეკითხვა წარმოშობს კანონის ორ კითხვას.

59. პირველ რიგში, კითხვა დაისმება იმის საფუძველზე, რომ ერთი ნიშანი შეიცავს ტექსტს, გარდა გამოსახულებისა, ხოლო მეორე არა, და Bundesgerichtshof-მა განმარტა, რომ, მისი აზრით, ეს ფაქტი თავისთავად არ უშლის ხელს დადგენილ იქნეს მსგავსება ორ ნიშანს შორის სასაქონლო ნიშნის კანონის მიზნებისთვის, რადგან მნიშვნელოვანია თითოეული ნიშნის მიერ მიღებული საერთო შთაბეჭდილება. იმ პრინციპის გამოყენება, რომლის მიხედვითაც სასაქონლო ნიშნებით მიღებული საერთო შთაბეჭდილება უნდა იქნეს გათვალისწინებული, როგორც ჩანს, საერთოა წევრ სახელმწიფოებს შორის; მართლაც, ეს პრინციპი თავისთავად ცხადია. იმის გათვალისწინებით, რომ აღრევის შესაძლებლობა არსებითი კრიტერიუმია, Bundesgerichtshof-ი სწორია როდესაც ნიშნის მიერ მიღებულ საერთო შთაბეჭდილებას მიიჩნევს მნიშვნელოვნად. აქედან გამომდინარე, სიტყვიერი ელემენტის გამოყენება ორ გრაფიკულ ნიშანში თავისთავად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გამოირიცხოს ნიშნების მსგავსებიდან გამომდინარე აღრევის შესაძლებლობა. არის თუ არა, კონკრეტულ შემთხვევაში, სიტყვიერი ელემენტის ერთ ნიშანში ჩართვა საკმარისი იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული აღრევის შესაძლებლობა, რომელიც წარმოიქმნება ორი ნიშნის გამოსახულებითი ელემენტების მსგავსებიდან, არსებითად ფაქტობრივი საკითხია ეროვნული სასამართლოსთვის.

60. მეორე, Bundesgerichtshof-ი ცდილობს დაადგინოს, შესაძლებელია, თუ არა აღრევის შესაძლებლობის დადგენა მხოლოდ იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ „ორ ნიშანს აქვს მსგავსი მნიშვნელობა (ამ შემთხვევაში, მხტომარე კატისებრი ცხოველის გამოსახულება)“.

61. როგორც ჩანს, თუ ორი გამოსახულებითი ნიშანი გადმოსცემს ერთსა და იმავე აზრს, შეიძლება არსებობდეს გარემოებები, რომლებშიც, თუნდაც რეგისტრირებული ნიშანი არ იყოს საყოველთაოდ ცნობილი და მაშინაც კი, თუ ორი გამოსახულება შეძლებისდაგვარად განსხვავებულად არის გამოსახული, საზოგადოებას შესაძლოა მაინც აერიოს ორი ნიშანი. მაგალითად, სასაქონლო ნიშანი შეიძლება შედგებოდეს გამოგონილი გამოსახულებისგან, ან ბუნებრივი გამოსახულების უჩვეულო სურათისგან, როგორცაა, შესაბამისად, პუმა, რომელიც უკრავს ვიოლინოზე ან პუმა დაჯგუფებულია გველთან და ჩიტთან. მე არ მიმაჩნია არაგონივრულად ასეთი ნიშნების დაცვა სასაქონლო ნიშნის კანონით იმ კონცეფციის რეპროდუცირებისგან თავის ასარიდებლად, რომელსაც ისინი გადმოსცემენ, მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტული ნიშნები შეიძლება განსხვავებულად იყოს შედგენილი.

62. სადავოა, რომ საქმეები, სადაც ორი ნიშნის მსგავსება ეფუძნება სემანტიკას, უნდა გადაწყდეს წევრი სახელმწიფოების არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კანონმდებლობით. თუმცა, მე ვერ ვხედავ მიზეზს, რომ დირექტივა ვიწროდ გაგებულ იქნეს იმგვარად, თითქოს გამოირიცხავს კონცეპტუალურ მსგავსებას სასაქონლო ნიშნის დაცვის ფარგლებიდან. ის რასაც დირექტივა მოითხოვს, არის, არსებობდეს აღრევის შესაძლებლობა, როგორც ნიშნებს შორის მსგავსების შედეგი. დირექტივა არ ზღუდავს აღრევის წარმოშობის გზებს. უფრო მეტიც, სასაქონლო ნიშნის დაცვა კონცეპტუალური მსგავსების

გათვალისწინებით, არ არის იშვიათი წევრ სახელმწიფოებში. თუმცა, რთული იქნება აღრევის შესაძლებლობის დადგენა მხოლოდ კონცეპტუალური მსგავსების საფუძველზე, როდესაც ადრინდელი ნიშანი არ არის საყოველთაოდ ცნობილი, განსახილველ შემთხვევაში გამოსახულება არ არის განსაკუთრებით კრეატიული ან უჩვეულო.

63. შესაბამისად, კითხვის პირველ ნაწილზე პასუხად მე ვასკვნი, რომ აღრევის შესაძლებლობის დადგენა შეიძლება ეფუძნებოდეს იმ ფაქტს, რომ ორი სასაქონლო ნიშნის გამოსახულებითი ელემენტებით გადმოცემული იდეა მსგავსია, იმ პირობით, რომ დადგინდება, რომ არსებობს საქონლის ან მომსახურების წარმოშობის წყაროს შესახებ აღრევის რეალური და სათანადოდ დასაბუთებული შესაძლებლობა.

დასკვნა

64. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ Bundesgerichtshof-ის მიერ დასმულ კითხვაზე შემდეგი პასუხი უნდა გაიცეს:

(1) სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებული წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ 1988 წლის 21 დეკემბრის საბჭოს პირველი დირექტივის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი უნდა განიმარტოს, რომ როცა ადრინდელ ნიშანთან ასოცირების ალბათობა არის გასათვალისწინებელი ფაქტორი, ნიშნის რეგისტრაცია არ შეიძლება გასაჩივრდეს, თუ არ დადგინდება, რომ არსებობს საქონლის ან მომსახურების წარმოშობის შესახებ აღრევის რეალური და სათანადოდ დასაბუთებული შესაძლებლობა.

(2) ნიშანი არ შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ის და სხვა ნიშანი გადმოსცემს ერთსა და იმავე იდეას, არსებობს რისკი იმისა, რომ საზოგადოება დააკავშირებს ორ ნიშანს იმ გაგებით, რომ ერთი უბრალოდ გაახსენებს მეორეს აღრევის შესაძლებლობის გარეშე, როგორც ზემოთ იყო აღწერილი.

(3) როდესაც არსებობს მსგავსება ორ გამოსახულების მქონე ნიშანს შორის, რომელთაგან ერთი ასევე შეიცავს ტექსტს, სიტყვიერი ელემენტის ჩართვა ერთ-ერთ ნიშანში თავისთავად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ზემოთ აღწერილი აღრევის შესაძლებლობა.

(4) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შეიძლება გასაჩივრდეს იმის საფუძველზე, რომ ორი სასაქონლო ნიშნის გამოსახულებითი ელემენტებით გადმოცემული იდეები მსგავსია, თუ დადგინდება, რომ არსებობს აღრევის შესაძლებლობა, როგორც ეს აღწერილია ზემოთ.

[1] - დირექტივა 89/104/EEC დათარიღებული 1988 წლის 21 დეკემბრით, OJ 1989 L 40, გვ. 1.

[2] - დირექტივის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ მისი დებულებების იმპლემენტაცია 1991 წლის 28 დეკემბრამდე. თუმცა, გადაწყვეტილებით 92/10/EEC, OJ 1992 L 6, გვ. 35, საბჭომ გამოიყენა მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილება და გადაადო დირექტივის იმპლემენტაციის ვადა 1992 წლის 31 დეკემბრამდე.

[3] - განხილულია 31-ე პუნქტში ქვემოთ.

[4] - საერთაშორისო ნიშანი არის ნიშანი, რომელიც რეგისტრირებულია საერთაშორისო დონეზე, ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციასთან დაკავშირებით მადრიდის შეთანხმების შესაბამისად. ეს შეთანხმება საშუალებას აძლევს განმცხადებელს, რომელმაც დაარეგისტრირა ნიშანი თავის წარმოშობის ქვეყანაში, მიიღოს რეგისტრაცია სხვა მონაწილე იმ სახელმწიფოებში, რომლებსაც ის განსაზღვრავს, თუ ეს სახელმწიფოები არ გამოიტანენ უარყოფით გადაწყვეტილებას ნიშნის რეგისტრაციაზე, მათი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში.

[5] - BGBl. I 3082.

[6] - OJ 1994 L 11, გვ. 1.

[7] - მუხლი 1.

[8] - დამაბნეველი სათაურით „შიდა ბაზარზე ჰარმონიზაციის უწყება (სასაქონლო ნიშნები და დიზაინები)“ (რეგულაციის მე-2 მუხლი), მაგრამ ზოგადად მოიხსენიება როგორც კავშირის სასაქონლო ნიშნების უწყება.

[9] - საქმე 119/75[1976] ECR 1039.

[10] - საქმე C-10/89 HAG GF[1990] ECR I-3711.

[11] - საქმე C-317/91 Deutsche Renault v Audi[1993] ECR I-6227.

[12] - საქმე C-9/93 IHT Internationale Heiztechnik v Ideal Standard[1994] ECR I-2789.

[13] - საქმე 102/77[1978] ECR 1139.

[14] - იხილეთ პუნქტი 18 ზემოთ. ინგლისური ტექსტი ნაკლებად სათანადოდ არის ფორმულირებული, ვიდრე სხვა ენის ვერსიები.

[15] - იხილეთ, მაგალითად, Hoffmann-La Roche v Centrafarm, ცტირებული მე-13 შენიშვნაში და 1996 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებები გაერთიანებულ საქმეებში C-427/93, C-429/93 და C-436/93 Bristol Myers-Squibb v Paranova და Bayer Aktiengesellschaft, Bayer Denmark v Paranova[1996] ECR I-3457, გაერთიანებული საქმეები C-71/94, C-72/94 და C-73/94 Eurim-

Pharm Arzneimittel v Beiersdorf, Boehringer Ingelheim KG, Boehringer Ingelheim A/S and Farmitalia Carlo Erba[1996] ECR I-3603, და საქმე C-232/94 MPA Pharma v Rhône-Poulenc Pharma[1996] ECR I-3671.

[16] - ციტირებულია მე-15 შენიშვნაში.

[17] - საქმე C-337/95 Parfums Christian Dior SA and Parfums Christian Dior BV v Evora BV, 1997 წლის 29 აპრილის მოსაზრება.

[18] - დართულია 1962 წლის 19 მარტის ბენელუქსის სასაქონლო ნიშნის კონვენციაზე. [19] - ბენელუქსის კანონის მე-13 ა მუხლი.

[20] - 'Il y a ressemblance entre une marque et un signe lorsque, compte tenu des particularités de l'espèce, notamment du pouvoir distinctif de la marque, la marque et le signe, considérés en soi et dans leurs rapports mutuels, présentent sur le plan auditif, visuel ou conceptuel une similitude de nature à établir une association entre le signe et la marque.' საქმე A 82/5, 1983 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, Henri Jullien BV v Verschuere Norbert (ასევე ცნობილი როგორც „Union/Union Soleure“ საქმე), ბენელუქსის უზენაესი სასამართლოს იურისპუდენცია 1983, გვ. 36.

[21] - საქმე A 74/1, 1975 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება, ბენელუქსის სასამართლოს გადაწყვეტილება 1975 წ., გვ. 472.

[22] - ტერმინი, რომელიც გამოიყენა ჯასტის ლედიმ ინგლისის უმაღლეს სასამართლოში საქმეში Wagamama Ltd v City Center Restaurants Plc and Another, [1995] F.S.R. 713, განხილულია ქვემოთ.

[23] - Edor v General Mills Fun 1978 Ned. Jur. 83.

[24] - იხ. W.R. Cornish, Intellectual Property, Third Edition, გვ. 622.

[25] - Fustner and Geuze, "საქონლო ნიშნის დაცვის ფარგლები ბენელუქსის ქვეყნებში და EEC-ჰარმონიზაცია", ECTA Newsletter, მარტი 1989, 215, ციტირებული Cornish, op. cit., გვ. 620, შენიშვნა 44.

[26] - იხ. საქმე C-292/89 Antonissen[1991] ECR I-745, გადაწყვეტილების პარაგრაფი 18; გაერთიანებული საქმეები C-197/94 და C-252/94 Bautiaa and Société Française Maritime[1996] ECR I-505, პარაგრაფი 51.

[27] - ციტირებულია მე-22 შენიშვნაში, გვ. 723.

[28] - პარაგრაფი 18 ზემოთ.

[29] - ან, კავშირის სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში, რეპუტაცია კავშირის ქვეყნებში: მუხლი 4(3).

[30] - ციტირებული მე-6 შენიშვნაში.

[31] - იხ. რეგულაციის მე-8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები.

[32] - პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ 1883 წლის 20 მარტი, როგორც ბოლოს შესწორდა სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს.

[33] - თუმცა, მე-6 მუხლი ადგენს, რომ „სასაქონლო ნიშნების შეტანისა და რეგისტრაციის პრობები განისაზღვრება კავშირის თითოეულ ქვეყანაში მისი შიდა კანონმდებლობით“, ხოლო მე-6 მუხლი ბ(1) ადგენს, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას შეიძლება უარი ეთქვას ან ბათილად ჩაითვლება, თუ, ისინი „ისეთი ხასიათისაა, რომ არღვევს მესამე მხარის მიერ შეძენილ უფლებებს ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა“. მადრიდის შეთანხმების მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციასთან დაკავშირებით (ზემოთ, შენიშვნა 4) ადგენს, რომ ხელშემკვრელი მხარის მიერ საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე დაცვაზე უარი შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ იმ საფუძველებს, რომლებიც გამოყენებული იქნება პარიზის კონვენციით.

[34] - ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების მიხედვით, ეს მუხლი ვრცელდება *mutatis mutandis* მომსახურებაზე და, გარკვეულ პრობებში, განსხვავებულ საქონელსა და მომსახურებაზე: მე-16 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

[35] - OJ 1994 L 336, გვ. 214.

[36] - თუმცა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ წევრებს შეუძლიათ უარი თქვან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე სხვა საფუძველებით, გარდა ამ შეთანხმებისა (მე-15 მუხლის პირველი პუნქტი), იმ პრობით, რომ ისინი არ არღვევენ პარიზის კონვენციის დებულებებს.



ეს პუბლიკაცია ეკუთვნის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - “საქპატენტს”, როგორც EUGIPP პროექტის მთავარ ბენეფიციარს. დასაშვებია მომხმარებლის მიერ ამ პუბლიკაციის რეპროდუცირება, გავრცელება, ადაპტირება, თარგმნა და საჯარო შესრულება, მათ შორის, კომერციული მიზნებით, წერილობითი ნებართვის გარეშე, იმ პირობით, რომ გამოყენებულ შინაარსს თან დაერთვება საქპატენტის, როგორც წყაროს, მითითება, რაც გარკვევით იქნება აღნიშნული, ასევე, მიეთითება, თუ თავდაპირველ შინაარსში შეტანილი იქნება ცვლილებები.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით.

მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.